დონ მაკ-ქური

აბრაამის დაკარგული შთამომავლობის მოძიება

მთარგმნელი:
ნინო ნაკუდაშვილი

BIBLIOTHECA CHRISTIANA

თბილისი
1994

რედაქტორი: მალხაზ სონღულაშვილი
გამომცემელი: მიხეილ სარალიშვილი
დამკაბადონებელი: ეკა ხორბალაძე
კორექტორი: მედიკო აბესაძე

© BIBLIOTHECA CHRISTIANA, 1994

ავტორი ამ წიგნს უძღვნის
ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

წინასიტყვაობა

ქართული გამოცემისათვის

დიდი ხნის წინათ, როგორც ძველი მითები მოგვითხრობენ, იაზონი ჩამოვიდა საქართველოში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. საწმისი, იმ ოქროს ცხვრის ტყავს წარმოადგენდა, რომელმაც ძანამდე გადაარჩინა გაბედული არგონავტები.

დღეს იესო, მთამოძავალი აბრაამისა, დაეძებს თავის დაკარგულ ცხვრებს საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში. ცხვრებს, რომლებიც ფარას ჩამორჩნენ. მწყემსმა კეთილმა, იესო ქრისტემ თავისი სიცოცხლე გასწირა ამ ძვირფასი ცხვრებისათვის. იგი კვლავ დაეძებს დაკარგულთ.

საქართველო კიდევ ერთხელა დგას ისტორიის გზაჯვარედინზე. ერი, რომელმაც ქრისტიანობა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო (337 წ), სულ ახლახან ისეთ სამოქალაქო და ეთნიკურ ქარ-ცეცხლში გაეხვია, რომ ნაწილ-ნაწილ გაგლეჯის საფრთხე დაემუქრა. ერთ დროს მშვენიერ თბილისს ახლახან მომხდარმა ქუჩის ბრძოლებმა საშინელი კვალი დაამჩნია. საშინელებაა იმის გახსენება, რომ მარტო ათასი წლის განმავლობაში ეს ქალაქი რიმ ორმოცჯერ იყო მტრებისაგან დიდად მოოხრებული.

ნუთუ ადარ დადგება მშვიდობა? მშვიდობა მაშინ მოვა, როდესაც ერი მუხლებზე დაეშვება მშვიდობის მთავრის წინაშე. სწორედ იესომ თქვა:

„მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება“ (იოანე 14:27). და: „ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით ძე ვძლიე წუთისოფელს“. (იოანე 16:33). დროა საქართველო განიკურნოს. დიდი ხნის წინათ დმერთმა თავისი წინიხწარმეტყველის მეშვეობით ბრძანა:

„ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშარნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე, თქვენც გამოხვალთ და

აკუნტრუშდებით ბაგის ხბოებივით, გათელავთ ბოროტეულთ, რადგან უნდა გაცამტვერდნენ ისინი თქვენს ტერფებქვეშ იმ დღეს, რომელსაც მე ვამზადებ. ამბობს უფალი ცაბაოთი“ (მალაქია 3:20-21).

დრო დადგა, რომ საქართველოს ხალხს კვლავ გაუჩნდეს იმედი. როგორი მშვენიერია მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი ელენე აზვლედიანის ხამთრის თბილისში (1972 წ.). ეკლესიამ საქართველოში გრძელი ზამთარი გადაიტანა. როგორც ამაშუკელის ვახტანგ გორგასალია თბილისის ქალაქზე მარჯვენა შემართული, ასევე იყო შემართული უფლის უხილავი ხელი, რომელმაც არ დაუშვა, რომ ეს ქალაქი ადგილიყო მიწის პირისაგან; ახლა იგი იცდის, როდის შეძოგრუნდება კვლავ მისკენ.

ღმერთმა საქართველო ამ სტრატეგიულ ადგილას, როგორც მოწმე ისე დააყენა: აზერბაიჯანისათვის, სომხეთისათვის, თურქეთისათვის, ჩრდილოეთ კაკკასიის ხალხებისათვის, ასევე სხვა მრავალი ხალხისათვის, საქართველოს მიწა-წყალზე რომ მკვიდრობენ. ეს არის ღვთისმიერი შესაძლებლობა თავისი ხალხისათვის.

საქართველო მდინარეებით წყალუხვი ქვეყანაა. ეს მშვენიერ მეტაფორას წარმოადგენს იესოს სიტყვებისათვის: „თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და მესვას. ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, მისი მუცლიდან იდინებს ცოცხალი წყლის მდინარეები“ (7:37,38).

საქართველოს მვილებო, დაბრუნდით იესოსთან, შესვით მაცოცხლებელი წყალი. შემდეგ კი ღმერთს დაანებეთ, რომ გაქციოთ იმ ჭურჭლებად, საიდანაც ის ცოცხალი წყალი თქვენს გარეშე მყოფი ხალხის გაუდაბურებულ გულებს დაასარწყულებს.

ერთხელ იესომ ბრძანა: „საკაული ბევრია, მუშაკნი კი – ცოტა“. (მათე 9:37).

მოგვიანებით იგი თავის თვისტომებს შორის იდგა, როცა მოწაფეებს უთხრა: „აიხილეთ თვალები და მეხედეთ ყანებს, როგორ გადათეთრებულან სამკალად“. (იოანე 4:35).

ეს სიტყვები ეთქვა იმ ხალხს, რომელიც უცხოელი დამპყრობლების ხელში იყო. სახარებამ იფეთქა ახლო აღმოსავლეთში და საქართველომდე მოაღწია. თქვენა ხართ ამ საკლის ცოცხალი შედეგი.

სამი წლის წინ, ჩემი პირველი ვიზიტის დროს საქართველოში

მისმა უწმიდესობამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, მაჩუქა დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოების ალბომი. ის, რამაც ყველაზე მეტად მომხიბლა, იმერეთის ბეიზაჟებია. მისმა ამწვანებულმა მინდვრებმა და სამკლად მოწეულმა ყანებმა გამახსენა ხალხი, ხალხი, რომელიც ძვირფასია ღვთის თვალში, ხალხი, რომლის აღორძინებაც ღმერთსა სურს თავისი დიდებისათვის, ხალხი, რომელიც მზადაა იქცეს სამკალად ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახარებისათვის.

თქვენ ხართ ცნობილი თქვენი რთველობით; თქვენი ყურძენი და ღვინოები ცნობილია მსოფლიოში. ყურძენი თუ არ დაიჭყლიტა, იქიდან ღვინო ისე არ გამოვა. საუკუნეების განმავლობაში საქართველო მრავალჯერ იქნა დაჩეჩქვილი და ნატანჯი. მიწა მორწყულია მოწამეთა სიხსლით. იესომ ღვინო აირჩია თავის ხალხთან დადებული აღთქმის სიმბოლოდ. იგი თქვენთვის იტანჯა. მისი სისხლი ახლა მოსახსენებელი ღვინოა. როდესაც ჩვენ გავახრულებთ იმ საქმეს, რომელიც მან დაგვავალა, ჩვენ შევსვამთ ამ ღვინოს კვლავ მასთან ერთად, როდესაც ბირისბირ აღმოვჩნდებით.

ეს წიგნი მუსულმურ ქვეყნებში მიღებულ გამოცდილების შედეგადაა დაწერილი. ღმერთსა ვთხოვ, რომ იგი დაგვეხმაროს, რათა ქრისტეს ნაყოფიერი მოწმენი იყოთ იმ მუსლიმ ხალხებს შორის, რომლებიც თქვენში და თქვენს საზღვრებს მიღმა ცხოვრობენ. ღმერთმა შეგაძლებინოთ, რომ აბრაამის დაკარგული მთამომავლობის გადარჩენაში თქვენი წვლილი შეიტანოთ.

დონ მაკ-კური
8 მარტი 1994 წ.

ᲬᲘᲜᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ეს წიგნი მუსლიმთა ქრისტეს რჯულზე მოქცევას ეხება. იგი აბრაამის ოჯახის უარყოფილ მტოზე მოგვითხრობს.

ამ ისტორიის სათავე ღვთის მეგობრის, აბრაამის, ოჯახში ოთხი ათასი წლის წინ დატრიალებულ ტრაგედიასთან გვაბრუნებს. ესაა ამბავი ორი დედის და ორი ძის მეტოქეობისა.

სიძულვილის ცეცხლი მათ შორის არასოდეს განელებულა. იგი დღესაც გიზგიზებს აბრაამის მოშუღლარ მთამომავალთა გულებში.

ახლო აღმოსავლეთში გაჩადებულ ხანძარს ძლევამოსილი კაცის, უდაბნოს ბატონის, აბრაამის უკანონო შვილის, ისმაელის, ჩრდილი აფენია. იგი იყო აბრაამის პირმშო, წინადაცვეთილი, მამის თვალისჩინი და მისი შესაძლო მემკვიდრე.

მაგრამ სარამ შვა ისაკი და ისმაელს წაერთვა სამემკვიდრო. მეტოქე დედები, ერთმანეთს მტრად მოკიდებული ძმები, ხორცისა და რწმენის ნაყოფი, ერთ სახლში ვერ იარსებებდნენ. აგარი და ისმაელი უნდა წასულიყვნენ.

მძვინვარე, ველური და თავისუფალი, ყველასაგან დამოუკიდებელი, შეურიგებელი ისმაელი, რომელსაც აბრაამმა და სარამ მემკვიდრეობა წაართვეს, უფალმა იშვილა და გამოზარდა უდაბნოში. ეს იყო არაჩვეულებრივი კაცი. მისგან იღებენ სათავეს უდაბნოს მეფეები.

წმიდა წიგნებში ისმაელის სახელი ათასი წლის შემდეგაც მოიხსენიება (1 ნეშტ. 1:29-31).

წინასწარმეტყველებს აწსოვდათ ისმაელის ძენი, ძლევამოსილი ნაბეოთი და დიდი კედარი, მათი ცხვრის ფარები მესიის ფარეხში უნდა შეკრებილიყვნენ (ეს. 42:11; 60:7).

ორი ათას ხუთასი წლის შემდეგ თავისი სახელოვანი წინაბრის საქმის დასაცავად აღსდგა ობოლი არაბი. მუჰამედის მონოთეიზმი, რომელიც ჯიუტად ემიჯნებოდა იუდეველობასა და ქრისტიანობას, სათავეს ისმაელიდან და მათი საერთო წინაბრიდან, აბრაამიდან, იღებდა.

ეს ძლიერი და მრისხანე მეომარი, სემიტი, მაგრამ არა ებრაელი, შურს იძიებდა ისმაელის შერცხვენისათვის. იუდეველებმა და ქრისტიანებმა არაერთხელ იგემეს მისი ბასრი მახვილი.

შეუპოვარი, გაბედული, მდიდარი წარმოსახვის უნარით დაჯილდოვებული, შეურყეველი ნების ოქროპირი, რელიგიური გენია, რომელიც ერთმანეთთან ათანხმებდა ლოცვასა და მახვილს, ისლამის დამაარსებელი, მეფე და წინასწარმეტყველი მუჰამედი, პირველი მუსლიმი იყო, რომელმაც თავისი კუთვნილი ადგილი მოითხოვა აბრაამის ოჯახში.

იგი უეცრად გარდაიცვალა, მაგრამ მისი სიტყვები ამაყ არაბთა შუბებზე დარჩა ამოტვიფრული. მუჰამედის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ მუსლიმთა არმიებმა სამარყანდსა და სინდს, იერუსალიმსა და ესპანეთს მიაღწიეს. მსოფლიო თრთოდა კერპების ამ ძლევამოსილ მსხვრეველთა წინაშე. მათმა უსიხარულო მეჩეთებმა, საიდანაც არასოდეს ისმოდა მუსიკა, გარკვეული დროით თითქოს დაამარცხეს ტაძრები და ეკლესიები.

ის, რადაც აქცია მუჰამედმა არაბთა სიამაყე, ვერ აღუდგებოდა წინ მსოფლიოზე გაბატონების ცდუნებას. სიმდიდრე ძლიერ იზიდავდა მის ბობოქარ შთამომავლებს. რელიგიამ გზა გაუხსნა ხალიფათა და სულთანთა ხორციელ ჟინს.

ისლამი ვერ ასცდა განხეთქილებებს. ლეგალიზმი, პიეტიზმი, მისტიციზმი, მატერიალიზმი გზას იკვალავდნენ მის წიაღში არაბეთის, სპარსეთის, თურქეთის, მონგოლეთის მმართველთა ცვალებად ბედთან ერთად. ეთნოსი, ენა, რასა და სიამაყე თავის დაღს ასვამდა მზარდ ისლამურ იმპერიას.

მუსლიმური ძლევამოსილების გარეგნული ბრწყინვალება ვერ შეანელებდა დაპყრობილი ხალხების თავზე აღზევებული სატანის ქმედებას. ისლამმა საბედისწერო სინკრეტიზმის დამღუპველი გავლენა განიცადა. მან მრავალი სახე მიიღო მას შემდეგ, რაც „სხვა სამყაროს“ სულიერი ძალები შემოიერთა.

დღეს მსოფლიოში მცხოვრები მილიარდზე მეტი მუსლიმი 408 ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფშია გაერთიანებული. 41 ქვეყანაში ისინი ძირითად მოსახლეობას ან უმრავლესობას წარმოადგენენ. მაგრამ ეს არის მუსლიმთა მხოლოდ 78%, დანარჩენი 22% სხვა ქვეყნებში ცხოვრობს, როგორც ეროვნული უმცირესობა.

ამ გამოკვლევაში ორი თემაა განხილული. პირველია „ისმაელის ღაღადი“. დაბადების წიგნში (21:17) ნათქვამია: „მოესმა ღმერთს

ყმაწვილის ხმა...“ ყმაწვილის სახელი იყო: „მოესმა ღმერთს“ (ისმაელ). ჩვენ აქ „ისმაელს“ განვიხილავთ,როგორც კრებით სახელს ყველა მუსლიმისას, რომლებიც მის ფიზიკურ და სულიერ მემკვიდრეებად თვლიან თავს.

ჩვენ გვჯერა, რომ უფალი დღესაც ისმენს ისმაელის მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა ღაღადისს, რომლებიც მთელს მსოფლიოში არიან გაფანტულნი. და როგორც უფლის მსახურებს დედამიწაზე,ჩვენც გვესმის ეს ხმები და ვეპასუხებით მათ.

როგორც ბიბლია, ისე პირადი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ უფალი უხვ სამკალს ჰპოვებს მათ შორის. აბრაამის დანგრეულ ოჯახს ქრისტეს ჯვარცმული მსხვერპლი გაამთელებს. ის შეარიგებს ყველას (კოლ. 1:20).

ჩვენ ვცდილობთ,თვალი გავადევნოთ აბრაამის ოჯახის ისტორიას ისმაელიდან მუჰამედამდე. განვიხილავთ ამ საოცარი ადამიანის ცხოვრებასა და საქმეებს და არაბთა რელიგიას, რომელიც მან უანდერძა სამყაროს. აღვწერთ ისლამის ძირითად სექტებსა და მიმართულებებს. ესაა ჩვენი ნაშრომის პირველი ნაწილი.

ნამრომის მეორე ნაწილში ვეხებით ძომუღლარ მხარეთა ურთიერთმორიგების გზებს.

წიგნის ნაწილი ისლამსა და ქრისტიანობას მორის არსებულ თეოლოგიურ უთანხმოებებს ეძღვნება.

გამოკვლევის დასკვნითი ნაწილი სულიერ სამკალზე ამახვილებს ყურადღებას. ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ როგორ ემურებიან მუსლიმები ქრისტესაკენ ისლამის ყველა მიმართულებიდან.

ჩვენ გვჯერა, მოვესწრებით იმის ხილვას, თუ როგორ იმუშავებენ ქრისტიან მისიონერთა რაზმები მუსლიმთა ყველა ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფთან და როგორ გაიზრდება თანდათან გაქრისტიანებულ მუსლიმთა რიცხვი მთელს დედამიწაზე.

ჩვენ იმასაც ვვარაუდობთ, რომ მტრულად განწყობილი მუსლიმი ფუნდამენტალისტები გააქტიურდებიან. მათი საათი კიდევ დარეკავს. ბევრ ტკივილსა და სისხლისღვრას მოიტანს მომავალი ომები, როგორც თავად მუსლიმებს, ისე მუსლიმებსა და მათ მეზობლებს შორის. ეს არის ისლამისა და ისმაელის გაიგივების მეორე მხარე. „...მისი ხელი ყველას წინააღმდეგ“ (დაბ. 16:12).

ომსა და სისხლისღვრას სისასტიკე და ტკივილი ახლავს თან. ისმაელის უამრავ მემკვიდრეს სურს აბრაამის ოჯახთან შერიგება, რადგან მე-7 საუკუნეში არ გაამართლა მუჰამედის მცდელობამ, გადაეჭრა მათი გლობალური პრობლემები, ისინი სამყაროს ჭეშმარიტი მხსნელის, იესოსაკენ, შემობრუნდებიან.

ავტორი მესთხოვს უფალს, რომ დაეხმაროს ეს წიგნი ქრისტიან მისიონერებს სწორი პოზიციის ჩამოყალიბებასა და მოღვაწეობაში.

აბრაამის ლოცვა ისმაელისათვის და უფლის პასუხი ამ ლოცვაზე გამოგვადგება იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა ვილოცოთ დღეს ჩვენი მამის, აბრაამის, მსგავსად ისმაელის შთამომავლობისათვის:

„...ნეტავ ისმაელმა იცოცხლოს შენს წინაშე!“ (დაბ.17:18).

„...ვისმინე შენი, აჰა, ვაკურთხე იგი...“ (დაბ. 17:20).

ნაწილი 1
აბრაამის ოჯახი

თავი I

ღმერთმა გამოარჩია თავისთვის კაცი.

აბრაამი, უფლის მეგობარი.

„...რადგან ვიცი, რომ უანდერძებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდეგ, იარონ უფლის გზაზე, მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ, რათა აუხდინოს უფალმა აბრაამს ყველაფერი, რაც ნათქვამი აქვს მასზე“ (დაბ.18:19).

აბრაამის პიროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს სამ უდიდეს მონოთეისტურ რელიგიაზე.

იესო ქრისტეს „დავითის ძეს“ და „აბრაამის ძეს“ უწოდებდნენ (მათე, 1:1). თავად იესო ამბობდა: „აბრაამს, მამათქვენს, უხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს. იხილა და გაიხარა“ (იოანე, 8:56).

მუჰამედი ყურანში აცხადებს: „იბრაჰიმის ყველაზე ახლობლები არიან ისინი, ვინც მის გზას დაადგა, ეს წინასწარმეტყველი (მუჰამედი) და მისი მორწმუნენი (მუსლიმები)“ (ყურანი, 3:61 (68).

ვინ არის აბრაამი? რას წარმოადგენს ის ღვთისათვის? ადამიანისათვის? რატომ სურს ყველას, რომ აბრაამის ოჯახს ეკუთვნოდეს?

შეეცდებით ამ თავში პასუხი გაეცეთ წამოჭრილ კითხვებს.

აბრაამის მოწოდება

ღმერთმა გამოარჩია ეს კაცი, რათა მისი მეოხებით მთელი კაცობრიობა ეკურთხებინა. მოდით, დეტალურად განვიხილოთ, თუ როგორ იქნა იგი მოწოდებული ღვთის მიერ.

„...წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყეველი შენს მაწყევარს; კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12:1-3).

ამ მოწოდებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კაცობრიობისათვის. ახლა ყველა შეიძლება იყოს წყეული ან კურთხეული იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაშია აბრაამთან. რითაა ეს კაცი ასე მნიშვნელოვანი?

აბრაამმა თანხმობა უთხრა ღმერთს. იგი თანახმა იყო, დაეტოვებინა ყოველივე და შესდგომოდა უფლის გზას; თანახმა იყო, მისი მეოხებით ეკურთხებინა ღმერთს ადამიანთა მოდგმა; თანახმა იყო, ეგემნა დამცირება მისი გულისათვის.

ღმერთმა იპოვა კაცი, რომლის საშუალებითაც შეეძლო დაეწყო ადამიანთა დაცემული მოდგმის განკურნება; კაცი, რომელიც იწამებდა მას; კაცი, რომელიც საკუთარ შვილებს ერთიანი, ჭეშმარიტი ღმერთის რწმენას ჩაუნერგავდა; ვინც რწმენას გაჰყვებოდა და არა ხორციელ გულისთქმას; და ბოლოს, ვისი თესლიდანაც აღმოცენდებოდა მაცხოვარი, იესო ნაზარეველი.

აბრაამი – ღვთის მეგობარი

ღმერთმა აღუთქვა აბრაამსა და მის შთამომავლობას ქანაანის მიწა. მაგრამ აბრაამი უშვილო იყო. როცა მან თავისი უშვილობა შესჩივლა ღმერთს, შემდეგი პასუხი მიიღო: „...მხოლოდ შენი წიაღიდან გამოსული იქნება შენი მემკვიდრე. გარეთ გაიყვანა და უთხრა: აჰხედე ცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. მერე უთხრა: ამდენი იქნება შენი შთამომავლობა“ (დაბ. 15:4-5).

შემდეგ უფალმა უბრძანა აბრაამს, სამსხვერპლო ცხოველ-ფრინველი მოემზადებინა.

იგი გაკვეთილ ცხოველთა და ფრინველთა შუა გამოეცხადა აბრაამს და ამგვარად განამტკიცა მასთან დადებული აღთქმა (იხ. დაბ. 15:1-19). ამ ამბის შემდეგ ეწოდა აბრაამს „ღვთის მეგობარი“. ასე მოიხსენიება ის ბიბლიაში და ისლამშიც ცნობილია, როგორც ხალილ ულაჰ (ღვთის მეგობარი). მაგრამ იუდეველთა და ქრისტიანთაგან განსხვავებით, მუსლიმები

აბრაამს ენათესავებიან ისმაელისა და აგარის და არა ისაკისა და სარას ხაზით.

აბრაამთან დადებული აღთქმა

მოდით, კელავ გადავიკითხოთ აბრაამისათვის მიცემული ღვთის აღთქმა: „...მხოლოდ შენი წიაღიდან გამოსული იქნება შენი მემკვიდრე. გარეთ გაიყვანა და უთხრა: აჰხედე ცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. მერე უთხრა: ამდენი იქნება შენი შთამომავლობა“ (დაბ. 15:4-5). იბადება კითხვა: „აბრაამის თესლში მისი ხორციელი მემკვიდრენი იგულისხმებიან თუ სულიერი?“ ერთიც და მეორეც. უფალმა აჩუქა აბრაამს უთვალავი მემკვიდრე და მართლა გახადა ის „ყველა ხალხის მამად“. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა სისხლით ნათესავი როდია მისი მემკვიდრე. იესო ამბობდა, რომ მისი თანამედროვე იუდეველნი, თუმცა აბრაამის სისხლსა და ხორცს წარმოადგენენ, მაინც არ იყვნენ მისი ჭეშმარიტი შვილები. „...თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით... თქვენ მამათქვენის საქმეებს აკეთებთ... თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ“ (იოანე, 8:39-44).

აბრაამის შვილობის კრიტერიუმი ერთიანი, ჭეშმარიტი ღმერთის გულწრფელი რწმენაა. სისხლით ნათესაობა არ ნიშნავს სულიერ ერთიანობას აბრაამის ოჯახთან.

ვინ არის აბრაამის ჭეშმარიტი მემკვიდრე?

გავიდა დრო და დაიბადა იესო, დიდი ხნის წინათ აღთქმული „თესლი“ აბრაამისა. იესოსადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს ჩვენს ჭეშმარიტ ურთიერთობას ღმერთთან. იესოს თანამედროვე იუდეველნი ვერ აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნას.

ისინი ეუბნებოდნენ იესოს: „ჩვენ აბრაამის შთამომავალნი ვართ...“ (იოანე, 8:33). ის კი პასუხობდა: „ვიცი, რომ აბრაამის შთამომავალნი ხართ, მაგრამ ჩემს მოკვლას ცდილობთ, რადგან ჩემი სიტყვა ვერ ეტევა თქვენში. მე იმას ელაპარაკობ, რაც მამაჩემთან ვნახე, თქვენ კი აკეთებთ იმას, რაც მამათქვენთან მოისმინეთ“ (იოანე, 8:37-38).

მათ მიუგეს: „ჩვენი მამა აბრაამია!“ (8:39). ამაზე იესომ უთხრა: „...თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით. ახლა კი

ჩემს მოკვლას ცდილობთ, კაცისას, რომელმაც გითხრათ ჭეშმარიტება, რაც ღვთისაგან მოვისმინე. აბრაამს ასეთი რამ არ გაუკეთებია. თქვენ მამათქვენის საქმეებს აკეთებთ“ (იოანე, 8:39-40).

იუდეველნი განაგრძობდნენ: „ჩვენ სიძვით შობილნი როდი ვართ, ჩვენ გვყავს ერთი მამა — ღმერთი“ (იოანე, 8:41). იესო კი პირდაპირ მიუგებდა: „თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ“ (იოანე, 8:44). კამათი გრძელდებოდა და იუდეველებმა დასვეს მთავარი კითხვა: „განა შენ მამაჩვენ აბრაამზე დიდი ხარ, რომელიც მოკვდა? წინასწარმეტყველნიც დაიხოცნენ. რა გგონია შენი თავი?“ (იოანე, 8:53). იესომ უყოყმანოდ მიუგო განსაცვიფრებელი პასუხი: „აბრაამს, მამათქვენს, უხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს. იხილა და გაიხარა“ (იოანე, 8:56). და კიდევ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ“ (იოანე, 8:58).

აბრაამის ჭეშმარიტ შთამომავლობას სწამს იესო

პავლე მოციქული გალატელთა მიმართ წერილში განმარტავს: „აბრაამს ეთქვა ეს აღთქმანი და მის თესლს. არ თქმულა: „შენს თესლთ“, როგორც მრავალზე, არამედ როგორც ერთზე: „შენს თესლს“, რომელიც არის ქრისტე“ (გალ. 3:16). ის, რაც აღეთქვა აბრაამს, აღსრულდა იესოში. სწორედ აბრაამის დიადი თესლის, იესოს, წყალობით გადმოდის დედამიწაზე ის კურთხევა, რომელზეც დაბადების წიგნშია საუბარი. „თქვენ ყველანი ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით; ვინაიდან რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით... და თუ ქრისტესნი ხართ, მაშ, აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი“ (გალ. 3:26, 27, 29).

წუთისოფლის მემკვიდრენი

სიტყვა „მემკვიდრის“ ხსენებით ვაგრძელებთ მსჯელობას, რომელშიც სამყაროს აღსასრულის თემა შემოდის. ზემოთ განვიხილეთ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს აბრაამის მემკვიდრედ. ახლა გადარჩენის საკითხს შევეხოთ. იუდეველები და მუსლიმები ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ მათ რჯული გადაარჩენთ, რადგან ბიბლიაში გარკვეითაა ნათქვამი, გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენის საშუალებით. აბარაამის შესახებ კი საღვთო წერილში ნათქვამია: „ერწმუნა უფალს, ხოლო მან სიმართლეში ჩაუთვალა ეს“ (დაბ. 15:6). პავლე მიუთითებს, რომ სწორედ იესო ქრის-

ტეს რწმენით მიიღება გამართლება: „და არა მარტო მისი გულისათვის არის დაწერილი, რომ ჩაეთვალა მას, არამედ ჩვენი გულისთვისაც. ჩაგვეთვლება ჩვენც, იმის მორწმუნეებს, ვინც მკვდრეთით აღადგინა ჩვენი უფალი იესო, რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენდა გამართლებად" (რომ. 4:23-25).

გამოთქმა „რწმენის სიმართლე" საკმაოდ ღრმა აზრს შეიცავს. „ვინაიდან აბრაამს და მის თესლს არა რჯულით, არამედ რწმენის სიმართლით მიეცა აღთქმა ყოფილიყო წუთისოფლის მემკვიდრე" (რომ. 4:13). ჩვენი „გადამრჩენელი რწმენის" მიზანი თავად იესო ქრისტეა. აბრაამის ჭეშმარიტი შვილები, რომელთაც მიეტევებათ ცოდვები და დაუმკვიდრდებათ ხოფელი, არიან იესო ქრისტეს მორწმუნენი.

აბრაამი და სამყაროს აღსასრული

გადმოცემული მოძღვრების არსი არის ის, რომ თქვენი ქრისტესთან დამოკიდებულება განსაზღვრავს, ხართ თუ არა აბრაამის ჭეშმარიტი შვილი და, შესაბამისად, აღთქმის მემკვიდრე. როცა სამყაროს აღსასრულზე საუბრობს, ქრისტე მკვეთრ ზღვარს აკლებს სასუფევლის მემკვიდრეებსა და იმ ადამიანებს შორის, ვინც მის გარეთ დარჩა. „ხოლო თქვენ გეუბნებით, რომ მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, და დასხდებიან აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან ცათა სასუფეველში. ხოლო სასუფეველის ძენი გადაიყრებიან გარესკნელის სიბნელეში. იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა" (მათე, 8:11-12).

ზემოთ თქმულიდან ცხადი ხდება, რომ აბრაამის სისხლით ნათესავები როდი მიუსხდებიან მას გვერდით განკითხვის დღეს. ასე რომ, აღთქმას ეთიშებიან არა მხოლოდ ებრაელები, რომლებიც ისაკის მხრიდან ენათესავებიან აბრაამს, არამედ მუსლიმებიც, რომლებიც ისმაელის შტოს წარმოადგენენ.

რომაელთა მიმართ წერილში პავლე ასე გადმოგვცემს ამ აზრს: „მაშ, რწმენით, რომ ყოფილიყო მადლით, რათა აღთქმა მტკიცე იყოს მთელი თესლისათვის: არა მარტო რჯულით თესლისათვის, არამედ რწმენით აბრაამის თესლისათვისაც, ვინც ყველა ჩვენგანის მამაა. როგორც წერია: „მე დაგაყენე მრავალი ერის მამად" (რომ. 4:16-17).

მაშასადამე, საღვთო წერილში აბრაამი წარმოდგენილია, როგორც რწმენის კაცი, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ჩვენთვის. თუმცა ეს არ

ამცირებს მისი „თესლის“, იესო ქრისტეს მნიშვნელობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჩვენი გადარჩენა.

როგორც არ უნდა ვეცადოთ, რომ იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი ერთი დიდი, ბედნიერი ოჯახის (აბრაამის ოჯახის) განშტოებებად წარმოვიდგინოთ, ეს ასე არ არის. შებრკოლების ლოდი აქ იესო ქრისტეა, „აბრაამის თესლი“. იესოს უარყოფით ებრაელები გამოეთიშნენ აბრაამის ოჯახს. მუსლიმები თითქოს კეთილგანწყობილნი არიან ქრისტეს მიმართ, მაგრამ მათი რელიგიის ძირითადი დებულებანი ეწინააღმდეგებიან სახარების მოძღვრებას. ქრისტეს ღვთაებრიობის, განკაცების, გამოსყიდვის, ჯვარცმის უარყოფა მუსლიმების მიერ და, აგრეთვე, მათი დამოკიდებულება მამა ღმერთის, ძისა და სულიწმიდის მიმართ ქვემოთ იქნება განხილული.

კამათი ისლამსა და ქრისტიანობას შორის მუსლიმთა წერილისაგან განდრეკამ და მათ მიერ ქრისტეს დამცირებამ გამოიწვია. აქ უფრო მნიშვნელოვანი რამაა დამარხული, ვიდრე დოგმატური განსხვავება; ისლამი არის რელიგიური მოძღვრება, რომელიც უპირისპირდება ქრისტიანობას და მის შევიწროვებას ცდილობს. მუჰამედი ისლამის კანონიკურობაზე ზრუნავდა, როდესაც მუსლიმთა აბრაამთან და ისმაელთან ნათესაობას იძიებდა. მას სურდა შეეცვალა მოსეს რჯული თავისი საკუთარი კანონებით და ამიტომ, ნებით თუ უნებლიედ, ქრისტიანობას ყალბი მოძღვრებით ცვლიდა, რომელსაც მხოლოდ მონობისა და სიკვდილისაკენ მიეყავართ. მოდით, განვიხილოთ გარემოებანი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს გამოკვლევას.

თავი II

ღვთის მეგობარი ყოყმანობს

„ადგა სარაი, აბრამის ცოლი, და მისცა ეგვიპტელი აგარი, თავისი მხევალი, ცოლად აბრამს, თავის ქმარს, ქანაანის ქვეყნად მისი დამკვიდრების ათი წლის თავზე. შეეიდა აბრამი აგართან და დაორსულდა აგარი“

(დაბ. 16:3-4).

ერთხელ კალიფორნიის ერთ-ერთ მდიდარ ტაძარში ქადაგების წარმოთქმა მომიწია. ქადაგების დაწყებამდე ხუთი წუთი იყო დარჩენილი, როცა გვერდით მჯდომმა ღვთისმსახურმა მითხრა: „იცი, დონ, რომ ამ ეკლესიის წევრთა ორ მესამედს მარტოხელა ადამიანები შეადგენენ და მათი უმრავლესობა მეუღლესთან გაყრილია?“

ამ ცნობამ თავზარი დამცა და გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, რას აკეთებს ეს უბედური ხალხი აქ, „ღვთის სახლში?“

თუმცა ეს უკეთური აზრი იყო. მე დავეკითხე უფალს, რას ფიქრობდა ამის შესახებ. მან მიპასუხა: „შენ მადლი უნდა შემოგეწირა ჩემთვის, რადგან მე იქ შევკრიბე ისინი, სადაც უნდა იყვნენ“.

მაშინ დავიწყე ლოცვა: „უფალო, მასწავლე, როგორ დავიწყო ქადაგება ამ უცნაური სამწყსოსათვის“.

აი, რა მიპასუხა: „რამდენს მიაჩნია აქ მყოფთაგან, რომ უფალს ყველა ადამიანი უყვარს იმ სახლში, სადაც ტრიალებს ცოდვა და სახლის პატრონი მრუშობს მოახლესთან?“

როცა ყველა დააფიქრა ამ კითხვამ, მე ვთქვი: „ეს მამათქვენის ისტორიაა (გრძელი პაუზა), აბრაამის“.

შვიდი ნაბიჯი ტრაგედიისაკენ

ყურადღებით ისმენდა აუდიტორია ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა რწმენაში მერყეობა ჯაჭვური რეაქციის მსგავსად აბრაამის, სარას და აგარის ცხოვრებაზე. მოდით, განვიხილოთ შვიდი ნაბიჯი ტრაგედიისაკენ დაბადების წიგნის მიხედვით, (16:1-6).

პირველი. სარა კარგავს იმედს, რომ ღმერთი დანაპირებს შეუსრულებს. უფალმა აღუთქვა მის ქმარს, რომ ვაჟიშვილი ეყოლებოდათ. სარამ ალბათ იფიქრა: „ღმერთი ჩემს ქმარს ელაპარაკა და არა მე. ჩემი დრო მიიწურა. აღარა ვარ იმ ასაკისა, ბავშვის ყოლა რომ შემეძლოს. რა ექნა?“ მან ქმარს თავისი ეგვიპტელი მოახლე, აგარი, მიჰგვარა. „ვინძლო შვილიერი შევიქმნე მისგან“.

მეორე. არანაირი ეჭვი. არც რჩევის კითხვა უფლისათვის. უბრალოდ გააკეთა ის, რასაც მეზობლები აკეთებდნენ. „შევიდა აბრამი აგართან და დაორსულდა აგარი“.

მესამე. აგარმა „როცა შეიტყო, რომ ორსულად იყო, დამცირდა მის თვალში მისი ქალბატონი“. ასე დაიწყო დაპირისპირება.

მეოთხე. სარა მომხდარს აბრაამს აბრალებს: „შენზეა ჩემი შეურაცხყოფა... ახლა უფალმა განგვსაჯოს“.

მეხუთე. აბრაამი უყოყმანოდ იბანს ხელს და განზე დგება. „აჰა, შენს ხელთაა შენი მხევალი. როგორც გენებოს, ისე მოიქეცი“.

მეექვსე. „მაშინ დაუწყო სარაიმ ჩაგვრა“. მრისხანება, იმედგაცრუება და ძალადობა სუფევს აბრაამის ოჯახში.

მეშვიდე. „და გაექცა მას აგარი“.

აბრაამი ის ერთადერთი ადამიანია, ვისი მეოხებითაც უნდა იკურთხოს მთელი კაცობრიობა. აგარი გაექცა კურთხევას.

აი, შეცდომათა ნუსხა:

ინიციატივის საკუთარ თავზე აღება (სარა).

უფლისავან რწმენის მიღების უგულვებელყოფა (აბრაამი).

ვაუოუოხება. დაპირისპირება (აგარი).

საკუთარი შეცდომის სხვისთვის ვადაბრალება (სარა).

უარის თქმა პასუხისმგებლობაზე საკუთარი შვილის მიმართ (აბრაამი).

ვანრისხვა. სხვისი დამცირება (სარა).

მოუსანიეზლობა. გაქცევა (აგარი).

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს ეპიზოდი ამით დამთავრდა. აბრაამმა შეცდომა დაუშვა. ფეხმძიმე მოახლე გაიქცა. მართლაც შეიძლებოდა ამბავი ასე დასრულებულიყო.

აგართან ანგელოზი გაიგზავნა

მაგრამ არა. უფალი თვალს ადევნებდა მომხდარს. მას უყვარდა აბრაამი და სარა, ისევე როგორც აგარი. საღვთო წერილში ეკითხულობთ: „ღმერთი სიყვარულია...“ (იოანე, 4:16).

უფალს „...ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ. 2:4). ღმერთი „სულგრძელია თქვენდამი და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ, რომ ყველა მივიდეს მოსანანიებლად“ (2 პეტრე, 3:9).

აბრაამი ღვთის მეგობარი იყო და ღმერთმაც სულგრძელად გადაწყვიტა მის წინაშე მდგარი პრობლემა. მან ანგელოზი გაუგზავნა დამხმარედ აგარს. საღვთო წერილში ნათქვამია: „განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს?“ (ებრ. 1:14). გაუგზავნის უფალი აგარს ანგელოზს? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

ბევრი აღეთქვა აგარს. ისე გამრავლდება მისი თესლი, რომ აღურაცხელი იქნება (დაბ. 16:10). თანამედროვე კაცობრიობის ერთი მეხუთედი ამტკიცებს, რომ ის აგარის შთამომავალია.

უფალმა შეისმინა აგარის ტანჯვა

აგარის მომავალ ძეს სახელი უფალმა მისცა. სემიტურ კულტურაში ადამიანის სახელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. „ისმაელი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ისმინა უფალმა“. ღმერთმა ეს სახელი აგარის ტანჯვის შესმენას დაუკავშირა. აი, ადამიანის მიმართ უფლის თანაგრძნობის ნათელი მაგალითი.

უფალმა სთხოვა მას, დაბრუნებულიყო და დამორჩილებოდა სარას. აგარი ასეც მოიქცა. რადგან ჩვენ წიგნში განვიხილავთ ისლამს, ეს სიტყვა

კი არაბულად „ქორწილებას“ ნიშნავს, ხსენებული ნაწყვეტი შეიძლებოდა ასეც წაგვეკითხა: „დაბადებდი და იყავი მორჩილი“, ანუ „მუსლიმი“.

უფალი დიდი საყვარულითა და თანაგრძნობით მოექცა მათ... გამოსწორების ჯილდო ერთი შანხი მისცა ყველას.

ცალიერდა წლები. აბრაამი ისმაელს ღვთის სიყვარულს უნერგავდა. მას უყვარდა შვილი. ისმაელი მისი პირმშო იყო, რომლის მეოხებითაც, აბრაამის აზრით, უნდა აღსრულებულიყო მისთვის აღთქმული.

მოულოდნელობა

როდესაც აბრაამი 99 წლისა იყო, ხოლო სარა — 89-ის, უფალი გამოეცხადა მათ. მან კვლავ დაადასტურა თავისი აღთქმა აბრაამის მიმართ. აღთქმის ნიშნად კი წინადაცვეთა დააწესა. აბრაამი და ისმაელი ერთ დღეს იქნენ წინადაცვეთილნი. შემდეგ ღმერთმა სახელი „აბრამი“ „აბრაამით“ შეუცვალა და „მაღალი მამა“ „მრავალთა მამად“ გადაიქცა.

შემდეგ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. სარამაც მიიღო ახალი სახელი. ახლა მას ერქვა სარაი (ქალბატონი). რაც მთავარია, მას აღუთქვეს, რომ ვაჟი შეეძინებოდა. რადგანაც ეს მათი ასაკის გამო შეუძლებელი ჩანდა, აბრაამი და სარა სიცილით შეხვდნენ ამ ამბავს. ბავშვს, რომელიც ესე უჩვეულოდ უნდა დაბადებულიყო, უფალმა უწოდა „სიცილი“ (ისაკი). სიცილი დაიბადა ერთი წლის შემდეგ.

ისმაელს მეტოქე გამოუჩნდა. მას სამემკვიდრო ეკარგებოდა, რადგან აბრაამის პირველი ცოლი შვილს ელოდებოდა. ისმაელის თავზე ცა იღრუბლებოდა. და აი, დადგა დღე, როცა ისაკი ძუძუს მოსწყვიტეს და აბრაამმა დიდი ლხინი გადაიხადა. ახლა ისმაელის ჯერი დადგა, რომ მასაც ჩაედინა შეცდომა. მან დასცინა თავის ნახევარძმას. ეს ველარ აიტანა სარამ. მან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: „გააგდე ეს ყმაქალი და მისი შვილი, რადგან ვერ უნდა დაიდოს წილი ამ ყმაქალის შვილმა ჩემს შვილთან, ისაკთან ერთად“ (დაბ. 21:10).

რას ნიშნავდა ეს? იმას ხომ არა, რომ ისმაელი ხსნას ველარ მიიღებდა? მხოლოდ სიმდიდრეზე და ოჯახის ქონებაზე ფიქრობდა სარა? ჩვენი აზრით, ოჯახის სიმდიდრე არ იყო მისი საზრუნავი. მრავალი „ძე ისმაელისა“ მოექცა ქრისტეს რჯულზე ფულის გულისათვის, რამაც, ბუნებრივია, გადარჩენა დააკარგვინა მათ.

აბრაამი, რასაკვირველია, შეწუხდა. მას უყვარდა ისმაელი. უფალმა მისი გამხნევება გადაწყვიტა:

„ნუ სწუხარ ყმაწვილზე და შენს ყმა ქალზე; ყველაფერი გაუგონე სარას, რასაც გეტყვის, რადგან ისაკით დაგეწყება შთამომავლობა. ყმაქალის ძესაც ხალხად ვაქცევ, რადგან შენი თესლია იგი“ (დაბ. 21:12-13).

თუ დასაწყისში აბრაამი ცოლს უჯერებდა და ის კი ცუდი მრჩეველი გამოდგა, ახლა თავად ღმერთი სთხოვს, ყური უგდოს სარას და აგარი და ისმაელი სახლიდან გააგდოს. უფალი რომ არ ჩარეულიყო საქმეში, ადვილი შესაძლებელია, აბრაამს ამჯერად ცოლისთვის არ დაეჯერებინა.

ღვთისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ რწმენას გაემარჯვნა ხორციელ სურვილზე. მისი ჩანაფიქრი მხოლოდ რწმენით შეიძლება განხორციელდეს. აბრაამმა ირწმუნა უფლისა.

აგარის განდევნა

მეორე დღეს აბრაამმა აგარსა და მის ძეს მისცა საგზალი და სახლიდან დაითხოვა.

ეს ხომ მომაკვდინებელი დარტყმა იყო ყველასათვის. აგარისაგან ბავშვის გაჩენის იდეა სარას ეკუთვნოდა. აბრაამმაც დაუჯერა მას. სახელი კი ისმაელს თავად უფალმა შეურჩია. ისმაელი აბრაამის ოჯახში პირველი წინადაცვეთილი ბავშვი იყო. აგარი აბრაამის ცოლადაც კი მოიხსენიება (დაბ. 16:3). და აი, ისინი შეუბრალებლად განდევნეს.

თუმცა მათი გამოცდა ამით არ დამთავრებულა. აგარს უდაბნოში გზა აებნა. გაუთავდათ საგზალი. აგარსა და ისმაელს სიკვდილი ემუქრებოდათ. აგარმა გადაწყვიტა, ცალცალკე მომკვდარიყვნენ. ისმაელი ტიროდა. ატირდა დედამისიც. აბრაამისა და სარას შეცდომა შეიძლებოდა ორი უცოდველი ადამიანის ტრაგიკული დაღუპვით დასრულებულიყო, მაგრამ უფალი სხვას განიზრახავდა.

უფალმა ისმინა ყრმის ტირილი, რომელსაც თავად უწოდა „ისმინა უფალმა“. ის ვერ დაუშვებდა დედა-შვილის სიკვდილს, მან ხომ აგარს გამრავლება აღუთქვა. ღმერთი თავის სიტყვას არ უღალატებდა.

ღმერთმა აუხილა თვალი აგარს და მან უდაბნოში ჭა დაინახა. კელავ უფლის პიროვნულმა ჩარევამ გადაარჩინა ისინი. ღვთის მიერ კურთხეული პატარა ოჯახი გადარჩა. საღვთო წერილში ნათქვამია, რომ „ღმერთი იყო ყმაწვილთან: გაიზარდა და უდაბნოში დამკვიდრდა...“ (დაბ. 21:20).

ჩვენი გამოკვლევის ძირათადი დანიშნულებაა დარღვეულ კავშირთა აღდგენა. აგარი და ისმაელი, თავიანთი შეცდომების მიუხედავად, გარკვეუ-

ლი თვალსაზრისით, სარას უგუნური რჩევისა და აბრაამის უპასუხისმგებლო საქციელის მსხვერპლნი იყვნენ.

რა კავშირშია გადარჩენის იდეა ტრაგიკულ განხეთქილებასთან? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გადარჩებიან მხოლოდ ისაკის შთამომავალნი, ხოლო ისმაელის შტო დაწყეველილია და სასიკვდილოდ განწირული? არა მგონია!

უფლის დიდი სიყვარული აგარის მიმართ

ამ ისტორიაში ბევრი რამ ადასტურებს იმას, თუ როგორ უყვარდა უფალს აგარი და ისმაელი. ორჯერ გაუგზავნა მათ ღმერთმა ანგელოზი და გადაარჩინა ისინი. მან უწოდა ისმაელს მშვენიერი სახელი და მის გვერდით იყო, სანამ დავაჟკაცდებოდა. უეჭველია, რომ მათზე უფლის კურთხევა იყო. მაგრამ აქვე წამოიჭრება საკითხი, რომელიც დეტალურ გაანალიზებას მოითხოვს. ესაა დანგრეული ოჯახის აღდგენის საკითხი. იგი, თავის მხრივ, აბრაამის მოწოდებას უკავშირდება. მოდით, გავიხსენოთ ეს მოწოდება:

„გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ეკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყეველი შენს მაწყევარს; კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12:2-3).

აბრაამი იმისათვის არ იყო მოწოდებული, რომ განსაკუთრებული ოჯახური კლანი დაეარსებინა, მისი მოწოდება დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა კურთხევის იარაღად უნდა ქცეულიყო.

ისაკსა და ისმაელს, რომელთაგან ერთი სასწაულით იყო ნაშობი, ხოლო მეორე ჩვეულებრივი ადამიანური ინტრიგის შედეგად, არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მათ დაბადებამდე მომხდარ ამბებთან. ისინი არ უნდა დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს. ისაკი, რომელზეც მამამისისათვის მიცემული აღთქმა გადმოვიდა, მოწოდებული იყო სხვა ადამიანთა და, მათ შორის ისმაელისა და მისი შთამომავლობის, კურთხევისათვის. უფალს „...ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ. 2:4).

შერიგება: პრობლემები

ჩვენი აზრით, შერიგების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. ქრისტე, აბრაამის თესლი, ყველა ადამიანის მხსნელია. ის მოვიდა, რათა შეარიგოს ყველა, მათ შორის ისიც, ვინც თავის თავს მუსლიმს უწოდებს (ყურანი, 1:20).

საუბედუროდ, ისმაელის შთამომავლობაში გაჩნდა კაცი, მუჰამედი (570-632 წწ.), რომელიც სხვანაირად ფიქრობდა. თავდაპირველად მან ისლამი დააარსა, როგორც არაბთა რელიგია, შემდეგ კი შეეცადა, მიენიჭებინა მისთვის უნივერსალურობა და ის მთელს დედამიწაზე გაევრცელებინა. ისლამში იესო უბრალო წინასწარმეტყველადაა მიჩნეული, მუჰამედმა კი, რომელმაც მასზე დიდად წარმოიდგინა თავი, მტრობის სული დაამკვიდრა და არა შერიგების.

იმისათვის, რომ თავისი თანამედროვე ქრისტიანები ისლამის უპირატესობაში დაერწმუნებინა, მუჰამედი ბიბლიურ იდეებს იყენებდა, რამაც, თავის მხრივ, ქრისტე გააცნო მუსლიმურ სამყაროს. ვინაიდან ისლამმა ვერ დააკმაყოფილა ადამიანის სულის სანუკვარი მოთხოვნები, უამრავი მუსლიმი მზადაა მიიღოს ქრისტიანობა.

საბოლოოდ იესო გაიმარჯვებს. ჩვენთვის ცნობილია ქრისტესადმი მიძღვნის რიტუალი მეორედ მოსვლისას.

„შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან. და შეუქმენი ისინი სუფევად და მღვდლებად ჩვენს ღმერთს, და იმეფებენ დედამიწაზე“ (გამოცხ. 5:9-10).

იმ გრანდიოზულ ღვთაებრივ წარმოდგენაზე ისმაელის შთამომავლები, მუსლიმებიც, იქნებიან.

მოვა დრო და იესო ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის წყალობით გამთელდება აბრაამის დანგრეული ოჯახი.

ეს წიგნი ისმაელის შვილების, მუსლიმების, გამარჯვებაზე მოგვითხრობს. დღეს ეს ყველაზე რთული საკითხია ქრისტიანულ ეკლესიაში.

მოდით, ჯერ აბრაამის კარავში დატრიალებული ტრაგედიის მოქმედ პირებს დავუკვირდეთ, შემდეგ კი მუჰამედის მოძღვრების განხილვაზე გადავიდეთ. გავაანალიზოთ მუსლიმთა შორის სახარების ქადაგების სხვადასხვა ხერხი. უფალს ხომ მართლაც უყვარს აბრაამის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის თითოეული მონაწილე.

თავი III

აგარის ტრაგედია

„აგარ, სარაის მხევალო, საიდან მოსულხარ და სად მიხვალ? თქვა: სარაის, ჩემს ქალბატონს გავურბივარ“ (დაბ. 16:8).

„რა იყო, აგარ? ნუ გეშინია, რადგან მოესმა ღმერთს შენი ყმაწვილის ხმა იმ ადგილიდან, სადაც არის. ადექი, აიყვანე ყმაწვილი ხელში, რადგან დიდ ხალხად ვაქცევ მას“ (დაბ. 21:17-18).

უფლის დამოკიდებულება აგარისადმი ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის შესანიშნავი ნიმუშია. აინტერესებს უფალს ეგვიპტელი მოახლის ბედი? რა ადასტურებს ამას? რას ნიშნავს ეს ჩვენთვის მუსლიმებთან ურთიერთობისას, რომლებიც აგარის შთამომავლებად აცხადებენ თავს?

აგარის ისტორია

აგარის ამბავს დაბადების წიგნში ხუთი თავი ეთმობა, მე-16-დან 21-ეს ჩათვლით. აგარი სარას მოახლეა. სარას რჩევით აბრაამმა იგი ცოლად დაისვა. როცა მოახლემ შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო, ქალბატონს დაცინვა დაუწყო. სიტუაცია გამწვავდა. აბრაამს ხელი არ შეუშლია სარასათვის, როცა ეს უკანასკნელი შეურაცხყოფდა და ავიწროვებდა აგარს. აგარი სახლიდან გაიქცა, მაგრამ უფლის ანგელოზმა ის უკანვე დააბრუნა. დაიბადა ისმაელი. ისაკის დაბადებამდე თავს ყველა ბედნიერად გრძნობდა.

როდესაც ისაკი ძუძუს მოსწყვიტეს, აბრაამმა დიდი ლხინი გადაიხადა. ამ საზეიმო პურობის დროს ისმაელმა თავის ნახევარძმას რაღაცაზე დასცინა. აღშფოთებულმა სარამ ისმაელისა და აგარის სახლიდან გაძევება მოითხოვა. აბრაამი დაემორჩილა სარას. აი, ეს არის მოკლედ აგარის ისტორია.

ღვთის ზრუნვა აგარზე

უფლის ზრუნვა ამ უბედური ქალის ბედზე ჩვენთვის ძალზე საგულისხმოა. ღმერთი ორჯერ ჩაერია მის ცხოვრებაში და გადაარჩინა იგი: პირველად, როცა სახლიდან გაქცეული უკან დააბრუნა და, მეორედ, როცა შვილთან ერთად უეჭველი სიკვდილი ელოდა უდაბნოში. თუ უფალი ასე ზრუნავდა ეგვიპტელი მხევლისა და მისი შვილის ბედზე, ჩვენც უნდა გვაღელვებდეს მათ შთამომავალთა ბედი. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის მნიშვნელობის განმარტება დაბადების წიგნის დასაწყისშია მოცემული. სწორედ იქ ვკითხულობთ, რომ ღვთის ხატად მხოლოდ მამაკაცი კი არ არის შექმნილი, არამედ ქალიც (დაბ. 1:27).

აგარი, მიუხედავად მისი მდგომარეობისა და ცოდვისადმი მიდრეკილი ბუნებისა, მაინც ღვთის ხატია. ამიტომ უფრთხილდებოდა მას უფალი. თუკი აბრაამი დანარჩენი კაცობრიობის კურთხევისათვის გამოარჩია ღმერთმა, აგარი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვისზეც ეს კურთხევა უნდა გადმოსულიყო.

„ყველაფერი მითხრა, რაც ჩამიდენიაო“ (იოანე, 4:39). უფალმა თვალი აუხილა აგარს და მანაც წყლით სავსე ჭა დაინახა, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა მას და მის მომაკვდავ შვილს. იესომ თვალი აუხილა „ჭასთან მყოფ ქალს“ და ამ უკანასკნელმაც იცნო მესია.

ხსნის ისტორია, რომელიც წინ უსწრებს იესოს მოძღვრებას მოყვარულ მამაზე, იქიდან დაიწყო, როცა უფალმა აბრაამსა და სარას თავისი დიდი სიყვარული დაანახა უპოვართა მიმართ, ამ შემთხვევაში აგარისა და ისმაელის მიმართ.

ღვთის სიყვარული აგარის ქალიშვილებისადმი

ჩვენს დროში ამგვარი დამოკიდებულება ყველა მუსლიმ ქალზე ვრცელდება. ამჟამად ყოველი მეხუთე ქალი დედამიწაზე მუსლიმია. ჩვენ ვიცით, რომ უფალმა შეასრულა აგარისათვის მიცემული სიტყვა: „დიდად გავამრავლებ შენს შთამომავლობას და ვერ აღირიცხება სიმრავლის გამო“ (დაბ. 16:10). ყველა მუსლიმი ქალი აგარის უშუალო შთამომავალი როდია, მაგრამ ისინი მასთან სულიერ ნათესაობაზე აცხადებენ პრეტენზიას.

აგარის ისტორიის განმეორება მომლოცველთა მიერ

აგარი ყურანში სახელით არ მოიხსენიება. მაგრამ გადმოცემა ანუ ჰადისი მას ისმაელის დედად ასახელებს. მექაში მიმავალი ყველა მუსლიმი მომლოცველი ვალდებულია რიტუალის სახით გაიმეოროს აგარის გზა უდაბნოში. ამიტომ მიდიან ისინი ას-საფასა და ალ-მარვას ბორცვთა მახლობელ მიდამოებში სახეტიალოდ. ამ რიტუალის კულმინაციური მომენტია, როცა მლოცველები ზიმზამის ჭასთან იკრიბებიან და სვამენ წყალს იმ წყალობის გასახსენებლად, უფალმა რომ მოუელინა აგარს.

ჩვენი სიცოცხლის მომცემი წყარო კი იესოა, ამიტომ გვაღიზიანებს გარკვეული თვალსაზრისით მუსლიმ მლოცველთა ეს რიტუალი, მაგრამ, მეორე მხრივ, იმედსაც გვინერგავს. გულსატკენია იმის ცქერა, თუ როგორ ეძებენ მლოცველები მატერიალურ წყალს, როცა უფალი მათ სულიერ წყაროს ჰპირდება. ამ ძიების დაგვირგვინება იესო ქრისტეა, მაგრამ ისლამი არ ეუბნება ამას მუსლიმებს. იმედად ისღა გვრჩება, რომ ღმერთი მოწყალეა და გამოეცხადება მწყურეალი ადამიანის სულს, ჩვენ კი მივიყვანთ მათ იესოსთან სიცოცხლის წყაროს შესასმელად.

თავი IV

ისმაელი: ისმინა უფალმა

„უთხრა მას უფლის ანგელოზმა: აჰა, ორსულადა ხარ, შობ ვაჟს და ისმაელს დაარქმევ სახელად, რადგან მოჰხედა უფალმა შენს ჩაგვრას“

(დაბ. 16:11).

ისმაელი ძველ ებრაულად ნიშნავს „ისმინა უფალმა“. თავად უფალმა მისცა ეს სახელი სარას დევნილი, შეურაცხყოფილი მოახლის მომავალ ძეს. ბავშვის მამა აბრაამი იყო.

ამ ტრაგედიის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია უფლის დამოკიდებულება მისი თითოეული მონაწილისადმი. სწორედ აქ იჩენს პირველად თავს ღვთის სიყვარული, თანაგრძნობა და მოწყალება ადამიანის მიმართ.

წინა თავში ვაჩვენეთ, თუ როგორ უყვარდა ღმერთს აგარი, ახლა კი ვნახავთ, ისმაელისადმი სიყვარულს როგორ ამჟღავნებს უფალი.

ისმაელის ისტორია

ისმაელზე ბიბლიური მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: სარამ, რადგან უძეო იყო და შვილიერების ასაკს გადაცილებული, ურჩია აბრაამს, ცოლად დაესვა მოახლე აგარი, რომელიც მას მემკვიდრეს გაუჩენდა. აბრაამი დათანხმდა. აგარმა, როდესაც შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო, თავის ქალბატონს დაცინვა დაუწყო. მაშინ სარამ, აბრაამის ჩუმი თანხმობით, აგარის დამცირებასა და შეეიწროვებას მიჰყო ხელი, რის გამოც ეს უკანასკნელი სახლიდან გაიქცა.

გზაში აგარს უფალი გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, შენ ორსულადა ხარ, შობ ვაჟს და ისმაელს დაარქმევ სახელად, რადგან მოჰხედა უფალმა შენს ჩაგვრას...“ (დაბ. 16:11). ისმაელი ერთ-ერთი ულამაზესი სახელია ძველ აღთქმაში. „უფალი ისმენს“, იგი ხედავს ადამიანის უბედურებას. ისმაელი – მარადიული აღთქმაა ღვთისა: მას თითოეული ჩვენგანი უყვარს, ესმის ჩვენი წვალება.

ღმერთს სურდა, რომ ამ პატარა ბიჭს აბრაამის ოჯახში ეცხოვრა, რომლის წყალობითაც უნდა მიეღო კურთხევა თითოეულ ადამიანს დედამიწაზე.

ისმაელის როლი აღთქმის ოჯახში

ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც უფალმა თქვა. დაიბადა ისმაელი. ის მამის გვერდით იზრდებოდა და აღთქმის მქონე ოჯახის ერთ-ერთი წევრი იყო.

როცა ისმაელი ცამეტი წლისა გახდა, უფალი გამოეცხადა მამამისს და წინადაცვეთის აღთქმა დაუდო, როგორც ერთი ოჯახის წევრები, ისმაელი და აბრაამი ერთ დღეს იქნენ წინადაცვეთილნი. გასაოცარია ერთი რამ, მიუხედავად იმისა, რომ ყურანში წინადაცვეთა არსად არ არის ნახსენები, მუსლიმები უხსოვარი დროიდან იცავენ ამ რიტუალს.

როცა უფალმა აბრაამსა და მის თესლს წინადაცვეთა დაუწესა, იგი ისმაელსაც გულისხმობდა. ღმერთმა უთხრა აბრაამს, რომ სარა, მიუხედავად ასაკისა, მემკვიდრეს აჩუქებდა მას. აბრაამმა მაშინვე მიუგო: „ნეტავ ისმაელმა იცოცხლოს შენს წინაშე“ (დაბ. 17:20). თუ ადრე მას აგარისა და მისი მომავალი შვილის თავიდან მოცილება უნდოდა, ახლა ნამდვილ მამად გრძნობს თავს და ღმერთს წყალობას შესთხოვს ისმაელისათვის. ღვთის პასუხში კი მისი უსაზღვრო სიყვარული მჟღავნდება. გრგვინვასავით გაისმის: „აჰა!“

„აჰა, ვაკურთხებ მასაც“

ისაკის როლის განმარტების შემდეგ ღმერთი კვლავ ისმაელს უბრუნდება: „ისმაელის გამო გისმინე და, აჰა, ვაკურთხებ მასაც, ნაყოფიერს გავხდი და დიდად, დიდად გავამრავლებ. თორმეტ ბელადს წარმოშობს და დიდ ხალხად ვაქცევ“ (დაბ. 17:20).

დიდი მნიშვნელობა აქვს აქ აბრაამის ლოცვის შესმენას ღვთის მიერ: „აჰა, ვაკურთხებ მასაც“. ყურადღება უნდა მიექცეს ამ დადებით პასუხს, რადგან ქრისტიანთა უმრავლესობა თვლის, რომ უფალმა დასწყევლა ისმაელი, ან ყოველ შემთხვევაში, გულგრილი იყო მისი ბედის მიმართ. მაგრამ ღმერთს არ მიუტოვებია აბრაამის ძე. მას კურთხევა უნდა მიეღო. უფრო მეტიც, ის თორმეტი მთავრის და დიდი ერის მამა გახდებოდა. ეს წინასწარმეტყველება მიანიშნებდა, რომ ისმაელი იკურთხებოდა და თორმეტი ტომისაგან შემდგარი ეთნიკური ერთეულის მამა გახდებოდა. ისაკისათვის მიცემული აღთქმა შესრულდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისმაელი კურთხევის გარეშე დარჩება. ისაკი და აბრაამი კაცობრიობის კურთხევის იარაღად სჭირდებოდა ღმერთს, ისევე როგორც მათი შთამომავალი იესო, რომლის წყალობითაც გვეხსნება მთელი სიცხადით ამ ისტორიის ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

რაც შეეხება ღვთის წინასწარმეტყველებას საკუთარ ძმებთან ისმაელის შუღლის შესახებ, ამაზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

ოჯახის დანგრევა

ისაკის დაბადების უწყების შემდეგ არაფერი არღვევს კეთილშობილი ოჯახის მყუდროებას მანამ, სანამ აბრაამმა საზეიმო ლხინი არ გამართა უმცროსი შვილის ძუძუსაგან მოწყვეტის აღსანიშნავად. ამ გარემოებამ ისეთივე გრძნობა აღუძრა ისმაელს ისაკის მიმართ, რომლის მსგავსიც თავის დროზე აგარმა გამოამჟღავნა სარასთან დაკავშირებით. ის დასცინის თავის პატარა ძმას. ოჯახში შფოთი ისადგურებს. სარა განრისხებულია და მიაჩნია, რომ მისი შვილის მეტოქეების, აგარისა და ისმაელის, ოჯახში გაჩერება აღარ შეიძლება. იგი ულტიმატუმს წაუყენებს ქმარს: „გააგდე ეს ყმაქალი და მისი შვილი, რადგან ვერ უნდა დაიდოს წილი ამ ყმაქალის შვილმა ჩემს შვილთან, ისაკთან ერთად“ (დაბ. 21:10). ამ ეპიზოდის გაშიფრვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. პირველ რიგში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაწყდება ისმაელის კავშირი ღმერთთან და ის კურთხევას ვერ მიიღებს. მას, ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, შეუძლია გადარჩეს. ღმერთის სურვილიც ისაა, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და ჭეშმარიტება შეიმეცნოს. ისმაელის ისტორია გვიმოწმებს, რომ მან თვითონ დაუკარგა თავის თავს სამემკვიდრო.

უფალი ამშვიდებს აბრაამს, რომელიც შეწუხებულია ისმაელის საქციე-

ლათ და სარას მოთხოვნით: „ნუ სწუხარ ყმაწვილზე და შენს ყმაქალზე; ყველაფერი გაუგონე სარას, რასაც გეტყვის, რადგან ისაკით დაგეწყება შთამომავლობა. ყმაქალის ძესაც ხალხად ვაქცევ, რადგან შენი თესლია იგი“ (დაბ. 21:12-13).

აბრაამი დამშვიდდა. ჯერ ერთი, უფალმა მის ოჯახში შექმნილი მძიმე სიტუაცია განმუხტა იმით, რომ ურჩია დამორჩილებოდა სარას და გაუმეორა აღთქმა, და მეორე, მან თავისთავზე აიღო ისმაელზე ზრუნვა.

ღვთის მიერ გამხნევებული აბრაამი აგარსა და ისმაელს სახლიდან ისტუმრებს. მათ საშუალება ეძლევათ იცხოვრონ თავისუფლად, სარასა და აბრაამისაგან დამოუკიდებლად.

ღმერთი კვლავ მოდის საშველად

მარტოდმარტო დარჩენილი აგარი დაიბნა. იგი უმიზნოდ დაეხეტებოდა უდაბნოში, სანამ წყალი არ შემოელია. მათ უეჭველი სიკვდილი ელოდათ. შეიძლებოდა მათი ისტორია აქ დამთავრებულიყო. აკი თავად დაიტეხეს თავს, რაც სჭირდათ. მაგრამ არსებობს უფალი, ღმერთი, რომელიც არის სიყვარული. მან გაიგონა ბავშვის ტირილი (რომელსაც ერქვა „ისმინა უფალმა“). უფლის ანგელოზი მოეელინა აგარს და გაამხნევა იგი: „რა იყო, აგარ? ნუ გეშინია, რადგან მოესმა ღმერთს შენი ყმაწვილის ხმა იმ ადგილიდან, სადაც არის. ადექი, აიყვანე ყმაწვილი ხელში, რადგან დიდ ხალხად ვაქცევ მას“ (დაბ. 21:17-18). აგარს, ისევე როგორც თავის დროზე მის ქალბატონს, დავიწყნოდა ღვთის აღთქმა. უფალმა შეახსენა მას, რომ იზრუნებს ისმაელის მომავალზე, შემდეგ აუხილა თვალები და წყლით სავსე ჭა დაანახა. ეს იყო ხსნა. ამას მოსდევს ერთ-ერთი შესანიშნავი მტკიცება ძველი აღთქმისა, შესანიშნავი იმდენად, რამდენადაც ისაკის ამბით გატაცებულნი არ მოველოდით ღვთის მიერ ისმაელის მიმართ ასეთი დიდი სიყვარულის გამომჟღავნებას. აი, ეს სიტყვებიც: „ღმერთი იყო ყმაწვილთან; გაიზარდა და უდაბნოში დამკვიდრდა“ (დაბ. 21:20). ისმაელი უფალმა იშვილა.

ისმაელი და ისლამის მოძღვრება

ყურანში ისმაელი რამდენჯერმე მოიხსენიება, მასთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, მექაში მიმავალ მლოცველთა მიერ შესრულებული რიტუალები. მას სხვა პატრიარქთა თანასწორად მიიჩნევენ. მოგვყავს

ნაწყვეტი ყურანიდან, სადაც ისმაელზეა საუბარი: „და გაიხსენე ისმაელის წიგნში: ის მართალი იყო აღთქმაში და იყო მოციქული, წინასწარმეტყველი. ის სთხოვდა თავის ოჯახს, ელოცათ და გაეღოთ მოწყალება და სათნო ეყო ღმერთს“ (ყურანი, 19:54-55).

ყურანის სხვა ადგილას მუჰამედი აბრაამისა და ისმაელის ციტირებას ახდენს, როდესაც მუსლიმ მლოცველთა ცენტრად ქააბას აცხადებს: „და, აი, გადავაქციეთ ჩვენ ეს სახლი ადამიანთა შესაკრებ და საიმედო ადგილად: „და აირჩიეთ იბრაჰიმის ადგილი ლოცვის ადგილად“, და ჩვენ აღვუთქვით იბრაჰიმსა და ისმაელს: „გაწმიდეთ ჩემი სახლი გარშემომვლელთათვის, იქ მყოფთათვის, თაყვანისმცემელთათვის და პირქვე დამხობილთათვის!“ (ყურანი, 2:125).

მომლოცველობა ისმაელის ხსოვნას უკავშირდება

იდ ალ-ადხა, ანუ მომლოცველობა, ისლამის ყველაზე დიდი დღესასწაულია. თითოეული მუსლიმი მონაწილეობას იღებს მსხვერპლშეწირვაში. მსხვერპლად სწირავენ ცხვარს, თხას ან აქლემს და ამით აბრაამის ისტორიას იხსენებენ, როდესაც მან ღმერთის ბრძანებით საკუთარი ძე მიიყვანა სამსხვერპლოზე (მუსლიმთა რწმენით, ეს იყო ისმაელი, თუმცა ბიბლიაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ამ რიტუალში მონაწილეობას ისაკი იღებდა). მსხვერპლშეწირვა ერთდროულად სრულდება მთელს მუსლიმურ სამყაროში, როგორც მექაში მყოფი მომლოცველების, ისე საკუთარ სახლებში მყოფი მუსლიმების მიერ, რაც მათი, როგორც აბრაამისა და ისმაელის ოჯახის წევრების, ერთობის მიმანიშნებელია დღესასწაულის პერიოდში.

ვინც ბიბლიის ტექსტს იცნობს, იცის, რომ ეს მსხვერპლშეწირვა მექაში არ მომხდარა და მსხვერპლადაც ისაკი იყო გამზადებული და არა ისმაელი (დაბ. 22:2). ამ დროს ისმაელი უკვე რამდენიმე წლის განდევნილია სახლიდან (დაბ. 21:14).

აბრაამის ოჯახის წევრად ყოფნის სურვილი

ბიბლიური განმარტებიდან გამომდინარე, მართალია, ეს რიტუალები და რწმენა არასწორად გვეჩვენება, მაგრამ ისინი არ არიან საფუძველს მოკლებულნი. მუჰამედი და ყველა არაბი, შესაბამისად ყველა მუსლიმი, სულის სიღრმეში აბრაამის ოჯახის წევრად ყოფნის მოთხოვნილებას

გრძნობს. იესოს წყალობით ჩნდება საშუალება აბრაამის დანგრეული ოჯახის ჭეშმარიტი აღდგენა-გამთლიანებისა.

ისმაელის შთამომავალთა გოდება

შემდეგ თავებში ჩვენ განვიხილავთ გზებსა და საშუალებებს, თუ როგორ შეიძლება გახდნენ მუსლიმები აბრაამის ოჯახის ნამდვილი წევრები. ამასთან ერთად, ვემსგავსოთ ჩვენს ზეციურ მამას, რომელმაც შეისმინა ყრმის ტირილი, ვისი სახელიც იყო „ისმინა უფალმა“.

ათი ათასობით მეჩეთის მრეკავის დუმილი და მორწმუნე მუსლიმთა მონოტონური ხმა კვლავ და კვლავ იმეორებს წამღერებით: „არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი“. თავიანთი წინასწარმეტყველის მონური წაბაძვით იმეორებენ ისინი ამ სიტყვებს და ევედრებიან ღმერთს, რომ მიუთვალოს ეს ლოცვა განკითხვის დღეს.

იქვე, შორიახლოს, მეჩეთის ჩრდილში, წმიდანის საფლავთან ქვითინებს ისმაელის ასული. რწმენით აღსავსე დამხობია ის წმიდა საფლავს და სჯერა, რომ ღვთის მადლი გადმოვა მასზე. შემდეგ ხელს ჩამოისვამს სახესა და მკერდზე და შეჰღაღადებს: „უფალო, ისმინე ჩემი ლოცვა...“

შორს, ტყეში კი, სუფიზმის აღმსარებელთა წრეში, ვიღაც რიტმულად ირწევა და განუწყვეტლივ იმეორებს: „ალლაჰ ჰუ!“ — „ო, ღმერთო!“ მან ეს სიტყვები ორასი ათასჯერ უნდა გაიმეოროს, სანამ ექსტაზს არ მიაღწევს და, როგორც ასწავლეს, არ შეუერთდება ღმერთს. რა მძაფრი წყურვილია ღმერთთან შერწყმისა. რატომაც არა? ისლამი ასწავლის, რომ ღმერთი არც ერთ ადამიანს არ დალაპარაკებია მუჰამედის სიკვდილის შემდეგ (632 წ.). ამგვარად დამოძღვრილ ადამიანს უჭირს ცხოვრება. მან უნდა ეძიოს ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობის გზები.

სოფლის ბოლოს, კუნძულ იავას ჯუნგლებში, სულისშემძვრელი კივილი ისმის. ვერც მუსლიმი მოლების რიტუალურმა ლოცვებმა და ვერც მსხვერპლად მიტანილ ცხოველთა სისხლმა ვერ გაათავისუფლა ისმაელის შთამომავლის ეშმაკეული სული. ისლამმა ვერ შეუმსუბუქა მას ტანჯვა-წამება.

რამაჰაში რაქელი კი'ბარა, რაფატი დასტირის თავის შვილებს. ისინი ისრაელიანთა ჭურვებს ემსხვერპლნენ მდინარე იორდანეს დასავლეთით მდებარე მტვრიან გზაზე. ესაა გოდება არა მხოლოდ დაღუპულ შვილებზე,

არამედ განადგურებულ ბაღებზე და დანგრეულ სახლებზეც. უაზრო სისხლისღვრა! ესაა სამართლიანობის სათხოვნად აღვლენილი გოდება, რომელიც ისეთივე ძველია, როგორც სამყარო: „როდის გაგვიჩენს უფალი სამართალს?"

ლტოლვილთა პირქუშ ბანაკებში ისმის ქვითინი დანგრეულ სახლ-კარზე. ისმაელი დევნილია არა მარტო პალესტინაში, არამედ ქუვეითში, ლიბანში, ავღანეთში, პაკისტანში, ირანში, ერაყში, ეთიოპიაში, სომალიში, სუდანში. ეკონომიური კრიზისის გამო უამრავი ლტოლვილია ბანგლადე-შიდან, ინდოეთიდან, ეგვიპტიდან, ალჟირიდან, ტუნისიდან, მაროკოდან. ისმაელის შვილები შველას შეჰღაღადებენ ღმერთს.

გადაჭედილი ქალაქების ნაგავსაყრელებზე — ქაიროში, კალკუტაში, დაკში, ყარაჩიში — ეს ღაღადი უფრო გმინვას წააგავს. ყველაფერს მოკ-ლებულ უპოვართ, რომლებიც ნაგვის ნარჩენებით იკვებებიან ვირთხებთან ერთად, იმის თავიც აღარა აქვთ, იკითხონ: „სადა ხარ, ღმერთო?"

ისმენს ღმერთი მათ გოდებას? უეჭველად! ისმაელი („ისმინა უფალმა") მან დაარქვა ამ გარიყულ ბავშვს. მას ესმის! ალილუია! მას ესმის! უფალო, გვიწყალობე სმენის შენეული უნარი!

თავი V

„კანჯარიეით იქნება იგი ადამიანთა
შორის. მისი ხელი ყველას წინააღმდეგ და
ყველას ხელი მის წინააღმდეგ! თავის ძმათა
პირისპირ იცხოვრებს იგი“

(დაბ. 16:12).

ბიბლიური წინასწარმეტყველება ისმაელის მომავალზე სერიოზული განსჯისაკენ გვიბიძგებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისმაელის მოქმედება ღვთის მიერ წინასწარაა განსაზღვრული? ან იქნებ უფალმა წინასწარ განჭვრიტა, რა მოჰყვებოდა ოჯახურ დრამას? ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ღმერთი იცნობს ისტორიის მამოძრავებელ ძალებს და იცის, როგორ წარიმართება მოვლენათა მსვლელობა. სწორედ მან შეგვქმნა ისეთებად, როგორებიც ვართ. იგი ხედავდა იმის გარდუვალობას, რაც უნდა შემთხვეოდა ისმაელს და იწინასწარმეტყველა კიდეც მისი ბედი.

ისმაელის ხასიათი

მოდით, განვიხილოთ ისმაელის ცხოვრება და გამოვიკვლიოთ მიზეზები, თუ რატომ განეწყო იგი მტრულად თანამოძმეებისადმი.

სასოწარკვეთილმა სარამ ურჩია აბრაამს, მოახლესთან ჰყოლოდა შვილი. როცა აგარმა შეიტყო ფეხმძიმედ ვარო, სარას მეტოქედ წარმოიდგინა თავი. მან შეიძულა თავისი ქალბატონი. მაშინდელი შეხედულების თანახმად, ქალის მთავარი დანიშნულება შვილების ყოლა იყო. უშვილო ქალი დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. აგარმაც ამიტომ დაუწყო სარას ზემოდან ყურება. სარა აღაშფოთა აგარის ქცევამ და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ იგი სახლიდან გაეგდო. ასე რომ, სანამ ისმაელი დედის საშოში იყო, აგარმა დიდი სულიერი ტრამვა

გადაიტანა, ჯერ სარას მხრიდან შეეიწროვების გამო, შემდეგ კი უდაბნოში მარტოდმარტო დარჩენილმა. შიში, მრისხანება და მტრობა სუფევდა მის სულში, როცა მუცლით ისმაელს ატარებდა.

უფალი გამოეცხადა მას და დაამშვიდა. მის მომავალ შვილს კი სახელად უწოდა „ისმინა უფალმა“ იმის ნიშნად, რომ ღმერთმა შეისმინა აგარის ტანჯვა. უფლის თხოვნით აგარი დაბრუნდა აბრაამის ოჯახში, სადაც დაიბადა ისმაელი.

კონფლიქტი თითქოს მოგვარდა. ისმაელი აბრაამის გვერდით იზრდებოდა და დარწმუნებული იყო, რომ პირმშოს უფლებით მამის მემკვიდრეობას მიიღებდა. იგი წინადაიცვითა მამასთან ერთად, როცა ცამეტი წლისა იყო და, რასაკვირველია, თავს ამ ოჯახის ერთ-ერთ მთავარ წევრად თვლიდა.

მალე ოჯახის მყუდროება დაარღვია ცნობამ, რომ სარას ეყოლებოდა ვაჟიშვილი, სახელად ისაკი (სიცილი). ისმაელს ახლა იმ გრძნობით უნდა ეცხოვრა, რომ მას, როგორც მოახლის შვილს, პირმშოობის მიუხედავად, კანონიერი ცოლის შვილზე უკან დააყენებდნენ. უეჭველია, ეს ახალი საფრთხე აგარის სულში სარას მიმართ ადრინდელ მტრულ დამოკიდებულებას გააღვიძებდა, რომელიც, თავის მხრივ, შეეცდებოდა სიძულვილი გაელვივებინა ისმაელის გულში სარას მომავალი შვილისადმი. ისაკის ძუძუსაგან მოწყვეტის აღსანიშნავად გამართული ლხინის დროს ისმაელის გრძნობები მის საქციელში გამომჟღავნდა. საღვთო წერილი გვამცნობს, რომ იგი დასცინოდა სარას და მის შვილს (დაბ. 21:9). სარას გულშიც გაიღვიძა ძველმა წყენამ და მრისხანებამ. მან მოითხოვა, ისმაელისა და აგარისათვის სახლის სამუშაოებში მონაწილეობის მიღების ნება არ დაერთოთ.

უფლის რჩევით აბრაამი დაემორჩილა სარას. აგარსა და ისმაელს საგზალი მისცეს და სახლიდან გაისტუმრეს.

ვინ წარმოიდგენს იმ სიმწარესა და აღშფოთებას, მათ გულში რომ დუღდა? სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობეს ის წინასწარმეტყველება, ისმაელის მომავალს რომ გვამცნობს ბიბლიაში.

ორივე მხარე დამნაშავეა

ვინ არის დამნაშავე? მომავალში აგარსა და ისმაელს შეეძლოთ აბრაამი და სარა დაედანაშაულებინათ. თუმცა, ქრისტიანული თვალთახედვით,

ჩვენ ყველანი ვაგებთ პასუხს იმაზე, რაც შეგვემთხვა. ამ ისტორიაში დადებითი გმირი არ არსებობს: ყველა გაკიცხვის ღირსია. უფალი რომ არ ჩარეულიყო, უარესი მოხდებოდა. ღმერთი მათთან იყო და ყველას მიმართ გამოამჟღავნა სიყვარული. აგარი და ისმაელი გადარჩნენ. უფალმა კვლავ იწინასწარმეტყველა ისმაელის მომავალი დიდება. ღმერთს დავაჟკაცებამდე არ მიუტოვებია იგი. აბრაამმა და სარამაც, ხანშიშესულობის მიუხედავად, მიიღეს ღვთის წყალობა საკუთარი ძის სახით და დიდებული მომავლის აღთქმა.

რა კავშირია ისმაელსა და დღევანდელ ისლამს შორის?

რა კავშირი აქვს ყოველივე ზემოთ თქმულს ჩვენთან, ისლამის ფენომენის დღევანდელ მოწმეებთან? 1991 წლისათვის დედამიწაზე მილიარდზე მეტი მუსლიმი აღირიცხებოდა. ისინი უდაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ქრისტიანული ეკლესიისათვის.

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ კითხვას: რა კავშირია ისმაელის ხასიათსა და ისლამს შორის, რომელმაც ის თავის ერთ-ერთ პატრიარქად გამოაცხადა? რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ამგვარი კავშირი არსებობს და ამას ისტორიაც გვიდასტურებს.

გავიხსენოთ საკუთარი ისტორია

ძალიან მკაცრები რომ არ ვიყოთ ისმაელის შთამომავალთა შეფასებაში, მოდით, ჩვენი საკუთარი ისტორია გავიხსენოთ. ამ საუკუნის ორივე მსოფლიო ომი დასავლეთში დაიწყო. მსოფლიოს ორი ყველაზე საშიში სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები — დასავლეთში მდებარეობს.

როგორია ძალადობისა და შუღლის დინამიკა? ქვემოთ მოყვანილ დასკვნამდე ედუარდ ჰანტერის ცნობილმა წიგნმა „გონების გამოლაყებამ“ მიგვიყვანა. ყველაფერი დაიწყო იმ შიშით, რომელმაც დაისადგურა ამერიკის შეერთებულ შტატებში კორეის ომის დროს, როდესაც შეეიტყვეთ, რომ ტყვედ აყვანილ ჩვენს ჯარისკაცებს გონება გამოულაყეს და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად შემოაბრუნეს.

ჰანტერი ვარაუდობს, რომ ჩინელმა კომუნისტებმა ამ საქმეში წარმატებით გამოიყენეს ფსიქიატრიის მიღწევები, რომელმაც აღმოაჩინა, თუ

რას მიჰყავს ადამიანი ცოდვიანობის შეგრძნებიდან (რაც შინაგანიც შეიძლება იყოს და გარედან ჩაგონებულიც) აგრესიამდე.

მოქმედების სქემა დაახლოებით ასეთია: ცოდვა, ნამდვილად ჩადენილი ან წარმოსახვითი, დანაშაულის შეგრძნებას ბადებს. დანაშაულის შეგრძნება კი, თუ ჩახშობილი არ იქნა, შიშს იწვევს. ამ შიშს მიჰყავს ადამიანი მტრობისაკენ. ეს მტრული განწყობა, თუ შიგნით არის მიქცეული, ფსიქოსომატურ გადახრებს იწვევს ადამიანში (ნერვიული დაავადება, თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილება), ან სიძულვილის კონკრეტულ ობიექტზე პროეცირდება. თუ ადამიანი ვერ განთავისუფლდა ამ გრძნობისაგან, მან შეიძლება ძალადობისაკენ უბიძგოს კაცს, კონკრეტული ადამიანის (მკვლელობა) ან მთელი ერის მიმართ (გენოციდი და ომი). დღევანდელი მუსლიმები სწორედ ამ გრძნობით ცხოვრობენ.

ადამიანის ბუნების შეცნობა იესოს მიერ

იესო ქრისტემ იცოდა ეს და, გაითვალისწინა რა მის განსხეულებამდე არსებული ორიათასწლოვანი ისტორია, იწინასწარმეტყველა, თუ რა მოხდებოდა შემდეგი ორი ათასი წლის განმავლობაში. ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ქადაგებაში მან თქვა:

„ასევე მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს; იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული. ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ" (მათე, 24:6-7).

იესომ ისიც იცოდა, რომ პიროვნება, რომელსაც არ განუცდია მონანიება და პატიება, სასტიკი იქნებოდა მათ მიმართ, ვინც ეს განიცადა. მართალი კაცი აძლიერებს ცოდვილში სინდისის ქენჯნას. ამიტომ იესომ გაგვაფრთხილა: „მაშინ გადაგცემენ თქვენ სატანჯველად და დაგხოცავენ, და მოგიძულებთ ყველა ერი ჩემი სახელის გამო" (მათე, 24:9). ამ გზით ივლიან მუსლიმები, სანამ არ შეურიგდებიან ღმერთს იესო ქრისტეს მეშვეობით.

ქრისტეს რჯულზე მოქცევა განკურნების გზაა

ყველა ადამიანს სჭირდება ქრისტესკენ შემობრუნება და ჩვენც უფლის სახელით მებრძოლთა რიგებში უნდა ჩავდგეთ. კაცობრიობა მსჯავრდებულია. განაჩენიც გამოტანილია. უფალს აღარ სურს ჩვენი ცოდვების

გამოსყიდვა. მას ჩვენი გადარჩენა უნდა, რაც მხოლოდ სამყაროს მხსნელის – იესო ქრისტესადმი სიცოცხლის მიძღვნითაა შესაძლებელი.

როდესაც ვაკვირდებით ძალადობის ფაქტებს მუსლიმურ სამყაროში, უნდა შევიცნოთ მასში ღრმად ჩაშარხული ძალადობის სიმპტომები, რაც, თავის მხრივ, ცოდვიდან იღებს სათავეს. ამის გამო ზურგი კი არ უნდა შევაქციოთ მუსლიმებს, არამედ უნდა დავეხმაროთ იესო ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით.

წინასწარმეტყველება ველურ კაცზე

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მუხლი, რომელიც ისმაელს გვიჩასიათებს: „კანჯარივით იქნება იგი...“ (დაბ. 16:12). რას ნიშნავს, კანჯარივით? უფალი ესაუბრებოდა იობს ველურ კანჯარზე: „ვინ გაუშვა ნებაზე კანჯარი და ველურ ვირს საბელი ვინ გაუხსნა, რომელსაც უდაბნო მივეცი სახლად და სამყოფლად – მლაშობი? ქალაქის ხმაურს არად აგდებს და გამრეკის შეძახილებს არ უსმენს. მთებზე საძოვრად დაეხეტება და ყოველგვარ სიმწვანეს დაეძებს“ (იობი, 39:5-8).

ისმაელი უნდა ყოფილიყო ძლიერი, ველური და თავისუფალი, და შეიძლება დაუმატოთ, შეუგუებელი, ძმებთან შეურიგებელი, ქალაქური ცხოვრების მოძულე. მას იმდენად ეყვარებოდა თავისუფლება, რომ ვერ შეეგუებოდა ვერც თავის ნათესაებთან და ვერც სხვებთან ერთად ცხოვრებას. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ერთ-ერთი კომენტატორი: „ისმაელის შთამომავალნი განუწყვეტელ შფოთში ცხოვრობენ... ედავებიან ერთმანეთს ან თავიანთ მეზობლებს“. ამავე აბზაცში ვკითხულობთ: „ისმაელი აბრაამის შთამომავალთა შორის ყველაზე დამოუკიდებელია“ (Keil and Delizsch, რეპრინტი, უთარიღო, ტომი 1, გვ. 220). ამ დახასიათების თანახმად, მუჰამედი ისმაელის ჭეშმარიტი შთამომავალი იყო. იმის მაგივრად, რომ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა რიცხვში გარეულიყო, ის პირქუშ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, როგორც არაბთა წინასწარმეტყველი, რომელმაც მათ ყურანი შეუქმნა (ყურანი, 12:1, 20:112(113), 46:11(12)).

„აბრაამის რელიგია“

მუჰამედი ჯიუტად აბეზღებდა, რომ მას კავშირი ჰქონდა მხოლოდ „აბრაამის რელიგიასთან“ და არამც და არამც იუდეველობასთან ან ქრის-

ტიანობასთან (ყურანი, 2:129 (135)). ამ პოზიციაზე მდგომმა მუჰამედმა, წინასწარმეტყველის სტატუსი რომ დაეკანონებინა, ტრადიციათა გარკვეული ნაწილი ორიეე რელიგიისაგან ისესხა და, ამავე დროს, გაემიჯნა მათ, რათა თავისი თავი წინამორბედთაგან გამოეცალკევებინა და „წინასწარმეტყველთა ბეჭედი", ანუ უკანასკნელი წინასწარმეტყველი, გამხდარიყო, რომელიც ღვთის საბოლოო აღთქმას გამოხატავდა.

მოწყვეტა და ძალადობა

თავიდან მუჰამედმა სცადა, მოლაპარაკებოდა იუდეველებსა და ქრისტიანებს. როცა ეს არ გამოუვიდა, მხოლოდ ზურგი კი არ აქცია მათ, ებრაელები ამოჟლიტა, ქრისტიანები კი მეორეხარისხოვან მოქალაქეთა მდგომარეობაში ჩააყენა. ის შეეცადა, ქრისტიანული რწმენის საფუძველი გაენადგურებინა. ამ მომენტებს ცოტა მოგვიანებით განვიხილავთ.

შეაძულა რა თავი იუდეველებსა და ქრისტიანებს, მუჰამედი შეეცადა, საყოველთაო შუღლი გაეღვივებინა მათსა და მუსლიმებს შორის. მან თავის მიმდევრებს წმიდა შურისძიებისა (ყურანი, 42:37 (39)) და „საღვთო ომისაკენ" (ყურანი, 2:212 (216), 4:76 (74), 9:5, 61:4) მოუწოდა. ყურანში ორმოცდაათზე მეტი სხვადასხვა რეკომენდაცია არსებობს „საღვთო ომის" ამოცანებისა და პირობების თაობაზე (White House, 1981, 50-51).

მისი მიზანია, მუჰამედის (და, აქედან გამომდინარე, ისლამის) დამოუკიდებლობის განმტკიცება და სამუდამო სიძულვილი ურწმუნოთა მიმართ, სანამ ეს უკანასკნელნი ისლამის დროშის ქვეშ არ დადგებიან; შედეგი — გამუდმებული შფოთი მუსლიმთა ბანაკში. ცოტა უცნაურია, მაგრამ ისმაელის თვისებები, რომელიც დაბადების წიგნშია (16:12) აღწერილი, მუჰამედის მოძღვრებისა და ისლამის დოგმების მიმდევრებს გადაეცათ.

სულიერი სამკალი და ტანჯვა

აქ ნება მომეცით გავიმეორო, რომ ყველა მუსლიმი როდია პირქუში და მტრულად განწყობილი. მაღლობა უფალს, რომ მუსლიმურ სამყაროშიც მწიფდება სამკალი. მაგრამ ქრისტიან მისიონერს, რომელიც ცდილობს სახარება უქადაგოს მუსლიმებს, მტრობისა და ძალადობის ატმოსფერო არასახარბიელო მდგომარეობას უქმნის. უმჯობესია, თუ ილუზიებს არ აჰყვებით ამ სამუშაოს დაწყების წინ.

გამარჯვება უფლის მიწიერი არსებობის ჟამსაც ძნელი იყო, ახლა მით უმეტეს. საფრთხე ყოველი მხრიდან გვემუქრება. თუმცა ჩვენ, უფლის მოყვარულთ, ხელთ გვიპყრია ღვთის სიტყვა, რომელსაც შეუძლია, მოალბოს მუსლიმთა გულები. ჩვენ მზად გვაქვს პასუხი ისმაელის იმ შვილებისათვის, რომლებიც ითხოვენ შველას, სამართალს, განკურნებასა და ხსნის იმედს.

„აჰა, ვაკურთხე იგი“

აბრაამის ლოცვა უპასუხოდ არ დარჩენილა. მან ითხოვა: „ნეტავ ისმაელმა იცოცხლოს შენს წინაშე!“ უფალმა კი მიუგო:“ ისმაელის გამო გისმინე და, აჰა, ვაკურთხებ მასაც“ (დაბ. 17:18,20). დღეს ჩვენგან მოელის უფალი, რომ ვითხოვოთ კურთხევა ისმაელის შვილების — მუსლიმებისათვის — იესო ქრისტეს სახარების ქადაგებით. ისმაელი და მისი სულიერი მემკვიდრენი — მუსლიმები — არ უნდა დარჩნენ აბრაამის ოჯახს გარეთ. იესომ თავისი ჯვარცმით ყველა შეარიგა. ჩვენ ვიქნებით ცხვრები მგლების ხროვაში, როგორც გვიწინასწარმეტყველა იესომ, მაგრამ ჩვენ გვმოსავს სულიწმიდის ძალა და ტყვეთა განთავისუფლების აღთქმა გვაქვს დადებული. გვჯერა, რომ ვიპოვით სამკალს ჩვენ გულგაკერპებულ თანამოძმეთა შორის და გამთელდება აბრაამის დანგრეული ოჯახი.

ნაწილი 2
ისმაელის სახელგანთქმული ძე

თავი VI

მუჰამედი – პირველი მუსლიმი

„მითხარი: „განა ვისურვებ ვინმეს მფარველად, გარდა ალაჰისა, ცისა და მიწის შემოქმედის, რომელიც ყველას ასაზრდოებს, თავად კი საზრდო არ სჭირდება?“ მითხარი: „მე აღმეთქვა, ვიყო ერთ-ერთი პირველი მორჩილი მისი, თქვენ კი – არ გყავდეთ მრავალი ღმერთი“

(ყურანი, 6:14).

ზემოთ მოყვანილი ციტატის მიხედვით, მუჰამედი თავის თავს ისლამის პირველ მიმდევრად წარმოგვიდგენს. პირველი აქ უნდა აღნიშნავდეს ან ყველაზე გამოჩენილს ან დამაარსებელს.

რადგან ყურანში მუჰამედი აბრაამს და ბიბლიის სხვა პერსონაჟებს, მათ შორის იესოსაც, მუსლიმებად წარმოგვიდგენს (ვინც გართხმულია ღვთის წინაშე), აქედან გამომდინარე, მას თავი ყველაზე გამოჩენილ წინასწარმეტყველად მიაჩნია. თუმცა ისტორიულად ცნობილია,რომ ისლამი მუჰამედის მოძღვრებიდან აღმოცენდა, მანამდე ის, როგორც რელიგია, არ არსებობდა. მუსლიმთა კალენდარი აბრაამიდან კი არ იწყება, არამედ იმ წლიდან, როცა მუჰამედმა მედინაში პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება მოიპოვა. სწორედ ისტორიულ ჭრილში გვესმის ჩვენ მუჰამედის პირველობა მუსლიმთა შორის.

აუცილებლად მიგვაჩნია, განვმარტოთ სიტყვა „მუსლიმი“. სემანტიკურად ის „მორჩილს“ ნიშნავს, ისლამის კონტექსტში კი მას, ვინც მუჰამედს ან ღმერთს ემორჩილება. რადგან ყურანში მუჰამედი და ღმერთი განუყრელად უკავშირდებიან ერთმანეთს, მუსლიმი ნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც ემორჩილება მუჰამედს და ყურანსა და ჰადისებში გადმოცემულ მის მოძღვრებას. დღევანდელი მუსლიმები არ დაეთანხმებიან ამ თვალსაზრისს, რადგან მათი რწმენით, მუჰამედი ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველია, ხოლო ყურანი კი ღვთაებრივი გამოცხადება. ამ სადაო საკითხებს ქვემოთ მოვუბრუნდებით. ამგვარად, ჩვენ მუჰამედს აღვიქვამთ, როგორც ისლამის დამაარსებელს და მის პირველ მიმდევარს. ამ თვალსაზრისით, ის პირველი მუსლიმია.

მუჰამედის ცხოვრების ნარკვევი

იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ ისლამს, მუჰამედის ცხოვრების ცოდნა აუცილებელია. თუ თქვენ მუსლიმთა შორის მუშაობას აპირებთ, ისინი აუცილებლად შეგეკითხებიან: „რას ფიქრობთ მუჰამედზე?“ შეიძლება, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილი არ გქონდეთ, მაგრამ ის მაინც უნდა თქვათ, რომ წაგიკითხავთ მის შესახებ. ქვემოთ მოყვანილი მასალა ბიოგრაფიული წყაროებიდანაა ამოკრეფილი.

მუჰამედი დაიბადა მექაში, ჩვენი წ. აღ-ის 570 წელს. მამა მის დაბადებამდე გარდაიცვალა, დედა კი – ორი წლის შემდეგ. ბავშვის გაზრდა ნათესაებმა ითავეს.

ბავშვობა მუჰამედმა უდაბნოში გაატარა და იგულისხმება, რომ იგი კარგად იცნობდა მომთაბარე ბედუინთა ცხოვრებას. მოგვიანებით, ახალგაზრდობაში, იგი მდიდარ ვაჭართა ქარავნებს დაატარებდა უდაბნოს გზებზე და თავი გამოიჩინა ამ საქმეში, როგორც პატიოსანმა და მოხერხებულმა კაცმა.

595 წელს მან თავისი მდიდარი ქალბატონი შეირთო ცოლად, ქვრივი ჰაჯიჯა, რომელიც თხუთმეტი წლით უფროსი იყო მასზე. იგი ცოლის ერთგული იყო ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე, 619 წლამდე. მუჰამედი ყმაწვილობიდანვე ჭვრეტის უნარით იყო დაჯილდოვებული. შეირთო რა მდიდარი ქვრივი, მას გაუჩნდა თავისუფალი დრო, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა. მუჰამედს ხშირად უყვარდა ხოლმე განმარტოება მედიტაციებისათვის ხირას მთის გამოქვაბულში, მექის მახლობლად. პირველი ექსტა-

ზი მას ორმოცი წლის ასაკში ეწვია (610 წელს). მკვლევრები ფიქრობენ, რომ სწორედ ამ განცდაზე დაყრდნობით დაწერა მან სურა, რომელსაც „ვარსკვლავი“ ეწოდება.

„ასწავლა მას ძალით ძლიერმა, ყოვლისშემძლემ; აი, გამოჩნდა ის ჰორიზონტზე, შეძდეგ მოუახლოვდა და დაეშვა, შეჩერდა ორი ისრის მისაწვდომ მანძილზე და გამოუცხადა თავის მონას, რაც იხილა ამ უკანასკნელმა. გულს არ მოუტყუებია ის ამ ხილვისას“ (ყურანი, 53:5-11).“

მუჰამედს თავიდან ძალიან აწუხებდა ეს ჩვენებები და ფიქრობდა, ჭკუიდან ხომ არ შეეიშალე ან ბოროტმა სულმა ხომ არ შემიპყროო. ცოლთან და მის ნათესავთან, ბარაკა იბნ ნაუფალთან, რომელიც ქრისტიანი იყო, თათბირის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ექსტაზის დროს მას მთავარანგელოზ გაბრიელის სახით ღვთაებრივი „გამოცხადება“ ეწვია.

ეს „გამოცხადება“ დროთა განმავლობაში მეორდებოდა. ამ პერიოდში მისმა ცოლმა და რამდენიმე ახლო მეგობარმა ირწმუნეს, რომ მუჰამედი „ღვთის მოციქული“ იყო.

სამი წლის შემდეგ მუჰამედმა იგრძნო საჯარო ქადაგების მოთხოვნილება (613 წ.). იგი ექვსი წლის მანძილზე ქადაგებდა ისე, რომ არ შეხვედრია წინააღმდეგობა კურაიშიტების (არაბთა ერთ-ერთი ტომი) ბელადებისაგან.

იმ ოემების თანამიმდევრობის დადგენა, რომელთაც მიმართავდა მუჰამედი თავის ქადაგებებში, ძალიან ძნელია, რადგან ეს ქადაგებები ძირითადად ექსტაზურ ჩვენებებს ემყარებოდა. ყურანის პირველი თავის გარდა, დანარჩენი 113 თავი მათი სიგრძის მიხედვითაა დალაგებული და არა ქრონოლოგიის. ყურანი, პირველ თავს თუ არ ჩავთვლით, იწყება ყველაზე გრძელი თავით და მთავრდება ყველაზე მოკლეთი. საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, ყურანის თავები სხვადასხვა დროს გამოთქმული აზრებისგანაა შედგენილი. მიუხედავად ამისა, მეცნიერები ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, თუ რა უფრო ადრინდელია და რა – შედარებით გვიანდელი.

ყველაზე უფრო ემოციური გამონათქვამები, რომლებიც გამოირჩევიან მორალისტური ტენდენციით და შეიცავენ ერთი ღმერთის არსებობის გააფთრებულ მტკიცებას, ძირითადად ადრინდელია, უფრო პროზაული თავები კი, რომლებიც ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებს განიხილავენ, შედარებით გვიანდელი.

ითვლება, რომ იუდეველებთან და ქრისტიანებთან დაკავშირებული

თავები, სადაც გამოთქმულია შიში მოსალოდნელი ომის გამო და ლაპარაკია ისლამის მსოფლიო ხასიათზე, უფრო გვიანდელია.

მთელს ტექსტში გვხვდება დაჟინებული აღნიშვნა და დაცვა მუჰამედის წინასწარმეტყველური მისიისა, მისი სახელის გამუდმებული დაკავშირება ალაჰთან, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა.

619 წელს ძლევამოსილ კურაიშიტთა უხუცესების წრეში წარმოიშვა ოპოზიცია მუჰამედის მორალისტური და მონოთეისტური მოძღვრების წინააღმდეგ. მექა იმ დროს მთელი არაბეთის რელიგიური ცენტრი იყო და მუჰამედის წინასწარმეტყველება ხელს უშლიდა იქ გაჩაღებულ ვაჭრობას. მუჰამედისა და კურაიშიტების ბელადთა დაპირისპირება თანდათან მძაფრდებოდა. და ამის კულმინაციად იქცა წინასწარმეტყველის მოკვლის გეგმა 622 წელს. მუჰამედი წინასწარ გააფრთხილეს მეგობრებმა და ისიც ამავე წლის ივნისში გაიქცა მექადან ქალაქ იასრიბში, სადაც კურაიშიტების მიმართ მტრულად განწყობილმა არაბულმა ტომებმა მიიწვიეს თავიანთ ბელადად.

სწორედ იასრიბში მიიღო მუჰამედმა მხარდაჭერა და გააერთიანა იქ მყოფი არაბული ტომები, რის გამოც დაუპირისპირდა მექელებს. 630 წლისათვის მუჰამედს საკმაო ძალები გააჩნდა იმისათვის, რომ მიეყვანა მექაში ათი ათასი მეომარი და გაუჭირვებლად აეღო ქალაქი. 632 წელს, მუჰამედის მექადან მედინაში გაქცევის ათი წლის თავზე, იგი დაავადდა და გარდაიცვალა საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში. ის ამ დროს 62 წლისა უნდა ყოფილიყო. მას არ დაუტოვებია არანაირი მითითება მემკვიდრის თაობაზე და ახალი ხელისუფლის არჩევის წესზე. ამ წინდაუხედაობის შედეგია ისლამურ სამყაროში გამუდმებული ბრძოლა ხელისუფლებისათვის, დაუსრულებელი მკვლელობა და შფოთი.

მისი მოღვაწეობის მშფოთვარე წლების მანძილზე მუჰამედი ჯიუტად მიიჩნევდა თავს მონოთეიზმის უკანასკნელ წინასწარმეტყველად. იგი ამჟღავნებდა არაჩვეულებრივ სიმამაცეს ბრძოლაში და საოცარ მოქნილობას მეგობრებთან თუ მტრებთან მოლაპარაკებების დროს. მიუხედავად მრავალცოლიანობისა (მას თერთმეტი ცოლი და ორი მხევალი ჰყავდა), იგი ლოცვაში გულმოდგინებით, მოწყალების გაღებით, მარხვით და გულუხვობით გამოირჩეოდა.

რიტუალებისა და მორალური ნორმების სისტემა, რომელიც მან შექმნა და განუხრელად იცავდა ცხოვრებაში, წარმოადგენდა იუდეველებთან,

ქრისტიანებთან, ზოროასტრელებთან და, რაღა თქმა უნდა, საკუთარ არაბულ მემკვიდრეობასთან კონტაქტის შედეგად შექმნილ რელიგიური იდეებისა და ღვთისმსახურების ფორმების ბრწყინვალე სინთეზს.

იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული კაცი იყო, განსაკუთრებული ოსტატობით ფლობდა სიტყვის ხელოვნებას, გახლდათ ნახევრად-პოეტური არაბული რიტორიკის ვირტუოზი და არაბული ენის შესანიშნავი მცოდნე. მას უნდა ჰქონოდა არაჩვეულებრივი ხმა და აუდიტორიის ჰიპნოზირების უნარის მქონე მეტყველება. მუჰამედი ხშირად იღებდა მათ გამოწვევას, ვინც ცდილობდა მის დამცირებას ან ორატორულ ხელოვნებაში ედარებოდა.

მუჰამედის უარყოფითი თვისებები

მის ხასიათში იყო უარყოფითი შტრიხებიც. მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა მუჰამედის მცდელობა, დაერწმუნებინა იუდეველნი და ქრისტიანები, რომ იგი ნამდვილად ღვთის მოციქული იყო (იუდეველები მას დასცინოდნენ, ქრისტიანებმა კი არ მიიღეს), ის მათ წინააღმდეგ ამხედრდა. მუჰამედმა თავის მიმდევრებს დაუბარა, რომ არასოდეს ემეგობრათ ქრისტიანებთან (ყურანი, 5:59 (54)). მან იუდეველთა ერთ-ერთი ტომი მედინადან გააძევა; მეორეს კი თავს დაესხა, ამოახოცინა ყველა მამაკაცი, მათი ცოლ-შვილი და ქონება კი თავად დაისაკუთრა; უხეშად დაიმორჩილა, აგრეთვე, მესამე ტომიც (ყურანი, 3).

იუდეველთა და ქრისტიანთა წინააღმდეგ განწყობამ ლოცვის რიტუალშიც იჩინა თავი. მლოცველი მუსლიმი იერუსალიმის მაგივრად ახლა მექას მიმართულებით უნდა შებრუნებულიყო (ყურანი, 2:136 (142)).

მუჰამედის კონცეფცია სამოთხეზე გრძნობად-კონკრეტული სახისაა. განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია ქრისტიანებისათვის (რომელთა მოძღვრების თანახმად, სამოთხეში ადამიანი ანგელოზს ემსგავსება და ამიტომ იქ ადგილი არა აქვს გათხოვებასა თუ ცოლის მოყვანას) მუჰამედის მოძღვრება იმის შესახებ, რომ ზეცა სავსეა მშვენიერი შავთვალებიანი ქალწულებით ყველა მამაკაცისათვის.

ქალთან დამოკიდებულების საკითხს მუჰამედის მოძღვრებაში მუსლიმები წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ იმასთან შედარებით, რაც ისლამამდელ არაბეთში იყო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მუჰამედის მოძღვრება არ ეთანხმება ბიბლიურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც, უფალმა თა-

ვის ხატად და მსგავსად შექმნა არა მარტო მამაკაცი, არამედ ქალიც, და მით უმეტეს ქრისტეს, რომელმაც მოხსნა ყოველგვარი განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის სულის გადარჩენის თვალსაზრისით.

მუჰამედი არც თავის მოძღვრებაში და არც პირად ცხოვრებაში არ იზიარებს ქრისტეს მოძღვრებას მონოგამიის შესახებ. ის უფლებას აძლევს მამაკაცს, ჰყავდეს ოთხი ცოლი და გაყრის ინიციატორადაც თავად გამოვიდეს (ქალს არ ჰქონდა განქორწინების მოთხოვნის უფლება).

აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგოა იესო ქრისტესა და მუჰამედის მოძღვრებანი მახვილის თაობაზე. ორივეს ემუქრებოდა სიკვდილი თანამემამულეების ხელით – იესოს იერუსალიმში, მუჰამედს – მექაში. იესო გაემგზავრა იერუსალიმში ჯვარცმის მისაღებად, რათა მიეცა საკუთარი სიცოცხლე სხვათა ცოდვების გამოსასყიდად (მაკ. 10:54). მან უარი თქვა მახვილის აღებაზე (იოანე, 18:36) ან ლაშქრის შეკრებაზე. მან მიიღო სიკვდილი ყველას ნაცვლად (ებრ. 2:9).

მუჰამედი კი გაექცა მოწამეობრივ სიკვდილს და თავი მოუყარა თავის მიმდევრებს ქალაქ იასრიბში (რომელსაც მოგვიანებით მედინა ეწოდა). ის თაეს ესხმოდა მექადან მომავალ ქარავნებს. ამან გამოიწვია შეიარაღებული დაპირისპირება მექასთან, რომელშიც საბოლოოდ მედინელებმა გაიმარჯვეს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 630 წელს, მუჰამედმა უბრძოლველად აიღო მექა და მხოლოდ გააფთრებულ მოწინააღმდეგეთა პატარა ჯგუფი დასაჯა. თუმცა ამ ქმედების შედეგი საკმაოდ შორს მიმავალი და საშინელი აღმოჩნდა. ჯიჰადი, წმიდა ომი, დღესაც სავალდებულოდ ითვლება ყველა მუსლიმისათვის. ფაზლურ რაჰმანი, ისლამის ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვე სპეციალისტი, თავის წიგნში „ისლამი“ ამის თაობაზე წერს:

„საქმე ის კი არ არის, რომ ჰადისებში და ორთოდოქსულ მოძღვრებაში ჯიჰადის დოქტრინა წმიდად ითვლება, არამედ ის, რომ თავად წინასწარმეტყველისა და ადრეული საზოგადოების პირადი მაგალითი მოუწოდებს მათ პრობლემათა ძალადობის გზით გადაწყვეტისაკენ“ (Fazlur Rahman, 1979:211).

მუჰამედის მოძღვრების ძირითადი თავისებურება იყო ერთიანი ღმერთის არსებობის მტკიცება. ერთი მხრივ, ის ქრისტიანულ სამებას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებდა ყოფიერების ყველა მხარის ერთღმერთიანობის დოქტრინასთან კავშირს. ისლამის ცნობილი სპეციალისტი, ეპისკოპოსი კენეტ კრეგი წერდა, რომ ძალისმიერი

მეთოდებისაკენ მიღრეკილება სწორედ ამ დოქტრინამ წარმოშვა.

„თუ ღვთის სახელით ბრძოლა, რომელსაც უფლის თანადგომის რწმენა ახლავს, წინასწარმეტყველის კარიერის პირველი და ძირითადი მაგალითია, ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორ უთანხმდება ერთმანეთს ღვთის ჩანაფიქრი და მუჰამედის მებრძოლი სული. როგორც წინასწარმეტყველის მიერ იქნა დადგენილი და რაც ისლამის საფუძველს წარმოადგენს, ღვთის ერთიანობის რწმენა ისტორიულად იმ რელიგიურ საზოგადოებას უკავშირდება, რომელმაც პოლიტიკური გამოხატულება მიიღო (Cragg, "Muhammad and Christianity", 1984:14).

თუ ისლამის ტომის ისტორიას გადავხედავთ (ბიბლიური დროიდან მოყოლებული), დავინახავთ, რომ მუჰამედმა, ისმაელის ყველაზე ცნობილმა შთამომავალმა, კვლავ გამოავლინა აბრაამის უფროსი ვაჟისათვის დამახასიათებელი უკეთესი და უარესი თვისებები.

ერთღმერთიანობა, ერთი ღმერთის რწმენა ცოცხლობდა ისმაელის „შთამომავალთა" გულებში. აღსანიშნავია, რომ მუჰამედის მამას ერქვა აბდალაჰი – „ღვთის მონა". გარდა ამისა, მუჰამედის დროს მექაში არსებობდა მონოთეისტთა დაჯგუფება, სახელწოდებით „ხანიფი". მონტგომერ უოტი ამტკიცებს, რომ ეს სიტყვა ყურანში აღნიშნავს „მონოთეისტს, რომელიც არ არის არც იუდეველი და არც ქრისტიანი" და მუსლიმები ამბობდნენ, რომ მისდევენ „აბრაამის, ხანიფების, მუსლიმთა რწმენას" (Watt, 1964:117).

კრეგი აღნიშნავს, რომ მუჰამედის დამსახურება სამყაროს წინაშე ისაა, რომ მან „შემოიტანა ადამიანის მრავალფეროვან ყოფაში და იდეოლოგიაში ღვთის, როგორც უფლის, რეალური განცდა" (Cragg, 1984:148). ეს ისლამის უდიდესი მიღწევა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური წარმოდგენა ღმერთზე ჩვენთვის მიუღებელია, მაინც მადლიერნი ვართ იმ სიმტკიცისა, რომელსაც იჩენდნენ ისინი ერთადერთი და ერთიანი ღმერთის რწმენაში.

მუჰამედის მიერ ისმაელის მაგალითად დასახვას ის უარყოფითი მხარე ჰქონდა, რომ ამით მუჰამედი და შესაბამისად ყველა მუსლიმი ბიბლიური წინასწარმეტყველების იმ ნაწილსაც იღებდნენ თავის თავზე, სადაც ნათქვამია ისმაელზე, რომ „კანჯარივით იქნება იგი ადამიანთა შორის. მისი ხელი ყველას წინააღმდეგ და ყველას ხელი მის წინააღმდეგ! თავის ძმათა პირისპირ იცხოვრებს იგი" (დაბ. 16:12).

ეს ჩანს ომის შესახებ მუჰამედის მოძღვრებიდან. „ო, წინასწარმეტყველო! აღძარი მორწმუნენი საბრძოლველად. თუ აღმოჩნდება თქვენს შორის ოცი მომთმენი, ისინი ორასს აჯობებენ; თუკი ასი იქნება თქვენს შორის ასეთი, ისინი ათას ურწმუნოს დაამარცხებენ“ (ყურანი, 8:66 (65)).

„როცა დასრულდება აკრძალული თვეები, გაჟლიტეთ მრავალღმერთიანები, სადაც წაასწრებთ, შეიპყარით ისინი, ალყა შემოარტყით, ჩაუსაფრდით მოფარებულ ადგილებში! თუ მოიქცევიან, შეასრულებენ ლოცვებს და განიწმიდებიან, გაათავისუფლეთ: ალაჰი ხომ მოწყალე და მიმტევებელია“ (ყურანი, 9:5).

ეს მოძღვრება კიდევ უფრო ფიცხია, როდესაც საუბარია იუდეველებსა და ქრისტიანებზე, მაგალითად:

„ეომეთ მათ, ვისაც არ სწამს ალაჰი და უკანასკნელი დღე, არ დაგიდევთ ღვთისა და მისი წინასწარმეტყველის აკრძალვებს; და მათ, ვინც მიიღო საღვთო წერილი, მაგრამ არ აღიარებს ჭეშმარიტ რელიგიას, მანამ, სანამ დამცირებულნი გამოსასყიდს არ გაიღებენ თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად (დაწესებული იყო სპეციალური გადასახადი მუსლიმური მმართველობის ქვეშ მყოფი იუდეველებისა და ქრისტიანებისათვის, რომლებიც ინახავდნენ, მაგრამ არ ავრცელებდნენ თავიანთ რელიგიას)“ (ყურანი,9:29).

ამას უნდა დავუმატოთ სასტიკი ზომები იმ მუსლიმთა მიმართ, რომლებიც რელიგიის შეცვლას განიზრახავდნენ: „...თუ ისინი პირს მიიქცევენ, შეიპყარით და დახოცეთ, სადაც მოიხელთებთ“ (ყურანი, 4:91 (89)).

საყოველთაოდ ცნობილი კომენტატორი ბაიდავი ყურანის ამ მუხლს ასე განმარტავს: „ვინც განუდგება მის რწმენას (ისლამს), აშკარად თუ ფარულად, მოჰკალით, სადაც წააწყდებით, როგორც ნებისმიერი ურწმუნო“ (Zwemer, 1924:33).

ორთოდოქსული ისლამი დღესაც იზიარებს მუჰამედის მოძღვრებას რჯულშეცვლილ მუსლიმთა დასჯის თაობაზე.

ყველაზე სენსაციური ილუსტრაცია მუსლიმთა დამოკიდებულებისა რჯულშეცვლილი თანამოძმის მიმართ, არის სალმან რუშდის, „სატანური ლექსების“ ავტორის, ისტორია. რუშდი განუდგა ისლამს იმით, რომ ეჭვი შეიტანა ყურანის ღვთაებრივ წარმოშობასა და მუჰამედის წინასწარმეტყველების კანონიერებაში. ბევრი იმედოვნებდა, რომ აიათოლა ჰომეინის გარდაცვალების შემდეგ გაუქმდებოდა რუშდის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ ირანის ახალი ლიდერის განცხადებით, იგი

კელაე ძალაში რჩება (Los Angeles Times, 23 ივნისი, 1989 წ.). და ეს არის არა გამონაკლისი, არამედ ერთგულება მუჰამედის მოძღვრებისადმი, რომელიც გადმოცემულია ყურანში, ჰადისებში და ჩამოყალიბებულია ისლამურ მართლმსაჯულებაში.

ბუნებრივია, ქრისტიანს, რომელიც ასეთ პირობებში მუშაობას შეეცდება, ბევრი დაბრკოლება შეხვდება, მით უმეტეს, თუ მუსლიმები მკაცრად იცავენ ისლამურ კანონებს.

ეს ქრისტიანებს რთული პრობლემის წინაშე აყენებს. ბევრი ჩვენგანისათვის ხშირად უკითხავთ მუსლიმებს, თუ რას ვფიქრობთ მუჰამედის შესახებ. ქრისტიანი, რომელსაც იესო უყვარს, ბუნებრივია, მუჰამედს წინ ვერ დააყენებს. მუსლიმები არ მოითმენენ მათი წინასწარმეტყველის კრიტიკას. ამიტომ ქრისტიანმა ან კარგი უნდა ილაპარაკოს მუჰამედზე ან გაჩუმდეს.

ყველაზე კარგად და კეთილმოსურნედ ეს მონტგომერ უოტს გამოუვიდა: „იგი იყო თავისი დროის საზოგადოებრივი რეფორმატორი. მან სიახლე შეიტანა მორალის სფეროშიც. მანვე შექმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ახალი სისტემა და ოჯახის ახლებური სტრუქტურა, რაც ბევრად უკეთესი იყო მის წინამორბედზე“ (Watt, 1961:234).

ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, ეგვიპტელი მაჰფუზიც, კეთილგანწყობილია, თუმცა მისი შეფასება ბოლოში მოულოდნელ მიმართულებას იღებს: „იგი აერთიანებდა ძალასა და სინაზეს, სიბრძნესა და უბრალოებას, სიამაყესა და თავმდაბლობას, იყო პატიოსანი მეურვე. იგი უყვარდათ და თანაც ეშინოდათ მისი. გარდა ამისა, იგი ენამახვილი, მეგობრული და თავაზიანი იყო, იცოდა შესანიშნავი მეგობრობა, ესმოდა და უყვარდა კარგი სიმღერები და ხუმრობა... ისინი, ვინც აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ხასიათით, კიდევ უფრო აღტაცებულნი რჩებოდნენ მისი ვაჟკაცობითა და ქალებისადმი სიყვარულით. ჩვენს უბანში ტრაბახობენ ქალებისადმი სიყვარულის უნარით და ეს მეტს თუ არა, ნაკლებ პატივისცემას არ უხვევს მამაკაცს, ვიდრე, ვთქვათ, ბელადის მდგომარეობა“ (Mahfouz, 1981:286).

ყველა ქრისტიანისათვის, რომელმაც წაიკითხა ყურანი და ჰადისები და იცნობს იესოს ცხოვრებას სახარების მიხედვით, კონტრასტი მუჰამედსა და ქრისტეს შორის განსაცვიფრებელია. ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტიპებს წარმოადგენენ. ქრისტიანისათვის ძალიან ძნელია დაიჯე-

როს, რომ მუჰამედი შეესაბამება წინასწარმეტყველის ბიბლიურ გაგებას (იხ. დამატება: ბიბლიური მოთხოვნები წინასწარმეტყველის მიმართ). მუჰამედისა და ქრისტეს შედარებისას მათი განსხვავებული თვისებების ნუსხა (ქრისტეს სასარგებლოდ) საკმაოდ დიდია.

თავისუფლად მოაზროვნე მუსლიმს, რომელმაც შეიძლება წაიკითხოს ეს წიგნი, ვთავაზობთ ქრისტესა და მუჰამედის ცხოვრებათა შედარებით გამოკვლევას. შედარებისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგ თვისებებს: უცოდველობა, ღვთაებრიობა, სიწმიდე, მიტევების უნარი, მონოგამია, კურნების ნიჭი, შერიგების ნიჭი, სიმშვიდე, სიყვარული და თანაგრძნობა. ეს ნუსხა სრული არ არის, მაგრამ მიგვითითებს, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს შედარება.

და დასასრულს, ბოლო გაფრთხილება ქრისტიან მკითხველს. რაც არ უნდა დიდი იყოს ცდუნება მუჰამედისა და მისი მოძღვრების განსჯისა იმ უბედურებათა გამო, ქრისტიანებს რომ მიაყენეს მთელი ისტორიის მანძილზე, თავი უნდა შეიკავოთ, რადგან იმ ქვეყნებში, სადაც ისლამური კანონები მოქმედებს, ამ კაცის კრიტიკა დიდ შეურაცხყოფად აღიქმება.

ქრისტიანებმა თავის თავს წესად უნდა დაუდგინონ პავლე მოციქულის სიტყვები: „არავინ დაძრახონ, იყვნენ მშვიდობისმოყვარენი, შემწყნარენი, იჩენდნენ სიმშვიდეს ყველა ადამიანის მიმართ“ (ტიტ. 3:2);

„რადგან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა. და ვიყავი თქვენთან უძლურებაში, შიშში და დიდ ძრწოლაში. და ჩემი სიტყვა და ქადაგება ჩემი სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისა და ძალის გამოცხადებით. რათა თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით“ (1 კორ. 2:2-5).

განსვენებულმა აბდულ ჰაკმა, ყოფილმა მუსლიმმა მოლამ, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოიქცა ქრისტეს რჯულზე და ისლამის ერთ-ერთი გამოჩენილი ოპონენტი გახდა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, როცა უკვე სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მითხრა: „დონ, მე რომ სიცოცხლის თავიდან დაწყება შემეძლოს, არასოდეს ვიკამათებდი მუსლიმ სწავლულებთან ამ საკითხებზე (მათ შორის მუჰამედის წინასწარმეტყველობის კანონიერებაზე), უბრალოდ აღვავლენდი ლოცვას იესო ქრისტეს, ჯვარცმული, აღმდგარი და ცოცხალი ღვთის მიმართ“.

სწორად მოვიქცევით, თუ გავითვალისწინებთ ამ შესანიშნავი ევანგელისტის ბრძნულ რჩევას.

თავი VII

მუჰამედის წიგნი – ყურანი

„კურთხეულია ის, ვინც ყურანი გამოუგზავნა თავის მონას, რათა სამყაროს მასწავლებელი გამხდარიყო; ის, ვისაც არასოდეს ჰყოლია შვილები და ძალაუფლების მოზიარე“

(ყურანი, 25:1,2)

თუ მისიონერს სურს გაიგოს, რატომ ეწინააღმდეგებიან ასე გააფთრებით მუსლიმები იესო ქრისტეს მოძღვრებას, მან ყურანი უნდა წაიკითხოს. ჩვეულებრივი დასავლელი მკითხველი აღმოაჩენს, რომ ეს წიგნი მისთვის გამოცანაა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენ პრინციპულად განსხვავებული აზროვნების ტიპსა ვართ მიჩვეული, ვიდრე ყურანშია წარმოდგენილი.

დასავლელები ჩვენმა კულტურამ რაციონალისტებად ჩამოგვაყალიბა, გვგონია, რომ ყველაფერი ლოგიკის კანონებს ემორჩილება. საღვთო წერილზე გაზრდილებს კი გვწამს, რომ წმიდა ისტორია დროში ეითარდება.

ბიბლიური ნაკადი

ქრისტიანი მიეჩვია ბიბლიას, რომელიც სამყაროს გაჩენით იწყება. იგი აღწერს რასების წარმოშობას და განმარტავს სხვადასხვა ენების არსებობის მიზეზს.

ბიბლია მოგვითხრობს, თუ როგორ და რატომ გამოარჩია უფალმა აბრაამი (დაბ. 12:1-3).

შემდეგ მოსეს, ებრაელთა კანონმდებლისა და განმათავისუფლებლის ამბავი მოდის. ისტორია გრძელდება იესო ნავეს ძეზე და ქანაანის დაპყრობაზე თხრობით.

საბოლოოდ ისრაელის მიწიერი სამეფო დავითისა და მისი მემკვიდრეების ხანაში ყალიბდება. ეითარდება ღვთისმსახურება და ჰიმნოგრაფია, ჩნდება სამოძღვრებო ლიტერატურა.

შემდეგ წინასწარმეტყველნი ამაღლდნენ განდგომილების პრობლემის გადასაჭრელად. ღვთის რისხვა გამანადგურებელ დაპყრობებსა და განდევნაში მეღავნდება.

დრო და დრო ერი კელავ უბრუნდებოდა საღვთო რჯულს და წელს იმაგრებდა, რასაც კელავ უკუსელა მოსდევდა ხოლმე.

სწორედ ამ პერიოდში იწინასწარმეტყველეს მესიის მოსელა. შემდეგ ოთხსაუკუნოვანმა მღუმარებამ დაისადგურა. ადამიანები საკუთარი თავის ანაბარა დარჩნენ და ახალ-ახალი დამარცხებებით იტანჯებოდნენ. ბოლოს პალესტინა რომაელებმა დაიპყრეს და მომზადდა ნიადაგი მესიის მოვლინებისათვის.

იოანე ნათლისმცემელმა გაუკვალა გზა იესოს, ღვთის კრავს, რომელიც სამყაროს ცოდვათა სატვირთავად მოვიდა.

იესო არის ადამიანი და ღმერთი, იგი უფლის ღვაწლის ნათელი დადასტურებაა, ბორკავს სატანას, იმარჯვებს ღემონებზე, კურნავს ავადმყოფებს, აღადგენს მკედრებს, მართავს ქარსა და ზღვას, წყალს ღვინოდ აქცევს, ამრავლებს პურსა და თევზს. იგი მიუტევებს ცოდვებს და ახალ იმედებს აღვივებს ადამიანთა გულებში. იესო თავისი ჯვარცმითა და აღდგომით კაცობრიობის უდიდეს მტერს ამარცხებს.

ბოლოს ის ამაღლდება და მამასთან ერთად სულიწმიდას მოჰფენს მორწმუნეებს, რათა მისცეს მათ ძალა უფრო დიდი საქმეების საკეთებლად, ვიდრე თავად სჩადიოდა.

მოციქულთა პირველმა თაობამ უფლის მიერ შთაგონებული სახარება დაგვიტოვა. სხვა თვითმხილველებმა ქრისტეს მნიშვნელობა განგვიმარტეს ახალი აღთქმის წერილებში და ბოლოს, ქრისტე იოანეს, „სიყვარულის მოციქულს“, გამოეცხადა.

ყველაფერი ეს დროში ვითარდება. აქვს დასრულებული სახე. უთქმელი თითქმის არაფერი დარჩენილა. ის, რაც ითქვა, კაცობრიობის მთელი დანარჩენი ისტორიისათვის კმარა.

ყურანის პრობლემა

ბიბლიის და ყურანის შედარებისას ჩანს, რომ ყურანი მთლიანად განსხვავებული ტიპის წიგნია. მისი თხრობა დროში არ ვითარდება. დასავლური აზროვნებისათვის, რომელიც მიჩვეულია ისტორიის წრფისებრი განვითარების კონცეფციას და ბიბლიის თხრობით ხასიათს, ყურანი, თავისი აგებულობით, თითქოს ანალიზისათვის მიუწვდომელი ჩანს.

ყურანი მუჰამედის გამონათქვამთა კრებულია. პირველი ექსტაზური ჩვენება მან ორმოცი წლის ასაკში იხილა (610 წელს), ბოლო – გარდაცვა-

ლებამდე ცოტა ხნით აღრე (632 წელს). მუჰამედის გარდაცვალების პერიოდისათვის ყურანი არ ყოფილა მთლიანად ჩაწერილი და მოწესრიგებული (Berton, 1977:119). ეს სამუშაო მისი სიკვდილის შემდეგ შესრულდა. მასალა უნიკალურადაა დალაგებული.

ჯერ ერთი, პირველი თავის გარდა დანარჩენი 113 თავი სიგრძის მიხედვით მისდევს ერთმანეთს, იწყება ყველაზე გრძელით და მთავრდება ყველაზე მოკლეთი.

მეორეც, ბევრ სურაში გზა და გზა ჩართულია მუჰამედის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული გამოცხადებები" (Arberry, 1974:25).

მესამე სირთულეს კი გამოცხადების მუჰამედისეული ანუ ისლამური კონცეფცია ჰქმნის. მუსლიმთათვის „ყურანის ენა ღვთის ენაა და მისი მჭევრმეტყველება გასაოცარია... ის შეუმცდარი მმართველია... აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად და უნიკალურად თანმიმდევრული..." (Margoliouth, 1911:63).

წიგნში „ისლამი შიგნიდან" კრეგი და სპეიტი დიდი მუსლიმი სწავლულის, ყურანის სპეციალისტის ას-სუიტის (1445-1505 წ.წ.) ციტირებას მიმართავენ: „მეცნიერები არ დაობენ იმის თაობაზე, რომ უფლის წიგნი (ყურანი) ნამღვილი სასწაულია, რომელსაც ვერავინ მიბაძავს, ძალიანაც რომ მოინდომოს" (Cragg. Speight, 1980:18).

შედარებით თანამედროვე ეპოქაში კი რაჰმანი წერს: „ყურანი უფლის სიტყვაა... ღვთის სიტყვა წინასწარმეტყველის გულიდან იღვრებოდა" (Rahman, 1979:33).

სწორედ ამგვარი კონცეფციით (ყურანი ღვთაებრივ სასწაულს წარმოადგენს) ხსნიან მუსლიმები სურების აგებულებას. სასწაულს ადამიანური ლოგიკით ვერ ჩაწვდები. არბერი „ყურანის ინტერპრეტაციაში" ამ პრობლემის თაობაზე წერდა: „მე ყურადღებას არ ვაქცევ ამ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს (იმას, რომ სურები სხვადასხვა დროს შექმნილი ფრაგმენტებიდანაა შედგენილი) და ვცდილობ, წარმოვიდგინო სურა, როგორც მხატვრული მთლიანობა,რომლის ნაწილებიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ეთანხმებიან, მდიდარ და მშვენიერ სიმფონიას ქმნიან" (Arberry, 1955:25).

სწორედ ეს საიდუმლოებით მოცული მხატვრული მთლიანობა ათავისუფლებს ტექსტს ყოველგვარი თხრობითობისა და თანმიმდევრულობისაგან. ზოგიერთი სწავლული, რიჩარდ ბელის მსგავსად (1953 წ.), შეეცადა

ყურანში მოვლენები იმ თანმიმდევრობით გადაეჯგუფებინა, როგორც მისდევდნენ ისინი ერთმანეთს მუჰამედის ცხოვრებაში. ყველა დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია ამის გაკეთება, რაც ძალიან სასარგებლო იქნება. ყურანის დალაგება მუჰამედის ცხოვრების მიხედვით მის სიტყვებს სრულიად სხვა კუთხით წარმოგვიჩენს.

მუსლიმთა დამოკიდებულების საკითხი ქრისტიანებისადმი არის იმის ილუსტრაცია, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მასალა.თავისი კარიერის დასაწყისში მუჰამედმა, როცა იმედოვნებდა, რომ იუდეველები და ქრისტიანები იწამებდნენ მას, როგორც წინასწარმეტყველს, თქვა: „ყველაზე ახლობელნი მორწმუნეთათვის არიან ისინი, ვინც ამბობენ: „ჩვენ ქრისტიანები ვართ!“ ეს იმიტომ, რომ მათ ჰყავთ ღვთისმსახურნი და ბერები და არ არიან ქედმაღალნი“ (ყურანი, 5:85 (82)).

მოგვიანებით კი, როდესაც იუდეველებმა და ქრისტიანებმა მუჰამედის წინასწარმეტყველება არ დაიჯერეს, იგი მათ წინააღმდეგ განეწყო, რაც ამგვარ გამონათქვამებში აისახა: „თქვენ, რომლებმაც ირწმუნეთ! არ იმეგობროთ იუდეველებთან და ქრისტიანებთან: ისინი ერთმანეთთან მეგობრობენ. თუ რომელიმე თქვენთაგანი მათ დაუახლოვდება, თავადაც ერთი იმათთაგანი გახდება. ალაჰი არ მფარველობს ურწმუნოებს!“ (ყურანი, 5:56 (54).

როგორც ერთი, ისე მეორე გამონათქვამი ერთი და იმავე სურაში გვხვდება, ოღონდ შებრუნებული ქრონოლოგიით. როგორც ჩანს, აქ უბრალოდ თავმოყრილია ყველაფერი, რაც მუჰამედს იუდეველებისა და ქრისტიანების შესახებ უთქვამს, ისევე, როგორც უამრავი სხვა რამ. არც იმის თქმა შეიძლება, რომ სხვაგან ამ საკითხზე მსჯელობა არ გვხვდება.

ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ კრეფდნენ პირველი ხალიფები, აბუბაქრიდან დაწყებული, მუჰამედის გამონათქვამებს, საკმაოდ საინტერესოა. ისინი აგროვებდნენ ხალხში ზეპირად მოარულ სიტყვებს, ტყავზე, ქვებზე, პალმის ფოთლებზე და ძვლებზე გაკეთებულ ჩანაწერებს. რადგან მაშინდელ არაბულ ანბანში ხმოვანთა აღმნიშვნელი ასო-ნიშნები არ არსებობდა, წლების განმავლობაში ამ ტექსტების წაკითხვის სხვადასხვა ვარიანტები წარმოიშვა. კანონიკური ტექსტის ჩამოყალიბებას 150 წელი დასჭირდა.

„გამოცხადების“ ისლამური კონცეფციაც ყურანის ზემოთ ხსენებულ განმარტებას მიემართება. ქრისტიანებისაგან განსხვავებით, რომლებსაც

სჯერათ, რომ სულიწმიდა შთააგონებს ადამიანებს თავიანთი სიტყვებით გამოხატონ ღვთის ჩანაფიქრი, მუსლიმთა უმრავლესობას სწამს ყურანის მარადიულობა, რომელიც უფლის ტახტთან განლაგებულ ოქროს ფირფიტებზეა ჩაწერილი. თავის დროზე ეს „გამოცხადება“ ჩამოტანილი იქნა ზეციდან ანგელოზის, როგორც ვარაუდობენ, ჯიბრაილის, ხელით, რადგან ის სახელმძღვანელო პრინციპად სჭირდებოდა მუჰამედს.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმებს ყურანი მარადიული ჰგონიათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერი და მგრძნობიარე პოლიტიკური და რელიგიური გენიის ბრწყინვალე პასუხთა კრებულია მე-7 საუკუნეში არაბეთის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემებზე.

დაინტერესებული დასავლელი მკითხველისათვის უამრავი ფასეული წიგნი დაიწერა, სადაც ყურანის წყაროებზეა საუბარი. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ სამი მათგანი: "The Mizan-ul-Hagg" („სიმართლის სასწორი“) by C. G. Piander. დაიწერა სპარსეთში 1835 წელს და მოგვიანებით ინგლისურად ითარგმნა. W. St. Clair Tisdall 1910 წ. London: The Religious Tract Society.

"The Original Sources of The Quran" by W. St. Clair Tisdall. London: Society for Promoting Christian Knowledge, 1911.

"The Sources of Islam" by John C. Blair, Madras: The Christian literature Society for India, 1925.

ბოლო ორ წიგნს საფუძვლად პირველი დაედო. ასე რომ, ბლერის ნაშრომი უკეთესადაა გამაგრებული საბუთებით და მისი საშუალებით შეიძლება გაეცნოთ ყურანის მრავალ წყაროს, რომლებიც მუჰამედის დროს არსებობდნენ არაბეთში და მის ირგვლივ.

დეტალებში ჩაღრმავების გარეშე წარმოვადგენთ ბლერის ნაშრომის ერთგვარ რეზიუმეს:

„ქრისტიანული“ მასალა ყურნაში იმ ქრისტოლოგიურ კამათთანაა დაკავშირებული, მონოფიზიტებსა და ნესტორიანელებს შორის რომ გაიმართა, მუჰამედი ეყრდნობა, აგრეთვე, ერეტიკულ სახარებებს.

„ებრაული“ მასალა თალმუდიდან და მიშნადანაა აღებული. თუმცა გარკვეულ დაბნეულობას იწვევს ის ფაქტი, რომ მუჰამედის აზრით, მოსეს და, მარიამი (1440 წ. ჩვ. წ-აღ-მდე) იესოს დედა არის. ამგვარ ცნობას ის ვერ ამოიკითხავდა ვერც თალმუდში და ვერც მიშნაში.

ყურანში შესამჩნევია, აგრეთვე, ზოროასტრიზმის ნაკადი, რომელიც

სასუფევლის მუჰამედისეულ კონცეფციაში იგრძნობა. ის, რომ ზეცა სავსეა შავთვალა ლამაზმანებით, საკმაოდ ხშირად მეორდება ყურანში.

მიუხედავად მუჰამედის მტკიცებისა, რომ ყურანი სუფთა არაბული მოვლენაა, მეცნიერებმა მასში ეთიოპური ენის, სანსკრიტის, ქალდეურისა და სირიულის ნაკადი დააფიქსირეს (Jetery, 1938).

ზემოთ მოყვანილი ცნობები დახმარებას გაუწევენ ქრისტიანს, გააქარწყლოს მუსლიმთა უაზრო პრეტენზიები ყურანის თაობაზე. ისინი საშუალებას გვაძლევენ, აგრეთვე, მუჰამედს ბუნდოვანების ბრალდება მოვუხსნათ. ახლა ჩვენ ვიცით, საიდან იღებდა იგი მასალას და გავიგეთ, რომ თვითონ არაფერს არ იგონებდა, არამედ ზუსტად გადმოსცემდა იმას, რაც თავისი თანამედროვეებისაგან ესმოდა. მისი გენია აღებული მასალის ოსტატურ წარმოჩენაში გამოიხატა, რაც მის არაბ მსმენელზე თითქმის ჰიპნოზურ ზემოქმედებას ახდენდა. ამ ზემოქმედების საიდუმლო კი იმ ხატოვან თხრობაში იყო, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ბუნების წიაღში გაზრდილი არაბი.

როდესაც მუსლიმები ამბობენ, რომ ყურანის თარგმნა შეუძლებელია, ისინი ენის იმ თავისებურებას გულისხმობენ, რომლის გადმოცემაც თარგმანში შესატყვისი ემოციურობით ვერ ხერხდება. იგივე ითქმის ნებისმიერ ენაზე შექმნილ მაღალი რანგის პოეზიაზე. ის ხომ ბევრს კარგავს თარგმანში. ამ თვალსაზრისით, მუსლიმთა მტკიცება საფუძვლიანია.

სხვა მხრივ კი ყურანის თარგმნა, რასაკვირველია, შესაძლებელია და ის ნათარგმნია კიდეც ას ენაზე. თუ მასალას ქრონოლოგიურად დავალაგებთ, იმ მოვლენათა ფონზე, რომელთაც მუჰამედის ცხოვრებაში ჰქონდათ ადგილი, ტექსტიც უფრო გასაგები ხდება.

სამწუხაროდ, მუსლიმი სწავლულები უარყოფენ ტექსტის ამგვარ რეკონსტრუქციას, რადგან იზიარებენ იმ აზრს, რომ ყურანი ღვთის სიტყვას გადმოგვცემს. ასე რომ, დასავლელი მეცნიერი ყურანის ტექსტის სისტემატიზაციასა და ანალიზში მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაეყრდნოს.

ყურანის მიმართ მუსლიმთა დამოკიდებულების შემდგომი განმარტება შეიძლება გამოადგეს ჩიხში მომწყვდეულ მისიონერს. საერთო აზრის მიხედვით, უფრო გვიანდელ „გამოცხადებებს" შეუძლიათ შეცვალონ უფრო ადრინდელი გამონათქვამები. ასე რომ, ნუ ეძებთ ყურანში აზრთა აბსოლუტურ თანხვედრას.

ის, რომ მუსლიმები არავითარ ინტერესს არ იჩენენ ბიბლიური ტექ-

სტების მიმართ, ყურანთან მათი დამოკიდებულებით აიხსნება. ისინი თვლიან, რომ ყურანი აბსოლუტურად დასრულებული წიგნია. რამდენადაც ცნობილია, მუჰამედს არასოდეს უნახავს ბიბლია არაბულ ენაზე. აქედან გამომდინარე, მას შეეძლო საზეიმოდ განეცხადებინა ყურანის თაობაზე: „და მოგიელინეთ შენ წერილი, რომელიც ამოწმებს ადრე ნათქვამის ჭეშმარიტებას და იცავს მას“ (ყურანი, 5:52 (48)).

და კიდევ:

„არ შეიძლებოდა შექმნილიყო ყურანი ალაჰის გარეშე, არამედ მხოლოდ იმ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რაც მანამდე გამოცხადდა წერილის განსამარტავად. მასში დაეჭვება არ შეიძლება! ის სამყაროთა უფლისაგანაა“ (ყურანი, 10:38 (37)).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუჰამედი ყურანში მანამდე არსებულის გაგრძელებასა და დასასრულს ხედავდა. ამას გარდა, მას ყურანი თვითკმარ ღირებულებადაც მიაჩნდა. ამიტომ ფიქრობენ მუსლიმები, რომ მათ სხვა აღარაფერი სჭირდებათ. დღეს მუსლიმთა საყოველთაო გულგრილობა ბიბლიის მიმართ ძლიერ საგრძნობია.

მისიონერისათვის ბიბლიისა და ყურანის ურთიერთმიმართების საკითხი იმითაცაა გამძაფრებული, რომ მათში გადმოცემული ამბები ერთმანეთს არ ემთხვევა. როგორც აღვნიშნეთ, მუჰამედი ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობოდა, ამიტომ მას არ აღელვებდა ის ფაქტი, თუ რამდენად ეთანხმებოდა მისი წყარო ბიბლიას. დიდი დრო გავიდა, სანამ მუსლიმები ქრისტიანებთან კამათში დაადგენდნენ, თუ რა სერიოზული განსხვავება იყო ყურანში მოთხრობილ ამბებსა და ბიბლიურ გადმოცემებს შორის. სწორედ ამ საკითხმა წარმოშვა ისლამში სერიოზული წინააღმდეგობა. ან მუჰამედი ცდებოდა, ან ბიბლია. მუსლიმებს იმის გაგონებაც არ უნდოდათ, რომ მუჰამედი შეიძლებოდა რაიმეში შემცდარიყო. აქედან გამომდინარე, მუსლიმებმა ებრაელებსა და ქრისტიანებს ბრალდება წაუყენეს, რომ მათ საღვთო წერილი დაამახინჯეს (Hagg, 1980:38). ამ საკითხში დიდი მოთმინებაა საჭირო, რომ მუსლიმებს ბიბლიური ტექსტების ერთიანობა და თანმიმდევრობა დაეუმტკიცოთ (ბიბლიის ავთენტურობის საკითხს ცოტა ქვემოთ განვიხილავთ).

იმის ასახსნელად, თუ რითი იპყრობს ყურანი არაბ მსმენელს, არბერის წიგნს მოვიშველიებთ:

„მოდით, კვლავ განვიხილოთ რიტმი, რადგანაც სწორედ მასში უნდა მოვძებნოთ ყურანის ჰიპნოზური ძალის გასაღები... რიტმულ ფიგურათა

მრავალფეროვნება, რომლებსაც ნაძალადევობის ნიშან-წყალიც კი არ ატყვია და თითოეული მათგანი ადვილად იკვალავს გზას მსმენელისაკენ... რიტმი მსჭვალავს ყურანის მთელ ტექსტს; მაგრამ ეს არის ცვალებადი რიტმი, თხრობითი და საკანონმდებლო ტექსტების წყნარ ტონალობას სა-

კალიფსური ხილვების სულისშემძვრელი მუსიკა, რომელიც დოლის ცემას მოგვაგონებს" (Arberry, 1955, ტ. II, გვ. 8, 9).

დასავლელი მკითხველისათვის, რომელიც არ იცნობს რთულ არაბულ პროსოდიას, თარგმანში ყველაფერი დაკარგულია. ყურანის თარგმანი (Arberry, 1955), ისევე, როგორც მისი რჩეული ნაწყვეტებისა (Dawood, 1956), კრეგის არაჩვეულებრივი ოსტატობის წყალობით, დრო და დრო უახლოვდებიან ორიგინალის ჰიპნოზურ ძალას, მაგრამ მისიონერს კლასიკური არაბულის ბრწყინვალედ შესწავლა მოუწევს იმის გასაგებად, თუ რას გრძნობს მუსლიმი, როცა ყურანის კითხვას უსმენს.

ყურანის შინაარსს ისე ვერ გავიგებთ, თუ მას მთლიანად არ წავიკითხავთ. ისე, ვინც მუსლიმთა შორის აპირებს მუშაობას, მზად უნდა იყოს იმის სათქმელად, რომ ყურანი წაკითხული აქვს.

მილიონობით ადმიანისათვის მუჰამედი უკანასკნელი დიდი წინასწარმეტყველია. ყურანი ასახავს მძვინვარე მონოთეიზმს, უფრო მაღალ ეთიკურ სტანდარტებს მის დროსთან შედარებით, სამოთხის დაპირებას და ჯოჯოხეთის საშინელ სურათებს, ის წარმოადგენს რელიგიური გამონათქვამების კრებულს და ქადაგებს მუსლიმთა განსაკუთრებულობის იდეას, რაც სამყაროს ორ ნაწილად ყოფს: „ისლამის სახლად" „და „მოწინააღმდეგეთა სახლად."

სწორედ ამ წიგნის საშუალებით, რომელიც ახალი აღთქმის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს, და პირადი მაგალითით მოუწოდებდა მუჰამედი თავის მიმდევრებს ისლამის სახელით სამყაროს დაპყრობისაკენ.

მოგვიანებით ჩვენ განვიხილავთ ამ დინამიური რელიგიის ყველა დამახასიათებელ ნიშანს.

იესო ყურანში

ყველაზე საოცარი ისაა, თუ როგორ განიხილება ყურანში იესო. მუჰამედი მას 93-ჯერ ახსენებს. ობიექტური მკითხველი აღმოაჩენს, რომ იესო ყველაზე მიმზიდველი სახეა ყურანში.

იესო იწოდება „მესიად“ იმ ახსნა-განმარტების გარეშე, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა. ის „ღვთის მსახურადაც“ მოიხსენიება. იგი „წინასწარმეტყველია“, მაგრამ მუჰამედი უფრო დიდია მასზე. მას „მოციქულსაც“ ეძახიან იმ აზრით, რომ გასაფრთხილებლადაა მოვლინებული. იესო მოიხსენიება აგრეთვე, როგორც „ღვთის სიტყვა“, ევანგელისტური გაგებით. მუჰამედი მას აღწერს, როგორც „ღვთისაგან გამომავალ სულს“, თუმცა გაუგებარია, რა იგულისხმება ყურანში სულის ქვეშ. იესო მოიხსენიება, როგორც „ნიშანი“, „იგავი“, „მოწამე“, „პატიება“, „დაახლოებული“, „ერთ-ერთი მართალთაგანი“ და „კურთხეული“. თითოეული ეს განსაზღვრება დაწვრილებითაა განხილული წიგნში „იესო ყურანში“ (Parrinder, Jesus in the Quran, 1965: 3-54).

უარყოფითი ცნობები იესოზე

მიუხედავად იმისა, რომ მადლობელი ვართ მუჰამედისა იესოსადმი იმ კეთილგანწყობისათვის, რომელსაც ადგილი აქვს ყურანში, ახლა საკმაოდ უსიამოვნო ამოცანის წინაშე ვდგავართ, განვიხილოთ სახარების წინააღმდეგ მიმართული მასალა.

ძირითად საკითხებში, როგორიცაა ქრისტეს ღვთაებრიობა, ცხებულის იდეა, ქრისტეს ჯვარცმა, აღდგომა, სამპიროვანი ღვთის ცნება, მუჰამედი ბიბლიას ეწინააღმდეგება. ამის თაობაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ თავში: „მუსლიმთა თავდასხმები საღვთო წერილზე“.

მუჰამედის პრობლემები იმით დაიწყო, რომ იგი ვერ ჩახვდა ღვთაებრივ ბუნებას. მან ვერ გაიგო, რას ნიშნავს სიმრავლე ერთიანობაში. ღვთის ერთიანობის იდეის გაზვიადებამ ისლამში აღარ დატოვა ადგილი სიტყვისა და სულის თანაარსებობისათვის. ამან გამოიწვია ყურანში სულისა და სიტყვის მიმართ გარკვეული ორაზროვნება.

მუჰამედი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა იმან, რომ მან ვერ გაიგო, რას ნიშნავს გამოთქმა: „ძე ღვთისა“. მისი აზრი ამ საკითხზე საესებით მიუღებელია ქრისტიანისათვის. იგი ფიქრობდა, რომ ღმერთი დაეშვა დედამიწაზე, დაამყარა სქესობრივი კონტაქტი მარიამთან და ასე იშვა „ღვთის ძე“.

ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, მუჰამედს არ ესმოდა „ღვთის ძის“ განსხვავებული მნიშვნელობა, ვერც იმას უშვებდა, რომ იესო ღვთის „გამოცხადებული სახე“ იყო და შესაბამისად ღვთაებრივი არსება.

მუჰამედის შეხედულებათა საილუსტრაციოდ მოგვყავს ორი ციტატა ყურანიდან: „არ სწამდათ მათ, ვინც ამბობდა: „გწამდეს, ალაჰი მესამეა სამიდან“, რადგან არ არის არავითარი ღვთაება ერთიანი ღმერთის გარდა“ (ყურანი, 5:77 (73)). და კიდევ: „და თქვეს ქრისტიანებმა: „მესია ალაჰის ძეა.“ ეს სიტყვები იმათ სიტყვებს ჰგავს, ვისაც ადრე სწამდა, ალაჰმა შეაჩვენოს ისინი!“ (ყურანი, 9:30).

წარმოიდგინეთ! მუჰამედი სწყეველის ქრისტიანებს, რადგან მათ სწამთ, რომ იესო ღვთის ძეა! რა სამწუხაროა, რომ მუჰამედი არ იცნობდა ღვთის ჭეშმარიტ სიტყვას. იოანე ხომ ასე გასაგებად ამბობდა:

„ვინ არის ცრუ, თუ არა იგი, ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე? იგი ანტიქრისტეა, უარმყოფელი მამისა და ძისა, ყოველი ვინც ძეს უარყოფს, არც მამა ჰყავს. ხოლო ვინც აღიარებს ძეს, მამაც ჰყავს“ (1 იოანე, 2:22-23).

რადგან მუჰამედი შებრკოლდა ღვთის, როგორც მამის, ძის და სულიწმიდის გაგების თვალსაზრისით, ის არ მიიღებდა მოძღვრების დანარჩენ მომენტებსაც: ღვთის განსხვეულებას, ცხებას, ჯვარცმას და კარდინალური მნიშვნელობის ფაქტს – ქრისტეს აღდგომას.

მუჰამედი კატეგორიულად უარყოფს ადამიანში უფლის განსხვეულების შესაძლებლობას. „არ ეგების ალაჰს შვილების ყოლა, დიდება მის სახელს!“ როცა ის რაიმეს გადაწყვეტს, მხოლოდ იტყვის: „იქმენინ!“ – და ისიც იქმნება“ (ყურანი, 19:36 (35)).

მიუხედავად იმისა, რომ, მუჰამედის აზრით, უფალს ყველაფრის ქმნა შეუძლია, რასაც კი მოისურვებს, მაინც არის რაღაც, რისი ჩადენაც მას არ ძალუძს, კერძოდ, ადამიანის სხეულში მოვლინება ღვთის ძის სახით.

მუჰამედს, რომელსაც იმის დაშვებაც კი არ შეუძლია, რომ ღმერთი ადამიანის სხეულში განხორციელდებოდა, ბუნებრივია, ამგვარი განსხეულების მიზეზიც არ ესმოდა. მის შეზღუდულ ცნობიერებას სამარცხვინოდ მიაჩნდა იესოს ჯვარზე გაკერის შესაძლებლობა. მის მიერ ჯვარცმის უარყოფა საკმაოდ შთამბეჭდავია:

„...მათი სიტყვებისათვის: „ჩვენ ხომ მოვკალით მესია, მარიამის ძე, ალაჰის მოციქული“ მათ არ მოუკლავთ და არ გაუკრავთ ჯვარზე იგი, ეს მხოლოდ მოეჩვენათ. ეჭვი ღრღნის მას, ვინც დაობს ამის თაობაზე. მათ არა აქვთ ცოდნა, მხოლოდ ვარაუდობენ. მათ არ მოუკლავთ იგი, რადგან ალაჰმა წაიყვანა ზეცაში. ალაჰი ხომ დიდია და ბრძენი! იმ ადამიანთაგან,

რომლებიც საღვთო წერილს კითხულობენ, ყველას სწამს მისი სიკეთილი და აღდგომის დღეს იგი მათ წინააღმდეგ დაამოწმებს“ (ყურანი, 4:156-157 (157-158)).

მუჰამედი ამტკიცებს, რომ იესო განკითხვის დღეს იმათ წინააღმდეგ დაამოწმებს, ვინც იწამა მისი ჯვარცმა ადამიანთა ცოდვების გამო, დაუღლელ აღდგომა სიკეთილის მესამე დღეს. მუჰამედი არსებითად ღვთაებრივი ჩანაფიქრის ძირითად არსს უარყოფს, იმას, რაც მან ადამიანის გადარჩენისათვის მოიმოქმედა.

გამოსყიდვის იდეა შებრკოლების ლოდად გადაიქცა მუჰამედისათვის. ბევრი რამ იყო დაფუძნებული მის მოძღვრებაში შიშზე, მომავალი განკითხვის დღის წინაშე. ამისი შედეგი კი რჯულისადმი მონური მორჩილება გახლდათ. მუჰამედმა მთლიანად უარყო პირველცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობა. ყურანში აქცენტი გადატანილია რჯულზე და საშინელი განკითხვის დღეზე. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ მუხლს: „თითოეულ სულს ის რომ ჰქონდეს, რაც დედამიწაზე გააჩნდა, შესძლებდა საკუთარი თავის გამოსყიდვას“ (ყურანი, 10:55 (54)).

არავითარი გამოსყიდვა, არავითარი ცხება, არავითარი ჯვარცმა, არავითარი კრავი ღვთისა, თავის თავზე რომ აიღოს სამყაროს ცოდვები, არავითარი სატანა, ცოდვა და სიკეთილი, არავითარი მკვდრეთით აღდგომა საუკუნო ცხოვრებისათვის ყურანში არ არის.

ყურანში უარყოფილია იესოს „ღვთის ძეობა“, მისი ღვთაებრიობა, მისი, როგორც მესიის, ჭეშმარიტი როლი, ჯვარცმა და აღდგომა. მუჰამედმა, ნებით თუ უნებლიედ, გული ამოაცალა სახარებას. მან ვერ შეიცნო იესოში ვერც უფალი და ვერც მხსნელი.

მუჰამედი და მისი მიმდევრები საკუთარ სქემებს მიჰყვებიან. თუ გვსურს ღრმად გავიაზროთ ის მონური მორჩილება, რაც მუსლიმებს რჯულისა და გადმოცემების მიმართ ახასიათებთ, შემდეგ თავებში სწორედ ამ სქემებს უნდა დავუთმოთ ყურადღება.

თავი VIII

ჩამოყალიბებული ისლამი: გადმოცემები და რჯული

„კარგი მაგალითი იყო ალაჰის წარგზავნილი თქვენთვის, ვინც მასზე და განკითხვის დღეზე ამყარებთ იმედს და ხშირად ახსენებთ მის სახელს“ (ყურანი, 33:21).

იმ დროს, როცა მუსლიმთა არმიები მუჰამედის სიკვდილის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ყველაფერს ანადგურებდნენ თავიანთ გზაზე, მუსლიმი სწავლულები აგროვებდნენ იმ ზღვა მასალას, რომელსაც „გადმოცემებს“ უწოდებენ. ეს „გადმოცემები“ შემდგომში კანონიზირებული იქნა. არაბულად მათ „ჰადისებს“ ეძახიან.

იმავდროულად იურიდიული განათლების მქონე პირნი ამ გადმოცემებს ისლამური კანონების შესაქმნელად იყენებდნენ და ჩამოაყალიბეს კიდეც კანონთა კრებული, რომელსაც შარია ეწოდება. ასე და ამგვარად, მუსლიმები, რომლებიც სხვებს იმონებდნენ, თავად აღმოჩნდნენ საკუთარი კანონების მონობაში. ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ცენტრალური ადგილი ისლამში მუჰამედს უჭირავს. ისლამი საკმაოდ ვიწრო ჩარჩოებში ვითარდებოდა, რასაც მუჰამედისა და მისი სამართალმცოდნეების წარმოდგენები განაპირობებდა, რომლებიც ცდილობდნენ, ცხოვრების ყველა მხარის მომწესრიგებელი კანონები წინასწარმეტყველის სიტყვიდან და საქმიდან გამოეყვანათ.

არაბულად არსებობს გამოთქმა, რომელიც წინაპართა გადმოცემებს აღნიშნავს.ეს არის „სუნა“, რაც ითარგმნება, როგორც „გაკვალული გზა.“ მუჰამედის გამოჩენამდე უკვე არსებობდა სუნა, გადმოცემათა კორპუსი, რომელიც არაბთა ქცევას არეგულირებდა. მუჰამედის პიროვნული ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მან მთლიანად შეცვალა თანამემამულეთა ცხოვრება, რომლებიც მანამდე წარმართები იყვნენ.

წარმართობის ერთღმერთიანობით, მატრიარქატის პატრიარქატით და ქრისტიანობისა და იუდაიზმის ისლამით შეცვლამ, მუჰამედის სახელი იმდენად მჭიდროდ დააკავშირა ღმერთთან, რომ ნებისმიერ პრაქტიკულ საჭიროებასთან დაკავშირებული მისი სიტყვები, ყურანში ჩაროული თუ ზეპირად გადმოცემული, ღვთის სიტყვებად აღიქმებოდა, მისი ქცევა კი ყველა მორწმუნისათვის სამაგალითოდ იქცა.

მუჰამედის სუნა (სამაგალითო ქცევა) ყველა მუსლიმისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტი გახდა. თუ სუნა მუჰამედის საქციელის „ცოცხალი გადმოცემის" აღმნიშვნელ სახელად იქცა, ჰადისები წერილობით ფორმაში დაფიქსირებულ გადმოცემას წარმოადგენს.

„გადმოცემის მეცნიერებას" თავისი წესები და პრინციპები უნდა ჩამოყალიბებინა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა რაიმე „გადმოცემისადმი" ავთენტურობის განსაზღვრა.

მუჰამედი: სამაგალითო მუსლიმი

იმას, რომ მუსლიმები თავიანთი წინასწარმეტყველის საქციელს ბაძავენ, თავად მუჰამედმა ჩაუყარა საფუძველი. ყურანში ვკითხულობთ: „კარგი მაგალითი იყო ალაჰის წარგზავნილი თქვენთვის" (ყურანი, 33:21). რადგან ყურანი ამ ერთი ადამიანის გამონათქვამების კრებულს წარმოადგენს და ის იყო ამ წიგნის ერთადერთი განმმარტებელი, ბუნებრივია, „გადმოცემებიც" მის სიტყვასა და საქციელს ასახავენ. ერთი სიტყვით, მუჰამედმა მიანიჭა თავის თავს ის უფლება, რომ მისი სიტყვა საბოლოო ყოფილიყო ნებისმიერ საკითხში.

მიაქციეთ ყურადღება, თუ როგორ აკავშირებს მუჰამედი თავის სახელს ღმერთთან. ეს იშვიათი როდია ყურანში. მუჰამედი მოუწოდებს ყველა ადამიანს, გაჰყვნენ მას:

„ო, ადამიანის ძენო! მე ალაჰის წარმოგზავნილი ვარ თქვენთან, იმისა, ვისაც ეკუთვნის ძალაუფლება ზეცაში და დედამიწაზე — არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა; ის აცოცხლებს და კლავს. იწამეთ ალაჰი და მისი წარგზავნილი — წინასწარმეტყველი, რომელსაც სწამს ალაჰი და მიჰყვევით მას, ვინძლო, ჭეშმარიტი გზა აირჩიოთ!" (ყურანი, 7:158).

„თქვი: თუ გიყვართ ალაჰი, გამომყვეთ მე, მაშინ შეგიყვარებთ ალაჰი და მოგიტევებთ თქვენს ცოდვებს" ალაჰი ჭეშმარიტად მიმტევებელი და მოწყალეა.

„თქვი: დაემორჩილეთ ალაჰსა და მის წარგზავნილს! თუ პირს მიიბრუნებთ... ალაჰს ხომ არ უყვარს ურწმუნონი!“ (ყურანი, 3:29 (31, 32)).

ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტებში მუჰამედი მათ, ვინც მის გზას გაჰყვება, ცოდვების მიტევებასაც კი ჰპირდება. ხოლო იმათ კი, ვინც მას უარყოფს, მუჰამედი უცხადებს, რომ ღმერთი არ შეგიყვარებთო. ამგვარად აიგივებს მუჰამედი ჭეშმარიტ რწმენას მის მიმართ მორჩილებასთან.

ქრისტიანი განცვიფრდება, როდესაც წაიკითხავს, რომ მუჰამედი ცოდვების მიტევებას ჰპირდება მის მიმდევრებს. ამისი აღთქმა მხოლოდ იესოს შეეძლო, რადგან მიტევება მის ჯვარცმას ეფუძნებოდა. მას, როგორც ღვთის ძეს, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით შეეძლო მთელი კაცობრიობის გამოსყიდვა. მუჰამედმა მხოლოდ ცოდვების მიტევება კი არ აღუთქვა თავის მიმდევრებს (ყოველგვარი განმარტების გარეშე, თუ რას ეფუძნებოდა ეს მიტევება), არამედ კიდევ უფრო შორს წავიდა, მან ქრისტესთან შედარებით თავისი უპირატესობის წარმოჩენის მიზნით განაცხადა, რომ იესომ იწინასწარმეტყველა მისი მოვლინება (ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ავტორისეულ კომენტარს წარმოადგენს):

„და აი, თქვა იესომ, მარიამის ძემ (მუჰამედი „ღვთის ძის“ ნაცვლად იესოს ყოველთვის „მარიამის ძედ“ მოიხსენიებს); ო, ისრაელის ძენო! მე ალაჰის წარმოგზავნილი ვარ თქვენთან იმის დასამოწმებლად, რაც ჩემამდე გამოგეცხადათ თორაში და იმის სახარებლად, რომ ჩემს მერე მოვა მოციქული, რომლის სახელიც იქნება აჰმედი“ (ამ სიტყვას არაბულად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „მუჰამედს“, ანუ ის, ვისაც ადიდებენ) (ყურანი, 61:6).

მიაქციეთ ყურადღება გამოთქმა სახარების (ევანგელე) მითვისების მცდელობას.

ჩვენ ვისაუბრეთ მუჰამედის მცდელობაზე, მიეთვისებინა იესოს ადგილი და გამხდარიყო საღვთო წერილის ცენტრალური ფიგურა. ეს მცდელობა კიდევ უფრო ძლიერადაა გამოვლენილი მის მოძღვრებაში, როცა იგი თავის თავს „წინასწარმეტყველთა ბეჭედს“ უწოდებს (ყურანი, 33: 40), რაც წინასწარმეტყველთა ხაზის დასრულებას ნიშნავს. ყურანში მუჰამედი არაერთგზის ცდილობს, იესო რიგით წინასწარმეტყველად წარმოადგინოს, თავისი თავი კი – „წინასწარმეტყველთა ბეჭდად“ ანუ უკანასკნელ წინასწარმეტყველად. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ რჯული და ტრადიცია მხოლოდ ერთადერთი ადამიანის სიტყვასა და საქმეს ეფუძნებოდა.

გადმოცემისა და რჯულის საფუძვლები

პროცესი, რომლის დროსაც გადმოცემის კანონიზაცია და მისგან რჯულის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა, საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მას თან ახლდა გაცხოველებული კამათი და წინააღმდეგობები. გადმოცემათა კანონიზაციამდე რჯულის ოთხი ძირითადი სკოლა ჩამოყალიბდა, რომელთაგან თითოეული მათგანი მოძღვრებაში წარმოდგენილ განსხვავებულ წყაროს ეფუძნებოდა. მოგვიანებით აღმოცენდა ოფიციალურად აღიარებული ექვსი ნუსხა გადმოცემებისა (ჰადისებისა). სანამ ამ პროცესის აღწერას შევუდგებოდეთ, კარგი იქნებოდა განგვესაზღვრა ის ძალა, რომელიც ადამიანებს უბიძგებდა, სიცოცხლე მიეძღვნათ ამ ამოცანისათვის.

მართვის იდეა უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა მუსლიმთათვის. ყურანში არაერთგზის მეორდება, რომ აუცილებელია იყო „სწორად დამოძღვრილი". ღვთის ნების ცოდნა უმთავრესია ისლამში. რაჰმანი თავის წიგნში „ისლამი" წერს: „ადამიანმა უნდა აღმოაჩინოს, გაიცნობიეროს და შეასრულოს ეს ნება, რომელიც ყურანშია გადმოცემული, მუჰამედი კი მისი საუკეთესო კომენტატორია" (Rahman, 1979:83). ამ სქემის მიხედვით, მუჰამედია მთელი სისტემის ფუნდამენტი. ის იყო ე. წ. „ გამოცხადების" ერთადერთი მოწმე და მისი ერთადერთი კომენტატორი. მისი ქცევა ნორმა იყო ყველა მუსლიმისათვის. ყველაფერი ამ კაცის სიტყვასა და საქმეს უნდა მისადაგებოდა.

უცოდველი და შეუმცდარი ხელმძღვანელის მოთხოვნილება

ამგვარი მიდგომის ფონზე მუჰამედის უცოდველობისა და შეუმცდარობის მოძღვრების ჩამოყალიბება მხოლოდ გარკვეულ დროს მოითხოვდა (Rahman, 1979:69). აქედან კი ერთი ნაბიჯია მუჰამედის ღვთაებრიობის იდეამდე (ვანდერ ვერფი, 1977:237). პაკისტანის ერთ-ერთი ეკლესიის ეპისკოპოსთან კერძო საუბარში 1990 წლის ნოემბერში, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მალე გამოქვეყნდებოდა წიგნი, რომელიც მუჰამედის ღვთაებრიობის მტკიცებას ეძღვნება. მე თავად შევაგროვე ურდუსა და პენჯაბის ენაზე შექმნილი ჰიმნები, რომელშიც თაყვანს სცემენ მუჰამედს, როგორც ღმერთს.

ზვემერი თავის დროზე ბრალს სდებდა მუსლიმებს ამაში და წერდა:

„მუსლიმური სამყაროს ცოდვა და ბრალი იმაშია, რომ ისინი სხვას

მიაგებენ ქრისტესათვის განკუთვნილ დიდებას, მუჰამედი პრაქტიკულად მუსლიმური სამყაროს ქრისტეა...

მუჰამედმა დაიკავა იესო ქრისტეს ადგილი არა მარტო მუსლიმურ გადმოცემებში და უბრალო ადამიანთა გულებში, არამედ ყველა მუსლიმის ცნობიერებაში" (Zwemer, 1915:157, 166).

როცა მუსლიმი თეოლოგები მთელ თავიანთ ენერგიას ქრისტეს ღვთაებრიობისა და მისი მისიის უარყოფას ანდომებენ, სულიერ საზრდოს მოწყურებული მუსლიმები მუჰამედს მიაწერენ იმ მადლს, რაც მხოლოდ ქრისტეს საშუალებით შეიძლება მიიღონ. ესეც თეოლოგთა დამსახურებაა, რადგან მათ საკუთარი მოძღვრების დასაცავად მუჰამედის უცოდველობის იდეა წამოაყენეს.

სწორედ ძალაუფლებისადმი რჯულისა და გადმოცემების დამოკიდებულების წყალობითაა, რომ ისლამი ასე რადიკალურად განსხვავდება ქრისტიანობისაგან.

რადგან ისლამში ყველაფერი მუჰამედის ცხოვრებას ეფუძნება, მუსლიმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ როგორ იქცეოდა მუჰამედი ამა თუ იმ სიტუაციაში, ან იმის გამოცნობას, როგორ მოიქცეოდა იგი მოცემულ მომენტში. თავიანთი მოძღვრების დასაცავად თეოლოგები წერილობით გადმოცემებს ეძებენ. ნებით თუ უნებლიედ, ამან გადმოცემათა (ჰადისების) გამრავლება გამოიწვია. ჰადისების ერთ-ერთი ცნობილი შემკრების ბუჰარის დროს (870 წ.) მილიონზე მეტი გადმოცემა არსებობდა. ბუჰარიმ მათგან მხოლოდ 7 ათასი მიიჩნია სარწმუნოდ.

რჯულის მცოდნენი ჩქარობდნენ რჯულის კოდიფიცირებას და ის მანამდე დაასრულეს, სანამ გადმოცემათა შეკრება დამთავრდებოდა. დამატებაში მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამართლის ოთხი კორპუსი კოდიფიკატორთა სახელების მიხედვით.

პირველი მათგანი – ჰანიფა 767 წელს გარდაიცვალა, უკანასკნელი – ჰანბალი – 855 წელს. ხოლო ჰადისების ექვსი ოფიციალურად აღიარებული კრებულის შემდგენლები ბუჰარის ეპოქიდან (რომელიც 870წ. გარდაიცვალა) ალ-ნასაის დრომდე (გარდ. 916 წელს) განაგრძობდნენ მუშაობას.

ჩვენი, ამ საქმიანობის დასრულებიდან ათასწლეულების შემდეგ მცხოვრებთა აზრით, ჰადისების შეგროვებამ და კოდიფიკაციამ და მათგან შარიათის კანონების შექმნამ, გამოიწვია მუსლიმთა ჩაკეტვა მეშვიდე საუ-

კუნის მოდელში და მათი რელიგიის დაფუძნება მუჰამედის სიტყვასა და საქმეზე, რომელიც მისი სიკვდილიდან ორნახევარი საუკუნის შემდეგ ლეგენდარულ იერსახეს იღებს.

ჰადისები და შარია სახარების წინააღმდეგ

სახარების სულიწმიდით შთაგონებული ავტორები ამ გზით არ წასულან. მაგალითად, იოანე წერდა: „კიდევ ბევრი სხვაც არის, რაც იესომ მოიმოქმედა, რომელიც დაწერილებით რომ დაწერილიყო, ეფიქრობ, თვით ქვეყნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“ (იოანე, 21:25). იოანე იმის თაობაზეც გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებას, თუ რატომ არ დაიწერა ყველაფერი. ჯერ ერთი, ის თვლის, რომ რაც დაიწერა, სრულიად საკმარისი იყო ადამიანში რწმენის გასაღვივებლად: „მოწაფეების წინაშე ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ, რაც ამ წიგნში არ დაწერილა. ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, და რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით“ (იოანე, 20:30-31).

მეორეც, ჩემი აზრით, უფალს არ სურდა, რომ სახარება პირველი საუკუნის იუდაისტურ ტრადიციონალიზმში ჩაკეტილიყო. ებრაული გადმოცემების ცოდნა საჭიროა, ისინი ნათელს ჰფენენ ტექსტს, მაგრამ არ არის აუცილებელი იუდეველთა წეს-ჩვეულებების შესრულება, რადგან ისინი იმ პერიოდის კულტურული გარემოთი იყვნენ განპირობებულნი. გარდა ამისა, უფალმა ეკლესიას სულიწმიდა მისცა გზის მაჩვენებლად, რომელმაც დინამიურად და ცოცხლად უნდა წარმართოს მისი ცხოვრება ისე, რომ ნებისმიერ კულტურულ კონტექსტს მიესადაგოს. უფალმა მასალის შეზღუდვის წყალობით გაანთავისუფლა სახარება სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ გარემოში გასავრცელებლად. არაჩვეულებრივმა მოქნილობამ, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის განსხვავებულ ფორმებსა და სტრუქტურებში გამოიხატა, საშუალება მისცა ღვთის სასუფეველს, ყველა კულტურაში გაედგა ფესვი.

ისლამი კი მეშვიდე საუკუნის არაბული მოდელის ერთგულია, რომელიც მას მთელ დანარჩენ სამყაროში სურდა გაევრცელებინა, თუ საჭირო გახდებოდა, ძალის გამოყენებითაც.

ის, რომ ისლამმა ვერ შესძლო საკუთარი კანონებისა და გადმოცემების მიხედვით ცხოვრება, აისახა მრავალრიცხოვან წინააღმდეგობაში, რეფორ-

მათა ჩატარების მცდელობებში, ახალ-ახალ დამატებებში, კონკრეტულ კომპრომისებში და თანამედროვეობასთან შეგუებისაკენ მისწრაფებაში, რამაც ერავალ მუსლიმურ სექტასა და მიმდინარეობას დაუდო სათავე.

ისლამში გამუდმებულ დაძაბულობას ქმნის წინააღმდეგობა უხსოვარ დროს ჩამოყალიბებულ მკაცრ კანონებსა და ადამიანის სულიერ მოთხოვნებს შორის, რომელთა დაკმაყოფილების წყაროდ თანამედროვე კულტურა გვევლინება.

მისიონერი უნდა იცნობდეს ორთოდოქსულ ისლამს არა მარტო იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს იგი მისი ერთგული მუსლიმებისათვის, არამედ იმის მისახვედრადაც, რატომ ცდილობენ არაორთოდოქსული ფორმები, გვერდი აუარონ მის კანონებს.

ამ წიგნში ჩვენ განვიხილავთ ისლამის სხვადასხვა ფორმას, მაგრამ მანამდე მოდით, ორთოდოქსული ისლამის ძირითად პრინციპებსა და რიტუალებს გავეცნოთ.

თავი IX

მუსლიმთა რწმენა და მოვალეობანი

„და ჩვენ უმსუბუქესზე მსუბუქს გაგხდით“
(ყურანი, 87:8).

წინა თავებიდან შეეიტყვეთ, რომ მუსლიმები ღვთის ნების შეცნობისაკენ მისწრაფებაში მუჰამედს ბაძავენ. ცოცხალი გადმოცემა (სუნა) თანდათან წერილობით გადმოცემად (ჰადისებად) იქცა. დაგროვილი მასალიდან გამომდინარე, სამართალმცოდნეებმა დაიწყეს კანონების ჩამოყალიბება (შარიათი), რომლებსაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო უნდა მოეცვათ.

თანდათან ჩამოყალიბდა სტანდარტი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მუსლიმებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის ხუთ კატეგორიას მოიცავდა:

„...მისასალმებელი საგნები, რეკომენდირებული საგნები, მსჯავრდებული საგნები, აკრძალული საგნები, და ცენტრალური რაიონი, სადაც მოქმედება... შეიძლება ნეიტრალურად მივიჩნიოთ“ (Cragg, 1969:53). მუსლიმებმა თანდათანობით შეიძინეს რწმენა და ჩვეები, რაც მათ მეზობელი ხალხებისაგან განასხვავებდა.

კანონთა კოდექსისა და გადმოცემების ჩამოყალიბებასთან ერთად დამპყრობლური ომების წყალობით ისლამის გავრცელების არე ფართოვდებოდა. მუსლიმებმა სხვა რწმენის მქონე ხალხებიც დაიპყრეს. აუცილებელი გახდა ამ შედარებით ძველი რელიგიების მიმდევრებთან დასაპირისპირებლად ისლამის პოზიციის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, „ეს აუცილებლობა გამძაფრდა... მოაზროვნე ჯგუფების გაჩენით თავად ისლამის წიაღში, რადგან საჭიროა იცოდე, რა არის ჭეშმარიტი ისლამი, რათა გაარჩიო ის იმისაგან, რასაც ისლამად ყოფნის პრეტენზია აქვს“ (Jeffery, 1958:71).

რწმენისა და წეს-ჩვეულებების გამოხატულებანი ორ საკვანძო ცნებაში გაერთიანდა — ესენია: იმანი და დინი.

იმანი ფართო გაგებით აღნიშნავს რწმენას და მოვალეობას, მიიღო ღმერთი, როგორც უფალი და მთლიანად დაემორჩილო მის ნებას, რომელიც კანონში, შარიათშია გადმოცემული“ (Nickolls, 1979:155-156). ვიწრო გაგებით კი ის რწმენის ექვს დოგმატს შეიცავს. აი, ისინი:

1. ღვთის რწმენა

2. ანგელოზების რწმენა

3. წიგნების რწმენა

4. წინასწარმეტყველთა რწმენა

5. განკითხვის დღის რწმენა

დინი კი განსაზღვრავს მოვალეობებს, რომლებსაც ერთ დროს „ისლამის ნიშანსვეტებს“ უწოდებდნენ:

1. რწმენის სიმბოლოს აღიარება (შაჰადი)

2. რიტუალური ლოცვების შესრულება (სალაათი)

3. მონეალების გაცემა (ზაქათი)

4. მარხვის შენახვა (საუმი)

5. მოძღოცველობა (ჰაჯი)

6. საღვთო ომი (ჯიჰადი)

(ზოგიერთი კოდექსი ამ უკანასკნელ პუნქტს არ შეიცავს).

მათი უნიკალური ხასიათის გამო, ღირს თითოეული ამ მოვალეობის განხილვა.

იმანი

1. ღვთის რწმენა

მუსლიმები თაყვანს სცემენ ალაჰს. ეს სიტყვა არაბულად ღმერთს ნიშნავს. მუჰამედი ასწავლიდა, რომ ალაჰს სწორი არა ჰყავს, ის ერთადერთია. იგი რადიკალურად განსხვავდება ადამიანისაგან. მას არა აქვს არც სახე, არც ხელები და არც არაფერი ისეთი, რითაც შეიძლებოდა ადამიანისათვის შეგვედარებინა. დაუდ რაჰბარი წიგნში ''God of Justice'' ამტკიცებს, რომ ყურანში დახატული ღვთაების ძირითადი არსი პირქუში, შურისმაძიებელი სამართლიანობაა (Rahbar, 1979:8).

მუსლიმები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ღვთის სახელებს. ყურანი ამბობს, რომ ღმერთს უამრავი მშვენიერი სახელი აქვს, თუმცა არ

ჩამოთვლის მათ (ყურანი, 7:179 (180). მუსლიმურ ჰადისებში ნათქვამია, რომ ღმერთს 99 ულამაზესი სახელი გააჩნია. ამ სახელთა მოსახსენიებლად ხშირად კრიალოსანი გამოიყენება.მუსლიმურ კრიალოსანზე 33 მძივია ასხმული, მათ სამჯერ ჩამომარცლავენ ხელით, რათა 99 სახელი წარმოთქვან (Jeffery, 58:93). იგულისხმება, რომ ამ მოქმედების დროს ადამიანზე უდიდესი მადლი გადმოდის.

ყურანის 112-ე თავში ჩამოყალიბებულია ღვთის მუჰამედისეული კონცეფცია:

„თქვი: „ის-ალაჰი-ერთია.
ალაჰი მარადმყოფია;
არ უშობია და არ შობილა,
და არ ჰყავდა მას სწორი.“

2. ანგელოზების რწმენა

ანგელოზები — ქმნილებანი, რომელთაც თავისუფალი ნება არ გააჩნიათ. აქედან ოთხი მთავარანგელოზია: ჯაბრაილი, გამოცხადების ანგელოზი; მიქაელი — მფარველი ანგელოზი; ისრაფილი, რომელიც საყვირში ჩაჰბერავს განკითხვის დღეს; და აზრაილი — სიკვდილის ანგელოზი. სატანა (იბლისი) ადრე ანგელოზი იყო, მაგრამ არ დაემორჩილა უფალს და მანაც ის ჯინად გადააქცია (Glasse, 89:42). არსებობს, აგრეთვე, ანგელოზთა სხვა კატეგორიები, რომლებიც ღმერთს ემსახურებიან.

„ჯინები — ზებუნებრივ არსებათა განსხვავებულ ტიპს წარმოადგენენ... ისინი ცეცხლისაგან აღმოცენდნენ, იყვნენ ქალებიც და კაცებიც (ანგელოზები უსქესონი არიან), მოკვდავნი... მათ შეუძლიათ დაეუფლონ ადამიანებს. არსებობს გადმოცემები ჯინებისა და ადამიანების ქორწინების შესახებ“ (Jeffery, 58:105). ადამიანის დაბადებისას ითვლება, რომ იმ წუთებში საწინააღმდეგო სქესის ჯინიც იბადება.

3. წმიდა წიგნების რწმენა

მუჰამედსა და მის თანამედროვეებს განსკუთრებული შეხედულება ჰქონდათ ყურანის ღვთიური წარმოშობის შესახებ. ეტიმოლოგიურად ყურანი მხოლოდ „წარმოთქმას“ ნიშნავს. თეოლოგიურად კი ის „უფლის სიტყვას“ აღნიშნავს. ის მარადიულია და ხელთუქმნელი. მუსლიმებს სწამთ, რომ „...არაბული ასლი, რომელიც დღეს გამოიყენება, ზუსტად ასახავს ზეციურ პროტოტიპს და ის ღმერთმა წინასწარმეტყველ მუჰამედს უკარნახა“ (Hitti, 70:26).

მუსლიმებს სჯეროდათ, რომ ადამიდან მუჰამედამდე სულ 124 000 წინასწარმეტყველი მოევლინა დედამიწას და ყველას იმგვარადვე მიეცა თავისი წიგნი, როგორც მუჰამედს ყურანი. ყველა წიგნი დაიკარგა მოსესთვის მიცემული თაურეთის (რჯული), დავითისთვის მიცემული ზაბურის (ფსალმუნი) და იესოსათვის მიცემული ინჯილის (სახარება) გარდა.

მუსლიმური რწმენის თანახმად, ყველა გამოცხადება ღვთაებრიეია და მარადიული. თითოეული მათგანი შეიცავს თავისი დროისა და იმ ხალხის შესაფერ წეს-ჩვეულებებს, რომელმაც ის მიიღო, თუმცა მოგვიანებით გამოცხადებული კანონები და თაყვანისცემის წესები აუმჯობესებენ ეთიკისა და რწმენის ადრინდელ სისტემას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ისლამი უკანასკნელ და საუკეთესო გამოცხადებად ითვლება, კაცობრიობის მომავალიც მასზეა დამოკიდებული (Calverley, 58:65).

4. წინასწარმეტყველთა რწმენა

გიბის მიხედვით „დოქტრინა მოციქულების (წინასწარმეტყველების) შესახებ, როგორც შაჰადი გვიჩვენებს, ღვთის ერთიანობის მოძღვრების შემდეგ, ყურანის ცენტრალური მოძღვრებაა“ (Gibb, 49:39). უფალი ყველა დროში უგზავნიდა ადამიანებს წინასწარმეტყველს გზის მაჩვენებლად. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმებს ყველა წინასწარმეტყველისა სწამთ, მუჰამედი მათ შორის უკანასკნელად და ყველაზე დიდად მიაჩნიათ. მუჰამედი ისე შორს წავიდა, რომ თვით იესოს აწინასწარმეტყველებინა მისი მოვლინება. მიაქციეთ ყურადღება, რომ აჰმედი მუჰამედის ეკვივალენტია:

„და აი, თქვა იესომ, მარიამის ძემ; ო, ისრაელის ძენო! მე ალაჰის წარმოგზავნილი ვარ თქვენთან იმის დასამოწმებლად, რაც ჩემამდე გამოგეცხადათ თორაში და იმის სახარებლად, რომ ჩემს მერე მოვა მოციქული, რომლის სახელიც იქნება აჰმედი“ (ყურანი, 61:6).

5. განკითხვის დღის რწმენა

მუჰამედის ქადაგებებში ხშირად გაისმის განკითხვის დღის, ანუ როგორც ზოგჯერ თავად უწოდებს ხოლმე, საშინელი სამსჯავროს, თემა. იგი დაკავშირებულია მუჰამედის მოძღვრებასთან აღდგომის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ.

მისი სისტემა ეფუძნებოდა იდეას, რომ უფალი „...განსჯის ადამიანებს ერთგულთა დასაჩუქრებისა და ბრალის მქონეთა დასჯის მიზნით. განისჯებიან არა მარტო ადამიანები, არამედ ჯინები და ცხოველებიც კი... თითოეულის საქმენი სასწორზე აიწონება და განაჩენიც იმაზე იქნება დამო-

კიდებული, თუ რომელი თასი გადასწონის. ის, ვისი კეთილი საქმეებიც ბოროტს აღემატება, გადარჩება; ის კი, ვისი კეთილი საქმეების თასიც მსუბუქი აღმოჩნდება, დაისჯება" (Farah, 68:114,115).

ყურანი სამოთხის ასეთ აღწერას გვთავაზობს:

„და წინ მდგომნი – ვინ არიან ისინი?ისინი არიან უფალთან დაახლოებულნი, რომლებიც სიტკბოების ბაღებში იქნებიან... იდაყვდაყრდნობილნი ძვირფასი ქვებით მორთულ ტახტებზე ერთმანეთის პირისპირ. მარად ახალგაზრდა ყმაწვილები მიართმევენ მათ იმ მაცოცხლებელი სასმელით სავსე თასებსა და სასმისებს, რომლითაც თავი არ ასტკივდებათ და არ გაბრიყვდებიან. ხოლო შენახული მარგალიტის დარი შავთვალწარბიანები მათი ჩადენილი საქმეების სანაცვლო იქნება" (ყურანი, 56:10-12, 15-24).

ჯოჯოხეთის სურათიც ამგვარადვე ხატოვანია ყურანის ქვემოთ მოყვანილ ციტატებში:

„ჭეშმარიტად, ჩვენი ნიშნების უარმყოფელთ ცეცხლში დაგწვავთ: როცა კანი შემოეძარცვებათ, ახლით შეეცვლით, რათა გაეუხანგრძლიეოთ ტანჯვა" (ყურანი, 4:59);

„მათ უკან გეენა იქნება და აშმორებულ წყალს შეასმევენ. გაჭირვებითა და ზიზღით შესვამენ მას. სიკვდილი ყოველი მხრიდან ჩააცქერდებათ თვალებში, მაგრამ არ მოკვდებიან და მათ უკან საშინელი ტანჯვა იქნება" (ყურანი, 14:19,20).

ქრისტიანებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა როლი ეკისრება ქრისტეს განკითხვის დღეს ყურანის მიხედვით:

„იესო ციდან დაეშვება და დამასკოს მეჩეთში გამოჩნდება... იგი მოკლავს გოგსა და მაგოგს, დაქორწინდება, იყოლიებს შვილებს და 40 წლის განმავლობაში იმეფებს დედამიწაზე, სადაც დაამყარებს მშვიდობას ადამიანთა და ცხოველთა შორის" (Gadeiroy-Demombynes, 68:52,53).

6. ღვთაებრივი ნების რწმენა

არც ერთ მოძღვრებას არ გამოუწვევია ისლამში ისეთი კამათი, როგორიც სწავლებას „ყისმათის" (ფატალიზმი) შესახებ.

გიბი წერს: „მის ნებას ვერავინ გაექცევა, ყველაფერი განსაზღვრულია მის მიერ და ჩაწერილია „წინასწარ გამზადებულ დაფაზე." ადამიანები მისი ქმნილებანი არიან... და თავიანთი სურვილები მის გზებს უნდა დაუქვემდებარონ, რაც არ უნდა ბუნდოვანი იყოს ეს მათთვის" (Gibb, 1949:38).

ამ დოქტრინას მუჰამედის შემდეგი სიტყვები დაედო საფუძვლად: „ასე

გააცურებს ალაპი იმას, ვისაც მოისურვებს, და სწორი გზით წაიყვანს, ვინც სურს, და არავინ უწყის უფლის ბრძოლები, მის გარდა“ (ყურანი, 74:3).

ალ-აშარი (გარდაიცვალა 935 წელს), ცნობილი მუსლიმი თეოლოგი, ასეთ კომენტარს გვთავაზობს:

„საბუთი იმისა, რომ უფალი თავისუფალია თავის ქმედებაში, არის ის, რომ იგი უმაღლესი ხელისუფალია, არავის ემორჩილება და არავინაა მასზე მაღლა, ვინც ნებას დართავდა, განსჯიდა, აუკრძალავდა ან მიაწერდა იმას, რაც უნდა გაეკეთებინა და საზღვარს დაუდებდა მის საქციელს. რადგან ეს ასეა, არაფერი ღვთისაგან გამოსული არ შეიძლება იყოს ბოროტი“ (Cragg, 69:12).

ამგვარად უელიდა გვერდს ალ-აშარი ღვთის პასუხისმგებლობის საკითხს ჩადენილ ბოროტებაზე. ის ღმერთს კეთილისა და ბოროტის მილმა აყენებდა და ამით მას ამორალურს ხდიდა.

კრეგი ცდილობს, ყურანის სხვა ციტატებზე დაყრდნობით შეარბილოს ამ დოქტრინის სიმკაცრე:

„ისლამის ბრძნული პოზიცია აქ დეტერმინიზმის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისადმი ბრმა რწმენით როდი გამოიხატება... ის უფრო იმაში მჟღავნდება, რომ ისლამურ ხედვას სურს, ყველაფერი ღვთაებრივი მმართველობის სფეროში ჩართოს. მოვლენები უშუალო კავშირშია ერთმანეთთან და ღვთის ნებასთან... ეს შეხედულება არ გამორიცხავს ადამიანური ქმედების უდიდეს როლს“ (Cragg, 69:13).

ესენია რწმენის დოგმატები, რომელთა საშუალებითაც იცავდა ისლამი თავის მოძღვრებას მეზობლების, პირველ რიგში, იუდეველებისა და ქრისტიანებისაგან.

ად-დინი

დინს ხშირად თარგმნიან, როგორც „რელიგიას,“ მაგრამ ის უფრო ფართო მნიშვნელობის შემცველი სიტყვაა. თუ შარიათში ღვთის მოთხოვნებია ადამიანის მიმართ თავმოყრილი, დინი ადამიანის პასუხს წარმოადგენს ამ მოთხოვნებზე. ესაა ცხოვრების წესი. დინი წარმართავს თეოლოგიას, ლიტერატურას, პოლიტიკას, მორალს, სამართალსა და ცხოვრების ყველა დანარჩენ ასპექტს, რაც ადამიანის აზროვნებასთან და საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

„დასავლელი ადამიანისათვის, რომელიც რელიგიას პიროვნების კერძო

საქმედ აღიქვამს, ეს ფუნდამენტური თეზისია, რომლის გაცნობიერებაც აუცილებელია ისლამის არსში ჩასაწვდომად. რელიგია კი არ დომინირებს მუსლიმის ცხოვრებაში, არამედ თავად წარმოადგენს მის ცხოვრებას" (Roberts, 82:35).

იმანის, ანუ რწმენის მსგავსად, დინმაც, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ყველა მხარეს არ მოიცავს, გარკვეული კრიტერიუმები გამოიმუშავა, რაც ისლამს სხვა რელიგიებისაგან განასხვავებს. მათ შეიძლება რელიგიური მოვალეობანი ვუწოდოთ. ერთ-ერთი ადრეული გადმოცემა, რომელიც იბნ უმარს (გარდაიცვალა 634 წ.) მიეწერება, გვიმტკიცებს:

„ისლამი ხუთ რამეს ეფუძნება: რწმენას, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალაჰისა (შაჰადი), ლოცვების შესრულებას (სალავათი), მოწყალების გაცემას (ზაქათი), მომლოცველობას ანუ მექის მოხილვას (ჰაჯი) და მარხვის შენახვას რამაზანის თვეში. ასე გვასწავლა ალაჰის წინასწარმეტყველმა, მაგრამ ამათზე უფრო მნიშვნელოვანია საღვთო ომი (ჯიჰადი), რომელიც მშვენიერი რამ გახლავთ" (ციტირებულია: Jeffery, 58:81).

ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ ხუთი რიტუალის მოკლე მიმოხილვას.

1. რწმენა (შაჰადი)

შაჰადი რწმენის ერთ-ერთი უმოკლესი სიმბოლოა. ის ამტკიცებს, რომ „არ არის ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი." ამ ფრაზის პირველი ნაწილი მოსეს სიტყვებს მოგვაგონებს მეორე რჯულის წიგნიდან: „ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი" (მეორე რჯ. 6:4).

მეორე ნაწილი კი თავად მუჰამედის შეთხზულია. მუსლიმად გახდომისათვის საკმარისია ამ ფრაზის წარმოთქმა. ამ სიტყვებით (არ არის ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი) ეგებებიან ახლად დაბადებულ მუსლიმს და ამავე სიტყვებით აცილებენ მომაკვდავს.

„ამ ფრაზას ხშირად იმეორებენ მორწმუნეები. მას მღერიან დერვიშები თავიანთი ორდენის შეკრებებზე. იგი ამოტვიფრულია ერთ-ერთი მუსლიმური სახელმწიფოს (საუდის არაბეთის) დროშაზე. რწმენის ამ მოკლე სიმბოლოს ფსიქოლოგიური და რელიგიური მნიშვნელობა ისლამისათვის განუზომელია" (Calverley, 58:56).

2. რიტუალური ლოცვების შესრულება (სალავათი)

სალათის განხილვისას ვეყრდნობით ჯონ ბლერის ბრწყინვალე გამო-

კვლევას: "The Sources of Islam" (Blair, 1925:188-135).

როგორც ვიცით, თავიდან მუჰამედს იუდეველებთან და ქრისტიანებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ებრაელები დღეში სამჯერ ლოცულობდნენ მითითებულ დროს. ის, რომ მუჰამედი მათ ბაძავდა, ყურანშიც აისახა: „ილოცე დღის დასაწყისში და დასასრულს და ღამის საათებში."

მოგვიანებით, ზეცაში მოგზაურობისას, ღმერთმა მუჰამედს უთხრა, რომ აუცილებელი იყო დღეში ხუთჯერ ლოცვა. სამწუხაროდ, ამაზე ყურანში არაფერია ნათქვამი, იქ ლაპარაკია დღეში ოთხჯერ ლოცვაზე.

„დიდება ალაჰს, როცა გისწრებთ საღამო და როცა გისწრებთ დილა! მისი დიდება გაისმის ზეცაში და მიწაზე საღამოობით და როცა შუადღე დგება" (ყურანი, 30:16,17 (17-18)).

აი, მუსლიმთა მიერ შესასრულებელი ლოცვების რეგლამენტი:

დილით ადრე. მზის ამოსელამდე (ფაჯრი)

როდორც კი შუადღე ვადაა (ზუჰრი)

შუადღის შემდეგ. დღის ვანმაველობაში (ასრი)

როდორც კი მზე ბაეა (მაღრიბი)

მწუხრის შემდეგ (იშა)

(აღი. 1054. სქოლიო: 3521)

ჩვენთვის ცნობილია, რომ მუჰამედმა თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ელემენტები სამხრეთ არაბეთში მცხოვრები ნახევრადქრისტიანული ჯგუფის, საბეელებისაგან, გადაიღო. ტრიმინგემი თავის წიგნში "Christianity Among the Arabs in Preislamic Times" (Trimingham, 1979:296-301) აღგვიწერს, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები. საბეელები დღეში შვიდჯერ ლოცულობდნენ, აქედან ლოცვის ხუთი დრო მუჰამედის მიერ დაწესებულ რეგლამენტს ემთხვეოდა. ბლერმა თავის გამოკვლევაში დაადგინა, რომ ამგვარ პრაქტიკას ჯერ კიდევ ძველი სპარსელები, ცეცხლთაყვანისმცემლები, მისდევდნენ.

ეს რეგლამენტირებული ლოცვები, რომელშიც ყურანის ფრაგმენტებია ჩართული, უფრო ფორმალურ ღვთისმსახურებას წააგავს. რიტუალი სპონტანურ მიმართვასაც უშვებს ღვთისადმი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლოცვისათვის მზადებას. ბევრი რამ მოწმობს იმას, რომ მუჰამედმა ესეც იუდეველთაგან გადაიღო.

როგორც ცნობილია, მუჰამედი და მისი მიმდევრები თავიდან იერუსა-

ლიმისაკენ პირმიქცეულნი ლოცულობდნენ. ებრაელებთან განხეთქილების შემდეგ კი მუჰამედმა ლოცვის მიმართულება შეცვალა, მორწმუნე ახლა მექისაკენ უნდა შებრუნებულიყო (ყურანი, 2:136-140 (142-149)).

ლოცვის დროს მორწმუნეს თვალები გახელილი უნდა ჰქონდეს, მისი მოძრაობა კი მუჰამედისას უნდა ბაძავდეს.

ლოცვები მოკლედ შეიძლება წარმოითქვას ომის, რაიმე საშიშროების ან მოგზაურობის დროს.

3. მოწყალების გაცემა (ზაქათი)

ისლამი კარგად მოფიქრებული და ჩამოყალიბებული დებულებებით არ გამოსულა სცენაზე. თავად მუჰამედის სიცოცხლეშიც განიცადა უამრავმა წეს-ჩვეულებამ ცვლილება. მათ შორის ზაქათმაც.

უმარმა, მუჰამედის პირველმა მემკვიდრემ (632-634 წწ.), ზუსტად დაახასიათა მისი მოძღვრება „საქმით გადარჩენის" თაობაზე. მას უთქვამს:

„ლოცვა ნახევარი გზის გაევლას ნიშნავს უფლისაკენ, მარხვას მისი სასახლის კარებთან მიეყავართ, მოწყალების გაცემა კი შესვლის უფლებას გვაძლევს" (Blair, 1925:145).

ჰიტი განმარტავს, რა განსხვავებაა მოვალეობასა და ნებაყოფლობით გაცემულ მოწყალებას შორის:

„მოწყალების გაცემა... ორგვარი შეიძლება იყოს: ნებაყოფლობითი, სიყვარულისა და კეთილშობილების (სადაქათი) გამოხატულება და სავალდებულო ანუ რჯულით განსაზღვრული (ზაქათი)... ის არა მარტო სოციალური მოვალეობაა, არამედ განწმედის საშუალებაც... ზაქათის რაოდენობა იცვლებოდა, ბოლოს კი დადგინდა, რომ ის შემოსავლის მეორმოცედით განსაზღვრულიყო" (Hitti, 1970:35).

გიბი შემდეგ დეტალებს უმატებს:

„ზაქათის შესრულება ყველა მუსლიმისათვის სავალდებულოა. მაგრამ ეს არ არის ბეგარა. ის უფრო ღვთისათვის მიცემული კრედიტია, რომელიც გამცემს დაუბრუნდება. ნებაყოფლობითი მოწყალებაც (სადაქათი) ცოდვათა გამოსყიდვის საშუალებაა. ის ნათესავებზე, ობლებზე, გაჭირვებულებზე და მოგზაურებზე უნდა გაიცეს... ზაქათი განკუთვნილია ღარიბთათვის, მათთვის, ვისი ისლამისკენ გადმობირებაა განზრახული, აგრეთვე, მონების, პატიმრების, ვალში ჩავარდნილების და ღვთის გზაზე შემდგართათვის" (ღვთის გზა წმიდა ომთანაა (ჯიჰადი) დაკავშირებული) (Gibb, 1949:45,46).

დღეს მუსლიმური ქვეყნების უმრავლესობაში, გარდა ირანისა, ზაქათის

შეგროვებას მთავრობა ხელმძღვანელობს. სწორედ ზაქათის აკრეფაზე კონტროლის უფლების მიღების შემდეგ შესძლეს კლირიკოსებმა ირანში მთავრობის საქმეებში ჩარევა. იქ, სადაც სასულიერო პირები არ აკონტროლებენ ამ საქმეს, ეს უკანასკნელნი ვერც სახელმწიფოს მართვაში ერევიან.

4. მარხვა (საუმი)

მარხვის შენახვა რამაზანის თვეში ხდება და ის 30 დღეს გრძელდება. რაკი მუსლიმთა კალენდარი მთვარეს ეფუძნება, მათი წელიწადი მზის წელიწადზე 11 დღით მოკლეა, შესაბამისად, ეს თვეც მოძრავია, მისი წრიული ციკლი 33 წელს მოიცავს. მარხვას ინახავენ გათენებიდან მზის ჩასვლამდე მთელი რამადანის თვის განმავლობაში.

„მარხვის პერიოდში მუსლიმებს ეკრძალებათ ჭამა, სმა, თამბაქოს მოწევა, სქესობრივი კონტაქტები, იმ მომენტიდან, როცა ინათებს, მზის ჩავსლამდე... მზის ჩასვლის შემდეგ მარხვა წყდება მსუბუქი ვახშმით... რამადანის განმავლობაში სასურველია მეჩეთში სიარული და ლოცვების სრული ციკლის შესრულება, რასაც თან ახლავს ყურანიდან სხვადასხვა ადგილების კითხვა. ლოცვები შეიძლება მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდეს, საჭმლის მისაღები შესვენებებით ყოველი ოთხი ლოცვის შემდეგ.

მარხვა მთავრდება შემდეგი თვის — შავალას — პირველი დღიდან დღესასწაულით, რომელსაც იდ-ალ-ფითრს უწოდებენ... ამ დღეს ხდება მოწყალების გაცემა მარხვის დამთავრების აღსანიშნავად, ყველა ოჯახის უფროსი საკვებს ურიგებს ღარიბებს. დღესასწაული სამი დღე გრძელდება, რომლის განმავლობაშიც მუსლიმები ზეიმობენ, იცმევენ ახალ ტანსაცმელს და ერთმანეთს ეხვევიან“ (Farah, 1968:144,145).

5. მოძღოცველობა (ჰაჯი)

მუსლიმთა რელიგიაში ყველაფრის დამაგვირგვინებელი ქმედება მექაში სალოცავად გამგზავრებაა. მუჰამედმა სავალდებულოდ გამოაცხადა იგი ყველა მორწმუნისათვის, ვინც ჯანმრთელია და ამის ფინანსური შესაძლებლობა შესწევს.

„...ადამიანებს ვალად ადევთ ჰაჯი სახლისაკენ — მათ, ვისაც უნარი შესწევს იქ გამგზავრებისა“ (ყურანი, 3:97).

ადრე, სანამ მექას გამოაცხადებდა მუჰამედი მუსლიმთა მთავარ სალოცავ ადგილად, წარმართმა არაბებმა იქ საწმიდარი — კუბური სახლი —

ააგეს, რომელსაც ქაბას უწოდებდნენ. აქ იყო მოთავსებული ადგილობრივი ღვთაებები. მთვარის კალენდრის ოთხი თვე წმიდა თვეებად იქნა გამოცხადებული, სწორედ ამ პერიოდში უნდა ემოგზაურათ მლოცველებს მექაში. ამ დროს აკრძალული იყო ყველანაირი ომი. როცა მუჰამედმა მექა დაიპყრო, განწმიდა ქაბა კერპებისაგან და მას „ღვთის სახლი“ უწოდა. მუსლიმები ამ ადგილს დედამიწის ცენტრად მიიჩნევენ.

„პირველი ის იყო, რაც შეიქმნა და მის გარშემო აღმოცენდა სამყარო. ქაბა სამყაროს ცენტრია... ის ცისა და მიწის შემაეროებელ ღერძზე დგას... მიწაზე არსებული მექა ზეციურის ასლია, საღაც ღვთის სადიდებლად მილიონობით ანგელოზი იკრიბება“ (Musk, 1989:163).

ახლო აღმოსავლეთიდან მექას მიდამოებში ებრაელთა მიგრაციის შედეგად, რომლებმაც თან მოიტანეს აბრაამის, ისმაელისა და ისაკის ისტორია, ბიბლიურ თქმულებებზე დაფუძნებული ლეგენდები იქ მუჰამედის მისვლამდე დიდი ხნით ადრე დამკვიდრდა (Blair, 1925:169, 170).

„ქაბას მიდამოები აგარის ტანჯვის ადგილად იყო მიჩნეული, ხოლო ზამზამის წყარო მის მხსნელად. მომლოცველები დაეხეტებიან ამ ადგილებში აგარის ხსოვნის საპატივცემულოდ. სწორედ აბრაამმა და ისმაელმა ააშენეს ტაძარი (ქაბა), დადეს იქ შავი ქვა და ეს ადგილი არაბთა მთავარ სალოცავად დაადგინეს. მომლოცველები ქვებს ესროდნენ სატანას და მსხვერპლს სწირავდნენ აბრაამის მსხვერპლშეწირვის გასახსენებლად“ (Blair, 1925:170).

ჰაჯის ტრადიციული დღეებია – მეშვიდედან მეათე დღე მთვარის მეთორმეტე თვის – ზულ-ჰიჯასი. შემდეგ თავებში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სხვადასხვა მუსლიმი ხალხების მიერ მექას მოხილვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებზე.

ყურადღება მიაქციეთ აბრაამის, აგარისა და ისმაელის მნიშვნელობას მომლოცველობის რიტუალში. აბრაამთან – „უფლის მეგობართან“ – ისმაელისა და აგარის ხაზით დანათესავების მძაფრი სურვილი მუსლიმთა გულის ნადებს ამჟღავნებს.

6. საღვთო ომი (ჯიჰადი)

ყველაზე უფრო დიდ კამათს ისლამის ნიშანსვეტთაგან სწორედ ჯიჰადი იწვევს. იგი იშვიათად შეაქვთ ისლამის სავალდებულო მოთხოვნათა ნუსხაში. მუსლიმებს აუცილებლად ჩაეფუშებოდათ ისლამის საუკეთესო კუთხით წარმოჩენის მცდელობა, თუ გამომჟღავნდებოდა, რომ ისინი მსოფ-

ლიოს დაპყრობას მიელტვიან. ერთადერთ გამონაკლისს ებრაელები და ქრისტიანები წარმოადგენდნენ, რომლებიც დამამცირებლად იბეგრებოდნენ ისლამის მმართველობის ქვეშ მოხვედრისას, ერთმეოდათ სამოქალაქო და მაღალი თანამდებობის დაკავების უფლებები. სხვა ხალხები კი უნდა გამაჰმადიანებულიყვნენ, ანდა განადგურდებოდნენ.

დასავლეთში მუსლიმები ყოველნაირად ცდილობენ, შეარბილონ ისლამური მოძღვრების ეს ნაწილი. აღმოსავლეთში კი სხვანაირადაა. საუდის არაბეთი „საღვთო ომს" ეწევა ისრაელის წინააღმდეგ. ერაყი და ირანიც მიესწრაფვოდნენ, რომ მათ შორის მიმდინარე ომი ჯიჰადად გამოეცხადებინათ. მუამარ კადაფის ქვეშოთ მოყვანილი გამონათქვამები Islamic News Service-ის 1989 წლის ნომერში დაიბეჭდა: „...ისლამის გლობალური ექსპანსია ახალ სტადიაში შევიდა... საღვთო ომი წარიმართება ისლამის საერთაშორისო სახალხო სარდლობის მიერ (...), რომელსაც მასიურ მოქმედებათა ხელმძღვანელობა ევალება" (№ I, 12/13/89, გვ.18).

საიდან მოდის ეს განწყობილება? რა ასაზრდოებს ისლამში ამ ადამიანების ექსპანსიონისტურ ოცნებებს? ეს ყველაფერი მუჰამედის ცხოვრებასა და მოძღვრებას ეფუძნება.

განვიხილოთ ზოგიერთი მისი გამონათქვამი:

„როცა გასრულდება აკრძალული თვეები, ამოჟლიტეთ მრავალღმერთიანები, საცა წააწყდებით, შეიპყარით ისინი, ჩაუსაფრდით მოფარებულ ადგილებში! თუ მოიქცეიან, განიწმიდებიან და ლოცვებს შეასრულებენ, გაუნთავისუფლეთ გზა: ალაჰი ხომ მიმტევებელი და მოწყალეა!" (ყურანი, 9:5).

შემდეგი ნაწყვეტიდან ვიგებთ, რომ მუჰამედი ყველა არამუსლიმს სატანის თანაშემწედ მიიჩნევდა, თუმცა ყურანის ზოგიერთ გამონათქვამში ქრისტიანები და იუდეველნი გამონაკლისებად არიან გამოცხადებულნი.

„ვინც ირწმუნა, ალაჰის მხარეს იბრძვის, ხოლო ვისაც არა სწამს — თაგუთის. გამოდით სატანის მეგობართა წინააღმდეგ: სატანის ხრიკები ხომ უძლურია" (ყურანი, 4:78 (76)).

სწორედ ამგვარი განწყობილება განაპირობებდა მუსლიმთა ურთიერთობას ქრისტიანებთან და ებრაელებთან ასწლეულების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ყურანის ზოგიერთ მუხლში მათ სხვებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ. შემდეგ ფრაგმენტში კი ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „განსაზღვრულია:"

„განსაზღვრულია თქვენთვის ბრძოლა, რომელიც გძულთ. შეიძლება გძულდეთ ის, რასაც სიკეთე მოაქვს თქვენთვის და გიყვარდეთ, რაც ბოროტს შეგამთხვევთ, ჭეშმარიტად, ალაჰმა უწყის, თქვენ კი არა!“ (ყურანი, 2:216).

ე. ი. მუჰამედი ბრძოლას (საღვთო ომს) ყველა მუსლიმის მოვალეობად აცხადებდა. ეს იყო ცხოვრების წესი. შემდეგი ციტატა კი სამყაროს დაპყრობის ოცნებას გამოხატავს, რომელიც ყველაფერს წარმართავს ისლამში:

„უთხარი იმათ, ვისაც არა სწამს: თუ თავს შეიკავებენ, მიეტევებათ, რასაც ადრე სჩადიოდნენ, მაგრამ თუ ისევ ძველ გზას გააგრძელებენ, მაგალითი უკვე თვალწინ აქვთ. ებრძოლეთ მათ, სანამ ცდუნება დაგძლევედეთ და სანამ ალაჰს ეკუთვნის რწმენა“ (ყურანი, 8:39,40 (38,39)).

არც თუ ისე დიდი ხნის წინ მუსლიმი ფუნდამენტალისტები მოუწოდებდნენ (პაკისტანი, ბანგლადეში, სუდანი, მალაიზია), რომ ძალით დაემორჩილებინათ ისლამისათვის არამუსლიმი მოქალაქეები. სხვა ქვეყნებში კი მათ ჯიჰადი გამოუცხადეს ოკუპანტებს (საბჭოთა კავშირს ავღანეთში, ისრაელს პალესტინაში). აწ განსვენებული მაუდუდი (პაკისტანი) „მთელი დედამიწის ისლამზე მოქცევის“ შესახებ ლაპარაკობდა, კადაფი კი — „ისლამის გლობალურ ექსპანსიაზე.“

ჯიჰადი ისლამის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ის სათავეს მუჰამედის, ისლამის დამაარსებლის, ქცევიდან იღებს და ყურანში ხშირად მოიხსენიება. ჯიჰადი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას იმისათვის, რომ ისლამის მეექვსე ნიშანსვეტად მივიჩნიოთ.

დასკვნა

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ ორთოდოქსული ისლამისათვის დამახასიათებელი რწმენა და წეს-ჩვეულებანი.

მუსლიმური ცნობიერების ჩამოყალიბება განაპირობეს მაჰმადის რჯულმა და იმ მოვალეობებმა, რასაც ის მორწმუნეს აკისრებს. თუმცა არსებობენ ისეთი მუსლიმური დაჯგუფებანი, რომლებიც ზუსტად არ იცავენ ისლამის მთავარ დოგმატებს.

შემდეგ თავებში ჩვენ განვიხილავთ არაორთოდოქსული ისლამის სახესხვაობებს. ისინი ესადაგებიან აღგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს. ვეცდებით, დაწვრილებით გავაანალიზოთ ისინი, რადგან სწორედ ამ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული იესო ქრისტეს სახარება.

ნაწილი 3
მონგოლური ისლამი

თავი X
ეთნოსი და პოლიტიკა ისლამში

მუსლიმური სამყარო, რომელიც აფრიკის სანაპიროებიდან ფილიპინების კუნძულებამდეა გადაჭიმული, შედგება სხვადასხვა რასის, ერის და ეთნოლინგვისტური ჯგუფებისაგან, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიები, ტექნიკური განვითარების დონე, განათლება, სოციალური პირობები და რელიგიური მიდრეკილებები აქვთ.

ქრისტიანობისაგან განსხვავებით, ისლამი არ მიჯნავს ერთმანეთისაგან რელიგიას და პოლიტიკას. შესაბამისად, პოლიტიკური საკითხები, ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ეკონომიკური სიძნელეები დიდ დაღს ასვამენ მუსლიმურ სამყაროს და იწვევენ გამუდმებულ შფოთსა და არეულობას ისლამში.

მისიონერი უნდა უფრთხოდეს სტერეოტიპებით აზროვნებას, მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩასწვდეს რეალურ ვითარებას. მან უნდა იცოდეს, როგორ მიუსადაგოს იესო ქრისტეს სახარება ადამიანთა ყველაზე აუცილებელ მოთხოვნებს. ამიტომ შეეცდებით, განვიხილოთ ისლამის ძირითადი სახესხვაობანი.

პოლიტიკური საზღვრები

თეორიულად ისლამს არ გააჩნია პოლიტიკური საზღვრები. არსებობს მხოლოდ „დარ ულ-ისლამი“ — „ისლამის სახლი“, „მორჩილთა სახლი“ — მუსლიმების ერთი მონოლითური ბლოკი, რომელიც უპირისპირდება „დარ ულ-ჰარბ“-ს, „მოწინააღმდეგეთა სახლს,“ ამ უკანასკნელს ზოგჯერ „ომის სახლსაც“ უწოდებენ.

მსოფლიოში არსებობს 39 ერი, რომელიც ძირითადად ისლამური რელიგიის აღმსარებელია, კიდევ ორ ერში უმრავლესობა მუსლიმია, მუსლიმური უმრავლესობა კი ბევრ ქვეყანას ჰყავს. მათი ნუსხა იხილეთ დამატებაში. მუსლიმთა ასეთი განთესილობა ისლამის იდეოლოგებს არაბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ და ამაში დასავლეთს სდებენ ბრალს, რადგან ეს ქვეყნები ძირითადად კოლონიური მმართველობისაგან განთავისუფლების შედეგად წარმოიქმნენ.

მუსლიმთა პოლიტიკურ დაქსაქსულობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მუჰამედს, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა 62 წლის ასაკში, მემკვიდრე არ დაუტოვებია. ხალიფები ერთმანეთს ებრძოდნენ ძალაუფლებისათვის, ზოგჯერ ერთდროულად სამი მმართველიც კი იჯდა ტახტზე. მას შემდეგ, რაც 1924 წელს ქემალ ათათურქმა ხალიფატი გააუქმა, ისლამი ათასნაირად ჩახლართულ პოლიტიკურ ინტრიგებში გაეხვია, განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთში. ის, რაც დეევიდ პრაის-ჯონსმა არაბებზე დაწერა, მთელ მუსლიმურ სამყაროს შეიძლება მივუსადაგოთ:

„გამუდმებულად დაკავებულნი ერთმანეთის მხარდაჭერის თამაშით და პირველობისათვის ბრძოლით, არაბები დაიხლართნენ საკუთარ ამბიციებსა და წინააღმდეგობებში, რომლებსაც ხან ამძაფრებენ, ხან ანელებენ და საბოლოოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს" (Pryce-Jones, 1989:406).

ბუნებრივია, ამ გამუდმებული შეღლისა და ძალადობის შედეგად სამართლიანობის წყურვილი იღვიძებს ისლამის მილიონობით შვილის სულში. ჩვენ გვწამს, რომ რადგან ისლამმა თავის ხალხებს (ნაკლებით მდიდარი სახელმწიფოების გამოკლებით) ვერ მოუტანა სამართლიანობა და კეთილღღეობა, უამრავი მუსლიმი მზად არის ქრისტეს მოძღვრების მისაღებად.

ეთნიკური ჯგუფები

თუმცა ქრისტიანობასავით ფართოდ არ გავრცელებულა, მაგრამ ისლამი თავის წიაღში მრავალ ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს. ის, თუ როგორ ცდილობს იგი თავი გაართვას ამ ამოცანას, ერთსახოვნების დამყარების ადრექრისტიანულ მცდელობებს მოგვაგონებს. ეს ილუზია თავიდანვე განწირული იყო. დასაწყისში ქრისტიანული ეკლესია აღმოსავლურ და დასავლურ ნაწილად გაიყო. შემდეგ, რეფორმაციის პერიოდში, დაიძრნენ

ისეთი ძალები, რომელთაც საშუალება მისცეს ეკლესიას, ყველა ეთნიკურ ჯგუფში შეეღწია. ისლამს არ გაუმართლა და ამის მიზეზი ღრმად საძიებელი არ არის. მუჰამედმა დასაწყისში თავი არაბი ხალხის წინასწარმეტყველად გამოაცხადა (ყურანი, 14:4), და მხოლოდ შემდეგ გამოთქვა პრეტენზია ყველა ხალხის წინასწარმეტყველად ყოფნისა (ყურანი, 25:1), მან სამყაროს შესთავაზა არაბული ყურანი (ყურანი, 12:1), რომელიც, მისივე სიტყვების თანახმად, ზეცაში არსებულის ზუსტი ასლი იყო (ყურანი, 43:213). მან თავისი მშობლიური ქალაქი, მექა, ყველა ქალაქის დედად და სამყაროს ცენტრად გამოაცხადა (ყურანი, 42:5 (7)). გარდა ამისა, მუჰამედი ყურანის დაზეპირებას და მისი ყოველი სიტყვის ზუსტად შესრულებას მოითხოვდა, რითაც ყველა დროის ჭეშმარიტი მუსლიმის საზომად საკუთარ თავს მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით, ისლამი ჩაკეტილი აღმოჩნდა მეშვიდე საუკუნის არაბულ წიგნში, შემოფარგლული მეშვიდე საუკუნის არაბული სამყაროთი და არაბული ენით.

ამან გამოიწვია ისლამის წარუმატებლობა. მუსლიმური იმპერია უმოკლეს ვადაში დაიშალა. როგორც ადრეულ ქრისტიანობაში, რომლის დედაქალაქმაც იერუსალიმიდან ანტიოქიაში, ანტიოქიიდან ალექსანდრიაში, ალექსანდრიიდან რომში, შემდეგ რომიდან კონსტანტინოპოლში გადაინაცვლა და ბოლოს ისევ რომში დაბრუნდა, სადაც სუფევდა რეფორმაციამდე, რომელმაც გაანთავისუფლა სახარება და საშუალება მისცა, ნებისმიერ ადგილას დაფუძნებულიყო. ისლამის დედაქალაქიც იცვლიდა ადგილს, ჯერ მექადან მედინაში, შემდეგ მედინადან დამასკოში, დამასკოდან ბაღდადში, ხოლო მონღოლთა შემოსევების შემდეგ, არაბეთის, სპარსეთისა და თურქეთის იმპერიებში და დაპყრობათა შედეგად აღმოცენებულ უამრავ პატარა სამეფოებში დაივანა.

ეთიკური და რასობრივი პრობლემების განხილვისას, ბერნარდ ლუისი თავის საინტერესო წიგნში „რასა და ფერი ისლამში" მოგვითხრობს, თუ როგორ ექცეოდნენ არაბი დამპყრობლები მათ, ვისაც ამ უკანასკნელებთან შედარებით უფრო ღია ან მუქი ფერის კანი ჰქონდათ (Lewis, "Race and Color in Islam," 1971). მან დააფიქსირა აგრეთვე ცრურწმენები, რომლებიც გააჩნიათ არაბებს, სპარსელებსა და თურქებს ერთმანეთის მიმართ.

ეთნოგრაფები ამ პრობლემას ეთნოცენტრიზმს უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავის ეთნიკურ ჯგუფს სხვებზე უკეთესად მიიჩნევს. ამის ილუსტრაცია გახლავთ არაბი მუსლიმების მტკიცება, რომ ყურანი ყველა ხალხისა და ყველა დროის მისაბაძ ნორმად უნდა გამოცხადდეს.

ასე გაუცრუეს იმედი არაბმა მუსლიმებმა ათასობით სხვა ეროვნების მუსლიმს.

ეთნიკური სახესხვაობის კლასიკურ მაგალითად ისლამში შეიძლება მაროკო და ინდონეზია დავასახელოთ. კლიფორდ ჯირტცი თავის ნაშრომში „Islam Observed" გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავებული იერი აქვს ისლამს ამ ორი ქვეყნის კულტურაში:

„ერთნიც და მეორენიც ლოცვისას მექას გაჰყურებენ, მაგრამ, მუსლიმური სამყაროს ანტიპოდებს, სინამდვილეში პირი სხვადასხვა მხარეს აქვთ მიბრუნებული. მაროკოში ისლამი წმიდანების, მორალური სიმკაცრისა და მაგიის თაყვანისცემაში ვლინდება... ინდონეზიაში კი გლეხობამ თავისებურად მიიღო ისლამი, ჩართო მასში სამხრეთ-აღმოსავლურ აზიური ხალხური რელიგია, რომელშიც თავის დროზე ინდუსთა მოძღვრება და პრაქტიკა იყო ასახული და გააერთიანა მოჩვენებები, ღმერთები, ჯინები და წინასწარმეტყველები გასაოცარ მჭვრეტელობით და, ასე განსაკუთ, ფილოსოფიურ ანიმიზმში" (Greetz, 1968:13).

ზემოთ მოყვანილი ციტატი ზოგად შტრიხებში ახასიათებს ამ ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს მდგომ კულტურებს. მაროკოსა და ინდონეზიაში მცხოვრები ერები შინაგანადაც დაქსაქსულნი არიან. მაროკოში ცხოვრობენ არაბები, ბერბერების სხვადასხვა ჯგუფები. ინდონეზიაში მცხოვრები მალაიელები კი იყოფიან იავანელთა, სუდანელთა, მადურელთა, მინონგკაბაუელთა, ბატაკთა, სუმატრანელთა, ბუგათა და ბალიელთა ძირითად ჯგუფებად და კიდევ უამრავ პატარა დაჯგუფებად.

თითოეული ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ისლამი საგრძნობლად განსხვავდება მეორისაგან. ქრისტიანი მისიონერი უნდა შეეცადოს, თავისი მუშაობა ამ ეთნიკურ რეალიებს მიუსადაგოს. ჯალდ მაკ გავრენი წიგნში "Ethnic Realities and The Church: Lessons from India" დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ მისიონერი იმ შემთხვევაში მიაღწევს წარმატებებს, თუ ეთნიკურ რეალიებს გაითვალისწინებს, მათი უგულვებელყოფა კი, როცა ის შეეცდება, განსხვავებული ხალხები ერთ ხალხად წარმოიდგინოს, აუცილებლად მარცხით დამთავრდება (Mc. Gavran, 1979:1-249).

რიჩარდ ვიკსმა თავის შესანიშნავ ორტომეულში მუსლიმთა 408 ეთნიკური ჯგუფი დაასახლა (Weekes, Muslim Peaples 1983:913-926). მუსლიმთა შორის მუშაობის მიზანი თითოეულ ეთნიკურ ჯგუფში ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნებაა, აქედან გამომდინარე მუსლიმურ ეთნოსთან შეგუება სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოვლენაა.

თავი XI

დიდი განხეთქილება: სუნიტები და შიიტები

ისლამში სხვადასხვა თეოლოგიური მიმდინარეობა არსებობს. ზოგიერთი მათგანი პოლიტიკური განხეთქილებიდან იღებს სათავეს, ზოგიც ამა თუ იმ ჯგუფის ეთნიკური თავისებურებებიდან, დანარჩენები ღვთის შემეცნების სხვადასხვა გზების ძიებითაა განპირობებული. ისლამის მრავალრიცხოვან მიმდინარეობათაგან ამ თავში ორი მათგანის მიმოხილვას გთავაზობთ.

სუნიტები

ხშირად გაიგონებთ, რომ ისლამმა გაიმეორა ქრისტიანული რელიგიის გზა მის მრავალრიცხოვან ვარიანტებში. მე ძირითადად ვეთანხმები ამ აზრს. მაგალითად, როგორც ქრისტიანობაა გაყოფილი პროტესტანტიზმად და კათოლიციზმად, რომელთაც, თავის მხრივ, მრავალი განშტოება გააჩნიათ, ისლამიც ორ ძირითად მიმართულებად იყოფა: სუნიზმად და შიიზმად.

სუნიტები, პროტესტანტების მსგავსად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დაწერილ ავტორიტეტულ ტექსტს, პირველ რიგში, ყურანს და შემდეგ სუნას, ჰადისებს. მათი სახელიც „სუნიტები“ სწორედ სუნადან („გათელილი გზა“) მოდის.

ამ ტექსტების უკან, ბუნებრივია, მუჰამედი დგას. ის ერთადერთი წყაროა ყურანისა და სუნის, რომელიც მის იმ სიტყვებსა და საქმეებს გადმოგვცემს, ყურანის მიღმა რომ დარჩა. ამგვარად, სუნიტი არის იმ დაჯგუფების წევრი, რომელიც ესწრაფვის მიჰყვეს მუჰამედის ყურანში გადმოცემულ მოძღვრებას და მიბაძოს ჰადისებში დაფიქსირებულ და სუნაში ჩაწერილ მის საქციელს. სუნიტებისათვის ტრადიცია უდიდესი ავტორიტეტია.

„იმის ჩათვლით, თუ რას იწონებდა ის, რის ნებას რთავდა და რას კრძალავდა... და რას უარყოფდა და არ იწონებდა“ (Glasse, 1989:381).

სუნას მნიშვნელობა ეფუძნება წინასწარმეტყველის, როგორც რელიგიის შემოქმედის, ფუნქციას, და შესაბამისად, მის ღვთივშეგონებულსა და წინასწარმეტყველურ ქცევებს და აგრეთვე ყურანის მითითებას, ყველაფერში მისთვის მიებაძათ: „ალაჰის მოციქული თქვენთვის კარგი მაგალითი იყო“ (ყურანი, 33:21).

სუნიტების მოძღვრება და მათი ძირითადი წეს-ჩვეულებანი შემდეგ თავშია განხილული. არსებობს სუნიტური ისლამის მრავალი სახესხვაობა, რომელიც ურთიერთქიშპის შედეგად აღმოცენდა. მათ ერთმანეთისაგან ორთოდოქსულობისა და სინკრეტულობის ხარისხით განასხვავებენ.

შიიტები

შიიტები, კათოლიკეების მსგავსად, იმით გამოირჩევიან სხვებისაგან, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საპოციქულო ხაზს. სუნიტებისაგან განსხვავებით, შიიტები თვლიან, რომ მსოფლიო მუსლიმთა თემის ბელადი აუცილებლად წინასწარმეტყველის ოჯახიდან იქნება.

„შია“ სიტყვასიტყვით „ფრაქციას“ ანუ „პარტიას“ ნიშნავს. შიიტებს ეძახდნენ მათ, ვინც მუჰამედის შემდეგ დემოკრატიული გზით არჩეულ სამ ხალიფას უკანონოდ მიიჩნევდა, ხოლო ალის, წინასწარმეტყველის ბიძაშვილსა და სიძეს, მის ჭეშმარიტ მემკვიდრედ. ამგვარად, „ში'ა“ აღნიშნავს „ალის პარტიას“. ასე რომ, შიიტური ისლამიც, ალის მეშვეობით, სათავეს მუჰამედიდან იღებს.

შიიტური ისლამის ერთ-ერთი მთავარი თემაა — მოწამეობა, რასაც სათავე ალისა და მისი ორი ძის, ჰასანისა და ჰუსეინის, ამბავმა დაუდო. ალის ხალიფობის დროს სირიის მმართველმა მუავიამ მას ომი გამოუცხადა. როდესაც ბრძოლის ბედი ისე არ წარიმართა, როგორც ზოგიერთებს სურდათ, ალი მოკლეს. ეს მკვლელობა ჰარიჯიტების ჯგუფმა ჩაიდინა.

ტახტზე ალის ძე — ჰასანი დაჯდა. მან კაპიტულაცია გამოაცხადა და ისიც მოკლეს. ამის შემდეგ ჰუსეინი გახდა ხალიფა. იგი მოწამეობრივად დაიღუპა 680 წელს ქერბელის ბრძოლაში, სადაც მტრის ლაშქარი ერთიორად აღემატებოდა მისას.

გლასის მიხედვით, ჰუსეინის მოწამეობრივი სიკვდილი „...შიიზმის

ცენტრალური მოვლენა იყო, რომელიც ემოციური ზემოქმედების მხრივ ქრისტეს ჯვარცმას არ ჩამოუვარდებოდა. მასში კონცენტრირებული იყო დანაშაულის შეგრძნება ჩადენილი ღალატის გამო, შურისგებისა და სამაგიეროს გადახდის, სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი და სუნიტური ისლამისათვის უცხო მესიანისტური იდეა, რჩეულის დაღუპვისა სხვათა ცოდვების გამოსასყიდად" (Glasse, 1989:365).

„ვნების თემა" შიიზმში ერთგვარ მოსამზადებელ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ მუსლიმი-შიიტი, სუნიტისაგან განსხვავებით, ჩასწვდეს ჯვარცმული ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის იდეას, რომელიც სხვათა ცოდვების გამო ეწამა. სუნიტური გადმოცემების თანახმად, ღმერთმა ქრისტე ცოცხლად ჩამოხსნა ჯვრიდან და ზეცაში აიტაცა.

სუნიტთა მოძღვრების მიხედვით, მუჰარამის 10 რიცხვი, ჰუსეინის მოწამეობრივი დაღუპვის დღე, უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან ის იუდეელთა გამოსყიდვის დღეს ემთხვევა. ამ დღეს აშურა, ქაბას („ღვთის სახლი") კარი, იღება მნახველთათვის (Gibb and Kramers, 1974:48). ეს დღე იმის გახსენებაა, თუ როგორ ჩაიხა ტაძრის ფარდა იესოს ჯვარცმისას და სამუდამოდ გაიხსნა წმიდათა წმიდა უბრალო მორწმუნეთათვის.

შიიტური დაჯგუფების მეთაურებს იმამებს უწოდებენ (სუნიტურ ისლამში ეს სიტყვა უბრალოდ საერთო ლოცვაზე დამდგარს ნიშნავს). შიიზმში იმამს ახასიათებს „განსაკუთრებული სულიერი და პოლიტიკური უპირატესობა, მასზე გადმოსულია მადლი და გააჩნია სასწაულებრივი ძალა, საიდუმლო ცოდნა, იგი ღვთის კეთილგანწყობით სარგებლობს, რაც სხვებზე არ ვრცელდება. იმამები ღვთაებრივი ნათლის მეგზურებად და უცოდველებად ითვლებიან" (Glasse, 1989:366).

ამგვარად, შიიტურ ისლამში მოძღვარი დაჯილდოებულია ღვთაებრივი ძალაუფლებით სასწაულთა ჩასადენად, ღვთაებრივი სიბრძნით ყურანის განსამარტავად და აღსავსეა ღვთაებრივი ნათლით, რაც განსაზღვრავს მისი, როგორც ხელმძღვანელის, როლს. არსებობს სწავლულთა იერარქია, რომლის საფეხურებზე ისინი სხვადასხვა ადგილს იკავებენ სიბრძნის, ძალაუფლებისა და სიწმიდის მიხედვით. უმაღლესი რანგის სწავლულებს შიიზმში აიათოლებს („ღვთის ნიშნებს") უწოდებენ. მთავრობის მეთაურად ერთ-ერთ აიათოლას ირჩევენ. ასეთი იყო, მაგალითად, აწ განსვენებული აიათოლა ჰომეინი.

დღეს შიიტური მმართველობის მქონე ერთადერთი მუსლიმური ქვეყანა

ირანია და მისი ლიდერი კი ჰასემი რაფსანჯანი გახლავთ.

შიიტური ისლამის განსაკუთრებული დოგმატის მიხედვით, ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა ერთი იმამიდან მეორის ხელში. მათდა სამწუხაროდ, ეს მემკვიდრეობითი ხაზი გაწყდა ერთ-ერთი იმამის (ზუსტად არ ვიცით, მეხუთე, მეშვიდე თუ მეთორმეტე იმამის) სიკვდილისა და უკვალოდ გაქრობის შემდეგ. იმის მიხედვით, თუ რომელ იმამს მიიჩნევენ უკვალოდ გამქრალად, შიიზმში სამი მიმდინარეობა გამოიყოფა. ზაიდიანელებს უწოდებენ მათ (იმამის სახელის მიხედვით), ვისაც მეხუთე იმამი მიაჩნია უკვალოდ გამქრალად, ისმაელიანელებს — მეშვიდე იმამის გაქრობის მომხრეებს, ხოლო „მეთორმეტიანელებს“ ან უბრალოდ „იმამისტებს“ მათ, ვინც მეთორმეტე იმამის უკვალოდ გაქრობას უჭერენ მხარს.

ზაიდიანელები არ ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას თავიანთი იმამების სიწმიდეზე. ისმაელიანელთა მოძღვრება კი სიკეთისა და ბოროტების ერთგვარი დუალიზმით გამოირჩევა (იდეა უეჭველად სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობიდან არის აღებული). ისინი თავიანთი მოძღვრებით და იმ მკაცრი საიდუმლოებით, რომლითაც თავიანთ წეს-ჩვეულებებს ინახავენ, ადრეულ გნოსტიკოსებს მოგვაგონებენ.

იმამისტები კი თვლიან, რომ მათი იმამი გარდამავალი საფეხურია ღმერთსა და ადამიანს შორის. აქ ჩვენ აღარ შევჩერდებით შედარებით უმნიშვნელო შიიტურ მიმდინარეობებზე.

შიიტებს სჯერათ, რომ გამქრალი იმამი (მეხუთე, მეშვიდე თუ მეთორმეტე) დამალულია ან სადღაც ცასა და მიწას შუაა ცოცხლად გამოკიდებული, იგი უჩინარია და სამყაროს დასასრულის ჟამს კვლავ მოვლინება დედამიწას. იგულისხმება, რომ აიათოლას პირდაპირი კონტაქტი აქვს იმ გამქრალ იმამთან.

შიიტებსა და სუნიტებს ერთი იდეა აერთიანებთ, მათი აზრით, მაჰდი, ანუ „სწორი გზით წარმმართველი“, სამყაროს აღსასრულის ჟამს გამოჩნდება. ეს იდეა ქრისტეს მეორედ მოვლინების მოძღვრებიდან იღებს სათავეს. შიიზმის თითოეული შტო აცხადებს, რომ მაჰდი სწორედ მათი გამქრალი იმამია. საინტერესოა, რომ ზოგიერთი სუნიტი მუსლიმი ქრისტეს მიიჩნევს მაჰდიდ, სხვანი კი თვლიან, რომ მეორედ მოსვლის დროს მაჰდი ქრისტესთან ერთად დაბრუნდება.

თავი XII

მისტიციზმი: რჯულისაგან გაქცევა

სუფიზმი მისტიციზმის არაბული სახელწოდებიდან წარმომდგარი სიტყვაა. მას ძალზე საინტერესო ისტორია აქვს. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრს ადგას, რომ „სუფი“ მომდინარეობს არაბული სიტყვიდან „სუფ“, რაც შალს ნიშნავს. სუფიები ასკეტები იყვნენ და თავიანთი ცხოვრების წესით გამოხატავდნენ პროტესტს მუსლიმ მმართველთა ფუფუნების წინააღმდეგ. მათ უარყვეს წუთისოფელი და ღვთის ძიების გზას დაადგნენ. ამ ადამიანებს ტანთ უხეში შალის ქსოვილის ტანსაცმელი ემოსათ, რის გამოც „შალის ტანსაცმლიანები“, ანუ სუფიები, ეწოდათ.

სუფიზმის აღმოცენების მიზეზები

სუფიზმის აღმოცენება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. მუსლიმი ხალიფები არ წარმოადგენდნენ გამონაკლისს იმ წესიდან, რომ „ყველანაირი ძალაუფლება რყვნის და აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად.“ ისლამის ადრეულ პერიოდში მუსლიმთა სამხედრო წარმატებებს თან სდევდა ხელისუფალთა გარყვნა, რაც ღვთისმოშიშ სწავლულებში დიდ აღშფოთებას იწვევდა. სწავლულთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ შეიძლებოდა დაეგროვებინა ქონება და ჩვეულებრივი ცხოვრებით ეცხოვრა, მეორენი კი მიიჩნევდნენ, რომ ღვთის ძიების გზაზე წუთისოფლისაგან განდგომა იყო საჭირო. ეს უკანასკნელნი იყვნენ სწორედ სუფიები.

სუფიზმს ბიძგი მისცა, აგრეთვე, ორთოდოქსიისა და რჯულის ირგვლივ გაჩაღებულმა გააფთრებულმა ბრძოლამ. ამ წინააღმდეგობებს ისლამი სულიერ გამოფიტვამდე მიჰყავდა. პასუხად მრავალი მუსლიმი ღმერთთან ურთიერთობის გზების ძიებას არჩევდა და არა მასზე კამათს.

კიდევ უფრო დიდ სტიმულს აძლევდა სუფიზმს ის იდეა, რომ თუ მუჰამედი იღებდა ღვთის გამოცხადებებს, რატომ არ შეიძლებოდა ეს სხვასაც

მოეხერხებინა? მათ სურდათ, გაემეორებინათ ღმერთთან პირდაპირი კონტაქტის მუჰამედისეული გამოცდილება.

სუფიზმის ქრისტიანული ფესვები

როცა ალ-არაბი (1165-1240 წ.წ) ალეპოში (სირია) ინკვიზიციის წინაშე წარსდგა რჯულისაგან განდგომის ბრალდებით, მან მართლმსაჯულების მსახურთ უპასუხა, რომ მისი ლექსები უნდა აღექვათ, როგორც მეტაფორა და რომ „... (მათი) ძირითადი შინაარსია ღვთის მიერ ადამიანის სრულყოფა ღვთაებრივი სიყვარულის მეოხებით“ (Shah, 1971:X). ეს მოძღვრება ფართოდ უხსნის კარს იესოს. სუფიებსა და ქრისტეს სიყვარულის მოძღვრება აერთიანებთ. ეს არცაა გასაკვირი. ნაზირ ალი მიუთითებს: „სუფიზმი იმ იმპულსისაგან აღმოცენდა, რომელიც ისლამმა ახლო აღმოსავლელი ქრისტიანი ბერებისაგან მიიღო“ (Nazir Ali, 1987:22). სუფიზმი (ისლამური მისტიციზმი), რომელიც ისლამურ სამყაროში შეჭრილი ქრისტიანული იდეებითაა ნასაზრდოები, გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს საბერების მისტიკასთან.

რაბია – ადრეული სუფიზმის მისტიკა

ისლამური მისტიციზმი ყველაზე კარგად შეიძლება წარმოვიდგინოთ ბასრელი რაბიას ალ-ადავიას (713-801 წწ.) შემდეგი სიტყვებიდან: „ო, ღმერთო, თუ მე თაყვანს გცემ ჯოჯოხეთის შიშის გამო, ჩამაგდე გეენის ალში, და თუ თაყვანს გცემ სამოთხეში მოხვედრის იმედით, გამაძევე სამოთხიდან; ხოლო თუ თაყვანს გცემ მხოლოდ შენი გულისათვის, ნუ განმაშორებ შენს მარადიულ მშვენებას“ (აულ, 1975:7).

„მე მიყვარდი ეგოისტური და შენი საკადრისი სიყვარულით. რაც შეეხება ეგოისტურ სიყვარულს, მასში შენი ხსოვნით ვივსები, რათა სხვა რამისათვის ადგილი აღარ დამრჩეს. ხოლო იმ სიყვარულს რაც შეეხება, რომელიც შენი საკადრისია, შენ საბურველს სწევ, რათა შენი ჭვრეტა შევიძლო. თუმცა არც ერთში და არც მეორეში არ არის ჩემი ხოტბა, არამედ მხოლოდ შენი, ერთშიც და მეორეშიც“ (Smith, 1988:102).

სუფიზმის თანდათანობითი განვითარება

სუფიზმი თანდათანობით ვითარდებოდა, როგორც სტრუქტურულად, ისე მეტაფიზიკურად. ის, რაც ადრე ვიწრო წრეში მიღებული რელიგიის

ფორმა იყო, თანდათან ბერ-მონაზონთა სკოლად გადაიქცა. მასში ჩამოყალიბდა მორჩილთა და ხელდასხმულთა ინსტიტუტი, მისთვის დამახასიათებელი წეს-კანონებით, რომელთაც ახალბედა (მიურიდი) თავისი სულიერი მოძღვრის (პირის ან უსტადის) ხელმძღვანელობით ეზიარებოდა (Nikholson, 1907:392).

ასე და ამრიგად, საუკუნეთა განმავლობაში სუფიზმი, რომელიც თავიდან მხოლოდ ასკეტიზმის ფორმა იყო, ნელ-ნელა მისტიურ და თეოსოფიურ მიმდინარეობად გადაიქცა, უფრო მეტიც, მას პანთეიზმთან აღრეკის საშიშროება დაემუქრა (Nikholson, 1907:91).

სუფიური ასკეტიზმი

მოგვიანებით სუფიზმში ჩამოყალიბდა უამრავი შმაგი და უაზრო რიტუალი: თვითგვემა, სიმღერა და ტანის რიტმული რხევა გონების დაკარგვამდე; ამგვარი სცენები აღწერილი აქვს, თვითმხილველს ჯონ სუბჰანს (Subhan, 1938:1-4).

სუფიათა დისციპლინის საფეხურები

სუბჰანი აღგვიწერს იმ მისტიური მოგზაურობის საფეხურებს, რომელიც სუფიური ორდენის წევრმა უნდა განვლოს (1938:68-72):

1. მონანიება: ბოროტების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შეცვლა და ცოდვათა მონანიების გრძნობის განვითარება.

2. სიყვარული: აღმსარებელი ეძლევა ღვთის სახელების მოგონებას და ცდილობს, უფალზე ფიქრის გარდა ყველანაირი აზრი განდევნოს გონებიდან.

3. განდგომა: მორჩილი უნდა ცხოვრობდეს სიღარიბეში და განუდგეს ყველანაირ ცხოვრებისეულ სიკეთეს. საბოლოოდ ის ზურგს აქცევს ყველაფერს, გარდა ღმერთისა.

4. ცოდნა: მორჩილი მანამ აგრძელებს ბუნების, ანუ ღვთის თვისებათა და საქმეთა ჭვრეტას, სანამ ის მისი ფიქრის ერთადერთ საგნად არ გადაიქცევა.

5. ექსტაზი: ღვთის სახელთა და საქმეთა გახსენება და წარმოთქმა აღმსარებელში ექსტაზს იწვევს.

6. სინამდვილე: ამ ეტაპზე იგულისხმება, რომ აღმსარებლის გული ღვთაებრივი შუქითაა განათებული. მან უნდა სცადოს, მთლიანად მიენდოს ღმერთს.

7. განმარტოება: ამ საფეხურზე სუფიას სწამს, რომ პირისპირ უჭვრეტს ღმერთს. მას სჯერა, რომ მისი ძველი სხეული აღარ არსებობს და იგი მთლიანად კმაყოფილია ღმერთით, ისევე როგორც ეს უკანასკნელი მისით.

მისტიური ბელადის საკვანძო როლი

მოხეტიალე მქადაგებლის ან მორწმუნე ასკეტის ირგვლივ ლოკალური ჯგუფები იკრიბებოდა. მათი ჩამოყალიბების პროცესში ამ ორდენთა წევრები მოთხოვნილებას გრძნობდნენ, რომ თავიანთი ჯგუფის ბელადის „ღვთაებრივი შუქი" მუჰამედთან დაეკავშირებინათ (Parschall, 1983:57). ქრისტიანისათვის ეს გაუგებარია, რადგან „წუთისოფლის ნათელი" მისთვის იესო ქრისტეა (იოანე, 8:12). სუფიზმი ცდილობს, ქრისტეს დიდება მუჰამედს ან რომელიმე ცოცხალ ბელადს მიანიჭოს. ქვემოთ ვაგრძელებთ სუფისტური მოძრაობის ძირითადი ნიშნების მიმოხილვას.

სუფიზმის აღმსარებელთა გაერთიანებანი

სუფიები ერთიანდებიან, როგორც კერძო სახლებში ჩამოყალიბებულ საკრებულოებში, ისე ნებისმიერ ხელსაყრელ ადგილას. მათი ბუნებრივი გაერთიანებები ჩნდება სასოფლო თემებში, საბრძოლო ნაწილებში, ერთი პროფესიის ან ერთნაირად მოაზროვნე ადამიანების წრეში. ასეთი ბუნებრივი ჯგუფები, რომლებიც ერთი ბელადის ირგვლივ იკრიბება, ყველგან შეიძლება ჩამოყალიბდეს.

პოეზიისა და მუსიკის მნიშვნელობა

სუფიათა ორდენის ერთ-ერთი მიმზიდველი თვისება ისაა, რომ იგი ხელს უწყობს ადამიანში მუსიკალური და პოეტური ტალანტის გამოვლინებას. რელიგიური შინაარსის მქონე ლექსებისათვის ხშირად ითხზვება მუსიკა. ზოგიერთი ჯგუფი ცეკვებსაც მიმართავს თავის პრაქტიკაში. მეჩეთებში, როგორც წესი, მუსიკა და ცეკვა იშვიათი იყო. სუფიათა ლექსები თავისი შინაარსით სასიყვარულო ლირიკას წააგავს, სიძღერათა შესრულებისას კი ადგილობრივი მუსიკალური ინსტრუმენტები გამოიყენება.

კულტურული შემგუებლობა

სუფიზმი ადვილად ეგუება ადგილობრივ გარემოს. ეს უდიდეს კომ-

პრომისებს მოითხოვს რჯულისა და ორთოდოქსული ისლამისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინკრეტულობა ბევრი სუფიური ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი, ისინი ხალხური ისლამის ტრადიციებს მისდევენ (Parschall, 1983:18). რა თქმა უნდა, ეს ტრადიციები ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, მათ შემგუებლობასა და შარიათის კანონთა უარყოფასთან შედარებით.

თეოსოფიური აზრი სუფიზმში

და ბოლოს, ყველაზე უფრო თვალშისაცემი სუფიზმში თეოსოფიური აზრია.

ადრეული ასკეტიზმი, რომელიც აქცენტს ადამიანის შინაგან გამოღვიძებაზე აკეთებდა, რჯულის გარეგნულ განვითარებაზე რეაქციას წარმოადგენდა. IX-X საუკუნეში სუფიზმმა ინტელექტუალური ცოდნის (ილმი) საპირისპიროდ „გნოსისის" (მარიაფი) მოძღვრება განავითარა (Rahman, 1979:141).

მათი მცდელობა, განთავისუფლებულიყვნენ რჯულის მონური მორჩილებისაგან და მინდობოდნენ შინაგან ხმას, ფართოდ უხსნის კარს ღვთის ქრისტიანულ განცდას. გარდა ამისა, ის ღიად ტოვებს კარს სხვა სულებისთვისაც, რომლებიც ადვილად სახლდებიან აღმსარებლებში.

სხეულისაგან განთავისუფლების მცდელობა

სხეულისაგან განთავისუფლების იდეა, სუფიების თქმით, სხეულის განადგურების იდეა, უფალთან შერწყმის სურვილით იყო განპირობებული. ეს ახლოს დგას სხეულის მოკვდინების ქრისტიანულ დოქტრინასთან, რომლის მიხედვითაც, ჯვარცმული უნდა იქნას მისი სურვილები და მიდრეკილებები. გარდა ამისა, სუფიზმი საშუალებას აძლევდა ადამიანებს, გაერთიანებულიყვნენ ბუნებრივ დაჯგუფებებში. სუფიათა საძმო შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ხელოსანთა, მეომართა და სოფლის მცხოვრებთა შორის. ეს კი ადამიანთა სოციალურ მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

სუფიზმის გავრცელება

ის მოკრძალებული საქმიანობა, რომელიც სუფისტურმა ორდენებმა წამოიწყეს VIII-IX საუკუნეებში, მთელ მუსლიმურ სამყაროს მოედო და შემდგომ ასწლეულებში მძლავრ მისიონერულ მოძრაობად გადაიქცა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „მომღერალმა სუფიებმა“ იმდენივე გააკეთეს წარმართთა მოქცევისათვის, რამდენიც მუსლიმთა არმიებმა.

სუფიზმი არსებობდა, როგორც საკმაოდ კარგად ორგანიზებული საიდუმლო ორდენების, ისე ცალკეული არაორგანიზებული ჯგუფების სახით. ორდენს ჰყავდა მუდმივი წევრები და მოხალისეები.

ღირსებებთან ერთად სუფიზმს ნაკლიც ბევრი ჰქონდა, როცა ის აღმსარებელს ღმერთთან მისასვლელ პირდაპირ გზას სთავაზობდა, ამით რჯულის, ყურანისა და ჰადისების გავლენას ასუსტებდა, რასაც ადამიანი გარკვეულწილად ნომინალიზმისა და, ბევრ შემთხვევაში, ზნეობრივი აღვირახსნილობისაკენ მიჰყავდა.

ყველაზე გამანადგურებელი გავლენა კი სუფიზმის იმ მოძღვრებას ჰქონდა, რომელიც აცხადებდა, რომ ექსტაზი ღმერთთან შერწყმის ჭეშმარიტი გზა იყო. სუფიზმის ერთ-ერთი გასაოცარი თვისებაა მისი ყველგანმყოფობა. ამა თუ იმ ფორმით ის ყველგან იჩენს თავს მუსლიმურ სამყაროში. თეორიულად დასაშვებია, რომ ადამიანი ერთდროულად იყოს რომელიმე ისლამური სექტისა და სუფიური ორდენის წევრი. სთავაზობს რა აღმსარებელს პირდაპირ გზას უფლისაკენ, ის აუფასურებს შიიტთა იმამებისა და აიათოლების ფუნქციებს. ამან, სხვათაშორის, მრავალი შიიტი მიიყვანა სუნიზმთან.

ქრისტიანი მისიონერისათვის სუფიზმში არის, როგორც იმედის მომცემი, ისე დამაბრკოლებელი მხარეები. იმედის მომცემ მხარეს წარმოადგენს უფლის ძიების წყურვილი და ასკეტური ცხოვრებისათვის მზადყოფნა ამ მიზნის მისაღწევად. დაბრკოლებას კი მონობის ახალი სახეობა ქმნის, რომელიც ახასიათებს სუფიზმს, ეს არის უსიტყვო მორჩილება ორდენის მეთაურისადმი. გარდა ამისა, ღმერთთან კონტაქტის დასამყარებელი ცდების დროს, როცა ეს ღმერთი არ არის იესო ქრისტე, იქმნება დემონურ სამყაროსთან ურთიერთობის საშიშროება.

აღგილობრივ რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან შემგუებლობის წყალობით, სუფიზმმა ფართოდ გაუხსნა კარი სინკრეტიზმის სხვადასხვა სახეობას. სულებთან და დემონებთან ურთიერთობის გარდა, სუფიზმი თავისი შემგუებლობითა და სინკრეტულობით ავითარებს ისლამის ჰიბრიდულ ფორმას, რომელსაც „ხალხურ ისლამს“ ეუწოდებთ ხოლმე.

თავი XIII

ხალხური ისლამი: მუსლიმები და სულები

„ხალხური ისლამი“ სინკრეტულ ფორმებს მოიცავს. მისი ზოგიერთი განშტოება მხოლოდ და მხოლოდ პრიმიტიულ ანიმისტურ წარმოდგენათა ზედაპირული შრეა. ანიმიზმი არის რელიგიის ფორმა, რომელიც სულების რწმენას ეფუძნება. ანიმისტური წარმოდგენების მიხედვით, ყველა ცოცხალ და უსიცოცხლო საგანს, ადამიანებს, ცხოველებს, თევზებს, ჩიტებს, მწერებს, ქვებს, ხეებს, ტყეებს, მთებს, გამოქვაბულებს, ციურ სხეულებს, შენობებს და ჯადოქრების მაგიურ ინვენტარს თავისი სული აქვს. ამ წარმოდგენებს ეფუძნება რიტუალები, რომლებიც დემონთა გულის მოსალბობადაა გამიზნული.

ადამიანები, რომლებიც ხალხური ისლამის სამყაროში ცხოვრობენ, დაკავებულნი არიან იმით, თუ როგორ გამოიყენონ ეს სულიერი ძალები საკუთარი ინტერესებისათვის. ეს სურვილი, როგორც წესი, იმ მცდელობით გამოიხატება, რომ კეთილად განაწყონ ან ნეიტრალურად აქციონ სულები, ან სულაც გამოიყენონ ისინი კეთილდღეობის მიღწევისა და მტერზე ზემოქმედებისათვის.

აქ, ჩემი აზრით, დროულია სიტყვის ჩამოგდება იმაზე, თუ რამდენად რეალურია ამ სულების არსებობა. როგორც დასავლურ ცივილიზაციაზე აღზრდილ ადამიანს, მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ისინი რეალურად არ არსებობდნენ და მხოლოდ ცრუმორწმუნეთა ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდნენ. ეს იმ მეცნიერული მსოფლმხედველობის შედეგი იყო, რომელსაც გვინერგავდა ჩვენი განათლების სისტემა. ამგვარი წარმოდგენა არ ეფუძნება არც წმიდა წერილს და არც ცხოვრებას.

ბიბლია ხშირად მოიხსენიებს „ბოროტ სულს“. მას მრავალი სახელი აქვს: „გველი,“ „სატანა“, „წუთისოფლის თავადი“, „ღმერთი წუთისოფ-

ლისა“, „მკვლელი“, „მაცდური“, „ძმათა განმკითხველი“ და „სიცრუის მამა“. ის გამოჩნდება ედემში პირველი მამაკაცისა და ქალის გვერდით და აღიწერება ბიბლიის უკანასკნელი წიგნის ბოლო თავებში.

იესოს პირველი გამოცდა დაკავშირებული იყო იმ ცდუნებასთან, რომლის წინაშეც აყენებდა მას ეშმაკი უდაბნოში. პავლე, პეტრე და იოანე რეალურად მიიჩნევენ მის არსებობას და დამღუპველ გავლენას ადამიანზე.

საკუთარმა და საიმედო თანამშრომელთა გამოცდილებამ დამარწმუნა სხვა ზებუნებრივ ძალთა არსებობაში.

სუფიზმმა, რომელმაც ადგილობრივი ისლამური წეს-ჩვეულებანი მიიღო, ფართოდ გაუღო კარი ამ სულებსა და ზებუნებრივ ძალებს. ერთი შეხედვით თითქოს ისლამის ამა თუ იმ ფორმას აღიარებენ, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდაა დანერგილი სულებთან ურთიერთობის პრაქტიკა, რომლებსაც ადამიანი ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდება თავის ყოფაში.

ჰიბერტი ამ ხალხური რელიგიური წარმოდგენის თაობაზე წერს: „ხალხური რწმენა კონცენტრირებულია ცხოვრებისეულ პრობლემათა გადაჭრაზე“. იგი ჩამოთვლის ხალხურ ისლამთან დაკავშირებულ საკითხებს:

„სიკეთილ — სიცოცხლის საზრისი;

პიროვნებისა და თემის კეთილდღეობა და უმედურების შუქარა;

წარმატებისა და წარუმატებლობის საკითხი;

ცხოვრების დაგვგმეა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ცოდნა;

ადამიანური ურთიერთობები, წინაპრებთან, სულებთან, ღმერთებთან, დემონებთან, ცხოველებთან და მცენარეებთან დამოკიდებულება“.

(Hiebert, 1989:47-49).

ორთოდოქსული ისლამი კი პირველსაწყისებზე, საგანთა წარმოშობასა

მზა პასუხებს წამიერად აღმოცენებულ პრობლემებზე, ორთოდოქსული ისლამი კი თეოლოგიის ენაზე მარადიულ ჭეშმარიტებათა განხილვისკენაა მიდრეკილი. ხალხური ისლამი სულებთან ურთიერთობას ეფუძნება.

ხალხური ისლამი აღიარებს განსაკუთრებული თვისებების მქონე ქალებსა და კაცებს: კუდიანებს, ჯადოქრებს, შამანებს. მათ შეუძლიათ სულების განდევნა ან, პირიქით, ბოროტი სულების ვინმესთან მიგზავნა, მეორე მხრივ, კეთილი სულების მოხმობა. ხალხური ისლამის წარმოდგენით,

არსებობენ წმიდა ადგილები, შენობები, წყაროები, ქვები, მთები და ტბები, სადაც კურთხევას იღებს ადამიანი. შესაბამისად, არსებობენ ბოროტი სულებით დასახლებული ადგილებიც, რომლებსაც ადამიანი უნდა გაურბოდეს.

მუსლიმურ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული ავი თვალის რწმენა. „გათვალვა" დაწყეველის ერთგვარი ფორმაა. ადამიანს, რომელსაც შურის ან ეჭვიანობის ნიადაგზე ბოროტი თვალი აქვს, ავის მოტანა შეუძლია მეზობლების, სხვა ადამიანთა ოჯახის წევრებისა და ქონებისათვის.

სულების გულის მოსალბობად და მათი მოქმედების გასანეიტრალებლად აღმოცენდა ადგილობრივი რიტუალები. მუსლიმურ სამყაროში ბევრგანაა გავრცელებული მაგიური სიმღერები და მსხვერპლშეწირვა.დებენ აღთქმებს, მიდიან სალოცავად ტაძრებში და წმიდა ადგილებში, ეხებიან და კოცნიან საფლავებს, რომელთაგანაც, მათი წარმოდგენის თანახმად, კურთხევას იღებენ, ნეტართა საფლავების ახლოს დარგულ ხეებზე ფერად ნაჭრებს ჰკიდებენ, რაც ვედრებას გამოხატავს.

ვაი, იმ ქრისტიან მისიონერს, რომელიც სერიოზულად არ მიიღებს ყველაფერ ამას, ან მათ იგნორირებას შეეცდება. გასათვალისწინებელია კრაფტის გამოცდილება, რომელიც ნიგერიის მუსლიმთა შორის ყოფნისას მიიღო: „დრო და დრო ნიგერიელები საუბარს იმ უბედურებებზე გადაიტანდნენ ხოლმე, რომლებსაც მათ ცხოვრებაში ბოროტი სულების მოქმედება იწვევდა. ავადმყოფობა, უბედური შემთხვევები, ადამიანების, ცხოველების და მინდვრების უნაყოფობა, გვალვა და შფოთი მათ ბოროტი სულების მოქმედებად მიაჩნდათ" (Kraft,1988:4).

შემდეგ კრაფტი დეტალურად აღგვიწერს „პარადიგმის ცვლილებას", რომელიც მან დასავლური სეკულარული მსოფლხედვიდან წმიდა წერილის მსოფლხედვაზე გადასვლისას განიცადა. ბოროტ სულთა წინაშე უძლურებას მან სულიწმიდის ძალა დაუპირისპირა (Kraft, 1989:117-132).

ბევრი ჩვენგანი, ვინც მუსლიმურ სამყაროში მუშაობდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მუსლიმთა სულიერი მოღვაწეობის 80% ხალხური ისლამის წეს-ჩვეულებებთანაა დაკავშირებული.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ უნდა მიუდგეს მისიონერი ამ პრობლემას.

თავი XIV

მებრძოლი ისლამი: ფესვებთან დაბრუნება

მუსლიმის მთელ ცხოვრებას რელიგია (დინი) წარმართავს. დასავლეთში ჩვენ მივეჩვიეთ რეალობას, რომელიც ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფამ წარმოშვა. ორთოდოქსული ისლამისათვის ამგვარი რამ უცხოა. მისთვის რელიგია და პოლიტიკა, ისევე როგორც ცხოვრების სხვა სფეროები, ერთმანეთისაგან განუყოფელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი პოლიტიკა რელიგიური ნიშნითაა წარმართული. მუსლიმებმა ბრძოლით (ჯიჰადი) უნდა იარონ „ღვთის გზაზე" ცხოვრების ყველა სფეროში — მათ შორის პოლიტიკურ არენაზეც. ჭეშმარიტი მუსლიმი ვერ დამშვიდდება მანამ, სანამ მთელი სამყარო ისლამური რჯულის (შარიათის) ქვეშ არ მოექცევა.

ამ წარმოდგენის თანახმად, მთელი სამყარო ორ ნაწილადაა გაყოფილი: „ისლამის სახლად" (დარ ულ-ისლამ) და „მოწინააღმდეგეთა სახლად", ან „ომის სახლად" (დარ ულ-ჰარბ). ისლამი განწირულია მთელ სამყაროში გავრცელების მარადიული მცდელობისათვის.

სინამდვილეში ყველაფერი ისე როდი წარიმართა, როგორც მუსლიმებს სურდათ. ისლამის მიერ მსოფლიოს დაპყრობის აღრეული მცდელობები, წარმატებული წინააღმდეგობების გამო, როგორც წესი, მოლაპარაკებებით მთავრდებოდა. მთელ მსოფლიოში გაბატონების პრობლემა ხალიფათა და სულთანთა გამუდმებული საწუხარი იყო.

მბრძანებელთა დეგრადაციამ ომეიადისა (661-750 წ.წ.) და აბასიდების (750-1258 წ.წ.) ხალიფატები წარმოშვა. ამ უკანასკნელს მონღოლთა შემოსევამ მოუღო ბოლო. ამას მოჰყვა ადგილობრივ მმართველთა აღზევება მთელ მუსლიმურ სამყაროში. მათი ჩამოთვლა საკმაოდ დამღლელი იქნებოდა და არცაა საჭირო ჩვენი მიზნებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი

მათ შორის ოტომანთა იმპერია იყო (1342-1924 წ.წ.). ხალიფატის გაუქმების შემდეგ (1924 წ.) ისლამს აღარ დარჩა ცენტრი, რომლის გარშემოც შეღუღაბდებოდა მსოფლიოს დასაპყრობად.

კოლონიალიზმის აყვავებამ, რომლის შედეგადაც მუსლიმური სამყაროს 90% დასავლეთის ძალაუფლების ქვეშ მოექცა, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მუსლიმთა პოლიტიკურ ამბიციებს. დასავლეთმა რამდენიმე სახელმწიფოდ დაშალა ოტომანთა იმპერია. ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ ბანგლადეში, რომელიც სამოქალაქო ომის შედეგად გამოეყო დასავლეთ პაკისტანს.

კოლონიალიზმმა ხელი შეუწყო პანისლამისტური განწყობილების გაღვივებას, რომელიც ჯამალ ად-დინ ალ-აფგანის (1838-1897 წ.წ.) ქადაგებით დაიწყო გასულ საუკუნეში. იგი პირველი არ ყოფილა, ვინც ისლამის აღორძინებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ მებრძოლი ისლამის თვითშემეცნება, რომელიც ჩვენს საუკუნეში აყვავდა, სწორედ მის სახელს უკავშირდება. გამოჩენილი მუსლიმი თეოლოგი, წარმოშობით ინდოელი, აბუ-ლ-ალა მაუდუდი ეწინააღმდეგებოდა პაკისტანის ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რადგან ნაციონალიზმს იგი კოლონიალიზმის პირმშოდ მიიჩნევდა. ის დაჟინებით იმეორებდა, რომ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი მსოფლიო მუსლიმური სახელმწიფო და არც ერთ მუსლიმს არ უნდა ეცხოვრა არამუსლიმთა ძალაუფლების ქვეშ. რადგან ასეთი სახელმწიფო არ არსებობდა, იგი მოგვიანებით პაკისტანში გადასახლდა, რათა არ ეცხოვრა ინდოეთში არამუსლიმთა ძალაუფლების ქვეშ.

ეგვიპტეში ყველაზე მჭერმეტყველი და ნაყოფიერი მწერალი, რომელიც ჰასან ალ-ბანის მიერ 1927 წელს შექმნილი მუსლიმთა საძმოს წევრი გახლდათ, იყო საიდ ქუთბი. მისი აზრით:

„ისლამი კაცობრიობას სთავაზობს ერთიან სრულყოფილ სისტემას, რომლის მსგავსსაც არ იცნობდა სამყარო არც მანამდე და არც შემდეგ... ის ურჩევს კაცობრიობას ერთიან მიდგომას ყველა პრობლემისადმი“ (Gragg, 1985:55).

ქუთბი გაბედულად გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს და აკრიტიკებდა გამალ აბდ ან-ნასერის რეჟიმს, რის გამოც ნასერმა იგი სიკვდილით დასაჯა 1966 წელს. ქუთბი, ისევე როგორც ყველა ეგვიპტელი, სუნიტი იყო.

შიიტთა მხრიდან, ხელისუფლების სათავეში ჰომეინის მოსვლამდე, თეირანელი ალი შარიათი აქტიურობდა. იგი თვლის, რომ „ცხოვრება

ოდენ გაკიცხვა და ბრძოლაა, და მეტი არაფერი... გაიხსენეთ წინასწარმეტყველის მიმდევრები. ყველანი მეომრები იყვნენ, საზოგადოების გაუმჯობესებაზე მზრუნველნი, სამართლიანნი. ვინ იყო დასაწყისში მუჰამედის მიმდევართაგან ინტელექტუალი, ვინ – მოღვაწე და ვინ – ფილოსოფოსი? მათთვის არ არსებობდა ამგვარი დაყოფა. თითოეული აერცელებდა ისლამს, იბრძოდა და იმავდროულად ამუშავებდა მიწას, უელიდა ფინიკის ხეებს ან მწყემსავდა აქლემებს. თითოეული მათგანი ერთდროულად იყო მუშაკი, მეომარი და ინტელექტუალი" (Gragg, 1985:76, 84).

ამ მამაცი ირანელი ინტელექტუალისათვის, რომელსაც ხშირად „ისლამის განთავისუფლების თეოლოგს" უწოდებდნენ და რომელიც განდევნილი გახლდათ თავისი ქვეყნიდან, ერთადერთი გზა აქტიური ქმედება იყო მანამ, სანამ ისლამი არ ჩაიგდებდა ხელში მსოფლიო ძალაუფლებას და უკეთესობისაკენ არ გარდაქმნიდა მას. შარიათი, ისევე როგორც ქუთბი, მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა, რადგან აქტიურად გამოდიოდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც ვარაუდობენ, იგი ირანის შაჰის საიდუმლო პოლიციის (სავაკი) მსხვერპლი გახდა.

უეჭველია, რომ ჩვენს დროში შიიტური ისლამის ყველაზე ცნობილი მოღვაწე აწ გარდაცვლილი აიათოლა ჰომეინი (გარდ. 1989 წ. 3 ივნისს) გახლდათ. მას ღრმად სწამდა, რომ ისლამი ღვთისაგან მომდინარეობდა და მისი დანიშნულება მსოფლიოს დაპყრობა იყო. როცა განდევნის შემდეგ ირანში დაბრუნდა, მან თქვა:

„ჩვენ სამაგიერო უნდა მივუზღოთ ზესახელმწიფოებს და ვაჩვენოთ, რომ იდეოლოგიურად მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეგვიძლია, მიუხედავად იმ მტკივნეული პრობლემებისა, რომელთა წინაშეც ვდგავართ... ჩვენ მოვახდენთ ჩვენი რევოლუციის ექსპორტს მთელს მსოფლიოში. სანამ შეძახილი – „არ არის ღმერთი, თვინიერ ალაჰისა" – არ გახმიანდება მთელს სამყაროში, ბრძოლა არ შეწყდება (Wright, 1989:27, 108).

ლიბანში ამ რევოლუციის ექსპორტმა უამრავი ჯგუფი და მოძრაობა წარმოშვა, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ამალი, ჰეზბოლაჰი და ისლამური ჯიჰადია. დღეს ადგილი აქვს ერთგვარ „თვითაალებას" მსოფლიოს ისეთ ცხელ წერტილებში, როგორიცაა ლიბანი, სადაც მებრძოლი ისლამის იდეოლოგიით გაერთიანებული მრავალი დაჯგუფება არსებობს და თითოეული მათგანი მხოლოდ საკუთარ კანონებს ცნობს.

ყველგან, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ, ახლო და შუა აღმოსავლეთში,

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და საბჭოთა კავშირის შუააზიურ რესპუბლიკებში, ისლამი თანდათან იღვიძებს. აზერბაიჯანელთა, ყირგიზთა, უზბეკთა და ტაჯიკთა შემთხვევაში ეს მღელვარებები ეთნიკურ შეფერილობას იღებენ. თურქეთში ერთგვარი იმედგაცრუება სუფევს, რაშიც ბრალს სეკულარიზმს სდებენ. პაკისტანსა და ბანგლადეშში იმედოვნებენ, რომ ისლამური კანონების შემოღება წამლად დაედება საზოგადოებრივ სნეულებებს. ფილიპინებზე ისლამის გამოღვიძება ქრისტიანული უმრავლესობისაგან ავტონომიით გამიჯვნის მოთხოვნაში გამოიხატება. სუდანში კვლავ მძვინვარებს სამოქალაქო ომი, რომელიც გამოიწვია მუსლიმთა მცდელობამ, შარიათის კანონები შემოეღოთ ყველასათვის, მათ შორის ქრისტიანებისა და წარმართი უმცირესობისათვის, საკალდებულო ნორმად. ესაა ნიგერიასა და მალაიზიაში არსებული დაძაბულობის მიზეზიც.

დასავლეთში ჯიჰადი განსხვავებული ფორმით იჩენს თავს, მაგრამ მისი არსი იგივე რჩება — ესაა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მიტოვებულ ეკლესიებს ჩვენი ქალაქის გარეუბნებში მუსლიმები ყიდულობენ და მასში მეჩეთებს აწყობენ. გამოსაჩენ ადგილებზე იგება ახალი, მშვენიერი მეჩეთები. მრავალი ქალაქის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში მუსლიმ სტუდენტთა დაჯგუფებები იქმნება. ტელევიზიაში ჩნდება პროგრამები, რომლებიც ისლამის პროპაგანდას ეწევიან არაბულ და ინგლისურ ენებზე. ქვეყნდება პროპაგანდისტული ლიტერატურა, რომელიც ისლამს მომგებიანი კუთხით წარმოაჩენს. მუსლიმთა განწყობაც თანდათან იმუხტება. ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში მუსლიმური ქვეყნიდან განდევნილმა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ამგვარი რამ მითხრა: „ახლა, როცა კომუნიზმი დაემხო, იწყება ნამდვილი ბრძოლა, ესაა ბრძოლა ისლამსა და ქრისტიანობას შორის“. და მე მის ხმაში საზეიმო განწყობილება ვიგრძენი.

ზემოთ თქმულმა არ უნდა გაგვაკვირვოს ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ნამდვილ მუსლიმად ყოფნა მებრძოლ მუსლიმად ყოფნას ნიშნავს. ასეთია ისლამის ბუნება. როგორც აწ გარდაცვლილმა ფაზლურ რაჰმანმა შეგვახსენა, ესაა ისლამის საფუძველთა საფუძველი, რომელიც სათავეს მუჰამედის მოძღვრებიდან და საქმეებიდან იღებს.

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ უამრავი მუსლიმი მოექცა ქრისტეს რჯულზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რაც აიძულებს ისლამს, გარკვეული ზომები მიიღოს ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ. მე მჯერა, რომ ამის უკან დგას ქრისტეს დაუძინებელი მტერი — სატანა, რომელსაც არ სურს საკ-

ბილოს დათმობა. იგი მებრძოლ ისლამს გამოიყენებს, რათა შეაჩეროს სახარების გავრცელება იმ მუსლიმებში, რომელთაც ჯერ არ სმენიათ უფლის სიტყვა.

მიუხედავად ისლამის მებრძოლი განწყობილებისა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მუსლიმთა სულები ჩვენთვის მიუწვდომელია. ისინიც ჩვენსავით მიელტვიან სამყაროს, სადაც საყოველთაო სამართლიანობა იქნება გამეფებული. იესო სწორედ ამგვარ სამეფოს გვპირდება. ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარვუდგენთ მუსლიმებს ღვთის სასუფეველს, რომელიც იესო ქრისტეს საშუალებით გაგვიცხადდა. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მათ, რომ ის გზა, რომელსაც მიგვანიშნებს ქრისტე ღვთის სასუფეველისაკენ, მუჰამედისა და მებრძოლი ისლამის მიერ შემოთავაზებულ გზებზე უკეთესია.

თავი XV

ისლამი და დასავლეთი

„სეკულარიზმი“ საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინია. დრო და დრო მას „დასავლეთთან“ და „დასავლეთის კულტურასთან“ აიგივებენ. მას აღწერენ, როგორც ცხოვრებისადმი მეცნიერულ მიდგომას და ზებუნებრივი ძალების უარყოფას, როცა ადამიანი ცდილობს, ყველა პრობლემა ღვთაებრივი ძალების ჩაურევლად გადაწყვიტოს, მას აგნოსტიციზმად და მატერიალიზმის ათეისტურ სახეობადაც მიიჩნევენ, სულ ერთია, კაპიტალისტური იქნება ის, სოციალისტური თუ კომუნისტური. მისი ძირითადი არსია, დაამციროს რელიგია და განადიდოს ადამიანის უნარი, იოლას გავიდეს ღვთის დახმარების გარეშე. ამ წარმოდგენას საფუძვლად უდევს რწმენა, რომ იქ, სამყაროს გარეთ, არაფერი არ არის, და თუ ღმერთი მაინც არსებობს, მის შესახებ არავინ არაფერი არ იცის. ამასთან, რასაკვირველია, არ არსებობს რწმენა ეშმაკის, დაცემული ანგელოზების ან დემონებისა.

უეჭველია, ამ „მეცნიერულმა მიდგომამ“ და აზროვნების ტიპმა „შემიძლია გავაკეთო“ უზარმაზარი შემოქმედებითი ენერგია გამოანთავისუფლა დასავლურ კულტურაში, რამაც განაპირობა უპრეცედენტო ტექნიკური პროგრესი. ამას მოჰყვა მსოფლიო ეკონომიკაში დასავლეთის გაბატონება („ნავთობის სახელმწიფოთა“ გამოკლებით). დასავლეთის ტექნიკური მიღწევებისა და ეკონომიკური უპირატესობის წყალობით, სეკულარისტულმა მსოფლმხედველობამ ყველგან შეაღწია.

ისლამი და კოლონიალიზმი

მუსლიმური სამყაროს 90%-ის დასავლური კოლონიური მმართველობის ქვეშ მოქცევამ, ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომამდე, მუსლიმთა ცნობიერებას წარუშლელი დაღი დაასვა. მუსლიმური სამყარო შემდეგი დილემის წინაშე დგას: როგორ მიიღოს დასავლური

ტექნოლოგიები ისე, რომ არ შემოუშვას მათ უკან მდგომი ფილოსოფიური დებულებები. სწორედ დასავლურ და მუსლიმურ კულტურულ ფასეულებათა ურთიერთქმედებამ წარმოშვა მუსლიმთა რეაგირების ფართო სპექტრი, მაქსიმალური შემგუებლობიდან სრულ უარყოფამდე. ეს უკანასკნელი ჩვენ განვიხილეთ, როდესაც მებძოლ ისლამზე ვსაუბრობდით. ახლა კი შემგუებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მივუბრუნდებით.

შეგუებასთან დაკავშირებული პრობლემები

დასავლეთის ტექნოლოგიების ათვისებას თან ახლავს ახალი აზროვნების შემოჭრა, რაც არსებითად განსხვავდება მე-7 საუკუნიდან ამოზრდილი ისლამის მსოფლმხედველობისაგან. მუსლიმისათვის საკალდებულო ნორმას მუჰამედის ქცევა და მოძღვრება წარმოადგენს. რადგან მუჰამედი ვერც კი წარმოიდგენდა იმ ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც დღეს დასავლეთს გააჩნია, მუსლიმები დაბნეულნი არიან და ცდილობენ ახსნან, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს ისლამის ფარგლებს მიღმა. ისლამი ხომ მათი რწმენის კვინტესენციაა, რომელსაც ყველა კითხვაზე აქვს მზა პასუხი.

ქრისტიანები უკეთეს მდგომარეობაში არიან, რადგან ქრისტემ სასუფეველი წუთისოფლისაგან გამოაცალკევა, ერთმანეთისაგან გაჰყო ამქვეყნიური და იმქვეყნიური. მართალია, იესოს მოძღვრება ერთგვარი ქვაკუთხედი იყო, რომელზეც აღმოცენდა კულტურები, მაგრამ ქრისტიანობას არასოდეს უცდია, შეეზღუდა სამყარო იმ ვიწრო მსოფლმხედველობით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველი საუკუნის პალესტინურ კულტურასთან, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა იუდეველთა, ბერძენთა და რომაელთა წეს-ჩვეულებანი.

ისლამი კი ჩიხში მოამწყვდია ჰადისებიდან და ყურანიდან აღმოცენებული შარიათის კანონთა აბსოლუტურობის იდეამ, რაც არაბული კულტურის ერთი ადამიანის უნიკალური აზროვნებით შემოფარგლულ პატარა შრეს ასახავდა. ასეთია ისლამი, მუჰამედის რელიგია (570-632 წ.წ.).

ყურანსა და ჰადისებში გადმოცემული მუჰამედის სამაგალითო ცხოვრების აბსოლუტიზაციამ მორწმუნე მუსლიმები ჩაკეტილ სისტემაში მოაქცია, რომელიც XX საუკუნის მოთხოვნებს ვერ პასუხობს და ვერ ხსნის იმას, თუ რანაირად მიაღწია არაისლამურმა სამყარომ ამგვარ წარმატებებს.

ამ ჩიხიდან ორი გამოსავალია. პირველი, მიაწერონ მუჰამედს წინასწარმეტყველების უნარი (რომელიც მას არ გააჩნდა) და ამოიკითხონ ყურანში და ჰადისებში მის მიერ ნაწინასწარმეტყველევი დღევანდელი ვითარება. მეორე, აღიარონ, რომ მუჰამედი, მართალია ბრწყინვალე, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და მისი მოძღვრება და ქცევა არ არის საკმარისი საფუძველი მსოფლმხედველობის შეუცველობისათვის, რომელიც ვერ პასუხობს დღევანდელი დღის მოთხოვნებს.

ამ პრობლემას მუსლიმებისათვის დღეს ასეთი მწვავე ხასიათი არ ექნებოდა, მუჰამედს რომ თავის დროზე მაგალითად არ დაესახა მათთვის საკუთარი ცხოვრება და საქციელი და არ დაეტოვებინა სამყაროსათვის მუდმივმოქმედი კანონი (შარიათი), რომელიც მკაცრად იყო განსაზღვრული თავისი დროითა და გარემო პირობებით. არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყოდით, რომ ისლამს არასოდეს უცდია ამ ვიწრო ჩარჩოების გარღვევა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ თითოეული ასეთი მცდელობა მუჰამედის პიროვნებისა და მისი მნიშვნელობის დამცირებას იწვევდა.

ისლამი აქამდე თავს იკავებდა სერიოზული ნაბიჯებისაგან. საკმარისია კარის ოდნავი შეღებაც, რომ ახალი აზროვნება შემოიჭრას, რაც საბოლოოდ ისტორიულ ფუნქციასღა დაუტოვებს მუჰამედს და ისლამი, როგორც სისტემა, ადვილი შესაძლებელია, კომუნიზმის მსგავსად დაემხოს.

შეგუების ადრეული ცდები

რადიკალური შეგუების ყველაზე ადრეული და დრამატული მაგალითი ამ საუკუნეში თურქეთია. 1924 წელს ქემალ ათათურქმა, რომელიც მანამდე არმიის გმირი გენერლის როლს თამაშობდა, ახლადშექმნილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა. მან სწრაფად მოახერხა, რომ სეკულარულ სახელმწიფოებს ეცნოთ თურქეთი, შექმნა კონსტიტუცია, რომელიც რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას აცხადებდა, არაბული დამწერლობა ლათინურით შეცვალა, დახურა ისლამური სკოლები, ჩადრი ჩამოხსნა ქალებს, აკრძალა სუფიათა ორდენების მოღვაწეობა და კიდევ ბევრი რამ გააკეთა, რათა რელიგია პიროვნების კერძო საქმედ ექცია. ამ ექსპერიმენტის პირველი ათი წლის განმავლობაში მას მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ახლახან კი ისლამური აღორძინების მოძრაობამ ძალა მოიკრიბა. მიუხედავად მკაცრი სეკულარული კანონებისა, თურქი ხალხი თავის ეროვ-

ნებას და რელიგიას ერთმანეთთან აიგივებს („იყო თურქი, ნიშნავს იყო მუსლიმი“). დღესაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ თურქეთზე ის, რასაც კენეტ კრეგი ოცდახუთი წლის წინ ამბობდა:

„ერთი რამ ცხადია, ისლამი თურქეთში საკმაოდ მომწიფებულია იმისათვის, რომ სეკულარიზმმა მისი იგნორირება შესძლოს და აღსავსეა მოულოდნელობებით თავისუფალი ხელისუფლებისათვის.

მისი გადარჩენის ფაქტი უდავოა, ხასიათი კი – გაურკვეველი. მან გაუძლო ათათურქს, მაგრამ დღემდე შებოჭილია მისი მემკვიდრეობით“ (Gragg, 1965:154).

არაბთა დასავლეთთან ურთიერთობის ისტორია თავის გაგრძელებას ეგვიპტის განვითარებაში ჰპოვებს.

მუჰამედ აბდუ (1849 – 1905 წ.წ.), მართალია, გმირი რეფორმატორის ჯამალ ად-დინ ალ-აფგანის (1839 – 1897 წ.წ.) იდეებით იყო შთაგონებული, მაგრამ საკუთარი შეხედულებებისამებრ გარდაქმნიდა მათ და ეგვიპტურ სინამდვილეს უხამებდა. „მისი მთავარი თეზისი იყო ის, რომ არაისლამური მინარევებისაგან განთავისუფლებული ჭეშმარიტი ისლამი შესანიშნავად მიესადაგება თანამედროვე აზროვნებასა და პირობებს“ (Cragg, 1965:36).

აბდუს მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს მისივე ტერმინი „ჭეშმარიტი ისლამი“ წარმოადგენს. იგი ორთოდოქსი მუსლიმი იყო და ისლამის საფუძვლების შეცვლას არ დაუშვებდა. რადგან აბდუს მუჰამედი შეუმცდარად მიაჩნდა, წამოსწია აზრი, რომ ყველა თანამედროვე მიღწევა მან თავის დროზე იწინასწარმეტყველა, რაც დასტურდება კიდეც ყურანში და ჰადისებში.

აბდუს თავის აზროვნებაში რელიგია და მეცნიერება ერთმანეთისაგან გამიჯნული ჰქონდა. იგი არ დაუშვებდა რელიგიური აღმსარებლობის რაციონალურ გამოკვლევას. მან გამოკვლევის გარეშე დაიცვა თავისი რწმენა იმის აღმოჩენით, რომ მეცნიერული განვითარება გამართლებას პოულობს მუჰამედის მოძღვრებაში და სიხარულით მიიღო მეცნიერების მიღწევები, როგორც საკუთრივ ისლამური მოვლენა. მისი მოწაფეებიც ამ საკითხში დღემდე მის კვალს მისდევენ.

ეგვიპტის დილემა

ეგვიპტეში დღეს იგრძნობა ის დაძაბულობა, რაც დასავლური ფასეულობებისა და მიღწევების მიმართ ისლამის ტრადიციულ დამოკიდებულებასთანაა დაკავშირებული. მთავრობა არ თანხმდება შარიათის კანონების შემოღებაზე, რის გამოც ორთოდოქსები მას არაისლამურად ანუ სეკულარულად მიიჩნევენ. მებრძოლი მუსლიმები თავს ესხმოდნენ ყველა პრეზიდენტს დაწყებული აბდან ნასერიდან დამთავრებული ჰოსნი მუბარაქით.

შარიათის კანონთა შემოღების პრობლემა

რადიკალურად მემარჯვენე საუდის არაბეთი ყურანს კონსტიტუციის ნაცვლად იყენებს. მართალია, ქვეყნის შიგნით ეს გარემოება კონფორმიზმის გარანტიას იძლევა, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქეთა არაისლამური ქცევა საზღვარგარეთ უკვე ლეგენდად იქცა. პაკისტანსა და ბანგლადეშშიც შემოიღეს სამხედრო დიქტატორებმა შარიათის კანონები. თუმცა მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს არ სურს მათი შესრულება. არამუსლიმ მოქალაქეთა შარიათის კანონებით შეზღუდვამ სუდანში ხანგრძლივი სამოქალაქო ომი გამოიწვია.

კადაფის მწვანე წიგნი

ლიბიის მეთაური კადაფი უნიკალური გამონაკლისია ისლამური აღორძინების მოძრაობაში, რადგან ის არ ეკუთვნის არც ტრადიციული ისლამის მიმდევრებს და არც სანუსის ძმობის ლიდერებს. მან შარიათის კანონები თავისი საკუთარი კონცეფციებით შეცვალა და ჩამოაყალიბა ისინი „მწვანე წიგნად" სახელდებულ სამტომეულში. იმის მაგივრად, რომ გაეუმჯობესებინა კანონი, მან საერთოდ შეცვალა ის. კადაფიმ ორიან ფალაჩის 1979 წლის 16 დეკემბრის "New York Times Magazin"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განმარტა: „მწვანე წიგნს ადამიანი თავისუფლებისაკენ მიჰყავს... ეს არის ახალი სახარება. ახალი ეპოქის, მასების ეპოქის სახარება."

ჯონ ლ. ესპოზიტო ამასთან დაკავშირებით წერდა:

„მწვანე წიგნმა“ ჩამოაცილა შარიათის კანონები პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას. აურია რა ერთმანეთში პოპულისტური იდეოლოგია და პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ექსპერიმენტთა ფაროო სპექტრი, კადაფიმ საკუთარი კულტურული რევოლუცია მოახდინა, რომელიც თავად მის აზრებს ეფუძნებოდა და არა ყურანის ღვთაებრივ ხელმძღვანელობას ან წინასწარმეტყველის მაგალითს“ Esposito, 1984:159, 160).

კადაფი თავის თავს ისლამის დამცველად მიიჩნევს, რაც კარგად ჩანს ახლახან მის მიერ კეიპრისზე „ალ-მაუკიფ ალ-არაბის“ რეპორტიორისათვის მიცემულ ინტერვიუში. მან განაცხადა, რომ ლიბანში მანამ არ დამყარდება მშვიდობა, სანამ ყველა ქრისტიანი არ იქნება დაპყრობილი და ძალით გაბაჰმადიანებული. კადაფიმ თქვა: „შეცდომაა არაბ ქრისტიანთა არსებობა. არაბი არ შეიძლება იყოს ქრისტიანი“ (Abd Al-Fadi, in Al-Nour, №1, გვ. 2). მიუხედავად იმისა, რომ ეს დოქტრინა ქრისტიანებისათვის აშკარა საშიშროებას შეიცავს, ტრადიციონალისტი მუსლიმები არ მიიჩნევენ კადაფის ჭეშმარიტ მუსლიმად და თვლიან, რომ მისი „მწვანე წიგნი“ ისლამიდან რადიკალურ გადახვევას წარმოადგენს, რადგან მასში სეკულარული იდეოლოგიაა ჩადებული ისლამის საფარქვეშ. საინტერესოა, კადაფის წასვლის შემდეგ, დაუბრუნდება თუ არა მისი ხალხი ტრადიციულ ისლამს.

ისლამი და კომუნიზმი

ყველაზე უფრო უცნაური მუსლიმურ სცენაზე არის ზოგიერთი ისლამური ქვეყნის კეკლუცობა კომუნიზმთან. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ლიბიასთან, სირიასთან, ერაყთან და სამხრეთ იემენის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

იემენის სამოქალაქო ომის პერიოდში სამხრეთ იემენი მცირე ხნით მარქსისტულიც კი გახდა. ნავთობით მდიდარმა საუდის არაბეთმა ჩრდილოეთ იემენი თავის ეკონომიკურ ქვეშევრდომად აქცია და აღადგინა მისი ურთიერთობა სამხრეთ ნაწილთან. ორი იემენის გაერთიანების შემდეგ მარქსისტულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

ზემოთ თქმული მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ბრძოლის იმ ფორმებისა, რომელიც მიმდინარეობს მუსლიმურ სამყაროში იმასთან დაკავ-

შირებით, თუ როგორ ცდილობს ის მიიღოს ან უარყოს მეოცე საუკუნის ტექნოლოგიური საზოგადოების სეკულარული მსოფლმხედველობა. ეს მაგალითები ცალკეული ერების მოქმედებას ასახავენ. როგორ პასუხობენ დასავლეთის გამოწვევას ცალკეული პიროვნებები და მუსლიმური საზოგადოების უმრავლესობა?

ისლამურ ქვეყნებში ჩემი მოგზაურობების დროს სხვადასხვანაირად განწყობილი პიროვნებები და მცირე ჯგუფები მინახავს. ისლამის აღორძინებას თან სდევდა, როგორც ნეიტრალური, ისე საწინააღმდეგო განწყობები.

მუსლიმები დღეს ისევე დაბნეულნი არიან, როგორც გაქრობის გზაზე დამდგარი კომუნისტები. ამ დაბნეულობის გამო იტანჯებიან მასები, ადამიანები, რომლებიც უმწყემსოდ დარჩენილი ცხვრებივით დაუცველნი არიან. ერთხელაც ისლამი დაემხობა, ისევე როგორც დასავლური სეკულარიზმის მატერიალისტური ფილოსოფია. „ისმაელის“ სული არც ერთშია და არც მეორეში,არამედ იმაში, ვინც ჭეშმარიტი მწყემსია, ვინც საკუთარი სიცოცხლე მისცა თავისი სამწყსოსათვის.

თავი XVI

მეტოქე-წინასწარმეტყველი გულიამ აჰმად მირზა

ისლამმა, ისევე როგორც ქრისტიანობამ, უამრავი ერესი და სექტა წარმოშვა. აჰმადიელთა სექტა საკმაოდ გავრცელებულია და ღირს მასზე ყურადღების შეჩერება.

მირზა გულიამ აჰმადი (1835-1908 წ.წ.) ინდური წარმოშობის მუსლიმი სწავლული იყო, რომელსაც დიდი მიდრეკილება ჰქონდა ქრისტიანებთან და ინდუსებთან რელიგიური კამათისაკენ. მას აღიზიანებდა მუჰამედისა და ისლამის კრიტიკა ქრისტიანთა მხრიდან და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს ინდოელ მუსლიმთა ევროპული მმართველობის ქვეშ ცხოვრებით. კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო მისთვის ორთოდოქს მუსლიმ სწავლულთა დაბნეულობა მეცნიერული აღმოჩენების წინაშე. მან დაასკვნა, რომ ისლამს ახალი კომენტატორი, რეფორმატორი და წინასწარმეტყველი ესაჭიროებოდა (Mujeeb, 1967:543).

გულიამ აჰმად მირზა – მესია

1889 წელს აჰმადმა ამცნო ყველას, რომ ღვთაებრივი გამოცხადება მიიღო. მან ისიც განაცხადა, რომ იგი არის წინასწარმეტყველი ზილი, რომელიც რჯულის განსამარტავად მოვიდა. იგი ამტკიცებდა, რომ მისი ლოცვის ზებუნებრივ ძალას მოწინააღმდეგის მოკვლა შეეძლო (Hardy, 1972:172). რასაკვირველია, ორთოდოქსულმა ისლამმა, რომელიც „წინასწარმეტყველთა ბეჭდად“ ანუ უკანასკნელ წინასწარმეტყველად მუჰამედს მიიჩნევს, აჰმადი არ მიიღო.

ორთოდოქსულმა ისლამმა თავისი არსებობის პირველ ხანებში განავითარა იდეა, რომ იესო ქრისტე დაეშვება ზემოდან, დაამარცხებს ანტიქ-

რისტეს და თავისი ქადაგებით მოაახლოებს ისლამის ოქროს ხანას. აჰმადს ამგვარი იდეა ყურანის საწინააღმდეგოდ მიაჩნდა. მან ამოაგდო ისლამიდან მოძღვრების ეს ნაწილი. ტრადიციული ისლამური შეხედულებების საწინააღმდეგოდ, აჰმადი ასწავლიდა, რომ ქრისტე მართლაც გააკრეს ჯვარზე, იქიდან ჩამოხსნეს ჯერ კიდევ ცოცხალი, იგი ამოვიდა საფლავიდან და ქაშმირში გაემგზავრა, სადაც გარდაიცვალა კიდეც ღრმად მოხუცებული. აჰმადის მიმდევრები დღესაც გიჩვენებენ იქ ქრისტეს საფლავს. (Cragg, 1956:250).

გულიამ აჰმად მირზა – მაჰდი

საკუთარი თავის მესიად გამოცხადებასთან ერთად, აჰმადმა ისიც თქვა, რომ იგი არის მაჰდი, „სწორი გზით წარმმართველი", რომელიც მეორედ მოსვლის წინ სიკეთის აღსადგენად უნდა დაშვებულიყო დედამიწაზე. მაჰდი, ქრისტესაგან განსხვავებით, საჭიროს იმისათვის მოევლინება, რომ მუჰამედის მმართველობის ძველი სიწმიდე აღადგინოს და რჯულის ყველა კომენტარი გაერთიანოს (Glasse, 1989:246, 247).

საღვთო ომზე უარის თქმა

აჰმადი კიდევ უფრო გაირიყა მუსლიმთა საზოგადოებიდან, როდესაც განაცხადა:

„...ჯიჰადი, როგორც ძალადობის გზით რწმენის გავრცელების საშუალება, აღარ მოქმედებს და იგი მხოლოდ თავდაცვით უნდა შემოიფარგლოს..." მან გამოაცხადა, რომ რწმენის იძულებითი გავრცელება არასწორია და ქვებით ჩაქოლვა რწმენისაგან განდგომისათვის უნდა მოისპოს... 1904 წელს აჰმადმა მიიღო გამოცხადება, რომლის თანახმადაც, ის კრიშნას ერთ-ერთ რეინკარნაციად უნდა მიეჩნიათ (Karandikar, 1966:102).

აჰმადის მიმდევრები მუსლიმები არ არიან

პაკისტანის აღმოცენების შემდეგ კამათმა იმის შესახებ, არიან თუ არა აჰმადის მიმდევრები მუსლიმები, ორი სერიოზული კრიზისი გამოიწვია. პირველი სახელმწიფოს ხასიათის განსაზღვრასთან იყო დაკავშირებული. რადგან აჰმადის მიმდევრებმა თავიანთი დამფუძნებელი წინასწარმეტყველად გამოაცხადეს და ამით მუჰამედი დაამცირეს, ისინი არა-

ერთხელ დაარბიეს აღშფოთებულმა მუსლიმებმა 1953 წლის მარტ-აპრილში. საკითხი დაისვა პაკისტანის უმაღლეს სასამართლოზე (1974 წ.), რომელმაც აჰმადიელები არამუსლიმურ უმცირესობად გამოაცხადა (Esposito, 1984:113). ამას მოჰყვა არეულობები, აჰმადის მიმდევართა დარბევები და მკვლელობები.

აჰმადიელები: საკუთარი რწმენის თავგამოდებული დამცველნი

თავიანთი რწმენის გასავრცელებლად აჰმადიელებმა პროტესტანტ მისიონერთა მეთოდები გამოიყენეს. მათ შეასრულეს ყურანის ახალი თარგმანები, გამოსცეს უამრავი პროპაგანდისტული წიგნი, ქადაგებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მართალია, არაბული ისლამის ცენტრში მათ გააფთრებული წინააღმდეგობით შეხვდნენ, მაგრამ სამაგიეროდ პერიფერიებში მოიპოვეს წარმატება, განსაკუთრებით დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპაში. მათი გავლენა, პროპაგანდისტული საქმიანობის წყალობით, მათ რაოდენობას ბევრად აღემატება. მსოფლიოში მხოლოდ 500 000 აჰმადიელი თუ იქნება (Glasse, 1989:28).

აჰმადიზმის დამოკიდებულება ქრისტიანობასთან

ამ სექტამ გააუარესა მუსლიმთა და ქრისტიანთა ურთიერთობა. როცა მირზა გულიამ აჰმადმა თავი მაჰდიდ გამოაცხადა, ისიც დაუმატა, რომ მაჰდის ერთ-ერთი ფუნქცია ანტიქრისტეს ამოცნობაა და მან ის თანამედროვე ქრისტიანობაში დაინახა. მისი აზრით, ქრისტიანობა ასცდა თავის პირველსაწყისებს და არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ალ-ალ-ქითაბის" ანუ „საღვთო წერილის ადამიანთა" რელიგია (Glasse, 1089:28).

მირზა გულიამ აჰმადი შეეცადა ისლამი უცხო მინარევებისაგან გაეწმიდა, „...ქრისტიანული ფასეულობებისაგან, რომელიც მასში ორთოდოქსულმა ისლამურმა ტრადიციამ შეიტანა" (Gragg, 1965:61).

ეს იმას ნიშნავს, რომ ისლამური მოძღვრებიდან ქრისტეს მეორედ მოსვლის იდეაც უნდა ამოეღოთ, რომელსაც ისლამი თავის ოქროს ხანამდე უნდა მიეყვანა. აჰმადის მიმდევრები კიდევ უფრო შორს წავიდნენ ქრისტეს გაკიცხვაში, მათი ვარაუდით, იესოს ურთიერთობა მარიამ მაგდალელთან არც თუ უცოდველი იყო. ისინი ამტკიცებენ, რომ კანაში საქორწინო ლხი-

ნის დროს იესომ დედა შეურაცხყო და გამოამჟღავნა სიმხდალე, როცა ჯვარზე გაკრულმა მამას შეჰღაღადა, რისთვის მიმატოვეო. კრეგი ამის თაობაზე წერდა:

„ამ უარყოფით დამოკიდებულებას ანეიტრალებს და ბევრ შემთხვევაში, საერთოდ გამორიცხავს კიდეც ის, რომ ორთოდოქსული ისლამი ქრისტეს ერთ-ერთ წინასწარმეტყველად მიიჩნევს. თუმცა იმდენად, რამდენადაც აჰმადიელებმა შეცვალეს მუსლიმთა დამოკიდებულება ქრისტიანობასთან, მათ ეს უფრო დიდი გაუცხოებისა და უფრო მტკიცე ისლამური თვითმყოფადობის განვითარების ფონზე გააკეთეს“ (Cragg, 1956:251).

აჰმადიელთა მოძღვრების სუსტი მხარეები

როგორც ქრისტიანებს, აჰმადიელთა მოძრაობა ორი თვალსაზრისით უნდა გვაინტერესებდეს. პირველი, ესაა მოთხოვნილება, „რომ დგახართ ერთი სულით და ერთსულოვანად იღწვით სახარების რწმენისათვის. ნურაფერში შეუშინდებით მოწინააღმდეგეს“ (ფილ. 1:27-28); „მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ“ (1 პეტრე, 3:15).

აჰმადიელთა მოძრაობაზე ყურადღების გამახვილების მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ისინი დაუცველნი არიან ორთოდოქსულ ისლამთან დაპირისპირებაში. პაკისტანში, ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობაც მიიღეს, ოფიციალურად არიან გამოცხადებულნი არამუსლიმებად და ამგვარივე დამოკიდებულებაა მათ მიმართ მთელს მუსლიმურ სამყაროში. მათ არ შეუძლიათ დაიცვან თავიანთი პოზიციები მუსლიმთა აუდიტორიის წინაშე ყურანზე და ჰადისებზე დაყრდნობით. ასევე არ შეუძლიათ დაიცვან ქრისტეს მიმართ თავიანთი დამოკიდებულება წმიდა წერილზე დაყრდნობით. ისინი ვერაფერს დაუპირისპირებენ სახარების კარგად მოფიქრებულ ქადაგებას, რისი დასტურიცაა ქრისტეს რჯულზე მოქცევა და ცხოვრება ყოფილი პაკისტანელი აჰმადიელის, შემდგომში ცნობილი ქრისტიანი მქადაგებლის, აწ გარდაცვლილი ჩოუდრი ინაიათული მუჯაჰიდისა. ისმაელის ეს გაბოროტებული და გზააბნეული შვილებიც შეიძლება გადარჩნენ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ქრისტესთან მათ მისაყვანად.

ნაწილი 4
მუსლიმთა სამსახური

დამოკიდებულების საკითხი

შესავალი

წიგნის პირველ სამ ნაწილში აღწერილი იყო აბრაამის ოჯახის ისტორია, აგარისა და ისმაელის განდევნა; ისმაელის ცნობილი შთამომავლის, მუჰამედის ცხოვრება და მოძღვრება; ისლამის წიაღში აღმოცენებული სხვადასხვა სექტა და მიმდინარეობა.

ამ ნაწილს თან ახლავს წანამძღვრები საღვთო წერილიდან. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი, რომელიც თანაუგრძნობდა აგარსა და ისმაელს, მათი შთამომავლობის მიმართაც გამოავლენს გულმოწყალებას.

იესომ ჯვარცმით გამოისყიდა მისი მორწმუნენი (იოანე, 3:16). ღმერთს სურს, რომ ყველა გადარჩეს და შეიმეცნოს ჭეშმარიტება (1 ტიმ. 2:4). მას ეინძეს დაღუპვა არ უნდა, გულწრფელ მონანიებას ელის ადამიანთა მხრიდან (2 პეტრე, 3:9). ჩვენი აზრით, სწორედ საღვთო წერილის ეს სიტყვები უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ურთიერთობას მუსლიმებთან. ჩვენ გვინდა, რომ ყველა მათგანი გადარჩეს და არავინ დაიღუპოს, რომ ყველამ შეიმეცნოს ჭეშმარიტება და მოინანიოს.

გამარჯვების აპოკალიფსურ სიმღერაში ნათქვამია, რომ მორწმუნენი მოელენ „...ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან“ (გამოცხ. 5:9). აქ, რასაკვირველია, მუსლიმებიც იგულისხმებიან. მუსლიმთა სამსა-

ხურში მყოფთ უნდა გვწამდეს, რომ უფალი მდიდარ სამკალს მოიპოვებს მათ შორის. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებებშიც ნათქვამია, რომ ეს სამკალი ისლამის ძეთა შორისაც იქნება. მრავალი სწავლული მიიჩნევს ესაიას მე-60 თავს მესიანისტური წინასწარმეტყველების მწვერვალად. იქ ვკითხულობთ, რომ ისმაელის უფროსი ძენი, ნაბეოთი და კედარი, იმ წარმართთა შორის იქნებიან, რომელნიც თავიანთი ნებით მოვლენ მესიასთან და მიაბარებენ საკუთარ სიმდიდრეს (ეს. 60:7). რადგანაც ეს კონკრეტული ადამიანები ესაიას წინასწარმეტყველებამდე ათასი წლით ადრე დაიხოცნენ, ბუნებრივია, ამ წინასწარმეტყველებაში ისმაელის უფრო შორეული შთამომავლობა იგულისხმება, როგორც არაბი, ისე ყველა სხვა ეროვნების მუსლიმი.

ამ წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე, გვწამს, რომ მდიდარ სულიერ სამკალს ვიხილავთ მუსლიმური სამყაროს ყველა რეგიონსა და ყველა ხალხში.

ჩვენი ზეციური მამის მსგავსად, ჩვენც გვსმის ამჯერად მისი შთამომავლობის პირით აღვლენილი ისმაელის ღაღადი. ისლამური სამყაროს გარეგნული ბრწყინვალების ქვეშ ჩვენც ვხედავთ მათ ისეთებად, როგორებიც იხილა იესომ: „...დატანჯულნი და დაბნეულნი, როგორც უპატრონოდ დარჩენილი ცხვრები". და იესოს იგავში გამოყვანილი მწყემსის დარად, განვიზრახავთ, რომ მოვიძიოთ და მოვიპოვოთ ისინი, რათა მივიყვანოთ კეთილი მწყემსის, იესოს ფარეხში.

თავი XVII

ქრისტეს გზა

„ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა. ჩემი სამეფო რომ ამ წუთისოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავარდნოდი“

(იოანე, 18:36).

იესომ კრავად მოსვლა არჩია. მან უარი თქვა, ძალით მოეხვია თავს კაცობრიობისათვის თავისი სამეფო (იოანე, 18:36).

ნაპოლეონ ბონაპარტეს უთქვამს: „ალექსანდრემ, კეისარმა, კარლოს დიდმა და მე იმპერიები შევქმენით. ოღონდაც რას ეფუძნებოდა ჩვენი გენიის ქმნილება? ძალას. მხოლოდ ერთმა – იესომ – დაარსა თავისი იმპერია სიყვარულით და მილიონები მზად არიან, თავი გასწირონ მისთვის. ქრისტემ დაამტკიცა, რომ იგი ღვთის ძეა“ (Vollmer, 1912:332).

იუდეველთა აჯანყებების გაკვეთილები

ზურგი შეაქცია რა თავის მესიას, იუდაიზმმა არ გაიზიარა, აგრეთვე, იესოს მოძღვრება ომის შესახებ. იუდეველთა პირველ აჯანყებას (66-73 წ.წ.) შედეგად ის მოჰყვა, რომ რომაელმა მხედართმთავარმა, ტიტემ, იერუსალიმი დაიპყრო, ტაძარი დაანგრია, ათასობით ებრაელი ამოხოცა და ოქროს მენორა რომში წაიღო (Wilson, 1989:75).

იუდეველთა მეორე აჯანყების დროს (132-135 წ.წ.) რაბი აკიბამ მესიად სიმონ ზილოტი (ბარ-კოხბა) გამოაცხადა. ამჯერად მხედართმთავარმა ანდრიანემ გაასწორა მიწასთან იერუსალიმი, 500 000 ებრაელი ამოხოცა

მთელს პალესტინაში, ქალაქს თავისი სახელი დაარქვა და იუდეველებს იქ გამოჩენა აუკრძალა (Wilson, 1989:92). ამ მწარე გაკვეთილებს სამუდამოდ უნდა ესწავლებინა ჭკუა ეკლესიისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

სახელგატეხილი ეკლესია

თავისი არსებობის პირველი სამი საუკუნის მანძილზე ეკლესია შორს იდგა საერო ხელისუფლებისაგან. კონსტანტინეს დროს კი მდგომარეობა შეიცვალა (313 წ.). აქედან მოყოლებული, ეკლესია გამუდმებით იტეხდა სახელს მთავრობასთან თანამშრომლობით. არსად არ უჩენია თავი ამ ფაქტს ისე აშკარად, როგორც ისლამთან თოთხმეტსაუკუნოვანი ურთიერთობის მანძილზე.

კარგი იქნებოდა, მუსლიმთა სამყაროში ლაქამოუცხებლებს რომ შეგვეღწია. მაგრამ ასე არ არის, განსაკუთრებით, თუ დასავლეთში დაიბადეთ. ლათინური ამერიკის, აფრიკის და აზიის ქვეყნებიდან გამოსულ მისიონერებს ამ მხრივ შეიძლება უფრო გაუმართლათ. რაოდენ სამწუხაროა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენი დასავლელი ქრისტიანი წინაპრები დაუდეერად ეკიდებოდნენ იესოს მოძღვრებას. მოდით, ყურადღებით ჩაუკვირდეთ მის ცხოვრებას.

იესო არ მიმართავდა მიწიერ ძალებს

იესო ყოველთვის გაურბოდა ძალის გამოყენებას. როდესაც სატანა გამოცდას უწყობდა, ის არ აჰყოლია ცდუნებას, გამოეყენებინა საკუთარი ძალა სურვილთა დასაკმაყოფილებლად და სამყაროს გასაოცებლად, ლაქა არ მოუცხია თავისი საწმინდისათვის მიზნის მისაღწევად. მან ირჩია, არა მახვილით, არამედ ჯვრით გამხდარიყო კაცობრიობის უზენაესი მმართველი.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიწიერი ძალები მას არ ემორჩილებოდნენ. მას შეეძლო დაეწყნარებინა როგორც ქარიშხალი, ისე აბობოქრებული ზღვა, გაემრავლებინა მცირე საკვები ათასობით მშიერის დასაპურებლად, ღვინოდ ექცია წყალი, განეკურნა ავადმყოფები, გამოედევნა დემონები და გაეცოცხლებინა მკვდრები. მას შეეძლო ანგელოზთა ლეგიონები მოეხმო საშველად, თუკი მოისურვებდა.

იესო სულიერ ძალას ეყრდნობოდა

იესო მოვიდა, რათა დემონური ძალებისაგან დაეხსნა ადამიანები, გაენთავისუფლებინა სულიერი შეჭირვებისაგან, განეკურნა, შეეწყალებინა ისინი და თავისი ძალაუფლება თავად სიკვდილზეც გაევრცელებინა. მას სურდა, რომ ადამიანებს ელიარებინათ მხოლოდ მისი სიკეთის გამო და მის გზას შესდგომოდნენ. იგი სიყვარულზე აშენებდა თავის სამეფოს და არა ძალაზე. მან თავი გასწირა სხვა ადამიანთა გამოსასყიდად და არ სურდა, ძალით წაერთმია ვინმესთვის სიცოცხლე. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ორ შემთხვევას, რომლებიც ერთი შეხედვით გამონაკლისად მოსჩანან, მაგრამ დაკვირვებული განხილვის შემდეგ დავინახავთ, რომ ეს არ არის ძალის გამოყენება მიმდევართა შემოსაკრებად ან სამეფოს დასაარსებლად.

მან იერუსალიმის ტაძრის ეზო ვაჭრებისაგან გაწმიდა და იუდეველებს უთხრა, რომ უფლის სახლი სალოცავი სახლია ყველა ხალხისათვის (იოანე, 2:16; მარკოზი, 11:17). ეს ძალადობის აქტი კი არა, ზნეობრივი ადამიანის აღშფოთების გამოვლენა იყო.

მხოლოდ ერთხელ მიმართა იესომ გამანადგურებელ ძალას: როცა დასწყევლა უნაყოფო ლეღვის ხე — ეს იყო საშინელი სამსჯავროს გამაფრთხილებელი მეტაფორა. აი, რა მოელის მას, ვინც უფლის მიერ შემოთავაზებულ ნაყოფიერ ცხოვრებას უარყოფს (მათე, 21:19).

იესო — ღვთის კრავი

იესო მოვიდა, როგორც ღვთის კრავი — სამსხვერპლო ბატკანი — რათა თავის თავზე აეღო კაცობრიობის ცოდვები. მან უთხრა მოწაფეებს, რომ აგზავნის მათ, როგორც კრავებს მგლებს შორის (ლუკა, 10:3). მადლი შევწიროთ უფალს იმ ფასდაუდებელ მსახურთა გამო, ვინც გაიგო მისი მოძღვრება და იცხოვრა კიდეც თანახმად ამ მოძღვრებისა. თუმცა ყველა, ვინც უფლის სახელს წარმოთქვამდა, როდი მისდევდა მის დარიგებას.

ქრისტიანულ იმპერიათა მწარე გამოცდილება

როცა იესო უბრალო ხალხში დადიოდა, გული ეკუმშებოდა, რადგან ხედავდა, რომ უპატრონო ცხვრებივით დაბნეულნი და დაფანტულნი იყვნენ (მათე, 9:36). იმის მაგივრად, რომ უფალს მიჰბაძონ, ბევრი ქრისტიანი,

რომელიც მხოლოდ სახელით არის ქრისტიანი, მგელივით დადის ცხვრებს შორის. ჩვენი წინაპრები და თანამედროვენი შებრკოლდნენ ხელისუფლებისა და იმპერიის საკითხებთან დაკავშირებით.

რა ისწავლა მუჰამედმა ბიზანტიელებისაგან

მუჰამედი, რომელიც თვალს ადევნებდა ბიზანტიის იმპერიას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რწმენა მახვილთან უნდა შეეუღლებინა. პირველი, რომელმაც ცუდი მაგალითი უჩვენა, რომის იმპერატორი კონსტანტინე იყო. მან სამოქალაქო ომებში გამარჯვების შემდეგ ქრისტიანობა მიიღო და დაახლოებით 312 წ. ის ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა.

გააერთიანა რა ჯვარი და ხმალი, კონსტანტინემ გააგრძელა დაპყრობითი ომები. მის მეომრებს ფარებზე ჯვარი ჰქონდათ ამოტვიფრული. აქედან მოყოლებული სახელს უტეხდნენ ქრისტიანობას ისინი, ვინც ვერ ხედავდა საზღვარს მიწიერ და სულიერ სამეფოს შორის, ვინც ძალას მიმართავდა საკუთარი რწმენის დასაცავად ან ომებს აჩაღებდა სარწმუნოების სახელით.

ჩვენ არ ვაპირებთ ვრცელ მსჯელობას სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის თაობაზე, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს ასე უნდა იყოს და ადამიანებმა, რომლებიც ვერ ასხვავებენ მათ ერთმანეთისაგან, უდიდესი ზიანი მიაყენეს უფლის სახელსა და საქმეს. მოგვიანებით ამ წიგნში ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ უმაღლესი ქრისტიანული ერთგულებისა და ქრისტეს სამეფოსადმი ჭეშმარიტი კუთვნილების საკითხს.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე (570-632 წ.წ.) მუჰამედი მოწმე იყო ბიზანტიელთა, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის, და სპარსელთა გაჭიანურებული ომებისა. იმ წელს, როდესაც მუჰამედი მექადან მედინაში გაიქცა (622 წ.), საიდანაც მუსლიმთა წელთაღრიცხვა იწყება, ბიზანტიის იმპერატორმა ერეკლემ შეიდწლიანი „საღვთო ომი“ წამოიწყო სპარსელთა წინააღმდეგ. სწორედ ბიზანტიელებმა უჩვენეს მუჰამედს მახვილისა და რწმენის შეუღლების მაგალითი. მუჰამედს ისღა რჩებოდა, რომ ბედუინთა ძველი ტრადიცია გაეგრძელებინა, მეზობელ ტომებსა და ქარავნებს დახმოდა თავს და ამ საქმიანობისათვის „ჯიჰადი“, ანუ „ალაჰის გზაზე ბრძოლა“, ეწოდებინა (Watt, 1974:108).

ჯვაროსნული ლაშქრობები

ჯვაროსნული ლაშქრობები (1095-1291 წ.წ.), ანუ ქრისტიანული ექსპედიციები, რომლებიც ეკლესიის დავალებით ეწყობოდა, რათა ხელიდან გამოეგლიჯათ „წმიდა მიწა“ მუსლიმებისათვის, იმ ომების რიცხვს მიეკუთვნება, ეკლესიის სახელითა და კურთხევით რომ ჩაღდებოდა. ისინი აგრძელებდნენ ქრისტიანული მილიტარიზმის ტრადიციას, რომელსაც იმპერატორმა კონსტანტინემ ჩაუყარა საფუძველი IV საუკუნეში.

კოლონიალიზმის პერიოდი

ისლამმა დააფიქსირა, რომ ქრისტიანები საშიშნი არიან. კოლონიალიზმის პერიოდმა (1450-1970 წ.წ.) ეს კიდევ ერთხელ დააღასტურა. ესპანეთმა და პორტუგალიამ მე-16 საუკუნეში გზა საბრძოლო, მისიონერული ავანტურებით გაიკაფეს. შემდეგ საუკუნეში ჰოლანდიელები, ფრანგები და ინგლისელებიც ჩაერთნენ იმპერიათა შექმნის გამალებულ მცდელობებში. მოგვიანებით მათ გზას გაჰყვნენ ბელგია, გერმანია, იტალია და რუსეთი. დღეს ამ თამაშში მხოლოდ საფრანგეთიღაა ჩართული. საფრანგეთის მმართველობის ქვეშაა ფრანგული გვიანა და კუნძული მარიოტა, აქვე შეიძლებოდა გვეხსენებინა რუსეთის აგბედითი შეჭრა აღღანეთში (1979-1988 წ.წ.).

რა თქმა უნდა, კოლონიალური პერიოდის მიწურულს დასავლური სახელმწიფოები უკვე აღარ მოქმედებდნენ ღვთისა და მამულის სახელით, რადგან მათ ცნობიერებაში უკვე ფესვგადგმული იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის იდეა. თუმცა დამპყრობელთა არმიებს უკან მისიონერებიც მისდევდნენ კოლონიალური სახელმწიფოებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა წმიდა სახის რელიგიურ-მილიტარისტული ოპერაციები, მუსლიმებმა სწორედ ასე აღიქვეს ისინი. თავად მუსლიმები ერთმანეთისაგან არ მიჯნავენ სახელმწიფოსა და რელიგიას და ჰგონიათ, რომ დასავლეთშიც ასეა. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოსა და მისიონერებს შორის ფარული კავშირი არსებობს.

იმ ქვეყნის მისიონერები, რომელსაც არასოდეს ჰყოლია კოლონიები, ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არიან, თუმცა მუსლიმები, რომლებიც უნდობლად ეკიდებიან ქრისტიანებსა და ქრისტიანობას, არას დაგიდევენ ამგვარ განსხვავებას.

შეიძლება ამერიკელი მკითხველი შოკირებული დარჩეს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ამერიკელებმაც გაისვარეს ხელი მუსლიმთა სისხლში, როცა 1898 წელს ამერიკა თავს დაესხა ესპანეთს და ხელში ჩაიგდო ფილიპინები. ესპანეთი მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა მინდანაოსა და სულუს არქიპელაგის კუნძულზე მცხოვრებ მუსლიმებზე. დაიკავა რა ესპანეთის ადგილი, ამერიკამ დაიწყო ბრძოლა ფილიპინელ მუსლიმებთან. შეიძლება არც თუ ისე დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენებიც გავიხსენოთ, კერძოდ, ლიბანთან (1956, 1986 წ.წ.), ლიბიასთან (1987 წ.) და ერაყთან (1991 წ.) დაკავშირებით.

კოლონიური ოკუპაციის მასშტაბები

კოლონიზატორმა სახელმწიფოებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქცივს მუსლიმური სამყაროს 90%. დამატებაში (E) მკითხველი ნახავს, რომ მუსლიმური ქვეყნების ოკუპაცია არც თუ ისე დიდი ხნის წინ დამთავრდა.

დამატებაში მოცემული ტაბულა იმის საჩვენებლად კი არ არის განკუთვნილი, თუ რამდენ ხანს იყო ოკუპირებული ესა თუ ის ქვეყანა, არამედ იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად ახალია ის ჭრილობები, რომელიც დასავლეთმა მიაყენა მუსლიმებს. ამ ტაბულაში მხოლოდ ის ქვეყნებია მითითებული, სადაც მუსლიმური მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს. აქ არ არის მოხსენიებული ოკუპირებული ქვეყნები, სადაც მუსლიმი მოსახლეობა უმცირესობას წარმოადგენს. ამიტომ აქ ვერ ვიპოვით ცნობებს ყოფილი საბჭოთა კავშირის, ჩინეთის ან ინდოეთის მუსლიმების შესახებ. ასევე არ არის მოხსენიებული კოლონიზატორი ქვეყნების სიაში ამერიკა, თუმცა მან ფილიპინების ოკუპაცია მოახდინა (1898-1946 წ.წ.), სადაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მუსლიმები შეადგენენ.

თანამედროვე ამერიკული მილიტარიზმი მუსლიმურ სამყაროში

უკანასკნელ ხანებში ამერიკა საოცარ ამბივალენტურობას იჩენს ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობაში. ჩვენ შევიჭერით ლიბანში 1956 წელს; ვბომბავდით მას 1986-ში; ჩვენ ვართ ისრაელის სახელმწიფოს მთავარი დასაყრდენი 1948 წლიდან, თუმცა 1956 წელს ვაიძულეთ საფრანგეთი, ინგლისი და ისრაელი უკან დაეხიათ სუეცის არხიდან. ირან-ერაყის ომში (1979-1988 წ.წ.) შეერთებული შტატები იცავდნენ ქუვეითის გემებს, შემდეგ

კი ყველა გემს, რომელსაც ირანი შემოუტევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ერაყს უჭერდა მხარს. მოგვიანებით კი შტატებმა ერაყს დაუწყო ომი (1991 წ.), რათა ქუვეითიდან გაეძევებინა ერაყელები. კარგად არის ცნობილი შეერთებული შტატების კონფლიქტი ლიბიასთან. ბევრის თქმა შეიძლებოდა იმ იარაღით ვაჭრობაზე, რასაც ეწევა ამერიკის შეერთებული შტატები საუდის არაბეთთან, აგრეთვე, ეგვიპტის, იორდანიის, პაკისტანის და ავღანეთის წინააღმდეგობის მოძრაობასთან.

ეს მოვლენები განამტკიცებენ მუსლიმთა ეჭვებს, რომ ამერიკა ან საკმაოდ საეჭვო მეგობარია ანდა ძალზე სახიფათო პოლიტიკური მოწინააღმდეგე.

ის გარემოება, რომ ჯერჯერობით პროტესტანტ მისიონერთა უმრავლესობა ამერიკიდანაა, შერეულ გრძნობებს იწვევს ჩვენს მუსლიმ მეგობრებში. ისინი გვეკითხებიან: „თქვენ მხარს უჭერთ თქვენი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას?“ მუსლიმი, რომელსაც არასოდეს ჰყოლია მისიონერი მეგობარი, მოელის, რომ პასუხი დადებითი იქნება. ისინი თავიანთი წარმოდგენების მიხედვით გვაფასებენ. იშვიათად შეხვედრიან ისინი ქრისტიანს (თუკი საერთოდ შეხვედრიან), რომლისთვისაც უმაღლესი ჭეშმარიტება ზენაციონალური და ზებუნებრივი ღვთის სამეფოსადმი ერთგულებაა.

პალესტინის პრობლემა

დასავლეთმა ისლამს ყველაზე მტკივნეული და მოუშუშებელი ჭრილობა ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში გაღებული წვლილით მიაყენა. ამერიკა პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც აღიარა ისრაელი 1948 წელს გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციის შემდეგ.

აქედან მოყოლებული, არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მუსლიმები ამერიკას ისრაელის უკან მდგომ ძალად და ისლამის ჭეშმარიტ მტრად მიიჩნევენ. ებრაელთა გამარჯვებამ 1967 წლის ომში მუსლიმებს ერთ-ერთი ძვირფასი რელიქვია — იერუსალიმი — დააკარგვინა. იერუსალიმი, მექასა და მედინას შემდეგ, მესამე წმიდა ქალაქია მუსლიმებისათვის. იერუსალიმის ცნობილი მეჩეთების — ქუბათას-საჰრისა და ალ-აქსასაკენ — მსოფლიოს ყოველი მხრიდან მოისწრფვიან მუსლიმი პილიგრიმები.

ამ წმიდა ადგილების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, რომლებიც

ცამეტი საუკუნის განმავლობაში მუსლიმებს ეკუთვნოდათ, იმ ტანჯვასთან ერთად, რაც მათ პალესტინაში ებრაელებისაგან განიცადეს, გახდა სწორედ ისლამსა და დასავლეთს შორის არსებული განხეთქილების მიზეზი. ისინი ჩვენ გვადანაშაულებენ ისრაელისადმი მხარდაჭერაში.

ჩვენს მიერ არაერთგზის ნაქები დემოკრატია და ადამიანის უფლებების ფართოდ რეკლამირებული დაცვა გაუფასურდა იმ უსიტყვო მხარდაჭერით, რომელსაც უწევს დასავლეთი ისრაელის სწორ თუ არასწორ პოლიტიკას.

საუკეთესოდ აანალიზებს ამ სიტუაციას ბარბარა ტაჩმენი თავის შესანიშნავ წიგნში „ბიბლია და მახვილი" (Tuchman, "Bible and Sword" (1956).

ბარბარა ტაჩმენი (ამ საკითხის ისტორიას 1917 წლის ბალფურის დეკლარაციამდე ის მხოლოდ ზოგად შტრიხებში მიმოიხილავს) ამტკიცებს, რომ ორი ფაქტორი – ბრიტანელთა განსაკუთრებული სიმპათიები ბიბლიის მიმართ და ბატონობისაკენ მისწრაფება – შეერწყა ერთმანეთს იმ უცნაურ პოლიტიკაში, რომელიც ორი ათასი წლის შემდეგ მშობლიურ მიწაზე ებრაელთა უფლებების აღდგენის მისწრაფებაში გამოიხატა (Tuchman, 1956:9-10).

ავტორი ოსტატურად აღწერს ბიბლიის უდიდეს გაელენას ბრიტანელთა ცნობიერებაზე, მათ დამოკიდებულებას „წმიდა მიწისადმი", ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობას, აღტაცებას ებრაელთა შესახებ არსებული წინასწარმეტყველების აღსრულების გამო, იმ ისტორიულ როლს, რომელიც შეასრულეს მათ, როგორც თავად მიაჩნიათ, ამ წინასწარმეტყველების აღსრულებაში.

ახდენს რა ძალაუფლებისაკენ ბრიტანული მიდრეკილების დემონსტრირებას, ავტორი გვიჩვენებს, როგორ შეერწყა ეს თვისება წმიდა მიწასთან დაკავშირებულ რელიგიურ – კულტურულ ინტერესებს, რამაც ებრაელებისათვის ხელისშეწყობა გამოიწვია. როდესაც მათი იმპერიის მზე ჩაესვენა და ბრიტანელებს გული გაუცივდათ ამ საკითხზე, მათი ადგილი ბიბლიური მოთხრობებითა და წინასწარმეტყველებებით არანაკლებ მოხიბლულმა ამერიკელებმა დაიკავეს. ახლა ისინი უწყობდნენ ხელს ებრაელებს თავიანთი ისტორიული საშშობლოს დაბრუნებაში. ისრაელის სახელმწიფოს დაბადება 1948 წელს შეუძლებელი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების გარეშე.

მუსლიმთა საღვთო ომი ისრაელის წინააღმდეგ

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ აღშფოთება გამოიწვია მთელს მუსლიმურ სამყაროში. ამერიკელი ებრაელები მოხალისეებად ეწერებოდნენ მუსლიმთა სისხლის დასაღვრელად იმისათვის, რომ ქვეყანა ებრაელებს დარჩენოდათ. მუსლიმებს ეს არ დავიწყნიათ. საუდის არაბეთის ყველა მმართველმა გამოაცხადა ჯიჰადი ისრაელის წინააღმდეგ. თუ დღეს იქ იარაღის ხმა არ ისმის, ეს როდი ნიშნავს, რომ ჯიჰადი მიავიწყდათ. მიუხედავად სამშვიდობო მოლაპარაკებებისა, მუსლიმები მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებიან ომის დასაწყებად.შეერთებული შტატების მთავრობის პროისრაელურ საგარეო პოლიტიკას თან ერთვის ის, რომ ამერიკის ეკლესია ისრაელს საგრძნობ ფინანსურ დახმარებას უწევს. ამიტომ ხედავენ მუსლიმები ქრისტიანებში თავიანთ რელიგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო მოწინააღმდეგეებს. ჩვენ ისინი დაუძინებელ მტრებად აღგვიქვამენ.

ისლამი სერიოზული გამოწვევაა ქრისტიანული მისიებისათვის. მისიონერობა განსხვავებული კულტურის ქვეყნებში ამ უკანასკნელთა მსოფლმხედველობის რადიკალურ ცვლილებას და მის ბიბლიაზე დაფუძნებას ნიშნავს. წინააღმდეგობა ისლამურ და ბიბლიურ მსოფლმხედველობას შორის იმდენად მძაფრია, რომ ყოველნაირად უნდა ეერიდოთ სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვანი მოტივებით – ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი, პოლიტიკური შეხედულებები და სამხედრო ავანტურიზმი – გამოწვეულ შეტაკებებს, თუ, რა თქმა უნდა, მუსლიმური აგრესიის აღკვეთის აუცილებლობის წინაშე არ დაეღგებით.

ეს თავი დავიწყეთ იესოს სიტყვებით ღვთის შესახებ. დროა, დავუბრუნდეთ ამ თემას.

სულ ახლახან ვსაუბრობდით იმაზე, თუ რა მოსდევს უფლის მოძღვრების უარყოფას ძალის ბოროტად გამოყენების შესახებ. თუ ძის სამეფოში არ არიან ჯარისკაცები, არ არსებობს პოლიტიკური საზღვრები და სამხედრო ავანტურიზმი, მაშ, რა არის იქ?

ღვთის სამეფო

ღვთის სამეფოში სიყვარულია. იქ არის მსახურება. იქ არის სიმშვიდე. იქ გულწრფელად ზრუნავენ ერთმანეთზე. იქ ყოველი ადამიანი ცდილობს,

რომ დალუპვისაგან გადაარჩინოს მეორე და ღვთის საყვარელი ძის სამეფოში შეიყვანოს. ამ სამეფოს ცენტრი, რასაკვირველია, იესო ქრისტეა, მეფე, რომელმაც მსახურის სახე მიიღო და მოკვდა ჩვენთვის. ის გვასწავლის, რომ უარი ვთქვათ ძალის გამოყენებაზე და თავი გადავდოთ სხვათა სამსახურისათვის.

მისიონერი, რომელმაც მუსლიმთა შორის მუშაობა გადაწყვიტა, კარგად უნდა ჩასწვდეს ღვთის სამეფოს ბუნებას, თორემ გზას ასცდება და ცრურწმენებს დაუბრუნდება.

მუსლიმები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამქვეყნიურ ძალას, მახვილს, ადამიანის დაშინებას, სხვებშიც ადვილად იჭერენ ამ ნაკლს, არც ერთი რელიგია არ მიჯნავს ისე ღვთისა და წუთისოფლის გზებს, როგორც ისლამი. ამიტომ ქრისტიანმა, პირველ რიგში, უარი უნდა თქვას ამქვეყნიურ გზებზე, რომელიც მეომარმა სახელმწიფოებმა, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, კომუნიზმმა და თანამედროვე ძალის პოლიტიკამ გაკვალეს და მხოლოდ სულიერი ძალით შეიარაღებულმა უნდა ეძიოს სამკალი. მისი გზა იოლი არ იქნება.

იესო, რომელიც კრაეის სახით მოგვეელინა, გვაგზავნის, როგორც ცხვრებს მგელთა შორის.

თავი XVIII

ღვთის სასუფეველი და კულტურა

„უთხრა იესომ: დედაკაცო, მერწმუნე, დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში თაყვანს აღარ სცემთ მამას... ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით...“ (იოანე, 4:21,23).

წინა თავში ჩვენ ესაუბრობდით დასავლეთის ისტორიაზე, რომელიც დაღდასმულია ისლამის მიმართ მტრული დამოკიდებულებით. აღვნიშნეთ, რომ ჩვენმა წარმოშობამ შეიძლება ცუდი სამსახური გაგვიწიოს სახარების გავრცელებისას, თუ იმ ერს, სადაც სახარება მიგვაქვს, ჩვენმა სახელმწიფომ რაღაც დაუშავა.

რა დამოკიდებულებაშია სახარების გავრცელება კულტურასთან?

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ საკმაოდ საჩოთირო და ძნელად მოსაგვარებელ პრობლემას. კერძოდ, რა დამოკიდებულებაშია სახარების გავრცელება კულტურასთან? ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას შემდეგ, რაც ადამიანი სახარების რჯულზე მოიქცევა. რომელი კულტურა გადასძალავს მოქცევის შემდეგ? მიიღებს თუ არა ახლად მოქცეული იმის კულტურას, ვინც იგი ქრისტესთან მიიყვანა? თუ ადგილობრივი ეკლესიის სოციოკულტურული ფონი არ შეესაბამება ახლადმოქცეულის წარმოდგენებს, უნდა მიიღოს თუ არა მან ადგილობრივ ქრისტიანთა სოციოკულტურული მოდელი? იქნება უმჯობესია, რომ ახლადმოქცეულმა თავისი კულტურის კონტექსტის ფარგლებში მოახდინოს რეაგირება სახარებაზე? თუ ეს ასეა, მაშინ რომელმა პრინციპებმა უნდა განსაზღვრონ ეკლესიის ფორმა?

თუ ჩვენ თვალს გავადევნებთ ამ პრობლემებს წინა თაობების მაგალითზე, აღმოვაჩენთ, რომ დღევანდელი ეკლესია არ ჰგავს პირველი საუკუნის ეკლესიას, არც მეორის, მესამის ან თუნდაც მეთხუთმეტე საუკუნისას. რა მოხდა? ვინ მისცა მას ცვლილების უფლება? როდის შეიცვალა? როგორ და რისთვის? განა არ იგულისხმებოდა, რომ ქრისტიანული კულტურის ფორმები მარადიული იყო? განა ქრისტეს მმართველობა უნიკალური არ არის? განა საკუთარი მაგალითი მისაბაძად არ დაგვისახა ქრისტემ?

მე მახსენდება ის კოშმარული სიზმარი, რომელიც პაკისტანში ქრისტიანობაზე და კულტურაზე ლექციების კითხვის პერიოდში დამესიზმრა. სიზმარში ჩემთან მოვიდნენ იმ სოფლის უხუცესები, სადაც 5 000 მუსლიმი ცხოვრობდა და მითხრეს: „მისტერ მაკ-კერი, თქვენ ორი წლის მანძილზე გვიქადაგებდით ქრისტეზე. ჩვენ ყველამ ვირწმუნეთ. სხვებიც დავარწმუნეთ სოფელში, რომ მიეღოთ ქრისტეს რჯული. ახლა გვინდა, მოვინათლოთ, გაგვაცნოთ ქრისტიანული კულტურა.“ აქ გამომეღვიძა და შეშფოთებულმა ვკითხე ჩემს თავს: „რა არის ქრისტიანული კულტურა? ამერიკული პრესვიტერიანობა? ბრიტანული ანგლიკანობა? შვედური ორმოცდაათიანელობა? სამხრეთელ ბაპტისტთა კულტურა? პლიმუტის ძმობის კულტურა? ხსნის არმიის კულტურა?“ თანდათან გავაცნობიერე, რომ ქრისტიანული კულტურა არ არსებობს — არის მხოლოდ ქრისტე, რომელიც ფერს უცელის კულტურას იქ, სადაც კი სახარება დამკვიდრდება.

ორთოდოქსული ისლამი და კულტურა

ქრისტიანობისაგან განსხვავებით, ისლამის პოზიცია ამ საკითხში ურყევია. მუჰამედი აცხადებდა, რომ მისი სიტყვა კანონი უნდა იყოს ყველასათვის. მან იმის მოდელიც კი შექმნა, თუ როგორ უნდა ისაუბროს მუსლიმმა ყურანის სიტყვებზე დაყრდნობით. არა მხოლოდ ყურანში დაფიქსირებული გამონათქვამები, არამედ თითოეული მისი სიტყვა და საქმე ნორმად უნდა ქცეულიყო ყველა მუსლიმისათვის. ის, რაც შემოინახეს ჰადისებმა, შემდეგ საკალდებულო კანონის სახით იქნა შარიათში (ისლამურ სამართალში) ფორმულირებული. მუჰამედის ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი კულტურა, ანუ მეშვიდე საუკუნის არაბეთის სოციოკულტურული მოდელი, საკალდებულო გახდა (მუსლიმთა თვალთახედვით) მთელი კაცობრიობისათვის.

ქრისტიანობას არ გააჩნია კულტურული აბსოლუტი

ხომ არ შეცდა ქრისტიანობა, როდესაც აბსოლუტად არ გამოაცხადა პირველი საუკუნის იუდეველთა კულტურული ცხოვრება, არ ჩართო ის სახარებაში? იესო ხომ გამუდმებით უმეორებდა თავის მიმდევრებს: „მომყევით მე". უნდა მივბაძოთ თუ არა ქრისტეს ყველაფერში? ცხადია,არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი აღთქმა ბევრად უფრო დიდი მოცულობისა იქნებოდა. იოანე მოციქულმა გადაწყვიტა, არ ჩაერთო თხრობაში ბევრი რამ, რადგან არ მიიჩნევდა აუცილებლად მათ გადმოცემას. აი, რას წერს იგი: „მოწაფეების წინაშე ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ, რაც ამ წიგნში არ დაწერილა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, და რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით" (იოანე, 20:30-31).

სანამ იმის განხილვას დავიწყებდეთ, რას გვასწავლიან ამ საკითხთან დაკავშირებით იესო და მოციქულები, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ჩვენ ეჭვქვეშ არ ვაყენებთ იესოს ეთიკურ მოძღვრებას. მან თავად თქვა, რომ მოვიდა რჯულის აღსასრულებლად და არა მის გასაუქმებლად (მათე, 5:17). იგი მოვიდა წმიდა, მართალი, მოყვარული, მოწყალე, როგორც ხორცშესხმული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება ღმერთზე და ადამიანზე, რათა ჩვენთვის ღმერთთან დასაბრუნებელი გზა ეჩვენებინა.

იესოს მტრებმა ის მამების ტრადიციების ღალატში დაადანაშაულეს (მარკ. 7:5). ამგვარი ბრალდება მის მოწაფეებსაც არაერთხელ წაუყენეს: „...ჩვენ მოვისმინეთ, როგორ ამბობდა (სტეფანე), რომ იესო ნაზარეველი დაანგრევს ამ ადგილს და შეცვლის წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მოსემ გადმოგვცაო" (საქმ. 6:14). მაშ, რა მოხდა? რამ შეაშფოთა იუდეველნი? რა აშფოთებს მუსლიმებს, როდესაც ბიბლია და სახარება მიდის მათთან? რა იცვლება? რა უნდა შეიცვალოს? ეს საინტერესო კითხვებია.

იესო სამარიაში

დასმულ პრობლემებზე პასუხის გაცემის მცდელობაში მოდით, ჯერ იესოსა და სამარიელი ქალის საუბარს დაეუბრუნდეთ (იოანე, 4:1-42). ძალიან ბევრი ნიშნის მიხედვით შეიძლება შევადაროთ იესოს ეპოქაში მცხოვრები სამარიელები დღევანდელ მუსლიმებს. ისინი იუდეველებს ეჯიბრებოდნენ. ეს ებრაელების მონათესავე ხალხი იყო, თუმცა არა ისეთი ღვიძლი, როგორც მუსლიმები; ისინი აღიარებდნენ წმინდა წერილის ერთ

ნაწილს (ხუთწიგნეულს); მათ ჰქონდათ საკუთარი საკულტო ცენტრი სამარიაში (ჰარიზიმის მთაზე), ამიტომ აუცილებლად არ თვლიდნენ იერუსალიმის ტაძრის მონახულებას; მათ თავიანთი ღვთის მსახურებიც ჰყავდათ.

თანამედროვე მუსლიმები (ყოველ შემთხვევაში ისლამის არაბული შტო) აბრაამს ენათესაებიან ისმაელის ხაზით, მის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს თავს ყველა მუსლიმი. სამარიელთა მსგავსად, მათაც თავიანთი წმიდა წერილი აქვთ. სამწუხაროდ, ბიბლიურმა მასალამ საგრძნობი ცვლილება განიცადა ყურანში. მუსლიმებსაც აქვთ თავიანთი რელიგიური ცენტრი — მექა. თუმცა ისინი აღტკიცებენ, რომ არ ჰყავთ ღვთის მსახურნი, მაგრამ ისეთი რელიგიური ხელმძღვანელების გარეშე, როგორებიც არიან იმამები, მოლები, შეიხები, აიათოლები, მუფთები და ყადები, ისლამი ფუნქციონირებას შეწყვეტდა. ერთი სიტყვით, ისლამმა შექმნა მთელი სისტემა, რომელიც არა მარტო უპირისპირდება ქრისტიანობას, არამედ მის ენერგიულ გამოდევნასაც ცდილობს.

თუ ყურადღებით დაუკვირდებით იესოს ნათქვამს სამარიელ ქალთან საუბრისას, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სახარებისა და კულტურის პრობლემასთან მიდგომის პრინციპები. დასაწყისისათვის ეს დიალოგი მიჯნავს ებრაული კულტურის პირობითობას ღვთის ჭეშმარიტი თაყვანისცემისაგან. სხვა ბიბლიური ციტატები კიდევ სხვა პრინციპთა ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება, რომელთაც შეიძლება დაეყრდნოთ მუსლიმური კულტურის ქვეყნებში სახარების გავრცელებისას. სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ, დაბეჯითებით გთხოვთ, გადაშალოთ იოანეს სახარება (4:1-42).

როცა იესომ მისი წარსული გამოიცნო, სამარიელმა ქალმა საკმაოდ საინტერესო და გამჭრიახი სიტყვები წარმოთქვა, რითაც კარგად წარმოაჩინა ორი მოქიშპე რელიგიის ურთიერთადამოკიდებულების არსი. მან თქვა: „ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს, თქვენ კი ამბობთ, იერუსალიმშია აღგილი, საღაც უნდა სცემდნენო თაყვანს“ (იოანე, 4:20). არსებითად ის ეკითხება იესოს, საღ არის ნამდვილი წმიდა ადგილი და როგორ უნდა სცენ ღმერთს თაყვანი. შესანიშნავია, განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებში წარგზავნილი მისიისათვის ეს საკვანძო კითხვაა.

იესო საკმაოდ მოულოდნელ პასუხს იძლევა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ტრადიციონალისტის გაღიზიანებას. ეს პასუხი თავისუფლების არაჩვეულებრივ პერსპექტივას უშლის იუდეველებს:

„...მერწმუნე, დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში თაყვანს აღარ სცემთ მამას. თქვენ არ იცით, რას სცემთ თაყვანს. ჩვენ კი ვიცით, რას ეცემთ თაყვანს, რადგან ხსნა იუდეველთაგანაა. მაგრამ დგება ჟამი და უკვე აქ არის, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით, რადგან მამაც სწორედ ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის. ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“ (იოანე, 4:21-24).

ესაა განთავისუფლება იუდეური სოციოკულტურული პირობითობისაგან. ეს თამამი პასუხი საყვირის ხმასავით გაისმის. მართლაც დგება აღვსების ჟამი. სახარება უფლის სასუფეველის შესახებ თავისუფლდება იუდეველთა კულტურის მონობისაგან. თავისი თამამი სიტყვებით: „...არც იერუსალიმში“, იესო არღვევს ტრადიციის ვიწრო ჩარჩოებს, რომელიც ღვთის სასუფეველს მოსეს მიერ დადგენილ რიტუალურ წეს-ჩვეულებებთან აკავშირებდა. ახალი აღთქმის სხვა ადგილებიდან ვიცით, რომ ებრაელთა ტაძარს დანგრევა მოელოდა (მათე, 24:2; მარკოზი, 13:2). იესომ იერუსალიმის განადგურებაც იწინასწარმეტყველა (ლუკა, 13:55). რომ არ დაემატებინა, ამას მშვენიერი რამ მოჰყვებაო, ეს საკმაოდ პირქუში წინასწარმეტყველება იქნებოდა. მან დაინახა ჟამთა აღსასრულის დიდება და ის გასაოცარი მოვლენები, რაც ამას მოჰყვებოდა. თუმცა ამაზე შემდეგ.

თაყვანს სცემენ მამას

ამის გარდა, კიდევ ბევრი სხვა შთამაგონებელი სიტყვა უთხრა იესომ სამარიელ ქალს. უდიდესი ძალა ჰქონდა მის სიტყვებს: „ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას“. ეს ახალი იდეა განსაცვიფრებელი იყო, როგორც თავისი არსით, ისე ფორმის მხრივაც. სამარიელი ქალის წინაშე იხსნება ჭეშმარიტი თაყვანისცემის შესაძლებლობა და მისი თაყვანისცემის ობიექტი იქნება ჭეშმარიტი, ცოცხალი ღმერთი — მამა ღმერთი. ეს სიტყვები არავის დატოვებს გულგრილს, მასაც კი, ვისაც აქამდე არ უფიქრია ღმერთზე, როგორც მამაზე. მიაქციეთ ყურადღება, რომ ისლამში არსად არ მოიხსენიება ღმერთი მამის სახელით. სიტყვა „მამის“ გაგონება სამარიელ ქალზე არანაკლებ განაცვიფრებს მუსლიმს.

თქვენ არ იცით, რას სცემთ თაყვანს

ამ სიტყვებით იესო უკანონოდ აცხადებს სამარიელთა რელიგიას. მას იგივე შეიძლებოდა ეთქვა მილიონობით მუსლიმთათვის, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღმერთი მაღლამდგომია, ტრანსცენდენტური, მიუწვდომელი და სრულებით არ გვგავს ჩვენ. იესომ გარკვევით უთხრა ქალს: „თქვენ არ იცით, რას სცემთ თაყვანს, ჩვენ კი ვიცით, რას ვცემთ თაყვანს, რადგან ხსნა იუდეველთაგანაა“ (იოანე, 4:22). იესო არ დაუშვებდა, რომ ვინმეს არასერიოზულად შეეხედა გამოსყიდვისათვის გაწეული ღვთიური ძალისხმევისათვის, რომელიც ვითარდებოდა აბრაამის, ისაკის, იაკობის, იუდას, დავითის ხაზით და ბოლოს იესოში, ღვთის ძეში, დაგვირგვინდა.

ცოცხალი წყალი

იესო მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენით როდი იყო დაინტერესებული. მას სურდა, ამ ქალისათვის გზა გაეკვალა ღვთის სასუფეველისაკენ, რათა განწმედილიყო მისი სული ყველაფრისაგან, რაც ხელს უშლიდა თაყვანი ეცა ღმერთისათვის სულითა და ჭეშმარიტებით. საუბრის დასაწყისში მან ქალს „ცოცხალი წყალი“ აღუთქვა. მოგვიანებით სახარებაში იესო იტყვის, რომ ეს „ცოცხალი წყალი“ სულიწმიდაა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ მოვლენოდათ მორწმუნეებს. რა საოცარი სიყვარულია! მას სურდა, სულიწმიდა მიეცა ქალისათვის.

და შემდეგ – ახალი გამოცხადება. ღმერთი არის „მამა მაძიებელი“. იგი ეძებდა ამ სამარიელ ქალს. იესო გამოგზავნა მის მოსაძებნად.

თაყვანისცემა სულითა და ჭეშმარიტებით

ქალმა ნათქვამის გააზრებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე ახალმა სიტყვებმა მოსჭრეს ყური: „ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“ (იოანე, 4:24). თაყვანისცემა არ არის დაკავშირებული რომელიმე მთასთან. თაყვანისცემა არ არის პრივილეგია რომელიმე ერთი ერისა. თაყვანისცემა, ცოცხალი ურთიერთობაა ღმერთსა და პიროვნებას შორის, რომელსაც სურს, თაყვანი სცეს სულით და სწყურია ჭეშმარიტება, რაც ხშირად არც თუ ისე სასიამოვნოა მისთვის („რადგან ხუთი ქმარი გყავდა და ის, ვინც ახლა გყავს, არც ისაა შენი ქმარი“). თაყვანისცემა შეხვედრაა მასთან, ვინც არის გზა,

ჭეშმარიტება და ცხოვრება, ანუ იესოსთან – მესიასთან, სამყაროს მხსნელთან.

ამ საუბარმა შეარყია ინსტიტუციონალიზირებულ რელიგიათა საფუძველი. ღვთის თაყვანისცემაში აღარ იქნება აღარც ცარიელი რიტუალურობა და აღარც სინკრეტიზმი. ღმერთს არ გამოუცხადებია აბსოლუტურად იუდეველთა კულტურა და თაყვანისცემის ფორმები და ამით ცხვირწინ მიუკეტა კარი იმ ადამიანებსა და იმ კულტურებს, ვინც ამის გაკეთებას შეეცდებოდა. „...არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში“ (იოანე, 4:21). ტაძარი უნდა დანგრეულიყო. იესოსა და სტეფანეს ეს მტკიცება სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. აქედან გამომდინარეობდა, რომ ვერც ერთი ერი, ვერც ებრაელები და ვერც სამარიელები, ვერც კიდევ რომელიმე სხვა, ვერ შეძლებენ ჭეშმარიტების შენახვას ძველ ჭურჭელში. „ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“ (იოანე. 4:24). რას ნიშნავს ეს იმ კულტურულ ფორმებთან დაკავშირებით, რომელთა საშუალებითაც ვასრულებთ თაყვანისცემას? შეეცდებით, პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხსნა ებრაელებისაგან არ მოსულა და იერუსალიმის ტაძრის მშენებლობა სამუდამოდ უნდა დავიიწყოთ. ღმერთმა დაადასტურა, რომ ხსნა განხორციელდება „დროსა და სივრცეში“. გამოსყიდვის საიდუმლო, იესო ქრისტეს ჯვარცმა, იესოს მიწიერი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში აღსრულდა, გარკვეულ ადგილას, ძველი იერუსალიმის კედლებში. იესო არ ანცალკევებდა ხსნის იდეას ისტორიისაგან. ამ რელიგიური ინსტიტუტის იდეალები დაეიწყებული კი არ იქნა, არამედ გაუნივერსალურდა.

ტაძრის უნივერსალიზაცია

ღმერთმა თავის ჩანაფიქრში შემოინახა, განავითარა და გააუნივერსალურა, როგორც ტაძრის, ისე იერუსალიმის მნიშვნელობა. პავლე მოციქულს, პეტრეს და ბოლოს იოანეს გამოეცხადათ ტაძრისა და ქალაქ იერუსალიმის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ეფესელთა მიმართ წერილში, როდესაც ჩვენ მოქალაქეობაზე ლაპარაკობს, პავლე აღწერს არა ქვებისაგან, არამედ ადამიანებისაგან აგებულ ტაძარს:

„ამიტომ თქვენ უკვე აღარა ხართ უცხოები და ხიზნები, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი, დაშენებულნი მოციქულთა

და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესოა ქვაკუთხედი, რომელზეც მთელი შენაწევრებული შენობა წამოიმართება უფალში წმიდა ტაძრად, რომელზეც შენდებით თქვენც, რათა იყოთ ღვთის სამკვიდრებელი სულში" (ეფეს. 2:19-22).

პეტრე ახალი შტრიხებით აესებს ამ ხილვას:

„რომელნიც მიხვედით – ცოცხალ ქვასთან, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისაგან კი რჩეული და ძვირფასია. თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებივით სულიერ სახლად..." (1 პეტრე, 2:4-5).

მოციქულები აღგვიწერენ გასულიერებული ტაძრის საოცარ ტრანსცენდენტულ ხატებას – ესაა უკვე არა უსიცოცხლო, ცივი შენობა, არამედ ადამიანების, ანუ ცოცხალი ქვებისაგან აგებული ცოცხალი შენობა. ტაძარი მოიცავს ყველა თაობისა და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ მორწმუნეს – ესაა ჭეშმარიტად ტრანსგენერაციული, მულტიეთნიკური ცოცხალი სტრუქტურა – ღვთის ცოცხალი სულის სახლი. თავად ღმერთი იქნება ჩვენს შორის. ნუთუ უნდა გაგვაოცოს იმან, რომ იესო ძველი ტაძრის წარმავლობაზე ლაპარაკობდა? მას მხედველობაში ჰქონდა უფრო დიდებული ტაძარი – ღვთაებრივი გამოსყიდვის დამაგვირგვინებელი შედეგი – ღვთისა და ნებისმიერი დროიდან და ადგილიდან მასთან დაბრუნებული შვილების მარადიული ცოცხალი სავანე, ცოცხალი ტაძარი, რომლის შუაგულშიც ღმერთია ჩაშენებული.

იერუსალიმის უნივერსალიზაცია

როდესაც პავლე წერდა ორ იერუსალიმზე, მიწიერზე და ზეციურზე, არც ის დაუმალავს, თუ რომლის მიმართ იყო ერთგული. აი, რას სწერდა ის გალატელებს, ადამიანებს, რომელთაც სურდათ დაეცვათ იერუსალიმით სიმბოლიზირებული რჯული: „...ამჟამინდელ იერუსალიმს (მის დანგრევამდე)... ვინაიდან ის მონობაშია თავის შვილებთან ერთად; ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია: ის ყველა ჩვენგანის დედაა" (გალ. 4:25-26).

პავლეს არ სურდა ჩაკეტილიყო მიწიერ იერუსალიმში და მისი კულტურის მკაცრ კომპლექსებში. მოციქული მხოლოდ იმას კი არ ხედავდა, რომ იერუსალიმის ზეციური მოდელი გასცდა მის მიწიერ შესატყვისს, არამედ იმასაც გრძნობდა, რომ ღვთის სასუფეველი ნებისმიერი ხალხის კულტურულ მოდელს უნდა გასცილებოდა, რათა ჭეშმარიტად უნივერსალური და მსოფლიო გამხდარიყო. აღარ არის აუცილებელი ფიზიკურ

იერუსალიმში მისვლა. იესო ქრისტეს წყალობით პირდაპირ ზეცაში, ღვთის სასუფეველში შეიძლება მოხვედრა.

წინადაცვეთის უნივესალიზაცია

იგივე შეიძლება ითქვას იუდეველთა რელიგიის სხვა საკვანძო მომენტებზეც. წინდაცვეთა იქცა სულიერ აქტად. პავლე ფილიპელებს სწერდა: „ვინაიდან წინადაცვეთილობა ჩვენ ვართ – ღვთის მსახურნი სულით ვადიდებთ ქრისტე იესოს და არ ვენდობით ხორცს...“ (ფილიპ. 3:3). კოლასელებს კი ასე არიგებდა: „თქვენ მასში წინადაცვეთილებიც ხართ ხელთუქმნელი წინადაცვეთით, ხორცის ცოდვილი სხეულის წაძრობით – ქრისტესეული წინადაცვეთით. მასთან ნათლისღებით დამარხულები მასთანვე აღდექით ღვთის ძალისადმი რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით“ (კოლას. 2:11-12).

წინადაცვეთა ამოღებული იქნა მატერიალური სამყაროდან და გაუნივერსალურდა, ანუ მისაწვდომი გახდა, როგორც მამაკაცების, ისე ქალებისათვისაც, რასაკვირველია, წმინდა სულიერი გაგებით. ახლა მისი მნიშვნელობა შეიძინა პროცესმა, რომელსაც ნათლობას ვუწოდებთ.

ისრაელის კონცეფციის უნივერსალიზაცია

თვით სიტყვა „ისრაელმაც“ კი უნივერსალური მნიშვნელობა მოიპოვა. პავლე ეფესელთა ეკლესიას სწერდა: „(გახსოვთ), რომ იმ დროს თქვენ იყავით ქრისტეს გარეშე, ისრაელის კრებულისაგან გაუცხოებულნი, აღთქმის მცნებათა უცხოები...“ (ეფ. 2:12), და „ამიტომ (ქრისტეს წყალობით) თქვენ უკვე აღარა ხართ უცხოები და ხიზნები, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი“ (ეფ. 2:19).

სულიერი გაგებით, ჩვენ ახლა ყველანი „ისრაელიანები“ ვართ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი (არა პოლიტიკური, არა სოციოკულტურული, არა რასობრივი) მნიშვნელობით. გაიხსენეთ, მას შემდეგ, რაც იაკობი მთელი ღამე ებრძოდა ღმერთს და არ გაუშვა მანამ, სანამ კურთხევა არ მიიღო მისგან, ღმერთმა მას „ისრაელი“ უწოდა, რადგან მან მიაღწია თავისას და გახდა „ღვთის თავადი“ (სიტყვა „ისრაელის“ თავდაპირველი მნიშვნელობა). ასე რომ, გამოთქმას „ჭეშმარიტი ისრაელიანი“ არა აქვს რასობრივი ქვეტექსტი, არამედ ნიშნავს: უფლისათვის თავისიანად გახდომას იესო ქრისტეს რწმენის წყალობით.

ყველაფერი ინახება სასუფეველში

ახლა მოდით, შევაჯამოთ ზემოთ თქმული, სანამ ისლამს მივუბრუნდებოდეთ. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იესო ღვთის სასუფეველის გამოსაცხადებლად მოვიდა („მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი“) (მათე, 4:17). ჩვენ ვნახეთ, რომ იესო არ აპირებდა მიწიერი, პოლიტიკური სახელმწიფოს შექმნას მთელი თავისი აქსესუარებით. მან გაასულიერა სამეფოს ცნება: „ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა“ (იოანე, 18:36). ადამიანები აღარ იყვნენ ვალდებულნი თაყვანი ეცათ ღვთისათვის იერუსალიმში. მათ ნებისმიერ ადგილას შეეძლოთ სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა. ქრისტიანობა უნივერსალური, მსოფლიო რელიგია უნდა გამხდარიყო. ადამიანებს ყველგან შეეძლოთ მისი გამოყენება „სულით და ჭეშმარიტებით“.

ამიტომ წინასწარმეტყველების აღსრულების პროცესში იუდაიზმისათვის დამახასიათებელი წარმოდგენები, წინადაცვეთა, ისრაელის თემისადმი კუთვნილება, რაც ამიერიდან ღვთის სასუფეველად გადაიქცა, იერუსალიმის, როგორც ღვთის სამყოფელის კონცეფცია, გასულიერდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. იუდაიზმის კარჩაკეტილობა უნივერსალიზაციამ შეცვალა. ღვთის სასუფეველი მისაწვდომი გახდა ყველასათვის, ვინც კი იესოს აღიარებდა. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა სიყვარულს მიცემულ ადამიანთა გულებზე და არა შიშსა და ძალადობაზე აგებულ სამეფოზე.

ღვთის სასუფეველი მსგავსია...

ღვთის სასუფეველის დახასიათებისას იესო სხვადასხვა შედარებებს მიმართავდა. იესო ამბობდა, რომ იგი წააგავს მარილს (მათე, 5:13), ნათელს (მათე. 5:14), საფუარს (მათე, 13:33). ეს შედარებები იწვევენ ჩვენში წარმოდგენას მარილზე, რომელიც ერთდროულად წმედს კიდეც და ინახავს; სანთელზე, რომელიც ფანტავს სიბნელეს და ანათებს გზას მტრულად განწყობილ წუთისოფელში. პატარა საფუარზე, რომელიც დიდ ცომს აღვივებს. მარილი, სანთელი და საფუარი მშვიდად მოქმედებენ, ყოველგვარი დაძაბულობისა და ხმაურის გარეშე და შესანიშნავად ასრულებენ თავის დანიშნულებას.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იესო კატეგორიულად კრძალავს

პრობლემათა ძალისმიერ გადაწყვეტას საშინელ სამსჯავრომდე. იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ (მათე, 13: 24-30; 37-43) კეთილი თესლი – „სასუფეველის ძენი“ არიან, ხოლო ღვარძლი – „ბოროტის ძენი“. იესომ გააფრთხილა თავისი მოწაფეები, რომ არ გამარგლონ ყანა. აქისოვის საჭირო იქნება ძალის გამოყენება. ჟამთა აღსასრულს ამ საქმეს ანგელოზები შეასრულებენ.

ღვთის სასუფეველი და მისიონერობა

ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანი მისიონერებისათვის. ტაძრის, იერუსალიმის, ისრაელის თემისადმი კუთვნილების, წინადაცვეთის და ღვთის სასუფეველის სპირიტუალიზაციის (გასულიერების) გზით იესომ გაანთავისუფლა თითოეული ეს რეალია იუდეური კულტურის ჩარჩოებიდან. როდესაც ამბობდა, რომ მამა ეძებს მათ, ვინც თაყვანს სცემს სულითა და ჭეშმარიტებით, თაყვანისცემის ფორმათა აბსოლუტიზაციის გარეშე, იესო მიანიშნებდა, რომ სახარება შეიძლება გავრცელდეს და ყველა ერის ადამიანში ჰპოვოს გამოძახილი (გამოცხ. 5:9), მათთვის ჩვეულ კულტურასთან შესატყვისობაში, თუკი ისინი თაყვანს სცემენ სულითა და ჭეშმარიტებით.

ამიტომ ადამიანი, რომელიც სახარებას აცნობს სხვა კულტურულ გარემოში მცხოვრებს, არ უნდა გავაიგივოთ იმასთან, რასაც იგი გვატყობინებს. ჩვენ გამოგზავნილნი ვართ სულიწმიდის მიერ ღვთის სასუფეველის სახარებლად. სახარების არსზე კიდევ ვისაუბრებთ, აქ კი ვიტყვით, რომ ესაა ამბავი იესო ქრისტეზე და მის გამომსყიდველ მსხვერპლზე.

არავითარი კულტურული იმპერიალიზმი

ქრისტეს არ მოუცია უნივერსალური ქრისტიანული კულტურის აბსოლუტური ფორმულირებანი. ქრისტიანმა ღვთის სასუფეველის ხარება ახლადმოქცეულისათვის ახლობელ სოციოკულტურულ გამოცდილებას უნდა მიუსადაგოს. ამიტომ ქრისტიანებმა საჭიროა გაიგონ, თუ რა არის მათი ჭეშმარიტი დანიშნულება. ესაა ახლადმოქცეულის ქრისტესთან და მის მოძღვრებასთან მიყვანა სულიერი ტრანსფორმაციის გზით. ქრისტე არ განსაზღვრავს, თუ რა ფორმით უნდა სცეს მას მორმწუნემ თაყვანი, რა ჩაიცვას, რა ჭამოს და ა. შ.

როდესაც სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას ვსწავლობდით, აღმოვაჩინეთ, რომ მისიონრები არ ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან საკუთარ კულტურულ გარემოს და სახარების არსს. ისინი თავიანთი მშობლიური კულტურის ფორმებს სახარების შინაარსთან აკავშირებდნენ და ამით უნებლიეთ გზას უხსნიდნენ სინკრეტიზმს. გადარჩენის მისაღებად ახლადმოქცეულს მხოლოდ სახარება კი არ უნდა ეწამებინა, ეს, რასაკვირველია, აუცილებელი იყო, არამედ ყველაფერი სწორედ ისე უნდა გაეკეთებინა, როგორც აკეთებდა ან ასწავლიდა მისიონერი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისიონერები თავს ახვევდნენ მორწმუნეებს თავიანთ საკუთარ კულტურულ გამოცდილებას და შედეგად შთააგონებდნენ მცდარ აზრს, რომ ეს იყო ერთადერთი ჭეშმარიტი ქრისტიანული გზა.

ისლამი, როგორც კულტურული იმპერიალიზმი

მუჰამედისა და მისი მიმდევრების შეცდომა ის იყო, რომ ყურანში და ჰადისებში დაფიქსირებული მუჰამედის ქცევებიდან უნივერსალური კანონების გამოყვანას ცდილობდნენ. ორთოდოქსი მუსლიმები ყოველთვის მიესწრაფოდნენ მოეხღინათ მეშვიდე საუკუნის არაბული კულტურის იმ შრის აბსოლუტიზაცია, რომელიც მუჰამედის ცხოვრებაში აირეკლა.

ქვემოთ ვისაუბრებთ იმის შესახებაც, თუ როგორ ცდილობენ თანამედროვე მუსლიმები ამ პრობლემის გადაჭრას. მისიონერისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რას ფიქრობს მუსლიმი ღვთის სასუფეველზე. ღვთის სასუფეველი რამდენჯერმე მოიხსენიება ყურანში.

ყურანის პირველი სურის კომენტარში მაულინა მუჰამედ ალი წერს:

„მას (ე. ი. ქრისტიანს) ასწავლიან, ილოცოს ღვთის სასუფევლის მოსვლისათვის, მაშინ, როდესაც მუსლიმს მოუწოდებენ, იპოვოს ღირსეული ადგილი უკვე დამყარებულ სასუფეველში, თანაც იგულისხმება, რომ წინასწარმეტყველის (მუჰამედის) მოსვლა ღვთის სასუფევლის დადგომას მოასწავებს, რომლის მოახლოებაზეც ქადაგებდა იესო ქრისტე“ (Ali; 1973:1-2).

ეს მაულინა მუჰამედ ალის საკუთარი აზრია, ყურანში ამის თაობაზე გარკვეით არაფერია ნათქვამი. კომენტატორს ავიწყდება, რომ იესომ სასუფეველი თავის სიცოცხლეშივე დაამყარა და ის უკვე რეალობაა ყოველი ქრისტიანის ცხოვრებაში, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლით კი ის საბოლოოდ დაგვირგვინდება და ხილულ სახეს მიიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მუსლიმს ისლამი მიაჩნია ღვთის სასუფევლად, ყურანი ამ სასუფევლის მომავალში დადგომაზე მიუთითებს 22-ე სურის 56-ე აიაში: „ძალაუფლება ალაჰის ხელში იქნება. ის განსჯის მათ. ისინი, ვისაც სწამდა და სიკეთეს სჩადიოდა, ედემის ბაღებში მოხვდებიან." მუჰამედის აზრით, ღვთის სასუფეველი სამოთხით დასაჩუქრებაა. ყურანში არის თავი, რომელიც ასევე იწოდება: „ძალაუფლება" (67-ე სურა). ალი ამ თავს ასეთ კომენტარს უკეთებს:

„აქ დასტურდება, რომ ღვთის სასუფეველი ალაჰის ხელშია, მას ემორჩილება ყველა არსებული, ისლამის სამეფოს დამყარების შესახებ წინასწარმეტყველების თანახმად, რომელიც სინამდვილეში ღვთის სასუფეველია. ეს იესო ქრისტეს სიტყვებიდანაც ჩანს: „წაგერთმევათ ღვთის სასუფეველი და მიეცემა ერს, რომელიც გამოიღებს მის ნაყოფს" (მათე, 21:43) (Ali, 1973:108).

ალის მხედველობიდან რჩება ის, რომ იესო მიმართავს ებრაელებს და ეუბნება მათ, ღვთის სასუფეველი წარმართებს გადაეცემათო, უფრო ზუსტად, იმ წარმართებს, რომლებიც ქრისტეს მიმდევრები გახდებიან.

ზოგიერთმა მუსლიმმა ხელმძღვანელმა თავისი აზრი გამოთქვა იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ღვთის სასუფეველი ყურანში. მაგალითად, როდესაც ცხონებულ მაუდუდის ჰკითხეს აზრი ამის შესახებ, მან თქვა: „ღვთის სასუფეველი – ესაა ისლამი ზეცაში და დედამიწაზე." 1985 წელს ამ წიგნის აეტორმა ფილიპინების უნივერსიტეტის ისლამური ინსტიტუტის დირექტორს ჰკითხა, თუ რა არის ღვთის სასუფეველი. მისი პასუხი ასეთი იყო: „ჯერ არავის დაუსვამს ჩემთვის ასეთი კითხვა. ჩემი აზრით, ეს უნდა ნიშნავდეს მთელ სამყაროში ისლამური კონონების შემოღებას".

ღვთის სასუფეველი და მისიონერი

მუსლიმებთან ურთიერთობისას, რომლებიც იზიარებენ ზემოთ მოყვანილ შეხედულებებს ღვთის სასუფეველის თაობაზე, მისიონერმა მოთმინებით უნდა აუხსნას მათ, როგორ შემოიტანა ეს სასუფეველი უფალმა იესო ქრისტემ, განუმარტოს მისი სულიერი ხასიათი, მისი, როგორც საფუარის, როლი ყველა სახის კულტურაში და ის, თუ როგორ დაგვირგვინდება იგი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს.

სინამდვილეში უამრავ მუსლიმს წარმოდგენაც არა აქვს, რა იგულისხმება „ღვთის სასუფეველში". თქვენი ქადაგება სულიერ სამეფოზე, რომე-

ლიც განმსჭვალავს და გარდაქმნის ყველა კულტურას, მათ შეიძლება აღიქვან, როგორც ახალი სიოს ქროლვა ან სერიოზული საფრთხე.

ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, მისიონერმა კარგად გაიგოს და სწორად განმარტოს „ღვთის სასუფევლის“ არსი. ღვთის სასუფევლის განმსაზღვრელი ის კი არაა, რომ ის ერთი რომელიმე კულტურის ფორმას წარმოადგენს, არამედ ის, რომ მისი მოქალაქეები თაყვანს სცემენ სულით და ჭეშმარიტებით.

აქამდე ჩვენ არ გვისაუბრია იმის თაობაზე, თუ როგორ მიესადაგება ღვთის სასუფევლის ხარება ამა თუ იმ კონკრეტულ კულტურას. მოდით, განვიხილოთ ეს საკითხი.

თავი XIX

მუსლიმთა მსახური

„...ვინაიდან ყველასაგან თავისუფალი ყველას
დავემონე...“

(1კორ. 9:19).

წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სახარება განთავისუფლდა იუდეური კულტურის მონობისაგან. ღვთის სასუფეველის მთავარი ნიშანსვეტები: ტაძარი, იერუსალიმი, წინადაცვეთა, იერუსალიმის თემისადმი კუთვნილება და თავად ღვთის სასუფეველის ცნებაც სპირიტუალიზებული (გასულიერებული) იქნა. საღვთო შრომა პირველ რიგში „სულითა და ჭეშმარიტებით“ ხასიათდება და არა „რჯულის“ დაცვის სოციოკულტურულ წეს-ჩვეულებათა სპეციფიკური ნაკრებით.

ამ სიახლეს საფუძველი, რასაკვირველია, იესო ქრისტემ ჩაუყარა. მან მისცა სახარებას სხვადასხვა ხალხებში თავისუფალი გავრცელების საშუალება, ისე რომ მათთვის თავს არ მოუხვევია იუდეური კულტურის ფორმები.

იესო თავს წარმოიცარიელებს

ჩემი ღრმა რწმენით, იესო მაგალითი იყო პავლე მოციქულისათვის მის ყველა წამოწყებასა და ცხოვრებაში. განვიხილოთ პავლეს ერთ-ერთი საკვანძო გამოთქმა იესოს შესახებ. გარეგნულად ეს ისე ჩანს, თითქოს პავლე ორ უსაქციელო ქალზე წერს ფილიპელთა ეკლესიას. მოციქული მოუწოდებს მათ სიმდაბლისაკენ; ახსენებს „კენოზისს“ ანუ „თავის წარმოცარიელებას“: „რადგან ის აზრები, რაც ქრისტეშია, იყოს თქვენს შორისაც.

ის თუმცა ღვთის ხატება იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას. არამედ წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა. დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე" (ფილიპ. 2:5-8). იუდეველთა კულტურის მიღება

თავის დამდაბლების საკრალური მნიშვნელობა საკმაოდ ღრმაა. იესომ უარი თქვა თავის ღვთაებრივ პრეროგატივებზე და „წარმოიცარიელა", დაიმდაბლა თავი. იესოს შეეძლო შეენარჩუნებინა ზეციური კულტურა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. მან „წარმოიცარიელა თავი" და მიიღო არამეულ ენაზე მოლაპარაკე პალესტინელ იუდეველთა კულტურული ფორმები. ის მთლიანად შეერწყა იმ ერის კულტურას, რომელსაც მოევლინა. მან უარი თქვა თავის ზეციურ პრივილეგიებზე. ის ჭეშმარიტი სიმდაბლით მოვიდა თავის ხალხში.

ეგოცენტრიზმის პრობლემა

ის თავმდაბლობა, რაც იესომ გამოამჟღავნა, ჩვენს დროში დიდი იშვიათობაა. როგორც წესი, ჩვენ თავგამოდებული პატრიოტები ვართ, საკუთარი ქვეყნისათვის საბრძოლველად მზადმყოფნი და ვთვლით, რომ სხვა ხალხებს ვჯობიენართ.

ამგვარ ქედმაღლობას თავისი სახელი აქვს: ეს არის ეგოცენტრიზმი – წარმოდგენა, რომ ჩემი ხალხი საუკეთესოა მთელს მსოფლიოში. ესაა რასისა და კულტურის სიამაყე, რომელიც ყველა ჩვენგანში ზის. მისიონერისათვის ის ნამდვილ დაბრკოლებად იქცევა, როცა იგი სახარებას უქადაგებს განსხვავებული კულტურის მქონე ხალხებს. განსაკუთრებით თვალშისაცემია სირთულე, თუ ამ ორ კულტურას შორის გარკვეული ანტაგონიზმიც არსებობს.

იესოსათვის არ არსებობდა საზღვრები კულტურათა შორის

ამ თვალსაზრისით, იესო სრულიად განსხვავდებოდა ჩვენგან. მას გამუდმებული ურთიერთობა ჰქონდა განსხვავებული კულტურის ადამიანებთან: რომაელ ასისთავთან, სამარიელ კეთროვანთან, ბერძენ მთხოვნელებთან. როდესაც იესომ ტაძრიდან ვაჭრები გაყარა, ლაპარაკი იყო „წარმართთა ეზოზე". მან გაწმინდა ის და კვლავ გახსნა არაებრაელთათვის ანუ წარმართთათვის.

ამასთან ერთად, ის ერთი წუთითაც არ ივიწყებდა საკუთარ ხალხს, ეშმაკეულთა მიერ შეპყრობილ და კეთროვან ებრაელებს, ავადმყოფებსა და მეძავებს. მისი სიყვარული ყოვლისმომცველი იყო, ამიტომ სწვდებოდა ის სხვა, არაებრაელ ხალხსაც.

ოჯახის ახალი განმარტება

იესო არა მარტო განთავისუფლდა მისი მშობელი ხალხისათვის დამახასიათებელი ცრურწმენებისაგან, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებსაც არ აძლევდა იმის უფლებას, რომ დაემახინჯებინათ მისი დანიშნულება და ღვთის ძეობის ჭეშმარიტი გაგება. ასე იყო, როცა ბრბომ შეაწყვეტინა მას ქადაგება და მოუწოდებდა, გამოსულიყო დედისა და ძმების შესახვედრად, რომლებიც მასთან შეღწევას ცდილობდნენ. ის მიუბრუნდა მათ და უთხრა: „ვინ არის დედა ჩემი და ვინ არიან ჩემი ძმები?“ შემდეგ თავის მოწაფეებზე მიუთითა და თქვა: „აჰა, დედაჩემი და ჩემი ძმები. ვინაიდან, ვინც ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს შეასრულებს, ის არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც“ (მათე, 12:48-50). ღვთაებრივი ოჯახის წევრობის ერთადერთი ნიშანი ზეციური მამის ნების აღსრულება იყო.

პავლეს მიერ გააზრებული უნივერსალური სიყვარული

პავლე შესანიშნავად ჩახვდა უფლის მისწრაფებას, მიემართა ყველა ადამიანისათვის. იგი წერდა: „...ჩვენი მაცხოვარი... რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ. 2:3-4).

იესომ იმისათვის „წარმოიცარიელა თავი“, რომ ეს რეალობად ქცეულიყო. ის ყოველთვის თაეგანწირვას იჩენდა ჯვრისკენ მიმავალ გზაზე.

მისი საქციელი უფრო მეტი იყო, ვიდრე უარის თქმა წუთისოფლის სიკეთეზე, ეს იყო სიყვარულის გამოხატულება იმ ერის მიმართ, რომლისთვისაც თავი გადადო, შერწყმა მის კულტურასთან. მაგრამ როგორც კი აღმოაჩენდა, რომ ტრადიცია ღვთის აღთქმას ეწინააღმდეგებოდა, იესო მაშინვე ამხელდა მას: „ამრიგად, თქვენ გააუქმეთ ღვთის მცნება თქვენი ჩვეულებით“ (მათე, 15:6). ჩვენ წონასწორობის დაცვა უნდა მოვახერხოთ.

პავლეს, როგორც მისიონერული გზის პირველ გამკაფავს, მოუხდა ამ პრობლემებში გარკვევა. მან თავის წერილებში ერთგვარი „მისიონერული მეთოდოლოგიის დირექტივები“ დაგვიტოვა. ამ პრინციპთა ნათელ ფორ-

მულირებას კორინთელთა მიმართ პირველ წერილში ეპოულობთ:

„...ვინაიდან ყველასაგან თავისუფალი ყველას დავემონე, რათა უფრო მეტი შემეძინა. იუდეველებისათვის გავხდი, როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა. რჯულის ქვეშ მყოფთათვის, როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ რჯულის ქვეშ უმყოფელი, რათა რჯულის ქვეშ მყოფნი შემეძინა. ურჯულოთათვის – როგორც ურჯულო, თუმცა არა ვარ ღვთის ურჯულო, მაგრამ ქრისტეს რჯულიერი, რათა ურჯულოები შემეძინა. უძლურთათვის გავხდი, როგორც უძლური, რათა უძლურნი შემეძინა. ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მეხსნა როგორმე. და ყოველივე ამას ვაკეთებ სახარებისათვის, რათა მეც გავხდე მისი თანამონაწილე" (1 კორ. 9:19-23).

არ დაგენანოთ დრო ამ ტექსტის გასააზრებლად. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ მისი საკვანძო იდეა: „ყველასაგან თავისუფალი ყველას დავემონე."

ყველას დავემონე

როგორც ვხედავთ, ქრისტემაც და პავლე მოციქულმაც უარი თქვეს თავიანთ პრივილეგიებზე, რათა სახარება ემცნოთ ადამიანებისათვის. ქრისტემ დათმო სამეფო ადგილი მამის გვერდთ; პავლემ კი თავისი კარიერა გასწირა, პერსპექტივაში იგი ფარისეველთა დასის ხელმძღვანელი შეიძლებოდა გამხდარიყო. თავად იესომ თქვა: „კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად" (მარკ. 10:45). პავლეც, თავის მხრივ, გრძნობდა, რომ ერთადერთი გამოსავალი იმ ხალხის მსახურად დადგომა იყო, ვის მოქცევასაც ცდილობდა. როდესაც მუსლიმთა შორის ვიწყებთ მუშაობას, ჩვენი უფლისა და პირველი მისიონერის, პავლე მოციქულის, მსგავსად უნდა „წარმოვიცარიელოთ თავი" და ვემსახუროთ იმ ერს, რომლის ქრისტესთან მიყვანაც გვწადია.

რათა უფრო მეტი შემეძინა

შემდეგ პავლე წერს, რომ სურს უფრო მეტი შეიძინოს. რას ეუბნება ეს ადამიანს, რომელმაც ასეთივე მიზანი დაისახა? უპირველეს ყოვლისა, ეს სიტყვები მუხლჩაუხრელი შრომისაკენ მოუწოდებენ მისიონერს. ისინი აღგვძრავენ, აგრეთვე, ექსპერიმენტების ჩატარებისათვის, რათა უფრო მეტი

შეეიძინოთ. იმის მაგივრად, რომ ტრადიციულ გზას გაჰყვეთ, შედით თქვენს მეგობართა სამყაროში და თქვენს წინ სახარების გავრცელების ახალი შესაძლებლობები გადაიშლება.

იუდეველად გახდომა იუდეველთა შესაძენად

პავლე წერს: „იუდეველებისათვის გავხდი, როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა. რჯულის ქვეშ მყოფთათვის, როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ რჯულის ქვეშ უმყოფელი, რათა რჯულის ქვეშ მყოფნი შემეძინა“ (1 კორ. 9:20). პავლეს ცხოვრებიდან ამგვარი ქცევის ორი თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ. ახალ ადგილზე მისვლისას, იგი პირველ რიგში იუდეველებს მოინახულებდა ხოლმე. მოციქული სინაგოგებიდან იწყებდა, ერთვებოდა ღვთისმსახურებაში და თავის ჯერს ელოდა, რომ საუბარი დაეწყო. პავლე დიდი გულმოდგინებით არჩევდა მოცემული გარემოსათვის შესაფერის გამოთქმებს.

მისი მოწაფის – ტიმოთეს – დედა და დიდედა იუდეველები იყვნენ, მაგრამ თავად წინადაცვეთილი არ იყო. პავლემ წინადასცვითა იგი, რათა დაემშვიდებინა უკმაყოფილო ებრაელები (საქმ. 16:3).

მეორე შემთხვევას პავლეს მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი. რადგან წინასწარ გრძნობდა იერუსალიმში თავის უკანასკნელ ასვლასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და ამასთან სურდა, დაერწმუნებინა ასირიელი ებრაელები, რომ იგი რჯულს იცავდა, პავლემ ნაზარეველთა აღთქმა მიიღო, თავი გადაიპარსა და გაიღო მსხვერპლთშეწირვისათვის საჭირო თანხა (საქმ. 21:24-26). ეს მოხდა ქრისტეს ჯვარცმიდან ოცდაათი წლის შემდეგ.

წარმართად გახდომა წარმართთა შესაძენად

პავლე წერს: „ურჯულოთათვის გავხდი, როგორც ურჯულო, თუმცა არა ვარ ღვთის ურჯულო, მაგრამ ქრისტეს რჯულიერი, რათა ურჯულოები შემეძინა“ (1 კორ. 9:21). მოციქულს შეეძლო, რადიკალურად შეეცვალა თავისი ცხოვრების წესი წარმართთა შორის ცხოვრების დროს, რომელთაც არ სურდათ იუდეველთა რიტუალების მიღება. იგი ამგვარ პოზიციაზე იდგა, განსხვავებით იმ მისიონერთაგან, რომლებიც ცდილობდნენ, იუდეველთა რიტუალური რჯული მოეხვიათ თავს ახლადმოქცეულ წარმართთათვის.

აქაც მოვიყვანთ ორ მაგალითს. როდესაც პეტრე მოციქული ანტიოქიის ყოფილ წარმართთაგან შემდგარ ეკლესიაში ჩავიდა, ის მათი წესების მიხედვით ცხოვრობდა, სანამ იერუსალიმიდან დელეგაცია არ მოვიდა. რჯულის დამცველ იუდეველ-ქრისტიანთა ჩამოსვლამდე პეტრე წარმართებთან ერთად ჭამდა და არ უჩიჩინებდა მათ, შეესრულებინათ ებრაული წეს-ჩვეულებები, მათ შორის წინადაცვეთაც. როდესაც იერუსალიმიდან იაკობის მომხრეები ჩავიდნენ, მათ ახლადმოქცეულთა წინადაცვეთა მოითხოვეს. პეტრეც მათ მიემხრო. პავლემ თვალთმაქცობად მონათლა მისი საქციელი და ყველას თანდასწრებით უთხრა: „თუ შენ, იუდეველი, წარმართივით ცხოვრობ და არა იუდეველივით, აბა, წარმართებს რაღად აიძულებ, რომ გაიუდეველდნენ?“ (გალ. 2:14).

ეს კამათი იერუსალიმის კრებით დაგვირგვინდა, რომელიც მოციქულთა საქმეებშია აღწერილი (15:1-29). კრებამ ყურადღებით მოუსმინა ორივე მხარეს და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იაკობმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „...მე ვფიქრობ, არ დავაბრკოლოთ ისინი, ვინც წარმართთაგან ღვთისკენ არიან მიქცეულნი“ (საქმ. 15:19). ხოლო წარმართ მორწმუნეთათვის მიწერილ წერილში კრების ოფიციალური გადაწყვეტილება ამგვარად იყო გამოხატული:

„ვინაიდან მართებულად მიიჩნია სულიწმიდამ და ჩვენც, რომ არავითარი ზედმეტი ტვირთი არ დაგაკისროთ, გარდა იმისა, რაც აუცილებელია. თავი შეიკავეთ ნაკერპავთაგან და სისხლისაგან, დამღრჩვალისა და სიძვისაგან“ (საქმ. 15:28-29).

სულ ეს იყო. არანაირი რიტუალური კანონები წარმართთათვის თავს არ მოუხვევიათ. საჭირო იყო ზრუნვა მხოლოდ მათ ზნეობრივ სიწმიდეზე და ღვთისადმი ერთგულებაზე. არავითარი თავაშვებულობა. არავითარი კომპრომისი და კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა.

ტიტეს წინადაცვეთის საკითხი

თითქოს იმისათვის, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტა ეს საკითხი, პავლემ კატეგორიული უარი განაცხადა ტიტეს წინადაცვეთაზე, როცა თან წაიყვანა ის იერუსალიმში (გალ. 2:3). „ცრუ ძმების“ მიმართ, „რომლებიც შემოიპარნენ, რომ ეთვალთვალათ ჩვენი თავისუფლებისათვის“ პავლემ საკმაოდ მკაცრი პოზიცია დაიკავა: „ერთი საათიც კი არ დავუთმეთ და არ დავემორჩილეთ, რათა სახარების ჭეშმარიტება დაცულიყო თქვენში“ (გალ. 5:2).

სინდისის პრობლემა

პაველ წერს: „უძლურთათვის გავხდი, როგორც უძლური, რათა უძლურნი შემეძინა“ (I კორ. 9:22). აქ „უძლურებში“ იგულისხმებიან ისინი, ვისაც სინდისი ტანჯავს იმის გამო, რომ მსხვერპლად შეწირული ცხოველების ხორცს ჭამს. რომაელთა მიმართ წერილში იგი კვლავ უბრუნდება ამ პრობლემას: „მაშ, ვესწრაფოთ იმას, რაც მშვიდობასა და ერთმანეთის აღშენებას ემსახურება... უმჯობესია არა ჭამო ხორცი, არ დალიო ღვინო და არც სხვა რამ, რითაც შენი ძმა შებრკოლდება“ (რომ. 14:19,21). კორინთელებს მან გამოუცხადა: „თუ საჭმელი აცდუნებს ჩემს ძმას, უკუნისამდე არა ვჭამ ხორცს, რათა არ ვაცდუნო ჩემი ძმა“ (I კორ. 8:13). ეს ჭკუის სასწაული მაგალითია მათთვის, ვინც მუსლიმთა შორის შრომობს. როგორც ცნობილია, მუსლიმებს ეკრძალებათ ღორის ხორცისა და ალკოჰოლური სასმელების მიღება. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ეს აკრძალვები ჩვენ არ გვეხება, მაინც უმჯობესია, არ ვისარგებლოთ ამ თავისუფლებით. ჩვენი მიზანი თავისუფლებით კეკლუცობა კი არაა, არამედ უფრო მეტის შეძენა.

ყველასათვის ყველაფრად გახდომა, ზოგიერთების დასახსნელად

და ბოლოს, მისიონერის კრედოს ლოგიკური დაგვირგვინება: „...ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მეხსნა როგორმე. და ყოველივე ამას ვაკეთებ სახარებისათვის, რათა მეც გავხდე მისი თანამონაწილე“ (I კორ. 9:22-23). ერთი შეხედვით ეს სიტყვები შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს — ეს ხომ რაღაც ყველაფრის მიმართ შემგუებლური დამოკიდებულების გამომხატველი პოზიციაა. დაფიქრების შემდეგ კი მივხვდებით, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა. თუ ქრისტიანობას არა აქვს კულტურის აბსოლუტიზირებული ფორმები, მაშინ ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, „რათა ზოგიერთები“ მაინც მივიყვანოთ ქრისტესთან. ამისათვის განსაკუთრებული ალღო და მოქნილობაა საჭირო.

პაველს პრინციპების გამოყენება მუსლიმთა შორის მსახურების დროს

რა მნიშვნელობა აქვს ზემოთ თქმულს მუსლიმთა შორის მსახურების

დროს? ეს საკითხი ისლამის სახესხვაობათა გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, ჩვენ ძალიან განსხვავდებით მუსლიმთაგან აზროვნებითა და ცხოვრების წესით; მეორეც, მუსლიმები უხსოვარი დროიდანვე მტრულად არიან განწყობილნი ქრისტიანი მისიონერების მოღვაწეობისადმი. გავიხსენოთ იესოს სიტყვები მოწაფეების მიმართ: „თუ ვინმეს უნდა გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე იტვირთავდეს თავის ჯვარს და მომყვებოდეს. ვინაიდან, ვისაც სურს თავისი სული იხსნას, იგი დაღუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი გულისათვის დაღუპავს მას, იგი იხსნის მას“ (ლუკა, 9: 23-24).

სანამ ადამიანი თავისი ხალხის კულტურულ კონტექსტშია მოქცეული, ამ თვითუარყოფის ხასიათი შემოფარგლულია მისი ხორციელი ბუნებით და მყარი იდეებით. მაგრამ თუ სახარების გავრცელებას იმ კულტურულ ბარიერთა გადალახვით ცდილობ, მუსლიმ ხალხებთან რომ გვაშორებს, საქმეში ახალი ფაქტორი ერთვება. სახარების გავრცელების ეს მეთოდი, რომელსაც ჩვენი საკუთარი კულტურული კონტექსტის შიგნით ვიყენებთ, მუსლიმთა შორის ქადაგებისას შეიძლება არ გამოგვადგეს.

პაკისტანის ქრისტიანები – ანალიზის მცდელობა

ამის გაცნობიერება ძალიან მტკივნეული იყო ჩემთვის პაკისტანელ მუსლიმთა შორის მუშაობისას. იქაური ეკლესია ძირითადად, თუმცა არა მთლიანად, ინდუს ხელშეუხებელთა შვილებისა და შვილიშვილებისაგან შედგებოდა, რომელთა წინაპრებმაც (დაახ. 500 000 კაცი) 1890-1930 წლებს შორის ქრისტიანობა მიიღეს.

ბრიტანული მმართველობის პერიოდში პრობლემა ასე სერიოზული არ იყო. ბრიტანეთის წასვლისა და 1947 წელს ინდოეთის გაყოფის შემდეგ მილიონობით მუსლიმი გადმოსახლდა პაკისტანში და დაახლოებით იმდენივე სიკხი და ინდუსი – ინდოეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ინდუსები შეადგენენ. ქრისტიანები, რომლებმაც არ იცოდნენ, რა ექნათ, ადგილზეე დარჩნენ. შედეგად შედარებით მცირე ქრისტიანული თემი (1,4%) პაკისტანში გარშემორტყმული აღმოჩნდა მუსლიმი მოსახლეობით (97%).

ახალმოსახლე მუსლიმებისათვის, რომელთაც ინდოეთის გაყოფის დამანგრეველი ომი გადაიტანეს, ეს ქრისტიანები ორმხრივ მიუღებელნი იყვნენ: დასავლეთის ეკლესიებთან კავშირისა და ინდუსთა ყველაზე დაბალი

კასტიდან წარმომავლობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მისიონერთა მოღვაწეობის შედეგად მათი განათლების დონემ აიწია, მათ ძველებურად „მენაგვეებს“ უწოდებენ. ყველაფერში – ენაში, მუსიკაში, ჩაცმულობაში, კვებაში, ქალისა და კაცის როლის თავისებურ გაგებაში და უამრავ წვრილმანში, მათ კვლავ ეტყობათ ინდუსური კულტურის შესამჩნევი გავლენა, რაც მათ წარმომავლობას ამჟღავნებს. ამის გამო ქრისტიანებს არ ჰქონდათ ახალი მუსლიმური რეჟიმის კეთილგანწყობის იმედი.

რაოდენ სამწუხაროა, რომ მრავალი ქრისტიანი მათ სიძულვილს იმგვარიეე გრძნობით პასუხობდა. ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი მუსლიმური მმართველობის მიმართ. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ თავისი დაღი დაასვა ეკლესიის ურთიერთობას მუსლიმური გარემოდან მოსულებთან. ამან გვაიძულა გამოგვეკვლია ახლადმოქცეულ მუსლიმთა მდგომარეობა.

ჩვენს რაიონში ასეთი 700 ქრისტიანი დავთვალეთ. 350 საერთოდ ვერ მოვძებნეთ, დარჩენილი 350-დან კი 315-მა შეწყვიტა ეკლესიაში სიარული. ისინი ამას იმით ხსნიდნენ, რომ იქ მყუდროდ ვერ გრძნობდნენ თავს. იმ 35-დან, რომლებიც ეკლესიაში სიარულს აგრძელებდნენ, ვერც ერთმა ვერ გვითხრა, რომ მას იქ კარგად ექცეოდნენ. აქედან ორი მათგანი თავ-თავიანთი თემების ლიდერები იყვნენ. ეს საშინელება იყო. რა მოხდა?

მოხდა ის, რომ ინდუსურ გარემოში ჩამოყალიბებული ეკლესია არც კი ცდილობდა თავის წიაღში მუსლიმთა მიღებას. ეკლესიაში მისულ მუსლიმს ეჭვის თვალით უცქერდნენ. ქრისტიანებს ეჩვენებოდათ, რომ მუსლიმი მამაკაცი მათ ქალებს უთვალთვალებდა ან უფრო უარესი, ხელისუფლების მიერ მოგზავნილი ჯაშუში იყო.

მე მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ ამაოდ ცდილობდა ახალგაზრდა კაცი ორი წლის განმავლობაში მიეღწია მონათვლისა და ეკლესიის წევრად გახდომისათვის. ბოლოს, მას შემდეგ, როცა ის შეესწრო მუსლიმთა ერეტიკული სექტისა და მუსლიმი ფუნდამენტალისტების შეიარაღებულ შეტაკებას, მოვიდა ჩემთან და მითხრა:

„მე დღეს ვნახე, როგორ კვდებოდნენ საკუთარი რწმენისათვის აჰმადიელი (ერეტიკოსთა სექტა) მუსლიმები და ჩემს თავს ვკითხე: მზად ვარ თუ არა, ქრისტეს რწმენისათვის სიკვდილის მისაღებად? დიახ, მზად ვარ, მაგრამ მე ხომ მოუნათლავი ვარ. იესომ კი მონათვლა გვიბრძანა. მეც მინდა ეს, მაგრამ ჩვენი ეკლესიის ხუცესებს არ სურთ ჩემი მიღება. შეგიძ-

ლია ისე მოაწყო, რომ მომნათლონ? მაშინ მე შემეძლება ვუთხრა უფალს, რომ ისე მოვიქეცი, როგორც მან გვიბრძანა."

გულდამძიმებულმა მოვახერხე, რომ მეზობელ ქალაქში მოენათლა იგი მუსლიმთაგან მოქცეულ მისიონერს. ამის შემდეგაც არ სურდა საეკლესიო თემს მისი მიღება. რა უნდა მექნა ამ სიტუაციაში? წამომეწყო ახალი მსახურება მუსლიმთა შორის?

მოულოდნელად გონება გამინათდა. ერთ კვირა დღეს ეკლესიაში ვიჯექი. პასტორი აგვიანებდა. უცებ მამაკაცთა გუნდმა სიმღერა წამოიწყო, მეც შევუერთდი და მალე მივხვდი, რომ ისინი ქორალებს ჰინდის ენაზე მღეროდნენ. საშინლად აღშფოთდი. მახსოვს, როგორ ვბუზღუნებდი ჩემთვის: „მოქცეულ ინდუსთა სულელო შვილებო, რას იფიქრებს მუსლიმი, როცა შემოვა აქ და გაიგონებს, როგორ მღერით მტრის ენაზე (უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ინდოეთმა და პაკისტანმა სამი ომი გადაიტანეს ერთმანეთთან)?" აქ უფალმა შემაწყვეტინა: „დონ, რას აკეთებ, როცა სევდა შემოგაწვება?" მე გამახსენდა, რომ ასეთ დროს ჩემს ძმებთან, მისიონერებთან, მივდიოდი, ვუსმენდი მათ გალობას, ვმღეროდი მათთან ერთად ნაცნობ ჰიმნებსა და ქორალებს და ვლოცულობდი მშობლიურ ენაზე. მაშინ უფალმა მითხრა: „სწორედ ამას აკეთებენ ეს ახალგაზრდებიც. ეს ხომ მათი კულტურული მემკვიდრეობაა. შეუერთდი მათ. მე ჩავიფიქრე ახალი მსახურება მუსლიმთა შორის".

„ახალი მსახურება მუსლიმთა შორის"

რას ნიშნავს ეს? როგორი იქნება იგი? რითი იქნება განსხვავებული ახლანდელი მსახურებისაგან? შეფოთს ხომ არ შეგვამთხვევს? განხეთქილებამდე ხომ არ მიიყვანს ეკლესიას? ნუთუ ეს ღვთისგანაა?

ყოველივე ეს ძალზე მნიშვნელოვანია. პავლე წერს: „ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით. ერთია სხეული და ერთია სული..." (ეფ. 4:3-4). შესაძლებელია სულის ერთობა სტილის ერთსახოვნების გარეშე მთელს მსოფლიოში? ან პირიქით: ხელს ხომ არ უშლის ერთსახოვნება სახარების გავრცელებას?

გახსოვდეთ, რომ ჩვენში, იესო ქრისტეს აღმსარებლებში, სულიწმიდის ძალაა. ჩვენ მხოლოდ ფიზიკური ძალის იმედად როდი ვართ. კვლავ პავლე მოციქულის განმარტებას მივუბრუნდეთ:

„ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური

ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ, ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“ (2 კორ. 10:4-5).

თუმცა ამ პასაჟს შეუძლია დაგარწმუნოთ, რომ დაამარცხებთ მუსლიმ ოპონენტს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი ხდება. ადამიანის გული შეიძლება გაკერპდეს იესო ქრისტეს სახარების წინააღმდეგ.

მუსლიმის გულგრილობა სახარების ჭეშმარიტებათა მიმართ ყოველთვის თქვენი შეცდომით როდია გამოწვეული. კიდევ ერთი ძალა გამოდის ჩვენს წინააღმდეგ: „და თუ ჩვენი სახარება დაფარულია, დაღუპულთათვის არის დაფარული, ურწმუნოთათვის, რომელთაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარებისეულ ნათელს ქრისტეს დიდებისა, იმისი, ვინც უხილავი ღვთის ხატია“ (2 კორ. 4:3-4). ახლა იმ ბრალდებებს მივუბრუნდეთ, რომელთაც უყენებენ ხოლმე მუსლიმები ქრისტიანულ მოძღვრებას და საღვთო წერილს, განვიხილოთ აგრეთვე მათი მოთხოვნები ყურანთან და ჰადისებთან დაკავშირებით.

თავი XX

სულიერი ძალის გამოყენება

„ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ, ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად"
(2 კორ. 10:4-5).

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ სახარებასთან მუსლიმთა ზიარების სოციო-კულტურული პრინციპები, დროა მოვიხსენიოთ ამ მისიონერული გამოწვევის სულიერი პრინციპებიც. მთავარი პრობლემა აქ მუსლიმები როდია. მთავარი ისაა,რომ ისინი სისტემის და მის უკან მდგომი ძალების ტყვეები არიან. იესო მოვიდა „ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და შებორკილთა ასახსნელად" (ეს. 61:1). ჩვენ ვაწარმოებთ სულიერ ომს მუსლიმთა გადასარჩენად. ისლამი, მთელი თავისი განშტოებებით, ესაა მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური სისტემა, რომელმაც მუსლიმები პირქუშ სულიერ მონობაში ჩააგდო და უარი უთხრა იმ თავისუფლებაზე, რომელთაც მათ იესო ქრისტეში ხელახალი შობა სთავაზობს.

ისლამის ანტიქრისტიანული სული

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მუსლიმთა და ქრისტიანთა დაპირისპირებას ღრმა სულიერი ასპექტი გააჩნია. მართალია, მუსლიმთა მხოლოდ მცირე პროცენტი შეიძლება ჩაითვალოს ორთოდოქსად, მაგრამ ან-

ტიქრისტიანული განწყობა ისე ღრმადაა მათში ფესვგადგმული, რომ ისინი დედამიწის თითქმის ყველა ნაწილში ეწინააღმდეგებიან სახარების გავრცელებას. ჩვენ ისიც გვჯერა, რომ ამ წინააღმდეგობის უკან სულიერი ინტელექტი და ძალა დგას. ესაა სატანის უდიდესი სურვილი, ხელი შეუშალოს ღმერთს უძღები კაცობრიობის დაბრუნებაში იესო ქრისტეს სახარების საშუალებით.

ზემოთ ჩვენ ვმსჯელობდით იმის თაობაზე, თუ როგორ ასწავლიდა მუჰამედი, რომ ღმერთს არ შეიძლება ჰყავდეს ძე, შეუძლებელია ღვთაების ადამიანში განსხეულება, არავის შეუძლია სხვის მაგივრად სიკვდილი, იესო არ გაუკრავთ ჯვარზე და თუ ადამიანის კეთილი საქმეები (ანუ ისლამისადმი მორჩილება) გადასწონიან მის ცუდ საქმეებს, იგი სამოთხეში მოხვდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – ჯოჯოხეთისათვისაა განწირული.

ჩვენ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ როგორ შექმნეს მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა ისლამად სახელდებული სისტემა, რომელიც დაცული იყო წეს-ჩვეულებებით და მიმართავდა ადამიანთა ცდუნებას სამოთხეში მომავალი ხორციელი ტკბობით და ჯოჯოხეთის საშინელებებით მათ დაშინებას. ამ სისტემიდან გამოსვლა სიკვდილით ისჯებოდა (ყურანი, 4:91). საყოველთაოდ ცნობილი გახდა ინდოელი მწერლის სალმან რუშდის ისტორია, რომელსაც აიათოლა ჰომეინიმ სიკვდილი მიუსაჯა ("Los Angeles Times", 14 თებერვალი, 1989 წ.)

ისლამის ნებისმიერი არაორთოდოქსული ფორმის მიღმაც იმალება ის ძალა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მუსლიმებმა ვერასოდეს გაიგონ, ვინ იყო ქრისტე და რაში სჭირდებათ მათ იგი.

ბიბლიური მსოფლმხედველობის საფუძველი

ამ სტრიქონების ავტორს სჯერა ბიბლიის ჭეშმარიტება და ნამდვილობა იმ სახით, რა სახითაც გვაქვს იგი ჩვენ დღეს.

მე მჯერა, რომ ღვთის გამომსყიდველი საქმიანობის არსი მის ადამიანურ განკაცებაშია (იოანე, 1:14), როცა იესო ღვთის იპოსტასი გახდა დედამიწაზე (ებრ. 1:3), რომ ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენი გულისათვის და მისი სისხლით გამართლებულნი გადავურჩებით ღვთის რისხვას (რომ. 5:8-9), რომ იგი დაასაფლავეს და აღსდგა მესამე დღეს (1 კორ. 15:4), არ არსებობს სხვა სახელი, რომელიც გადაგვარჩენდა (საქმ. 4:12), რომ მისი

უარმყოფელი თავად უფალს უარყოფს (1 იოანე, 2:23), და ბოლოს, როგორც წერილი გვიმტკიცებს, ყველა, ვინც ძეს უარყოფს, ანტიქრისტეა (1 იოანე, 2:22).

თითოეულ მუსლიმს, რომელიც ამ სიტყვებს წაიკითხავს, შევახსენებ, რომ მე წმიდა წერილის ციტირებას ვახდენ და როგორც მორწმუნეს, სხვა გზა არცა მაქვს. ეს ჩემი პირადი შეხედულების გამოვლინება როდია, ესაა ღვთის გამოცხადებული სიტყვისადმი ერთგულების საკითხი. თუ თქვენ არ ეთანხმებით უფლის ზემოთ წარმოდგენილ გამომსყიდველ საქმიანობას, თქვენ ღმერთს ეკამათებით და არა მე. მე მხოლოდ მისი ერთგული მსახური ვარ და საჭიროდ ჩავთვალე, ჩამომეყალიბებინა წმიდა წერილის პოზიცია მუსლიმთა გასაგონად, რათა მიხედნენ, თუ რატომ აღვიქვამთ მათ რელიგიას ამგვარად და არა სხვანაირად.

ისლამი თავისი არსით ანტიქრისტიანულია. ის ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც გააკეთა ქრისტემ კაცობრიობისა და მათ შორის. თავად მუსლიმთა გადასარჩენად. გამოდის რა ქრისტეს საქმეთა წინააღმდეგ, ეს ცრუმოძღვრება თავად ღმერთს ეწინააღმდეგება (2 კორ. 10:5), ამიტომ მისი დალუპვა გარდაუვალია. არ უარვყოფთ, რომ ყურანში გარკვეულწილად აირეკლა ჭეშმარიტებაც,რადგან მუჰამედი ზოგჯერ ბიბლიურ წყაროებსაც მიმართავდა. მაგრამ მან შექმნა სისტემა, რომელიც უარყოფდა ღვთის, როგორც მამის, ძისა და სულიწმიდის გამოვლენას; ისლამი ეწინააღმდეგებოდა სახარების გავრცელებას. ამიტომ ჩვენ ისლამს განვიხილავთ, როგორც ანტიქრისტიანული მოძღვრების ციტადელს და მიგვაჩნია, რომ იესო ქრისტე, რომელიც მოქმედებს ჩვენი ხელით თავისი სულიერი ძალის საშუალებით, საბოლოოდ გაანადგურებს ამ ციტადელს. რადგან ისლამი არაა დაფუძნებული იესო ქრისტეზე, ის ღვთის მიერ მოწყობილი გამოცდის ცეცხლში დაიფერფლება (1 კორ. 3:11-14).

იესო ქრისტეს სახარების მიმართ განსაკუთრებულად მტრული დამოკიდებულების გამო, ჩვენ ვასკვნით, რომ ამ სისტემის უკან ზებუნებრივი ანტიქრისტიანული ძალა დგას. საღვთო წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფეთა წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“ (ეფ. 6:12). ჩვენ გვჯერა, რომ ეს ძალები დგანან იმ მოძღვრების უკან, რომელიც ასე გააფრთებით ეწინააღმდეგება სახარებას.

გამოეყოფთ ყველაზე უფრო მძაფრ მომენტებს:

– ისლამი უარეყოფს ჯვარცმას, მთავარ მოვლენას ქრისტეს ცხოვრებაში (ყურანი, 4:156(157).

– ვერ გადმოიბირა რა ქრისტიანები, მუჰამედმა დასწყევლა ისინი (ყურანი, 9:30).

– მუჰამედმა დაამცირა ქრისტე ზეციურებრივ წინასწარმეტყველად გამოცხადებით, საკუთარი თავი კი აღაზევა იმით, რომ „წინასწარმეტყველთა ბეჭედი" დაირქვა (ყურანი, 33:40).

– მუჰამედის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ ისლამმა საღვთო წერილის გაყალბებული კრიტიკა დაიწყო. ის ამტკიცებდა, რომ ბიბლია შეცვალეს იმ ადგილებში, სადაც იესო ყურანს არ ეთანხმება (Hagg, 1980:38).

– ისლამი ვალდებულად მიიჩნევს თავს, დაიპყროს მთელი სამყარო ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ძალადობის გზითაც (ჯიჰადი — საღვთო ომი) (ყურანი, 8:39–40(38–39).

– ყოველი ქრისტიანი ვალდებულია, დაემორწმუნოს მუსლიმს და გადაუხადოს დამამცირებელი გადასახადი (ყურანი, 9:29).

– ყველა მუსლიმი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო, სიკვდილით უნდა დისაჯოს (ყურანი, 4:91(89).

– საუდის არაბეთში აკრძალულია ეკლესიათა მშენებლობა და მორწმუნეთა თაყვანცემა.

– ეგვიპტეში ეკლესიების შეკეთების საშუალებასაც კი არ იძლევიან.

– იმ ისლამურ ქვეყნებში, სადაც შარიათის კანონები მოქმედებს, ქრისტიანებს ეკრძალებათ მუსლიმებისათვის სახარების ქადაგება.

უფრო მეტის თქმაა საჭირო იმის საჩვენებლად, რომ ისლამი სახარების წინააღმდეგაა განწყობილი?

შესაძლებელია ისლამის კრახი?

ანალოგია კომუნიზმის დამხობასთან

უღმერთო კომუნიზმმა მოინდომა ქრისტიანული რწმენის ლიკვიდირება, მაგრამ ვერ მოახერხა. იესომ თქვა საკუთარ თავზე: „ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა. ყველა, ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაიმტვრევა. ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს" (ლუკა, 20:17-18).

ეს სიტყვები შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: ყველა ადამიანში, ვინც ქედს მოიდრეკს ქრისტეს წინაშე, დაემხობა ცოდვილი სიამაყე, მაგრამ ვინც ქრისტეს უარყოფს, თავად დაემხობა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ამგვარი რამ დაემართა საბჭოთა კავშირს. ქვეყანა, რომელსაც სურდა ათეიზმის აღზევება და ეკლესიის დამხობა, თვითონ დაემხო. ბევრი ფიქრობს, რომ სწორედ ეკლესიამ გამოუთხარა ძირი საბჭოთა კავშირში კომუნიზმს.

უფალი ისლამის წინააღდეგია

მუსლიმები უნდა ჩაუფიქრდნენ არა მარტო კომუნიზმის დამხობის მწარე გაკვეთილს, არამედ წმიდა წერილში მოცემულ გაფრთხილებებსაც. სისტემა, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, დაუპირისპირდა ღვთის ცხებულს და ამიტომ დასაღუპადაა განწირული. მოუსმინეთ დავითის წინასწარმეტყველებას იმის თაობაზე, თუ რა ელით ღვთის ძის მოწინააღმდეგეებს:

„მკვიდრი ზეცისა გაიგონებს, უფალი აბუჩად აიგდებს მათ. მაშინ ეტყვის მათ თავისი რისხვით და თავისი გულისწყრომით შეაძრწუნებს — „მე ვაკურთხე მეფე ჩემი სიონზე — ჩემს წმიდა მთაზე.“ გაუწყებთ უფლის კანონმდებლობას: უფალმა მითხრა: „ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე შენ: მთხოვე და მოგცემ ხალხებს სამკვიდროდ, ხოლო ქვეყნის კიდეებს — სამკვიდრებლად, შენ დალეწავ მათ რკინის კვერთხით, მეთუნის ჭურჭელივით დაამსხვრევ“. ახლა კი გონს მოდით, მეფენო! განისწავლენით, ქვეყნის მსაჯულნო! ემსახურეთ უფალს შიშით და შეჰღალადეთ თრთოლვით. ეამბორეთ ძეს, რომ არ განრისხდეს იგი და არ დაიღუპოთ გზაში, მაგრამ მალე აღიგზნება რისხვა მისი. ნეტარ არს ყველა, ვინც მასზეა მინდობილი“ (ფს. 2:4-12).

პავლე მოციქული წერს:“ მერე კი დასასრული, როცა მეფობას გადასცემს უფალსა და მამას მას შემდეგ, რაც გააუქმებს ყოველ მთავრობას, ყოველ უფლებასა და ძალას. ვინაიდან მან უნდა იმეფოს, ვიდრე თავის ფეხქვეშ მოაქცევდეს თავის ყველა მტერს... და როცა ყოველივეს მას დაუმორჩილებს, მაშინ თვით ძეც დაემორჩილება მას, ვინც ყოველივე მას დაუმორჩილა, რათა ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში“ (I კორ. 15:24-25,28).

ბიბლია მთავრდება უკანასკნელი ომის შთამბეჭდავი სურათებით, სადაც ქრისტე საბოლოოდ დაამარცხებს თავის მტრებს: „წუთისოფლის სამეფო

გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 11:15).

მისიონერს ამხნევებს იმის ცოდნა, თუ როგორ დაგვირგვინდება ყველაფერი. იესო იქნება ყოვლისმპყრობელი ხელმწიფე. ყველა მოწინააღმდეგე დამარცხდება და ჭეშმარიტება გაიმარჯვებს. მისი სამეფო სიმართლის ბეჭდით იქნება აღბეჭდილი. ადამიანები აღარაკის დაჩაგრავენ და შეაშინებენ დედამიწაზე. თავად სატანაც საბოლოოდ დამარცხდება და დაემხობა.

ჩვენ ვიცით, რომ ქრისტე ყოველთვის ამარცხებდა სატანას. ასე იყო მათი პირველი შეტაკებისას (მათე, 4:1:11), გეთსიმანიის ბაღში (მათე, 26:36-46) და ჯვარცმის დროს (კოლ. 2:13-15). ჯვარცმისა და საფლავად დადების შემდეგ, ის მკვდრეთით აღსდგა და სატანაზე გამარჯვება იზეიმა, მასთან ერთად დაამარცხა ცოდვა და სიკვდილი. ეს გამარჯვება ფასდაუდებელი ნუგეში იყო ჩვენთვის.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის ნუგეში და ძალა, რომელიც ქრისტეს გამარჯვებამ შთაგვბერა. ქრისტემ კი გაიმარჯვა, მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა. კიდევ მრავალი ომის გადახდა მოგვიწევს. დიდი იქნება დანაკარგი, მრავალნი იქნებიან წამებულნი, სანამ დავასრულებდეთ ქრისტეს საქმეს.

მან დაგვიბარა, რომ გავანათლოთ ერები — მსოფლიოში არსებული ათასობით ეთნოლინგვისტური ჯგუფი. ჩვენ უნდა განვაგრძოთ სვლა მისი სახელით, ვიქადაგოთ სახარება, გავანთავისუფლოთ ტყვედქმნილნი, განკურნოთ უძლურნი, გავაფართოოთ ეკლესიის საზღვრები და ფეხქვეშ გავთელოთ სატანა (რომ. 16:20). ჩვენ უნდა გადავიხადოთ სულიერი ომი და დავატყვევოთ ყოველგვარი აზრი ქრისტესთვის დასამორჩილებლად.

ლოცვის ძალმოსილება

საბჭოთა კავშირის ქრისტიანები საშინლად იტანჯებოდნენ სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ჩერნენკოს და ანდროპოვის დიქტატორული რეჟიმის გამო. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, ვიეტნამზე, ჩრდილოეთ კორეაზე, კუბაზე და ა. შ.

ამ რეჟიმთა არსებობის მანძილზე, როგორც ამ ქვეყნის ქრისტიანები, ისე მის ფარგლებს გარეთ მყოფნი გამუდმებით ლოცულობდნენ. ისმის კითხვა: „გამოეხმაურა ღმერთი მათ ლოცვას?“ უყოყმანოდ გპასუხობთ:

„დიახ“. ეს პასუხი დიდხანს მოდიოდა, ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მაგრამ რასაც დღეს ვხედავთ, მორწმუნეთა მხურვალე ლოცვის შედეგია.

იესოს მოძღვრება ლოცვის შესახებ

ლოცვაში, რომელიც იესომ თავის მიმდევრებს ასწავლა, არის ასეთი სიტყვები: „...მოვიდეს სუფევა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... გვიხსენ ჩვენ ბოროტისგან“ (მათე, 10:13).

ვეედრებით რა უფალს, რომ დაამყაროს თავისი სუფევა და აღასრულოს თავისი ნება დედამიწაზე, ჩვენ მას იმისაკენ ვაქეზებთ, რისი გაკეთებაც თავად სურს.

როდესაც ჩვენ ვთხოვთ, გვიხსნას ბოროტისაგან, შეგნებული გვაქვს, რომ „მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს“ (1 იოანე, 5:19) და ის, ვინც ჩვენშია, მეტია იმაზე, ვინც წუთისოფელშია (1 იოანე, 4:4) და შეუძლია ჩვენი გადარჩენა.

სამეფო სამღვდელოების ლოცვები

შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ უფალმა გაუხსნა პეტრეს მოსეს რჯულის ერთ-ერთი დებულების მნიშვნელობა: „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება“ (1 პეტრე, 2:9). ეს სიტყვები დღეს ყველა მორწმუნეს მიემართება. რადგან ჩვენ სამეფო სამღვდელოება ვართ, შეგვიძლია სხვა ხალხებს ვუშუამდგომლოთ ღვთის წინაშე.

პავლეს მოძღვრება ლოცვის შესახებ

გავიხსენოთ, რას წერს პავლე ამ თემაზე:

„ამრიგად, უწინარეს ყოვლისა, შეგაგონებთ ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლიერებანი ყველა ადამიანისათვის, მეფეებისა და ყველა მბრძანებლისათვის, რათა მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობით და პატიოსნებით, ვინაიდან ეს კეთილი და სათნოა ჩვენი მაცხოვარი ღვთისათვის, რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ. 2:1-4).

ღვთის სურვილი, გადარჩენილი იხილოს ყველა ადამიანი, განხორციელდება ამ ხალხებისა და მათი მბრძანებლებისათვის ჩვენი საშუამდგომლო ლოცვა-ვედრებების წყალობით.

მოსეს საშუამდგომლო ლოცვა

ამგვარი ლოცვის მაგალითი გვაქვს მოსეს ცხოვრების აღწერაში. უფალს სურდა იუდეველთა ამოწყვეტა მათი ცოდვების გამო. მოსემ თავი გადასდო და დაიცვა თავისი ხალხი: „მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან“ (გამოსვ. 32:32). მოსეს სიკვდილი ურჩევნია თავისი ხალხის დაღუპვის ხილვას. ესაა სწორედ „გამოუთქმელი ოხვრა“, შუამდგომლობის ნიშანი ჩვენში, რაც თავად სულიწმიდისაგან მოდის, რომელიც „შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით“ (რომ. 8:26). სწორედ ამგვარად ვეოხრავთ იმისათვის, რომ განთავისუფლდნენ მუსლიმები ისლამის უღლისა და იმ ძალისაგან, რომელიც მის უკან იმალება.

გვჭირდება უშიშარი შუამდგომლები

ყველაზე მეტად გვესაჭიროება უშიშარი შუამდგომლები — აბრაამის, მოსეს, დავითის, ნეემიას, პეტრესა და პაულეს მსგავსნი. დაუღალავი მლოცველნი, რომლებმაც გულში ჩაიბეჭდეს იესოს მაგალითი და მისი მოძღვრება; ადამიანები, რომლებიც გამუდმებით ილოცებენ მთელი მსოფლიოს მუსლიმი ხალხებისათვის, თითოეული ქვეყნისა თუ ეთნოლინგვისტური ჯგუფისათვის. ლოცვა ყველაზე ძლიერი იარაღია, რომელიც გაგვაჩნია მუსლიმთა გადარჩენისათვის წამოწყებულ ამ სულიერ ომში.

თუმცა სხვა ასპექტებიც არსებობს ისლამის ტირანიისაგან მუსლიმთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სასუფევლის ნიშნები და სასწაულები

იესო მოვიდა, რათა მოუწოდოს ხალხს, რომ დატოვონ ბნელეთის სამეფო და შეეიდნენ ღვთის სასუფეველში. ის მოვიდა სიყვარულითა და თანაგრძნობით. მაგალითად, როცა იგი გალილეაში დადიოდა, „ქადაგებდა სასუფევლის სახარებას, კურნავდა ყოველგვარ სენს და ყოველგვარ უძლურებას“ (მათე, 9:35). მისი სასუფეველი სიყვარულის სამეფოა, რადგან თავად იგიც ხომ სიყვარულია (1 იოანე, 4:8). წერილში ნათქვამია, რომ როცა ხალხი იხილა, იგი თანაგრძნობით განიმსჭვალა მათ მიმართ. თქვენ როგორღა აცლენთ თანაგრძნობასა და სიყვარულს? ყველაზე მტკივნეული

პრობლემა, რაც ადამიანს აწუხებს, ესაა ავადმყოფობა, მტანჯავი უძლურება და, კიდეე უფრო უარესი, ბოროტ სულთა შემოტევა.

იესო ყოველთვის თანაუგრძნობდა ადამიანის უძლურებას. სადაც არ უნდა მისულიყო, ყველგან კურნავდა ხალხს და ათავისუფლებდა ბოროტი სულების ძალაუფლებისაგან. იესომ მოწაფეებსაც მიანიჭა კურნების უნარი: „მოუხმო თორმეტს, მისცა მათ ძალა და ხელმწიფება ყველა ეშმაკზე, რომ განეკურნათ სნეულებანი. მიავლინა ისინი ღვთის სასუფეველის საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნავად" (ლუკა, 9:1-2).

იესო ერთმანეთს უთანხმებდა სახარების ქადაგებას და ადამიანების განკურნებას. როგორც ჩანს, მკურნალობა ღვთის სასუფეველის ნიშანი იყო. მოგვიანებით იესომ ამგვარივე უნარი მიანიჭა თავის სამოცდაათ მოწაფეს, რომლებსაც აგზავნიდა იქ, სადაც თავად აპირებდა მისვლას. ნიშანდობლივია, რომ იესო ამ კონტექსტში სამკალზე ლაპარაკობს:

„სამკალი ბევრია, მუშაკი-ცოტა. ამიტომ ევედრეთ სამკლის პატრონს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში... რომელ ქალაქშიც მიხვალთ და მიგიღებენ, ჭამეთ, რაც შემოგთავაზონ. განკურნეთ იქ მყოფნი სნეულნი და უთხარით მათ: ღვთის სასუფეველი მოგიახლოვდათ-თქო" (ლუკა, 10:2,8-9).

ბევრის მთქმელია იესოს რეაქცია უკან მობრუნებულ მოწაფეთა სიხარულზე. იმის მაგივრად, რომ მათთან ერთად ეზეიმა ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქების გამო, ის უფრო შორს იყურებოდა და ყველა ამ ტანჯვის მიზეზის, მტრის, საბოლოო განადგურებაზე ფიქრობდა: „დავინახე სატანა, ელვასავით ციდან გადმოვარდნილი. აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად და მტრის ყოველი ძალისა. თქვენ კი არაფერი გეენებათ" (ლუკა, 10:18-19).

იესომ დაანახა მოწაფეებს, თუ ვინ არის ჭეშმარიტი მტერი. აი, რატომ წერდა იოანე: „ვიცით... მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს" (1 იოანე, 5:19). სწორედ იოანემ ჩამოაყალიბა ყველაზე ნათლად იესოს მოსვლის მიზანი: „ამისათვის გამოჩნდა ძე ღვთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმენი" (1 იოანე, 3:8).

მთავარი ბრძოლის არსი

საბოლოო ჯამში, მთავარი ბრძოლა ადამიანთა მოდგმაზე ძალაუფლების მოსაპოვებლად ღვთის საყვარელი ძის სასუფეველსა და ბნელეთის

სამეფოს შორის მიმდინარეობს. უნდა გვახსოვდეს ეს, როდესაც „სულიერ ომზე“ ვსაუბრობთ. გვახსოვდეს, რომ მუსლიმები კი არ არიან ჩვენი მტრები, არამედ მათი დამმონებელი სისტემის ფუძემდებლები.

ჩვენ ვაგრძელებთ სვლას ქრისტეს სახელით, ვკურნავთ და ვათავისუფლებთ ბოროტ სულთაგან. ეს სიყვარულით აღსავსე ქმედება მოწმობს უფლის ძალას, რომელიც მტრისას აღემატება.

არავის განუმარტავს ამ ჭეშმარიტების მნიშვნელობა ისე, ღრმად და ამომწურავად, როგორც ეს დონ უილიამსმა გააკეთა: „გულისშემძვრელი და მთელი ცხოვრების გარდამქმნელი ბიბლიაში ის არის, რომ სამყაროს უფალი თავს დასტრიალებს ჩვენს ცხოვრებას და იპყრობს ძის საშუალებით. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ, მთლიანად შევცვალოთ საკუთარი ცხოვრება. იმ დროს, როცა ელოცულობთ: „მოვიდეს სუფევა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ — ღმერთი მართლაც ეხმიანება ჩვენს ლოცვას და გვიჩვენებს, რომ ღვთის სასუფეველი უკვე მოვიდა. ამგვარად ათავისუფლებს ის სულიწმიდის ძალას და აღებს ჩვენს გულებს მის შესახვედრად, კურნავს წარსულისა და აწმყოს ჭრილობებს, ცვლის ჩვეულ მონურ ქცევას და თავისთან აღამაღლებს დამცირებულს, ფანტავს რა ყველგანმყოფ სიბნელეს და აღადგენს ჩვენ დაცემულ ადამიანობას. ჩვენ გვეძლევა ამ სასუფეველის განცდის უნიკალური შესაძლებლობა და ვხედავთ, როგორ ერწყმის იგი ჩვენს ცხოვრებას, სანამ მარადისობაში გადაგვიყვანდეს, სადაც თვალი აეხილება ჩვენს რწმენას და ურწმუნოებას — ზოგის სასიხარულოდ და ზოგის სამწუხაროდ“ (Williams, 1989:2).

უილიამსი, რომელსაც ჯერ კიდევ სიცოცხლეში აეხილა თვალი აწმყოში ღვთის ქმედებათა დასანახად, ღეტალურად აღწერს, რა გამანადგურებელი ძალით მოქმედებდნენ მის ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე ანტირელიგიური ფილოსოფიური შეხედულებანი.

კრაფტი, ნიგერიაში თავისი მისიონერული მოღვაწეობის აღწერისას, აღნიშნავს, თუ რა გამოუსადეგარი აღმოჩნდა დასავლური მეცნიერების ნაყოფი ნიგერიელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბევრს ვტიტინებთ სულიერ მოვლენებზე, ნიგერიელები უკეთ ერკვეოდნენ სულიერების მრავალ ასპექტში. ვშიშობ, იმასვე ვაკეთებდით, რასაც გალატელებს საყვედურობს პავლე: სულით ვიწყებდით და ხორცით (ადამიანური ძალებით) ვამთავრებდით (გალ. 3:3).

ქრისტეს სახელით ჩვენ პროპაგანდას ვუწევდით ავადმყოფობის, უბედური შემთხვევების, განათლების, ნაყოფიერების, სოფლის მეურნეობის და სხვა პრობლემებისადმი დასავლურ მიდგომას. ჩვენ ისე ვმოქმედებდით, თითქოს დასავლური მეცნიერული მეთოდები უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ლოცვა (Kraft, 1989:4-5).

მოგვიანებით, როდესაც კრაფტმა სხვა მისიონერებთან ერთად გააცნობიერა ჩვენი სამყაროს სულიერი რეალიები და მიხვდა, რომ ისინი იესოს დროს არსებულ სინამდვილეს შეესატყვისებოდნენ, იგი წერდა:

„მე აღმოვაჩინე, რომ ეკითხულობ ბიბლიას (განსაკუთრებით სახარებას) ახალი თვალით, რომ სასწაულები, ეშმაკების გამოდევნა და ღვთის გამოცხადებანი, ანგელოზები, დემონები და კიდევ მრავალი სხვა, რასაც გამონაგონად ვთვლიდი, დღევანდელობაა! გამიჩნდა ლოცვისა და ღმერთთან საუბრის, მისი მოსმენის ახალი სურვილი... მსახურებამ ჩემს თვალში ახალი ძალა და ავტორიტეტი შეიძინა“ (1987:133-134).

ძალთა შეჯახება

მუსლიმთა შორის მუშაობის დაწყებისას უნდა გვესმოდეს, რომ ისლამის ძალებთან შეჯახება მოგვიწევს. ისლამი ძალისმიერი რელიგიაა. თუმცა ყურანში ხშირია საუბარი მოწყალებასა და თანაგრძნობაზე, ღმერთი აქ უფრო თავისი დაუძლეველი ძალით ახდენს შთაბეჭდილებას. მუსლიმთა ნაწილი საკუთარ თავს სწორედ ამ ძალის ინსტრუმენტად მიიჩნევს, რომლის მიზანიც ყურანისეული „ღვთაებრივი ნების“ გავრცელებაა მთელს დედამიწაზე. ისლამი არ ცნობს განკაცებას, მსხვერპლის გამღებ სიყვარულს, გამოსყიდვას. ეს ცნებები ეწინააღმდეგებიან მუჰამედის ყოვლისშემძლე ღმერთის კონცეფციას (Gragg, 1984:137).

ქრისტიანი მიტევებასა და განკურნებას ქრისტეს ჯვარცმას უკავშირებს (ეს. 53:4-6; 1 პეტრე, 2:24). ცოდვის დამარცხებით გახდა შესაძლებელი მისი გამარჯვება სატანაზე (იოანე, 14:30); სიკვდილზე გამარჯვება კი – სულიწმიდის წყალობით, რომელმაც დაამოწმა, რომ იესო ღვთის ძე იყო (რომ. 1:4). ჩვენზე სულიწმიდის გადმოსვლამ ნათელი გახადა სახარება უფლის გამომსყიდველ ჩანაფიქრზე, რაც იესო ქრისტეს წყალობით უნდა განხორციელებულიყო (საქმ. 1:8). ღვთის სასუფევლის სახარება დამოწმებული იქნა „ღვთის მიერ ნიშნების, სასწაულების და სხვადასხვა ძალების მეშვეობით... და მისი ნებისაებრ სულიწმიდის განაწილებით“ (ებრ. 2:4).

როცა ღვთის სასუფეველი ისლამის სამყაროში შეიჭრება, მისი ნიშნები იქნება ღვთის სიყვარული და ძალა, რაც ცოდვების მიტევებაში, ადამიანთა განკურნებაში, ბოროტ სულთა განდევნაში და სხვა ნიშნებსა და სასწაულებში გამომჟღავნდება. ესაა სრულიად განსხვავებული ძალა – ადამიანის მოთხოვნილებათა სამსახურის ძალა. ამ მხრივ ის უპირისპირდება ისლამს, რომელიც მოკლებულია ამგვარ ძალას და ღვთისაგან დამოწმებას.

ისლამის ძალა – ესაა იძულება, შიში, დევნა, ეკონომიკური დისკრიმინაცია, საინფორმაციო საშუალებების კონტროლი, ვიზაზე უარის თქმა, მისი ტერიტორიიდან ქრისტიანების განდევნის მცდელობა და ყველა ახალი მიმდინარეობის შეეიწროვება მუსლიმურ სამყაროში. სულიერი ბრძოლა მიმდინარეობს ქრისტეს, სამყაროს ჭეშმარიტ სულიერ მეუფეს, და სატანის ლაშქარს შორის, რომლის მეომრებიც ერთ დროს დაცემული ანგელოზები იყვნენ, ახლა კი ბოროტ სულებად იქცნენ.

სწორედ ეს ძალები, რომლებიც მანიპულირებენ ყველა რელიგიითა და იდეოლოგიით, ისლამის ჩათვლით, ესწრაფვიან ღვთაებრივი ჩანაფიქრის ჩაშლას, რომელიც ითვალისწინებს კაცობრიობის გადარჩენას ქრისტეს მეშვეობით.

ბიბლიის თანახმად, სატანამ იცის, რომ დიდი დღე არ უწერია: „ვაი, მიწასა და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით, რადგან იცის, რომ დრო მცირეა დარჩა“ (გამოცხ. 12:12). თუმცა სატანა გრძნობს, რომ მისი დამარცხება გარდაუვალია, ცდილობს, თავისი ბოღმა ქრისტეზე და მის მიმდევრებზე გადმოანთხიოს. ის ქრისტეს წინააღმდეგ მიმართულ იარაღად იყენებს მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფ ხალხებსა და იდეოლოგიებს. ისლამის შეურიგებელი ანტიქრისტიანული ბუნების გამო, მისგან გაჟღენთილ წინააღმდეგობას უნდა ველოდეთ, მით უმეტეს, რომ სახარება წარმატებით იკიდებს ფეხს სატანის სამფლობელოში.

რა ხდება, როცა გსურს, რომ რაც შეიძლება მეტი მუსლიმი მოიპოვო უფლისათვის? ეზადა ხარ ახალი გზების მოსასინჯად? თუკი პავლეს შეეძლო ეთქვა: „იუდეველთათვის ვიყავი იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა“, ჩვენც ხომ შეგვიძლია ვთქვათ: „პენჯაბელ მუსლიმთათვის ვიყავი, როგორც პენჯაბელი მუსლიმი (კულტურული და არა თეოლოგიური თვალსაზრისით), რათა ისინი შემეძინა?“ ჩემი აზრით, არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა – დამაკმაყოფილებელი პასუხი ამ კითხვაზე. თუმცა ამასთან აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა თავიდან

ავიცილოთ სინკრეტიზმი, ანუ, ერთ მხრივ, შემწყნარებლურად უნდა მოვეკიდოთ მუსლიმურ ფორმებს, ხოლო, მეორე მხრივ, შევინარჩუნოთ ერთიანობა არამუსლიმური გარემოდან გამოსულ ქრისტიანებთან. ეს არც თუ ისე იოლი ამოცანაა. აქამდე ძალიან ცოტა აღამიანი თუ ახერხებდა ამის გაკეთებას. წიგნის ბოლო ნაწილში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ჩვენს ექსპერიმენტებს ამ მიმართულებით და ახალ მოსაზრებებს.

დასკვნა

რადგანაც ამ ჩანაფიქრის პრაქტიკულ რეალიზაციაზე შემდეგ გვექნება საუბარი, მე მსურს ეს თავი დავამთავრო იმ ფრაგმენტიდან ამოღებული სიტყვებით, რომელიც დასაწყისში გამოვყავით საანალიზოდ: „ყველასაგან თავისუფალი ყველას დავემონე, რათა უფრო მეტი შემეძინა... ყოველივე ამას ვაკეთებ სახარებისათვის, რათა მეც გავხდე მისი თანამონაწილე“ (1 კორ. 9:19,23).

თავი XXI

პრაქტიკული მხარე

„იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა
ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის“
(იოანე, 15:13).

არსებობს გარკვეული უნივერსალური თვისებები, რომელიც თავს იჩენს განსხვავებული კულტურის ადამიანებთან კონტაქტის დროს.

უარყოფითი დამოკიდებულების დაძლევა

ხანგრძლივი მტრობა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ქრისტიანს მუსლიმთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამჟღავნებისაკენ უბიძგებს. მახსენდება ორი დაუვიწყარი შემთხვევა, ერთს ეგვიპტეში ჰქონდა ადგილი, მეორეს კი — ინდოეთში.

ეგვიპტეში სწორედ იმ პერიოდში აღმოვჩნდით, როცა მექაში მომლოცველთა ხოცვა-ჟლეტა მოხდა, რაც ირანელთა მიერ იყო პროვოცირებული. ეს ამბავი ჩემმა ნაცნობმა ეგვიპტელმა შემატყობინა. აი, რა მითხრა მან: „მექაში არეულობაა. საუდელმა ჯარისკაცებმა რამდენიმე ასეული ირანელი და სხვა მლოცველი მოკლეს. მადლობა ღმერთს! კარგი იქნებოდა, ათასები ამოეჟლიტათ. ჩვენ გვძულს მუსლიმები“.

მეორე ამბავი კი აღმოსავლეთ ინდოეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში მოხდა. მე ვკითხულობდი ლექციას მუსლიმთა მიმართ კეთილი დამოკიდებულების გამომჟღავნების შესახებ. უცებ ერთი ახალგაზრდა კაცი ხმამაღლა აქვითინდა და იატაკზე დაემხო. მე მიეუახლოვდი მას და ვკითხე, თუ რა მოუვიდა. ის კი გამუდმებით იმეორებდა: „მაპატიებს ღმერთი? მე ვკითხე: „ძმაო, რა ჩაიდინე ასეთი?“ აი, რა მიამბო მან:

„მე ახლახან გადავედი ახალ ბინაში. როცა შევსახლდით, ჩემთან მოვიდა მეზობელი იმავე სართულიდან და მითხრა:“ მე შევიტყვე, რომ თქვენი ოჯახი აქ გადმოვიდა საცხოვრებლად და ისიც ვიცი, რომ ქრისტიანები ხართ. ძალიან გაგვიხარდა. ჩვენ მუსლიმები ვართ და ყოველთვის გვინდოდა ქრისტიანი მეგობრები გვყოლოდა. შეიძლება თქვენთან ვიმეგობროთ?“ მე ვუპასუხე: „არავითარ შემთხვევაში, ჩვენ არ ვმეგობრობთ მუსლიმებთან!“ და კარი ცხვირწინ მიეუკეტე“.

მან სლუკუნით მკითხა: „მაპატიებს ღმერთი?“ როცა ვუთხარი, რომ უფალი შეუნდობს, მან ლოცვა დაიწყო. შემდეგ მივმართე: „თქვენ ახლა უნდა წახვიდეთ სახლში, მოძებნოთ ის კაცი, პატიება სთხოოთ და მეგობრობა შესთავაზოთ. შემდეგ კი დაბრუნდით ისევ ჩვენს საკრებულოში“.

მეორე დღეს ის კაცი სიხარულით გაცისკროვნებული დაბრუნდა. მან შეასრულა ჩემი რჩევა და სრულიად განთავისუფლდა სიძულვილისა და ცრურწმენისაგან.

სიყვარული იესოს მოძღვრებისადმი ერთგულების დადასტურებაა

სიყვარული მოწმობს, რომ ჩვენ ქრისტეს მოწაფეები ვართ. იესო ამ გრძნობას „ახალ მცნებას“ ეძახის (იოანე, 13:34-35). უნდა გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი (მათე, 22:39). უნდა გვიყვარდეს მუსლიმებიც, უფალს ხომ ყველა უყვარს (იოანე, 3:16). მაშინაც კი, როცა ისინი მტრებად გვევლინებიან, სიყვარული უნდა გამოვამჟღავნოთ მათ მიმართ. იესოს მოძღვრება მართლაც რადიკალურია: „თქვენ, ვინც მისმენთ, გეტყვით: გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს. აკურთხებდეთ თქვენს მაწყევრებს და ლოცულობდეთ თქვენსავე შეურაცხმყოფელთათვის“ (ლუკა, 6:27-28).

რამდენიმე წლის წინ ვესაუბრე მალაიელ ქალებს და კაცებს, ყოფილ მუსლიმებს, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს. ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ თითოეული მათგანი ქრისტეს რჯულზე მოექცა მეგობრის ან მეზობლის გავლენით, რომლებმაც თავიანთი სიყვარულითა და კეთილგანწყობით მოიყვანეს ისინი უფალთან.

პავლე მოციქული მოყვასის მიმართ დამოკიდებულების თაობაზე წერს: „რომლის (ეკლესიის) მსახურიც მე გავხდი ღვთის სიტყვისა, საიდუმლოსი, რომელიც დაფარული იყო საუკუნეებისა და თაობებისაგან, და ახლა გაემ-

ხილათ მის წმიდებს, რომელთათვისაც ღმერთმა ინება ეცნობებინა, თუ რა არის სიმდიდრე ამ საიდუმლოს დიდებისა წარმართებს შორის, რაც არის ქრისტე თქვენში, დიდების იმედი, რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ, რათა შეგაგონოთ ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი წარვადგინოთ სრულქმნილად ქრისტე იესოში" (კოლ. 1:25-28).

ყოველი მუსლიმი სრულქმნილია ქრისტე იესოში?

რა მშვენიერი მიზანია – იხილო ყოველი მუსლიმი სრულქმნილად ქრისტე იესოში! მე მჯერა, რომ თითეული მორწმუნის დამოკიდებულება მეორე ადამიანთან უნდა გამოიხატოს ამ უკანასკნელის ქრისტე იესოში სრულქმნის სურვილით. ნებისმიერი სხვა დამოკიდებულება არასაკადრისია მისიონერისათვის და საპასუხო გულგრილობას იწვევს მუსლიმთა მხრიდანაც, რომლებიც ვერასოდეს მომწიფდებიან სულიერი სამკალისათვის.

მუსლიმთა სიკეთის გახსენება

მადლიერების გრძნობა ახალ ძალას მატებს ადამიანს ნებისმიერი საქმიანობის დროს, მუსლიმთა შორის მისიონერული მოღვაწეობისას კი ეს ორმხრივად მნიშვნელოვანია, სხვანაირად შეუძლებელია დაბრკოლებათა დაძლევა. მიუხედავად იმ სამწუხარო გამოცდილებისა, რომელიც მათთან ურთიერთობამ შესძინა ქრისტიანებს, ისინი, ისევე როგორც ჩვენ, ღვთის ხატად და მსგავსად არიან შექმნილნი. პავლე მოციქულს კარგად ესმოდა ეს, როდესაც წერდა:

„ამრიგად, უწინარეს ყოვლისა, შეგაგონებთ ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლიერებანი ყველა ადამიანისათვის, მეფეებისა და ყველა მბრძანებლისათვის, რათა მშვიდად და წყნარად ეიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობით და პატიოსნებით, ვინაიდან ეს კეთილი და სათნოა ჩვენი მაცხოვარი ღვთისათვის, რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას" (1 ტიმ. 2:1-4).

ასე რომ, თუნდაც ბიბლიური პრინციპების თანახმად, ვალდებულნი ვართ, „ვყოთ მადლიერებანი" ყველა მუსლიმისათვის.

ჩვენ კი, ვისაც მათ შორის გვიცხოვრია, უამრავი შემთხვევა გვახსოვს, როცა მათი სტუმართმოყვარეობითა და დახმარებით გვისარგებლია.

მუსლიმთა ჩარევამ ორჯერ სიკვდილს გადამარჩინა. ქაშმირის გამო გაჩაღებულ ინდო-პაკისტანის მეორე ომის დროს ჩვენ პაკისტანის ერთ-ერთ ქალაქში ვცხოვრობდით, როცა მეზობელ სოფლებში ვიღაცამ გაავრცელა ჭორი, რომ თითქოს სიგნალს ვაძლევდით ინდოელთა თვითმფრინავებს. მუსლიმთა გამძვინვარებულმა ბრბომ ჩვენი სახლების გადაწვა და ჩვენი მოკვლა მოინდომა. მაგრამ ქალაქის შესასვლელში ისინი შეაჩერეს ადგილობრივმა მუსლიმმა ვაჭრებმა და უთხრეს: „ამ ადამიანებს არ შეეძლოთ იმის გაკეთება, რასაც აბრალებთ. ისინი ამგვარ საქციელს არ ჩაიდენდნენ. ჯერ ჩვენი დახოცვა მოგიწევთ“. მათ ჩაუხერგეს გზა და აიძულეს ბრბო დაშლილიყო.

მეორედ ამგვარი რამ ისრაელს, ეგვიპტესა და სირიას შორის გაჩაღებული ომის დროს მოხდა. პალესტინელებმა და პაკისტანელებმა ლაქორის ქუჩებში ისრაელისა და ამერიკის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია მოაწყვეს. ისინი აჩერებდნენ მანქანებს და ეძებდნენ ამერიკელებს. ჩემი მანქანაც გააჩერეს. როცა აღმოაჩინეს, რომ ამერიკელი ვიყავი, მანქანის გადაყირავება და დაწვა მოინდომეს. მაღალი იორდანელი, რომელმაც ფანჯარაში შემოიხედა და დაინახა, თუ რა განწირულ მდგომარეობაში ვიყავი, ხალხისკენ მიბრუნდა და დაიყვირა: „ეს კაცი ამერიკელი არ არის. ის ფრანგია. გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს საფრანგეთს!“ – და ბრბო გაფანტა.

მუსლიმების მხრიდან ჩემს მიმართ სიკეთის გამოვლინების სხვა შემთხვევებიდან ყველაზე მეტად დასავლეთ აფრიკაში, მალინკას ტომის სოფლის განაპირას მომხდარი ამბავი დამამახსოვრდა. ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვმგზავრობდით და საღამო ხანს ერთ-ერთი სოფლის განაპირა მინდორზე შევჩერდით. ამოვიღეთ საგზალი და ვახშმობა დავაპირეთ, წინ მთელი ღამის გზა გვედო. ამ დროს შორიახლო ჩაგვიარა თავზე ტვირთშემოდებულმა აფრიკელმა ქალბატონმა. მან შეგვათვალიერა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა და ტვირთი მიწაზე დაუშვა; რაღაც ამოიღო თავისი ფუთიდან და განიერი ტანსაცმლის სახელოში დამალა. ის მიუახლოვდა ჩვენი სამკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელს და გაიმართა საუბარი მალინკას ტომის ენაზე. მას შემდეგ, რაც ისინი თითქმის ათჯერ მიესალმნენ ერთმანეთს, ქალმა სახელოდან გამოიღო მანიოკას უზარმაზარი ბოლქვი და ჩვენს ხელმძღვანელს მიაწოდა. ხანგრძლივი დამშვიდობების შემდეგ, ქალი ფუთასთან მიბრუნდა, შეკრა ის და თავისი გზა გააგრძელა.

ჩემს თანამგზავრს ვკითხე: „ძმაო, რაზე საუბრობდით? შენ, როგორც ჩანს, იცნობ ამ ქალს“. „არა — მიპასუხა მან — ამ მხარეში პირველადა ვარ“. მაშინ ასეთი ვარაუდი გამოვთქვი: „ის ალბათ ქრისტიანია, მიხვდა, რომ ჩვენც ქრისტიანები ვართ და შეეცადა კეთილგანწყობა გამოემჟღავნებინა ჩვენს მიმართ“. „არა, ეს ქალი მუსლიმი იყო“, — მიპასუხა მან. „მაშინ, რითი უნდა აეხსნათ მისი საქციელი?“ — შეკითხე მე. ჩემმა მეგობარმა მიპასუხა: „დონ, მათ წესი აქვთ ასეთი, თუ მოსალამოვებულზე სოფლის განაპირას უცხოს დაინახავენ, აუცილებლად თავისთან უნდა მიიპატიჟონ, ავახშმონ და მოასვენონ. ეს ქალბატონი ასეც მოიქცა. მან თავისი სახლი შემოგვთავაზა ღამის გასათევად“. მე ვკითხე: „მისი სახელი თუ დაიმახსოვრე?“ მან მომიგო: „ამ ქალის სახელია საადი კამარა“. მაშინ ვთქვი: „მე ყველგან ვუამბობ ქრისტიანებს საადი კამარას შესახებ, რადგან იესოც ასე მოიქცეოდა. ეს ქალი ხომ ჩვენი დროის „კეთილი სამარიელია“. იესო რომ დღეს აქ ყოფილიყო, ყველას უამბობდა „კეთილ მუსლიმ ქალზე“, მის მაგივრად მე გავაკეთებ ამას“.

კიდევ მახსენდება ერთი ისტორია, რომელიც კალიფორნიის ქალაქ ბელ-ერში შემემთხვა. ერთი ლექციის შემდეგ, რომლის თემაც იყო — „გიყვარდეთ თქვენი მუსლიმი მეზობლები“ — ჩემთან აღელვებული ქალი მოვიდა და მითხრა:“ მე მგონი, ჩემს გვერდით მუსლიმები ცხოვრობენ“. „როგორ მიხვდით?“ — ვკითხე მე. „მათ მუქი კანი აქვთ, ლაპარაკობენ რაღაც გაუგებარ ენაზე, ქალი კი პირშებურული დაჰყავთ“, — მიპასუხა მან. „დიახ, თქვენი მეზობლები მუსლიმები არიან. დიდი ხანია, თქვენს გვერდით ცხოვრობენ?“ „ექვსი თვე“. „და როგორ მოგწონთ ეს ფაქტი?“ „საშინლად მეშინია მათი“. „გინდათ რჩევას მოგცემთ, როცა სახლში დაბრუნდებით, იყიდეთ ან გამოაცხეთ ტორტი, წაუღეთ თქვენს მუსლიმ მეზობლებს და უთხარით: მე მეზობლად ვცხოვრობ, მაპატიეთ, რომ აქამდე ვერ მოვახერხე თქვენს გასაცნობად მოსვლა. ეს კი პატარა საჩუქარია, იმედი მაქვს, დავმეგობრდებით“.

მეორე კვირას ეს ქალი უკვე მელოდებოდა, როცა საეკლესიო სკოლაში მივედი. „ყველაფერი მშვენივრად გამოვიდა მითხრა მან — სახლში შემიპატიჟეს. სიმპათიური ახალგაზრდა კაცი ინგლისურად ლაპარაკობდა, მან გამაცნო დედამისი და მთელი ოჯახი. ქალი სახლში ჩადრის გარეშე დადის. ჩვენ უკვე დავმეგობრდით“. ასე ცოტა რამ დასჭირდა ამ ქალს, რომ კეთილი ურთიერთობა დაემყარებინა თავის უახლოეს მეზობლებთან.

ღვთის ხატება მუსლიმებში

ბევრ ჩვენგანს ალბათ შანსიც არ მიუცია მუსლიმებისათვის, გამოეცნინათ თავიანთი სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა და სიკეთე. ღვთის ხატება კვლავ ცოცხლობს მათ გულებში, თუმცა ცოდვისაგან დამახინჯებულია, ისევე როგორც ყველა ჩვენგანში. ისინი წარმოადგენენ ზეციური მამისაგან განდგომის მაგალითს, რომელსაც არც კი იცნობენ.

ჩვენი ვალია, გვიყვარდეს მუსლიმი მეზობლები, ვიზრუნოთ მათზე და საშუალება მივცეთ, დაგვეხმარონ. იესოს ეს მშვენივრად გამოსდიოდა. გახსოვთ, როგორ დაიწყო მან საუბარი სამარიელ ქალთან? „წყალი დამალევინე", – სთხოვა ქალს. თუ გვინდა, რომ კეთილად მოგვექცნენ, ამისათვის ჯერ უნდა დავუახლოვდეთ მუსლიმებს.

ასე რომ, ჩვენს მადლიერებას მუსლიმთა მიმართ ორი მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ ბიბლია გვასწავლის ამას და მეორე, იმ სიკეთის გამო, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენს მიმართ.

იესოს მაგალითი

სიყვარული და მადლიერება თქვენ განსხვავებული კულტურის სამყაროში შეგიძლებიან. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლევა იესო. წერილი გვასწავლის, რომ იესო ცხოვრობდა დიდებაში, რომელიც მამა ღმერთმა მიუბოძა, რადგან შეიყვარა იგი სამყაროს გაჩენამდე (იოანე, 17:24). მაგრამ მან დაიმცირა, „წარმოიცარიელა" თავი და ადამიანად მოგვევლინა დროისა და სივრცის გარკვეულ მონაკვეთში (ფილიპ. 2:6-7). კერძოდ, ის გაჩნდა პალესტინელ იუდეველად და ამით თავი გააიგივა იმ ადამიანებთან, რომელთა დასახსნელადაც გასწირა საკუთარი სიცოცხლე.

პავლე -- ეს იყო ადამიანი ყველასათვის. ჩვენ ვიცით, რომ იგი მზად იყო ყველასათვის ყველაფერი გამხდარიყო, ზოგიერთების შესაძენად (I კორ. 9:22). მიგვაჩნია, რომ მუსლიმთა შესაძენად ჩვენც შეგვეძლო გავმხდარიყავით მუსლიმები (სოციოკულტურული და არა თეოლოგიური თვალსაზრისით).

ხორცშესხმული მახარებელი

თავის წიგნში „სახარება და ისლამი" ბაშირ აბდოლ მასიჰი პავლესა და იესოს ერთი საერთო ზედწოდებით იხსენიებს: „ხორცშესხმული მახა-

რებელი“ (Massih, The Gospel and Islam) და საკმაოდ საინტერესო განმარტებას იძლევა: „ჩორცშესხმული მახარებელი ისაა, ვისშიც ისე ღრმადაა გამჯდარი სიყვარული, რომ ნებისმიერი საშუალებით ცდილობს, მსმენელთან გააიგივოს თავი და ამიტომ შეუძლია იქადაგოს სახარება იმ რელიგიურ-კულტურული ფორმით, რომელიც ღრმა აზრს იძენს მსმენელისათვის“ (Massih, 1979:87).

ძალიან ხშირად მისიონერები გვერდს უვლიან სოციოკულტურულ მენტალიტეტს. ისინი ცდებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ საჭიროა მხოლოდ სახარების გადაცემა მსმენელისათვის გასაგებ ენაზე. ამ დროს ქრისტიანი უნებლიედ ქადაგებს თავის კულტურას, როგორც სახარების ნაწილს. ესაა სწორედ სახარების გავრცელების ხელისშემშლელი პირობა, განსაკუთრებით ორი კულტურის ენერგიული შეჯახების ვითარებაში: მუსლიმურის, რომლის „შეძენაც“ გვსურს და ქრისტიანულის, რომელიც მის „შეძენას“ ცდილობს. მსმენელი ხშირად ინფორმაციას უარყოფს არა მისი შინაარსის, არამედ მისთვის მიუღებელი აგრესიული ფორმის გამო.

ღმერთი და კულტურა

მუსლიმთა შორის ცხოვრებისას უნდა გვახსოვდეს კულტურასთან დაკავშირებული ორი ძირითადი ფაქტორი: პირველი, ყველა კულტურა დაბადების წიგნში მოცემული „კულტურული მანდატის“ მიხედვითაა შექმნილი ადამიანის მიერ (1:26-28). ღმერთმა გვიბოძა სამყაროზე ბატონობის უნარი და შესაძლებლობა, მოგვცა მის მიერ შექმნილი ქვეყნის სამეურნეო მართვის უფლება. ამან გამოიწვია კულტურის განვითარება.

მეორე, ედემის ბაღში მომხდარი ცოდვათდაცემის შემდეგ, კულტურა, ბუნებრივია, ამ დაცემას ასახავდა.

მესამე, როდესაც უფალმა ბაბილონის გოდლის აგების მცდელობის გამო (დაბ. 11:1-10) დასაჯა ადამიანთა მოდგმა, რამაც ახალი ენებისა და კულტურების გაჩენა გამოიწვია, ამან, ბუნებრივია, კულტურათშორისი ურთიერთობების პრობლემაც წარმოშვა.

მეოთხე, ღმერთმა, რომელმაც დაგვავალა, რომ ქრისტიანული მოძღვრება მსოფლიოს ყველა ეთნოლინგვისტურ ჯგუფში გაგვევრცელებინა, სახარება იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ ის „ზეკულტურულ ჭეშმარიტებად“ შეიძლება ჩაითვალოს, ე. ი. ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელს შეგვიძლია გავაცნოთ.

რჩება მხოლოდ ერთი არსებითი კითხვა: „დაუდგინა თუ არა ღმერთმა ქრისტიანობას რომელიმე კონკრეტული კულტურული ფორმა?“ აშკარაა, რომ – არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქრისტე გვამცნობდა ამას თავის მოძღვრებაში. მან კი თქვა, რომ ჭეშმარიტი თაყვანისცემა არც მთაზე იქნება და არც იერუსალიმში, არამედ „სულით და ჭეშმარიტებით“. სახარება არაა მიჯაჭვული ებრაული კულტურის ფორმებზე – ტაძარზე და სხვა ატრიბუტებზე. მისი ბუნება იმგვარია, რომ იგი ნებისმიერ კულტურულ გარემოში ჰპოვებს გამოხმაურებას.

აი, რატომ უნდა იტვირთონ მისიონერებმა იმ გაღაწყვეტილების სიმძიმე, თუ რას წარმოადგენს „ზეკულტურული ჭეშმარიტება“ და რა არის სახარების არსი. შემდეგ მათ თავიანთ „კულტურულ ძმებთან“ ერთად უნდა გამოიმუშაონ მასზე გამოხმაურების ის ფორმები, რომლებიც მოცემულ კულტურას შეესატყვისება. მისიონერმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს მომავალი მოღვაწეობისათვის განკუთვნილი რეგიონის კულტურა და განსაზღვროს, თუ რისი გამოყენება შეიძლება იქიდან ქრისტიანული მოძღვრებისათვის. უნდა გაირჩეს, რომელი კულტურული ფორმები დაამახინჯა საბოლოოდ ბოროტმა სულმა და რომელი ფორმების დაშვება შეიძლება ღვთის თაყვანისცემასა და მსახურებაში.

კრაფტი აღნიშნავს, რომ კულტურა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ღვთის, ისე სატანისა და ადამიანის მიერ (Kraft, 1979:113). ცოდვა ყველგანმყოფია და მისი გავლენა კულტურულ ფორმებზეც ვრცელდება. უფალი ცვლის ადამიანს, ეს უკანასკნელი კი გარდაქმნის თავის კულტურას, როდესაც იწყებს სულიწმიდისა და წუთისოფლის სულის ნამოქმედარის გარჩევას.

ისლამმა თავისი ანტიქრისტიანული განწყობით მრავალი კულტურული ფორმა დაამახინჯა საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. მუსლიმთა შორის მოღვაწე მისიონერმა უნდა შეისწავლოს ახლადმოქცეულთა კულტურული ფონი, რათა განსაზღვროს, თუ რომელი კომპონენტების შენარჩუნება ან მოდიფიცირებაა დასაშვები ქრისტიანული მიზნებისათვის.

ენების შესწავლა

რადგან ენა კულტურის აკვანია, ამიტომ მისიონერმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ კულტურა, არამედ ენაც იმ ხალხისა, რომელთა შორის მოღვაწეობასაც აპირებს. რეიბერნის ბრწყინვალე გამოკ-

ელევა ბიბლიის თარგმანების შესახებ გვიჩვენებს, რომ ქრისტიანებმა ბიბლიის თარგმნას მუსლიმი ხალხების ენებზე მხოლოდ 1800 წლიდან მიაქციეს სერიოზული ყურადღება (Reyburn, 1979:363).

თუ გვინდა, რომ მუსლიმ ხალხებს შორის ჩვენ საქმეს წარმატება ჰქონდეს, სერიოზულად უნდა მოვეპყროთ მათი ენის შესწავლას და მასზე ბიბლიის თარგმნას.

რეაგირება ადამიანის ყოველდღიურ პრობლემებზე

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კურნებაზე, ბოროტ სულთა განდევნასა და სხვა „სასწაულებზე და ნიშნებზე" მუსლიმთა სულებისათვის წაძოწყებულ სულიერ ომში. მაგრამ მათ მიმართ სიყვარულის გამომჟღავნების სხვა ხერხიც არსებობს. აქაც იესოა ჩვენი მასწავლებელი:

„მაშინ ეტყვის მეფე თავის მარჯვნივ მდგომთ: „მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი. ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და მიმიღეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომაკითხეთ; საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ"; მაშინ მართლები ეტყვიან მას პასუხად: „უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით? როდის გიხილეთ უცხო და მიგიღეთ? ან შიშველი და შეგმოსეთ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ან საპყრობილეში მყოფი და მოგაკითხეთ?" მეფე მიუგებს მათ პასუხად: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ" (მათე, 25:34-40).

მშიერ-მწყურვალი, მშობლიური ადგილებიდან აყრილი, შიშველი, ავადმყოფი და საპყრობილეში გამოკეტილია დღეს მილიონობით მუსლიმი ავღანეთში, ირანში, ერაყში, ქუვეითში, იორდანიაში, ქაშმირში, პაკისტანში, ბანგლადეშში, სომალიში, ერითრეაში, სუდანში, ჩადსა და პალესტინაში — და ეს ნუსხა სრული არაა. მილიონობით ადამიანია სულიერ სიბნელესა და მატერიალურ გაჭირვებაში. როცა მუსლიმურ სამყაროს უყურებ, გეჩვენება, რომ ადამიანის სატანჯველს საზღვარი არა აქვს.

მართალია, ჩვენი საქციელი არასწორად აღიქმება (მუსლიმები ფიქრობენ, რომ ჩვენ ექრთამავთ ახლადმოქცეულებს), მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქრისტემ დაგვავალა მათი სამსახური. განა არსებობს უკეთესი საშუალება ღვთაებრივი სიყვარულის დემონსტრირებისა? არ უნდა დაეუშ-

ვაო, რომ სატანამ, რომელიც წარმართავს მუსლიმთა ცნობიერებას, გული გაგვიციოს ადამიანთა გაჭირვების მიმართ.

მსხვილმასშტაბიანი საქმის აღსრულების დროსაც არ უნდა აეუაროთ გვერდი ადამიანთა ყოველდღიურ პრობლემებს, თქვენი მეზობელი მუსლიმების გაჭირვებას, სულ ერთია, სადაც უნდა ცხოვრობდეთ: სტუმრად მაო ქვეყანაში თუ საკუთარ სამშობლოში, სადაც ისინი არიან თქვენი სტუმრები.

ვინ არის მოყვასი?

კითხვის პასუხად, თუ რა არის საჭირო ღვთის სასუფევლის დასამკვიდრებლად (ეს კითხვა რჯულის მცოდნემ დასვა) — იესომ მოძღვრების გაღმოცემა კი არ დაიწყო, არამედ გაიხსენა სამარიელის ამბავი, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილს დაეხმარა. ვინ აღმოჩნდა ყაჩაღების მიერ გაძარცვულის ჭეშმარიტი მოყვასი? იუდეველმა გვერდი ვერ აუარა იესოს იგავიდან გამომდინარე პასუხს — „მან უპასუხა: „რომელმაც წყალობა უყო მას" (ლუკა, 10:26-36). „ვინაიდან ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ: თუ ერთი მოკვდა ყველასათვის, ყველანი დაიხოცნენ" (2 კორ. 5:14). ქრისტეს ყოვლისმომცველი სიყვარული გვაიძულებს გვიყვარდეს ისინი, ვისი გულისთვისაც მოკვდა თავად.

ჰენრი მარტინის ცხოვრება: ყველასათვის მისაბაძი მაგალითი

ჰენრი მარტინი (1781-1812 წ.წ.) პირველი პროტესტანტი მისიონერია, რომელიც მუსლიმთა შორის იღწვოდა. მან კარგად იცოდა ენები (კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა ურდუს, სპარსულს, არაბულსა და სანსკრიტს). როცა ინდოეთში ჩავიდა, ამ შესანიშნავ ახალგაზრდა კაცს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: „დაფერფლილიყო ღვთის სამსახურში." მართლაც ასე მოხდა. იგი 32 წლისა გარდაიცვალა თურქეთში, როდესაც ინგლისში ბრუნდებოდა.

მისი მოღვაწეობა ხანმოკლე იყო (1806-1812 წ.წ.). მაგრამ მისმა წარმატებამ მუსლიმებთან გამართულ დებატებში, საღვთო წერილის ახალი ენებზე თარგმანებმა (მან სპარსულ, არაბულ და ურდუს ენებზე თარგმნა ახალი აღთქმა), მუსლიმებისათვის ქრისტიანობის არსის განმმარტებელმა ბრწყინვალე ტრაქტატებმა, და რაც მთავარია, მისმა ცხოვრებამ და მსა-

ხურებამ, ღიღი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანამედროვეებზე, როგორც მუსლიმებზე, ისე ქრისტიანებზე.

მარტინს შეეძლო შეცდომებზე სწაელა და მალე იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოფიციალური დებატები მუსლიმ თეოლოგებთან სასურველ შედეგს ვერ იძლევიან. ამიტომ მან შეცვალა თავისი მიდგომა და გამოიმუშავა მუსლიმთა შორის მოღვაწეობისათვის საჭირო შვიდი პრინციპი. ეს პრინციპები ღღესაც აქტუალური და მნიშვნელოვანია. მასალა მოგვყავს ლაილ ვანდერ ვერეის ფასდაუდებელი წიგნიდან: „ქრისტიანული მისია მუსლიმებთან: ქრონიკა" (Lyle Vander Werii, "Christian Mission To Muslims: The Record", 1977:31-36).

გთავაზობთ მარტინის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს:

1. გაუზიარე სხვებს საკუთარი გამოცდილება — დაამოწმე, თუ როგორ მიხვედი ცოდვების მიტევებამდე და ღმერთთან შერიგებამდე იესო ქრისტეს შუამდგომლობის წყალობით.
2. შესძელი შენი მუსლიმი მეგობრის საუკეთესო თვისებების დაფასება და მიაწერე ეს ღვთის მადლს. ასევე შეიძლება მიეუდგეთ მუსლიმური კულტურის იმ ელემენტებს, რომელიც სათნო უჩანს უფალს.
3. შენს თხრობაში ქრისტეს უნდა დაიკავოს ცენტრალური ადგილი, როდესაც საუბრობ ღვთის მადლზე, იმაზე, თუ როგორ გვეცხადება იგი ქრისტეს წყალობით და როგორ ვრცელდება სულიწმიდის მეოხებით.
4. დაინტერესე შენი მუსლიმი მეგობარი საღვთო წერილის შესწავლით, რათა მან თავად შესძლოს ახალ ჭეშმარიტებათა აღმოჩენა.
5. დეხმარე შენს მუსლიმ მეგობარს გადაწყვეტილების მიღების კრიტიკულ მომენტში.
6. დეხმარე ადამიანებს ყოველდღიურ პრობლემათა გადაწყვეტაში და ამით შექმენი კეთილგანწყობილი ატმოსფერო შენს ირგვლივ მყოფთა საზოგადოებაში.
7. გწამდეს სულიწმიდის მოქმედება შენს მუსლიმ მეგობარში, როდესაც იგი, უკვე გაქრისტიანებული, თავისი ადგილის ძებნას დაიწყებს მუსლიმურ კონტექსტში.

ნაწილი 5
სხვადასხვა მუსლიმური ჯგუფებისადმი დამოკიდებულება

შესავალი

ზემოთ ეცადეთ გამოგვეჩატა ჩვენი დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენებისადმი. ვისაუბრეთ იესოს მიერ ფიზიკური ძალისაგან განსხვავებული სულიერი ძალის გამოყენებაზე. ვიმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რა კავშირია ღვთის სასუფეველსა და მიწიერ კულტურებს შორის. პავლე მოციქულის წყალობით, ჩვენთვის ძირითადად ნათელია, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ მუსლიმურ კულტურას. ეწერდით აგრეთვე სულიერი ომის ბუნებაზე. ბოლოს კი განიხილეთ ისეთი ყოფითი პრობლემა, როგორიცაა მუსლიმ მეგობრებთან და მეზობლებთან დამოკიდებულების საკითხი, მოიყვანეთ ჰენრი მარტინის ცხოვრების მაგალითი.

ახლა კი გადავდივართ ახალი პრობლემის განხილვაზე: როგორ უნდა მოვეპყროთ განსხვავებული რელიგიური მიმართულების მუსლიმებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი ძალაში რჩება, დამატებით კი თავს იჩენს განსხვავებული მიდგომის საკითხი.

სახელდობრ რომელი მუსლიმების შეძენა გსურთ? რა ასხვავებს მათ დანარჩენი მუსლიმებისაგან? ახდენს თუ არა ეს სხვაობა გავლენას თქვენს დამოკიდებულებაზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მათი კულტურის, მსოფლხედვისა და რელიგიური სისტემის გაცნობის შემდეგ? ვფიქრობთ, რომ ახდენს. ზოგ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ქრისტიანული შინაარსით შევავსოთ ის, რისიც უკვე სჯერა მუსლიმს და რასაც თაყვანს სცემს.

ზოგჯერ კი მოგვიწევს წინ აღვუდგეთ მის არაქრისტიანულ წარმოდგენებს და ვუჩვენოთ სრულიად ახალი გზა.

წიგნის ამ ნაწილში ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ მუსლიმური რელიგიის სხვადასხვა განშტოებათა მიმდევრებს. შევეცდებით, ვივარაუდოთ, თუ როგორ მიუდგებოდა ამ პრობლემებს იესო, დღეს რომ ჩვენს შორის ყოფილიყო.

როგორ მიუდგებოდა იესო სუნიტებს, შიიტებს, მებრძოლ სეკულარისტებს, ხალხური ისლამის წარმომადგენლებს, სუფიებს, აჰმადიელებს და შეერთებული შტატების შავ მუსლიმებს? შევნიშნავთ, რომ აუცილებელია გვახსოვდეს: ესაა ვარაუდი, რომელიც პირადი გამოცდილებით უნდა შემოწმდეს. ადვილი შესაძლებელია, იესო სხვანაირად მოქცეოდა ამა თუ იმ ისლამური მიმდინარეობის წარმომადგენლებს.

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ მაჰმადიანის დაინტერესებას პირველ რიგში მისი ქრისტიანი მეგობრის ცხოვრების წესი განსაზღვრავს. და მაინც ზოგიერთი მუსლიმის მოქცევა ქრისტეს რჯულზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მისიონერს გამოიყენოს ყველა ხელსაყრელი მომენტი იმის საჩვენებლად, რომ მხოლოდ ქრისტეს შეუძლია მათი იმედების გამართლება.

თავი XXII

იესო და სუნიტები

„სამი დღის შემდეგ იპოვეს ტაძარში მჯდომი მოძღვართა შორის, უსმენდა და ეკითხებოდა მათ, ყველა მის მსმენელს აოცებდა მისი გონება და პასუხი“.

(ლუკა, 2:46-47)

როგორც აღვნიშნეთ, სუნიტები არიან მუსლიმები, რომელთაც მაგალითად დაუსახავთ მუჰამედის საქციელი (სუნა) და აღიარებენ როგორც ყურანს, ისე ჰადისებს. მართლმორწმუნე სუნიტი ცდილობს, შარიათის კანონთა მიხედვით იცხოვროს. მუსლიმის ეს ტიპი ძალიან წააგავს იესოს დროინდელ ორთოდოქს იუდეველს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ იესო ისევე მოეპყრობოდა მათ, როგორც თავის დროზე მოსეს რჯულის მიმდევრებს.

იესოს დამოკიდებულება მოსეს რჯულისადმი

თორმეტი წლის ასაკიდან იესო დაინტერესდა რელიგიით, როგორც მიღებული იყო ეს მაშინ და როგორც ესმოდათ საღვთო წერილის, ძველი აღთქმის შემსწავლელებს. მას აინტერესებდა, აგრეთვე, აღმძვრელი მოტივები და საერთოდ მორწმუნეთა შინაგანი მისწრაფებანი. მსახურების დასაწყისში იესო რჯულის მოქმედებაზე ლაპარაკობდა. თავისი მომავალი მისია მას არსებითად რჯულის შესრულებად ესახებოდა. ამის თაობაზე იგი ამბობდა:

„არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი. ჭეშმა-

რიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და დედამიწა არ გაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება“ (მათე, 5:17-18).

სიყვარულის აუცილებლობა

იესომ კარგად იცოდა, რითი უპირისპირდებოდა ქმედითი სიყვარული და რჯულში ჩადებული პრინციპის გამოყენება მკვდარ რჯულს. იგი ასე განმარტავდა რჯულს:

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“. ეს არის პირველი და დიდი მცნება. და მეორე ამის მსგავსი: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“ (მათე, 22:37-40).

ჭეშმარიტი სიკეთისა და სიწმიდის საზომი არის სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი.

აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ იესო იცავდა რჯულის საღვთო წერილში გადმოცემულ რიტუალურ მხარეს, მაგრამ არ იზღუდავდა თავს მოგვიანებით ადამიანთა მიერ შექმნილი ტრადიციებით.

სუნიზმი იმ სახით, რა სახითაც იგი ჩამოყალიბდა მუჰამედისა და მისი მიმდევრების იდეებზე დაყრდნობით, იუდაიზმის მაქსიმალურად არაბიზირებულ ადაპტაციას წარმოადგენს: შედარებით მცირე დოზითაა მასში მოსეს რჯული, უფრო დიდი მოცულობით კი — გვიანდელი დანაშრევები თალმუდიდან და მიშნადან, ამას დაემატა, აგრეთვე, აღმოსავლელ ქრისტიანებთან და ზოროასტრელებთან კონტაქტის შედეგად აღმოცენებული იდეები.

ისლამი აღმოცენდა, როგორც მუჰამედის ყურანსა და ჰადისებში დაფიქსირებულ გამონათქვამებზე დაფუძნებული რჯული. ისლამის განვითარების იმპულსად იქცა მისწრაფება, რომ სისტემის ყველა ელემენტი, რომელთა ერთადერთი შემოქმედიც მუჰამედი გახლდათ, მკაცრად ჩამოყალიბებული წეს-კანონების სახით გაეფორმებინათ. სუნიზმი ესაა ისლამის განშტოება, რომლის მიმდევრებიც თაყვანს სცემენ სუნას, წინასწარმეტყველის ყურანიდან და სხვა წყაროებიდან აღებულ ქმედებებსა და გამონათქვამებს. ასე რომ, რჯულის მცნება ყველაზე უფრო არსებითია სუნიზმისათვის. სუნიტები იცავენ შარიათის კანონებს და იმ ტრადიციებს, რომელ-

თაც მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა ჩაუყარეს საფუძველი. სახარების შესწავლისას ვნახავთ, თუ როგორ ეპყრობოდა იესო განსხვავებულ ადამიანურ ხასიათებს.

მდიდრები და რჯულისმჩხრეკელები

წერილი გვამცნობს, რომ იესომ შეიყვარა მდიდარი ყმაწვილი, რომელიც მასთან საუკუნო ცხოვრების მისაღებად მივიდა. იგი ადრეული ასაკიდანვე იცავდა რჯულს, მაგრამ შინაგანად დაბრკოლდა, რადგან თავისი ქონება უფრო უყვარდა, ვიდრე უფალი. მისი პრობლემა რჯულის დაცვა კი არ იყო (აკი იცავდა მას), არამედ ის გარემოება, რომ მას უფლის თხოვნითაც კი უჭირდა ქონების დათმობა.

შეუძლებელია ფარისეველთა შეწყალება

იესო არ სწყალობდა ფარისეველებსა და მწიგნობრებს, რადგან მათ რჯულის მძიმე უღელი დაადგეს ხალხს, თავად კი არ სურდათ მისი ტარება. იგი ამხელდა და საყვედურობდა მათ (მათე, 23:4). იესო არც იმათ იწყალებდა, ვისაც რელიგიურ ადამიანად მოჰქონდა თავი, სინამდვილეში კი მტაცებელი იყო (მათე, 7:15).

იესო და მონანიე ცოდვილნი

იმ ადამიანს, ვინც მოინანიებდა, იესო მაშინვე შეუნდობდა ცოდვებს. ცოდვილ ქალს, რომელმაც ცრემლით დაუსველა მას ფეხები, შემდეგ თავისი თმებით შეუმშრალა და ზეთი სცხო, ყველა ცოდვა მიუტევა. მან შეიყვარა იესო და რწმენამ გადაარჩინა იგი. იესომ მშვიდობით განუტევა ეს ქალი (ლუკა, 7:36-50).

როგორ მოექცეოდა იესო სუნიტს? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ამოიკითხავდა მის გულში. ზემოთ მოყვანილ იგავებში მინიშნებულია, რომ იესომ მდიდარ ყმაწვილში ფულისადმი სიყვარული, რჯულისმჩხრეკელებში თვალთმაქცობა და ცოდვილ ქალში მონანიების სურვილი დაინახა. შესაბამისად მოიქცა იგი ცალკეულ სიტუაციაში.

ამოცნობის ნიჭი

მართალია, ჩვენ ვერ შეეღრებით იესოს გულთამხილავობაში, მაგრამ გვწამს, რომ მან ადამიანთა გულებში დაფარულის გამოცნობის ნიჭიც გვიბოძა (1 კორ. 12:10). მოგვენიჭა ადამიანთა გულებში ჩახედვის უნარი და უფალიც ჩვენგან შესატყვის ქმედებას ელოდება.

რჯულით ვერავინ გადარჩება

მოთმინებით უნდა მოვეპყროთ სუნიტებს და ვილოცოთ მათთვის, ვინც შარიათის კანონებს იცავს გადარჩენის იმედად. ისინი მოატყუეს, რომ მუჰამედის სიტყვა საბოლოოა საღვთო წერილში და გადარჩენა რჯულის დაცვით მიიღება.

ამ ადამიანებს ლიბრი აქვთ გადაკრული თვალებზე და მისი ჩამოცილება მხოლოდ ლოცვით და მათთვის სწორი გზის დაულალავი მითითებით შეიძლება. პირველ რიგში მათ რჯულის ჭეშმარიტი დანიშნულება უნდა დავანახოთ: მისი ასო კლავს (2 კორ. 3:6). პავლე მოციქული რომაელთა მიმართ წერილში ამბობს:

„ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რასაც რჯული ამბობს, რჯულის ქვეშ მყოფთათვის ამბობს, რათა დაიხშოს ყოველი ბაგე და მთელი წუთისოფელი ბრალდებული გახდეს ღვთის წინაშე. იმიტომ, რომ რჯულის საქმეებით ვერავითარი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე. ვინაიდან რჯულით შეიცნობა ცოდვა“ (რომ. 3:19-20).

ისლამის თანახმად, ადამიანი გადარჩენას დამსახურების მიხედვით მიიღებს, ანუ ვისი კეთილი საქმეებიც მისსავე ცუდ საქციელს გადასწონიან, ის სამოთხეში მოხვდება. არც მუჰამედს და არც მის მიმდევრებს არ ესმოდათ, რომ ღვთის თვალში „ცოდვის საზღაური სიკვდილია“ (რომ. 6:23) და რომ „ვინც მთელ რჯულს იცავს და ერთში შესცოდავს, იგი ყველაფერში დამნაშავე ხდება“ (იაკ. 2:10). აუცილებელია, განვუმარტოთ სუნიტს ეს საღვთო წერილზე დაყრდნობით.

ყურანის მოძღვრება მუჰამედის უცოდველობის თაობაზე

სუნიტი მუსლიმი ალბათ მუჰამედისა და ქრისტეს შედარებას მოინდომებს. მიუხედავად საერთო ტენდენციისა, რომლის თანახმადაც მუჰამედი უცოდველად და ღვთაებრივ არსებადაც კი ითვლება, ყურანი მთელ რიგ

პასაჟებში მიუთითებს, რომ ალაჰის წინასწარმეტყველიც ცოდვის შვილია:

16:63(61): „ალაჰი რომ ცოდვისათვის სჯიდეს ადამიანებს, მასზე (დედამიწაზე) ერთი ცოცხალი არსებაც კი არ დარჩებოდა“ (მუჰამედის ჩათვლით);

40:57(55): „ითხოვე ცოდვათა მიტევება“ (ყველას ეხება).

42:3(5): „ანგელოზები ადიდებენ უფალს და სთხოვენ, მიუტევოს მათ, ვინც დედამიწაზეა“ (მათ შორის მუჰამედსაც).

42:29(30): „როცა რაიმე უბედურება გეწვევათ, თქვენს უკეთურ საქციელს დააბრალეთ, თუმცა იგი (ალაჰი) ბევრ რამეს გპატიებთ“ (მუჰამედსაც მრავალი უბედურება დაატყდა თავს).

47:21(19): „ითხოვე პატიება შენი ცოდვებისათვის, სხვა ცოდვილებისთვისაც ილოცე – ქალებისა და კაცებისათვის“ (ეს სიტყვები მუჰამედს მიემართება).

48:1,2: „ჭეშმარიტად ჩვენ გაგამარჯვებინეთ, რათა ღმერთს შეენდო შენთვის უწინდელი ცოდვები“ (ეხება მუჰამედსაც).

ქრისტიან მკითხველს ეს შეიძლება მოსაწყენადაც მოეჩვენოს, მაგრამ საჭიროა, რომ გაეუფანტოთ მუსლიმებს არასწორი შეხედულებანი თავიანთ წინასწარმეტყველზე. ყურანის ციტირებისას ჩვენ არ მივიჩნევთ მას ღვთიეშთაგონებულ წიგნად, მაგრამ ის მუსლიმები, რომლებსაც ასეთად წარმოუდგენიათ იგი, არ უნდა დარჩნენ მუჰამედზე გაზვიადებული წარმოდგენების ტყვეობაში. მუჰამედმა გამოაცხადა, რომ იესო მხოლოდ და მხოლოდ მონაა (ყურანი, 43:59). იგი ყოველნაირად ცდილობდა იესოს დამცირებას, რათა თავად, როგორც „წინასწარმეტყველთა ბეჭედს“, ქრისტეს ადგილი დაეკავებინა ადამიანთა გულებში.

იესო – გადარჩენის ერთადერთი იმედი

იესო მოთმინებით აუხსნიდა სუნიტებს, რომ მუჰამედის სისტემა გადარჩენის იმედს არ იძლევა. მან იცოდა, რომ რჯული (ნებისმიერი, მოსეს რჯული თუ შარიათი) ვერ გადაარჩენს ადამიანს, მას მხოლოდ სიკვდილისაკენ მიჰყავდა ყველა. იესოს ისიც ესმოდა, რომ მას, ღვთის უცოდველ ძეს, კრავს, ცოცხალ მსხვერპლს, თავისი სიცოცხლით უნდა გადაეხადა კაცობრიობის ცოდვების საფასური. გადარჩენის გასაღები მის ხელთ იყო, იგი ჯვარზე უნდა გაეკრათ, როგორც ცოდვების გამოსასყიდად გაღებული მსხვერპლი. იესო, რომელიც გრძნობდა „რჯულით გადარჩენის“ ამაოებას,

მოსეს რჯული იქნებოდა ეს, თუ შარიათის კანონები, ჯვარცმის მეოხებით მუსლიმებს სამყაროს მხსნელად მოევლინა, რაც რჯულის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა.

ჩვენ, ქრისტეს მიერ წარგზავნილნი, მოწოდებულნი ვართ, ავუხსნათ მუსლიმებს, ცოდვათაგან ღვთაებრივი გამოსყიდვის აუცილებლობა.

ჩვენ შეგვიძლია, მივუთითოთ ჩვენს მუსლიმ მეგობრებს ყურანზეც, სადაც ერთგვარი მინიშნებაა ღვთაებრივი გამოსყიდვის იდეაზე: „და გამოვისყიდეთ იგი დიდი მსხვერპლით“ (37:107).

აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია ღვთისათვის დანიშნულ იმ მსხვერპლზე, რომელიც აბრაამის ძის მაგივრად უნდა შეწირულიყო და რომლის მეოხებითაც იქნა გამოსყიდული ეს უკანასკნელი. ამ ანალოგიაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ იესო მსხვერპლია, რომლის სისხლიც საკმარისია მთელი კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად.

იესო თუ მუჰამედი

ყველაფერ ამას იესოსა და მუჰამედს შორის არჩევანის გაკეთებამდე მივყავართ. რადგან ისინი დიამეტრულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რჯულის, მოწყალების, გადარჩენის გაგების თვალსაზრისით; რადგან იესო არის ძე ღვთისა, ჯვარცმული, მკვდრეთით აღმდგარი და დიდების ტახტზე მამის გვერდით მჯდომი, იბადება კითხვა: „რას ფიქრობთ მუჰამედზე?“

მკითხველს ვურჩევთ, გადახედოს დამატება C-ს, სადაც ჩამოთვლილია ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დამახასიათებელი ნიშნები. იესო აფრთხილებდა თავის მოწაფეებს ცრუწინასწარმეტყველთა გამოჩენის შესახებ, რომლებიც მოვლენ ცხვრის ტყავში, მაგრამ შინაგანად მტაცებელი მგლები იქნებიან (მათე, 7:15). იესომ თქვა, რომ მათი ცნობა მათივე საქმეების ნაყოფის მიხედვით შეიძლება. უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი ისლამი ანტიქრისტიანული განწყობილებებით ხასიათდება და აქტიურად ეწინააღმდეგება სახარების გავრცელებას.

სიტყვა გონიერთა მიმართ

არაფერს მოგიტანთ მუსლიმებთან საუბრის დაწყება მუჰამედის ბიბლიური შეფასებით. უკეთესია, ყოველნაირად ეცადოთ, რომ მათი ყურადღება იესოზე გადაიტანოთ. თუ დაინტერესებთ თქვენს მეგობარს საღვთო

წერილის შესწავლით, იგი მალე აღმოაჩენს უზარმაზარ სხვაობას ღვთის ძესა და მუჰამედს შორის.

ამ თავის ბოლოს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს ლოცვას თქვენი მუსლიმი მეგობრის გამო, მოთმინებას, რომელიც აუცილებელია ქრისტესკენ მის შემოსაბრუნებლად, დაუღალავ სიყვარულს და სულიწმიდაზე დანდობის უნარს.

თავი XXIII

იესო და შიიტები

„განა ასე არ უნდა დატანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში? დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მის შესახებ ნათქვამს“

(ლუკა, 24:26-27).

შიიზმი ისლამური რელიგიის განშტოებაა, რომლის აღმსარებელნიც თვლიან, რომ ყურანზე და ჰადისებზე უფრო დიდი აუტორიტეტი რეალურად არსებული იმამია. აქედან გამომდინარე, შიიზმში, სუნიზმისაგან განსხვავებით, არსებობს სამი მთავარი დოგმა.

ღვთაებრივი ნათელი

შიიტები თვლიან, რომ ღვთაებრივი ნათლით იყვნენ შემოსილნი მუჰამედი, მისი სიძე ალი და ალის ძე – ჰუსეინი. მათი აზრით, ამ ღვთაებრივი ნათლით გასხივოსნებულნი არიან მომდევნო იმამებიც, ხოლო დღეს კი – უმაღლესი აიათოლა. ზოგჯერ „ღვთაებრივი ნათელი“ ღვთაებრივ არსთანაა გაიგივებული.

სხვისი ცოდვის შენდობა

შიიზმის მეორე მახასიათებელი გახლავთ ჰუსეინის მოწამეობრივი აღსასრულის კულტი. შიიტებს სჯერათ, რომ ჰუსეინი (მოკლეს გემზე 680 წელს) თავისი ხალხის გულისათვის მოკვდა. ერთი სიტყვით, შიიზმი იც-

ნობს სხვისი ცოდვის შენდობის იდეას. მუსლიმური კალენდრის პირველი თვის (მუჰარამ) პირველი 10 დღე ამ მოწამეობრივ აღსასრულს ეძღვნება, დგამენ რელიგიურ სცენებს, რომლებიც ჰუსეინის ტანჯვასა და სიკვდილს გამოხატავენ. მუჰარამის მე-10 დღეს (ჰუსეინის გარდაცვალების დღეს) აშურას უწოდებენ (შდრ. შენდობის დღე იუდაიზმში).

შიიზმი, როგორც საპროტესტო მოძრაობა

შიიზმის მესამე მახასიათებელი ისაა, რომ იგი ყოველთვის საპროტესტო მოძრაობას წარმოადგენდა ისლამის შიგნით.

შიიტები მონაწილეობას იღებდნენ სოციალური და ეკონომიკური პროტესტის გამოძახებულ მოძრაობებში და ქადაგებდნენ მესიის ანუ მაჰდის მოვლინებას, რომელიც უსამართლობასა და მონობას მართლმსაჯულებითა და სამართლიანობით შეცვლიდა (Keddie, Cole, 1986:4).

ადვილი შესაძლებელია, რომ ეს იდეები ისლამში ქრისტიანული გარემოცვის კარნახით წარმოიშვა. თუმცა ახლა შიიზმის დოგმები ისლამურ ცნობიერებას უკავშირდება, ისევე როგორც ირანის შემთხვევაში ეთნიკურ ცნობიერებასთან იყო დაკავშირებული. შიიზმი თავდაპირველად არაბული მოვლენა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი სპარსელებმაც გაითავისეს და შემდეგ მათ მეზობლად მცხოვრებ ქურთებშიც გავრცელდა.

ქრისტიანულ ფესვებთან დაბრუნება

ჩვენი ამოცანაა, ქრისტეს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნა მივცეთ იმ მუსლიმებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ ისეთი ცნებები, როგორიცაა ღვთის განკაცება, გამოსყიდვა და ტანჯვა. ჩვენ უნდა გავაცნოთ მათ ის წყარო, საიდანაც იღებენ სათაყვეს ზემოთ დასახელებული იდეები.

იმისათვის, რომ შიიტებმა ახლოს გაიცნონ ქრისტე, აუცილებელია ქრისტიანთა არსებობა მათ შორის. მაგრამ ირანი არ აღმოჩნდა სტუმართმოყვარე მასპინძელი ქრისტიანთათვის. ქრისტიან მისიონერებს აღარ უშვებენ ქვეყანაში, სალოცავი სახლი დახურულია, ბიბლიის გავრცელება აიკრძალა, დაიხურა, აგრეთვე, ზოგიერთი ეკლესიაც, ხოლო ორი გაქრისტიანებული მუსლიმი პასტორი მოკლეს.

უკიდურესი წინააღმდეგობანი

მიუხედავად ზოგიერთი შესანიშნავი თვისებისა, რომლებიც ქრისტიანობის მიღების ეროვნულ საფუძველს ქმნიან შიიზმში, ამ მიმდინარეობის ყველაზე უფრო მკვეთრი მახასიათებელი იმამთა გაღმერთებაა, მათი გამოცხადება ღვთაებრივი ნათლის მფლობელებად და ძალაუფლების სასულიერო წოდების ხელში გადაცემა. ამან გამოიწვია შურისძიების კოშმარი, ჩაგვრა, ომი და ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის თავგანწირვა ბრძოლის ველზე. ის საშინელება, რაც ირანს ჰომეინის ისლამურმა რევოლუციამ დაატეხა თავს, ყველა მანამდე გაგონილს აღემატებოდა. სატანამ უხვი მოსავალი მოიმკა ამ შიიტი ხელმძღვანელების ხელით, გაანადგურა ქვეყანა და ხალხი.

ქრისტიანობის გავრცელება ირანში

და მაინც, ისლამური მმართველობის უკანასკნელ პერიოდში საოცარი ცვლილებები მოხდა. ეკლესიაში კვლავ აქტიურად დადიან მორწმუნენი და მთელს ქვეყანაში ქრისტიანობით დაინტერესების ახალი ტალღა შეინიშნება.

ჩვენებები

უპირველეს ყოვლისა, ქრისტემ მთელს ირანში თავად მოუვლინა შიიტებს ჩვენებები საკუთარ თავზე (Kachiki, 1986:1). ვინც ეს ჩვენება იხილა, უზარმაზარი სურვილი გაუჩნდა, მოეძებნა ქრისტიანები და გასაუბრებოდა მათ.

ქრისტიანული წერილით დაინტერესება

მეორე ფაქტორი, რომელიც არ არის დაკავშირებული ჩვენებებთან, მუსლიმთა დიდი დაინტერესებაა ქრისტიანული წერილით. აქ თავს იჩენს ერთი პრობლემა: როგორ შევიტანოთ ირანში ბიბლია საკმარისი რაოდენობით, რომ ეს მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ. გარკვეული დროის მანძილზე ირანში ნებადართული იყო ბიბლიის როგორც შეტანა, ისე მისი ადგილზე ბეჭდვა. ახლა კი ეს აკრძალულია.

მკვდრების გაცოცხლება

ქრისტიანობით დაინტერესებას ხელი შეუწყო აგრეთვე ერთ-ერთი ცნობილი მოხელის მკვდრეთით აღდგომამ, რამაც უართო გამოხმაურება ჰპოვა ქვეყანაში. სახელმწიფოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ოპერაციის გაკეთება იმ დროს, როდესაც ექიმთა საყოველთაო გაფიცვა მიმდინარეობდა (ისინი პროტესტს აცხადებდნენ ჰომეინის მიერ გამოცემული კანონის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ექიმ მამაკაცს არ შეეძლო მდედრობითი სქესის პაციენტისათვის ემკურნალა). გვარდიელებმა დააპატიმრეს ექვსი ქირურგი და სიკვდილის მუქარით აიძულეს ოპერაციის გაკეთება. ოპერაციის დროს პაციენტი გარდაიცვალა. ექიმებმა იცოდნენ, რომ ავადმყოფის სიკვდილი მათ დაბრალდებოდათ და სასჯელს ვერ აიცდენდნენ. სასოწარკვეთილმა ექიმებმა ლოცვით მიმართეს ქრისტეს, რადგან ყურანიდან იცოდნენ, რომ მას შეუძლია მკვდრების გაცოცხლება, თავად კი ცოცხალია და ზეცაში იმყოფება. როგორც შემდეგ ყვებოდნენ, ეს ლოცვა დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო:

„ო, ქრისტე, ჩვენ ვიცით, რომ შენ მკვდრების გაცოცხლება შეგიძლია და ახლა ზეცაში ხარ. ეს კაცი მოკვდა და ჩვენც შეიძლება უკვე მკვდრებად ჩავითვალოთ. გევედრებით, გააცოცხლე იგი და გადაგვარჩინე სიკვდილს. თუ ჩვენს ვედრებას შეისმენ, პირობას ვდებთ, რომ დარჩენილ სიცოცხლეს შენ მოგიძღვნით“ (Kachiki, 1986:2).

იესომ პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე გააცოცხლა გარდაცვლილი. ექიმები კი ქრისტეს რჯულზე მოიქცნენ და ამჟამად ფილადელფიის ეკლესიის წევრები არიან თეირანში. რასაკვირველია, ამ შემთხვევამ ნამდვილი სენსაცია მოახდინა ქალაქში და ბევრი დაინტერესდა ქრისტიანობით. როგორც აღნიშნავენ, ირანში ღღესაც დადიან მორწმუნეები ეკლესიაში და, მუსლიმთა მხრიდან დევნის მიუხედავად, თაყვანს სცემენ უფალს.

სახარების მიღების მიზეზები

ომის საშინელებამ, ახლობელთა დაკარგვამ, ეკონომიკურმა კრახმა, პოლიციის მხეცობამ, ადრე არნახული მასშტაბები რომ მიიღო, მუსლიმთა გარკვეული ნაწილის სახარებისაკენ შემობრუნება გამოიწვია. ქრისტიანთა მცირე ჯგუფის არსებობამ ქვეყანაში და ღვთის სიტყვის გავრცელებამ: ქრისტიანულმა რადიოპროგრამებმა, დაუსწრებელმა კურსებმა და იესო-

საღმი მიძღვნილი კინოფილმების ჩვენებამ – მდიდარი მოსავალი მოიწია დღევანდელ ირანში.

ჩვენ ვოლით, რომ შიიტური რელიგიის თავისებურებები ხელისშემწყობ ფაქტორად იქცა ქრისტეს რჯულისკენ შემობრუნების საქმეში. მოდით, განვიხილოთ, თუ რა კუთხით მიესადაგება შემდეგი დოგმატები სახარებას.

ღვთაებრივი ნათელი ადამიანში – ღვთის განკაცება

შიიტებს სწამთ, რომ „ღვთაებრივი ნათელი" უშუალოდ გადავიდა მუჰამედიდან ალიზე (მის სიძესა და ბიძაშვილზე), შემდეგ ჰუსეინზე (ალის ძეზე), მისი გარდაცვალების მერე კი იმამთა გარკვეულ ჯგუფზე (ბოლო იმამი გაქრა), ხოლო ამათგან სასწაულის ძალით – დღევანდელ უმაღლეს აიათოლაზე. ამ უკანასკნელმა უნდა მართოს რელიგიური ცხოვრება გამქრალი იმამის დაბრუნებამდე, რომელიც იქნება მაჰდი. ამასთან ითვლება, რომ მაჰდისთან ერთად ქრისტეც დაბრუნდება და ისლამი გამეფდება მთელს დედამიწაზე.

იესო, როგორც ღვთაებრივი ნათელი

როგორც გახსოვთ, იესომ თქვა: „მე ნათელი ვარ წუთისოფლისა, ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას" (იოანე, 8:12).

ის, რომ შიიტები აღიარებენ ღვთაებრივი ნათლის არსებობას ადამიანში – აიათოლაში (რომელსაც ზოგიერთები ღვთაებრივად თვლიან), ამზადებს ნიადაგს იმ რწმენისათვის, რომ იესოა ღვთაებრივი ნათლის ხორცშესხმა.

განსაკუთრებით მიმზიდველია მუსლიმებისათვის იესოს სიტყვები იმის თაობაზე, რომ ღვთაებრივი ნათლით შეიმოსებიან მორწმუნენიც. იესო ეუბნება მოწაფეებს: „თქვენ ხართ წუთისოფლის ნათელი" (მათე, 5:14). ეს ნიშნავს, რომ იესო ღვთაებრივი ნათლით სავსე ჭურჭელი იყო, რომელიც ამ სინათლეს უბრალო მორწმუნეთაც უზიარებდა.

ქრისტიანმა წმიდა წერილზე დაყრდნობით უნდა აუხსნას შიიტს, რომ ქრისტეს მოძღვრება ექვსი ასეული წლით უსწრებს წინ ისლამს და ღმერთს სურს მორწმუნეებმა გაიგონ: იესოა ღვთაებრივი ნათელი და ყველა მორწმუნე განათდება მისი შუქით.

იესოს ღვთაებრივ ნათლად აღიარებიდან ერთი ნაბიჯია ღვთის განს-

ხეულების იდეამდე. შემდეგ მათ უნდა აუხსნათ, თუ როგორ და რატომ მოგვეელინა იესო, როგორც ღვთის ძე, უნდა ესაუბროთ მაძა ღმერთზე და აჩვენოთ, რომ იესოში, როგორც ღვთის ერთ-ერთ ჰიპოსტასში, არის ღვთაებრივი სისავსე (კოლ. 2:9 და ებრ.1:3).

წამებული მხსნელი

ჩვენ ის-ის იყო ვნახეთ ჯვარცმის სცენა ფილმიდან „ბენ გურ". მიეუბრუნდი კინოთეატრის მფლობელს, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა. მას ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. მე ვკითხე: „სულეიმან, გჯერა, რომ იესო ჯვარს ეცვა შენი ცოდვებისათვის?" მან ტირილით მიპასუხა: „მთელი სულითა და გულით მწამს ეს." ამგვარი რეაქცია ჰქონდა ასეულობით შიიტს კინოფილმ „იესოს" ნახვის შემდეგ. ეკრანზე ნაჩვენები ისტორია ცნობისწადილს უღვიძებს შიიტებს სახარების მიმართ. მათ ასწლეულების მანძილზე ჩააგონებდნენ, რომ ერწმუნათ სხვისი ცოდვებისათვის წამებული ადამიანის სიკვდილი. ის შთაბეჭდილება, რომელსაც ადრე ქრისტიანული მისტკრიები ახდენდნენ შიიტებზე, კინოხელოვნების წყალობით შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს. ასეც ხდება ხოლმე, თუ კინოთეატრის კარი ღიაა. ერთ-ერთმა ჩემმა ყოფილმა პედაგოგმა დოქტორმა მ. დაუდ რაჰბარმა ასე გამოხატა მოკლედ თავისი დამოკიდებულება ქრისტესადმი: „მე ვერ ვიწამებდი ღმერთს, რომელიც გულგრილი იქნებოდა ადამიანთა ტანჯვის მიმართ". როდესაც ახალი აღთქმა წაიკითხა, მან არად ჩააგდო კარიერისა და სიცოცხლის დაკარგვის საფრთხე, გადაწყვიტა მონათლულიყო და ჩვენი მოწყალე მხსნელის გზას შესდგომოდა.

ჩვენი ამოცანაა არა მარტო იესოს ისტორიის მოთხრობა, არამედ მისი მოძღვრების თანახმად ცხოვრება მუსლიმთა თვალწინ, რათა იწამონ ქრისტე და იცხოვრონ უფლისათვის.

ღვთის სასუფეველის იდეა და სოციალური პროტესტი

იესო ბევრი რამის მიმართ გამოხატავდა პროტესტს თავისი ცხოვრების მანძილზე. მას ესმოდა იმ ადამიანთა გმინვა, ვისაც უსამართლოდ მოექცნენ, ხედავდა ღატაკთა სასოწარკვეთას. იგი აღშფოთებული იყო მდიდართა უგულობით, სახელმწიფო მოღვაწეთა სიცრუით, რელიგიურ ხელმძღვანელთა ფარისეველობით. იესო თავგამოდებით იცავდა უპოვართ, მაგრამ მას თავისი გზა ჰქონდა. იმის მაგივრად, რომ ძალისმიერი ხერხებით და-

ეცვა თავი, ქრისტე ხელახალი შობის აუცილებლობას ქადაგებდა, რაც ადამიანის გულში უნდა დაწყებულიყო. სანამ საზოგადოების კუთვნილება გახდება, ღვთის სასუფევლის ეთიკა ცალკეულმა პიროვნებებმა უნდა გაიზიარონ. გზა კი, რომლითაც ეს ცვლილებები მიიღწევა, აბსოლუტურად ახალია: ესაა ძალადობაზე უარის თქმის გზა. ქრისტეს არაჩვეულებრივ ხვედრში ერთმანეთს ერწყმოდა სიმართლე, ღვთაებრივი ნათელი და წამება. მან შეასრულა თავისი დანიშნულება. ჩვენი ვალია, მივბაძოთ იესოს და გავაცნოთ მისი მოძღვრება შიიტებს. ისინი ელიან, მათ სურთ ძოისმინონ და გაიგონ; მზად არიან, აიღონ ჯვარი და შეუდგნენ წამებული მაცხოვრის გზას, რომელიც ღვთაებრივ ნაიელს უზიარებს თავის მოწაფეებს და მათ ახალი ზეცისა და მიწისათვის აშზადებს, სადაც სამართლიანობა იქნება გამეფებული.

თავი XXIV

იესო და სეკულარისტები

„განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა, ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა უნდა, იგი ღვთის მტერი ხდება“

(იაკ.4:4).

მუსლიმები, რომლებმაც სეკულარიზმი მიიღეს, რელიგიური პრაქტიკის უზარმაზარ სახესხვაობებს ავლენენ. მათი პრობლემა ისაა, რომ ისლამი უამრავ რამეს კრძალავს.

მუჰამედის აბსოლუტური მოდელი

მუჰამედმა გადაწყვიტა, რომ მისი ცხოვრება მაგალითი უნდა ყოფილიყო ყველა დროის ადამიანისათვის. ეს დასაშვები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთმანეთისაგან გამიჯნავდა რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ მუჰამედი ასე არ მოქცეულა. მუსლიმთა აზრით, მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ მუჰამედს არ დაუტოვებია არავითარი მითითება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ცხოვრება უმაში, „რელიგიურ თემში“, მისი სიკვდილის შემდეგ. წინასწარმეტყველის არსებითი შეცდომა ისაა, რომ მან ვერ შეძლო განეჭვრიტა ტექნოლოგიური საზოგადოების სწრაფი განვითარება. მუჰამედმა ისლამი გამოაცხადა ცხოვრების ჭეშმარიტი გააზრების საფუძვლად, მის ნებისმიერ გამოვლინებაში. კანონებს, რომელთა შემუშავებაც მან დაიწყო და მისმა მემკვიდრეებმა დაასრულეს, ყველა ცხოვრებისეული სიტუაცია უნდა გაეთ-

ვალისწინებინათ. მუსლიმთა საუბედუროდ, ის, რაც ნორმა უნდა გამხდარიყო, VII საუკუნეში მცხოვრები ერთი არაბის – მუჰამედის – ცხოვრების წესსზე იყო დაფუძნებული.

დასავლური ცივილიზაციის გაუთვალისწინებელი განვითარება

დასავლეთის უსწრაფესმა განვითარებამ და არაისლამური ცივილიზაციის განსაცვიფრებელმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ისლამი დიდ საგონებელში ჩააგდო. იგულისხმებოდა, რომ ისლამი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა, სავალდებულო იყო მთელი კაცობრიობისათვის. თუმცა იგი ჩამორჩა მეოცე საუკუნის ცხოვრებას და ვერც იმის ახსნას იძლევა, თუ როგორ მოხდა, რომ პირველობა არამაჰმადიანმა ხალხებმა დაისაკუთრეს. შედეგად ჩვენ ვხედავთ დასავლეთის ამაღლების ფენომენზე რეაგირების უამრავ ფორმას მუსლიმთა მხრიდან.

ერთი მხრივ, ისლამის შიგნით განვითარდა მრავალი რეაქციული მიმდინარეობა, რომლებიც ცდილობენ მოსწყდნენ დასავლეთის ტექნოლოგიურ მიღწევებს და VII საუკუნის პრიმიტიული ცხოვრების წესს – მუჰამედის ცხოვრების წესს – დაუბრუნდნენ.

მეორე მხრივ კი, მუსლიმები ეძებენ გზებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გამოიყენონ დასავლეთის ტექნიკური მიღწევები.

მუჰამედ აბდუს სკოლა

კონსერვატიულ მიმართულებას ეკუთვნის ისეთი რეფორმატორი, როგორიცაა ეგვიპტელი მუჰამედ აბდუ (1849-1905), რომელიც ჟურნალ „ალმანარში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში შეეცადა „მოეძებნა ყურანის აიებში (მუხლებში) მითითებანი თანამედროვე მედიცინის, ბიოლოგიისა და გეოლოგიის აღმოჩენათა შესახებ“ (Cragg, 1965:40). ბევრი მართლმორწმუნე მუსლიმი იზიარებდა მის იდეებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აწ განსვენებულმა ქაიროელმა მუჰამედ კამილ ჰუსეინიმ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ამგვარი იდეებისადმი სტატიაში „ყურანის მეცნიერული განსჯანი – ბრიყვული ერესი“ (Husain, 1985:132). ჰუსეინის არგუმენტაცია იმ აზრს ეყრდნობოდა, რომ ყურანი რელიგიური წიგნია და არ იყო გამიზნული იმგვარი მოხმარებისათვის, რაგვარადაც აბდუს მომხ· ,ეები იყენებდნენ.

მუჰამედ ჰაიკალი

ორთოდოქსმა მუსლიმმა და ისლამის თავგამოდებულმა დამცველმა მუჰამედ ჰაიკალიმ მოწოდებით მიმართა თანამოძმეებს, რომ ესწავლათ დასავლეთისაგან ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იქნებოდა, რათა დაებრუნებინათ წარსული დიდება:

„და მაინც, დღეს აღმოსავლეთმა აუცილებლად უნდა ისწავლოს დასავლეთის აზროვნების, ლიტერატურისა და ხელოვნებისაგან. აღმოსავლეთის დღევანდელობა მისი წარსულისაგან გათიშულია მრავალსაუკუნოვანი ლეთარგიული ძილით და კონსერვატიზმით, რომელმაც შებოჭა მისი ჯანსაღი სული უმეცრებითა და ყოველგვარი სიახლისადმი უნდობლობით“ (1976:xLix).

სალმან რუშდი

სხვა, ნაკლებად მართლმორწმუნე მუსლიმები, ცდილობდნენ შეესუსტებინათ ის მარყუჟი, რომელიც შარიათის კანონებმა ჩამოაცვა თავზე მათ ცხოვრებას. ყველაზე გასაოცარი მაგალითი გახლავთ სალმან რუშდი, რომელიც შეეცადა, მხატვრულ ფორმაში გადმოეცა საკუთარი „მეს“ ძიების პროცესი, მას შემდეგ, რაც მიატოვა ბომბეი, ისლამური ფესვები და ინგლისურ საზოგადოებასთან შეგუებას მიესწრაფოდა. ჟურნალ „ნიუსუიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან „სატანური ლექსების“ შესახებ თქვა: „ესაა პილიგრიმის მიერ დანახული სამყარო“ და „ნაწილობრივ ანგარიშის გასწორება საერო პირის მიერ რელიგიურ საწყისთან“ (Newsweek, February 12, 1990:53). ისლამმა ჩათვალა, რომ მან საკმაოდ ღრმად შესტოპა სეკულარიზმით გატაცებაში.

ილუზიების გარეშე

ამ ორ უკიდურეს პოლუსს შორის შეიძლება მოვათავსოთ ის მრავალრიცხოვანი მუსლიმები, რომლებიც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, არ ლოცულობენ რეგულარულად, შეუძლიათ არ დაიცვან მარხვა, არ გასცემენ რეგულარულად მოწყალებას, არ გაიღებენ შესაწირავს რელიგიური მიზნებისათვის, არ ასრულებენ ჰაჯის, შეიძლება მუჰამედის უადგილობაზეც ფიქრობენ თანამედროვე ცხოვრებაში და, ალბათ, არ არიან მზად საღვთო ომისათვის.

და მიუხედავად ამისა, ეთნიკური ან ეროვნული ნიშნის გამო, მათ თავი მუსლიმებად მიაჩნიათ. ისლამურ ქვეყნებში მოგზაურობისას ხშირად მსმენია ამგვარი რამ: „მე მუსლიმად დავიბადე; მე არ შემიძლია ვუღალატო ჩემი ოჯახის სარწმუნოებას"; „იყო თურქი, ნიშნავს, იყო მუსლიმი"; „ყველა ადამიანი საუდის არაბეთში მუსლიმია; შეუძლებელია, სხვა ვინმე იყო".

გარე სამყაროსათვის ისინი მუსლიმები არიან, საკუთარი თავისათვის კი — რაღაც სხვა. ჩვენ სწორედ ეს „რაღაც სხვა" გვაინტერესებს. რა არის ეს „სხვა"?

იესო მატერიალისტებს შორის

ურწმუნო მატერიალისტებთან ურთიერთობისას იესო აუცილებლად მოძებნიდა გზას მათი გულებისაკენ. თუ ეს ადამიანები მუჰამედ აბდუსა და მისი მიმდევრების მსგავსად ყურანში მეცნიერული აღმოჩენების შესახებ წინასწარმეტყველებების ძიებას დაიწყებდნენ, ის ჰკითხავდა: „რატომ ცდილობთ, მიითვისოთ ის დიდება, რომელიც ჩემს შვილებს ეუბოძე სხვა ქვეყნებში? ერიდეთ შურს. ნუ წარმართავთ თქვენს გულმოდგინებას არასწორი გზით, ის გაიძულებთ ეძიოთ დიდება იმის გამო, რაც თქვენთვის არ მიბოძებია. მე არ მიჩვენებია ეს მუჰამედისათვის. თქვენ ცდილობთ, უფრო დიდად წარმოაჩინოთ იგი, ვიდრე სინამდვილეში იყო. იყავით ჰატიოსანნი. მისი მოძღვრება მხოლოდ აწარეკლია სხვა რელიგიური მოძღვრებისა; ის მისი გარემომცველი სამყაროდანაა აღებული". შემდეგ იესოს შეეძლო დაემატებინა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოანე, 14:6); „მე გასწავლით ცხოვრების დანიშნულებას. მე გასწავლით, როგორ აღიქვათ სიცოცხლე ჩემი მეოხებით".

იესო და ჩაგრულნი

მუსლიმს, რომელიც დაკავებულია წუთისოფლის საზრუნავით, საკმაოდ ღარიბს იმისათვის, რომ მოცალეობა ჰქონდეს რელიგიურ პრობლემებზე დასაფიქრებლად, რადგან თავის გამოკვება გადაჰქცევია უპირველეს საზრუნავად, კვლავ მიმართავს იესო, როგორც დედამიწაზე ყოფნისას მიმართავდა უპოვართ:

„მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. ვინაიდან

ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი" (მათე, 11:28-30).

დღესაც იმგვარივე თანაგრძნობას გამოუცხადებდა მათ იესო, როგორც უცხადებდა თავის დროზე ჩაგრულთ, მშიერთა და ეშმაკეულთ. იგი ავადმყოფებს განკურნავდა, ბოროტ სულებს განდევნიდა ეშმაკეულთაგან და ღვთის სასუფეველის ზნეობრივი წესების თანახმად იცხოვრებდა. იესო ისეთივე იქნებოდა, როგორც მათეს სახარებაშია: „ხალხის ბრბო რომ დაინახა, შეებრალა ისინი, ვინაიდან ისინი დაუძლურებულნი და დაფანტულნი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარი" (მათე, 9:36).

იგი კვლავ მოჰყვებოდა იგავს კეთილ მწყემსზე, რომელიც ეძებდა დაკარგულ ცხვარს, სანამ არ იპოვა. იესო კვლავ სიხარულით იცხოვრებდა ღარიბთა შორის და გაიზიარებდა მათ გაჭირვებასა და მწუხარებას. იგი მისცემდა მათ ძალას სიძნელეების ასატანად. სასოწარკვეთილება და დანაშაულის შეგრძნება, რომელსაც მუსლიმთა „კომპრომეტირებული" რწმენა ბადებს, მხსნელის არსებობით გამოწვეული სიხარულით შეიცვლებოდა. ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ უსაზღვროა იესოს თანაგრძნობა და გულმოწყალება. სწორედ ამგვარი მისიონერი სჭირდებათ ამ ადამიანებს, ისეთი, რომელშიც ცოცხლობს იესოს სული.

იესო და გულგატეხილნი

მათ, ვინც ზურგი აქცია რელიგიას, რადგან სიყალბე დაინახა მასში, ვისაც გული აუცრუედა მუჰამედზე და მიხვდა, რომ მისი მოძღვრება არასწორია, იესო თავისთან მოიხმობდა, რათა მათი ურწმუნოება დაეძლია. თავისთან მოიხმობდა, რომ მოსულიყვნენ და თავად ეხილათ იგი. კვლავ გააღვიძებდა მათში რწმენას, როგორც ეს ნათანაილის დროს მოიმოქმედა. იესო უფრო მეტს ხედავდა ნათანაილში, ვიდრე გამქრალი რწმენის სიცარიელეს. სწორედ ამ რაღაც „მეტის" შესახებ თქვა მან: „აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა" (იოანე, 1:47). (ნათანაილმა იმწამსვე ირწმუნა).

იესო და აჯანყებულები

მაგრამ არსებობს სეკულარისტის განსხვავებული ტიპიც. არიან ისეთებიც, ვინც ნაწილობრივ ან მთლიანად უარყო ისლამი, რათა მხოლოდ საკუთარ გულისთქმას დამორჩილებოდა. ასეთებს სურდათ, მთლიანად

გამოეყენებინათ ის საშუალებანი, რომელიც გააჩნია საერო საზოგადოებას მდაბალი ადამიანური ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად.

თავის დროზე იესო ხვდებოდა ამგვარ ადამიანებს და იგავებს უყვებოდა მათ, რათა საკუთარ თავზე დაფიქრებულიყვნენ. მაგალითად, იმ მცირედ მორწმუნეს, რომელიც ჯიუტად აშენებდა უფრო და უფრო დიდ ბეღლებს, რათა ეჭამა, ესვა, ემხიარულა და მშვიდად ეცხოვრა (ლუკა, 12:19), იესომ უთხრა: „უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ და, რაც დაამზადე, ვისღა დარჩება?“

მიუხედავად ჩვენი თანაგრძნობით აღსავსე დამოკიდებულებისა მუსლიმთა მიმართ და იმ მისწრაფებისა, რომ დავაფასოთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა მათში, არ ვიყოთ აგრესიულნი, დგება მომენტი, როდესაც აუცილებელი ხდება, რეალობასთან დავაბრუნოთ ყველაზე ფუქსავატი მუსლიმები, ისევე, როგორც ყველა სხვა კულტურის წარმომადგენელი

იესო და კომუნისტები

არის კიდევ ერთი კატეგორია მუსლიმებისა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. ესენი არიან კომუნისტური იდეოლოგიის ამა თუ იმ ფორმის მიმდევარნი. სრულიად ნათელია, რომ ასეთი ადამიანი თავემობეზრებულია თავისი საზოგადოებით. ის ხედავს, თუ რამხელა უფსკრულია მდიდრებსა და ღარიბებს შორის, უცქერს ხელისუფლების სისასტიკესა და უხეშობას, დარწმუნებულია, რომ სიტუაცია უიმედოა და საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება. მუსლიმი ფუნდამენტალისტისაგან განსხვავებით, რომელიც გამოსავალს ისლამის ჭეშმარიტი საწყისებისაკენ მიბრუნებაში ხედავს, ასეთი ადამიანი რელიგიას დაბრკოლებად — ნარკოტიკად მიიჩნევს, რომელიც ყურადღებას უდუნებს ადამიანს და ართმევს აზროვნების უნარს. ამგვარი კაცისათვის კომუნიზმი აღთქმული სასუფეველია. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ კომუნისტური იდეოლოგია თავის ადეპტს დაუსრულებელ კლასობრივ ბრძოლაში ითრევს, რომელიც ყოველად უაზროდ ანადგურებს ადამიანთა სიცოცხლეს, შედეგად კი ახალი მმართველი კლასი ჩნდება, ისეთივე უსინდისო, როგორიც წინა.

ამგვარი მუსლიმი სულის სიღრმეში აღშფოთებულია და სამართალს მოწყურებული. მასში მეყსეულად იღვიძებს პროტესტის გრძნობა, როცა უსამართლობას წააწყდება ხოლმე. მისი აზრით, ვიღაცამ უნდა იკისროს

სიტუაციის შეცვლა, თუნდაც ამისათვის ძალის გამოყენება დასჭირდეს. ადამიანთა ეს კატეგორია დარწმუნებულია, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

ასეთი აქტიური ადამიანი ღვთის მსახურიდან ნელ-ნელა ღმერთად იქცევა, რადგანაც თავის ხელში იღებს ყველაფერს. მისი მრისხანება ღვთის სამეფოს ადამიანის სამეფოთი ცვლის. კარგია, რომ ეს ადამიანი თავისუფალია ორთოდოქსული ისლამის გავლენისაგან, მაგრამ მისი ღმერთთან დაბრუნებაა საჭირო.

როდესაც საქმე ამგვარ მუსლიმ სეკულარისტთან გვაქვს (შესაძლოა, მას კვლავ მუსლიმად მიაჩნია თავი, თუ რელიგიური თვალსაზრისით არა, კულტურულით მაინც), მისიონერი ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული სიკეთის საბოლოო გამარჯვებაში და უნდა სწამდეს, რომ უფალი წარმართავს ადამიანთა ცხოვრებას. მისიონერი კარგად უნდა ერკვეოდეს, აგრეთვე, ღვთის სასუფევლის მამოძრავებელ საწყისებში.

იესო ღვთის სასუფევლის საქადაგებლად მოვიდა (მარკოზი, 1:14). მან მოიტანა იმგვარი მაღალი ზნეობა, როგორსაც მანამდე სამყარო არ იცნობდა (მათე, 5:7). იგი მორჩილებისა და ტანჯვის უდრტვინველი ატანისაკენ მოუწოდებდა, ასწავლიდა, რომ არ ასცდებოდათ დევნა მათი მხრიდან, ვინც ჯერ არ მოქცეულა და შეიძლება არც არასოდეს მოიქცეს ღვთის გზაზე.

იესო საუბრობდა, აგრეთვე, სახარების გავრცელებაზე, სინათლის შემოჭრაზე წუთისოფელში, რომელიც წყვდიადში იყო ჩაფლული და მორწმუნეს ადარებდა მარილს, რომლის გარეშეც ყველაფერი გაიხრწნება.

მისიონერმა კარგად უნდა აუხსნას მუსლიმ კომუნისტს, თუ რას ნიშნავს ღვთის სასუფეველი, რათა ეს უკანასკნელი ძალადობის უაზრო გზას არ დაადგეს.

დიდი შრომა და სიფრთხილეა საჭირო ამგვარი მუსლიმების ღმერთთან დასაბრუნებლად, მათში იმ ცნობიერების აღსადგენად, რომ უფალს არ მივუტოვებივართ და კვლავ მოვა დიადი დღე, როდესაც იგი დაბრუნდება კაცობრიობის ისტორიულ სცენაზე და ყველაფერს განსჯის. რასაკვირველია, სანამ სხვას დაარწმუნებდეს, მისიონერს თავად უნდა სწამდეს ეს.

თავი XXV

იესო და მებრძოლი მუსლიმები

ქრისტესთან დაკავშირებულ ამბებში გვანცვიფრებს სიტუაციის მართვის მისეული უნარი. მისი დიაგნოზი ყოველთვის სწორია, მისი რეაქცია – დროული. მას ვერ დააბნევდა მებრძოლი მუსლიმი. ბოლოს და ბოლოს სიმონ კანანელი ხომ მისი ერთ-ერთი მოწაფე იყო.

რა ამოძრავებს კანანელს? ყველაზე უფრო დამაჯერებელი პასუხი ასეთი იქნება – უკმაყოფილება იმით, რასაც ხედავს. იესოს ეპოქაში რელიგია ბუტაფორიად იყო ქცეული. სეკულარისტი სადუკეველები ეწინააღმდეგებოდნენ ყოფით პრობლემებზე ამაღლებულ ფარისეველებს. ესეელთა აფექტური ღვთისმოსაობაც უკურეაქციას იწვევდა. პოლიტიკურად იუდეველი ხელმძღვანელები კომპრომეტირებულნი იყვნენ. ქვეყანა უცხო ჯარს ეკავა. მეფე, ნახევრად არაბი და ნახევრად ებრაელი, იმ კაცის შვილი იყო, ვინც მეფობა რომაელებისაგან იყიდა. დამცირებული და გულგატეხილი ხალხი სხვადასხვანაირად ფიქრობდა. ერთნი მესიას ელოდნენ. მეორენი გამოსავალს მოქმედებაში ხედავდნენ. მათ სურდათ აჯანყებულიყვნენ რომისა და მარიონეტი მეფის წინააღმდეგ, ხოლო ხალხის ხელმძღვანელი წმინდა იუდეური გარემოდან აერჩიათ. იყვნენ ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ამ აჯანყებას სათავეში მესია უნდა ჩასდგომოდა. ამგვარი იყო იმდროინდელი განწყობა.

განსხვავებული სიტუაციაა დღევანდელ მუსლიმურ სამყაროში? არც იმდენად. მართალია, დასავლელ კოლონისტებს აღარ უპყრიათ ეს მიწები, მაგრამ საძულველი დასავლური მმართველობის ჩრდილი მაინც დარჩა.

აღარ არსებობს ხალიფაც, როგორც მთელი მსოფლიოს მუსლიმთა ხელმძღვანელი. დარ ალ-ისლამი დღეს 41 ქვეყანადაა დანაწილებული და მთელი მსოფლიოს მუსლიმთა 78%-ს მოიცავს, დანარჩენი 22% კი ეროვნული უმცირესობის სახით ცხოვრობს სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, როგორც წინა თავებიდან ვიცით, მუსლიმები 408 ძირითად ეთნიკურ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. თეოლოგიური თვალსაზრისით, აქ საკმაოდ ფართო სპექტრი გვაქვს ორთოდოქსული ისლამიდან მისტიკურ მიმდინარეობებამდე, რომლებიც გარკვეულ კომპრომისზე მიდიან სეკულარიზმთან. აქვეა, აგრეთვე, ისლამის მრავალფეროვანი შერწყმა ანტიმისტიკურ რელიგიებთან.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკაც. მუსლიმური ქვეყნები, გარდა იმ სახელმწიფოებისა, რომელთა ტერიტორიებზეც ნავთობის მოპოვება მიმდინარეობს, მსოფლიოში ყველაზე ღატაკი ქვეყნების რიცხვში დგანან. ბუნებრივია, რომ ამგვარი გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუსლიმურ სამყაროში.

მართლმორწმუნე მუსლიმის აზრით, ასე არ უნდა იყოს. ისლამი — „საუკეთესო და საბოლოო რელიგიაა". ის მსოფლიო ბატონობას იმსახურებს.

მებრძოლი მუსლიმი გაოცებული სვამს კითხვას: „სად მოხდა შეცდომა?" პასუხი, როგორც წესი, ამ კითხვაზე ასეთია ხოლმე: „ეს იმის შედეგია, რომ ჩვენ ისლამის პირველსაწყისებს გადაეუხვიეთ. აი, რატომ დაეკარგეთ ღვთის კურთხევა და რატომ მიჰყავთ საუკეთესოები მტრებს. ჩვენი მტრების მოქმედების შედეგია ის, რომ ჩვენი ხალხი ასე ღარიბია. თუ ისლამს მიეუბრუნდებით, რაც უეჭველად უნდა გავაკეთოთ, უფალი კვლავ ჩვენსკენ იქნება და, როგორც განსაზღვრული იყო, აუცილებლად გაებატონდებით მთელს მსოფლიოში".

რაოდენ სამწუხაროა, რომ ყველა მუსლიმ ლიდერს თავისი რეცეპტი აქვს მუსლიმთა პრობლემების გადასაჭრელად, რასაც განუსჯელად ახვევს თავს ქვეშევრდომთ. ეს იწვევს, ერთი მხრივ, გაუთავებელ კონფლიქტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მეორეს მხრივ, დამანგრეველ შეტაკებებს სახელმწიფოთა შორის.

მებრძოლი ისლამი თვლის, რომ ისლამი შეიცავს პასუხს ცხოვრების მიერ წამოჭრილ ყველა კითხვაზე და აუცილებელია დაუბრუნდეს მას ის სახე, თავისი წარმოშობის პირველ ხანებში რომ ჰქონდა.

რას ეტყოდა იესო ამგვარად მოაზროვნე ხალხს? ბევრ რამეს. ჩემი დაკვირვებების მიხედვით, მებრძოლი მუსლიმები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. ერთი ჯგუფი გულწრფელად წუხს თავისი ხალხის მდგომარეობის გამო. რადგან სახარებას არ იცნობენ, ეს მუსლიმები ყურანს და მუჰამედის მოძღვრებას ეყრდნობიან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყურანში მაღალი ზნეობის გამომხატველი მრავალი ბიბლიური ფაქტი აისახა.

ამ სიმართლის მაძიებელ გულწრფელ ადამიანებს იესო ბევრ რამეს ეტყოდა და მოიზიდავდა თავისი მოძღვრებით. იგი არასოდეს ყოფილა გულგრილი იმ ადამიანთა მდგომარეობის მიმართ, ვისაც უკეთეს ცხოვრებას სთავაზობდა.

მთასზედა ქადაგებაში იესო ნეტარ ადამიანთა თვისებებზე საუბრობს. ისინი არიან: „სულით ღარიბნი", „მგლოვიარენი", „თვინიერნი", „სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი", „მოწყალენი", „გულით სუფთანი", „მშვიდობის მყოფელნი" და „სიმართლისათვის დევნილნი" (მათე, 5:3-10).

სხვა იგავში იესო ნეტარებს უწოდებს იმ ადამიანებს, ვინც მშიერი გააძღო, მწყურვალს წყალი ასვა, მგზავრი შეიკედლა, შიშველს ჩაცვა, ავადმყოფებსა და საპყრობილეში ჩამწყვდეულებზე ზრუნავდა.

ქალს, რომელსაც არასწორად ესმოდა ნეტარების მცნებები, იესომ უთხრა: „ნეტარ არიან ისინი, ვინც მოისმენენ და დაიცავენ ღვთის სიტყვას" (ლუკა, 11:28).

იესო ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნავდა. ისევე, როგორც აბრაამი, ისიც ცდილობდა, სიკეთე მოეტანა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის.

მაგრამ იესოს ისიც ესმოდა, რომ მიზნის მიღწევის გზები მისკენ მისწრაფებაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია. მან კარგად იცოდა ეშმაკის ხრიკები. იცოდა, რომ მრავალი ხელისუფალი, რომელიც ხალხის კეთილისმყოფელად გამოაცხადებდა თავს, ყველაზე საშინელ და სასტიკ მეთოდებს მიმართავდა მიზნის მისაღწევად. ამიტომ ამბობდა იესო, რომ მახვილით შეუძლებელია ღვთის სასუფევლის მოპოვება (იოანე, 18:36).

მან უარყო აზრი, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას". არასწორ ხერხებსა და საშუალებებს შეუძლიათ ღვთის რისხვა დაატეხონ თავს ქვეყანას, რადგან ძალის გამოყენება ხელისუფალთა მხრიდან, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ ქვეშევრდომებს თავიანთი ნება, შესაძლებელია, დამანგრეველი აღმოჩნდეს. ხელისუფალი, რომელიც ცდილობს საკუთარ

ჭკუაზე ატაროს ქვეყანა თუ რომელიმე პარტია, მოწინააღმდეგეთა დევნას და დასჯას იწყებს, რისი მსხვერპლიც უმეტეს შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანები ხდებიან.

იესო დაუნდობლად გაკიცხავდა მათ, ვისაც ჰგონია, რომ ჩადენილ ძალადობას შეიძლება გამართლება მოეძებნოს და არ ესმით, სიკეთის სახელით ბოროტებას რომ სჩადიან. იგი ეტყოდა მათ, როგორც თავის თანამედროვეებს ეუბნებოდა: „ყველა მახვილის ამღები მახვილითვე დაიღუპება“ (მათე, 26:52). იესო ეტყოდა, რომ ცვლილებები მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა წარიმართოს. ეს მან გვასწავლა, რომ ჩვენ ვემსგავსებით მარილს, საფუარს და ნათელს. თუ არ შევუშლით ხელს ამ ძალების მოქმედებას, მთლიანად შეიცვლება ცხოვრების სტრუქტურა და ხარისხი. იგი დღესაც იმეორებს იმას, რაც დიდი ხნის წინათ უთხრა პეტრეს: „თავის ადგილას ჩააბრუნე ეგ მახვილი“ (მათე, 26:52).

ჩვენც უნდა მოვძებნოთ საშუალება, რომ ვუთხრათ ძალადობის მომხრე მებრძოლ მუსლიმებს: „არსებობს უკეთესი გზა...“ — და შემოვაბრუნოთ ისინი ქრისტეს მოძღვრებისაკენ.

თავი XXVI

იესო და სუფიები

„ვინც არ გინახავთ და გიყვართ, თუმცა ვერ ხედავთ, მაგრამ გწამთ, ხარობთ გამოუთქმელი და დიდი სიხარულით, თქვენი რწმენით აღწევთ სულების ხსნას“

(1 პეტრ. 1:8-9).

იესო სუფიებთან უფრო ადვილად მონახავდა საერთო ენას, ვიდრე მუსლიმ სეკულარისტებთან, რადგან სუფიებს ღმერთთან ურთიერთობა სწყუროდათ. სანამ სუფიებთან მიდგომის სხვადასხვა ხერხს განვიხილავდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ უნდა ველოდოთ მაინცდამაინც იოლ წარმატებას. უნდა გვახსოვდეს, რომ მათი ერთგულება (აბსოლუტური მორჩილება) ქრისტეს როდი ეკუთვნის, „შინაგანი ნათლის“ იდეით შეპყრობილები ადვილად უვარდებიან ხელში მტრულ ძალას, რომელსაც ჭეშმარიტი ნათლის იერის მიღება შეუძლია, მათი სინკრეტული რიტუალები კი გზას უხსნის, ქრისტეს მოწინააღმდეგე ეშმაკეულ სამყაროს.

ქრისტიანულ პოზიციაზე მტკიცედ დგომის აუცილებლობა

სანამ სუფიათა მოქცევას შეუდგებოდეთ, უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენში არსებული იესო ქრისტე უფრო დიდია, ვიდრე ის სულები, რომლებიც სუფიებში ჩასახლებულან და იმოჩილებენ მათ (1 იოანე, 4:4). ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მტრის წინააღმდეგ ის ძალაუფლება, რომელსაც ქრისტე გვანიჭებს და რომელიც მტრის ძალას აღემატება (ლუკა, 10:19). რადგან სუფიები საკუთარი თავის უარყოფასა და ღმერთთან ზიარებას მიელტვიან,

ქრისტეს გარეშე ისინი შეიძლება მცდარ გზას დაადგნენ. სატანა ადვილად დაუბნელებს მათ გონებას (2 კორ. 4:4). ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მოქცევა იოლი იქნება. სუფიების მოსაპოვებლად გაჩაღებული ბრძოლის ძირითად იარაღად ლოცვა უნდა იქცეს. გახსოვდეთ, ჩვენში არსებული ქრისტე უფრო ძლიერია, ვიდრე სუფიებში ჩასახლებული სულები, იესოს ადვილად შეუძლია მათი გაუვნებლება და განდევნა.

სახარების ფუნქციური ანალოგების გამოყენება

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ერთგვარ სულიერ ბრძოლაში ვმონაწილეობთ და ყურადღება გავამახვილოთ საგნებზე, რომლებიც სუფიებს აინტერესებთ: ამ მატერიათა ფუნქციურ ანალოგებს ჭეშმარიტად ქრისტიანული გამოცდილების ფარგლებში, შეეძლოთ მათი გულების გახსნა სახარებისათვის. გამოთქმაში „ფუნქციური ანალოგი" ვგულისხმობთ რელიგიურ გამოცდილებას, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან ყალბი, ჭეშმარიტია მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენაზე დამყარებული გამოცდილება, სხვა დანარჩენი კი — ყალბი. აქედან გამომდინარე, გარკვეული რიტუალური მოქმედებანი ერთნაირად შეიძლება გამოიყენონ როგორც სატანამ, ისე ქრისტემ. ჩვენი მიზანია ქრისტეს სახელით მოქმედება.

ჩვენი ეარაუდით, სუფიათა გამოცდილება ჭეშმარიტი გამოცდილების იმიტაციაცაა. იგი გამოხატავს ადამიანის მისწრაფებას იქითკენ, რაც მართლაც შესაძლებელია ქრისტეში. სუფიას არა აქვს მისასვლელი ქრისტესთან, რადგან ქრისტეს ადგილს სუროგატული რიტუალები იკავებენ.

სუფიათა მოქცევის მცდელობის პროცესში მისიონერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ორივე მხარისათვის საინტერესო თემებზე.

სიყვარული ღვთისადმი

მართლმორწმუნე სუფია ღვთისადმი სიყვარულითაა განმსჭვალული. ამასთან ერთად, მას ახასიათებს ცოდვიანობის განცდა და გულწრფელი მონანიების სურვილი, რასაც საბოლოო ჯამში იგი წუთისოფლის უარყოფამდე მიჰყავს. სუფიები, მიუხედავად მათი შეზღუდული რელიგიური ცნობიერებისა, ახერხებენ, თუმცა კი დამახინჯებულად, წუთისოფლისა და ღვთის გზების გამიჯვნას. ამ დამახინჯებული ცნობიერების გამოსწორება მხოლოდ გადაშლილი საღვთო წერილიდან ამოსულ სულიწმიდას ძალუძს.

იუდეური და ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი არსი ღვთის სიყვარულია. სულიწმიდით შთაგონებულმა მოსემ შემდეგი უკვდავი სტრიქონები დაგვიტოვა: „ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“ (შეორე რჯ. 6:4-5).

იესომ, რომელიც ამ სიტყვების ჩაწერიდან 1400 წლის შემღეგ მოვიდა, რათა კი არ შეეცვალა, არამედ აღესრულებინა რჯული, განამტკიცა ეს მოძღვრება. მან რჯულის მჩხრეკელს კითხვაზე, თუ რომელი მცნება უფრო მნიშვნელოვანია, ასე უპასუხა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ეს არის პირველი და დიდი მცნება“ (მათე, 22:37-38). ჩვენს დროში ეს სიყვარული ყველაზე უკეთ მისიონერის ცხოვრებაში აისახება. ქრისტიანი მისიონერის ცხოვრება ღვთისადმი ყოვლისმომცველ სიყვარულს უნდა ემორჩილებოდეს. ჩვენმა ცხოვრებამ უნდა გამოხატოს ეს სიყვარული, მაშინაც კი, როდესაც სხვები თელიან, რომ იგი ღრმად ჩაგებეჭდვია გულში. ქრისტიანის ცხოვრება ამ სიყვარულის დასაბუთება უნდა იყოს. აკი ამბობდა იესო, რომ მისი მოწაფე სიყვარულით შეიცნობა (იოანე, 13:34,35).

სუფიას მიაჩნია, რომ ეს სიყვარული ვლინდება ინდივიდუალური თაყვანისცემის დროს ღვთის მისტიკურ ჭვრეტაში. ქრისტიანული სიყვარული უფრო შორს მიდის. ჩვენ ვიცით, რომ ღვთისადმი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანებისადმი სიყვარულში ვლინდება. მართალია, ჩვენ ვაფასებთ სუფიათა მისწრაფებას სიწმიდისაკენ, მაგრამ თავად უფრო შორს უნდა წავიდეთ, ვიდრე მათი დამახინჯებული ცნობიერება ვარაუდობს. „ნამდვილი“ ყოველთვის სუროგატზე მაღლა დგას. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ნაცნობი დარწმუნდება ქრისტიანული სიყვარულის უპირატესობაში, რომელსაც თქვენში იხილავს და შეადარებს საკუთარ არასრულყოფილ გამოცდილებას.

ჭეშმარიტი მონანიება

მონანიების, ცოდვის, წუთისოფლისა და საკუთარი „მე“-საგან განდგომის იდეა ბიბლიაში ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე სუფიზმში. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი იდეა სუფიზმმა ქრისტიანი ბერებისაგან შეითვისა. ბერებმა კი, სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ბიბლიიდან

ამოსულიყვნენ, ნეოპლატონიზმის შეხედულებები გაიზიარეს ფიზიკური სამყაროსა და მატერიის ცოდვიანობის შესახებ. ნეოპლატონიზმის თვალსაზრისით, ყველა სიკეთე მხოლოდ სულიერ სფეროშია თავმოყრილი (Wilson, 1989:90). ითვლებოდა, რომ ფიზიკურ რაიმეზე ყურადღების გამახვილება უკვე ცოდვა იყო, ღვთისმოსაობა კი ღმერთზე ფიქრით გამოიხატებოდა. ამიტომ მონანიება – ესაა წუთისოფლისაგან განდგომა და ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ ღმერთზე. სუფიზმმა ეს ნეოპლატონური იდეები გზასაცდენილი ქრისტიანებისაგან შეითვისა. მათ ნააზრევში იკარგებოდა ბიბლიური თვალსაზრისი, რომ სამყაროში მამაკაცური და დედაკაცური საწყისის შექმნა ღვთაებრივი სიბრძნის გამოხატულება იყო. ნაცვლად იმისა, რომ შეეხედა ადამიანისათვის, როგორც ზნედაცემული არსებისათვის, რომელსაც ჭეშმარიტებისაკენ მობრუნება შეუძლია, სუფიზმი ერთადერთ გამოსავალს „წუთისოფლისაგან გაქცევაში“ ხედავდა. ეს კი უგულებელყოფს ადამიანის მოვალეობას მოყვასის წინაშე.

მისიონერი კარგად უნდა იცნობდეს შესაქმის, ცოდვათდაცემის, ადამიანის შესანდობად ჩადენილი ღვთის ქმედებების, რომლებმაც კულმინაციას იესოს ჯვარცმაში მიაღწიეს, ბიბლიურ კონცეფციას. მას უნდა შეეძლოს იმისი ახსნა, თუ რას ნიშნავს ქრისტეს აღდგომა, რას გულისხმობს ჩვენი სწრაფვა ახალი ცისა და მიწისაკენ, სადაც უმაღლესი სამართლიანობა იმეფებს. ბიბლია ამკვიდრებს ქმნილებას და სიცოცხლის ზეიმს. უფალი ამკვიდრებს ადამიანურ ბუნებას ჩვენთვის, ქალებისა და კაცებისათვის. თუმცა აქვე უნდა გამოვთქვათ სინანული ამ ღვთის მიერ ბოძებული ნიჭის არასწორი გამოყენებისა (ბიბლიაში ამას ცოდვა ეწოდება) და ღვთაებრივი ჩანაფიქრის ეგოისტური დამახინჯების გამო. მისიონერმა უნდა აჩვენოს, თუ რამდენად მცდარია სუფიზმის შეხედულებანი შესაქმის, ცოდვათდაცემისა და გამოსყიდვის შესახებ. ამ ბიბლიური ჭეშმარიტებების აღდგენა ერთადერთი გზაა სულიერი აღორძინების (ხელახალი შობის), სულიწმიდით ნათლობის, სიცოცხლისა და სიმართლის მიღების, ქრისტეს მოვლინებისა და ახალი ცისა და მიწის ხილვის იმედის სწორი გააზრებისაკენ. ამით ჩვენ სუფიზმთან შეხების მეორე წერტილს ვუახლოვდებით.

იესო, როგორც წუთისოფლის ნათელი

სუფია კონცენტრირებულია ღვთის განცდაზე, რაშიც გამოიხატება მისი სიყვარული უფლისადმი, და სულიერი ნათლისაკენ მისწრაფებაზე.

შეიძლება გამოვყოთ სუფიათა ორი ჯგუფი. ერთნი ექსტაზურ განცდას მიელტვიან, რაც მათ დიდებისმოყვარეობას აკმაყოფილებს, მეორენი კი გულწრფელად ეძებენ ღმერთს. პირველნი შეიძლება გავაფრთხილოთ, რომ ისინი ეძებენ ნიჭს მომნიჭებელის ნაცვლად; დანარჩენებს კი ბევრი რამ შეიძლება შევთავაზოთ იესო ქრისტეს რწმენის მეოხებით. ჯერ კიდევ ადამიანთა შორის ყოფნისას იესომ თქვა: „მე ნათელი ვარ წუთისოფლისა" (იოანე, 8:12), რითაც თავის ღვთაებრივ ბუნებას ამტკიცებდა. ათასი წლით უფრო ადრე დავითი წერდა: „რადგან შენთან არის წყარო სიცოცხლისა, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს" (ფს. 36:10). სულიწმიდით შთაგონებულმა იოანემ კი უფლის შესახებ თქვა: „მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი" (იოანე, 1:4-5).

მართლაც, იესო, ყველა თვალსაზრისით, „წუთისოფლის ნათელია". მან მხოლოდ ის კი არ იცის, როგორ შეიქმნა ყველაფერი და რატომ, იგი ხომ თვითონაა შემოქმედი, არამედ დღემდე განამტკიცებს ცხოვრებას. მისიონერმა უნდა იქადაგოს, რომ იესო დღესაც „წუთისოფლის ნათელია", ყოვლისმპყრობელი და შემოქმედი, ბრძენი, სრულქმნილი მსაჯული და თავად სიყვარული. იოანეს პირველ წერილში ვკითხულობთ: „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია" (1 იოანე, 4:8). იესო უმაღლესი გამოხატულებაა ამ სიყვარულისა: „იგია დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანარეკლი"... (ებრ. 1:3). იესოა იმ სიყვარულის ხორცშესხმა, სუფიები რომ მიელტვიან.

საკუთარი „მე"-ს მოკვდინების ქრისტიანული გაგება

ჩვენმა მეგობარმა სუფიებმა უნდა იცოდნენ, რომ ქრისტესადმი ერთგულება არა მხოლოდ სიყვარულით ცხოვრებაში გამოიხატება, არამედ საკუთარი „მე"-ს, ძველი ბუნების, ცოდვის მოკვდინებაშიც.

სწორედ მაშინა ვართ ღვთისათვის ცოცხლები. ცოდვის მოკვდინებით განვიცდით ჩვენ იმას, რასაც სუფიები „გაქრობას" ეძახიან. პავლე მოციქული თავისი „გაქრობის" შესახებ ასე წერდა: „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის" (გალ. 2:20).

და როგორია ეს ცხოვრება — ჩვენში ხომ თავად ღვთის ძე ცხოვრობს

სიყვარულის სრულყოფილი ცხოვრებით. ესაა აბსოლუტური შერწყმა ღმერთთან ქრისტეში. ე. ი. სწორედ ის, რასაც მიელტვის სუფია მთელი თავისი სიცოცხლის მინძილზე. და იმაზე მეტიცაა: რაზეც უოცნებია მას თავის დროზე. „ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში, და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2 კორ. 3:18).

ქრისტესა და სულიწმიდის წყალობით ჩვენ გარდავისახებით ღვთის სახედ და რეალურად ვცხოვრობთ სიყვარულით, არა წუთისოფლისაგან განდგომის, არამედ მოყვასის დასახმარებლად მასში შეტოპვის გზით. თავად იესოს წინასწარმეტყველური სიტყვები ხდება ჩვენი რეალობა. ამის წყალობით ვცხოვრობთ „ნათელში“, რომლისკენაც ისწრაფვიან სუფიები. „ნათელთან ზიარების“ დამამტკიცებელი საბუთია „კეთილი საქმეები“, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს, სცნონ მამის არსებობა და ადიდონ იგი.

მუსიკის აღორძინება

მუსიკისათვისაც მოიძებნება ადგილი. მეჩეთებში მუსიკის აკრძალვით მუჰამედმა საშინელი მოწყენილობისათვის გასწირა მუსლიმთა სულები. სოფონიამ, სულიწმიდის მიერ შთაგონებულმა წინასწარმეტყველმა, გაგვიმხილა, რომ უფალს სიმღერა შეუძლია. რატომაც არა? ჩვენც ხომ, ვინც მისი ხატების მსგავსად ვართ შექმნილნი, ვმღერით. უფალს სიამოვნებს ჩვენი სიმღერის მოსმენა. მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ იგიც მღერის: „უფალი, შენი ღმერთი, შენს წიაღშია, გმირი, რომელიც გიხსნის; სიხარულით გაიხარებს შენზე, განგაახლებს თავის სიყვარულში, სიმღერით იზეიმებს შენს გამო“ (სოფ. 3:17). სულიწმიდაც მან გვიბოძა, რომ ჩვენს სიმღერაში მონაწილეობა მიეღო; „...აღივსენით სულით. ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში. ჰმადლობდეთ ყოველთვის ყველაფრისათვის ღმერთს და მამას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით“ (ეფ. 5:18-20). ორთოდოქსული ისლამი მცდარი მოძღვრებისა და მუჰამედის მაგალითის გამო მოკლებული იყო იმ ფუფუნებას, რასაც სიმღერა ჰქვია. უფალიც ველარ განიცდიდა იმ სიხარულს, მისი შვილების სიმღერა რომ ანიჭებს. სუფიებს ისღა დარჩენოდათ, რომ მიებაძათ მათ ირგვლივ მყოფი ადამიანების მუსიკალური კულტურისათვის.

უფალმა ჩაგვინერგა მუსიკის სიყვარული. ჩვენ, ქრისტიანებს, ბევრი რამ შეგვიძლია შევთავაზოთ სუფიებს ჩვენი მდიდარი მუსიკალური ტრადიციიდან.

სწორედ „მომღერალმა სუფიებმა“ მოაქციეს ისლამზე უამრავი წარმართი. ახლა ჩვენი ჯერია, რომ მუსიკისა და სიმღერების დახმარებით იესოსთან მივიყვანოთ სუფიები.

„სამადლობელით წარვსდგეთ მის პირისპირ და სიმღერით შევღაღადოთ მას“ (ფს. 95:2). ცეკვებსა და მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც უნდა დაეთმოს ადგილი სუფიათა მოქცევაში.

„ვანადიდონ მისი სახელი ცეკვით.
დაფით და ქნარით უგალობენ მას.
რადგან ისურვებს უფალი თაყვის ხალხს,
დაამშვენებს თავდაბლებს შენევით“ (ფს. 149:3,4)
„ადიდეთ იგი შუის ცემბალით,
ადიდეთ იგი ზანგვით და ქნარით.
ადიდეთ იგი დაფით და როკვით.
ადიდეთ იგი ეშანით და სტვირით.
ადიდეთ იგი ტკბილხმოვანი ნინწილებით,
ადიდეთ იგი მაღალხმოვანი ნინწილებით.
ყოველმა სულდგულმა ადიდოს უფალი.
ადიდეთ უფალი!“ (ფს. 150:3-6)

გარემოსთან შემგუებლობის უნარი

სუფიზმის ადგილობრივ პირობებთან შემგუებლობის უნარი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ქრისტიანობის სასარგებლოდ, ისე მის საზიანოდაც. ჩვენი აზრით, ეს უნარი უნდა გამოვიყენოთ სახარების მიღებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. მოდით, გამოვიყენოთ სუფიათა მზადყოფნა სახარების შესაფასებლად და მივცეთ მათ საშუალება გამოხატონ ეს, როგორც შეუძლიათ. მაგალითად, შესაძლებელია, ადგილობრივ მუსიკას მივუსადაგოთ ქრისტიანული ჰიმნები. ეს გულისხმობს ღვთისმსახურების წარმართვას ამა თუ იმ ხალხის მშობლიურ ენაზე.

ჩვენ ვასწავლით, როგორ იღებს სულიწმიდას ერთი ადამიანი და მთელი საზოგადოება, როცა ღმერთია ამ ხალხში.

სუფიური თავყრილობებიდან შინაურ ეკლესიებამდე

და ბოლოს, იქ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები შეადგენენ, რომლებიც მტრულადაც კი შეიძლება იყვნენ განწყობილნი ქრისტიანების მიმართ, სუფიათა პატარა ჯგუფებად შეკრების ტრადიცია შესანიშნავ ნიადაგს ქმნის „შინაურ ეკლესიათა" დასაარსებლად. ეს უკეთესი კი არა, შეიძლება აუცილებელიც კი იყოს იმ ისლამურ ქვეყნებში, სადაც აშკარად იდევნება ქრისტიანული ეკლესია.

ამ წიგნის ბოლო თავებში უფრო დეტალურად შეეხებით შინაურ ეკლესიებს.

თავი XXVII

იესო და „ხალხური“ ისლამი

„ახლა კი, დაინახე უფალო, მათი მუქარა და მიეცი შენს მონებს ძალა მთელი გაბედულებით ილაპარაკონ შენი სიტყვა, როცა გაიწვდი შენს ხელს განსაკურნებლად, ნიშნებისა და სასწაულების მოსახდენად შენი წმიდა მსახურის იესოს სახელით“

(საქმ. 4:29-30).

სანამ ამ თავის კითხვას შეუდგებოდეს, მკითხველს შეიძლება სურვილი გაუჩნდეს, გადახედოს მე-13 თავს, სადაც „ხალხურ“ ისლამზეა საუბარი.

გაიხსენეთ, რომ „ხალხური ისლამის“ ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფენომენს, როცა ადამიანებს თავი მუსლიმებად მიაჩნიათ, მაგრამ სინამდვილეში ანიმისტური ან სპირიტუალისტური რელიგიის რომელიმე სახეობას აღიარებენ.

რელიგიის ეს ფორმა განსაკუთრებული სერიოზულობით განიხილავს სულიერ სამყაროს. აზროვნების მთელი სისტემა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ამორფულია ის, მოწოდებულია განმარტოს ცხოვრება ისე, როგორც ამას „ხალხური ისლამის“ მიმდევრები ხედავენ. ისინი კი ხედავენ სულიერ ძალებს, რომლებიც ხელს უშლიან ან ეხმარებიან ადამიანებს თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. „ხალხური ისლამის“ მიმდევართა წარმოდგენით, ყველა მოვლენას თავისი სულიერი მიზეზი აქვს. აქედან გამომდინარე, ცხოვრება შედგება ამ სულიერი ძალების გულის მოლბობისა და მათი კეთილი ან ბოროტი მიზნებისათვის გამოყენების ან, უკი-

დურეს შემთხვევაში, მათი ნეიტრალიზაციის მცდელობისაგან. იგულისხმება, რომ სულები ცხოვრებენ თითქმის ყველაფერში.

ბიბლიური თუ დასავლური მსოფლმხედველობა?

ადამიანებს, რომელთათვისაც უცხოა ამგვარი აზროვნება, განსაკუთრებით მათ, ვინც სეკულარისტულ მსოფლმხედველობას იზიარებს, უცნაურად ეჩვენებათ სულების არსებობის მტკიცება. ჩემმა დასავლელმა ან სეკულარისტულად მოაზროვნე მკითხველმა რომ არ იფიქროს, თითქოს მე სრულიადაც არ ვიყო გულგრილი ამგვარი მოვლენებისადმი, შევახსენებ მათ, რომ ჩვენი დასავლური ტიპის სეკულარისტული მსოფლგანცდა განსხვავდება ბიბლიურისაგან; სეკულარისტული შეხედულებანი ბიბლიური მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოდ განვითარდა.

ამ სტრიქონების ავტორს დასავლური (სეკულარისტული) მსოფლმხედველობა მცდარად მიაჩნია, რადგან ბიბლიაში სინამდვილე სხვაგვარადაა გაშუქებული, შდრ. სატანის, ეშმაკის, არაწმიდა სულების, ბოროტი სულების გაგება. ამ მოვლენაში ეჭვის შეტანა გამოსყიდვის ისტორიის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას უდრის. სკეპტიკურად განწყობილი მკითხველი შეიძლება დააფიქროს საღვთო წერილიდან მოყვანილმა შემდეგმა ფრაგმენტებმა.

გველი (ეშმაკი, სატანა, მტერი) მოიხსენიება ბიბლიაში ედემში ადამიანის „ცოდვათდაცემის" მომენტიდან (დაბ. 3) მეორედ მოსვლის დროს მის საბოლოო განადგურებამდე (გამოცხ. 20). მისი არსებობა იგრძნობა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. იგი ზეცაშიც იბრძოდა. მრავალი ანგელოზი მიემხრო მას დიდ აჯანყებაში, მაგრამ ღვთის ლაშქარმა, რომელსაც მიქაელ მთავარანგელოზი სარდლობდა, გაიმარჯვა ამ ბრძოლაში და სატანა თავისი მომხრეებითურთ ზეციდან გამოაგდეს (გამოცხ. 12), ადამისა და ევას პერიოდში ის უკვე ედემის ბაღში იყო (დაბ. 3).

იობი, რომელიც აბრაამამდე და მოსემდე ცხოვრობდა (Kelso, 1968:147), ღმერთმა გამოარჩია სატანასთან ყველა დროის უდიდესი სულიერი ორთაბრძოლისათვის (იობი 1,2).

იმ დროს, როდესაც ღმერთმა რჯული გადასცა მოსეს (1440-1400 წწ.), ადამიანებს კვლავ მიჰყავდათ თავიანთი შვილები ეშმაკისათვის შესაწირად (მეორე რჯ. 32:17). წარმართები ასე იქცეოდნენ მეფსალმუნეთა ეპოქაშიც (ფს. 106:37).

სატანა დავითის დროსაც მოქმედებდა (დაახ. 1000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) ისრაელის წინააღმდეგ, აქეზებდა რა დავითს, ჩაეტარებინა მოსახლეობის აღწერა, ე. ი. აცდუნებდა მას, შთააგონებდა რა, რომ დაყრდნობოდა თავისი ლაშქრის ძალას და არა უფალს (2 მეფ. 24:1).

ესაია (740-700 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე), ბაბილონის მეფის განაჩენის გამოტანისას, დასცინის „ძალას", რომელსაც უფალზე უფრო მაღლა მიაჩნია თავი (ლიუციფერი) (ეს. 14:15).

იეზეკიელი (593-571 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე), ტვიროსის მეფის ბრალდების წარმოთქმისას, ესაიას მსგავსად წინასწარმეტყველებს იმ „ძალაზე", რომელიც ტვიროსის მეფის ტახტის უკან დგას. იეზეკიელი დეტალურად აღწერს სატანის დაცემას — „სრულყოფილების ბეჭდიდან" იგი მიწაზე განრთხმულ ნაცრად იქცევა, რომელიც საშინელი იქნება სახილველად: „ყოველი შენი მცნობელი ხალხებში შეძრწუნდება შენს გამო, არარაობად იქცევი და აღარ იქნები უკუნისამდე" (იეზ. 28:12-19).

ზაქარია (დაახ. 520 ჩვ. წ. აღ-მდე) თავის წიგნში იესოს მარჯვნივ მის მოსაყივნებლად მდგარ სატანას გვიხატავს (ზაქ. 3:1).

სატანის ძალა და ქმედება ზოგადად შემდეგ პასაჟებშია აღწერილი: „...მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს" (1 იოანე, 5:19) და „გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი" (გამოცხ. 12:9).

როდესაც იესო თავის მიწიერ მსახურებას შეუდგა, რაც მისი ნათლობის შემდეგ მოხდა, იგი უდაბნოში წაიყვანა სულმა, სადაც გამოიცადა ეშმაკის მიერ (მათე, 4:1-11).

იესოს მტრებმა მისი ძალაუფლება ეშმაკებზე სატანასთან კავშირით ახსნეს. იესომ ამ ბრალდებას ასეთი პასუხი გასცა:

„თუ მე ღვთის სულით ვდევნი ეშმაკებს, აბა, მოსულა თქვენთან ღვთის სასუფეველი. ანდა როგორ შესძლებს ვინმე, შევიდეს ძლიერის სახლში და გაიტაცოს მისი ნივთები, თუ ჯერ ძლიერს არ გათოკავს? და შემდეგ გაძარცვავს მის სახლს" (მათე, 12:28-29).

აქ იესო გულისხმობდა იმას, რომ მან გათოკა სატანა და დაამხო მისი სახლი, გამოიხსნა იქ ჩამწყვდეული ეშმაკეულნი და გაათავისუფლა ეშმაკები. მნიშვნელოვანია, რომ ეშმაკთა გამოდევნისას იესომ დაამტკიცა ღვთის არსებობა. მისი თვალთახედვით, თითოეული ადამიანი ან ბნელეთის (სატანის) სამეფოს ეკუთვნის, ან — ღვთის სასუფეველს.

ეს მსოფლაღქმა არა ჰგავს სეკულარისტულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც ყველა საგანსა და მოვლენას რაციონალური, მეცნიერული ახსნა მოეპოვება და არავითარი ზებუნებრივი ბოროტი საწყისი ან უწმინდური ძალა არ არსებობს. სამწუხაროდ, ამგვარი თვალსაზრისი მსოფლიოს თითქმის ყველა ეკლესიაში შეიჭრა და შედეგად ქრისტიანებმა არც კი იციან, ვინ არის მათი მტერი.

მტრული ძალა

სანამ ამ საკითხის განხილვას დავამთავრებდეთ, მოდით, ყურადღებით დავაკვირდეთ, რაშია მტრის ძალა და რა ზიანის მოყენება შეუძლია მას. ეშმაკს შეუძლია იფქლში ღვარძლის შერევა (სატანის ერესის დათესვა ჭეშმარიტების გულში) (მათე, 13:39). მას ძალუძს აღმოფხვრას ღვთის სიტყვა ადამიანის გულიდან (ლუკა, 8:12). მან ჩააგონა იუდას ქრისტეს გაყიდვა და დაიმორჩილა იგი (იოანე, 13:27).

დავითის ეპოქაში სატანა ისრაელის წინააღმდეგ აღსდგა და გადმოიბირა ღვთისმოსავი მეფე აღწერის მოსაწყობად, ე. ი. ჩააგონა, რომ ხორციელ ძალას დაყრდნობოდა და არა ღვთიურს. მან მოაწყო იობის ჯოგის გატაცება და მსახურთა დახოცვა. სატანამ ამოაგდო ძლიერი ქარი, რომელმაც დაანგრია იობის სახლი და ნანგრევებში ჩამარხა სუფრასთან შემომსხდარი იობის შვილები. მას ღმერთმა იმის უფლებაც მისცა, რომ კეთრი შეეყარა იობისათვის.

ახალი აღთქმის ეპოქაში, როგორც ვიცით, ეშმაკებს ადამიანის დამუნჯებაც შეეძლოთ (მათე, 9:33), აგრეთვე, მისი მთვარეულად გახდა (მათე, 17:15), ამასთანავე, ისეთი ძალის მინიჭებაც, ბორკილებს რომ დაამსხვრევინებდა (მარკოზი, 5:2-5), ეშმაკები ანიჭებდნენ ახალგაზრდა ქალიშვილს წინასწარმეტყველების უნარს (საქმ. 16:16), გარდა ამისა, ისინი ცეცხლში ან წყალში აგდებდნენ ადამიანებს (მათე, 17:15).

ეშმაკები აცდუნებდნენ ადამიანებს ცრუმოძღვრებით (1 ტიმ. 4:1); მათი არსებობა განაპირობებდა წარმართულ მსხვერპლთშეწირვებს (1 კორ. 10:20,21); ეშმაკებს შეუძლიათ ცრუ ნიშნების გამოხმობა ადამიანთა მოსატყუებლად (გამოცხ. 16:14).

რა უნდა გვახსოვდეს, როცა ისლამთან ორთაბრძოლაში ვებმებით?

ისლამთან ორთაბრძოლისას უნდა გვახსოვდეს სამი რამ. პირველ რიგ-

ში ის, რომ ისლამური მოძღვრების საფუძველი და გულისგული ანტიქრისტიანული სულია (იხ. ყურანის სწავლება იესოს შესახებ).

მეორე, ისლამი, რომელმაც წარმართული კულტურები დაიპყრო, მხოლოდ თხელი საფარველი გახდა წარმართული რელიგიური რიტუალებისა. ეს რელიგიები კი თავიანთი მრავალფეროვანი გამოვლინებებით – სამხრეთ ფილიპინებიდან მაროკომდე – სატანის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებიან. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ორთოდოქსულ ისლამსა და მრავალფეროვან ანიმისტურ რელიგიებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, სიღრმისეულად ისინი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს თავიანთი ანტიქრისტიანული განწყობიდან გამომდინარე. ორთოდოქსული და „ხალხური" ისლამის წიაღში ქრისტეს მტერი იმალება, რომელსაც ღვთის მიერ შექმნილის განადგურება სურს.

მესამე – რის გამოც ასე ხშირად მივმართავდით წმიდა წერილს – დასავლეთში გავრცელებულია მცდარი სეკულარისტული მსოფლმხედველობა, რომელიც უარყოფს სატანის არსებობას. დასავლეთში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს იმ სულიერ ბრძოლაზე, რომელიც ბოროტი ძალების წინააღმდეგ მიმდინარეობს. ქრისტიანი სეკულარისტები ბიბლიურ მსოფლმხედველობას უნდა დაუბრუნდნენ. დასავლური მისიონერული მოძრაობის უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ მან სეკულარიზმთან კომპრომისის გამო, ვერ შეაფასა სატანური ძალების რეალური მოქმედება იმ რელიგიებში, რომელთა მიმდევრების ქრისტიანობაზე მოქცევასაც ცდილობდა. როგორც წესი, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მისიონერებზე უკეთ იციან სატანური ძალების მოქმედების შესახებ. ეს, ბუნებრივია, იწვევს მისიონერის მსახურების არაეფექტურობას. ეს ტრაგედია მშვენივრად აღწერა ჩარლზ კრაფტმა, როდესაც ნიგერიაში თავისი მისიონერული მოღვაწეობის შესახებ წერდა:

„როგორც ევანგელისტური ეკლესიის წევრები, ჩვენ აბსოლუტურად მოუმზადებელნი ვიყავით იმისათვის, რასაც ნიგერიელები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ: სულების სამყაროსთან ურთიერთობისათვის: ნიგერიელებს გამუდმებით გადაჰქონდათ საუბარი თავიანთ უბედურებებზე, რაც, მათი აზრით, ბოროტი სულებით იყო გამოწვეული. ისეთი მოვლენები, როგორიცაა ავადმყოფობა, უბედური შემთხვევები, სიკვდილი, ადამიანთა, ცხოველთა და მიწის უნაყოფობა, გვალვა და სხვა უბედურებანი მათ ბოროტი ძალების მოქმედების შედეგად ესახებოდათ" (Kraft, 1989:3,4).

შემდეგ კრაფტმა აღწერა ის განსაცვიფრებელი ცვლილება, რომელიც მისმა მსოფლმხედველობამ განიცადა. იგი ამ ცვლილებას ჯონ ვიმბერთან მეგობრობას მიაწერს, რომელსაც ამგვარი გარდასახვა რამდენიმე წლით ადრე ეწვია. შედეგი კი ასეთი იყო: „მალე მე მივბაძე მას და პირველად ცხოვრებაში ვქადაგებდი ქრისტიანობას ასე შედეგიანად“ (1989:8).

ღვთაებრივი ძალაუფლების გამოყენება

რაში გამოიხატებოდა მსოფლმხედველობრივი ცვლილება? და რა უნდა ვისწავლოთ აქედან? ეს იყო აღმოჩენა იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენო ის ძალაუფლება, რომელიც ქრისტემ თავის მოწაფეებს უბოძა. წერილში ამის თაობაზე საუბარია მაშინ, როდესაც მოწაფეები პირველად მიემგზავრებიან სახარების საქადაგებლად: „მოუწოდა თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ხელმწიფება არაწმიდა სულებზე, რომ განედევნათ ისინი და განეკურნათ ყოველგვარი სენი და ყოველგვარი უძლურება“ (მათე, 10:1) და „მოუხმო თორმეტს, მისცა მათ ძალა და ხელმწიფება ყველა ეშმაკზე, რომ განეკურნათ სნეულებანი. მიავლინა ისინი ღვთის სასუფეველის საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნავად“ (ლუკა, 9:1-2).

ჯონ ვიმბერმა, დონ უილიამსმა, კრაფტმა და სხვებმა აღმოაჩინეს ის, რაც ბევრმა (არა ყველამ) თავიდანვე იცოდა: კერძოდ, ის, რომ უფალი დღესაც იმგვარადვე მოქმედებს, როგორც ათასეული წლების წინ მოქმედებდა. იგივე ძალა, იგივე ხელმწიფება ეკუთვნით მათ, ვისაც სწამს და მიისწრაფვის მისკენ.

შეიძლება არც კი იყო საჭირო ამ დაკვირვებათა მოტანა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მრავალი ჩემი პოტენციური მკითხველი ისევე ფიქრობს, როგორც მე. ეს ნიშნავს, რომ ისინი ევანგელისტური ეკლესიის მეოხებით მივიდნენ ქრისტესთან, სადაც მათ ასწავლიდნენ, რომ ამგვარი რამ ახლა აღარ ხდება. მეც დიდი გზა განველე ზებუნებრივი ძალების უარმყოფელი სეკულარისტული მსოფლმხედველობიდან, რომელიც მაიძულებდა უარმეყო ბიბლიის მოძღვრების გარკვეული ნაწილი, რაც ქმედითუნარიანობას უკარგავდა ჩემს მსახურებას, სულების არსებობის რწმენამდე. მე ვირწმუნე, რომ ღმერთს აქვს სულთა გარჩევის, ავადმყოფთა განკურნების და ეშმაკთა გამოდევნის ხელმწიფება.

ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც „ხალხური“ ისლამის წეს-ჩვეულებებთან გვიხდება შეჯახება. ვერავითარი ძალისხმევა

ვერ აღწევს შედეგს. მართალია, შეიძლება მოხდეს ზედაპირული მოქცევა, მაგრამ ახლადმოქცეული, რომელმაც არ იცის, როგორ მოექცეს არაწმიდა ძალას, რადგან მისიონერმა ასწავლა, რომ ასეთი რამ არ არსებობს, კვლავ ბოროტი ძალის გავლენის ქვეშ ექცევა. მისიონერმა კი არაფერი იცის ამის შესახებ.

გავიხსენოთ, რაც ვთქვით ზებუნებრივი ძალების შესახებ და კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ „ხალხურ" ისლამს, მოვძებნოთ მასთან მისადგომი გზები.

მისიონერის მომზადება

იმედი მაქვს, რომ ჩვენ ყველანი ბიბლიას მივიჩნევთ ორიენტირად. იესო მარად იგივეა გუშინ, დღეს და ყოველთვის. ასევე სულიწმიდაც. ღვთის სულის ნიჭები და ხელმწიფება დღესაც ისევეა ხელმისაწვდომი, როგორც მოციქულთა ეპოქაში იყო. ბევრი ჩვენგანი იმის განცდამ, რომ რაღაც აკლდა ჩვენს რელიგიურ გამოცდილებას, კვლავ ბიბლიასთან მიიყვანა და აიძულა, ხელახლა აღმოეჩინა ახალი აღთქმის ქრისტიანობა.

„ხალხური" ისლამის განმარტების აუცილებლობა

„ხალხური" ისლამის გამოვლინებებმა მილიონობით პენჯაბელის ცხოვრებაში, რომელთა შორისაც ვცხოვრობდი პაკისტანში თვრამეტი წლის განმავლობაში, მაიძულა ნანახის ახსნა-განმარტება მომეძებნა ბიბლიაში. ჩვენ ყოველდღე ვხედავდით, თუ როგორ მიისწრაფოდა ასობით და ზოგჯერ ათასობით ადამიანი წმიდა ადგილებისა და წმიდა კაცებისაკენ, რათა ეთხოვათ მათთვის განკურნება, რჩევა-დარიგება, უწმინდურებისაგან დაცვა, მტრებზე გამარჯვება, არაწმიდა სულებისაგან განთავისუფლება. ისინი მიდიოდნენ, რათა გაეგოთ მომავალი, მიეღოთ თავიანთი ფარებისა და მინდვრების კურთხევა, ერთი სიტყვით, დახმარება ყოველდღიური პრობლემების გადასაჭრელად. სწორედ ზებუნებრივი საწყისი განსაზღვრავდა მათ დამოკიდებულებას ყოფითი სიძნელეებისადმი, ამან გვაიძულა, რომ გადაგვესინჯა ჩვენი შეხედულებანი.

კრაფტმა „ქრისტიანობის ძალაუფლებაში" (Kraft, Christianity with Power, 1989:53,62) შემდეგნაირად აღწერა თავისი მსოფლმხედველობის გარდაქმნა:

„რასაც განვიცდიდი, ეს იყო კლასიკური „ფასეულობათა გადაფასება“ და საბოლოო ჯამში უზარმაზარი ცვლილება. მე ჩემი არ შეშინდია ამ ცვლილებებისათვის და მთლიანად მივენდე ახალ გამოცდილებას. მე შემოვბრუნდი სკეპტიციზმიდან რწმენისაკენ... მწამდა და ვიქცეოდი ისე, როგორც არ იყო მიღებული ჩემს ევანგელისტურ გარემოში... მე დავიწყე ქადაგება და კურნება ჩემს საკვირაო სკოლაში... გარკვეული დროის შემდეგ მე გავთამამდი და ვთხოვე უფალს, მოეცა საშუალება, რომ კონკრეტულ მაგალითზე მეჩვენებინა კლასის წინაშე ის, რასაც ვასწავლიდი. რამდენიმე შემთხვევაში შედეგები ძალზე დრამატული იყო“.

„ხალხური“ ისლამის მიმდევართა იმედის გამართლება

აღსანიშნავია, რომ „ხალხური“ ისლამის მიმდევრები დაუცველნი არიან თავიანთი პრობლემების წინაშე. მათ ესაჭიროებათ განკურნება, მიტევება, ხელმძღვანელობა, კომფორტი, ძალა, გამხნევება, ბოროტისაგან დაცვა. და რაოდენ ტრაგიკულია, რომ ისინი დახმარებას მტრისაგან ელიან. ისიც უქმნის მათ ამის ილუზიას თავისი „ნიშნებისა და სასწაულების“ მეოხებით და იმორჩილებს ამ აღამიანებს.

„ხალხური“ ისლამის მიმდევრები, ორთოდოქსი მუსლიმებისაგან განსხვავებით, რომლებიც თელიან, რომ იციან ჭეშმარიტება, უამრავ კითხვაზე ეძიებენ პასუხს. მათ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ძალებს, რომელთაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდებიან. ისინი მზად არიან, მიენდონ ქრისტეს, რომელიც ჯაბნის ამ ძალებს და მათთან ბრძოლის უნარს თავის მოწაფეებსაც ანიჭებს. ამიტომ მისიონერმა უნდა გაამართლოს „ხალხური“ ისლამის მიმდევართა იმედი და უფლის მიერ ბოძებული ხერხებით დაეხმაროს მათ ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტაში.

როდესაც სამოცდაათი წარგზავნილი მივიდა იესოსთან, უფალმა მიანიჭა მათ კურნებისა და ეშმაკთა გამოდევნის უნარი:

„აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად, და მტრის ყოველი ძალისა. თქვენ კი არაფერი გვნებათ“ (ლუკა, 10:19).

ჩვენ, ქრისტეს მიმდევრებს, იგივე ხელმწიფება გვაქვს დღესაც. რადგან საქმე გვაქვს სხვადასხვა სარწმუნოებასთან და მის მიმდევრებთან, „ხალხური“ ისლამის წარმომადგენლებთან, უფრო ღია კონფრონტაციისა და ძალთა შეჯახებისათვის უნდა მოვემზადოთ, ვიდრე ისლამის თეოლოგიურ

და თეოსოფიურ ფორმებთან ბრძოლისას გვიხდებოდა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არაწმიდა ძალას ისლამის სხვა ფორმებში არ შეეხვდებით. ამგვარი შეხვედრა, რასაკვირველია, მოხდება, მაგრამ „ხალხურ“ ისლამში ეშმაკეული საწყისი და სულების სამყაროსთან ურთიერთობა უფრო თვალნათლივია.

მისიონერის სამოქმედო პრინციპები

რა პრინციპების თანახმად უნდა მოქმედებდეს „ხალხური“ ისლამის მიმდევართა შორის მოღვაწე მისიონერი? ჩამოთვლით ამ სფეროში მოღვაწეობისათვის აუცილებელ პირობებს:

1. მისიონერმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ემონაწილეობთ უდიდეს შეტაკებაში (ეფ. 6:10-18; 2 კორ. 10:3-6). პეტრემ, რომელიც იქადნიდა, რომ არასოდეს უარყოფდა ქრისტეს, ვერ შეასრულა თავისი სიტყვა. როდესაც კვლავ დაიბრუნა სულიერი ძალა ქრისტეს წყალობით, მან დაწერა:

„მღვიძარენი იყავით, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს. წინ აღუდექით მას მტკიცე რწმენით და იცოდეთ, რომ მსგავსი სატანჯველი თქვენს საძმოსაც ხვდება წუთისოფელში“ (1 პეტრე, 5:8-9).

ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ, რომ ბრძოლაში ვმონაწილეობთ. მტერი მზადაა, გამოიყენოს ჩვენი ნებისმიერი სისუსტე. ეს კი გამუდმებული სიფხიზლისკენ მოგვიწოდებს.

2. იესო უნდა იყოს თქვენი უფალი. კვლავ მივმართავ პეტრეს, რომელმაც ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი მარცხი განიცადა თავის ცხოვრებაში. „წმიდაჰყავით ქრისტე, როგორც უფალი, თქვენს გულებში და მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ“ (1 პეტრე, 3:15).

სატანამ მშვენივრად იცის, როგორ გაანადგუროს რწმენაშერყეული ადამიანი. პეტრეს ადამიანისა უფრო შეეშინდა, ვიდრე ღვთისა და ვერ გაუძლო. „ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუდაბურდება“ (მათე, 12:25).

იესო მთავარსარდალია ამ ბრძოლაში. ჩვენ მაქსიმალურად უნდა მივუახლოვდეთ მას და ყური მივუგდოთ მის სიტყვებს, რომლებიც სულიერი

ბრძოლისაკენ მოგვიწოდებენ („...წმიდა ჰყავით უფალი თქვენს გულებში“).

3. მისიონერი უნდა ერიდოს ცოდვას. მან ყველა კარი უნდა მიუხუროს სატანას. ერთადერთი საშუალება, რითაც ბოროტმა სულმა შეიძლება დაგვიპყროს, ჩვენი ცოდვებია. პავლე თავის ახალგაზრდა მოწაფეს – ტიმოთეს – სწერდა:

„ვინც ამათგან გასუფთავდება, ის იქნება პატივდებული ჭურჭელი, განწმენდილი და ხელმწიფისათვის სახმარი, გამზადებული ყოველი კეთილი საქმისათვის“ (2 ტიმ. 2:21).

იოანე ასე მოძღვრავდა თავის მკითხველს: „ყოველმა, ვისაც იმედი აქვს მისი, განიწმიდოს თავი, როგორც ისაა წმიდა“ (1 იოანე, 3:3).

4. მისიონერი უნდა იყოს აღსავსე სულიწმიდით. იესომ მოუწოდა მოწაფეებს დალოდებოდნენ, „ვიდრე მაღლიდან ძალით შეიმოსებოდეთ“ (ლუკა, 24:49). მან აღუთქვა მოწაფეებს დამოწმების ძალა (საქმ. 1:18). პავლემ მოუწოდა თავის მკითხველებს, აღვსებულიყვნენ სულით (ეფ. 5:18).

როდესაც ახალგაზრდა დევნილი ეკლესია შეეეჭიდრა უფალს, მიეცა მისთვის ძალა ქრისტეს სახელით „ნიშნებისა და სასწაულების“ ჩადენისა, ყველანი აღიესნენ სულიწმიდით და გაბედულად ქადაგებდნენ ღვთის სიტყვას მოწინააღმდეგის წინაშე (საქმ. 4:31).

ბიბლიის ყველა მნიშვნელოვანი პერსონაჟი დიდ საქმეს უფლის სახელით მხოლოდ სულიწმიდის კურთხევის შემდეგ სჩადიოდა. მხოლოდ სულიწმიდის ძალით შეიძლება უფლის სამსახური (ზაქ. 4:6). სწორედ სულიწმიდა მიგვიძღვის „ხალხური“ ისლამის მიმდევართა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სულიწმიდა გვაძლევს განსაკუთრებულ ნიჭებს ამ ბრძოლაში გამოსაყენებლად: სულთა გარჩევის, კურნების, სასწაულმოქმედების უნარს, რწმენას, ბრძნულ სიტყვას, წინასწარმეტყველებისა და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკის ნიჭს (1 კორ. 12:7-11).

5. მისიონერის ცხოვრებაში პირველ ადგილზე სიყვარული უნდა იდგეს. იესოს ადამიანთა მიმართ თანაგრძნობა ამოძრავებდა. ის ხედავდა, რომ „ისინი დაუძლურებულნი და დაფანტულნი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარი“ (მათე, 9:36). პავლე მოციქულმა ასე განმარტა თავისი მსახურების შინაგანი მოტივები: „ვინაიდან ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ: თუ ერთი მოკვდა ყველასათვის, ყველანი დაიხოცნენ“ (2 კორ.5:14). იგი აგრეთვე წერდა: „...ქრისტე თქვენში,

დიდების იმედი, რომელსაც ვქადაგებთ ჩვენ, რათა შეეგონოთ ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილად ქრისტე იესოში. ამისათვის მეც ვშრომობ და ვიღწვი მისი ძალით, რომელიც ძლიერად მოქმედებს ჩემში" (კოლ. 1:27-29).

სიყვარული აიძულებდა ქრისტეს, მოეძია დალუპული სულები და ყველაფერი გაეკეთებინა მათ გადასარჩენად. ჩვენი მიზანი ამაზე ნაკლები როდია, როცა მუსლიმთა გულების დაპყრობას ვცდილობთ.

6. სულიერ ბრძოლაში აუცილებელია რწმენა. გავიხსენოთ, როგორ საყვედურობდა იესო მოწაფეებს მცირედ მორწმუნეობას, რა შორს გამიზნულ დაპირებებს იძლეოდა იგი: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით, მარტო იმას კი არ გააკეთებთ, რაც ამ ლეღვს დაემართა, არამედ ამ მთასაც რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, ასე მოხდება. ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ" (მათე, 21:21-22).

თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ როგორც დასავლელს მთელი ჩემი მეცნიერული განათლება, სამედიცინო სკოლის ჩათვლით, იქითკენ მიბიძგებდა, ეჭვი შემპარვოდა ჩემს რწმენაზე უფლის რეაგირებაში. მაგრამ, ღვთის მადლით, ჩვენ ვუბრუნდებით ბიბლიურ მსოფლმხედველობას და არა მარტო ღვთისადმი რწმენას ვსწავლობთ, არამედ აღმოვაჩინეთ, რომ იესო ისეთივე საქმეებს ელის ჩვენგან, როგორსაც ახდენდნენ ის და მისი პირველი მოწაფეები. ჩარლზ კრაფტის დამოწმებაც ჩემსას წააგავს: თავდაპირველად თქვენ იწყებთ იმის სწავლას, თუ რას ამბობს სინამდვილეში ბიბლია, მაგრამ თანდათან ხვდებით, რომ სასწაულების ჩადენის უნარი თქვენც გაგაჩნიათ. უბრალოდ უნდა დასძლიოთ თქვენი მცირედმორწმუნეობა. მე მოგიწოდებთ, იწამოთ ღმერთი იმ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, რომელიც მუსლიმებზე გაბატონებულ სულებთან მოგვიწევს.

7. მისიონერი უნდა ლოცულობდეს და მარხულობდეს. ზემოთ ნახსენები რწმენა იოლად არ მოდის. ამის მიზეზი კი ჩვენი ურწმუნოებაა. ლოცვაში გატარებული დრო ბევრ ჩვენგანს ცელის. ქრისტე უფრო რეალური ხდება ჩვენთვის, თავად კი უფრო მგრძნობიარენი ვხდებით სულის მითითებების მიმართ. ლოცვა და უფლის სიტყვის შესწავლა რწმენას განამტკიცებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მარხვას. საკუთარი სხეულის მოთხოვნების უარყოფა სულიწმიდისადმი მორჩილების უნარს გვინვი-

თარებს. ვიეიენ სტეისის მონათხრობი ლოცვითა და მარხვით სულების გამოდევნისათვის მზადების შესახებ ბრწყინვალე დასტურია იმისა, თუ როგორ მოდის სულების გამოდევნისათვის საჭირო ძალა ხანგრძლივი ლოცვისა და მარხვის შემდეგ (Staccy, 1986:4-7).

8. სულიერ ბრძოლაში ჩაბმა ჯგუფურად უფრო მოსახერხებელია. იესო ორ მოწაფეს აგზავნიდა ერთად (ლუკა, 10:1). კრაფტი ურთიერთპასუხისმგებლობაზე ლაპარაკობს (Kraft, 1989:75). სტეისიც ჯგუფურად გვირჩევს ბრძოლაში ჩაბმას (Staccy, 1986:7). ეპისკოპოსი მაიკლ გრინი კი ამგვარ ჯგუფს „კავშირს" უწოდებს (Green, 1981:251). როგორც ჩანს, როცა ორი ან სამი ადამიანი ერთიანდება იესოს სახელით, მათი ძალა მატულობს:

„ასევე ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ორნი თქვენგან შეთანხმდებიან დედამიწაზე, ითხოვონ ნებისმიერი რამ, მიეცემათ მათ ჩემი მამისაგან, რომელიც ზეცაშია. ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის" (მათე, 18:19-20).

9. ძალზე მნიშვნელოვანია იმ ადამიანებზე ზრუნვა, ვისაც უკვე გაეწია დახმარება, განიკურნა ან განთავისუფლდა ეშმაკეულთაგან. მას შემდეგ, რაც უფალთან შეხება განიცადეს, აუცილებელია მათი დამოძღვრა. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ შეიგრძნეს ქრისტე და აღივსნენ სულიწმიდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, მოხდეს ის, რის შესახებაც იესო გვაფრთხილებდა:

„როცა არაწმიდა სული გამოდის ადამიანიდან, დადის უწყლო ადგილებში სიმშვიდის საძებნელად და ვერ პოულობს. მერე ამბობს: „დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედი". როცა მივა, იპოვის მას ცარიელს, დაგვილსა და მოვლილს, მაშინ წავა და თან მოიყვანს შვიდს სხვა სულს, თავისზე უბოროტესს, შევლენ და დაბინავდებიან იქ და იმ კაცისათვის უკანასკნელი დღე პირველზე უარესი იქნება" (მათე, 12:43-45).

შემდგომი შრომა

ქრისტიანი მისიონერი „ხალხური" ისლამის პრობლემებთან შეჯახებისას ორმაგად მძიმე სიტუაციაშია. ჯერ ერთი ის, რომ ეს თავისთავად „ძალისმიერი შეტაკების" სფეროა. ქრისტე ებრძვის სატანას და მის დემონურ ძალებს. ეს ბრძოლა მიმდინარეობს მუსლიმის ცხოვრების ნებისმიერ

ღონეზე. საცა არ უნდა გაიხედოთ, ყველგან „ხალხური“ ისლამის ყოელის-მომცველ წეს-ჩვეულებებს წააწყდებით და თითოეული მათგანი ფართოდ ულებს კარს მტრულ სულიერ ძალებს. როცა მუსლიმები ქრისტეს რჯულზე მოიქცევიან, მათ უარი უნდა თქვან ყველა ადრინდელ წეს-ჩვეულებაზე. სატანა ასე იოლად როდი ელევა თავის ქვეშევრდომთ. საკმაოდ დიდი საფასურის გადახდაა საჭირო იმ წარმატებული ბრძოლებისათვის, რომ-ლის დროსაც ჩვეულებრივი მუსლიმები განიკურნებიან, განთავისუფ-ლდებიან სულების წინაშე შიშისაგან, რომელიც მთელი ცხოვრების მან-ძილზე სტანჯავდათ, განთავისუფლდებიან დემონური ძალებისაგან და შეელენ ღვთის საყვარელი ძის იესო ქრისტეს სასუფეველში.

ახალი ცხოვრების წესის უზრუნველყოფა

მეორე ამოცანაა, შევუქმნათ ახლადმოქცეულს პირობები, რომლებიც ცხოვრების შეცვლას გაუადვილებენ. პოლ ჰიბერტი წერს:

„ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავუპირისპირდეთ სხვა რელიგიების რწმე-ნასა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმ-დევრებს ქრისტეს რჯულზე მოქცევისაკენ მოვუწოდებთ. სხვა რელიგიებ-შიც არსებობენ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი, რომელთა ხელყოფაც არ შეიძლება, მაგრამ მთლიანობაში ეს რელიგიები უფლის წინააღმდეგ გა-მოდიან. ამიტომ უწევენ ისინი ასეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას მათი წევრების გაქრისტიანებას“ (Hiebert,1989:56).

„ხალხური“ ისლამის მიმდევარმა უნდა გააცნობიეროს, რომ ის, ვინც ჩვენში ცხოვრობს, ყველაზე დიდია სამყაროში. ქრისტიანმა მისიონერმა უნდა აჩვენოს, რომ ქრისტეს აქვს უმაღლესი ხელმწიფება, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ შიშისაგან თავისუფალი ცხოვრებით, რომ არსებობს სული-წმიდა, რომელიც გვმოძღვრავს, გვაძლევს ძალას და შლის ჩვენი მტრის ხრიკებს. ხდება განკურნებისა და განთავისუფლების სასწაული და შესაძ-ლებელია თვით მკვდრეთით აღდგომაც კი. მაგრამ „მტრის ფეხქვეშ გათე-ლვისა“ და ახლადმოქცეულის განკურნების შემდეგ ბევრად უფრო რთული ამოცანა ახალი მსოფლმხედველობის შეძენაა. სამყაროზე ამ ახალი თვალ-თახედვის ფოკუსი იესო უნდა გახდეს.

აუცილებელია ქრისტიანული ეკვივალენტის მოძებნა იმ ცერემო-ნიებისათვის, რომლებიც განმსჭვალავდნენ ადამიანის ცხოვრებას დაბა-დებიდან სიკვდილამდე. ახალმა ცერემონიებმა უნდა დაიკავონ ძველის

ადგილი წლიური რელიგიური ციკლის მიხედვით: შესატყვის ფორმებში აღინიშნება ღვთის განკაცება (შობა), გამოსყიდვა (წითელი პარასკევი) და აღდგომა. აღთქმის მითითების თანახმად, მიწათმოქმედების რეგიონებში აუცილებელია, ძველი, სეზონურ სამუშაოებთან დაკავშირებული დღესასწაულების აღნიშვნა, რომლებიც ადგილობრივ დღესასწაულებს შეცვლიდნენ. ქრისტიანი მისიონერი არ უნდა აჰყვეს სეკულარიზებული ქრისტიანისათვის დამახასიათებელ თვალსაზრისს და არ უნდა უგულვებელყოს ცხოვრების სეზონური ციკლურობა, რაც მას მიწათმოქმედთა თემიდან გარიყავს. მან უნდა იფიქროს, თუ როგორ ჩაუნერგოს ახალი მსოფლმხედველობა „ხალხური" ისლამის წიაღიდან გამოსულ ახლადმოქცეულს.

ქრისტიანმა მისიონერმა ახლადმოქცეულებს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტისათვის, როგორიცაა დაბადება, სახელის დარქმევა, სიმწიფის ასაკში შესვლა, ქორწინება, სიკვდილი, უნდა შესთავაზოს ბიბლიური ანალოგები მათ აღსანიშნავად.

სწავლის პერიოდში ახლადმოქცეულის ცხოვრებაში, ოჯახურ ურთიერთობებში, სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან დამოკიდებულებაში ნელნელა უნდა შევიტანოთ ბიბლიურ ჭეშმარიტებებზე დაფუძნებული ახალი ფასეულობანი. ქრისტიანი მისიონერი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ „ხალხური" ისლამის წიაღიდან გამოსულ ინტელექტუალებს, რომლებიც ქრისტეს რჯულზე მოექცნენ, ყოველნაირად შეაკვიწროვებენ: შეეცდებიან, არ მისცენ მათ საშუალება თავიანთი პროფესიონალური საქმიანობის გაგრძელებისა, წაართვან ადგილი საზოგადოებაში და შემოსავლის წყარო. ღვთის ყოვლისშემძლე ძალის დემონსტრირებას მოციქულთა მხრიდან თითქმის ყოველთვის თან ახლდა დევნა, ფიზიკური ანგარიშსწორება, საპყრობილე და თვით მოწამეობრივი სიკვდილიც კი.

სულიერი ბრძოლა – უფლის ასპარეზი

საბოლოო ჯამში მტრის ძალებთან ბრძოლა უფლის საქმეა. ის ხელმძღვანელობს ამ შეტაკებას. ის გვაძლევს გამჭრიახობას, „ცოდნის სიტყვას" და იმის ინტუიციურ მიხვედრას, თუ რა სურს ჩვენგან. ესაა ღვთის სასუფეველის არსი და დიდება, რომელსაც გვაზიარებს უფალი და გვაგზავნის ბრძოლის ველზე. ამით იგი დიდებას იხვეჭს, რადგან იქიდან დაბრუნებული ადამიანები მას ეკუთვნიან.

ჩვენ ვხედავთ, რომ სიმაგრეები დაემხო და ყოველი აზრი ქრისტეთი განიმსჭვალა. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენი შინაგანი ძალის წყალობით კი არ მოხდა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მან გადაწყვიტა თავისი დიდება გაეზიარებინა ჩვენთვის. საუკუნოდ მადლიერნი უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ჩვენი სახელები „კრავის სიცოცხლის წიგნში" ჩაიწერა.

ეს თავი მინდა დავასრულო ციტატით, რომელიც ადრე უკვე მოვიყვანე, მაგრამ აქაც ძალზე დროულია:

„ვინაიდან, თუმცა ხორცში დავდივართ, ხორციელად არ ვიბრძვით. ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ, ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად" (2 კორ. 10:3-5).

თავი XXVIII

იესო და აჰმადიელები

„გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ. ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო! და მრავალს შეაცდენენ“

(მათე, 24:4-5).

1889 წელს ვინმე მირზა გულიამ აჰმადმა „გამოაცხადა, რომ ისაა იესო, მესია და მაჰდი, რომლის მოვლინებაც ნაწინასწარმეტყველები იყო“ (Mujeeb, 1967:543) (უფრო დეტალურად ამის თაობაზე ვისაუბრეთ მე-16 თავში).

გულიამ აჰმად მირზა – მაჰდი

მოძღვრება მაჰდის შესახებ ერთნაირადაა დამახასიათებელი ისლამის ორივე განშტოების, როგორც შიიტების, ისე სუნიტებისათვის. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მაჰდი იგივე ქრისტეა, მაგრამ უმრავლესობას სწამს, რომ იგი ქრისტეს მეორედ მოსვლამდე დაბრუნდება, რათა აღადგინოს ისლამი პირვანდელი სრულყოფილებით, შემდეგ მოვა ანტიქრისტე, რასაც ქრისტეს მეორედ მოსვლა მოჰყვება ანტიქრისტეს გასანადგურებლად. მირზა გულიამ აჰმადმა დაამახინჯა ზემოხსენებული დოქტრინა, ამტკიცებდა რა, რომ მაჰდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ანტიქრისტეს ამოცნობა და მან, როგორც მაჰდიმ, ანტიქრისტე მის თანამედროვე ქრისტიანებში ამოიცნო.

მირზას ანტიქრისტიანული შეხედულებანი

მირზა გულიამ აჰმადმა საკმაოდ უცნაური ბრალდებები წაუყენა ქრისტეს. მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ ქრისტემ შეურაცხყო დედამისი კანაში საქორწინო ლხინის დროს, ჯვარცმისას კი სილაჩრე გამოაცალინა, როცა ღმერთს შეჰღაღადა, რისთვის მიმატოვეო. მან გაითამაშა თავისი სიკვდილი, სინამდვილეში მხოლოდ გონება დაკარგა, შემდეგ მოცოცხლდა და ქაშმირში გაემგზავრა, სადაც ქადაგებდა 120 წლის ასაკამდე. ბოლოს იქვე გარდაიცვალა. აჰმადის მიმდევრები დღესაც გიჩვენებენ მის საფლავს შრინგარში.

კრეგის აზრით, მირზა გულიამ აჰმადმა დამლუპველი გავლენა მოახდინა მუსლიმებზე, სწორედ მისი მოძღვრება გახდა იმის მიზეზი, რომ მუსლიმთა მტრული განწყობა ქრისტიანებისადმი ერთიორად გაიზარდა (Cragg, 1956:251).

მირზას არაორთოდოქსული მოძღვრება

აჰმადმა თავის მიმდევართა ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მან უარყო ორთოდოქსული ისლამის ზოგიერთი დებულება, კერძოდ, რწმენისაგან განდგომილთა სიკვდილით დასჯისა და „საღვთო ომის", როგორც შეიარაღებული კონფლიქტის, აუცილებლობა. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ ისლამი, მისი აზრით, ტრადაციული ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, მშვენიერად ესადაგება თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს.

აჰმადიელთა მოძრაობის გავრცელება

მიუხედავად იმისა, რომ 1974 წელს პაკისტანის უმაღლესმა სასამართლომ აჰმადიელთა მოძრაობა არამუსლიმურად გამოაცხადა, იგი კვლავაც წარმატებით ვრცელდება მთელს მუსლიმურ სამყაროში, ახლო აღმოსავლეთის გამოკლებით. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ამ მიმდინარეობის განხილვა, რადგან ის საკმაოდ პოპულარულია. მას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

ქრისტიანების გამოწვევა

ამ კატეგორიის მუსლიმებთან მუშაობა დიდ სიყვარულს, მოთმინებასა და სიმტკიცეს მოითხოვს. აჰმადიალებმა კარგად იციან ბიბლია და ცდი-

ლობენ ეს ცოდნა მისი დისკრედიტაციისათვის გამოიყენონ. ისინი ეძებენ ბიბლიაში პრობლემურ ტექსტებს, შეუსაბამობებს, ლოგიკურ შეცდომებს.

როდესაც 1974 წელს ეს სექტა ოფიციალურად გამოცხადდა არაისლამურად, აჰმადიელებმა ქრისტიანებთან დიალოგის გზა აირჩიეს, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ამ წიგნის ავტორის დაკვირვებებიდან.

ურთიერთგაგების სფეროები

ვცდილობდი, რომ სიმპატია აღმეძრა საკუთარ თავში ამ სექტის მიმდევართა მიმართ და მოვიძიე ჩვენი ურთიერთგაგების სფერო. პირველი, ესაა შარიათის უკიდურესად სასტიკი ორთოდოქსული კანონების უარყოფა მათი მხრიდან (რწმენისაგან განდგომილებისა და ჯიჰადის თაობაზე). მეორე – მცდელობა, შეათანხმონ რელიგია მეოცე საუკუნის ტექნოლოგიურ და მეცნიერულ მიღწევებთან.

ბიბლიისა და ყურანის ცოდნის აუცილებლობა

მაგრამ არსებობს სფეროები, სადაც ქრისტიან მისიონერს დიდი ოსტატობა მართებს, რომ დაამტკიცოს აჰმადის მოძღვრების უსაფუძვლობა როგორც ყურანზე, ისე ბიბლიაზე დაყრდნობით. ამისათვის კი მისიონერი კარგად უნდა იცნობდეს ბიბლიასაც და ყურანსაც, რათა აჩვენოს მუსლიმებსა და ქრისტიანებს, რომ ორივე რელიგიის თანახმად, აჰმადი ცრუწინასწარმეტყველია.

ორთოდოქსული ისლამის პოზიციებიდან შეიძლება წარმოვაჩინოთ, რომ აჰმადის მოძღვრება არ შეესაბამება ყურანის კანონიკურ ტექსტს.

ქრისტიანმა მისიონერმა ყურანის საუკეთესო ცოდნა უნდა გამოამჟღავნოს შემდეგ დებულებათა დასამტკიცებლად:

1. ორთოდოქსული ისლამის მოძღვრების თანახმად, შეუძლებელია მუჰამედის შემდეგ წინასწარმეტყველის გამოჩენა. მუჰამედი „წინასწარმეტყველთა ბეჭედია“, ანუ უდიდესი და უკანასკნელი წინასწარმეტყველი: „მუჰამედი არ ყოფილა რომელიმე თქვენგანის მამა, არამედ მხოლოდ ალაჰის წარგზავნილი და წინასწარმეტყველთა ბეჭედი – ალაჰი ყოვლისმცოდნეა!“ (ყურანი, 33:40). აი, ამ მუხლის მუსლიმთათვის ტიპიური კომენტარი: „წმიდა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა დაასრულა მოციქულთა გრძელი რიგი. უფლის მოძღვრება ვითარდება და კვლავ

განვითარდება, მაგრამ აღარ იქნება წინასწარმეტყველი მუჰამედის შემდეგ" (Yusuf Ali, 1977:1119, სქოლიო 3731).

2. საღვთო ომი – ყოველი მართლმორწმუნე მუსლიმის წმიდათაწმიდა მოვალეობაა: „დაწერილია თქვენთვის ბრძოლა, თქვენ კი გძულთ იგი. შეიძლება თქვენ გძულთ რაიმე, მაგრამ მას სიკეთე მოაქვს თქვენთვის, და შეიძლება გიყვართ ის, რაც ბოროტებას შეგამოხვევთ, – ჭეშმარიტად ალაჰმა უწყის, თქვენ კი არა!" (ყურანი, 2:212-213(216).

3. რწმენისაგან განდგომის სასჯელი ორთოდოქსული ისლამის მიხედვით სიკვდილია:" თუ კი ისინი განდგებიან, შეიპყარით და დახოცეთ, სადაც მოასწრებთ" (ყურანი. 4:91 (89). ცნობილი მუსლიმი კომენტატორი ბაიდავი ამ სურის შესახებ წერდა: „ვინც კი განუდგება თავის რწმენას, აშკარად თუ ფარულად, შეიპყარით და მოჰკალით, ვინც წააწყდებით, ისევე როგორც ყველა სხვა ურჯულო" (Zwemer, 1924:33).

ვის ავტორიტეტს ეყრდნობიან აჰმადიელები

აჰმადიელებს ყოველთვის უსვამენ კითხვას: „ვის ავტორიტეტს ეყრდნობა თქვენი უცნაური მოძღვრება?" ცხადია, რომ ეს ავტორიტეტი არ არის ერთადერთი ოფიციალური საღვთო წერილი, რომელიც ისლამს გააჩნია – ყურანი.

მირზა – მესია

როდესაც ეხება აჰმადიელთა გამოხტომებს ქრისტიანული მოძღვრების წინააღმდეგ და, უპირველეს ყოვლისა, მირზა გულიამ აჰმადის პრეტენზიებს, რომ იგი მეორედ მოსული ქრისტეა, მისიონერს დიდი მოთმინება მართებს. უფრო დეტალურ რეკომენდაციებს აჰმადიელთა გამოხტომებისაგან თავდაცვის შესახებ მკითხველი წიგნის შემდეგ ნაწილში გაეცნობა.

ქრისტიანმა უნდა აჩვენოს აჰმადიელებს, რომ არც ბიბლია და არც მთელი შემდგომი ქრისტიანული ისტორია არ ადასტურებს გულიამ აჰმად მირზას უცნაურ პრეტენზიებს.

ამისათვის ქრისტიანს შრომატევადი სამუშაოს ჩატარება მოუწევს ბიბლიის ავთენტურობისა და ღვთიეშთაგონებულობის არგუმენტების დასაბუთებლად. ესეც წიგნის შემდგომ ნაწილშია განხილული.

დაადასტურებს რა ბიბლიის უტყუარობას, შემდეგ ქრისტიანმა მასზე

დაყრდნობით მირზა გულიამ აჰმადის პრეტენზიები უნდა გააბათილოს. პირველ რიგში მან ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ხასიათები უნდა შეისწავლოს, რაც კარგად წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ მირზა გულიამ აჰმადი არ აკმაყოფილებს ბიბლიური წინასწარმეტყველის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ქრისტიანი მისიონერისათვის არაეითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ბიბლიაზე დაყრდნობით იმის დამტკიცება, რომ იესო მართლა გარდაიცვალა ჯვარცმის დროს, დაიფლო, აღდგა და მისი ზეცად ამაღლება უამრავმა ადამიანმა იხილა (1 კორ. 15:4-8). აღარაფერს ვამბობთ ორმოცდამეათე დღეს სულიწმიდის გარდმოვლენაზე, იმ სულიწმიდისა, რომელიც დღესაც ჩვენს შორისაა. სასწაულებრივი კურნება, ბოროტისაგან განთავისუფლება და სხვა ნიშნები უტყუარად ადასტურებენ ღვთის სასუფეველის რეალურ არსებობას.

ქრისტიანმა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ბიბლიურ წინასწარმეტყველებაზე დაყრდნობით იოლად შეიძლება უარყოს აჰმადის აბსურდული პრეტენზია.

ჩვენ გირჩევთ, ბიბლიიდან შემდეგი ფრაგმენტების გამოყენებას: „მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ზეცაში და მაშინ მოჰყვება მოთქმას დედამიწის ყველა ტომი, და იხილავენ კაცის ძეს, ცის ღრუბლებზე მომავალს, დიადი ძალითა და დიდებით. მოავლინებს თავის ანგელოზებს დიდხმიანი საყვირით და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხივე ქართაგან, ცათა კიდეთაგან მათ კიდეებამდე“ (მათე, 24:30-31);

„ვინაიდან თვითონ უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვირზე და ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღსდგებიან. შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ“ (1 თეს. 4:16-17);

„ხოლო უფლის დღე ქურდივით მოვა და მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაიელიან, გავარვარებული კავშირები დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება“ (2 პეტრე, 3:10).

ის სასწაულები და ნიშნები, მოწიწება, შიში, ძალა და დიდება, რაც ქრისტეს მეორედ მოსვლას ახლავს თან, იმდენად ყოვლისმომცველია და ადვილად გამოსაცნობი, რომ ნებისმიერი ცრუპრეტენდენტის პრეტენზიები მასთან შედარებით სასაცილოდ გამოიყურება. რადგანაც აჰმადიელები

ეგზალტირებული და ოსტატური მოკამათეები არიან, ქრისტიანი მისიონერი კარგად უნდა მოემზადოს მათთან შესახვედრად და მოხერხებულად გამოიყენოს თავისი ცოდნა.

აჰმადიელთა მოძრაობის დამარცხება შესაძლებელია

აჰმადის დამარცხება იოლად შეიძლება სამი მიზეზის გამო. პირველ რიგში იმის გამო, რომ მათი პოზიცია არ ეფუძნება ყურანს. მათ არა აქვთ მყარი საფუძველი და მხოლოდ ამ მოძრაობის დამაარსებლის ავტორიტეტს ეყრდნობიან. ყურანი, როგორც უმაღლესი ავტორიტეტი, მათ ფაქტიურად უარყვეს.

მეორე — ისინი ოფიციალურად არიან კანონგარეშედ გამოცხადებულნი ორთოდოქსული ისლამის მიერ და არ ითვლებიან მუსლიმებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ არ გააჩნიათ რეალური ბაზა ისლამში. ისინი იზოლირებულნი არიან და იდევნებიან ორთოდოქსი მუსლიმების მიერ. საკუთარი იზოლაციის შეგრძნება ბევრ მათგანს ქრისტიანებთან დაახლოებისაკენ უბიძგებს.

მესამე — ისინი კარგად იცნობენ ბიბლიას, რომელსაც საკუთარი მოძღვრების შესაქმნელად იყენებენ. ქრისტიან მისიონერს ისღა დარჩენია, რომ ბიბლიის რწმენა ჩაუნერგოს მათ და აჩვენოს, რომ ბიბლიის ნდობა შეიძლება.

ზემოთ თქმულს ისიც შეიძლება დავუმატოთ, რომ რადგან ღვთის სასუფეველი ბიბლიის თანახმად თავისი არსით სულიერი სამეფოა, არ არსებობს არავითარი განხეთქილება ბიბლიასა და თანამედროვე მეცნიერულ ცოდნას შორის. ამგვარი თვალსაზრისი ხომ (რელიგიისა და მეცნიერული პროგრესის შეთანხმება) მირზა გულიამ აჰმადის მოძღვრების ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი იყო.

რა თქმა უნდა, ჩვენი მსახურების სხვა პრინციპებიც არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი, დავეხმაროთ მას ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში, რითაც დავამოწმებთ სულიწმიდის არსებობას, და იმავდროულად უნდა ვილოცოთ, რომ უფალმა გაანთავისუფლოს ისინი იმ მცდარი შეხედულებებისაგან, რომელიც ცრუწინასწარმეტყველის მოძღვრებამ მოახვიათ თავს.

ნაწილი 6
კამათის სფერო

შესავალი

მუსლიმები უხსოვარი დროიდან ცდილობენ ეჭვ ქვეშ დააყენონ ქრისტიანული მოძღვრების დოგმატები და ბიბლიის აუტორიტეტი. მათმა უსაფუძვლო ბრალდებებმა შეიძლება თქვენი აღშფოთება გამოიწვიოს და წონასწორობაც კი დაგაკარგვინოთ მათთვის საწინააღმდეგოს დამტკიცების მცდელობისას.

მუსლიმებთან დისკუსიაში ჩაბმისას მისიონერს აუცილებლად უნდა ახსოვდეს შემდეგი პრინციპები:

მუსლიმის გულის მოგება საქმით უფრო იოლია, ვიდრე სიტყვით. მხოლოდ ქრისტეს არსებობამ თქვენს ცხოვრებაში შეიძლება მოიზიდოს მუსლიმი ქრისტიანობისაკენ.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, პასუხი გავცეთ მუსლიმთა შეკითხვებს. ისინი აღტაცებაში მოჰყავს უფალთან დაკავშირებული მტკიცებების გაბედულებას.

მოგვყავს ფრაგმენტები საღვთო წერილიდან, რომლებიც აუცილებლად გამოგადგებათ დისკუსიისათვის მზადებაში:

„წმიდა ჰყავით ქრისტე, როგორც უფალი, თქვენს გულებში და მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ. კეთილი სინდისი გქონდეთ, რათა, რისთვისაც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში შერცხვენენ ქრისტეში თქვენი კეთილი ქცევის შეურაცხმყოფელნი" (1 პეტრე, 3:15-16).

მთავარია, თქვენი საქმე და ფიქრი ქრისტეს დაუქვემდებაროთ. ქრისტეა ჩვენი უფალი. მუსლიმთა შემოტევები საბოლოო ჯამში მის წინააღმდეგაა

მიმართული. მხოლოდ უფლის თაყვანისცემითა და მასზე ფიქრით შეგვიძლია მოვიპოვოთ შინაგანი ძალა, რათა შეეპასუხოთ მოწინააღმდეგეს მშვიდად და თავმდაბლად.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მოიხსენიება ის თვისებები, რომელიც მუსლიმებთან მოკამათე ქრისტიანს უნდა ახასიათებდეს:

„მონას ღვთისას კი არ მართებს ჩხუბი, არამედ წყნარი უნდა იყოს ყველას მიმართ, დამმოძღვრავი, შემწყნარე. სიმშვიდით არწმუნებდეს მოწინააღმდეგეთ, ვინძლო მისცეს მათ უფალმა მონანიება ჭეშმარიტების შესაცნობად, რათა გათავისუფლდნენ ეშმაკის მახისაგან, რომელმაც თავის ნებაზე დაატყვევა ისინი“ (2 ტიმ. 3:24-26).

სიმშვიდეს თან უნდა ახლდეს მუსლიმთა დამოძღვრის უნარი. ეს საქმე უნდა გავაკეთოთ ანთებულებმა სურვილით, რომ მან უარყოს თავისი მცდარი გზა და მოიქცეს გულწრფელი მონანიებისა და ჭეშმარიტებისაკენ. ჩვენი მტერი მუსლიმი კი არ არის, არამედ სატანა, რომელმაც დაიმორჩილა მისი ნება. გავიხსენოთ იესოს სიტყვები ლუკას სახარებიდან: „მან... მომავლინა... ტყვეთათვის თავისუფლების... გამოსაცხადებლად“ (ლუკა, 4:18). უნდა აღვნიშნოთ, რომ ტიმოთესადმი მიწერილ წერილში პავლე გვაფრთხილებს, წარმატება სულაც არაა გარანტირებული და ყველაფერი უფლის ნებას უნდა მივანდოთო. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ადამიანის გულის შეცვლა მხოლოდ უფალს შეუძლია.

უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, აგრეთვე, კოლასელთა მიმართ წერილის შემდეგი მუხლი: „თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლიანი იყოს, მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ, ვის რა პასუხი გასცეთ“ (კოლ. 4:6). მადლის წყარო კი მხოლოდ ჩვენში არსებული ქრისტე შეიძლება იყოს. მარილში კი აქ იგულისხმება დამაკმაყოფილებელი და საკადრისი პასუხის გაცემის უნარი მუსლიმებისათვის. ამისათვის კი წმიდა წერილის ცოდნა, სულიწმიდის შემწეობა და საკუთარი რწმენის ნათლად განმარტების უნარია საჭირო.

ლოცვის მადლით სიბრძნე მოგვმატებათ. პაელე მოციქული წერდა: „ილოცეთ... ჩემთვისაც, რათა მომეცეს სიტყვა და ჩემი პირით თამამად ვაუწყო სახარების საიდუმლო“ (ეფეს. 6:19). არასრულყოფილ ადამიანურ ბუნებას არ პყოფნის არც სიმამაცე და არც მჭევრმეტყველება, მაგრამ უფალი გაძლევს ძალას და მადლიან სიტყვას, რათა ეუპასუხოთ მუსლიმთა ბრალდებებს. ამაში ჩვენი ძმების ლოცვაც მოგვეხმარება.

იესო გვაგზავნის ჩვენ, ჭეშმარიტად, როგორც კრავებს მგელთა შორის (მათე, 10:16). ჩვენ ვერ გამოვიყენებთ მიწიერ იარაღს. ადამიანური პოზიციებიდან ამგვარი მტრის წინააღმდეგ ჩვენ განიარაღებულნი ვართ. თუმცა სულიერი პოზიციებიდან ლოცვის პრივილეგია გაგვაჩნია. ამ ლოცვის საპასუხოდ ანგელოზები ეშვებიან ციდან ჩვენს დასახმარებლად (დან. 10:4;11; ებრ.1:14).

ჩვენ ხელთ გვიპყრია უფლის სიტყვა, რომელიც არის „სულიერი მახვილი" (ეფ. 6:17). ასეთი სიტყვაა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახარება, რომელზეც ნათქვამია, რომ „ღვთის ძალაა იგი ყოველი მორწმუნის სახსნელად... (რომ. 1:16). ეს სიტყვაა, აგრეთვე, „ჭეშმარიტება" (იოანე 17:17), იესომ კი აგვიხსნა, რომ ჭეშმარიტება იხსნის ადამიანებს. და ბოლოს, ჩვენ გვყავს ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელიც ცხოვრობს ჩვენში და იბრძვის ჩვენი გულისათვის, გვიცავს რა ყოველგვარი მტრული ძალისაგან (ლუკა, 10:19).

დასკვნა

მუსლიმის ქრისტეს რჯულზე მოქცევისათვის უნდა გამოვიყენოთ ის მძლავრი იარაღი, რომელიც ქრისტემ გვიბოძა. ის თავადაა ჩვენი ძალა, იგი ეპასუხება ჩვენს ლოცვებს და გვანიჭებს კურნებისა და სატანის ტყვეობაში მყოფთა განთავისუფლების უფლებას. ჩვენ მოწოდებულნი ვართ „...სიმაგრეთა დასანგრევად... ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ..." (2 კორ. 10:4-5). საბოლოო ჯამში ისლამი დაემხობა, რადგან იგი ღვთის ცხებულის, მაცხოვრის, ჩვენი უფლის — იესო ქრისტეს წინააღმდეგ გამოდის. მოდით, შევიარაღდეთ მისი ძალით ტყვეთა გასანთავისუფლებლად.

ძირითადი უთანხმოებანი

ა. ქრისტიანული მოძღვრებისა და ბიბლიის კრიტიკა მუსლიმთა მიერ

1. ღვთის სიტყვის კრიტიკა.

2. ქრისტეს ღვთაებრივობის უარყოფა.

3. ღვთის განკაცების უარყოფა.

4. ცოდვათა შენდობის შესახებ მოძღვრების კრიტიკა.

5. ჯვარცმასთან დაკავშირებული დოგმატების კრიტიკა.

6. სამების უარყოფა.

ბ. მუჰამედის პრეტენზიები

1. მუჰამედი თავს წინასწარმეტყველად აცხადებს.

2. მუჰამედი ამტკიცებს, რომ მისი მოელინება ქრისტემ ისინასწარმეტყველა.

3. მუჰამედი თავს „წინასწარმეტყველთა შეჭდად" თელის.

4. მუჰამედი ითხოვს, რომ მის სიტყვას დაეთორჩილონ.

5. მუსლიმები ამტკიცებენ, რომ მრავალი მიბლიური წინასწარმეტყველება მუჰამედს ეხება.

6. მუსლიმები მუჰამედის პოზიციის გასამტკიცებლად მარნამას სახარებას იუნებენ.

გ. მუჰამედის მტკიცებანი ყურანის შესახებ.

1. ყურანი ადასტურებს მის შექმნამდე არსებულ საღვთო წერილის ქეშმარიტებას.

2. ყურანი ტოლს არ უდებს მის შექმნამდე არსებულ საღვთო წერილს.

3. ყურანი აღემატება მის შექმნამდე არსებულ საღვთო წერილს.

4. ყურანის სიტყვები ღმერთს ეკუთვნის და არა მუჰამედს.

თავი XXIX

საღვთო წერილის კრიტიკა

1. ბიბლიის კრიტიკა მუსლიმთა მიერ და ქრისტიანის პასუხები

მუსლიმური სამყაროს რომელ კუთხეშიც არ უნდა მოხვდეთ, ყველგან გაიგონებთ იმ ბრალდებებს, სახარების მიმართ ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ.

მუსლიმები ცდილობენ დაამცირონ ბიბლია. ისინი აფრთხილებენ თავიანთ თანამოძმეებს, რომ არ შეიძლება ბიბლიის არც ყიდვა და არც წაკითხვა, რადგან ის ადამიანს ჭეშმარიტი გზიდან გადააცდენს. როდესაც ჩვენ ვეკითხებით ამის მიზეზს, ისინი პასუხობენ, რომ დღევანდელი ბიბლია იმ წიგნებისგან როდი შედგება, რომელიც უფალმა წინასწარმეტყველებს — მოსეს, დავითსა და იესოს — მისცა, ჩვენმა წინაპრებმა შერყვნეს და დაამახინჯეს ორიგინალი. ვცდილობ ყურანში იპოვით ბიბლიის მნიშვნელობის, მისი შექმნის ისტორიისა და მისი არსის განმარტებას.

ყურანი არ შეიცავს საღვთო წერილის კრიტიკას

თავად ყურანში, საინტერესოა აღინიშნოს, რომ არსად არაა საუბარი ბიბლიის ტექსტის შეცვლაზე, თუმცა ზოგიერთ ადგილას მუჰამედი ბრალს სდებს წარმართებს მისი საკუთარი სიტყვების დამახინჯებაში, იუდეველებს კი — საღვთო წერილის სიტყვების გადასმასა და არასწორ წარმოთქმაში; მაგრამ არსად არ ლაპარაკობს იგი ორიგინალის შეცვლაზე. როგორც ცნობილი მქადაგებელი აკბარ ჰაკი ამტკიცებს, ისლამის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ბიბლია ჯერ კიდევ არ იყო ნათარგმნი არაბულ ენაზე, მუსლიმებს არ შეეძლოთ მისი ტექსტის დამახინჯებაზე საუბარი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელში ჩაუვარდათ ბიბლიის ნუსხები, დაიწყეს მუსლიმებმა მისი შედარება ყურანთან და აღმოაჩინეს, რომ მრავალი

მოვლენა იქ სხვანაირადაა გადმოცემული. მუჰამედის გარდაცვალებიდან 90-150 წლის შემდეგ მუსლიმთა შორის განმტკიცდა რწმენა ყურანის ჭეშმარიტების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით მათ იუდეველებსა და ქრისტიანებს საღვთო წერილის დამახინჯების ბრალდება წაუყენეს (Hagg, 1980:38).

მაგრამ ეს ბრალდება ეწინააღმდეგება მუჰამედის სიტყვებს საღვთო წერილის შესახებ; მოდით, განვიხილოთ ზოგიერთი მისი მტკიცება. აქვე გვინდა განვაცხადოთ, ყურანზე დაყრდნობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ის წმინდა წიგნად მიგვაჩნია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ერთი რამ: თუ მუსლიმები პატივს სცემენ ყურანს, უნდა აღიარონ მისი დამოწმება ბიბლიის ჭეშმარიტების თაობაზე.

ყურანი ადასტურებს საღვთო წერილის ჭეშმარიტებას

ღვთის სიტყვის შეცვლა შეუძლებელია:
„და არ არის ალაჰის სიტყვის შემცვლელი!“
(ყურანი, 6:34)
„...არ შეიცვლება ალაჰის სიტყვა, ეს დიდი გამარჯვებაა!“
(ყურანი, 10:65(64)).

სიტყვა, რომელიც მუჰამედს ღვთაებრივად მიაჩნია, მას წინა წერილის განსამტკიცებლად და დასაცავად მიეცა: „და ვუბოძეთ მას სახარება, რომელშიც არის სიმართლე და ნათელი, იმ ჭეშმარიტების დასამოწმებლად, რაც მანამდე გამოგვეცხადა თორაში; ღვთისმოსაეთა დასამოძღვრად და გზაზე დასაყენებლად“ (ყურანი, 5:50 (46));

და „ყურანი... იმ ჭეშმარიტების დასამოწმებლად, რაც მანამდე გამოგვეცხადა“ (ყურანი, 10:38(37));

აგრეთვე: „მანამდე გვებოძა მუსას (მოსეს) წიგნი — დამოძღვრად და წყალობად. ეს წიგნი კი (ყურანი) არაბულად ამოწმებს ჭეშმარიტებას“ (ყურანი, 46:11(12)).

მუსლიმებს ევალებოდათ, აგრეთვე, რომ დახმარებისათვის იუდაველებისა და ქრისტიანებისათვის უნდა მიემართათ: „თუ გაეჭვებს ის, რაც ჩვენ გიბოძეთ, ჰკითხე მათ, ვინც შენამდე კითხულობდა წერილს“ (ყურანი, 10:94).

უფრო მეტიც, მუჰამედი მოუწოდებდა იესოს და მასთან ერთად ყველა ქრისტიანს, განემტკიცებინათ საღვთო წერილის ცოდნა: „თქვი: „ო, წერილის მკითხველნო! ვერაფერს დაეყრდნობით, თუ არ დაიცავთ თორას და სახარებას, რომელიც თქვენმა უფალმა გიბოძათ“ (ყურანი, 5:72(68)).

და ბოლოს, ჩვენ ვკითხულობთ მუჰამედისადმი მიმართულ ბრძანებას, რომ ირწმუნოს მოსეს, იესოსა და წინასწარმეტყველებისათვის ბოძებული „წერილი“:

„თქვი: „ჩვენ ვირწმუნეთ ალაჰი და ის, რაც მან გვიბოძა, და რაც გამოეცხადა იბრაჰიმს, ისმაელს, ისაკს, იაკუბს და ტომებს, და რაც ებოძა მუსას და ისას და მათ წინასწარმეტყველებს. ჩვენ არ ვასხვავებთ მათგან არც ერთს და მისი ერთგულნი ვართ“ (ყურანი, 3:78(84)).

ეს ამორჩეული ადგილები ადასტურებენ ძველი და ახალი აღთქმის ჭეშმარიტებას, რომლებიც წინ უსწრებენდნენ ყურანს. მუჰამედი პატივს სცემდა წერილს და, როგორც თავად ამბობს, მის განსამტკიცებლად იყო გამოგზავნილი. მაგრამ ამ მუხლების გვერდით არის ყურანში ისეთი მუხლებიც, სადაც მუჰამედი თავის სიტყვებს ბიბლიის ღვთიშთაგონებული სიტყვების გვერდით აყენებს. ამას ქვემოთ დეტალურად გავაანალიზებთ.

მუსლიმთა მხრიდან საღვთო წერილის კრიტიკის უსაფუძვლობა

მიუხედავად იმისა, რომ ყურანში არაერთხელაა დადასტურებული საღვთო წერილის ძალა და ჭეშმარიტება, მუსლიმებს უკან არ მიაქვთ თავიანთი ბრალდებები და ამტკიცებენ, რომ ქრისტიანებმა დაამახინჯეს ბიბლია. ესაა ერთადერთი ხერხი, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ ახსნან ის მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობები, რომელიც ყურანისა და ბიბლიის ტექსტებს შორის გვხვდება. მუსლიმისათვის დაუშვებელია იმის გაფიქრებაც კი, რომ მუჰამედი შეიძლებოდა შემცდარიყო ან ის, რომ იგი არ იყო ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი. ამიტომ მისიონერის ვალია, მოიკრიბოს მოთმინება და აუხსნას მუსლიმს, რომ ჩვენი საღვთო წერილი ჭეშმარიტი და ღვთიშთაგონებული ტექსტების თარგმანთა კრებულს წარმოადგენს. ეს წიგნები მუჰამედის მოვლინებამდე გაცილებით ადრე დაიწერა, მათი ხელნაწერი ნუსხები დღესაც ინახება მუზეუმებში.

მისიონერი შეიძლება გაეცნოს შემდეგ გამოცემებს, რომლებშიც ბრწყინვალედაა დადასტურებული დღევანდელი საღვთო წერილის ჭეშმარიტება: A. Akbar Abdul-Hagg. Share Your Faith with a Muslim. Josh Mc-Dowell, John Gilchrist. The Islam Debate da W.S.Clair - Tisdall. Christian Reply to Muslim Objections.

ქვემოთ მოგვყავს ამ ავტორთა მიერ წამოყენებული დებულებანი წმიდა წერილის დასაცავად:

1. ბიბლიის არსებული ტექსტი ეფუძნება სულ ცოტა 30 ათას დოკუმენტს, რომლებიც მუჰამედის მოვლინებამდე გაცილებით ადრეა დაწერილი.

2. ძველი აღთქმის ტექსტები, რომლებიც მკვდარი ზღვის მიდამოებში აღმოჩენილ ხელნაწერებშია შემორჩენილი და ჩვ. წ. აღ-ის I საუკუნით თარიღდება, მთლიანად ემთხვევა ბიბლიის დღევანდელ ტექსტს.

3. არ არსებობს არც ერთი ისტორიული ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩვენამდე შემონახული ბიბლიის ტექსტი განსხვავდება მუჰამედის ეპოქაში არსებული ტექსტისაგან.

4. ბიბლიის მრავალი ისლამამდელი სხვადასხვა ენაზე შესრულებული ხელნაწერია გამოფენილი მსოფლიოს მუზეუმებში.

5. განსხვავებანი ბიბლიის ხელნაწერ ტექსტებს შორის ადვილად აიხსნება, როგორც გადამწერთა შეცდომები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ ცვლიან ქრისტიანული მოძღვრების დოგმატებს.

6. განსხვავებანი ბიბლიურ ტექსტებს შორის მთარგმნელობითი მეთოდის სხვაობით არის გამოწვეული. მაგრამ მთარგმნელის გემოვნება, რომელიც ამა თუ იმ სიტყვას ანიჭებს უპირატესობას, არ ცვლის საღვთო წერილის დოგმატებს.

7. თუ მუსლიმები ჯიუტად განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ებრაელებმა და ქრისტიანებმა დაამახინჯეს ბიბლიის ტექსტი, მათ უნდა:

ა) წარმოადგინონ დაუმახინჯებელი ორიგინალი;

ბ) განმარტონ, ვინ დაამახინჯა ორიგინალი;

გ) დაადგინონ შესწორებათა შეტანის ქრონოლოგია;

დ) ზუსტად მიუთითონ, რაში გამოიხატებოდა ორიგინალური ტექსტის დამახინჯება.

ალბათ ღირს გავიხსენოთ, რომ სატანაც აცდუნებდა ადამს და ევას, როდესაც ცდილობდა, ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაში დაეეჭვებინა ისინი.

როცა ეშმაკი ცდიდა ქრისტეს უდაბნოში, იესო თავისი სიტყვებით კი არ პასუხობდა მის შეკითხვებს, არამედ ძველი აღთქმიდან აღებული ფრაზებით. არ უნდა დავუშვათ, რომ მოტყუებით დაგვაცილონ საღვთო წერილს, მიებაძოთ იესოს. გავიხსენოთ მისი პასუხები სატანის შეკითხვებზე. მან სამჯერ ახსენა: „დაწერილია...“ და პასუხობდა თორადან.

2. ქრისტეს ღვთაებრიობის უარყოფა მუსლიმთა მიერ და ქრისტიანის პასუხები

არც ერთი ქრისტიანული დოგმატი არ იწვევს ისეთ გაღიზიანებას მუსლიმთა შორის, როგორც მოძღვრება ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების შესახებ. ცდილობენ რა, დაიცვან ღვთის ერთადერთობა, ისინი ამტკიცებენ, რომ ალაჰს სწორი არ ჰყავდა. მუჰამედი ისე შორს წავიდა, რომ ღმერთთან სხვა არსის გაერთიანება ერთადერთ მიუტევებელ ცოდვად გამოაცხადა (შირკი). ბუნებრივია, რომ მუსლიმები იესოს მხოლოდ წინასწარმეტყველად თვლიან. იესო ყურანში მოხსენიებულ ყველა სხვა წინასწარმეტყველს აღემატება (და საბოლოო ჯამში, მუჰამედსაც), თუმცა მუჰამედი დაჟინებით ადგას იმ აზრს, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ წინასწარმეტყველი იყო. განვიხილოთ ყურანის რამდენიმე ფრაგმენტი, სადაც უარყოფილია ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება:

„არა სწამთ იმათ, ვინც ამბობს, რომ ალაჰი – ეს მესიაა, მარიამის ძე – თქვი: „ვინ დაუშლის ალაჰს, დაღუპოს მესია, მარიამის ძე, თუკი მოისურვებს?“ (ყურანი, 5:19(17).

ამ მუხლში მუჰამედი არა მარტო ქრისტეს ღვთაებრიობას უარყოფს, უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ ალაჰს შეუძლია დაღუპოს იგი, თუ კი მოისურვებს. მამა ღმერთისა და ქრისტეს ერთიანობის იდეა მიუწვდომელი დარჩა მუჰამედისათვის.

ქრისტეს ღვთაებრივ წარმოშობას მუსლიმები უარყოფენ ყურანის იმ მუხლებზე დაყრდნობით, სადაც ნათქვამია, რომ ღმერთს არ შეიძლება ჰყავდეს ძე. მუსლიმები თვლიან, რომ იესო დაიბადა ჩვეულებრივი ქორწინების შედეგად. შეადარეთ შემდეგი ფრაგმენტები: „მათ თქვეს: „აიყვანა ალაჰმა თავისთვის ბავშვი“ – დიდება მას! მას ეკუთვნის ყველაფერი ზეცაში და დედამიწაზე! ყველა მას ემორჩილება!“ (ყურანი, 2:110(116);

„და თქვეს ქრისტიანებმა: „მესია – ალაჰის ძეა“. ეს სიტყვები ურწმუნოთა სიტყვებს წააგავს. ალაჰმა შეაჩვენოს ისინი! რა საძაგელნი არიან!“ (ყურანი, 9:30);

„არ ეგების ალაჰს შვილების ყოლა, დიდება მის სახელს! როცა ის რაიმეს გადაწყვეტს, მხოლოდ იტყვის: „იქმენინ!“ და ისიც იქმნება“ (ყურანი 19:36(35);

„თქვი: „ალაჰი ერთია, ალაჰი მარადიულია; არ უშობია და არ შობილა, და არავინ იყო მისი ტოლი და სწორი“ (ყურანი, 112:1-4).

ყველა ეს ადგილი გვიჩვენებს, თუ რა გააფთრებით იცავდა მუჰამედი ღვთის ერთადერთობას. მისთვის ღვთის გამოცხადება მამად, რომელსაც ვაჟიშვილი ჰყავდა, მკრეხელობა იყო; იმის აღიარება, რომ უფლისგან იშვა ძე, მისი დიდების დამცირებას ნიშნავდა. ღმერთი ხომ მხოლოდ სიტყვით მოქმედებს. ალაჰისაგან არავინ შობილა და არც თვითონ იყო ნაშობი.და მაინც, გასაოცარია, რომ ყურანის ზოგიერთ მუხლში საუბარია იესოზე, უფრო როგორც ღვთაებრივ არსებაზე, ვიდრე წინასწარმეტყველზე. ასე მაგალითად, მუჰამედი და ყველა მუსლიმი თაყვანს სცემენ იესოს დაბადებას ქალწულისაგან. ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტებში ნახავთ გასაოცარ მტკიცებებს იესოს შესახებ: „და, აი, თქვეს ანგელოზებმა: „ო, მარიამ! ჭეშმარიტად ალაჰმა შეგიყვარა, განგწმინდა და გამოგარჩია სამყაროს ყველა ქალთაგან“ (ყურანი, 3:37(42)).

„და თქვეს ანგელოზებმა: „ო, მარიამ! აი, ალაჰი გახარებს მის სიტყვას, რომლის სახელიცაა მესია ისა, მარიამის ძე“ (ყურანი, 3:40(45)).

აქ არა მხოლოდ უმანკო ჩასახვაა აღიარებული, არამედ საუბარია მასზე, როგორც ღვთის სიტყვაზე, რომელიც მარადისობაში ახლოა უფალთან.

ყურანი იესოს სხვა ღვთაებრივ თვისებებზეც ამახვილებს ყურადღებას: „მე მოვედი თქვენთან თქვენი უფლის სახელით; თიხიდან გამოვძერწავ ჩიტს; სულს ჩავბერავ და გავაცოცხლებ ღვთის ნებით. განკურნავ ბრმასა და კეთროვანს და გავაცოცხლებ მკვდარს უფლის ბრძანებით. გეტყვით, რა ჭამოთ და რა შეინახოთ სახლებში...“ (ყურანი, 3:43(49)).

ამ ადგილის თანახმად იესოს აქვს შემოქმედის ძალა, მას შეუძლია უძლურთა განკურნება და მკვდრების გაცოცხლება, აქვს აგრეთვე ნათელხილვის უნარი. შემდეგ პასაჟში ჩვენ ვკითხულობთ, რომ იესო ცოცხლად აიტაცა უფალმა ზეცაში:

„არა, ალაჰმა წაიყვანა ის თავისთან: ალაჰი ხომ დიდია და ბრძენი“ (ყურანი, 4:156(158)).

ქვემოთ მოყვანილ ადგილში კი ნათქვამია, რომ იესო ღვთისაგან გამომავალი სულია: „ო, წერილის მქონენო! ზედმეტს ნუ იზამთ თქვენს რწმენაში; ილაპარაკეთ ღმერთზე მხოლოდ ჭეშმარიტება. მესია ისა (იესო),

მარიამის ძე, მხოლოდ ღვთის წარგზავნილია, მარიამში ჩასახული მისი სიტყვა, რომელიც უფლის სულია...“ (ყურანი, 4:169(171)).

ყურანში იესოს ეწოდება, აგრეთვე, „წმიდა ყრმა“ და ნათქვამია, რომ ის არის ნიშანი ყველა ადამიანისათვის, ნიშანი, რომელიც ღვთის წყალობას გვაცნობს: „მე მხოლოდ უფლის წარმოგზავნილი ვარ, შენთვის წმიდა ყრმის საბოძებლად“ (ყურანი, 19:19).

და კიდევ: „...და ვაქცევთ ჩვენ მას ნიშნად ყველა ადამიანისათვის და წყალობად. ეს საქმე გადაწყვეტილია“ (ყურანი, 19:21);

„და ის, რომელმაც დაიცვა თავისი სიქალწულე... და ჩვენ ჩავბერეთ მას სული და ვაქციეთ ის და მისი ძე ნიშნად მთელი სამყაროსათვის“ (ყურანი, 21:91).

ყველა ამ ადგილას იესო გამოყვანილია როგორც მესია, რომელსაც აქვს შემოქმედის ძალა, კურნავს და მკვდრეთით აღადგენს. მას ეწოდება: „ღვთის სიტყვა“, „ღვთის სული“, „წმიდა ყრმა“. მას თაყვანისცემა და დიდება ეკუთვნის ამ ცხოვრებაში, საუკუნო სასუფეველში კი — ღმერთთან სიახლოვე.

ეს ადგილები დიდ გაჭირვებაში აგდებს მუსლიმებს. როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, მუჰამედი ქრისტეს მხოლოდ მოციქულად აცხადებს, მეორე მხრივ, კი, მას ისეთ თვისებებს მიაწერს, რომელიც ოდენ ღმერთს შეიძლება ახასიათებდეს. ამიტომ, როცა ყურანის მცოდნე მუსლიმთან გექნებათ საქმე (ბევრი მუსლიმი არ იცნობს ყურანს), პირველ რიგში ამ ფრაგმენტებზე მიუთითეთ და სთხოვეთ მათი განმარტება. ზოგი გეტყვით, რომ ეს მუხლები სხვანაირად უნდა წაიკითხოთ, მაგრამ ზოგიერთი შეიძლება გაოცდეს და დაფიქრდეს იმაზე, თუ ვინ იყო სინამდვილეში იესო. დოქტორ აკბარ ჰაკის აზრით, ყურანში გვაქვს დებულებები როგორც ქრისტეს ადამიანური ბუნების, ისე მისი ღვთაებრივი არსის სასარგებლოდ (Hagg, 1980:114).

როდესაც ყურანს მიმართავთ თქვენს ქადაგებაში, გახსოვდეთ, რომ ეს საღვთო წერილის გულისათვის კეთდება. ყურანი მოუწოდებს მუსლიმებს, რომ თაყვანი სცენ საღვთო წერილს და თქვენ უნდა დაეხმაროთ მათ, გაიგონ, თუ რა წერია ბიბლიაში ქრისტეს შესახებ. რასაკვირველია, თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ საღვთო წერილის იმ ადგილებს, სადაც ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებაზეა საუბარი. თქვენ შეგიძლიათ ფრაგმენტთა საკუთარი ნუსხა შეადგინოთ ქვემოთ მოყვანილი ციტატები კი ამოსავალ წერტილად გამოიყენოთ. ჩვენი აზრით, მათ განსაკუთრებული სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მუსლიმებისათვის:

„ამოდის ვარსკვლავი იაკობისგან (და არა ისმაელისა და მისი ძეებისაგან) და იმართება კვერთხი ისრაელისაგან...“ (რიცხვ. 24:17). ღვთის სასუფევლის კვერთხი ეწოდება იესოს ებრაელთა მიმართ წერილში (1:8).

„მე ვაკურთხე მეფე ჩემი სიონზე, ჩემს წმიდა მთაზე... მთხოვე და მოგცემ ხალხებს სამკვიდროდ, ხოლო ქვეყნის კიდეებს — სამკვიდრებლად“ (ფს. 2:6,8). (მუსლიმები ამტკიცებენ, რომ სამყარო შეიძლება მართოს მხოლოდ ღმერთმა, ადამიანი კი ოდენ მოურავია ღვთის სამფლობელოში).

„ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხია, კვერთხი შენი მეუფებისა (ფს. 44:7). ეს ციტატა ქრისტესთან დაკავშირებით მოყვანილია ებრაელთა მიმართ წერილში (1:8).

„უთხრა უფალმა მეუფეს ჩემსას: „იჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავანარცხებდე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ... შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით... უფალი განსჯის ხალხებს“ (ფს. 109:1,4,6). (ყველა მუსლიმი აღიარებს მოძღვრებას ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, რომელმაც უნდა განსაჯოს სამყარო. ამ წინასწარმეტყველებაში იგი მეუფედ იწოდება).

„ამიტომ თავად მოგცემს მეუფე ნიშანს: აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს (ჩვენთან არს ღმერთი) (ეს. 7:14). (ყურანი აღიარებს უმანკო ჩასახვას და აქ ძე იღებს სახელს „ჩვენთან არს ღმერთი“).

„რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყოს მის ბეჭებზე, ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი“ (ეს. 9:5) (აქ „შვილი“, „ღმერთი ძლიერი“ და „მარადისობის მამა“ ერთი და იგივეა).

„იმ დღეებში და იმჟამად აღმოვუცენებ დავითს ჭეშმარიტად მორჩს... და ეს იქნება მისი სახელი: უფალი ხსნაა ჩვენი“ (იეს. 33:15,16). ამ ნაწყვეტში იესო, დავითის მორჩი, „უფლად“ მოიხსენიება).

„რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე თავად მოვიკითხავ ჩემს ცხვარს და მოვძებნი! როგორც მწყემსი ეძებს თავის ცხვარს, როცა თავის გაფანტულ ფარაში ჩადგება, მეც ისე მოვძებნი ჩემს ცხვარს“ (იეზ. 34:11-12). (აქ ღმერთი შედარებულია კეთილ მწყემსთან — ასე უწოდებს თავისთავს ქრისტეც (იოანე, 10:11), როცა ამოწმებს, რომ ის უფალი ღმერთია).

ყველა ზემოთ მოყვანილი ძველი აღთქმისეული წინასწარმეტყველება

გვასწავლის, რომ მესია მოვა, როგორც უფალი. ძველ აღთქმაში სამასამდე წინასწარმეტყველებას ითვლიან ქრისტეს შესახებ. აქ მოყვანილია ის წინასწარმეტყველებები, რომლებიც უშუალოდ ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას წარმოაჩენენ, მაშინ როდესაც დანარჩენებში მისი პიროვნებისა და მსახურების სხვა მხარეებზეა ყურადღება გამახვილებული.

ახალ აღთქმაშიც უამრავი დამოწმება გვაქვს ქრისტეს ღვთაებრივი ბუნებისა. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მათგანს სახარებიდან; დანარჩენები შეგიძლიათ მოციქულთა წერილებში მოიძიოთ.

„ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: „აჰა, მუცლადიღებს ქალწული, შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს, რაც თარგმნით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი“ (მათე, 1:22-23). (აქ კვლავ ერთმანეთს უკავშირდება ღმერთი და ქალწულის მიერ ნაშობი ძე — იესო).

„მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ზეცაში და მაშინ მოჰყვება მოთქმას დედამიწის ყველა ტომი, და იხილავენ კაცის ძეს, ცის ღრუბლებზე მომავალს, დიადი ძალითა და დიდებით. მოავლინებს თავის ანგელოზებს დიდხმიანი საყვირით და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხივე ქართაგან, ცათა კიდეთაგან მათ კიდეებამდე“ (მათე, 24:30-31).

იესო დაბრუნდება დიდებით და ანგელოზთა დასი მოემსახურება მას; ის შეკრებს ყველა ადამიანს საშინელ სამსჯავროზე. მხოლოდ უფალს ხელეწიფება ამის გაკეთება.

„მოვიდა იესო მათთან და უთხრა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე. ამიტომ წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე“ (მათე, 28:18-20). (მხოლოდ უფალსა აქვს ამის ხელმწიფება და მხოლოდ მას შეუძლია მუდამ თან ახლდეს თავის მოწაფეებს).

„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი... სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდ შობილის დიდება“ (იოანე 1:1,14). (მუსლიმთა უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ღვთის სიტყვა მარადიულია, მაშინ გამოდის რომ იესო ღვთის — ხორცშესხმული სიტყვა, ღმერთია).

„მე და მამა ერთი ვართ“ (იოანე, 10:30). (იესო აცხადებს აქ მის ერთიანობას ღმერთთან).

3. ღვთის განკაცების კრიტიკა მუსლიმთა მხრიდან და ქრისტიანის პასუხები

ისლამური რელიგიის ქვაკუთხედია მოძღვრება ერთიანი ღმერთის შესახებ. ისლამი აღიარებს ღვთის აბსოლუტურ განსაკუთრებულობასა და ერთიანობას; არსად ისე ცხადად არაა ეს გამოკვეთილი, როგორც ყურანის 112-ე სურაში: „თქვი: „ის – ალაჰი – ერთია. ალაჰი მარადმყოფია; არ უშობია და არ შობილა, და არ ჰყავდა მას სწორი.“

ჯორჯ სეილი აღნიშნავს, რომ ეს სურა განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანია მუსლიმთა შორის და თავისი მნიშვნელობით ყურანის ერთ მესამედს უტოლდება (Sale, 1850:504).

თუ მუსლიმი თქვენთან საუბარში ეჭვ ქვეშ დააყენებს ღვთის ყოვლისშემძლეობას, ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას და ნუ იფიქრებთ, რომ ის ღრმადაა ამაში დაჯერებული. მუსლიმებს ხომ ღმერთი იმდენად აბსოლუტურ ტრანსცენდენტალობად მიაჩნიათ, რომ მათთვის ყოვლად წარმოუდგენელია ღვთის დიდების იოტისოდენა დამცრობაც კი. აზრი ღვთის განკაცების შესახებ მუსლიმისათვის მიუღებელია. ამგვარი შესაძლებლობების დაშვება, მისი აზრით, შემოქმედის ქმნილებასთან გატოლებას უდრის.

მუჰამედი ცდილობს უარყოს მოძღვრება იესოს, როგორც ძე ღმერთის შესახებ: „მას (ალაჰს) არ ეგების შვილის ყოლა“ (ყურანი, 4:169(171).

არაბული ზმნა, რომელიც ამ პასაჟშია გამოყენებული, ნიშნავს „შვილის ბოძებას“ ღვთისათვის, თითქოს ღმერთი სრულქმნისათვის გარედან რაღაცის მიმატებას საჭიროებს. ფორმალური თვალსაზრისით, ძნელია აქ მუჰამედს არ დაეთანხმო, მაგრამ არსებითად ჩვენ სხვა რამეს ვგულისხმობთ, როცა ძე ღმერთის განკაცებაზე ვლაპარაკობთ. ჩვენ გვწამს ღვთის თვითკმარობისა: მამის, ძისა და სულიწმიდის და აქ საუბარი ღვთისათვის „ძის მინიჭებაზე“ როდია.

შემდეგ ნაწყვეტში მუჰამედი იესოს ძე ღმერთობას ახლა უკვე სულ სხვა მიზეზით უარყოფს: „არ ეგების ალაჰს შვილის ყოლა, დიდება მის სახელს! თუკი ის რამეს გადაწყვეტს, ეტყვის: „იქმენინ!“ და ისიც იქმნება“ (ყურანი, 19:36(35).

ამ ფრაგმენტში საუბარია ღვთის ყოვლისშემძლეობაზე, რომელსაც არ

სჭირდება მიმართოს ადამიანურ ხერხებს – სექსუალურ ურთიერთობას – შვილის შესაძენად. საკმარისია, მან მხოლოდ თქვას და რაღაც დაიწყებს არსებობას. ამაში შეიძლება ყურანს დავეთანხმოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მუსლიმები არ სცნობენ მამის, ძისა და სულიწმიდის თავდაპირველ ერთიანობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურანის ბოლო ორი ნაწყვეტი არ ეწინააღმდეგება მოძღვრებას მარადმყოფ ძეზე, იესო ქრისტეზე, რომელიც განსხეულდა დროის გარკვეულ მონაკვეთში უფლის ნების თანახმად და ხორცი შეისხა ქალწული მარიამისაგან.

მუსლიმები აღშფოთებით უარყოფენ ღვთისა და ქალწული მარიამის ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, ისევე როგორც ჩვენ. მაგრამ არსებობს სხვაგვარი მიდგომაც ღვთის ძეობის პრობლემისადმი. ამ საკითხის გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუსლიმთა მხრიდან ღვთის სიტყვის ღვთაებრივი არსის აღიარებას. მუსლიმთა დიდი ნაწილი დაეთანხმება იმ აზრს, რომ ღვთის სიტყვა მარად არსებულია და შეუქმნელი (იმ უმცირესობას, რომელიც სხვანაირად ფიქრობს, ჩვენი მტკიცებანი სერიოზულად არ მოეჩვენება).

მისი მცდარი პოზიციის მხილებით, თქვენ გზას გაუხსნით მუსლიმს ქრისტესაკენ. უფლის სიტყვის მარადიულად აღიარება მუსლიმისათვის იმის აღიარებას ნიშნავს, რომ თავდაპირველად არსებობდა ორი დამოუკიდებელი არსი – ღმერთი და სიტყვა. ამის რწმუნება კი, ე. ი. ალაჰთან რაღაცის გათანაბრება, ისლამური კანონების თანახმად, უდიდესი ცოდვაა. ამავე დროს, თუ მუსლიმი საწინააღმდეგო აზრს განავითარებს და აღიარებს, რომ სიტყვა ღვთის მიერაა შექმნილი და ამიტომ არაა მარადიული, ეს იმის მტკიცებას უდრის, თითქოს ერთ დროს ღმერთს არ შეეძლო ან არ სურდა ლაპარაკი, შემდეგ კი შეცვალა თავისი ნება და აღმოთქვა სიტყვა. ეს კი არღვევს მუსლიმთა წარმოდგენას მარად უცვლელ ღმერთზე. აქაც გთავაზობთ საღვთო წერილიდან ამოღებულ განმარტებას:

„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“ (იოანე 1:1-4).

ამ სიტყვებიდან შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება:

1. ღმერთმა დასაწყისიდანვე გამოხატა თავისი თავი. მისი გამოხატვა განუყოფელია მისგან. ამის გარეშე იგი ღმერთი ვერ იქნებოდა, დარჩებოდა

წყედიადში. მისი არსი და მისი თვითგამოხატვა ერთია, ამიტომ მისი სიტყვა არის ღმერთი.

2. ყველა ქმნილება ცოცხალმა სიტყვამ შექმნა. ღვთის სიტყვამ წარმოშვა სიცოცხლე (მუსლიმები არ სცნობენ კავშირს სიტყვასა და სიცოცხლეს შორის). სახარებაში ვკითხულობთ: „სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდშობილის დიდება“ (იოანე, 1:14). აქ წარმოდგენილია ღვთის ყველაზე სრული თვითგანმარტება; იგი ერთ-ერთ ჩვენგანად იქცა, რათა მთელი სისრულით გამოეხატა თავისი თავი ჩვენთვის; იგი ცოცხალ სიტყვად იქცა. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამ თემას შემდეგნაირად ავითარებს:

„ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ძეში, რომელიც დააყენა ყოვლის მემკვიდრედ, ვისი მეშვეობითაც შექმნა საუკუნენი. იგია დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანარეკლი, ყოველივე რომ უპყრია თავისი ძალის სიტყვით...“ (ებრ. 1:2-3).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთმა თავისი თავი ცოცხალ სიტყვაში, ღვთის ძეში, იესოში გამოხატა.

4. ცოდვათა შენდობის შესახებ მოძღვრების კრიტიკა და ქრისტიანის პასუხები

ისლამი ემყარება რიგ პოსტულატებს, რომლებიც გამორიცხავენ შესანდობარი მსხვერპლის იდეას, იმის შესაძლებლობას, რომ ვიღაცას საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანით შეუძლია სხვისი ცოდვების შენდობა. მუჰამედი თვლიდა, რომ ისლამის კანონები ყველაფერზე უფრო მაღლაა. ადამიანებმა მიიღეს შარიათის კანონები და ვალდებულნი იყვნენ, დაეცვათ ისინი, ე. ი. გამხდარიყვნენ მუსლიმები. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ოდესღაც დადგებოდა განკითხვის დღე. იმ დღეს აიწონებოდა ყველას ბოროტი თუ კეთილი საქმეები. თუ კეთილი საქმე ბოროტს გადასწონიდა, ასეთი კაცი სამოთხეში წავიდოდა; თუ პირიქით მოხდებოდა — ჯოჯოხეთში. ამ სისტემაში არ ჰქონდა ადგილი შესანდობარ მსხვერპლს, რომელიც თავად უფალს მიჰქონდა ქრისტეს სახით. მოყვანილი განმარტება ყურანს ეყრდნობა, რომლის ფრაგმენტების ციტირებასაც აქ არ შეეუდგებით. იქიდან მხოლოდ ერთი მათგანი ამოვარჩიეთ, როგორც ტიპიური მაგალითი: „ყველა უსამართლო სულს ის რომ ჰქონდეს, რაც დედამიწაზე

გააჩნდა, შესძლებდა საკუთარი თავის გამოსყიდვას...“ (ყურანი, 10:55(54)).

თუმცა, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოს, ყურანში არის ერთი ადგილი, სადაც გამოსყიდვაზეა საუბარი: „და გამოვისყიდეთ ჩვენ იგი (ისაკი, მუსლიმები, როგორც წესი ისმაელს ამბობენ) დიდი მსხვერპლით“

მუსლიმი კომენტატორი იუსუფ ალი ამ მუხლის შესახებ წერს: „უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოსყიდვა – მსხვერპლის შეცვლა – ღვთის მიერ იქნა ჩადენილი და არა ადამიანის“ (Yusuf Ali, 1977:1202). როცა ამ საკითხის განხილვას დაამთავრებთ მუსლიმებთან ერთად, გირჩევთ, შემდეგ პასაჟზე გადახვიდეთ: „თითქმის ყველაფერი, რჯულის მიხედვით, სისხლით წმიდავდება, და სისხლის დაღვრის გარეშე არ ხდება მიტევება“ (ებრ. 9:22). აქედან კი შეიძლება ქრისტეს შესანდობარ მსხვერპლზე გადავიდეთ და მოვიყვანოთ იესოს სიტყვები მათეს სახარებიდან: „ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათე, 26:28).

ჩვენ გირჩევთ, დაიმოწმოთ, აგრეთვე, პავლე მოციქულის სიტყვები რომაელთა მიმართ წერილიდან:

„ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მით უფრო გადავურჩებით მისით რისხვას. ვინაიდან, თუ მისი ძის სიკვდილით შეეურიგდით ღმერთს, როცა მტრები ვიყავით, მით უმეტეს, შერიგებულნი გადავრჩებით მისი სიცოცხლით. უფრო მეტიც, ვიქადით ღმერთით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის წყალობითაც მივიღეთ ახლა შერიგება (შენდობა)“ (რომ. 5:9-11).

5. მუჰამედის იერიში ჯვარცმაზე და მისი მოგერიება

რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია განვსაჯოთ, მუჰამედს არასოდეს წაუკითხავს ბიბლია რომელიმე ენაზე უფრო მეტიც, ბიბლია არაბულ ენაზე იმ დროს საერთოდ არ არსებობდა. მისი ცოდნის წყარო ის იყო, რასაც იგი ბაზარში მოჰკრავდა ყურს ან მეგობრებისაგან გაიგებდა. არაბეთსა და ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვაგვარი ქრისტიანები ცხოვრობდნენ. მათ გაუთავებელი დავა ჰქონდათ ქრისტეს მოძღვრებაზე. ეგვიპტელი ქრისტიანები აცხადებდნენ, რომ ქრისტეს მხოლოდ ერთი ბუნება ჰქონდა (მონოფიზიტები). სირიელები (ნესტორიანები) აცხადებენ, რომ მას ორი ბუნება ჰქონდა. ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით ნესტორიანები აცხადებდნენ, რომ ქრისტე ჯვარზე მხოლოდ ადამიანური ბუნებით იტანჯა, მისი

ღვთაებრივი ბუნება კი არ ცმულა ჯვარს. მუჰამედის სიტყვებში არეკლილია ის, რაც მას გაგონილი ჰქონდა:

„ისინი (იუდეველები) ამბობდნენ (სიამაყით): ჩვენ მოვკალითო ქრისტე ისა, მარიამის ძე, ღვრთის მოციქული". მაგრამ მათ არც მოუკლავთ იგი და არც ჯვარს უცმევიათ, არამედ მათ ასე ეჩვენათ. ხოლო ისინი ვინც დავობენ მასზე, ეჭვებში არიან, მათ არ გააჩნიათ ცოდნა, არამედ მხოლოდ, რომელსაც მისდევენ. სინამდვილეში მათ არ მოუკლავთ! არა, ალაჰმა აღამაღლა იგი თავისთან. ძალმოსილია ალაჰი, ბრძენი და არავინ არის წერილის ხალხთაგან (იუდეველები და ქრისტიანები), ვინც არ იწამებს მას სიკვდილის წინ. მაგრამ განკითხვის დღეს იგი დაამოწმებს მის წინააღმდეგ". (ყურანი 4:156-159).

ამ პასაჟს როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი კომენტატორები სხვადასხვანაირად ხსნიან. ჯორჯ სეილს თავის გამოკვლევაში „ყურანი" (Sale, 1850:43) დამოწმება მოჰყავს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ მუსლიმს სჯეროდა იესოს ჯვარზე სიკვდილი და კამათობდნენ კიდეც, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მისი წამება. მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა ის აზრი, რომ ქრისტე არ მომკვდარა, იგი ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცაში, ჯვარზე კი მის მაგივრად სხვა ადამიანი ეწამა (Yusuf Ali, 1977:230).

სამწუხაროა, რომ ჩვენს დღეებში თითქმის ყველა მუსლიმი უარყოფს იესოს ჯვარზე გარდაცვალებას. ტრაგიკულია, რომ მუჰამედმა, რომლის ყურამდეც მიაღწია ამ კამათმა, სახარების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა.

მეორე მხრივ, ქრისტიანობის ზოგიერთი გაბედული დამცველი ყურანის ზემოთმოყვანილი ფრაგმენტის ანალიზისას (4:157) ამტკიცებს რომ: ეს ტექსტი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ იუდეველებს არ მოუკლავთ ქრისტე, რადგან რომის იმპერიის კანონი უკრძალავდა მათ ვინმეს დასჯას, ამიტომ იესო თავად რომაელებმა აცვეს ჯვარს. ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება მოყვანილი ფრაგმენტის ამგვარი ინტერპრეტაცია, მაგრამ ის, რაც შემდგომშია წარმოდგენილი, ადასტურებს მის მცდარობას.

ყურანის ორი სხვა ფრაგმენტი მიუთითებს, რომ იესო თავისი ბუნებრივი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო. პირველ წინასწარმეტყველებას ამის თაობაზე მუჰამედი ღმერთს მიაწერს, მეორეს კი — იესოს: „და თქვა ალაჰმა: „ო, ისა! მე გაცხონებ შენ და ჩემთან წაგიყვან, და მოგაცილებ იმათ, ვისაც არ სწამდა..." (ყურანი, 3:48(55)).

„მშვიდობა იმ დღეს, როცა დავიბადე და როცა მოკვდები (ბუნებრივი სიკვდილით), და დღეს, როცა მკვდრეთით აღვდგები!“ (ყურანი, 19:34(33)).

ქრისტიანმა, რომელიც კამათს დაუწყებს მუსლიმებს ამ საკითხზე, არაბული ტექსტებიც უნდა იცოდეს. შემდეგი, რაც მან უნდა მოიმოქმედოს, ესაა საუბრის ყურანიდან ბიბლიაზე გადატანა. მისიონერს ღრმად უნდა ჰქონდეს გააზრებული ბიბლიური ტექსტები დაბადების წიგნიდან იოანეს გამოცხადებამდე, რათა წარმოაჩინოს, რომ ღვთაებრივი გამოსყიდვის იდეა, დასაბამიდან დასასრულამდე, ჯვრის გარშემო იყო კონცენტრირებული. გირჩევთ, გამოიყენოთ ბიბლიის შემდეგი ფრაგმენტები:

„მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე“ (დაბ. 3:15). აქ საუბარია ქრისტეს ბრძოლაზე სატანასთან.

„...თითოეულმა თითო კრავი ან თიკანი დაიგულოს... მერე დაკლას... აიღონ მისი სისხლი და სცხონ იმ სახლის ორივე წირთხლსა და კარისთავს... დავინახავ სისხლს და გვერდს აგიცილით... სამახსოვროდ დათქვით ეს დღე, იდღესასწაულეთ იგი საუფლო დღესასწაულად თაობიდან თაობაში“ (გამოს. 12:3,6,7,13,14).

„...ის ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭერილი... უფალმა... მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უბედურება... კრავივით დასაკლავად მიიყვანეს... სასიკვდილოთ გაწირა თავი და ცოდვილთა შორის შეირაცხა; მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა“ (ეს. 53:5,6,7,12).

„...აჰა, ღვთის კრავი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას“ (იოანე, 1:29).

„კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“ (მარკოზი, 10:45).

„...ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თავისი ხორცით, რათა სიმართლისათვის ვიცოცხლოთ ცოდვისათვის მკვდრებმა. მისი ჭრილობით თქვენ განიკურნეთ“ (1 პეტრე, 2:24).

„...შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, და შეუქმენი ისინი სუფევად და მღვდლებად ჩვენს ღმერთს, და იმეფებენ დედამიწაზე“ (გამოცხ. 5:9-10).

6. სამპიროვანი ღვთაების კრიტიკა მუსლიმთა მიერ და ქრისტიანის პასუხები

„თქვენ, ქრისტიანები, სამ ღმერთს სცემთ თაყვანს!" ხშირად წამოუყენებიათ ეს აბსურდული ბრალდება მუსლიმთა შორის მოღვაწე მისიონერებისათვის. არცაა გასაკვირი. ამ შეცდომის წყარო ყურანში გადმოცემული მუჰამედის მოძღვრებაა. მოგვყავს ფრაგმენტები: „ო, წერილის მქონენო, ზედმეტს ნუ იზამთ თქვენს რწმენაში; ილაპარაკეთ ღმერთზე მხოლოდ ჭეშმარიტება. მესია ისა (იესო), მარიამის ძე, მხოლოდ ღვთის წარგზავნილია, მარიამში ჩასახული უფლის სიტყვა,რომელიც უფლის სულია. გწამდეთ ალაჰი და მისი მოციქულნი და ნუ იტყვით – სამებას! უკეთესი იქნება, თავი შეიკავოთ. ალაჰი ჭეშმარიტად ერთია. მას არ ეგების შვილის ყოლა" (ყურანი, 4:169(171)).

„არა სწამთ იმათ, ვინც ამბობს, რომ ალაჰი – ეს მესიაა, მარიამის ძე. თქვი: „ვინ დაუშლის ალაჰს, დაღუპოს მესია, მარიამის ძე, თუკი მოისურვებს, დედამისი და ყველა, ვინც კი მიწაზე ცხოვრობს?" (ყურანი, 5:19(17)).

„არა სწამდათ მათ, ვინც ამბობდა: „ალაჰი ხომ მესამეა სამიდან," – მაშინ, როცა არ არის ღმერთი, თვინიერ ერთიანი ღმერთისა. და თუ ისინი ამის თქმას არ მოიშლიან, საშინელ სასჯელს დაიმსახურებენ" (ყურანი, 5:77(73)).

სხვა მუხლებიდანაც ჩანს, რომ მუჰამედის აზრით, ქრისტიანები სამ ღვთაებას სცემდნენ თაყვანს – მარიამს, იესოს და უფალს. გამოკვლევაში, რომელიც არაბეთში გავრცელებულ აპოკრიფულ სახარებებს ეძღვნება, ტისდალი ამტკიცებს, რომ მუჰამედი ხედავდა, თუ როგორ სცემდნენ თაყვანს მარიამს, აგრეთვე, მარიამსა და იესოს და ესმოდა, როგორ ამბობდნენ უგუნურნი: „ღმერთი სამია" (Tisdall, 1911:179-182). შეიძლება მხოლოდ სინანული გამოვთქვათ იმის თაობაზე, რომ მუჰამედი ვერ შეხვდა ჭეშმარიტ ქრისტიანს, რომელიც ღვთაებრივი სამპიროვნების არსს განუმარტავდა.

მისიონერი, რომელიც მუსლიმთა შორის მოღვაწეობს, კარგად უნდა ერკვეოდეს ღვთის სამპიროვნების არსში და უნდა შეეძლოს მუსლიმთა დარწმუნება, საღვთო წერილზე დაყრდნობით, რომ ჩვენ თაყვანს ვცემთ ერთიან ღმერთს მის სამ გამოვლინებაში – მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სულიწმიდას. აუცილებლად გაგიწევთ დახმარებას შემდეგი ამონაწერები ბიბლიიდან:

„ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“ (მეორე რჯ. 6:4-5);

„უფალო, ღმერთო ისრაელისა! არ არსებობს შენი მსგავსი ღმერთი არც მაღლა ცაში და არც დაბლა დედამიწაზე! შენ ინახავ აღთქმასა და სიყვარულს შენს მორჩილთა მიმართ, რომელნიც მთელი გულით დადიან შენს წინაშე“ (3 მეფეთა, 8:23);

„მე ვარ უფალი, ეს არის ჩემი სახელი; ჩემს დიდებას არ მივცემ სხვას და ჩემს ქებას — გამოქანდაკებულ კერპებს“ (ეს. 42:8);

„და თუ კიდეე არიან ეგრეთ წოდებული ღმერთები ან ცაში ან დედამიწაზე (რადგან არის მრავალი ღმერთი და მრავალი უფალი), ჩვენ კი ერთი მამა ღმერთი გვყავს, რომლისგანაც არის ყოველი და ჩვენ მისთვის ვართ, და ერთი უფალი იესო ქრისტე, რომლის მიერ არის ყოველი და ჩვენც მის მიერ“ (1 კორ. 8:5-6);

„მერე კი დასასრული, როცა მეფობას გადასცემს უფალსა და მამას მას შემდეგ, რაც გააუქმებს ყოველ მთავრობას, ყოველ უფლებასა და ძალას, ვინაიდან მან უნდა იმეფოს, ვიდრე თავის ფეხქვეშ მოაქცევდეს თავის ყველა მტერს... და როცა ყოველივეს მას დაუმორჩილებს, მაშინ თვით ძეც დაემორჩილება იმას, ვინც ყოველივე მას დაუმორჩილა, რათა ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში“ (1 კორ. 15:24,25,28).

მოყვანილი ნუსხა შეიცავს ზოგიერთ ძნელად გასაგებ ბიბლიურ გამოთქმას სამპიროვანი ღმერთის შესახებ, აგრეთვე, საკმაოდ ნათელ და არაორაზროვან მუხლებს, რომლებიც ღვთის ერთიანობაზე მიგვითითებენ. მართლაც, არის ღმერთთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომლის გაგება და ახსნა შეუძლებელია: მამა, ძე და სულიწმიდა. სანამ შემდეგ პრობლემაზე გადავიდოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიაში არსად არაა ნახმარი სიტყვა „სამება“. ეს ტერმინი ბერძნულმა ფილოსოფიამ შემოიტანა და ამიტომ ჩვენ აუცილებლად არ მიგვაჩნია მისი ხმარება. თუ ქრისტე და პავლე არ ხმარობდნენ მას, ჩვენ რა გვრჯის?

ღვთაების სამპიროვნული არსის ახსნას თავად ბიბლია იძლევა. დაბადების წიგნში ვკითხულობთ: „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად... შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1:26,27). შესაძლებელია, რომ საკუთარი თავის ანალიზისას, აღმოვაჩინოთ ისეთი რამ, რაც ღვთის

მსგავსებაზე მიუთითებს ჩვენში. თუმცა ამ ანალოგიას არ შეესაბამება ის, რომ ბიბლიაში მამა, ძე და სულიწმიდა ერთი არსის მქონე, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე პერსონაჟებივით მოქმედებენ, მაშინ, როცა ჩვენ წარმოვადგენთ ერთიან, მთლიან არსებას, რომელსაც აქვს სული, სამშვინველი და სხეული. შეიძლება პავლეს კურთხევამ მოჰფინოს ამ პრობლემას ნათელი: „თავად მშვიდობის ღმერთმა წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად: სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისათვის“ (1 თეს. 5:23). მე ერთიანი არსება ვარ და შევდგები სულის, სამშვინველისა და სხეულისაგან; მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩემს სამად დანაწევრებას, მე მთლიანი ვარ.

შესაბამისად, ღმერთიც ერთია, თუმცა გვიცხადებდა თავს, როგორც მამა, ძე და სულიწმიდა. მეც აღარ ვიქნები ის, რაცა ვარ, თუ დაკარგავ სულს, სამშვინველს ან სხეულს. ასევე ღმერთიც აღარ იქნება ღმერთი, თუ ერთდროულად არ იქნება მასში მამაც, ძეც და სულიწმიდაც. ისინი წარმოადგენენ ერთ განუყოფელ არსს და თითოეული მათგანი ერთი მესამედი კი არ არის მთელისა, არამედ თავად მთელი. ისინი მოქმედებენ, როგორც ერთი მთლიანობა.

სამპიროვანი ღმერთი: „სიყვარულის ცეკვა“

კ. ლუისი, ამოდიოდა რა ღვთის, როგორც სიყვარულის გაგებიდან, შეეცადა ღმერთის სამპიროვნება „სიყვარულის ცეკვის“ მეტაფორით აეხსნა. ამ ცეკვაში მონაწილეობას იღებენ სიყვარულის სუბიექტი, ობიექტი და თავად სიყვარულის ფენომენი წმიდა სახით. ეს ცეკვა სრულდება ღვთაების შიგნით, რომელიც სიყვარულით არსებობს: ის ხომ არის მამა, ძე და სულიწმიდა. ანალოგია კვლავ არაზუსტია. არასწორია სულიწმიდის გათანაბრება „სუფთა სახით წარმოდგენილ სიყვარულის ფენომენთან“.

სამპიროვანი ღმერთი, როგორც უდიდესი მხატვარი

წიგნში „შემოქმედის გონი“ დოროთი სეირსი (Dorothy Sayres) ღმერთს გენიალურ მხატვარს ადარებს. ის აიგივებს მხატვრის შემოქმედებით გონს მამასთან და ძეს მხატვრის გენიის ყველაზე სრულყოფილ გამოვლინებად მიიჩნევს. სულიწმიდა კი შემოქმედებითი ენერგიაა. თუმცა არც ეს ანალოგია არ გადმოგვცემს ზუსტად სულიწმიდის არსს.

შეიძლება ითქვას, რომ უფლის შეცნობის მხოლოდ ერთადერთი ხერხი არსებობს: მამის, ძისა და სულიწმიდის ერთიანობის აღიარება. წარმოიდგინეთ, რა გადაუჭრელი დილემის წინაშე დგას მუსლიმი. როგორც ცნობილია, ალაჰს ტოლი არა ჰყავს, მუსლიმთა უმრავლესობა მის სიტყვას მარადიულად აღიარებს, თუმცა სიტყვა არ წარმოადგენს ალაჰის ორგანულ ნაწილს. თუ მუსლიმი იტყვის, რომ სიტყვა შეუქმნელია, ამით ორი საწყისის არსებობას აღიარებს, რაც, მათი აზრით, მკრეხელობაა. სიტყვის შექმნილად ცნობა კი იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ იყო დრო, როცა ღმერთს არ სურდა ან არ შეეძლო ლაპარაკი, ე. ი. მუნჯი იყო. როცა ენა ამოიდგა, უფალმა ამით თავისი არსი შეცვალა, რაც ღვთის მარად უცვლელობის იდეას ეწინააღმდეგება.

იგივე არგუმენტების წამოყენება შეიძლება უფლის სულთან მიმართებაშიც. იმის აღიარება, რომ ის თავიდანვე არსებობდა ალაჰთან ერთად, მომაკვდინებელი ცოდვაა, რადგან ეს უფალთან სხვა არსების გატოლებას ნიშნავს. თუ სული შექმნილია, ე. ი. იყო დრო, როცა ღმერთს ის არ გააჩნდა (მაშასადამე, ის მკვდარი იყო). საბოლოო ჯამში გამოდის, რომ თავად მუსლიმებს შეიძლება წავუყენოთ სამი ღმერთისადმი თაყვანისცემის ბრალდება: ალაჰის, უფლის სიტყვის და უფლის სულისადმი, რომლებიც დამოუკიდებელი არსებები არიან და არ წარმოადგენენ ერთ მთლიანს.

ქრისტიანები ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არიან. ჩვენ შევიმეცნებთ ღმერთს, როგორც მოყვარულ მამას, ჩვენთვის უფრო გასაგები და ახლობელი ძის სახით, ვითარცა სიცოცხლის მომნიჭებელ სულს. უფალი ყოველთვის ცოცხლობს სულში და სრულყოფილ გამოხატულებას ჰპოვებს ცოცხალ სიტყვაში, ძესა და ჩვენს მამაში.

ჩემი აზრით, ისლამის წინაშე მდგარი ალტერნატივა — ან თაყვანი სცეს სამ ღმერთს, ან აღიაროს, რომ ალაჰი ოდესღაც მუნჯი იყო და უსულო — კიდევ ერთი დადასტურებაა სამპიროვანი ღვთაების სიბრძნისა: მამის, ძისა და სულიწმიდის.

„ო! ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შეშეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები! რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი მრჩეველი? ან ვინ მისცა მას წინასწარ, რომ მიუზღოს? რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის. მას დიდება უკუნისამდე. ამინ“ (რომ. 11:33-36).

თავი XXX

მუჰამედი თავს წინასწარმეტყველად აცხადებს

შესავალი

ერთხელ გარს შემოერტყნენ პოლიციელები, ციცი ოფლი მასხამდა მათი გამჭოლი მზერისაგან. უეცრად მკითხეს: „მისტერ მაკ-კური, თქვენ უკვე კარგა ხანია ქადაგებთ ჩვენს ქვეყანაში და კარგად იცნობთ ჩვენს რელიგიას. რას ფიქრობთ მუჰამედის შესახებ?“ ეს მოხდა პაკისტანში, ქვეყანაში, სადაც არავინ გაპატიებს მუჰამედზე გადაბრუნებული სიტყვის თქმას.

ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ გვიბრძანა, რომ არ გვეზრუნა იმაზე, თუ რას ვიტყოდით ამგვარ წუთებში, „ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში“ (მათე, 10:20). მე მოკლე ლოცვა წარმოვთქვი და ეუპასუხე უფალზე დანდობილმა: „ბატონებო, მე წაეიკითხე ყურანი და გაეცანი მუჰამედის ცხოვრებას. მე შესწავლილი მაქვს ბიბლია და დეტალებში ვიცი ქრისტეს ცხოვრება, რომელიც მთელი გულით მიყვარს“. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მე თავიდან ავიცილე საფრთხე: არც უპატიოდ მოვიხსენიე მუჰამედი და არც ქება მივაგე მას. ამავე დროს, დავამოწმე ჩემი რწმენა ქრისტეს მიმართ, ამგვარი გაბედულება კი ყოველთვის პატივისცემას იწვევს მუსლიმებში.

და, მიუხედავად ამისა, ადრე თუ გვიან, მაინც მოგვიწევს ჩვენი დამოკიდებულების გარკვევა მუჰამედთან (იმ შემთხვევაშიც კი, თუ არავის გავუზიარებთ მას). თავიანთი უსაფუძვლო პრეტენზიებით მუჰამედი და მისი მიმდევრები გვაიძულებენ, რომ მათ მიმართ საკმაოდ გამოკვეთილი პოზიცია დავიკავოთ. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ყურანის იმ მუხლებს, სადაც მუჰამედი თავის თავზე ლაპარაკობს, აგრეთვე, მის მიმდევართა

გამონათქვამებს ალაჰის წინასწარმეტყველის შესახებ. ჩვენი მიზანია, ბოლო მოვუღოთ უამრავი ქრისტიანის გაკურკვეველ დამოკიდებულებას მუჰამედის მიმართ. საერთოდ კი მასზე ბევრი კარგის თქმაც შეიძლება, რასაც არ გავურბივართ ამ წიგნში. მაგრამ ამჟამად იმ წინააღმდეგობებზე გვინდა ვისაუბროთ, რასაც ისლამის მიმდევართა უაზრო პრეტენზიები იწვევენ ჩვენსა და მათ შორის.

1. მუჰამედი თავს უტოლებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებს

აი, ყურანის ის მუხლები, სადაც მუჰამედის პრეტენზიებია განცხადებული:

„ო, ადამის ძენო! მე ალაჰის წარმოგზავნილი ვარ თქვენთან, იმისა, ვისაც ეკუთვნის ძალაუფლება ზეცაში და დედამიწაზე, – არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა. ის აცოცხლებს და კლავს. იწამეთ ალაჰი და მისი წარგზავნილი – წინასწარმეტყველი, რომელსაც სწამს ალაჰი და მიყვეთ მას, – ვინძლო, ჭეშმარიტი გზა აირჩიოთ!“ (ყურანი, 7:157(158));

„ იწამეს წარგზავნილმა და მორწმუნეებმა ის, რაც უფლისაგან გამოეცხადათ. ყველამ იწამა ალაჰი, მისი ანგელოზები, მისი წერილი და მისი წინასწარმეტყველნი. „არ ვასხვავებთ ჩვენ არავის ამ წინასწარმეტყველთაგან.“ ისინი ამბობენ: „ჩვენ ვისმინეთ და ვიწამეთ! შეგვინდე უფალო და მიგვიღე შენს წიაღში!“ (ყურანი, 2:285);

„ჩვენ გამოგიცხადეთ შენ, როგორც ნუჰუს (ნოეს) და მის მომდევნო წინასწარმეტყველთ, ჩვენ გამოვუცხადეთ იბრაჰიმს, ისმაელს, ისჰაკს, იაკუბს და ტომებს, და ისას... ო, ადამის ძენო! თქვენ მოგვევლინათ ღვთის მოციქული ჭეშმარიტებით, იწამეთ იგი! ასე აჯობებს თქვენთვის (ყურანი, 4:161(163), 168(170)).

ეს გამონათქვამები სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებენ მუსლიმებს. მოდით, დავაზუსტოთ, რა პრეტენზიები აქვს მუჰამედს:

1. ის თავს ღვთის წარგზავნილად აცხადებს.
2. ხალხს მოუწოდებს, რომ მის გზას გაჰყვნენ.
3. მას სჯერა „საღვთო წერილისა“ და მის მოვლინებამდე წარმოგზავნილი მოციქულებისა.
4. თავს უტოლებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებს.
5. მას იესოს სწორად წარმოუდგენია თავი.
6. იგი ისმაელსაც ასახელებს წინასწარმეტყველთა შორის.

მუჰამედის პრეტენზიები თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ, რადგან მილიარდზე მეტი მუსლიმი მათ საკმაოდ სერიოზულად აღიქვამს, მოდით, განვიხილოთ ისინი და დავადგინოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს განცხადებები.

მათ მიმართ დამოკიდებულება ერთი უბრალო კითხვით შეიძლება შემოწმდეს: „ეთანხმება თუ არა მუჰამედის მოძღვრება ბიბლიას (რომელსაც, მუჰამედის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, იგი დიდ პატივსა სცემს)?“ პასუხი ასეთია: არაფერში, დაწყებული აბრაამიდან, მოსედან, დავითიდან და წინასწარმეტყველებიდან და დამთავრებული სახარებით – მუჰამედი უფლის სიტყვას არ ეთანხმება.

ჩვენ უკვე განვიხილეთ მუჰამედის გამონათქვამები, სადაც იგი უარყოფს იესოს ძე-ღმერთობას, ღვთის განკაცებას, შესანდობარ მსხვერპლს, იესოს სიკვდილს ჯვარზე და ამტკიცებს, რომ იესო არ გაუკრავთ ძელზე, ღმერთმა გადაარჩინა ის და აიტაცა ზეცაში, ყოველგვარი სიკვდილისა და აღდგომის გარეშე. სხვაში ყველაფერში რომ ეთანხმებოდეს ყურანი ბიბლიას, ძირითადი ქრისტიანული დოგმატების უარყოფის გამო მუჰამედს ბიბლიურ წინასწარმეტყველად და ღვთის მოციქულად ვერ მივიჩნევთ. საქმე ის კი არ არის, რომ მუჰამედი ბიბლიურ წინასწარმეტყველებზე დაბლა დგას და თავისი მნიშვნელობით მათ ვერ გაუტოლდება, მისი მოძღვრება მთლიანად ეწინააღმდეგება ღვთაებრივ ჩანაფიქრს, რომლის მიზანიც სამყაროსათვის მხსნელის მოვლინება იყო.

ბიბლიის მთავარი თემა, რომელიც მას დაბადების წიგნიდან იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებამდე გასდევს, ესაა ღვთაებრივი გამოსყიდვის იდეა, ადამიანის დახსნა ცოდვის, სატანისა და სიკვდილისაგან და ცენტრალური ფიგურა აქ იესო ქრისტეა. იესო მოგვევლინა ჩვენ ღვთაებრივი დიდებით, როგორც უფლის ჰიპოსტასი-მამის, ძისა და სულიწმიდისა.

ძველი აღთქმის ყველა წინასწარმეტყველი მოსეს რჯულს ასრულებდა, მისთვის დამახასიათებელი მსხვერპლშეწირვებით. ეს მსხვერპლები მიუთითებდნენ იესო ქრისტეზე – ღვთის კრავზე, რომელიც ცოდვისაგან გაანთავისუფლებდა სამყაროს. ისლამში არ არის მიღებული ისეთი მსხვერპლშეწირვა, რომლის დროს დაღვრილი სისხლიც რაღაცის გამოსასყიდად ითვლება.

თავდაპირველად მოციქულები იყვნენ ისინი, ვინც ქრისტეს ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომას დაესწრო; მოგვიანებით კი ის ადამიანები, რომ-

ლებიც მის ჯვარცმასა და აღდგომას ამოწმებდნენ თავიანთ ქადაგებებში. მუჰამედის მოძღვრება უარყოფს ქრისტეს ჯვარცმას (ყურანი, 4:156(157)) და, შესაბამისად, მის მკვდრეთით აღდგომასაც.

მუჰამედის მოძღვრება სახარების არსს ეწინააღმდეგება და, აქედან გამომდინარე, მისი განცხადებები, რომ ის ბიბლიური წინასწარმეტყველია,

ბიბლიური გაგებით. უფრო მეტიც, თუ იოანე მოციქულის განსაზღვრებას გამოვიყენებთ, იგი ანტიქრისტეა, რადგანაც უარყოფს მამასა და ძეს (1 იოანე, 2:18-23; 4:15). ჩემს მუსლიმ მკითხველს ვთხოვ გაითვალისწინოს, რომ ეს საღვთო წერილიდან მომდინარე განსაზღვრებაა და არა მორწმუნის პირადი აზრი. ძნელია საღვთო წერილის შეფასების გაპროტესტება, რადგან მის უკან ოცსაუკუნოვანი ქრისტიანული ისტორია დგას და მას ეფუძნება მილიარდზე მეტი თანამედროვე ქრისტიანის რწმენა.

ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ მუჰამედმა საღვთო ისტორიის აბსოლუტური უცოდინრობა გამოამჟღავნა, როცა ისმაელი დაასახელა წინასწარმეტყველთა შორის. ასეთი რამ არ არის ბიბლიაში. დაბადების წიგნში გარკვეით არის ნათქვამი, რომ აღთქმა მიეცა ისაკს (დაბ. 17:19), ამიტომ სწორედ ის უნდა გამხდარიყო ყველა ხალხის წინასწარმეტყველი.

2. მუჰამედის მტკიცებით, მისი მოვლინება იესომ იწინასწარმეტყველა

„ო, ისრაელის ძენო! მე ალაჰის წარმოგზავნილი ვარ თქვენთან იმის დასამტკიცებლად, რაც ჩემამდე გამოგეცხადათ თორაში, და იმის სახარებლად, რომ ჩემს მერე მოვა მოციქული, რომლის სახელიც იქნება აჰმედი“ (ყურანი, 61:6).

მუჰამედის ეს განცხადება სრულიად დაუჯერებელია, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ მან აუცილებლად მიიჩნია, იესოს წინასწარმეტყველებას დაყრდნობოდა. მუჰამედის ეპოქაში არაბებს სჯეროდათ, რომ სიკვდილის წინ წინასწარმეტყველი აუცილებლად ასახელებდა თავის მემკვიდრეს.

„აჰმედი“ „მუჰამედის“ ვარიანტია, ორივე სიტყვა სამი ბგერისაგან შემდგარი არაბული ძირისაგან „h-m-d“-საგან მოდის და „განდიდებულს“ ნიშნავს.

საინტერესოა, რომ მუსლიმებმა საფუძვლიანად შეისწავლეს სახარება იმ პასაჟის აღმოსაჩენად, სადაც იესო მუჰამედის მოვლინებას წინასწარ-

მეტყველებს და, როგორც ერთ დროს ითვლებოდა, გარკვეულ წარმატებისაც მიაღწიეს. მათი არგუმენტაციის შესაფასებლად აუცილებელია ბერძნული ენის ცოტაოდენი ცოდნა. იოანეს სახარებაში გკითხულობთ: „მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს (parakletos) მოგიელენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ“ (იოანე, 14:16). ბერძნულში არის ამ სიტყვის მსგავსი სხვა სიტყვაც – პერიკლუტოს, რომელიც ითარგმნება, როგორც „განდიდებული“, „დიდებაშემოსილი“, ანუ ისევე, როგორც სახელი „მუჰამედი“.

როცა ბერძენმა სწავლულებმა მიუთითეს მუსლიმებს, რომ აქ საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ სიტყვასთან და რომ სიტყვა პერიკლუტოს საერთოდ არ გვხვდება ბიბლიაში, მათ ტექსტის ფალსიფიცირებაში დასდეს ბრალი ქრისტიანებს, კერძოდ იმაში, თითქოს მათ ხმოვნები შეცვალეს ხსენებულ სიტყვაში. ქრისტიანთა ყველა მოწოდებამ, ყურადღება გაემახვილებინათ კონტექსტზე, საიდანაც კარგად ჩანს, რომ მუჰამედი ვერ შეასრულებდა ყველა იმ ფუნქციას, რაც ამ ფრაგმენტში სულიწმიდას მიეწერება, ფუჭად ჩაიარა. როგორც ჩანს, სანამ მუსლიმის გონება ყურანის ხუნდებისაგან არ განთავისუფლდება, ის ჩვენთვის მიუწვდომელი იქნება. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის არგუმენტაციას გაიაზრებს, ნათელი გახდება მისთვის მსგავსი პრეტენზიების უსაფუძვლობა სახარების შუქზე.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბიბლიას წაიკითხავს, დაიწყებს მუსლიმი იმის გაცნობიერებას, რომ ყურანი უნაკლო არ არის. მოიკრიბეთ მოთმინება და დაეხმარეთ თქვენს მეგობარ მუსლიმს ამ ძნელ წუთებში. უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი მონაწილეობით ინგრევა მისი სამყარო. ჭეშმარიტი ცოდნა ღვთის სასუფეველზე იოლად არ მიეა მათთან და ვერც ახალი რწმენის უპირატესობას იგრძნობენ მეყსეულად. ისინი საჭიროებენ თქვენს მეგობრობასა და ლოცვა-ვედრებას; მზად იყავით დახმარების გასაწევად და შეუმსუბუქეთ შემოსვლა სამყაროში, რომელიც ასე დიდხანს დახურული იყო მათთვის – ბიბლიის სამყაროში.

3. მუჰამედი თავს „წინასწარმეტყველთა ბეჭდად“ აცხადებს

ეს საშინელება იყო. ახალგაზრდები ბენზინით სავსე ჭურჭლებით ხელში მეზობელ სახლში მოთავსებული პატარა ბიბლიოთეკისაკენ გარბოდნენ. „ალაჰ აკბარ“-ის (ალაჰი დიდია) ყვირილით მათ ბენზინი გადაასხეს სახლს და ბიბლიოთეკა წამში დაიფერფლა. ის მუსლიმთა ერეტიკულ სექტას

„აჰმადს“ ეკუთვნოდა. ამ სექტის მიმდევრებს სჯერათ, რომ მათი დამაარსებელი გულიამ აჰმად მირზა, რომელიც გასულ საუკუნეში ცხოვრობდა და რომელმაც ისლამის შიგნით მესიანისტურ მიმდინარეობას ჩაუყარა საფუძველი, წინასწარმეტყველი იყო. 1974 წელს პაკისტანის უმაღლესმა სასამართლომ „აჰმადი“, როგორც სექტა, რომელიც ძირს უთხრიდა ისლამს, კანონგარეშედ გამოაცხადა. მართლმორწმუნე მუსლიმებმა ააეხეს ქუჩები, ყველანი აჰმადიელთა სახლების გაღასაწვავად მიიჩქაროდნენ.

აჰმადმა ეჭვ ქვეშ დააყენა უძველესი ისლამური დოგმატი, რომელიც მუჰამედს „წინასწარმეტყველთა ბეჭდად“ აცხადებდა. აი, რას ამბობს ყურანი ამის თაობაზე: „მუჰამედი არ ყოფილა არავის მამა, არამედ მხოლოდ ღვთის მოციქული და წინასწარმეტყველთა ბეჭედი იყო. ალაჰმა უწყის ყოველივე“ (ყურანი, 33:40).

ეს კი იუსუფ ალის კომენტარია: „წინასწარმეტყველ მუჰამედით დამთავრდა წინასწარმეტყველთა გრძელი რიგი“ (Yusuf Ali, 1977:1119).

მუსლიმებს სჯერათ, რომ მუჰამედი „წინასწარმეტყველთა ბეჭედია“ და მის შემდეგ წინასწარმეტყველი აღარ იქნება. სამართლიანია ეს პრეტენზია? მართლა აგრძელებს მუჰამედი წინასწარმეტყველთა რიგს, რომელთა შორის იესოც იყო, და მართლა უფლის ბოლო სიტყვაა იგი, ადამიანებისადმი მიმართული? „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“ ხომ მათ გვირგვინს ანუ უკანასკნელ წინასწარმეტყველს ნიშნავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა რიგებში მუჰამედი ვერ ჩადგება; ვერც ახალი აღთქმის მოციქულს ვუწოდებთ მას. მან არ მიიღო გამოსყიდვის ღვთაებრივი გეგმა, სადაც იესო ქრისტეა უფალი და მაცხოვარი. მუჰამედი ვერ იქნება „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“, რადგან იგი მათი მსახურების საზრისსა და არსს უარყოფს.

4. მუჰამედი მისი სიტყვისადმი მორჩილებას მოითხოვს

ყურანში ბევრია ისეთი ფრაგმენტი, სადაც მუჰამედი ღვთის სახელით ლაპარაკობს; მორჩილთ სამოთხეს ჰპირდება, ურჩთ კი — ჯოჯოხეთში ტანჯვას:

„იწამეთ ალაჰი და მისი მოციქული... ვინც იწამებს... მათ — დიდი ჯილდო!... დღეს გამოსასყიდს არ გამოიღებენ არც ისინი, ვინც არ ირწმუნა. თქვენი თავშესაფარი ცეცხლია; ისაა თქვენი მბრძანებელი და საშინელი იქნება ეს დაბრუნება!“ (ყურანი, 57:7,14(15));

„...დაემორჩილეთ ალაჰსა და მის მოციქულს, თუკი ირწმუნეთ“ (ყურანი, 8:1);

„...ვინც პირს მიიბრუნებს ალაჰისა და მისი მოციქულისაგან... ალაჰი ხომ სასჯელშიც ძლიერია!“ (ყურანი, 8:13);

„...დაემორჩილეთ ალაჰს და მის მოციქულს, და ნუ მიიბრუნებთ პირს, როცა უსმენთ (მის მოციქულს)“ (ყურანი, 8:20);

„...დაემორჩილეთ ალაჰს და მის მოციქულს...“ (ყურანი, 8:48(46);

„ეომეთ მათ, ვისაც არა სწამს ალაჰი და განკითხვის დღე, არ კრძალავს იმას, რაც აკრძალეს ალაჰმა და მისმა მოციქულმა, და არ ემორჩილება ჭეშმარიტ რჯულს (ისლამს) – ისინი, ვისაც წერილი ებოძა (ებრაელები და ქრისტიანები), დამცირებული გყავდეთ, სანამ გამოსასყიდს არ გადაიხდიან“ (ყურანი, 9:29).

ცხადია, რომ ჩვენს წინაა მოძღვრება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის დაშინებაზეა აგებული. მისი არსი შემდგომშია: თუ დაემორჩილები წინასწარმეტყველ მუჰამედს, საჩუქარს მიიღებ, თუ არა და დაგამცირებენ, გამოსასყიდს გადაგახდევინებენ, საბოლოოდ კი ჯოჯოხეთის ალი ჩაგნთქავს. მუჰამედის ყველაზე საშიში პრეტენზია უფლის სახელით ლაპარაკია. მუჰამედისადმი მორჩილება დაუშვებელია ქრისტიანისათვის, რადგან მისი სიტყვები სახარების არსს უარყოფენ.

გაფრთხილება

მუსლიმებს გულთან ახლოს მიაქვთ მუჰამედზე ნათქვამი ყოველი სიტყვა. არ ვიცი, რა არის მიზეზი, სისტემის არამდგრადობის შეგრძნება თუ ბნელი ძალები, რომლებიც მუჰამედის კულტს დარაჯობენ, მაგრამ მუსლიმებს არ გააჩნიათ ის მოთმინება და ობიექტურობა, რაც საშუალებას მისცემდა მათ კრიტიკული თვალით შეეხედათ მუჰამედის ცხოვრების შესახებ არსებული ლეგენდებისათვის. ამიტომ, მიუხედავად იმისა, თუ რა დასკვნებს გამოიტანთ ბიბლიისა და ყურანის, მუჰამედისა და ქრისტეს ცხოვრების შედარების შედეგად, ნუ იჩქარებთ, თქვენს ნაცნობ მუსლიმს გაუზიაროთ ისინი. შეიძლება, ერთხელაც დადგეს ის დღე, როდესაც თქვენი ნაცნობი მუსლიმები შეიგნებენ, რომ ქრისტე უფრო დიდია, ვიდრე მუჰამედი და ჭეშმარიტების გზაზე დადგომას მოისურვებენ. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ ამ მომენტში. ილოცეთ და სთხოვეთ ღმერთს, რომ თვალი აუხილოს მათ ჭეშმარიტების დასანახად, რომელიც იესო ქრისტეს

სახით მოგვეელინა. ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ქრისტესკენ მიაპყროთ მუსლიმის ცნობიერება.

5. მუსლიმთა მტკიცებით, მრავალი ბიბლიური წინასწარმეტყველება მუჰამედს შეეხება

როგორც აღვნიშნეთ, მუჰამედი აცხადებდა, რომ მისი მოვლინება თავად იესო ქრისტემ იწინასწარმეტყველა.

მუჰამედის მიმდევრებმა დიდი ძალისხმევა შეალიეს ძველ და ახალ აღთქმაში იმ წინასწარმეტყველებების დაძებნას, რომლებიც, მათი აზრით, მუჰამედს შეეხებიან და არა იესოს. ჩვენ დროს არ დავხარჯავთ ამ სასაცილო მცდელობების გაბათილებაზე, უბრალოდ განვიხილავთ ძველი აღთქმის ერთ პასაჟს, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად მიმართავენ ხოლმე:

„წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინე... ბაგეზე დავუდებ ჩემს სიტყვებს და ის გამოგიცხადებს ყველაფერს, რასაც მე ვუბრძანებ. თუ ვინმე არ შეისმენს ჩემს სიტყვებს, რომელთაც ის გამოაცხადებს ჩემი სახელით, თავად მე მოვოხოვ მას პასუხს“ (მეორე რჯ. 18:15,18,19).

ახალ აღთქმაში ეს წინასწარმეტყველება ქრისტეს მიესადაგება (საქმ. 3:22; 7:37). მუსლიმები მაინც ამტკიცებენ, რომ მოსე მუჰამედის მოვლინებას წინასწარმეტყველებდა. მათი არგუმენტები დაახლოებით ასე გამოიყურება:

როგორც მოსეს, ისე მუჰამედს, ცოლები ჰყავდათ და დაქორწინებულები იყვნენ.

მოსემაც და მუჰამედმაც რჯული მისცეს ხალხს.

მუჰამედი ისაკის ძმის, ისმაელის შთამომავალი იყო.

იესო კი არ გამოსულა „ძმათა“ შტოსაგან (იგულისხმება ისმაელი).

მოსემაც და მუჰამედმაც უცხო თესლის ბატონობისაგან გაათავისუფლეს თავისი ხალხი.

ძალზე იოლია ჩვენი მუსლიმი მეგობრებისათვის იმის ჩვენება, რომ მოცემული წინასწარმეტყველება იესოში აღსრულდა. მაგალითად, როგორც მოსემ, ასევე იესომ, დაგვიტოვეს სისხლით დამოწმებული აღთქმა. იესოს რჯული მოსეს რჯულის აღსრულებად გადაიქცა. ორივეს შეეძლო სასწაულის ჩადენა, მუჰამედს კი — არა. მათ შეეძლოთ უდაბნოში მშიერთა

დაპურება, ზღვის სტიქიის დამორჩილება: ერთმა შუაზე გაყო ზღვა, მეორე ფეხით გადიოდა წყალზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მხოლოდ იესო იყო კაცობრიობის მხსნელი, მხოლოდ მას მოიხსენიებდნენ წინასწარმეტყველნი და მხოლოდ მას ეწერა ყოფილიყო, შებრკოლებისა და საცდურის ლოდი.

ვისაც სურს, დაწვრილებით გაეცნოს ბიბლიურ წინასწარმეტყველებათა ისლამურ ინტერპრეტაციებს, ვუსახელებ წიგნებს, რომლებიც ძალზე პოპულარულნი არიან დღეს ისლამურ სამყაროში: Jamal Badawi. Muhammad In The Bible; Ahmad Deedat. What the Bible Says About Muhammad; Abdul Hamid. Evidence of The Bible About Muhammad. სასურველია, მისიონერი გაეცნოს ამ წიგნებს და მოამზადოს აქ წამოყენებულ მოსაზრებათა გასაბათილებელი არგუმენტაცია, როგორც მუსლიმთა, ისე იმ ქრისტიანთა სასარგებლოდ, რომლებიც დააბნია ამგვარმა მსჯელობებმა.

6. მუსლიმები „ბარნაბას სახარებას“ ეყრდნობიან

პაკისტანში ყოფნისას „ბარნაბას სახარება“ მომხვდა თვალში. ჩემმა მოწაფე მუსლიმებმა მომიტანეს ეს „სახარება“ და მაჩვენეს იქ იესოს სიტყვები, რომლებიც მუჰამედის მოვლინებას გვამცნობენ. ეს წიგნი (ის 273 გვერდისაგან შესდგება და გამოცემულია 1973 წელს ყარაჩიში) მხარს უჭერს მუსლიმთა მტკიცებებს, რომლებიც უარყოფენ იესოს ძე-ღმერთობას, მის ჯვარცმას, და, როგორც აღვნიშნეთ, შეიცავს იესოს წინასწარმეტყველებას მუჰამედის მოვლინების თაობაზე.

ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ ეს „სახარება“ 1300 წელზე უფრო ადრე არ უნდა იყოს დაწერილი (Mc Dowell, 1983:99).

იგი საეჭვოა ანაქრონიზმებით. ავტორი ცუდად იცნობს პალესტინის გეოგრაფიას, რაც მოწმობს, რომ იგი არასოდეს ყოფილა იქ, ზოგიერთი ციტატა კი მას დანტეს პოეზიიდან აქვს აღებული (1245-1321 წ.წ.).

ავტორი უარყოფს, რომ იესო იყო მესია და ამ წოდებას მუჰამედს აკუთვნებს, რითაც ყურანს ეწინააღმდეგება. შედეგად, ეს ყალბი ქმნილება არც ბიბლიას შეესაბამება და არც ყურანს.

სტილისტური ანალიზი ადასტურებს, რომ ამ თხუზულების ავტორმა კარგად იცოდა იტალიური (ორიგინალი შესრულებულია იტალიურ ენაზე), მაგრამ ცხოვრობდა, როგორც ჩანს, ესპანეთში. როგორც ჯონ მაკ-დოუელი აღნიშნავს, „ბარნაბას სახარება“ „ქრისტეს ცხოვრების ყურანულ და ისლა-

მურ ტრადიციასთან მისადაგების ცდას წარმოადგენდა“ (Mc Dowell, 1983:103).

დოქტორ იუსუფ ქემელს კოლორადოს კოლეჯიდან უნდა გუმადლოდე იმ შესაძლებლობას, რომ აქ მომყავს მასალა მისი გამოუქვეყნებელი წიგნიდან, რომელიც „ბარნაბას სახარებას“ შეეხება. ამ გამოკვლევაში ქემელი გამოჩენილ ეგვიპტელ მეცნიერთა ციტირებას მიმართავს: „ყალბი სახარება დაწერილია XV საუკუნეში ევროპელის მიერ, ის საკმაოდ უხეშ შეცდომებს უშვებს იერუსალიმის პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის აღწერისას“ (ქაიროელი პროფესორი მუჰამედ შაფიკ გორბალი); „ამ სახარებაში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება შეცდომები; არც ერთი მუსლიმი არ დაეყრდნობოდა მას, გაცნობიერებული რომ ჰქონდეს, როგორ ეწინააღმდეგება ის ყურანს“ (აბას მაჰმუდ ალ-აკადი). რაც უნდა მოსაწყენი მოეჩვენოს ეს მისიონერს, მან გულმოდგინედ უნდა დაიმახსოვროს ჩვენი არგუმენტები, რომლებიც უარყოფენ იესოს მიერ მუჰამედის მოვლინების წინასწარმეტყველებას. კვლავ მივმართავთ პაულე მოციქულის შეგონებას: „მონას ღვთისას კი არ მართებს ჩხუბი, არამედ წყნარი უნდა იყოს ყველას მიმართ, დამმოძღვრაები, შემწყნარე. სიმშვიდით არწმუნებდეს მოწინააღმდეგეთ, ვინძლო მისცეს მათ უფალმა მონანიება ჭეშმარიტების შესაცნობად“ (2 ტიმ. 2:24-25).

თავი XXXI

მუჰამედის მტკიცებანი ყურანის თაობაზე

„ეს ხომ მხოლოდ უწყებაა სამყაროსათვის,
თქვენთვის, ვისაც სურს იყოს მართალი“
(ყურანი, 81:27,28).

მუჰამედის მტკიცებანი ყურანის შესახებ, რომლებიც თავად ყურანშია მოცემული, ჩვენგან სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. მთელი მუსლიმური სამყარო, ეს კი მილიარდზე მეტი ადამიანია, ამ წიგნში მითითებული გზით მიდის სამოთხისა ან ჯოჯოხეთისაკენ. ეპიგრაფად გამოტანილი ციტატიდან ნათელია, რომ ყურანის „უწყება“, მუჰამედის სიტყვების თანახმად, მთელი კაცობრიობისათვის იყო განკუთვნილი, ყველასთვის, ვისაც სურდა „ყოფილიყო მართალი“. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ თქვენთაგანს სურს სწორი გზით სიარული, ამიტომ შევეცადოთ, გავაანალიზოთ, თუ რას გვთავაზობს მუსლიმთა წმიდა წიგნი.

1. ყურანი ადასტურებს მის წარმოშობამდე არსებული „წერილის“ ჭეშმარიტებას

ქრისტიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა: „ეთანხმება თუ არა ყურანის მოძღვრება ბიბლიას?“ მუჰამედი ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლეოდა. შეადარეთ შემდეგი ფრაგმენტები: „ჭეშმარიტად, გამოგიგზავნეთ ეს წერილი, რომელიც ამოწმებს ადრე დაწერილის ჭეშმარიტებას და იცავს მას“ (ყურანი, 5:52(48); „ვერაკინ შესთხზავდა ამ ყურანს, თვინიერ უფლისა, იმის ჭეშმარიტების დასამოწმებლად, რაც მანამდე იყო, წერილის განსამარტავად, რომელიც, უეჭველია, სამყაროთა უფლისაგან იყო“ (ყურანი,

10:38(37) და „მანამდე მუსას (მოსეს) წიგნი იყო იმამი და კურთხევა. ეს წიგნი (ყურანი) კი არაბულ ენაზე ამოწმებს ჭეშმარიტებას, რათა ამხილოს უკეთურნი და აკურთხოს კეთილისმოქმედნი“ (ყურანი, 46:11(12).

აი, მოკლედ ის დებულებანი, რომელიც წამოაყენა მუჰამედმა ყურანის შესახებ:

ყურანი ამოწმებს მის წარმოშობამდე არსებულ ყველა გამოცხადებას.

ყურანი მოწოდებულია ადრე მოვლინებულ გამოცხადებათა დასაცავად.

ყურანი გამოგზავნილია სამყაროთა უფლის მიერ.

ყურანი გამოგზავნილია წინა წერილის განსამარტავად.

ყურანი ამხელს უკეთურთ.

ყურანი აკურთხებს კეთილისმოქმედთ.

თუმცა ყურანის ტექსტი არ იძლევა საფუძველს ამგვარი მტკიცებებისათვის. დავიწყოთ იქიდან, რომ ყურანში ძალზე ცოტა რამაა ნათქვამი ძველი და ახალი აღთქმის შესახებ; ის მცირეოდენი საერთო მასალაც კი, რომელიც თითქოს უნდა აერთიანებდეს ყურანსა და ბიბლიას, სხვადასხვანაირადაა მათში გადმოცემული, მაგალითად, აბრაამის, იოსებისა და იესოს ოჯახის ამბავი, ქრისტეს შობასთან დაკავშირებული გარემოებანი, ზაქარიას სიმუნჯის მიზეზი. მაგრამ მთავარი ყურანის მიერ ქრისტეს ძეღმერთობის, ჯვარცმის, შესანდობარი სიკვდილის, აღდგომისა და ღვთაებრივი არსის უარყოფაა.

„წერილის“ სრული განმარტების ნაცვლად, ყურანში საღვთო ისტორიის ცალკეული ეპიზოდებია გადმოცემული, შემოკლებული და არაზუსტი სახით. ხოლო რაც შეეხება იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ძირითად მომენტებს, ყურანი აქ თავად სახარების არსს ეწინააღმდეგება.

ყველაფერი ეს გვარწმუნებს, რომ მუჰამედს არასოდეს წაუკითხავს ბიბლია. ყურანის სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუჰამედი იმ ნაცნობი ებრაელებისა და ქრისტიანების ნაამბობს ემყარებოდა, რომელთაც თავად არ ჰქონდათ წაკითხული წმიდა წერილი.

ასე რომ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მუჰამედისა და მისი მიმდევრების მტკიცებებს ყურანის თაობაზე. თუ მუსლიმები დარწმუნებულნი არიან თავიანთ სიმართლეში, დაამტკიცონ, რომ ყურანი მართლაც ღვთის მიერაა გამოგზავნილი მისი წინამორბედი წერილის დასამოწმებლად, დასაცავად და განსამარტავად.

2. ყურანი ტოლს არ უდებს წინამორბედ წერილს

ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტებში მუჰამედი ბიბლიურ წინასწარმეტყველებაზე და ქრისტეზე საუბრობს:

„...ჩვენ ვირწმუნეთ ალაჰი და ის, რაც გვიბოძა, რაც უბოძა იბრაჰიმს, ისმაელს, ისჰაკს, იაკუბს და ტომებს, და რაც ებოძათ მუსას (მოსე) და ისას (იესო) და წინასწარმეტყველებს მათი უფლისაგან. ჩვენ არ ვასხვავებთ მათ“ (ყურანი, 2:130(136).

ამ გამონათქვამში არის რამდენიმე სადაო მომენტი. თუ სიტყვები „რაც გვებოძა“ ერთნაირად მიემართება მუჰამედს, რომელმაც ალაჰისაგან მიიღო გამოცხადება და სხვა, აქ ჩამოთვლილ, ბიბლიურ და არაბიბლიურ წინასწარმეტყველებს, მაშინ მუჰამედი საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. მაგალითად, ბიბლიაში არ გვხვდება მითითება იმის თაობაზე, რომ უფალი და მთავარანგელოზი გაბრიელი ოდესმე გამოეცხადნენ ისმაელს. (როგორც ითვლება, გაბრიელი მუჰამედს ეცხადებოდა) ამიტომ გაუგებარია, რატომ არის დასახელებული იგი სხვა წინასწარმეტყველთა შორის. არც ის არის სადმე ნათქვამი ბიბლიაში, რომ უფალმა წინასწარმეტყველება გამოუცხადა „ტომებს“ (აქ, ალბათ, იგულისხმებიან იაკობის თორმეტი შვილის შთამომავლები).

მუჰამედი არღვევს ბიბლიურ წარმოდგენას წინასწარმეტყველებზე, როცა მათ შორის ადამსა და ლოთს ასახელებს. ისინი არ წინასწარმეტყველებდნენ და არც იწოდებოდნენ ასეთებად ბიბლიაში.

როგორც ვხედავთ, მუჰამედი ერთ რიგში აყენებს ბიბლიურ პერსონაჟებს და საკუთარ თავს; ჩვენ კი, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, არ მიგვაჩნია ყურანი საღვთო წერილის მსგავს ღვთაებრივ გამოცხადებად. აურია რა ერთმანეთში ბიბლიური პერსონაჟები და წინასწარმეტყველები, ამით მუჰამედმა აჩვენა, რომ მისთვის გაუგებარი დარჩა თავად არსი ბიბლიური წინასწარმეტყველებისა და გამოცხადებისა. ამ და სხვა ეთიკურ მიზეზთა გამო, რაზეც არ მინდა ყურადღება შევაჩერო, ვერ მივიჩნევთ ყურანს საღვთო წერილის დარ წმიდა წიგნად. გარდა ამისა, ყურანი ბევრ რამეში ეწინააღმდეგება ბიბლიურ გამოცხადებას.

3. ყურანი აღემატება წინამორბედ წერილს

მუჰამედის განცხადებას, რომ მას თაყვანი უნდა სცენ, როგორც „წინასწარმეტყველთა ბეჭედს", თან ახლავს მტკიცება, რომ ყურანი, როგორც უკანასკნელი გამოცხადება, ყველა ადრინდელ გამოცხადებაზე უფრო მნიშვნელოვანია. ყურანი არ უხვსიტყვაობს ამის თაობაზე. გთავაზობთ ერთ აღგილს:

„ო, წერილის მქონენო! მოვიდა თქვენთან წარმოგზავნილი, რათა განმარტოს ბევრი რამ, რასაც წერილში მალავთ და გვერდს უქცევთ (ახლა ეს აღარაა საჭირო). მოვიდა თქვენთან ალაჰისაგან სინათლე და ცხადი წერილი; ალაჰი მიუძღვის მათ, ვინც მის კვალს მიჰყვება და გაჰყავს ბნელიდან ნათელში და უჩვენებს სწორ გზას" (ყურანი, 5:18(15-16).

ჩვენთვის ყურადსაღებია შემდეგი:

პირველი, მუჰამედი ბრალს სდებს ებრაელებსა და ქრისტიანებს, რომ ისინი მალავენ წმიდა წერილის იმ ნაწილს, რაც მის პოზიციებს უნდა განამტკიცებდეს.

მეორე, მუჰამედი აცხადებს, რომ ბევრი რამ წმიდა წერილიდან უკვე აღარ არის საჭირო. შეიძლება ეს გამოწვეულია იმით, რომ ქრისტიანებმა უარი თქვეს მოსეს რჯულის რიტუალებზე, მათ შორის მსხვერპლშეწირვებზეც, რაც ტაძრის დანგრევასთან ერთად გაქრა.

მესამე, მუჰამედის სიტყვების თანახმად, მის მოძღვრებასთან ერთად მოვიდა ახალი ნათელი, „ცხადი წერილის" სახით. იუსუფ ალი თავის კომენტარში განმარტავს, რომ აქ ნახმარი არაბული სიტყვა აღნიშნავს „ბრწყინვალე ნათელს", ან ნათელს, რომელიც სიცხადეს ანიჭებს საგნებს და ერთმანეთისაგან არჩევს ჭეშმარიტებასა და სიყალბეს (Yusuf Ali, 1977:256).

მეოთხე, ყურანის დახმარებით, ალაჰი მიუძღვის „წერილის მქონეთ" ბნელიდან ნათელში; ამასთან, რასაკვირველია, იგულისხმება, რომ იუდეველებსა და ქრისტიანებს „განათლება" ესაჭიროებათ, ანუ ის „ახალი ნათელი", რომელიც ღმერთმა ყურანის სახით გვიბოძა.

და ბოლოს, ყურანს მიჰყავს „წერილის მქონენი" „სწორი გზით". იგულისხმება, რომ აქამდე ისინი არასწორი გზით ვიდოდნენ.

ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ აქ ერეტიკოსებზე, იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან განდგომილებზეა საუბარი. სამწუხაროდ, მუჰამედი

თავად სახარებისეულ მოძღვრებას თვლიდა ერესად. ამის შეღეგია, რომ თანამედროვე მუსლიმი საჭიროდ არ თვლის ბიბლიის ცოღნას, რადგან მუჰამედმა არა მარტო გადმოსცა ყურანში მისი არსი, არამედ შეასწორა კიდეც ებრაელებისა და ქრისტიანების მიერ შერყვნილი წმიდა წერილი. მუსლიმთა აზრით, ყურანი ყველა პარამეტრის მიხედვით აღემატება ბიბლიას.

მისიონერის მთავარი ამოცანაა, გზა გაუხსნას მუსლიმს ბიბლიური მოძღვრებისაკენ, დაარწმუნოს იგი წმიდა წერილის ჭეშმარიტებაში, ასწავლოს მისი სილამაზისა და სიბრძნის აღქმა, რომელიც ღვთის მაძიებელია ყველა მოთხოვნას პასუხობს. ჩვენ უნდა გვქონდეს უზარმაზარი მოთმინება, წმიდა წერილის ღრმა ცოდნა, სწავლებისა და ჩვენი მუსლიმი მეგობრების დარწმუნების უნარი.

4. მუჰამედი ამტკიცებს, რომ მისი პირით ღმერთი გველაპარაკება

ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელიც შეიძლება შეხვდეს ქრისტიან მისიონერს, მუსლიმთა შორის სახარების ქადაგებისას, ესაა მაომ რწმენა, რომ ყურანი ანგელოზის მეშვეობით მუჰამედისათვის გამოგზავნილი ღვთის სიტყვაა. აი, რა წერია ყურანში ამის თაობაზე.

„ერავინ შეთხზავდა ამ ყურანს, თვინიერ უფლისა, იმის ჭეშმარიტების დასამოწმებლად, რაც მანამდე იყო, წერილის განსამარტავად, რომელიც, უეჭველია, სამყაროთა უფლისაგან იყო“ (ყურანი, 10:38(37)).

მართლმორწმუნე მუსლიმს მტკიცედ სწამს, რომ ყურანი ღვთის სიტყვაა. აქედან გამომდინარე, შეუსაბამობანი ბიბლიასა და ყურანს შორის მხოლოდ ცალსახად აიხსნება: ბიბლია არ იმსახურებს ყურადღებას, რადგან ყურანში არის ყველაფერი ის, რაც აუცილებელია, ანდა ბიბლიის ტექსტი შერყვნილია. სხვა ახსნა, მათი აზრით, ამ შეუსაბამობებს არ მოეძებნება.

მისიონერი ორმაგად რთულ მდგომარეობაშია. ჯერ ერთი, მან უნდა უჩვენოს მუსლიმს, რომ ბიბლია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ჭეშმარიტია და სარწმუნო. მეორე, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ყურანს არ გააჩნია ეს უპირატესობანი.

შემდეგი ამოცანა კიდეე უფრო რთულია, რადგან ის მუჰამედის მხი-

ლებასთანაა დაკავშირებული. უნდა წარმოვაჩინოთ, რომ მან უფლისაგან კი არ მიიღო თავისი ცოდნა, არამედ ადამიანებისაგან. თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში ყურანის შესახებ ჯონ ბლეირი (John Blair) მის წყაროთა შორის ასახელებს ებრაული თალმუდისა და მიშნას ტექსტებს, არაბულ აპოკრიფულ სახარებებს, ზოროასტრის მოძღვრებას, რომელიც მეზობელი სპარსეთიდან შემოვიდა, აგრეთვე, ისლამამდელი ბედუინური სულიერი კულტურის ელემენტებს და ეგვიპტეში, ეთიოპიასა და ინდოეთში გავრცელებულ ფილოსოფიურ კონცეფციებს.

ამ პრობლემის გულმოდგინე შესწავლა დიდ სამსახურს გაგიწევთ. ფარდა აეხდება იმ საიდუმლოს, თუ საიდან იღებდა მუჰამედი ყურანში გამოთქმულ იდეებს. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მის დებულებას ეძებნება კონკრეტული წყარო.

რჩება ყურანის ორი უნიკალური თვისება. პირველია, სიტყვის ფლობის უდიდესი ოსტატობა, რასაც ვერ წავართმევთ მუჰამედს. მას ხშირად ექსტაზამდე მიჰყავდა მსმენელი თავისი პოეტური ნიჭის წყალობით.

მეორე თვისება კი, მუჰამედის ღვთისაგან წარმოგზავნილობის იდეა, ჩვენ ზემოთ გავაანალიზეთ.

ყურანის წყაროთა შესწავლის შემდეგ, იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ იგი ღვთის სიტყვა კი არა, უაღრესად ნიჭიერი და მჭევრმეტყველი ორატორის მიერ შეთხზული ტექსტია.

ახლა კი ერთი გაფრთხილება მისიონერს. ძალზე საშიშია ზემოთ წარმოდგენილ საკითხთა განხილვა მუსლიმთა წრეში. უკეთესი იქნება, თუ ხელსაყრელ მომენტს დაელოდებით. ჭეშმარიტად თქმულა, რომ ჩვენ „...ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ“ (2 კორ. 10:5); მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ იმდენი სული უნდა დავიპყროთ, რამდენიც შესაძლებელია. მივენდოთ სულიწმიდას, ის გვასწავლის, საიდან დავიწყოთ და როგორ განვაგრძოთ. უნდა ვეეედროთ მას, რომ თვალი აუხილოს ჩვენს მეგობარ მუსლიმებს, მაშინ გამოეცხადებათ მათ ღვთის სიყვარული იესო ქრისტეს სახარების სახით.

ნაწილი 7

აბრაამის ოჯახის შერიგება

„ხოლო თქვენ გეუბნებით, რომ მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, და დასხდებიან აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან ცათა სასუფეველში“ (მათე, 8:11).

„რწმენის მოსვლამდე კი მომწყვდეულები ვიყავით რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ, ვიდრე რწმენა გამოჩნდებოდა. ამრიგად, რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესკენ, რათა გავმართლებულიყავით რწმენით. მაგრამ როცა რწმენა უკვე მოვიდა, წარმმართველის ხელქვეით აღარ ვიმყოფებით. ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით. უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც დედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში. და თუ ქრისტესნი ხართ, მაშ, აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი“ (გალ. 3:23-29).

შესავალი

ვუახლოვდებით რა წიგნის დამამთავრებელ ნაწილს, მოდით, ცოტა ხნით კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის ამოსავალ დებულებას.

ღმერთმა მოუწოდა აბრაამს, გამხდარიყო დანარჩენი კაცობრიობის კურთხევის იარაღი. „კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12:3). მაგრამ მის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. იმის მაგივრად, რომ დალოდებოდნენ ღმერთის აღთქმულ სასწაულს (ისაკის დაბადებას), აბრაამმა და სარამ საკუთარ თავზე აიღეს ინიციატივა და ეგვიპტელი მხევლის, აგარის, საშუალებით მოინდომეს შვილის შეძენა. საბოლოო ჯამში ამან გამოიწვია განხეთქილება აგარსა და სარას შორის და ორჯერ ოჯახის დანგრევა. პირველად ეს მოხდა მაშინ, როცა აგარი სახლიდან

გაიქცა, მეორედ კი, როდესაც გააგლეს. საკვირველია, რომ ღმერთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აგართან და ისმაელთან დაკავშირებულ კონფლიქტში. საქმე ის არის, რომ აგარი ისმაელის წყალობით ურიცხვი შთამომავლობის დედა უნდა გამხდარიყო, მისი მემკვიდრენი კი, კაცობრიობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ღვთის სიყვარულის ობიექტებად იქცეოდნენ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იყო გარკვეული ნათესაური კავშირი ისმაელის ძეებს, რომლებიც არაბეთის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ, და VII საუკუნის „წინასწარმეტყველ“ მუჰამედს შორის.

გავიგეთ, თუ როგორ დააარსა მან ახალი რელიგია და ჩააწნა მასში აგარისა და ისმაელის ძველი ისტორია, კერძოდ, აიძულა მომლოცველები, რომ რიტუალის სახით გაემეორებინათ უდაბნოში აგარის ხეტიალი და სასმელი წყლის ძებნა, გადმოიტანა რა ეს ქმედება მექის მიდამოებში. შემდეგ ჩვენ განვიხილეთ მუჰამედის მიერ დაარსებული რელიგია, მის წიაღში აღმოცენებული სხვადასხვა მიმდინარეობები და მათთან შესაძლებელი დაახლოების გზები.

მათთან დაახლოების გზების ძიებას საფუძვლად უდევს იმედი, რომ შეიძლება მოიმკას მდიდარი მოსავალი მთელს მუსლიმურ სამყაროში, განსხვავებულ მიდგომას კი ენების, ეთნიკური თავისებურების, თეოლოგიური აზროვნებისა და რელიგიური გამოცდილების სხვადასხვაობა განაპირობებს.

ისიც ვიცით, რომ ძლიერ წინააღმდეგობას წავაწყდებით, გარდაუვალია მსხვერპლი და დანაკარგები.

წიგნის დამამთავრებელ ნაწილში ჩვენ ჩამოვთვლით იმ ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთი რელიგიიდან მეორეში გადასვლისას მიღებულ სულიერ ტრამვებთან და გთავაზობთ ქრისტიანი მისიონერისათვის სასარგებლო რჩევებს, თუ როგორ უნდა გაუადვილონ ადამიანებს ეს ძნელი პროცესი. შემდეგ ჩვენ გავაანალიზებთ, თუ რას უნდა ელოდეს მისიონერი ახლადმოქცეულთა დამოძღვრისას, რა მიზნებს უნდა ისახავდეს იგი ამ სწავლების პერიოდში. ბოლოს გთავაზობთ იმ გაერთიანებათა მოდელებს, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ისლამისაგან განდგომილთაგან.

დამამთავრებელ თავში განვიხილავთ, თუ როგორ იქცეოდა მაცხოვარი გალილეაში ქადაგებისას და შევეცდებით გამოვიყენოთ მისი მეთოდები მუსლიმური სამყაროს ახლად დაწყებულ ევანგელიზაციაში.

თავი XXXII

სხვა რწმენაზე მოქცევისას მიღებული ტრამვები

„ნუ გგონიათ თითქოს დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი. მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი. რადგან მოვედი, რათა გავყო კაცი თავის მამისაგან, ასული – თავის დედისაგან და რძალი – თავის დედამთილისაგან. კაცის მტრები მისი შინაურები იქნებიან. ვისაც მამა და დედა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი, და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი; ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი; ვინც თავის სულს პოულობს, დაკარგავს მას, ხოლო ვინც თავის სულს ჩემთვის კარგავს, ჰპოვებს მას“ (მათე, 10:34-39).

სხვა რწმენაზე მოქცევა უმეტეს შემთხვევაში ტრამვებთანაა დაკავშირებული. ესაა „ხელახალი შობის“ (იოანე, 3:3) ტრამვა, რომელიც ერთი სულიერი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას მოსდევს. იესომ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა თავისი გარდაუვალი სიკვდილი და აღდგომა, თქვა: „...კაცის ძის ხვედრია მრავალი ტანჯვა აიტანოს და უარყოფილ იქნეს უხუცესების, მღვდელმთავრებისა და მწიგნობრების მიერ, მოკლულ იქნეს და მესამე ღღეს აღდგეს“ (ლუკა, 9:22).

იესომ, რომელმაც ენით აუწერელი ტანჯვა გადაიტანა, თავად განიცადა ერთი მდგომარეობიდან (აღდგომამდე) მეორეში (აღდგომის შემდეგ) გადასვლა. პირველმა მან გვიჩვენა ხელახალი დაბადების მაგალითი.

როდესაც აფრთხილებდა მოსალოდნელი სატანჯველის შესახებ, ის თავის მოწაფეებს ეუბნებოდა: „...ვისაც სურს თავისი სული იხსნას, იგი დაღუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს მას, იგი იხსნის მას“ (ლუკა, 9:24).

დასავლეთში, სადაც რწმენის თავისუფლებაა, ეს სიტყვები არ ჟღერს

ისე ავის მომასწავებლად, როგორც მუსლიმურ სამყაროში. თუმცა გამონაკლისი აქაც გვხვდება, მაგალითად ინდონეზიაში, სადაც ადამიანები ცდილობენ იყვნენ სულგრძელნი და შემწყნარენი, რამდენიმე მილიონი მუსლიმი გაქრისტიანდა. მაგრამ მუსლიმური სამყაროს სხვა ნაწილებში საკუთარი თავის ქრისტიანად გამოცხადება აუცილებლად გამოიწვევს დევნა-შევიწროვებას და შეიძლება სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდეს ადამიანს.

მაგალითად, პაკისტანში 1989-1990 წლებში ახლადმოქცეულ ავღანელ ქრისტიანთა ლიდერი წამებით მოკლეს ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაურის ბრძანებით. როგორც ვარაუდობენ, ამავე რაზმმა მოიტაცა და აწამა ერთ-ერთი დასავლური საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც არა მარტო მატერიალურად ეხმარებოდა ავღანელ ქერიეობლებს, არამედ ბიბლიასაც ავრცელებდა მათ შორის. სინდის პროვინციაში ყოფილი მუსლიმის, ცნობილი ღვთისმსახურის ვაჟი ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი დაცხრილეს გამველი მანქანიდან.

მალაიზიაში ახლადმოქცეული ქრისტიანები თავიანთ მოძღვართან ერთად ციხეში ჩაყარეს, მაგრამ შემდეგ გაანთავისუფლეს, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მათ დასჯას.

ეგვიპტეში უამრავი ახლადმოქცეული დააპატიმრეს. ერთ-ერთი მათგანი სულ ცოტა ხნის წინ წამებით გარდაიცვალა. მადლი ღმერთს, რომ ყველა არ დაიჭირეს, შეიძლება არ იცოდნენ მათი გაქრისტიანების ამბავი და იმიტომ. როდესაც მისიონერი წარმატებით მოღვაწეობს, მას, როგორც წესი, ციხეში სვამენ, თუ ადგილობრივია, უცხოელს კი ქვეყნიდან აძევებენ.

საიდან მოდის ეს სიძულვილი და შეუწყნარებლობა? მათ საფუძველი ყურანმა და ჰადისებმა ჩაუყარეს. გირჩევთ, წაიკითხოთ სამუელ ზვემერის წიგნი „კანონი განდგომილთა შესახებ ისლამში“ (Samuel Swemer, The Law of Apostasy in Islam, 1924 წ.).

განვიხილოთ ყურანის ის ადგილები, რომლებიც საფუძვლად დაედო გაქრისტიანებულ მუსლიმთა დევნა-შევიწროვებასა და სიკვდილით დასჯას:

„რატომ ორჭოფობთ პირფერებთან დამოკიდებულებაში? უფალმა უარყო ისინი მათი შენაძენის გამო. ნუთუ გინდათ, კვლავ გზაზე დააყენოთ ის, ვინც ალაჰმა გადააცდინა გზიდან? ვისაც ღმერთი აურევს გზაკვალს, იმის გზაზე დაყენება შეუძლებელია! მათ სურთ, რომ თქვენც მათსავით ურჯულონი გახდეთ. ნუ დაუმეგობრდებით მათ, სანამ კვლავ ღვთისკენ

არ მოიქცევიან. თუ პირს მიიქცევენ, შეიპყარით და ამოხოცეთ, საცა მიასწრეთ. ნუ აირჩევთ მათგან ნურც მეგობარს და ნურც შემწეს“ (ყურანი, 4:90, 91(88, 89));

„მორწმუნენო! ვინც თავის რელიგიას განუდგება, ღმერთი მათ ადგილზე სხვებს დააყენებს, იმათ, ვინც უყვარს და ვისაც იგი ეყვარება, ვინც შემწყნარე იქნება მორწმუნეთა მიმართ და შეუბრალებელი ურჯულოებთან, ვინც იბრძოლებს ალაჰის გზაზე და მოერიდება გაკიცხვას. ეს ალაჰის გულუხვობაა, რომელსაც მათ მიმართ იჩენს, ვინც უყვარს, – ალაჰი ხომ ყოვლისმცოდნე და ყოვლისმომცველია“ (ყურანი, 5:59(54));

„ვინც პირს მიიქცევს ალაჰისაგან, გარდა იძულებით განდრეკილთა, რომლებიც გულში მორწმუნეებად რჩებიან, ის, ვინც გულს გაუღებს ურჯულოებას, ალაჰის რისხვას მოიმკის“ (ყურანი, 16:108 (106)).

მუჰამედის მმართველობის დროს (622-632 წ.წ) მედინაში ამ მუხლებს კერპთაყვანისმცემლობისაკენ მიბრუნების მსურველთა და ჯარიდან გაქცეულ დეზერტირთა დასაშინებლად იყენებდნენ. მოგვიანებით კი, მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, ეს მუქარა გაქრისტიანებული მუსლიმებისაკენ მიმართეს.

ყველა მუსლიმი კომენტატორი სასიკვდილო განაჩენს ხედავს ამ მუხლებში.

ზემერს მოჰყავს გამოჩენილი და უღიდესი ავტორიტეტის მქონე მუსლიმი კომენტატორის ალ-ბაიდავის კომენტარი ამ მუხლებთან დაკავშირებით:

„შეიპყარი და მოაკვდინე ყველა რწმენისაგან განდგომილი, აშკარად თუ ფარულად, სადაც არ უნდა შეგვხვდეს, ისე როგორც ნებისმიერი ურჯულო. მოერიდე მას. დამცველად ნუ დაუდგები“ (Zvemer, 1924:33,34).

ჰადისთა ავტორები ალ-ბუხარი (გარდ. 870 წ.) და მუსლიმი (გარდ. 875 წ.) გვამცნობდნენ, რომ მუჰამედმა ბრძანა: „...მოჰკალ, ვინც განუდგა რწმენას“ (იხ. ინგლისური თარგმანი James Robson, 1975:752).

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ყურანთან ერთად ჰადისებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ამ აზრის ჩამოყალიბებაში. მუსლიმი ფუნდამენტალისტები საკმაოდ მძაფრად სვამენ საკითხს, სინკრეტული ისლამის წარმომადგენლები კი შედარებით შემწყნარენი არიან.

რადგან „კანონი განდგომილთა შესახებ“ საკმაოდ გავრცელებული და აღიარებულია მუსლიმთა შორის, ნებისმიერი მათგანი შიშის ქვეშ იღებს

რწმენის შეცვლის გადაწყვეტილებას. უმრავლეს შემთხვევაში ეს შიში საკმაოდ საფუძვლიანია და ესაა მიზეზი, რომ უამრავი მუსლიმი თავს იკავებს ქრისტიანობის მიღებისაგან.

ყურანის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „რელიგიაში იძულება არაა" (ყურანი, 2:257(256)), არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ ავტორიტეტულ გამონათქვამებს იმის თაობაზე, რომ გაქრისტიანებული მუსლიმი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

როდესაც მართლმორწმუნე მუსლიმი „რწმენის თავისუფლებაზე" ლაპარაკობს, ეს ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია მიიღოს ისლამი, მაგრამ მუსლიმმა არ უნდა შეიცვალოს თავისი რწმენა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობაზე მოქცევა მუსლიმისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ღვთის მადლით, არსებობს ისეთი ქვეყანა, ინდონეზია, სადაც მილიონებით გაქრისტიანებულმა მუსლიმმა სიცოცხლე შეინარჩუნა. საფრთხე, რომელიც მუსლიმებს ემუქრებათ, აფერხებს მათი მხრიდან გადაწყვეტილების მიღებას.

იმ შემთხვევაში, როცა გაქრისტიანებული მუსლიმის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, დევნა-შევიწროებას მაინც ვერ ასცდება, მას ელის მემკვიდრეობის დაკარგვის, სამსახურიდან თუ სასწავლებლიდან გაგდების საშიშროება; შეიძლება, ცოლ-შვილსაც კი გაჰყარონ; თუ უცოლონი არიან, ერთმევათ საკუთარი წრიდან ცოლის მოყვანის პრივილეგია, სამსახურში დაწინაურების შანსი; აღარ დაიშვებიან მეჩეთებში და რელიგიურ დღესასწაულებზე; ერთი სიტყვით, ირღვევა მათთვის ჩვეული ოჯახური და სოციალური კავშირები და ისინი დევნილნი ხდებიან.

მოდით, აქ შევჩერდეთ და განვიხილოთ ის ტრამვები, რომელიც უნდა გადაიტანოს მუსლიმმა ისლამიდან ღვთის სასუფეველში გადასვლისას.

რელიგიური მსოფლმხედველობის შეცვლით მიღებული ტრამვა

როცა პავლეს წარმართთა შორის სახარების საქადაგებლად აგზავნიდა, უფალმა უთხრა მას:

„...ახლა მიგავლენ მათი თვალების ასახელად და წყვდიადიდან ნათლისაკენ, და სატანის ხელმწიფებიდან ღვთისაკენ მისაქცევად, რათა ჩემდამი რწმენით მიიღონ ცოდვების მიტევება და წილი განწმენდილებთან ერთად" (საქმ. 26:17,18).

უპირველეს ყოელისა, თავს იჩენს „თვალის ახელის“ ეფექტი, რაც ისლამზე განსხვავებული აზრის შექმნაში ვლინდება. იესო ქრისტეს მოძღვრების შუქზე ისლამის ანტიქრისტიანული ხასიათი თვალშისაცემი ხდება. ქრისტიანი მისიონერის ფუნქციაა, ღვთაებრივი სიტყვის წყალობითა და სულიწმიდაზე დაყრდნობით, დაანახოს მუსლიმს იესო ქრისტეს ჭეშმარიტება და ისლამური დოგმატების სიყალბე.

ხდება სატანის გავლენისაგან თავის დახსნა და ღვთის მფარველობაში შემოსვლა. ერთი ძალაუფლების (სატანის) უარყოფა და მეორის მიღება გარკვეულ ტრამვასთანაა დაკავშირებული. სატანა უბიძგებს მუსლიმებს, რომ ფიზიკურად გაუსწორდნენ ახლადმოქცეულს. ახლადმოქცეულს ერთგვარი შოკური განცდა ეუფლება იმის გაცნობიერებისას, რომ მისი მშობლიური რელიგია თურმე ღვთის დაუძინებელი მტრის, სატანის, სამსახური ყოფილა.

სიამაყის შემუსვრასთან დაკავშირებული თეოლოგიური ტრამვა

ისლამი ოსტატურად მანიპულირებს ადამიანისათვის ჩვეული სიამაყის გრძნობით: თითქოს სამოთხეში მოხვედრა ადამიანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული, საჭიროა მხოლოდ ისლამის კანონების შესრულება.

მუსლიმებს სწამთ, რომ ადამიანი იბადება არა ცოდვილი, არამედ მხოლოდ სუსტი. ისინი ხშირად იღებენ ქრისტიანულ რჯულს, როდესაც ხვდებიან, რომ ცოდვილები არიან და გადარჩენა ესაჭიროებათ. ცხონებული ქემალ ჰუსეინი, საქვეყნოდ ცნობილი ქაიროელი ქირურგი და მწერალი, ალბათ პირველი მუსლიმი იყო, რომელმაც დაწერა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იესო ქრისტეს ჯვარცმას მორწმუნე ებრაელების მიერ ადამიანური სიამაყის შემუსვრაში. წიგნში „ბოროტების ქალაქი: პარასკევი იერუსალიმში“ იგი წერს:

„წმინდა ადამიანური პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ისინი, უეჭველია, არასწორად მოიქცნენ. მათ დაუშვეს შეუმცდარობის უფლების გაბიაბრუება. მათ გასწირეს თავიანთი რელიგია გაქრობისათვის, თავიანთი წინასწარმეტყველი გაბიაბრუებისათვის, საკუთარი თავი კი შემუსვრისათვის... არც კი დაეჭვებულან თავიანთი საქციელის სისწორეში, მათი აზრით, ადამიანის ქმედება, რომელიც ნორმიდან გადახვევას წარმოადგენდა, უკანონო იყო“ (Hussein, 1959:120).

„იმის შეგნებამ, რომ ისინი მხოლოდ თანამონაწილენი იყვნენ უსამართლო ქმედებისა და მათ საქციელზე საზოგადოებრივი აზრი ახდენდა გაელენას, ვერ გადაარჩინა იესოს მოწაფეები საკუთარი თავისადმი მიმართული საყვედურებისაგან, რადგან ისინი გრძნობდნენ თავიანთ პირად პასუხისმგებლობას". (Hussein, 1959:123).

ისეთი ფაქიზად მგრძნობიარე კაცისათვის, როგორიც გახლდათ ჰუსეინი, ცხადი იყო, რომ მორწმუნეს, რომელმაც თუნდაც მცირეოდენი ეჭვი გაიელო გულში, რელიგიური სიამაყის უფლება აღარ ჰქონდა. ასე რომ, ქრისტიანობაზე მოქცევა მუსლიმის რელიგიურ სიამაყესაც მუსრავს.

საბოლოოდ, მუსლიმთა უმრავლესობა სხვანაირად ფიქრობს, მათი აზრით, ადამიანი გადარჩება საკუთარი კეთილი საქმეების წყალობით, იესო არ ყოფილა ჯვარცმული ადამიანთა ცოდვების გამო, ღმერთმა გადაარჩინა ის და აიტაცა ცოცხლად ზეცაში.

ხელახალი შობით მიღებული ტრამვა

„...თუ ვინმეს უნდა გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე იტვირთავდეს თავის ჯვარს და მომყვებოდეს" (ლუკა, 9:23).

იმ წლების მანძილზე, როცა მუსლიმთა შორის ემოღვაწეობდი, ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის: „ბატონო მაკ-კური, ქრისტიანული მოძღვრება არაპრაქტიკულია. მისი მოთხოვნების შესრულება შეუძლებელია, რადგან სუფთა გონების ქონა ადამიანისათვის „არაბუნებრივი" რამ არის. ადამიანი, რომელიც გამუდმებით ფიქრობს სექსზე, მოყვასს დამხმარედ არ გამოადგება. შეუძლებელია, გიყვარდეს მტრები. ადამიანისათვის ბუნებრივია სძულდეს ისინი და ცდილობდეს, შური იძიოს მათზე. მიიღეთ ისლამი. ესაა ბუნებრივი ადამიანის რელიგია. იგი არ ცდილობს, შეცვალოს ადამიანი".

„ხელახალი შობის" იდეა უცხოა ისლამისათვის. „მოდით ისეთნი, როგორებიც ხართ, მხოლოდ წარმოთქვით: „არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი", და ყველაფერი რიგზე იქნება. მუსლიმად გახდომა ძალიან ადვილია, ეს არ მოითხოვს ადამიანისაგან განსაკუთრებულ ძალისხმევას; ისლამის დატოვება კი სხვა საქმეა, როგორც ზემოთ გიჩვენეთ.

„ხელახალი შობა" ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლას გულისხმობს, ესაა ბნელეთის სამეფოდან გამოსვლა და ღვთის საყვარელი ძის

სასუფეველში შესვლა. ეს ნიშნავს, რომ ღვთის წინაშე თვითდამკვიდრება შეუძლებელია. მისთვის დასაშვებია ოჯახიდან, საზოგადოებიდან, სამშობლოდან წასვლა ჭეშმარიტი ცხოვრების დამკვიდრების მიზნით. ხელახლა შობის მოთხოვნა, საშინელი დარტყმაა მათთვის, ვინც ახლახან საკუთარი კეთილი საქმეების წყალობით ცდილობდა თვითდამკვიდრებას.

უფლის ოჯახზე უფრო მაღლა დაყენებით მიღებული ტრამვა

ოჯახი ყველაფერია ჩვეულებრივი მუსლიმისათვის. ინდივიდუალიზმის იდეა, რომელიც ასე ფეხმოკიდებულია დასავლეთში, უცხოა ისლამისათვის. ნებისმიერ გადაწყვეტილებას ოჯახი იღებს. ქორწინებები იგეგმება. თემი, რომელიც გაფართოებული ოჯახია, ერთგულების ობიექტად ითვლება.

მუსლიმისათვის წარმოუდგენელია ოჯახისა და თავისი თემისაგან მოწყვეტა. სად უნდა წავიდეს? ვის უნდა შეაფაროს თავი? სად არის მისი ადგილი? რას წარმოადგენს ის, როგორც პიროვნება? მუსლიმი თავის დანიშნულებას ისლამური თემისადმი (დარ ულ-ისლამისადმი) კუთვნილებაში ხედავს.

როდესაც მუსლიმი ქრისტიანობის მიღებაზე ფიქრობს, ჩვეულებრივ ამგვარ კითხვას სვამს ხოლმე: „როგორი იქნება ჩემი ახალი თემი, ოჯახი, საზოგადოებრივი პირობები?" უბრალო მუსლიმი ძალზე მძიმედ განიცდის დედ-მამასთან, ცოლ-შვილთან, სამშობლოსთან განშორებას.

„...ნუთუ გინდათ, კვლავ გზაზე დააყენოთ ის, ვინც ალაჰმა გადააცდინა გზიდან?" (4:90(88). ყურანის ეს სიტყვები უკრძალავს მუსლიმს, დეხმაროს გაქრისტიანებულ მეგობარს.

მართლმორწმუნე მუსლიმური საზოგადოება კრძალავს ახლადმოქცეული ქრისტიანისათვის დახმარების გაწევას. მე ვიცი საუდის არაბეთში მცხოვრები ახალგაზრდების გაქრისტიანების სამი შემთხვევა. ყველანი საზღვარგარეთ ყოფნისას მოიქცნენ ქრისტეს რჯულზე. თითოეულ მათგანს უნდა დაერეკა სახლში და ეცნობებინა მამისათვის, რაც მოხდა. აი, სამივე მამის პასუხები:

1. „შეგიძლია სახლში აღარ დაბრუნდე. თუ დაბრუნდები, იძულებულნი ვიქნებით, რომ მოგკლათ".
2. „ჩამოდი, მოაგვარე შენი საქმეები და წადი ჩვენი ქვეყნიდან. აქ შენი ადგილი არ არის."

3. „შენ შეგიძლია ჩამოხვიდე, მაგრამ საიდუმლოდ უნდა შეინახო შენი რწმენა“ (იგი ასეც მოიქცა).

მაშინაც კი, როცა ახლადმოქცეულს საშუალება აქვს, იცხოვროს თავის ქვეყანაში, გარიყულობის განცდა მაინც შეაწუხებს მას. ძალიან ცოტა ახლადმოქცეულმა შესძლო საუდის არაბეთში თავისი რწმენის შენარჩუნება.

მესამე მამის პასუხი მთელი სისრულით წარმოაჩენს „საიდუმლო რწმენის“ პრობლემას. ჭეშმარიტი მორწმუნეა ის, ვინც თავის რწმენას მალავს? პირადად მე არ მსურს ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ ადამიანთა მსაჯული ვიყო, მაგრამ ვიცი, რომ იესო უკომპრომისო იყო ასეთ შემთხვევებში:

„...თუ ვინმეს სურს მე მომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. ვინაიდან, ვისაც სურს სული შეინარჩუნოს, იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისათვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას. რა ხეირია ადამიანისათვის, თუ მთელ ქვეყნიერებას შეიძენს, თავის სულს კი აენებს? რადგან, ვისაც შერცხვება შენი და ჩემი სიტყვებისა ამ მრუშ და ცოდვილ მოდგმაში, კაცის ძესაც შერცხვება მისი, როდესაც მოვა თავისი მამის დიდებაში, წმიდა ანგელოზებით“ (მარკოზი, 8:34-38)

ცოლ-შვილთან განშორებისაგან მიღებული ტრამვა

ჰადისებში გარკვევითაა ნათქვამი, რომ რწმენისაგან განდგომის შემთხვევაში ცოლ-შვილიან კაცს ცოლსა და შვილებს წაართმევენ. თუ ქალი გაქრისტიანდება, მუსლიმ ქმარს სურვილისამებრ შეუძლია მოექცეს, თავისთან დატოვოს ან გასცილდეს მას (Zwemer, 1924:34). თუ რწმენისაგან განდგომილი დაუოჯახებელია, ცოლის მოძებნის შანსი მისთვის თითქმის ნულის ტოლია.

ასეთი მკაცრი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მუსლიმისათვის ქრისტეს რჯულზე მოქცევას. ახლად მოქცეული საკმაოდ მძიმე პირობებშია ჩაყენებული, როდესაც ახალ ცხოვრებას იწყებს უცოლოდ, უქმროდ ან ოჯახის შექმნის პერსპექტივის გარეშე.

სამუშაოს დაკარგვისაგან გამოწვეული ტრამვა

მუსლიმს ეკრძალება, დაეხმაროს რწმენისაგან განდგომილს (იხ. ყურანი, 4:90(88), რადგან ეს უკანასკნელი თემისა და რწმენის მოღალატედ ითვლება. მას არავინ თანაუგრძნობს. უარს ეუბნებიან სასწავლებელში მიღებაზე, ხელს უშლიან სამსახურეობრივ კარიერაში.

ფუნდამენტალიზმის გაძლიერება ერთ-ერთი აუბედითი პროცესია თანამედროვე არაბულ სამყაროში. ეგვიპტეში ფუნდამენტალისტების დეპუტატმა დაუფარავად გამოაცხადა, რომ ისინი ქრისტიანთა გაძევებას აპირებენ ქვეყნიდან. ლიბიელმა კადაფიმ განაცხადა, რომ ისეთი მოვლენა, როგორიცაა არაბი-ქრისტიანი, არ უნდა არსებობდეს. მას სურდა მოეკლა ან ქვეყნიდან გაეგდო ყველა ლიბანელი ქრისტიანი.

საოცარია, რომ ასეთ არასასურველ პირობებშიც უამრავი მუსლიმი მოდის ქრისტესთან, თავად საუდის არაბეთშიც კი. ქრისტიანმა მისიონერმა უნდა იცოდეს, რა სიძნელეები ელის ახლადმოქცეულ მუსლიმს და ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ როგორმე გაუადვილოს ამ წამებულ ადამიანებს სამყაროში ყველაზე საშინელი ტოტალიტარული სისტემიდან გამოსვლა.

თავი XXXIII

დამოძღვრის საფასური

„...მშვიდად ვიქცეოდით თქვენს შორის, როგორც მეძუძური, თავის ბალღებს რომ შეფოფინებს. ასევე ჩვენც, თქვენდამი გულმხურვალთ გვსურდა მოგვეცა თქვენთვის არა მარტო ღვთის სახარება, არამედ ჩვენი სულიც, იმიტომ რომ საყვარელნი გახდით ჩვენთვის“ (1 თეს. 2:7, 8).

დასავლურ თავისუფალ საზოგადოებაში მცხოვრები ქრისტიანი მოძღვრისათვის მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ძალასა და ენერგიას მოითხოვს, მაინც ყოველდღიური ცხოვრების ფარგლებში რჩება. მას არ ემუქრება პოლიცია, გაუთვალისწინებელი კრიზისები და ფინანსური სიძნელეები, შერცხვენა და თავლაფის დასხმა, ერთი სიტყვით, არავითარი საფრთხე. დახურულ ტოტალიტალურ საზოგადოებაში კი ყველაფერმა ამან, შეიძლება, საკმაოდ დრამატული სახე მიიღოს.

თქვენი მოწაფის ნათესავები პოლიციაში გაბეზღებენ. პოლიცია მოწაფეს მიაკითხავს. იწყება დაკითხვა. ამ დროს შეიძლება თქვენი სახელიც ამოტივტივდეს. ხელისუფლება საქმის კურსშია. თქვენს მოწაფეს სამსახურიდან ათავისუფლებენ. ნათესავები ცდილობენ, რომ იგი ოჯახსაც გაჰყარონ. ახლადმოქცეული საშინელ დეპრესიაში ვარდება, თქვენი მოღვაწეობა კი საფრთხეშია.

ეს სცენარი უამრავი ვარიანტის მიხედვით შეიძლება განვითარდეს.

რა უნდა მოიმოქმედოთ? რით შეგიძლიათ, დაეხმაროთ მოწაფეს? დავუშვათ, რომ ცხოვრობთ იმავე ქვეყანაში და იმავე ქალაქში. კვლავ მოისურვებს მოწაფე თქვენთან ურთიერთობას? დავუშვათ, სხვა ქვეყანაში ცხოვრობთ. თქვენ არა ხართ მისი მუდმივი მოძღვარი. რას მოიმოქმედებდით? შეიძლება ასეც იყოს, რომ თქვენ იმავე ერის წარმომადგენელი ხართ და იმავე ქალაქში ცხოვრობთ, რომელშიც თქვენი მოწაფე. და-

საშვებია, რომ თქვენც მოგიწევთ პოლიციასთან შეჯახება. დაეხმარებით თუ არა რისკის ფასად თქვენს მოწაფეს? აი, ის პრობლემები, რომლის წინაშეც დგას მუსლიმთა დახურულ ტოტალიტარულ საზოგადოებაში მოღვაწე მისიონერი. მოგიყვანთ მაგალითებს.

მალაიზიაში ჩინელი ქრისტიანები, რომლებიც ქრისტეს რჯულს ქადაგებდნენ მუსლიმთა შორის, ახლადმოქცეულებთან ერთად ციხეში ჩაყარეს. ერთეულები, რომლებმაც მოახერხეს ხელიდან გასხლტომოდნენ პოლიციას, ემიგრაციაში წავიდნენ. მაროკოში უცხოელ მისიონერებს პერიოდულად ასახლებენ ქვეყნიდან (მოგვიანებით უფალი იქ ახლებს აგზავნის). თურქეთის მსხვილ ქალაქებში გამუდმებული რელიგიური ბრძოლები მიმდინარეობს მუსლიმებსა და ახლადმოქცეულ ქრისტიანებს შორის. უცხოელი მქადაგებლები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არიან. ნიგერიაში უამრავი ეკლესია გადაწვეს და ღვთისმსახურები დახოცეს. საუდის არაბეთში პოლიცია ბიბლიის კონფისკაციას ახდენს, კრძალავს მორწმუნეთა შეკრებას და ქრისტიან-მისიონერთა მოღვაწეობას. ეგვიპტელი ქრისტიანები — „კოპტები“ — მუსლიმთა მხრიდან მძლავრი ეკონომიკური პრესის ქვეშ არიან, ხშირად მათ იმის შიშით, რომ მინდვრების სარწყავ წყალს გადაუკეტავენ, ისლამის მიღებას აიძულებენ. სულ ახლახან იქ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული ყოფილი მუსლიმი წამებით მოკლეს. უცხოელ მისიონერებს კი უკვირთ, როცა რომელიმე მოწაფეს დაკითხვის დროს მათი სახელი წამოსცდება პოლიციაში.

რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მიუხედავად ყველაფრისა, სახარების ქადაგება გრძელდება მთელ მუსლიმურ სამყაროში, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, საღაც მუსლიმები ეროვნულ უმცირესობებს შეადგენენ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ინდოეთში, ჩინეთში. ღვთის სიყვარული ამ დაბნეული ხალხებისადმი მათთან მისიონერთა გაგზავნით დასტურდება.

ყოველივე თქმულის შემდეგ იბადება კითხვა: რა უნდა მოვიმოქმედოთ ასეთ არასასურველ პირობებში? გვინდა შემოგთავაზოთ თქვენთვის სასარგებლო რჩევები. ზოგიერთი ხერხი უნივერსალურია და ყველგან გამოგადგებათ, როგორც დახურულ საზოგადოებაში, ისე შედარებით თავისუფალ გარემოში. ზოგი კი არ არის საჭირო შემწყნარებლობისა და თავისუფლების პირობებში. პირველ რიგში განვიხილოთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ მოძღვრის ამპლუაში.

უნდა ვილოცოთ ახლადმოქცეულისათვის

აუცილებელია ლოცვა ახლადმოქცეულისათვის. მისიონერ ჯ. ფრეზერს ასეთი უცნაური რამ შეემთხვა ჩინეთში ყოფნისას. მას სახარება უნდა ექადაგა სამხრეთ ჩინეთის მთაგორიან ტერიტორიაზე მცხოვრები ლისუს ტომისათვის. ღვთის მადლით მისი მოღვაწეობა ამ კუთხის ქალაქებსა და სოფლებში საკმაოდ ნაყოფიერი იყო. უგზოობისა და უღრეობის გამო იგი ვერ ახერხებდა მოწაფეთა ხშირად მონახულებას, ამიტომ გადაწყვიტა სპეციალურად ელოცა მათთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ უფრო დიდ წარმატებას იმ მოწაფეებმა მიაღწიეს, ვისთვისაც სპეციალურად ლოცულობდა, იმათთან შედარებით ნაკლები წარმატება ჰქონდათ მოწაფეებს, რომლებსაც პირადად ხედებოდა. მართალია, მის მიერ გამოტანილი დასკვნები სუბიექტურია, მაგრამ მე მჯერა, რომ მოწაფეთა წარმატებას პირდაპირი კავშირი ჰქონდა მისიონერის ლოცვასთან. ლოცვა უადვილებს ღმერთს იმის გაკეთებას, რისკენაც ისწრაფვის. გავიხსენოთ იესოს მაგალითი.

იესო კარგად იცნობდა თავის მიმდევრებს და ლოცულობდა მათ შორის ყველაზე მერყევის, პეტრეს, გამო. ხომ კარგად გახსოვთ ეს ისტორია?

პეტრემ, „კლდემ", იესოს დაპატიმრებისას სიმხდალე გამოიჩინა. ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც მან განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა მოწაფე განუდგებოდა იესოს, ის მისი ერთგული დარჩებოდა. მიუხედავად ამისა, მან სამჯერ უარყო უფალი.

მაგრამ ყველაფერი არ დაკარგულა. სწორედ პეტრემ წარმოთქვა დიდი ლოცვა ორმოცდამეათე დღეს, რის შემდეგაც სამი ათასი კაცი გაქრისტიანდა. რამ შეუწყო ხელი ამ უდიდეს მოქცევას? იესო ლოცულობდა პეტრესთვის ამ მომენტამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე: „სიმონ, სიმონ! აჰა, სატანამ ითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილოს. მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა და, როცა კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები" (ლუკა, 22:31-32).

მაგრამ, როგორც ვიცით, პეტრეს რწმენა რაღაც მომენტში დაილია, მაგრამ საბოლოოდ მაინც აღსდგა. პეტრე არ დაკარგულა უფლისათვის. მან გაითვალისწინა პეტრეს დაცემა, დაბრუნდა მასთან და მიაღწია, რომ სამჯერ ელიარებინა ამ უკანასკნელს ყველა მოციქულის წინაშე. თითოეულ აღიარებას თან ახლდა დავალება: „აძოვე ჩემი კრავები... დამწყესე ჩემი

ცხვრები...“ (იოანე 21:15-17). იესო მიხედა, რომ პეტრე რწმენისაკენ შემოაბრუნა, მაგრამ ამას წინ უძღოდა ლოცვა – „მე ვილოცე შენთვის“.

წერილი ძალზე ძუნწად მიგვანიშნებს ხოლმე იესოს ლოცვების შინაარსს, ამიტომ ეს ლოცვა ერთიორად მნიშვნელოვანია. მუსლიმურ გარემოში მისიონერი საშინელ ღვნა-შეგინწროვებას განიცდის, უნდა ვილოცოთ მათთვის, რომ განმტკიცდეს მათი რწმენა.

პავლეს ცხოვრებაში გვხვდება რამდენიმე ეპიზოდი, რომელთა მიხედვითაც ნათელი ხდება, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პავლე მოწაფეთათვის ლოცვას:

„...განუწყვეტლივ გიხსენებთ თქვენ. მუდამ ვეველრები ჩემს ლოცვებში, რომ როდესმე გაბედნიერდე ღვთის ნებით თქვენთან მოსვლით“ (რომ. 1:9-10);

„არ ეწყვეტ ღვთისადმი მადლობას თქვენთვის, გიხსენებთ ჩემს ლოცვებში, რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად, და გაანათლოს თქვენი გონების თვალები, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის, და რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში...“ (ეფეს. 1:16-19);

„ რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით, თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად. ისე, რომ რწმენით დამკვიდრდეს ქრისტე თქვენს გულებში და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში; რათა შესძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩასწვდეთ, რა არის სიგანე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე, და შეიცნოთ ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით“ (ეფეს. 3:16-19);

„ვმადლობ ჩემს ღმერთს თქვენს ყოველ გახსენებაზე. მუდამ, ჩემს ყოველ ვედრებაში, სიხარულით ვეველრები ყოველი თქვენგანისათვის, სახარებაში თქვენი მოზიარეობისათვის, პირველი დღიდან აქამდე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენში დამწყები კეთილი საქმისა შეასრულებს კიდეც მას იესო ქრისტეს დღემდე. სწორედაც რომ მმართებს ფიქრი ყოველ თქვენგანზე, რადგან გულში მყავხართ, ჩემს ხუნდებში, და სახარების დაცვისას და განმტკიცებისას, თქვენ ყველანი თანაზიარნი ხართ ჩემს მადლში. ვინაიდან ღმერთია ჩემი მოწამე, რომ ყველანი მიყვარხართ იესო ქრისტეს სიყვარულით“ (ფილიპ. 1:3-8).

ხედავთ, რამხელა სიყვარულია გამოვლენილი მოწაფეთა მიმართ?! იგი გამუდმებით მაღლობს ღმერთს მათ გამო. მისი მიზანია, იხილოს ისინი ღვთაებრივ სისავსეში, სურს, რომ ქრისტე დამკვიდრდეს მათ გულებში. მოციქული გულმხურვალედ ლოცულობდა თავისი მოწაფეებისათვის და სჯეროდა, რომ ღმერთი უპასუხოდ არ დატოვებდა მის ლოცვას.

სიყვარულის გამომჟღავნების აუცილებლობა

სატანამ იცის, როგორ მიიზიდოს მარტოხელა, განდევნილ და მიტოვებულ ადამიანთა სულები. „არავის უნდიხარ. დაბრუნდი და კვლავ მიგიღებენ. თუ ისლამს დაუბრუნდები, შენს ტანჯვას ბოლო მოეღება.“ თუ ადამიანს აკლია სიყვარული, არა ჰყავს მზრუნველი მოძღვარი ან რელიგიური საძმო, მწუხარებამ და სიმწარემ შეიძლება სატანის ხელში ჩააგდოს.

რაც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოს, უფალმა ჩვენ მოგვანიჭა ახლადმოქცეულთა მფარველობის პრივილეგია და უფლება. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ბავშვის აღზრდისასაც ხომ ასეა, სიყვარულში და მზრუნველობაში პატარა ყოველნაირად ვითარდება, საკუთარი თავის ანაბარა, უპატრონოდ მიტოვებული კი ავად ხდება და კვდება. ადამიანის სულიც ასეა. ამაში ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მარწმუნებს. ადამიანებს სჭირდებათ სიყვარული, თანაგრძობა, რწმენა იმისა, რომ ისინი აინტერესებთ და მათზე ზრუნავენ. იქნებ მტრულად განწყობილი ისლამიდან მოსული კაცისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს.

იესომ აღგვითქვა, რომ არასოდეს მიგვატოვებდა და განგვიდგებოდა (ებრ. 13:5). ზოგიერთი ახლადმოქცეული თავიდანვე გრძნობს ღვთის მხარდაჭერას, რომელიც შემდგომში არასოდეს ტოვებს მას. ზოგ მათგანს კი ეს გრძნობა ნელ-ნელა, თანდათანობით უჩნდება.

უფალმა მოუწოდა თავის მოწაფეებს, რომ მასთან ყოფილიყვნენ. ისინი გამუდმებით გრძნობდნენ სიყვარულსა და მზრუნველობას იესოსაგან. დაუღალავად მოძღვრავდა მათ, უზიარებდა თავის ძალაუფლებას, სიბრძნეს, ცოდნას მომავლის შესახებ. იესო ფეხებსაც კი ბანდა თავის მოწაფეებს და ბოლოს მოკვდა კიდეც მათთვის.

იესო რომ გამონაკლისი არ გვგონებოდა და მისი მაგალითი ჩვენთვის მიუღწეველი, მან გამოარჩია ჩვეულებრივი კაცი, ტარსუსელი საულე, რომე-

ლიც ერთ დროს სდევნიდა კიდეც ქრისტიანებს და სიყვარულის ნიმუშად აქცია.

ამ თავის დასაწყისში ჩვენ მოვიყვანეთ ციტატა პავლე მოციქულის წერილიდან თესალონიკელთა მიმართ. ამ ფრაგმენტიდან ნათელი ხდება, თუ როგორ უყვარდა პავლეს თავისი მოწაფეები, ზრუნავდა მათზე და მზად იყო, სიცოცხლეც კი გაეწირა მათი გულისათვის. იგი წერდა: „მიყვარხართ იესო ქრისტეს სიყვარულით“ (ფილიპ. 1:8). იესომ ჩვენი გულისათვის გასწირა თავი. მისი სული ცოცხლობდა პავლეში და დღეს ჩვენში აგრძელებს არსებობას. ნახეთ, როგორ მართავს ეს სიყვარული პავლეს: „რამდენიმე დღის შემდეგ პავლემ უთხრა ბარნაბას: „წავიდეთ კიდევ და მოვინახულოთ ჩვენი ძმები ყველა ქალაქში, სადაც ვიქადაგეთ უფლის სიტყვა. ვნახოთ, როგორ არიან“ (საქმ. 15:36).

თუ პავლეს არ შეეძლო თავად მოენახულებინა ადამიანები, მაშინ აუცილებლად აცნობებდა ხოლმე თავის ამბავს ან წერილებს უგზავნიდა მათ. მიაქციეთ ყურადღება, როგორ იხსენიებს იგი თავის მაგივრად გაგზავნილ ადამიანებს.

ეფესელთა მიმართ

„რათა თქვენც იცოდეთ ჩემი გარემოებანი და საქმეები, ყოველივეს გაუწყებთ თქვენ ტვიქიკოსი, საყვარელი ძმა და უფლის ერთგული მსახური, რომელიც სწორედ იმიტომ გამოვგზავნე თქვენთან, რათა შეიტყოთ ჩვენი ამბავი და მანაც ანუგეშოს თქვენი გულები“ (ეფეს. 6:21-22).

კოლასელთა მიმართ

„ჩემს შესახებ ყველაფერს გაცნობებთ ტვიქიკოსი, საყვარელი ძმა, ერთგული მსახური და თანამშრომელი უფალში, რომელიც იმისათვის გამოგიგზავნეთ, რომ შეიტყოთ ჩვენი ამბავი და ნუგეში სცეს თქვენს გულებს“ (კოლ. 4:7-8).

ფილიპელთა მიმართ

„ვიმედოვნებ ჩვენ უფალ იესოში, მალე გამოგიგზავნოთ ტიმოთე, რათა გავმხნევდე თქვენი ამბის შეტყობით... იმედი მაქვს, რომ მალე გამოგიგზავნით მას, როგორც კი ვნახავ, როგორ იქნება ჩემი საქმე“ (ფილიპ. 2:19,23).

გარდა იმისა, რომ ემისრებს გზავნიდა ძმათა გასამხნევებლად და დასამშვიდებლად, პაულე დიდ დროს უთმობდა წერილების წერას ცალკეული მოწაფეებისა და ეკლესიებისადმი.

ამ წერილების წერას დრო სჭირდებოდა. მოციქულის პირადი წერილებიც კი სავსეა მახარებლისათვის საჭირო პრაქტიკული რჩევებით და პირველხარისხოვან თეოლოგიურ ტრაქტატებს წარმოადგენენ. პაულე ამ წერილებს სხვადასხვა აღამიანთა მოსაკითხადაც იყენებდა, რაც მზრუნველობის ატმოსფეროს ქმნიდა ქრისტეს მზარდი სკოლის წევრებს შორის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო ფუნქციას იზოლირებული ახლადმოქცეულებისათვის.

ზემოთ განხილული საქმიანობა დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვს. არსებობს იმისი საშიშროება, რომ მან შეიძლება მთლიანად შთანთქას მისიონერის დრო.

ყურადღება მიაქციეთ პაულეს მიერ ჩამოთვლილ სიძნელეებს: ვიყავი „...საპყრობილეში... მრავალგზის სიკვდილის პირას... სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე, ღამე და დღე ზღვაში დავყავი, მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში ყაჩაღებისაგან, სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, ხშირ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშველეში. კიდეე გარდა სხვათა, დღითიდღე რომ მიხდება: ზრუნვა ყველა ეკლესიაზე“ (2 კორ. 11:23-28).

მოყვანილ მუხლებში საუბარია მისიონერის მოვალეობაზე. ბანალური იქნებოდა იმის თქმა, რომ მას ეს ძვირად უჯდება, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი. თქვენი სიყვარული და მზრუნველობა ნდობას აღვივებს მოწაფის გულში, რომელიც ეცდება, ყური უგდოს თქვენს მოძღვრებას. ამ ნდობის გარეშე, განსაკუთრებით მტრულ გარემოში, მოძღვარი წარმატებას ვერ მიაღწევს.

მუსლიმურ საზოგადოებაში წარმატების მიღწევა ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. ვიზებზე კონტროლმა, რომელსაც ისლამური სახელმწიფო ახორციელებს, ყველგან მყოფმა საიდუმლო პოლიციამ და მაბეზღარა კეთილმა მეზობლებმა და ნათესავებმა, შეიძლება დიდად დაგაბრკოლოთ, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, მოძღვრებას თავისი ნაყოფი მოაქვს. გასაოცარია ახალ ღვთისმსახურთა მოზღვავება. მახარებლები ტურისტების, ბიზნესმენების, სპეციალისტების, სტუდენტებისა და მასწავლებლების ფუნქციით ჩამოდიან.

მისიონერები შეიძლება იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც, რომ-

ლებიც დროებით დატოვებენ თავიანთ „დახურულ“ სახელმწიფოს და კვლავ დაბრუნდებიან იქ.

დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, აგრეთვე, რადიოს, ფოსტას, მაგნიტო და ვიდეოჩანაწერებს.

მისიონერი მთელი სულითა და გულით უნდა ემსახურებოდეს საქმეს. საკუთარი სულის გაცემით გახვალთ ჭეშმარიტ გზაზე. უფალი თავად ილებს მონაწილეობას ყოველ ქადაგებაში. პაველ კორინთელებს სწერდა: „მე დავრგე, აპოლომ მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა“ (1 კორ. 3:6).

ღმერთს აღზრდის საკუთარი მეთოდები აქვს: სიზმრები, ჩვენებები, სულიწმიდით შთაგონება. მე მჯერა, რომ ეს მოვლენები ახლადმოქცეულთათვის ჩვენი ლოცვის შედეგია. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. მოძღვრის მოვალეობა თავად იდეალურ პირობებშიც კი საკმაოდ მძიმეა. დამოძღვრო, ნიშნავს, საკუთარი სიცოცხლე გადასცე სხვას, ამ თავს იესოს სიტყვებით ვასრულებთ. მან ასე ახსნა თავისი ცხოვრების ამოცანა: „რადგან კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“ (მარკოზი, 10:45).

თავი XXXIV

დამოძღვრის მიზანი

„ჩემო შვილებო, რომელთათვისაც ჯერაც განვიცდი მშობიარობის ტკივილებს, ვიდრე თქვენში გამოისახება ქრისტე“

(გალ. 4:19).

პავლე მოციქული უდიდეს ზრუნვას იჩენდა გალატელ მოწაფეთა მიმართ, ვიდრე მათში არ გამოისახებოდა ქრისტე. რას ნიშნავს ეს სიტყვები? როგორ შეიძლება აქ ნათქვამის განხორციელება?

როგორ განსხვავდება ეს ისლამისაგან! მუსლიმებს აწუხებთ ის, თუ რა აკეთონ. „როგორ ვემსახურო ამ რელიგიას?“ „რომელ პოზაში უნდა ვილოცო?“ „როგორ მივაღწიო რიტუალურ სიწმინდეს?“ კონკრეტულად რა კეთილი საქმეები უნდა ჩავიდინო, რომ სამოთხეში მოვხვდე?“ და მთავარი კითხვა: „როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას მუჰამედი?“ მუსლიმი გაუცნობიერებლად ითვისებს ზოგიერთ რამეს მუჰამედის ხასიათიდან.

ასე რომ, გაქრისტიანების გზაზე მუსლიმი ჯერ მუჰამედის მოძღვრებას უნდა ჩამოვაცილოთ, შემდეგ კი მივეხმაროთ, რომ მასში გამოისახოს ქრისტე.

ბიბლიის პირველ თავში ვკითხულობთ: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1:27).

ერთხელ მალაიელ ყმაწვილს, რომელიც ჩინელ და ინდოელ მორწმუნეებთან იმყოფებოდა, ეკითხე, თუ როგორ გახდა ქრისტიანი. მას მზერა აენთო და მიპასუხა: „ბიბლიის პირველი თავის კითხვისას“. მე ვთხოვე, რომ განემარტა თავისი ნათქვამი და აი, რაში იყო თურმე საქმე:

„ისლამი არ ასწავლის, რომ ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი. მისი მოძღვრების თანახმად, ღმერთი დიდია, უსაზღვრო და შეუცნობელი. ისლამში არავინ იცის, თუ როგორ გამოიყურება უფალი. სიტყვებმა „ღმერთმა თავის ხატად შექმნა კაცი“ აღმაფრთოვანა. ერთ სხვა ქრისტიანთან ერთად ბიბლიის მიხედვით შევისწავლე ეს საკითხი. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ იესოა „...დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანარეკლი...“ (ებრ. 1:3). იესო თავად ამბობს: „...ვინც მე მიხილა, მამა იხილა...“ (იოანე, 14:9).

ღმერთი შეიძლება დაინახო და შეიმეცნო მესიის — იესოს — ცხოვრებაში. მას უწოდებენ როგორც „ღვთის ძეს“, ისე „კაცის ძეს“. ის იყო ადამიანის სახით მოვლენილი ღმერთი. იგი ისეთივე იყო, როგორადაც მე ჩამიფიქრა უფალმა.

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ, აგრეთვე, პავლეს სიტყვებს: „...ვიდრე ყველანი მივაღწევდეთ რწმენის ერთიანობას და ღვთის ძის შემეცნებას სრულ კაცად, ქრისტეს სისავსის ასაკის ზომას“ (ეფ. 4:13). და კიდევ: „ვინაიდან მასში დამკვიდრებულია ხორციელად ღვთაების მთელი სისავსე. და თქვენ სავსენი ხართ მასში...“ (კოლ. 2:9-10).

იგივე აზრს კორინთელთა მიმართ მეორე წერილშიც წავაწყდით: „ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში, და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2 კორ. 3:18).

სხვა ნაწყვეტებიდან ჩვენ შევიტყეთ, რომ ქრისტეს თავად სურდა ჩვენში ეცხოვრა (იოანე, 15:5), რომ ჩვენი სხეულები სულიწმიდის ტაძარია (1 კორ. 3:16), რომ სულიწმიდა მოგვევლინა, როგორც ღვთის სული, ქრისტეს სული (რომ. 8:9).

ეს ყველაფერი სულისშემძვრელი და განსაცვიფრებელი გამოცხადება იყო. ღმერთმა თავის ხატად შექმნა ადამიანი. იგი განუდგა ღვთის მსგავსებას და ქრისტე მოვიდა ღვთის ხატის აღსადგენად ჩვენში. უფალმა თავად მოისურვა ჩვენში ეცხოვრა. ყველაფერი თავის ადგილას დადგა. უცებ მივხვდი, ვინა ვარ და როგორად ჩამიფიქრეს. მე მესმის, რომ სულიწმიდის წყალობით ამეხილა თვალი. მე დავინახე იესოს ღვაწლი ჩემი არსების ჩამოყალიბებაში და შევიცანი თავად ღმერთი. მას სურს, რომ ჩემში იცხოვროს. მას სურს, რომ მისი ძე ჩემში განხორციელდეს, რომელიც ღვთის ჰიპოსტასია და მისაბაძი მაგალითი ჩემთვის. უფრო მეტიც, მისი სული ხელს უწყობს ჩემს შინაგან გარდაქმნას, ღვთის ხატის აღდგენას ჩემში.

მხოლოდ მას შეუძლია გაგვიხსნას კარი ღმერთთან ურთიერთობისათვის“.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არ გვისაუბრია ქრისტეს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის როლზე, ისედაც იგულისხმებოდა, რომ ეს იყო ცენტრალური მომენტი ღვთის ჩანაფიქრში.

ამ ახლადმოქცეულმა, რომელმაც არ იცოდა, საიდან დაეწყო, წაიკითხა დაბადება და აღმოაჩინა, თუ ვინ არის თავად. ამან შემდგომი კვლევაძიებისაკენ უბიძგა: რას ნიშნავს ღვთის ხატად შექმნა? ასე გააცნობიერა მან ქრისტე და მისი მისია. მან დაინახა, აგრეთვე, მამა ღმერთის, იესოს და სულიწმიდის ფუნქციები გამოსყიდვის პროცესში, წერილის იმ მონაკვეთებიდან, რომლებიც ჩვენში ღვთის არსებობაზე მიუთითებენ. ეს დაეხმარა მას ღვთის ერთიანობის გაგებაში, რაც ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს ისლამური კულტურიდან მოსული ადამიანისათვის. როგორც გახსოვთ, მუსლიმები შეპყრობილნი არიან ღვთის „ერთადერთობის“ იდეით და უჭირთ ჩაწვდნენ სამპიროვანი ღმერთის იდეას.

იოანე მოციქული წერდა: „ვიცით, რომ... მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს“ (1 იოანე, 5:19). იბადება კითხვა: „ვის ვემორჩილებით?“ რადგან მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს, უნდა ვასწავლოთ ახლადმოქცეულს, როგორ გაუღოს გული ქრისტეს და როგორ აივსოს სულიწმიდით. თუ ახლადმოქცეული თავიდანვე აღსავსეა სულით ან ნათლობის დროს გადმოვიდა მასზე სულიწმიდა, მას აღარ სჭირდება ამ საკითხში ჩვენი დამოძღვრა, რადგან საკუთარი გამოცდილებით შეიცნო ყველაფერი. მაგრამ თუ თავიდანვე არ გადმოვიდა ახლადმოქცეულზე სულიწმიდა, მაშინ უნდა ვასწავლოთ მას, როგორ მოიპოვოს სული რწმენის საშუალებით, როგორც ჩვენ მოვიპოვეთ ქრისტე. მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ ის შეიძლება არაერთგზის აღივსოს სულიწმიდით (ეფ. 5:18).

ახლადმოქცეულმა უნდა იცოდეს სულის ფუნქციები:

1. იესო ჩვენში ცხოვრობს სულთან ერთად (იოანე, 14:17,18).

2. სულიწმიდამ უნდა გვასწავლოს ყველაფერი და შეგვახსენოს ქრისტეს ნათქვამი (იოანე, 14:26).

3. სულიწმიდა ერთადერთია, ვინც ამოწმებს იესოს არსებობას (იოანე 15:20).

4. სულიწმიდა ამხილებს წუთისოფელს ცოდვის, სიმართლისა და სამსჯავროს გამო (იოანე, 16:8-11).

5. სული მიგვიძღვის ჭეშმარიტებისაკენ და გვაუწყებს მომავალს, გვამ-

ცნობს, რასაც ქრისტესაგან ისმენს (იოანე, 16:13).

6. სულიწმიდას მოაქვს ჩვენთვის „სულის ნაყოფი“ (გალ. 5:22, 23).

7. სულიწმიდა ანაწილებს ეკლესიაში თანამდებობებს (ეფ. 4:11).

8. სულიწმიდა გვაჯილდოებს ნიჭით (1 კორ. 12:28-30).

9. სულიწმიდა გვაძლევს ქრისტეს მოწმეებად ყოფნის ძალას (საქმ. 1:8; 9:31; 5:32).

10. სულიწმიდა გვიგზავნის სიზმრებსა და ჩვენებებს ღვთის სასუფეველზე (იოანე, 2:28).

საინტერესო იქნება თვალი გავადევნოთ სულიწმიდის როლს იესოს ცხოვრებასა და მოძღვრებაში. მან, რასაკვირველია, იცოდა ღვთის სასუფეველში მიმდინარე მოვლენათა არსი. თავად ღმერთი მოქმედებს, როდესაც მისი სული აღავსებს მორწმუნეებს. გაიხსენეთ იესოს ნათლობა. „რადგან ის, ვინც ღმერთმა მოავლინა, ღვთის სიტყვებს ლაპარაკობს. ვინაიდან ღმერთი გამოზომით არ იძლევა სულს“ (3:34). ეს იმის ილუსტრაციაა, რასაც წინასწარმეტყველებდა ზაქარია იესოს მოვლინებამდე რამდენიმე ასეული წლით ადრე: „ეს არის უფლის სიტყვა... არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (4:6).

სულიერი ბრძოლა

თუ ბოლომდე მივყვებით მოძღვრებას სულიწმიდის შესახებ, აუცილებლად სულიერ ბრძოლამდე მივალთ. მოძღვარი ცუდ სამსახურს გაუწევს მოწაფეს, თუ დაუმალავს, რომ მას, მის ხალხს და მთელ სამყაროს სულიერი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

მკითხველს შეუძლია გადახედოს წიგნის მე-20 თავს, სადაც სულიერ ბრძოლაზეა საუბარი. ქრისტიანი მისიონერისათვის აუცილებელია ამ მასალის ცოდნა. მოძღვარმა უნდა გაანდოს მოწაფეს სულიერი ბრძოლის საკუთარი ხერხები.

სატანა უკვე იყო დედამიწაზე, როდესაც აცდუნა ადამი და ევა, დაეჭვა რა ისინი ღვთის სიკეთესა და სიბრძნეში (დაბ. 3:1-5). ღმერთმა გამოაცხადა სამუდამო მტრობა სატანასა და კაცობრიობას შორის, მიანიშნა, რომ ბრძოლა ეს-ესაა იწყება, რომელშიც სატანა სასიკვდილოდ დაჭრის კაცის ძეს (იესოს), მაგრამ საბოლოოდ მის ფერხთით დაემხობა დამარცხებული. ამ ბრძოლას ორი სტადია ექნება. პირველი, როცა ქრისტეს ჯვარს აცვამენ კაცობრიობის ცოდვებისათვის და ამით იგი სატანას ადამიანთა გასამარ-

თლების უფლებას გამოსტაცებს (კორ. 2:14,15). მეორე სტადია იესოს მეორედ მოსვლაა, როცა ის საბოლოო განაჩენს გამოუტანს სატანას (2 თეს. 2:8).

სატანაზე იესოს გამარჯვებისა და სულიწმიდის სახით ჩვენში მისი არსებობის წყალობით გვაქვს დღეს ბნელ ძალებზე მეუფება (მათე, 10:1), რის გამოც შეგვიძლია დემონთა განდევნა და ავადმყოფთა განკურნება (იაკ. 4:7); სატანის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი გაძევება (2 კორ. 10:4, 5); და ბოლოს, მისი საბოლოო დამარცხება (რომ. 16:20).

თუმცა დღეს იგი არაა ჩვენს ფეხთით დამხობილი. ბრძოლა გრძელდება. ჩვენ არ ვიბრძვით „...სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ" (ეფ. 6:12). „ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად" (2 კორ. 10:4). ჩვენ ვიცით, რომ ის, ვინც ჩვენშია, მეტია იმაზე, ვინც წუთისოფელშია (სატანა) (1იოანე, 4:4). ჩვენ ვიცით, როგორ ვებრძოლოთ მას (იაკ. 4:7). ჩვენ გაგვაფრთხილეს, რომ „ეშმაკი დაძრწის როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს" (1 პეტრ. 5:8).

ყოველნაირად ეცადე, განუმარტო მოწაფეებს სულიერი ბრძოლის არსი, კაცობრიობის სულიერი მტრის რეალური არსებობა და მასზე გამარჯვების ხერხები.

ღვთის სიტყვის აუცილებლობა

იესოს გამოცდას თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მან საკუთარ ძალებსა და ხელმწიფებას კი არ მიმართა, არამედ წმიდა წერილის გამოყენების მაგალითი მოგვცა ჩვენ ყველას. სატანის ყოველ მცდელობას ის პასუხად აგებებდა: „დაწერილია" და შემდეგ მოჰყავდა წერილის შესაბამისი სიტყვები (მათე, 4:1-11).

ამ საკითხში შეცდნენ პირველად ადამ და ევა („...მართლა გითხრათ ღმერთმა?" (დაბ. 3:1). იესო უდაბნოში გამოიცადა და არა ედემში (შეიძლება უდაბნო ცოდვათდაცემის სიმბოლურ შედეგს წარმოადგენდა, აი, რა პირობებში მოხვდნენ ადამიანები ცოდვათდაცემის შემდეგ), სადაც მან წარმატებით მოიგერია სატანის შემოტევები.

საკვანძო მომენტად შეიძლება ჩაითვალოს იესოს შემდეგი პასუხი: „...არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით" (მათე, 4:4, ციტატი ფსალმუნიდან 8:3).

ქრისტეს მოვლინებამდე 1400 წლით ადრე ღმერთმა იესო ნავეს უთხრა: „ნუ გაქრება რჯულის ეს წიგნი შენი ბაგეებიდან, დღითა და ღამით ფიქრობდე მასზე, რომ ყველაფერი შეასრულო, რაც იქ წერია. რადგან მაშინ წარგემართება გზა და მაშინ გექნება წარმატება“ (იესო ნავე, 1:8).

ათასი წლის შემდეგ (დაახ. 1000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) ებრაელთა მეფემ, დავითმა, გაიმეორა ეს მოძღვრება: „არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ. და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ დაჭკნება. და ყოველივეში რასაც იქმს, წარმატებულია“ (ფს. 1:2-3).

სამასი წლით გვიან კი, დაახ. 700 წ. ჩვ. წ. აღ-მდე, ესაია წინასწარმეტყველი წერდა: „...აი, ვის მივაპყრობ მზერას – გლახაკს და სულგამწარებულს, ჩემი სიტყვების მოშიშს“ (ეს. 66:2).

იესო მოწაფეებს მოძღვრავდა: „თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ“ (იოანე, 15:7).

იესოს ცად ამაღლებიდან დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ პაელე კოლასელებს სწერდა: „უფლის სიტყვა უხვად დამკვიდრდეს თქვენში სრული სიბრძნით. ასწავლეთ და შთააგონეთ ერთმანეთი ფსალმუნით, სადიდებლით და სასულიერო საგალობლებით, და უგალობდეთ ღმერთს თქვენს გულებში მადლიერებით“ (3:16).

კიდევ ბევრი ციტატა შეიძლებოდა დაგვეძებნა წმიდა წერილში, სადაც მორწმუნის ცხოვრებაში ღვთის სიტყვის აუცილებლობაზეა საუბარი. ამ შეგონებათა პრაქტიკული მხარე კი ისაა, რომ ღვთის სიტყვა მისაწვდომია თქვენი მოწაფეებისათვის და უნდა დაეხმაროთ მათ ამ სიტყვის საფუძვლიანად შეთვისებაში. განვიხილოთ ამ პრობლემის ორი ასპექტი.

პირველი, არსებობს ღვთის სიტყვის გავრცელების უამრავი საშუალება, რადიოს, პრესის, წმიდა წერილის ტექსტის გავრცელების მეოხებით. შეიძლება მივმართოთ საღვთო ტექსტების სიმღერას, ჩავატაროთ ბიბლიის შემსწავლელი გაკვეთილები. სიტუაცია თვითონ გიკარნახებთ, რა გზას უნდა მიმართოთ.

მეორე, ღვთის სიტყვის გავრცელება დიდადაა დამოკიდებული მქადაგებლის სტილზე და უნარზე. ქადაგებაში უნდა გავითვალისწინოთ ახლადმოქცეულის ინტერესები და ამავე დროს, საჭიროა, ჩავუნერგოთ ჩვენა, დღედაღამ იფიქროს ღვთის სიტყვაზე და გამოიყენოს ის ცხოვრებაში.

მუსლიმური სამყაროს ბევრ რეგიონში ადამიანებს ფენომენალური მეხსიერება აქვთ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია არა მარტო ცალკეული მუხლების, არამედ მთელი ნაწილების შესწავლა ზეპირად, რადგან მოსალოდნელია ბიბლიის ჩამორთმევა და ახლადმოქცეულის დაპატიმრება. საღვთო წერილის შესწავლის მიზანი მისი ცხოვრებაში გამოყენებაა. თუ არ იცით, საიდან დაიწყოთ, გირჩევთ წაიკითხოთ ლეროი ეიმსის წიგნი „დამოძღვრის დაკარგული ხელოვნება“ (1978). ის განიხილავს 30 თვისებას ანუ „ემფაზას“, რომელიც სურს იხილოს თავის მოწაფეში და მოჰყავს შესაბამისი ადგილები ბიბლიიდან.

თუ საშუალება გაქვთ რეგულარულად შეხვდეთ მოწაფეებს, ასეთ სიტუციაში უმჯობესია, ერთად განიხილოთ ბიბლიის ცალკეული წიგნები. გახსოვდეთ, საღვთო წერილში ამოკითხული ნებისმიერი ჭეშმარიტება ცხოვრებაში უნდა იქნეს გამოყენებული.

შეიძლება გარკვეული დრო დაუთმოთ ბიბლიის სტრუქტურის გაცნობას და იმ ადგილების აღნიშვნას, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ. პირადად მე, როგორც წესი, ერთ-ერთი სახარებით ვიწყებ ხოლმე და შემდეგ დაბადების, გამოსვლათა, მეორე რჯულის წიგნების კითხვაზე გადავდიავარ. იმავდროულად ვაცნობ მოწაფეებს ფსალმუნთა და იგავთა წიგნებს და განვიხილავ მათ ერთი თვის განმავლობაში. სახარების შემდეგ მოციქულთა საქმეებისა და წერილების წაკითხვას ვთავაზობ მათ. ბიბლიის დანარჩენი ნაწილების შესწავლის თანმიმდევრობა თქვენ თვითონ განსაზღვრეთ.

სანამ მოწაფეს ბიბლიის ტექსტს აცნობთ, გახსოვდეთ, რომ თქვენი მიზანია, იხილოთ ქრისტეს ხატი მასში. ასწავლეთ და იცხოვრეთ სულში. ღვთის სიტყვის შესწავლა მოწაფეში ქრისტეს ხატების დასამკვიდრებლადაა საჭირო, შემდეგ კი ცხოვრებაში გამოსაყენებლად. სწავლის პროცესში გამუდმებით უნდა ილოცოთ მოწაფეებისათვის.

ლოცვის ხელოვნება და პრაქტიკა

ლოცვას მარტო თქვენს ცხოვრებაში კი არ უნდა ეჭიროს დიდი ადგილი, არამედ მოწაფეებსაც უნდა შეასწავლოთ მისი ხელოვნება.

გახსოვდეთ, რომ ეს მხოლოდ ცოდნის გაზიარება არაა. თქვენი მიზანი თქვენს მოწაფეში განხორციელებული ქრისტეს დანახვაა. ლოცვა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია.

მოგვყავს ზოგიერთი ადგილი წმიდა წერილიდან, სადაც ლოცვაზეა საუბარი: „დამიძახე და პასუხს გაგცემ და გამოგიცხადებ დიდსა და მიუწვდომელ რასმე, რაც აქამდე არ იცოდით“ (იერ. 33:3); „უთხრა მათ (იესომ) კიდევ იგავი იმის შესახებ, რომ ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მოეზრდეთ“ (ლუკა, 18:1); „აქამდე არაფერი გითხოვიათ ჩემი სახელით. ითხოვეთ და მიიღებთ, რათა თქვენი სიხარული სრულყოფილი იყოს“ (იოანე, 16:24); „არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს, და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“ (ფილ. 4:6-7); „ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით და მუდამ იფხიზლეთ ამაზე ყოველგვარი სიმედგრით და ლოცვით ყველა წმიდასთვის“ (ეფ. 6:18); „მუდამ ხარობდეთ. ილოცეთ განუწყვეტლივ. მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, ვინაიდან ეს არის თქვენს მიმართ ღვთის ნება ქრისტე იესოში“ (1 თეს. 5:16-18).

ღმერთი მოგვიწოდებს, დავუძახოთ და ვევედროთ მას. იესო გვასწავლიდა, რომ გამუდმებით უნდა ვილოცოთ. იგი იმედოვნებდა, რომ ჩვენ ვსწავლობთ მისთვის ლოცვას. უნდა ვილოცოთ სულიწმიდის ძალით და ვხარობდეთ ლოცვის დროს ღმერთთან სიახლოვით.

ჩვენს ლოცვას აუცილებლად გამოეხმაურება ღმერთი. იგი გვაძლევს მშვიდობას, რომელიც გონებისათვის მიუწვდომელია. ქრისტე იპყრობს ჩვენს გულსა და გონებას. ლოცვა განამტკიცებს ჩვენში ღვთის ნებას.

მოწაფეები უნდა ხედავდნენ ამას თქვენს ცხოვრებაში. მათ თქვენთან ერთად უნდა ისწავლონ ლოცვა. ერთობლიები ლოცვა შთააგონებს მათ და დაეხმარება ჩვევის გამომუშავებაში. თუ პირადად არ შეგიძლიათ უხელმძღვანელოთ ამ პროცესს, წერილობითი მითითებები უნდა დაუტოვოთ მათ. ბიბლიის კითხვისას ისინი წააწყდებიან ლოცვებს, რომლებსაც მაგალითად დაისახავენ. თუკი მიაჩვიეთ ღვთის სიტყვაზე გამუდმებულ ფიქრს, უზარმაზარ მასალას იპოვნიან ბიბლიაში, როგორც თავის გასამხნევებლად, ისე ლოცვების შთაგონებისათვის.

ღვთისმსახურებისა და მუსიკის როლი

მუსიკაზე და ღვთისმსახურებაზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი. თქვენ შეგიძლიათ პირადად შეასწავლოთ მოწაფეს გალობა და ღვთისმსახურება.

დიდ საქმეს გააკეთებთ, თუ სიმღერებს თქვენი მოწაფეების მშობლიურ ენაზე გადათარგმნით. გახსოვდეთ, რომ დამოძღვრა უფრო მეტია, ვიდრე უბრალო გამოწურთვნა; თქვენ უნდა გაიყვანოთ მოწაფე უფლის გზაზე, ასწავლოთ, როგორ ადიდოს ღმერთი, როგორ აღფრთოვანდეს მისით და როგორ გამოხატოს მისადმი მადლიერება, როცა ლოცულობს და ღვთის სიტყვას ეწაფება. ოდითგანვე ცნობილია, რომ ადამიანის მიზანი ღვთის დიდება და მასში სიხარულია, გალობის შემცველი ღვთისმსახურება კი ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მრავალ ისლამურ ქვეყანაში არსებული რეპრესიული რეჟიმის გამო, ახლადმოქცეულს შეიძლება არ ჰქონდეს საშუალება სხვა მორწმუნეებთან შეხვედრისა და ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღებისა. ამიტომ ჩვენ მიგვესალმებით ფსალმუნებისა და სასულიერო სიმღერების ჩართვას სასწავლო პროცესში.

დაჯგუფების შექმნის აუცილებლობა

პავლე მოციქულმა იცოდა, რომ მაგალითს დიდი ძალა აქვს და რომ ახლადმოქცეულს გამხნევება ესაჭიროება. ისინი უნდა ხედავდნენ, რომ ვილაც ზრუნავს მათზე.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია, ახლადმოქცეულში გავაღვიძოთ მოთხოვნილება, მოიძიოს თავისივე მსგავსნი. შემდეგ თავში სწორედ იმის შესახებ იქნება საუბარი, თუ რა ფორმით შეიძლება გაერთიანდნენ მორწმუნენი ქრისტეს სხეულში.

თავი XXXV

გაერთიანებათა მოდელები

„ამიტომ თქვენ უკვე აღარა ხართ უცხოები და ხიზნები, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი, დაშენებულნი მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვით ქრისტე იესოა ქვაკუთხედი, რომელზეც მთელი შენაწევრებული შენობა წამოიმართა უფალში წმიდა ტაძრად, რომელზეც შენდებით თქვენც, რათა იყოთ ღვთის სამკვიდრებელი სულში“
(ეფ. 2:19:22).

ეს შთაგონებული ტექსტი ღვთის უდიდესი სიყვარულის გამოცხადებას შეიცავს. უფალმა ჩაიფიქრა, იცხოვროს ადამიანთა შორის. ის ათასწლეულების მანძილზე იღწვოდა ამის მისაღწევად. ამ შენობას საძირკველი აბრაამთან დადებული აღთქმით ჩაეყარა. უდიდესი როლი ითამაშა მოსემ, როგორც კანონმდებელმა. დავითმა სამეფო დააარსა, ესაიამ, იერემიამ და დანიელ წინასწარმეტყველმა ღვთის მომავალი სამეფო აღწერეს. იესო კი ამ გეგმის ქვაკუთხედი იყო მოციქულებთან ერთად. ადამიანი მოწმე იყო, თუ როგორ აშენებდა ღმერთი საუკუნეების მანძილზე უზარმაზარ შედევრს — ცოცხალ, ათასწლოვან, მრავალეროვან სხეულს — სიცოცხლემინიჭებულ, გამოსყიდულ შვილთა ტაძარს, სადაც თავად აპირებდა დამკვიდრებას სამარადჟამოდ.

მის ეკლესიაში, რომელიც სასუფევლის ხილული ანარეკლია, ყოველგვარ განხეთქილებას სპობს ქრისტეს სისხლი. ღმერთი მოუწოდებს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, გახდნენ მისი გაერთიანების წევრები. ისმაელის ძენი ამ გამოსყიდვის ნაწილს შეადგენენ. იესომ მოიტანა მშვიდობა აბრაამის დანგრეულ ოჯახში. თავისი ჯვარცმული სიკვდილით მან ყველა შეარიგა ღმერთთან.

ძველი ტაძარი აღარ არსებობს. აშენდა ახალი ტაძარი ცოცხალ მორწმუნეთაგან. მლოცველები რომელიმე ადგილისაკენ კი არა, თავად ღმერთისაკენ მიეშურებიან. ღვთისმსახურება რელიგიათა დამაარსებლების მიერ მოგონილი რიტუალი კი აღარ არის, არამედ სულიწმიდისა და ჭეშმარიტების სახელით მიმდინარე ქმედება.

ეს ახალი ცოცხალი სხეული ერთიანია. მორწმუნენი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და სხვადასხვა ერებს ეკუთვნიან, მაგრამ სხეული ერთია. ქრისტეს გამომსყიდველმა მსხვერპლმა მოსპო განხეთქილება ისაკისა და ისმაელის შთამომავალთა შორის.

აი, ის სურათი, რომელიც შეგიძლიათ თქვენს მოწაფეს დაუხატოთ. მან უნდა დაინახოს ღვთაებრივი ჩანაფიქრის დიდებულება, რომლის მონაწილე თავადაცაა. ახლადმოქცეული მხოლოდ ადგილობრივ ეკლესიას როდი უნდა ხედავდეს, მას თვალწინ უნდა ედგეს მარადიული მსოფლიო ეკლესია, რომელიც მთელ კაცობრიობას მოიცავს. ამ ხატების ფონზე მორწმუნე გააცნობიერებს, თუ ვინ არის ის და რას წარმოადგენს ღვთის სასუფეველში.

იმან, რაც აბრაამმა დაიწყო, როგორც რწმენის კაცმა, მორწმუნეებში მოიტანა ნაყოფი და აბრაამის ოჯახისათვის აღთქმული თესლის, იესო ქრისტეს, წყალობით მორწმუნენი გაერთიანდნენ. აღდგა აბრაამის დანგრეული ოჯახი. მუსლიმები, განსაკუთრებით არაბი მუსლიმები, რომლებსაც გამორჩეულ ხალხად მიაჩნდათ თავი და თვლიდნენ, რომ სხვა ერების მართვის უფლება ჰქონდათ, დღეს თავმოდრეკილნი არიან. ისინიც შემუსრულ იქნენ ჯვართან, ყოველ შემთხვევაში მათი ის ნაწილი, რომელმაც ირწმუნა, და დღეს ქრისტეს სხეულს უერთდებიან.

წინა თავში ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ ქრისტე უნდა განხორციელდეს ყოველ მოწაფეში. ახლა კი უნდა ვაჩვენოთ მათ, თუ რა ადგილი უჭირავთ ქრისტეს მსოფლიო სხეულში. გახსოვდეთ, რომ ახლადმოქცეულები შეიძლება მთლიანად მოსწყდნენ ოჯახს. არ არის გამორიცხული მათი დევნა-შევიწროვება. ალბათ დადგება მომენტი, როდესაც ისინი საკუთარ თავს დაეკითხებიან: „ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ?“ ამიტომ აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საკუთარი თავის აღქმა ღვთის სიტყვის ფონზე. ამისთვისაა სწორედ საჭირო ღვთის სასუფეველის მანიფესტაცია, იმის ჩვენება, რომ გამთლიანდა აბრაამის დანგრეული ოჯახი. ისმაელისა და მისი შთამომავლობის ოთხიათასწლოვანი ექსორია

დამთავრდა და ოჯახი კვლავ გაერთიანდა. დამყარდა მშვიდობა და მოხდა გამოსყიდვა. უფალი აგრძელებს თავისი შედეგრის – ცოცხალი ტაძრის – შენებას, რომელშიც უნდა დამკვიდრდეს სამარადჟამოდ.

ამ თემაზე საუბრის დაწყებამდე, სასურველია, გავაანალიზოთ ისლამური მოძღვრების შესაბამისი ნაწილი და აჩვენოთ ქრისტიანული მოძღვრების უპირატესობა.

ახლადმოქცეულმა უნდა იცოდეს, რომ მიუხედავად არაერთხელ გამოთქმული პრეტენზიებისა, ისლამი არ არის ის რელიგია, რომელმაც შეცვალა ყველა მანამდე არსებული სარწმუნოება. წინაალმდეგ შემთხვევაში, სხვადასხვა გარემოებათა წყალობით, ის კვლავ შეიძლება დაუბრუნდეს ისლამს.

მუჰამედი თავიდან იერუსალიმისაკენ პირმიქცეული ლოცულობდა, მაგრამ როდესაც ებრაელებმა უარყვეს იგი, მაშინ თავისი მშობლიური ქალაქის – მექას – წარმართული სიწმიდეებისაკენ მობრუნდა. ძველ სალოცავს – ქაბას – ახალი სახელი – „ჩემი სახლი“ – ეწოდა (ყურანი, 2:11(125)). დღეს მუსლიმები მას „ღვთის სახლს“ ეძახიან. მუჰამედმა იგი დედამიწის ცენტრად და მომლოცველთა თავშეყრის ადგილად გამოაცხადა. მას მხედველობიდან გამორჩა, რომ იერუსალიმის ტაძარი მხოლოდ დროებითი მინიშნება იყო იმ ცოცხალ ტაძარზე, რომელიც სხვადასხვა ტომისა და თაობის მორწმუნეთაგან უნდა აშენებულიყო – უფალს თავის ხალხთან სურს ცხოვრება. ეს იდეა უცხო იყო მუჰამედისათვის, მსგავსი არაფერია ისლამურ მოძღვრებაში. ვერ ჩასწვდა რა ღვთის ჩანაფიქრს, იგი იმ ამბოხებულის როლში მოგვეელინა, რომელიც შეეცადა იერუსალიმის შემცველი მოეძებნა, მან ხომ არ იცოდა, რომ მიწიერი იერუსალიმი მხოლოდ მინიშნება იყო მომავლის ზეციურ ქალაქზე (გალ. 4:26).

მუჰამედმა ვერც გამოსყიდვის იდეა გააცნობიერა, რომლის თანახმადაც ყველა მორწმუნე, მიუხედავად ნაციონალური წარმომავობისა, ერთი ცოცხალი ტაძრის ასაგებად უნდა გაერთიანებულიყო, სადაც თავად უფალი დაივანებდა. მუჰამედს ისლამი ესმოდა, როგორც ნაციონალური რელიგია: არაბი წინასწარმეტყველი, არაბული ყურანი, ქაბა-სამყაროს ცენტრი. მან აგარისა და ისმაელის მოგზაურობის მარშრუტიც კი შეცვალა და მექას მიდამოებში გადმოიტანა. ცოცხალი ტაძრის ნაცვლად არაბული სიამაყე და მსოფლიოზე გაბატონების სურვილი გვრჩება ხელში.

თქვენ უნდა მიეხმაროთ ახლადმოქცეულს, რომ გააცნობიეროს ქრის-

ტიანული მოძღვრება და გამოიყენოს ის ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოაჩენთ, რომ მთელი მოძღვრება ადგილობრივი ეკლესიის დაფუძნებაზე დაიყვანება.

სანამ ახლადმოქცეულს ადგილობრივ ეკლესიაში მიიყვანდეთ, მან უნდა იცოდეს, რომ ეს ეკლესია მხოლოდ ნაწილია მსოფლიო ეკლესიისა. ისლამური თემისაგან განსხვავებით, ესაა მორწმუნეთა საოცარი მსოფლიო ერთობა, რომელთა შორისაც თავად უფალი სუფევს. ამ რეალობის აღქმა გაუადვილებს მორწმუნეს ადგილობრივი ეკლესიის ცხოვრებაში ჩაწვდომას.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკლესიაზე ვისაუბრებთ, ისიც უნდა განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს ადგილობრივი ეკლესია. ეკლესია შეიძლება განვმარტოთ, როგორც ორი ან მეტი მორწმუნის ქრისტეს ხელმძღვანელობითა და სულიწმიდის ძალით გაერთიანება ღვთისმსახურების აღსავლენად. ეკლესიის წევრთა შემადგენლობა და სტილი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მოცემული განმარტება არსებითად სწორია, მაგრამ არასაკმარისი. თითოეულ მისიას ან ეკლესიას თავისი შინაგანაწესი აქვს. მაგალითისათვის მოგვყავს არაბული მსოფლიო მისიის კრიტერიუმები, რომლის თანახმადაც ადგილობრივი ეკლესია უნდა შესდგებოდეს:

1. დაახლოებით ათი მონათლული მორწმუნისაგან (ეს ციფრი შეიძლება მერყეობდეს).
2. სასურველია, დაიწყოთ ოჯახების მიღებით, შემდეგ მარტოხელებიც შეიძლება.
3. წერილის მცოდნე ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან.
4. შესაკრები ადგილისაგან (არა მისიის შენობაში)
5. ადგილობრივი თემი თავის თავზე იღებს ეკლესიის დაფინანსებისა და სახარების გავრცელების პასუხისმგებლობას (Evans, უთარიღო, 2).

ამას შეიძლება მივუმატოთ ღვთისმსახურების წესი, ღვთის სიტყვის სწავლება, ნათლობა, ზიარება და ეპიტიმია (როცა საჭიროა).

ეკლესიაში შეიძლება ხვდებოდეს ერთმანეთს მისიონერი და ახლადმოქცეული, რომლებიც ერთობლივ მსახურებას ეწევიან იესო ქრისტეს სახელით, ლოცულობენ და სწავლობენ საღვთო წერილს. ეს არის ეკლესიის ერთ-ერთი სახეობა.

სხვა შემთხვევაში ეკლესია შეიძლება წარმოადგენდეს მონოლითურ, ხანგრძლივი ისტორიისა და ტრადიციის მქონე სტრუქტურას, რომელშიც იღებენ ახლადმოქცეულს.

ამ ორ უკიდურეს სახეობას შორის ათასობით სხვა ფორმაც არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტილით, ტრადიციებით და თვითორგანიზაციის მოდელით. ასეთი ეკლესიები შეიძლება იყოს მონო ან პოლიეთნიკური. აქ შეიძლება სხვადასხვა ენა იქნეს გამოყენებული ღვთისმსახურებისათვის, უპირატესობა ამა თუ იმ ინსტრუმენტს ენიჭებოდეს ან სულაც არ იხმარებოდეს ინსტრუმენტი. ეს ეკლესიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩაცმულობით, შეხვედრის ადგილით, ქალის როლის კონცეფციით ეკლესიაში და სხვა.

სანამ ეკლესიაში გაერთიანების ხერხებზე ვიმსჯელებდეთ, უნდა განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედება თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ თემს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ეკლესიას. ზოგჯერ ადამიანური ორგანიზაციები ცდილობენ შეცვალონ ის, რაც ღმერთმა ცოცხალ ტაძრად ჩაიფიქრა და თავად ჩაუდგა სათავეში. პაელე კოლასელებს გარკვევით სწერდა: „ის (იესო) არის ეკლესიის სხეულის თავი. ის არის დასაბამი, პირმშო მკვდართაგან, რათა მას ჰქონდეს პირველობა ყველაფერში“ (1:18).

იესო თავის ძალაუფლებას სულის მეშვეობით ახორციელებს. ჩვენ უნდა ვემსახუროთ ღმერთს სულით და ჭეშმარიტებით (იოანე, 4:24). სულისა და იესოს სათავეში ყოფნის გარეშე ჩვენი მსახურება ან მკვდარი იქნება ან არაჭეშმარიტი. უნდა გვახსოვდეს, რომ ადგილობრივი ეკლესია მორწმუნეთა ცოცხალი სხეულია, რომელსაც სათავეში უდგას იესო და იმართება სულით.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ მაინც ბევრი საერთო აქვთ. პაელე ეფესელებს სწერდა:

„ერთია სხეული და ერთია სული, როგორც ხართ კიდეც მოწოდებულნი თქვენი მოწოდების ერთი იმედით. ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება, ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, რომელიც არის ყოველთა ზედა, ყველას მიერ და ყველა ჩვენგანში“ (ეფ.4:4-6).

სანამ ამას არ აუხსნით თქვენს მოწაფეებს, გაუჭირდებათ ადგილობრივ ეკლესიათა და მიმდინარეობათა ჭრელი სურათის აღქმა ერთ მთლიან სხეულად.

კარგი იქნებოდა, თუ იმასაც აუხსნიდით ახლადმოქცეულს, რატომაა ეკლესიათა ასეთი მრავალფეროვნება მსოფლიოში. მათ უნდა იცოდნენ ისტორიული, კულტურული მიზეზები და ადამიანური შეცდომების როლი

მორწმუნეთა ადგილობრივი თემების ჩამოყალიბებაში. მიაქცევინეთ ყურადღება ისლამის მრავალრიცხოვან სექტებზე.

ბევრ ახლადმოქცეულს სურს იცოდეს, თუ რატომ არ არის მოცემული საღვთო წერილში ღვთისმსახურების ზუსტი ორგანიზაცია. თქვენ მოგიწევთ ამის ახსნა. ალბათ ეტყვით, რომ უფალს არ სურდა ერთფეროვნება მოეხვია თავს ეკლესიებისათვის, რათა ადამიანებს საკუთარი კულტურული ტრადიციების ფარგლებში შესძლებოდათ ღვთისათვის სამსახური. მან თავისუფლება მიანიჭა ადამიანებს სტილის, მუსიკის, არქიტექტურული კონსტრუქციის და ღვთისმსახურების წესის არჩევანში. რეფორმაციის პერიოდში დასავლელ ქრისტიანებს არ ჰქონდათ არჩევანის თავისუფლება: რომის კათოლიკური ეკლესია საკუთარ იდეებს ახვევდა ყველას თავს. ლუთერმა და მისმა მიმდევრებმა ბევრი რამ გადააფასეს ეკლესიის შინაგანაწესში საღვთო წერილზე დაყრდნობით. თუ საღვთო წერილი არ კრძალავს ღვთისმსახურების ამა თუ იმ წესს, გამოიყენეთ ის. მეორე მხრივ, ანაბაპტისტები ამტკიცებდნენ: თუ ბიბლია გარკვევით არ მიუთითებს რაიმე ქმედებაზე, ჩვენც არ უნდა მივმართოთ მას.

ჩემი აზრით, წერილი იმიტომ დუმს ღვთისმსახურების წესის შესახებ, რომ ღმერთს არ სურს თავს მოახვიოს ადამიანებს კულტურული აბსოლუტი. მას სურს, რომ ეკლესიამ განაგრძოს ზრდა და მიესადაგოს იმ კონტექსტს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის მორწმუნეთა კულტურისათვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ გახსოვდეთ, რომ უნდა ერიდოთ სინკრეტიზმს – დამღუპველ კომპრომისს ადგილობრივ რელიგიურ კულტებთან. აი, რატომ არის აუცილებელი მუსლიმთა შორის მოღვაწე მისიონერისათვის ისლამის ცოდნა. იგი უნდა ერიდოს ისლამიდან შემოტანილ სახარების საწინააღმდეგო ელემენტებს, რომლებიც შეიძლება თან მოიტანონ ახლადმოქცეულებმა.

ახლა, როცა ნიადაგი მომზადებულია, შეგვიძლია განვიხილოთ მორწმუნეთა გაერთიანების შესაძლო ფორმები. ჩვენ მათ პრაქტიკული კუთხით გავაანალიზებთ. ყველა არსებულ მოდელთაგან შეიძლება გამოიყოს 3-5 ძირითადი ფორმა, რომელიც ფარავს დანარჩენებს.

პირველი მოდელი – სრული ინტეგრაცია

ეს ყველაზე გავრცელებული მოდელია. მოქმედ ეკლესიაში ილებენ ყველა ახლადმოქცეულ მუსლიმს, მიუხედავად მათი ეთნიკური და ენობრივი

განსხვავებისა. შეიძლება ახლადმოქცეულებს ახალი ენის, მათთვის უჩვეულო მუსიკის, ახალი წეს-ჩვეულებების, ჩაცმულობის და ბევრი სხვა რამის ათვისებამ მოუწიოთ ეკლესიაში მისაღებად. არსებითად მათ ორგვარი ცვლილება უნდა განიცადონ: პირველი – სულიერი, რაც ქრისტესაკენ მოქცევაში გამოიხატება; მეორე – იმ ეკლესიის კულტურის მიღება, რომელშიც ინტეგრირდებიან. ჩვენ ამას ვეძახით ყოფილი მუსლიმის გამოყვანას მისი კულტურული კონტექსტიდან და ახალ კონტექსტში ჩართვას.

მეორე მოდელი – განსხვავებული კულტურების მქონე „დედა და „შვილი" ეკლესიები

მეორე მოდელს შეიძლება ვუწოდოთ „დედა" და „შვილი" ეკლესიების მოდელი, სადაც „დედა" ეკლესია ერთ ეთნიკურ საფუძველზეა აღმოცენებული, ხოლო „შვილი" – მეორეზე. „დედა" ეკლესიას ესმის, რომ არასწორია ახლადმოქცეულთა ლინგვო-კულტურული გარდაქმნის ფორსირება. ასე რომ, პირველი ეკლესიის წევრები შეგნებულად აარსებენ მათგან განსხვავებულ მეორე ეკლესიას. ამ მოდელის თანახმად „დედა" ეკლესიამ შეიძლება საკუთარი შინაგანაწესი შესთავაზოს „შვილ" ეკლესიას ან დათანხმდეს იმგვარ მოწყობაზე, რომელიც უფრო ესადაგება ახლადმოქცეულთა კულტურულ კონტექსტს. ენა, მუსიკა და ჩაცმის მანერა „შვილ" ეკლესიას თავად შეუძლია აირჩიოს.

მესამე მოდელი – ორმაგი წევრობა

სხვადასხვა მიზეზის გამო ახლადმოქცეულები შეიძლება გრძნობდნენ, რომ ისინი ადგილობრივი ეკლესიის წევრები უნდა იყვნენ, მაგრამ, შეიძლება, მათ კარგად არ ესმით ის ენა, რომელზეც მიმდინარეობს ღვთისმსახურება ამ ეკლესიაში. ისინი რეგულარულად დადიან ეკლესიაში, თუმცა იმავდროულად იკრიბებიან თავიანთი ახლობლების წრეშიც, სადაც ატარებენ ღვთისმსახურებას მათ მშობლიურ ენაზე და მათთვის ჩვეული მანერით.

მეოთხე მოდელი – კონტექსტუალიზირებული ეკლესია

მეოთხე მოდელი ყველაზე უფრო ნაკლებად მისაღებია არამუსლიმური წარმოშობის მორწმუნეთათვის. ეს მოდელი დიდ თავისუფლებას ანიჭებს

ახლადმოქცეულ მუსლიმებს ღვთისმსახურების თავიანთი მანერის გამომუშავების თვალსაზრისით. ამას ბევრი მიზეზი აქვს. იმ ადგილებში შეიძლება არ არსებობდეს ეკლესია, რომელიც მიიღებს მათ, ან ეკლესიას, რომელსაც განსხვავებული ეთნო-ლინგვისტური ბაზა აქვს, არ სურდეს მათი მიღება. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ადგილობრივი ეკლესიის კორუმპირებულობის გამო არავინ მოისურვოს მასთან საქმის დაჭერა.

მათ, ვინც ამ მოდელს ანიჭებს უპირატესობას, გარკვეული მიზეზები ამოძრავებთ. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ შეუძლებელია ახლადმოქცეულის ჩვეული კულტურული კონტექსტიდან ამოგლეჯა და ახალ კულტურულ კონტექსტში ძალით გადანერგვა. ასე რომ, ეს მოდელი ეწინააღმდეგება ადგილობრივი ეკლესიის კულტურულ იმპერიალიზმს. ამ მოდელის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ღმერთმა თავისუფლება მიანიჭა ადამიანებს, რომ საკუთარ კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით ეცათ თაყვანი ღვთისათვის.მართალია, ღმერთი დაინტერესებულია მორწმუნეთა სულიერი ერთობით, მაგრამ იგი არ მოითხოვს ეკლესიათა ორგანიზაციისა და მათი შინაგანაწესის ტოტალურ ერთფეროვნებას.

ხსენებული მოდელის რეალიზება ასე ხდება: მორწმუნეებს ხელში უჭირავთ ბიბლია და აანალიზებენ საკუთარ კულტურულ კონტექსტს, რა არის იქიდან მისაღები საღვთო წერილის თანახმად და რა – არა.

ამ მოდელის ანალიზისას, სასარგებლოდ მივიჩნიე ადგილობრივი რელიგიური კულტურების ელემენტთა სამ კატეგორიად დაყოფა: უნდა გამოვყოთ ისინი, რომლებიც ეთანხმებიან საღვთო წერილის დოგმატებს, ისინი, რომლებიც არ ეთანხმებიან და ნეიტრალურები, ე. ი. ისინი, რომლებიც რაიმე პრობლემას არ ქმნიან.

ხსენებულ მოდელს დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან არსებობს საშიშროება, რომ შენარჩუნებული ისლამური ფორმები ისლამურ შინაარსსაც შემოინახავენ. ისლამის ფორმათა მიღების ან ადაპტირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მათი ქრისტიანული შინაარსით შევსებას.

დენის გრინმა დიდი სამსახური გაგვიწია, როდესაც გვიჩვენა, რომ წერილი ებრაელთა მიმართ ახალ აღთქმაში ახლადმოქცეული ებრაელებისათვის იყო დაწერილი, რომელთაც ბევრი რამ შემოინახეს წარსული რელიგიური წეს-ჩვეულებებიდან. მათ სინკრეტიზმის უდიდესი საშიშროება ელოდათ. დიდი შესაძლებლობა არსებობდა იმისა, რომ ძველი იუდეური შინაარსი გაბატონდებოდა ახალ-სახარებისეულ შინაარსზე (Green, 1989:233-250).

მეორე მხრივ, ფილ პარშალმა, რომელიც კონტექსტუალიზირებული მიდგომის მომხრე გახლავთ, დაწერა წიგნი „მუსლიმთა ევანგელიზაციის ახალი გზები“ (Parshall, New Paths in Muslim Evangelism, 1980), სადაც აღწერს ლომბაროში მეოთხე მოდელის მიხედვით ორგანიზებულ თემს.

ცხრა წლის შემდეგ პარშალმა გამოაქვეყნა სტატია „კონტექსტუალიზაციის გაკვეთილები“ (Parshall, Lessons Learned in Contextualisation, 1989:251-265). ეს სტატია ბევრ დასკვნას შეიცავს. პარშალი წერს:

„შეუძლებელია მთლიანად აღიწეროს ჩვენი ძალისხმევა. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ პირველი გამოხმაურება კეთილგანწყობილი იყო. ახლადმოქცეულებს მოსწონთ მონაწილეობის მიღება ღვთისმსახურებაში სხვა ისლამური წარმოშობის მორწმუნეებთან ერთად. ლოცვის ბიბლიური ფორმა, ღვთის სიტყვის გალობა, მარხვის შენახვა და ნაცნობი სიტყვების გამოყენება უადვილებს მორწმუნეებს ახალ კონფესიაში გადასვლას. და, რაც ყველაზე მთავარია, ახლადმოქცეულნი „თავისიანებად“ რჩებიან მუსლიმი ნათესავებისა და მეგობრების თვალში. ისინი არ იქცევიან ტიპიურ განდგომილებად, რომელთაც სდევნიან და რომელთა ბედიც ტრაგიკულ იერს იღებს, თუმცა ეკლესიის ზრდის პოტენციული შესაძლებლობის თვალსაზრისით, ისინი პერსპექტივას მოკლებულნი არიან“. (Parshall, 1989:254).

სურვილი მაქვს, შემოგთავაზოთ ჩემი კომენტარი ამ თემაზე. პირველი — ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, გაუძლებენ თუ არა „კონტექსტუალიზირებული“ ახლადმოქცეულები დევნას. და თუ გაუძლებენ, აიცილებენ კი თავიდან სინკრეტიზმს?

ეჭვს იწვევს აგრეთვე ისიც, რომ ისინი თავის თავს „ისას მიმდევრებს“ უწოდებენ. თუ იცნობთ ყურანს, გეცოდინებათ, რომ ეს არის სახელ იესოს (ებრაულად „იეშუა“) დამახინჯებული ფორმა. უეჭველია, ყურანის ისაც ბიბლიური იესოს დამახინჯებული სახეა. რამდენად მართებულია იესოს ყურანული სახელით მოხსენიება? ბიბლიური სახელი იესო (იეშუა) წარმოდგება ძირისაგან, რომელიც „მხსნელს“, „განმანთავისუფლებელს“ ნიშნავს, ყურანის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში ეს ასპექტი იკარგება. ნაგიბ მახფუზი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, იქამდეც კი მივიდა, რომ იესო თავის პაროდიაში „ფაკირად“, გველების შემლოცველად წარმოადგინა. ისლამის წიაღიდან მოსული მოწაფე ადრე თუ გვიან გააცნობიერებს იესოს ბიბლიურ სახელს. რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს დასაწყისიდანვე?

მეორე არგუმენტი კონტექსტუალიზაციის სასარგებლოდ არის ის, რომ მას შეუძლია მორწმუნე დევნას გადაარჩინოს. ბანგლადეშის ერთ-ერთ პროვინციაში, მიუხედავად იმისა, რომ თემის ხელმძღვანელები ამტკიცებდნენ ჩვენ ქრისტიანები კი არა, ისას მიმდევრები ვართო, კავშირის თავმჯდომარემ ახალი აღთქმა ტბაში მოისროლა და თქვა: „სანამ ამ წიგნს კითხულობთ, ქრისტიანები ხართ" (Private Newsletter, July, 16,1990). ამ მოდელის მიხედვით შექმნილ ქრისტიანულ თემებსაც ხომ არ მოელის დევნა? წაიკითხოთ, როგორ აღწერდა ლუკა მოციქულთა დევნა-შეეიწროვებას:

„ხოლო ისინი წავიდნენ სინედრიონიდან და უხაროდათ, რომ მისი სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ. ყოველდღე დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ ტაძარში და სახლებში ქრისტე იესოს" (საქმ. 5:41-42).

მოგვიანებით პეტრე წერდა: „ხოლო თუ ვინმე იტანჯება, როგორც ქრისტიანი, ნუ შერცხვება, არამედ ადიდოს ღმერთი ამის გამო" (1პეტ. 4:16).

მესამე, ჩვენ არ ვიცით, მთლიანად განთავისუფლდნენ თუ არა ახლადმოქცეულნი ისლამური ცნობიერებისაგან, შეავსეს თუ არა ძველი ფორმები ჭეშმარიტად ქრისტიანული შინაარსით.

თავად პარშალი წიგნში „მეჩეთს მიღმა" აღნიშნავს, მუსლიმთა რა შთამბეჭდავი რაოდენობაც არ უნდა გაქრისტიანდეს, როგორც ამას ბანგლადეშში ჰქონდა ადგილი, ეს პროცესი ძველ მეჩეთებში კი არ ხდება, არამედ წარმოადგენს რაღაც ახალს „მეჩეთს მიღმა" არსებულს" (Beyond The Mosque, 1985:184).

ამ მოდელის მიხედვით შექმნილი თემი შეიძლება გადაიქცეს სექტად, რომელიც არ აიგივებს თავს ქრისტეს სხეულის დანარჩენ ნაწილებთან. მაგალითად, ბანგლადეშში ახლადმოქცეულები არ უწოდებენ თავიანთ თავს ქრისტიანებს. ისინი აცხადებენ: „ჩვენ არ უნდა შეგვადარონ აქ მყოფ ქრისტიანებს, რადგან ისინი ინდუსთა ხელშეუხებლების სექტიდან არიან და გაუწმიდურდნენ ევროპელებთან კონტაქტებით". იესო კი საწინააღმდეგოს ქადაგებდა: „მე მხოლოდ ამათზე არ ვევედრები, არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მოწამენი იქნებიან თავიანთი სიტყვით. რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი — შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე" (იოანე, 17:20-21).

ქრისტეს სხეულის ერთიანობის რღვევა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ

მოძღვრებას. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს ასე არ მოხდეს.

მეხუთე მოდელი – ისლამის შიგნით დარჩენა

ახლახან ჩატარებული იქნა ექსპერიმენტები, რომლის ავტორებიც ურჩევენ ახლადმოქცეულებს, დარჩნენ ისლამის წიაღში. ამ მოდელის თანახმად, მორწმუნენი მუსლიმებს უწოდებენ თავიანთ თავს და გაურბიან სახელს „ქრისტიანი". ამასთან, ადამიანს შეუძლია დაიცვას ისლამის ყველა წეს-ჩვეულება. ასეთი ტიპის თემები ორ ბანაკად იყოფიან. პირველი ბანაკი აგრძელებს მუჰამედის წინასწარმეტყველად მიჩნევას, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია არ იცნობს ასეთ წინასწარმეტყველს. მეორე ბანაკი კი არ სცნობს მუჰამედს ღვთის წინასწარმეტყველად. რწმენის სიმბოლოში სახელ „მუჰამედს" ისინი „იესოთი" ცვლიან. არც ეს ბანაკია ერთგვაროვანი. არსებობს ორი ვერსია ცნობილი ფორმულისა:

ა. „არ არის ღმერთი, თვინიერ ღმერთისა, და ისა – მისი სიტყვაა". ისა – იესოს ყურანისეული ვარიანტია. ასე შემოდის იესო ამ მორწმუნეთა ცნობიერებაში.

ბ. „არ არის ღმერთი, თვინიერ ღმერთისა და იესო ღვთის მოციქულია". იესოს მოციქულობას ხომ ისედაც აღიარებდნენ მუსლიმები, ამ ბანაკში გაერთიანებულ მორწმუნეს კი, როგორც ქრისტიანს, სჯერა, რომ იესო უფრო მეტია, ვიდრე მოციქული, მაგრამ არ ლაპარაკობს ამის შესახებ.

ამ მოდელში არის გარკვეული მომენტები, რაც ჩემთვის მიუღებელია ორი მიზეზის გამო. პირველი, აქ ისლამური ცნობიერების შენარჩუნების საფრთხე იმდენად დიდია, რომ სინკრეტიზმის თავიდან აცილება შეუძლებელი ხდება. მეორე, ამ მოდელში დიდი ადგილი ეთმობა სიცრუეს. ახლადმოქცეულები გარეშე თვალისათვის მუსლიმებად ითვლებიან, მაშინ, როცა ისინი თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ.

როგორც მეოთხე მოდელის კომენტარში აღვნიშნავდით, საღვთო წერილის თანახმად, დევნა-შევიწროვება ქრისტიანობის ერთ-ერთი ნიშანია. ამიტომ ვერც ეს მოდელი გაექცევა მას. გარდა ამისა, ხსენებული მოდელი საშუალებას იძლევა, რომ ადამიანი არ მოსწყდეს ისლამურ ნიადაგს. სახარებისეული ჭეშმარიტების სიცხადე ბუნდოვანდება ისლამის ფორმებში ჩაძირვით. ახალი ღვინო ახალ ჭურჭელს თხოულობს. ამას ვამბობდით სწორედ მეოთხე მოდელის განხილვის დროსაც.

თავი XXXVI

საუკუნო სამკალი

„უთხრა უფალმა აბრაამს: წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყეველი შენს მაწყევარს; კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“

(დაბ. 12:1-3).

„გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: „შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან. და შეუქმენი ისინი სუფევად და მღვდლებად ჩვენს ღმერთს, და იმეფებენ დედამიწაზე“ (გამოცხ. 5:9-10).

ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტებში წარმოდგენილია დასაწყისი და დასასრული ღვთაებრივი ჩანაფიქრისა. ღმერთმა აბრაამი აირჩია თავის პირველ მისიონერად. აბრაამს უნდა მიეტანა კურთხევა დანარჩენი ადამიანებისათვის. მათ შორის ისმაელის, აგარის და მთელი მისი შთამომავლობისათვის.

იესოს სიტყვებიდან (გამოცხ. 5:9-10) ვიგებთ, რომ სახარებას ნაყოფი მოაქვს ყველა ტომისა და ერისათვის. მათ შორის არიან, რა თქმა უნდა, მუსლიმებიც.

მეორე ფრაგმენტში იესო საუბრობს მისიონერული ამოცანის შესრულებაზე, როგორც უდიდეს მოვლენაზე, რაზეც მისი დაბრუნებაა დამოკიდებული: „ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული“ (მათე, 24:14).

მუსლიმთა შორის სახარების ქადაგებამ ქრისტეს მეორედ მოსვლა უნდა დააჩქაროს (რასაკვირველია, იგივე უნდა მოხდეს სხვა, არამუსლიმ ხალხებშიც). ეს საკმაოდ ლოგიკურია.

აქ მეორე ციტატა მინდა მოვიყვანო, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ღმერთს უკლებლივ ყველა ადამიანის გადარჩენა სურს:

„ამრიგად, უწინარეს ყოვლისა, შეგაგონებთ ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლიერებანი ყველა ადამიანისათვის, მეფეებისა და ყველა მბრძანებლისათვის, რათა მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობით და პატიოსნებით, ვინაიდან ეს კეთილი და სათნოა ჩვენი მაცხოვარი ღვთისათვის, რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას. ვინაიდან ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი — კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად, რისი მოწმობაც იყო თავის დროზე“ (1 ტიმ. 2:1-6).

პავლე ამ სიტყვებს წერდა იმ პერიოდში, როდესაც რომის ხელისუფლება და ებრაელები მის გასამართლებას ცდილობდნენ. მაგრამ მას კარგად ესმოდა, რა კავშირში იყო მეფეებისა და მბრძანებლებისათვის ლოცვა ყველა ადამიანის გადარჩენის ღვთაებრივ სურვილთან.

ჩვენც მის მაგალითს უნდა მივბაძოთ. რაც არ უნდა უსიამოვნო იყოს, ვთქვათ, სადამ ჰუსეინის მსგავსი უსამართლო ხელისუფლისათვის ლოცვა, არსებობს გარკვეული კავშირი მისთვის აღვლენილ ჩვენს ლოცვებსა და ერაყისა და ქუვეითის ხალხების გადარჩენას შორის.

არ კმარა, რაც აქამდე გაკეთდა. უნდა მივბაძოთ იესოს:

„დადიოდა იესო ყველა ქალაქსა და სოფელში, ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სასუფეველის სახარებას, კურნავდა ყოველგვარ სენს და ყოველგვარ უძლურებას. ხალხის ბრბო რომ დაინახა, შეებრალა ისინი, ვინადან ისინი დაუძლურებულნი და დაფანტულნი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარი. მაშინ თავის მოწაფეებს უთხრა: „სამკალი ბევრია, მუშაკნი კი — ცოტა. ამიტომ ევედრეთ სამკლის უფალს, რომ წარმოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში“ (მათე, 9:35-38).

მიაქციეთ ყურადღება ამ მისიის მასშტაბს: „დადიოდა იესო ყველა ქალაქსა და სოფელში“. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, ამ სოფლებისა და ქალაქების რიცხვი 150-ს აღწევდა. იესომ ყველა მათგანი მოინახულა. ჩვენ იგივე უნდა გავაკეთოთ მთელს მუსლიმურ სამყაროში — შემოვიაროთ ყველა ტომი, ენობრივი ჯგუფი და ერი. ჩვენი სამუშაო დაუსრულებელი

არ უნდა დარჩეს, რადგან ამაზეა დამოკიდებული ქრისტეს დაბრუნება.

იესო ქადაგებდა სინაგოგებში. „სინაგოგა“ შეკრების ადგილს ნიშნავს. არაბულად „ჯამე მასჯიდი“ ღვთის თაყვანისმცემელ ადამიანთა შესაკრებ ადგილს აღნიშნავს, ჩვენთან იგი უფრო „მეჩეთის“ სახელით არის ცნობილი. დღეს რომ იესო ჩვენთან ყოფილიყო, იგი მეჩეთში წავიდოდა (თუ, რასაკვირველია, შეუშვებდნენ) და იქ იქადაგებდა სახარებას.

ყურანის ტექსტში ერთგვარ უხერხულობას იწვევს სიტყვა „ინჯილი“, რაც ბერძნული „ევანგელიონ“-ის დამახინჯებული ფორმაა. არც მუჰამედსა და არც თანამედროვე მუსლიმებს წარმოდგენა არა აქვთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა. ასევე, გამოთქმა „ღვთის სასუფეველი“ რამდენჯერმე იხსენიება ყურანში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ამ დროს მივალთ ჩვენ, რომლებმაც ვიცით ამ სიტყვების მნიშვნელობა. ჩვენს ხელშია „სასუფევლის გასაღები“. სასუფეველი გვანიჭებს ძალაუფლებას. ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, ვიმოქმედოთ ღვთის სახელით, ამავე დროს ვიცით სასუფევლის ბუნება, ის, რომ იგი ყოველი მორწმუნის გულშია და დადგება უფლის საბოლოო დაბრუნებისთანავე. ამიტომ უნდა ვუქადაგოთ ყველას სახარება ღვთის სასუფეველზე, უნდა ვამცნოთ, რომ იესო დაბრუნდება. ჩვენ უნდა მივიდეთ ყველა ერთან, ყველა ტომთან და გავაცნოთ მათ ღვთის ძის, მაცხოვრის, იესო ქრისტეს სახარება, რომელმაც მსხვერპლად მიიტანა თავისი თავი ადამიანების, მათ შორის მუსლიმების, ცოდვათა გამოსასყიდად. ის მთელი კაცობრიობის გულისათვის ეცვა ჯვარს და დაამარცხა სატანა. შემდეგ იგი აღსდგა მკვდრეთით, როგორც მაცხოვრის ძალაუფლების ცოცხალი დამოწმება მათთვის, ვინც იწამა. ჩვენი მოვალეობაა, ვიქადაგოთ ამის შესახებ მეჩეთებში და ბაზრის მოედნებზე, რადიოსა და მაგნიტოფონის დახმარებით, პირადად და წერილობით. სახარება ყველას უნდა ემცნოს.

თუმცა არც ესაა საკმარისი. იესო შეელოდა ავადმყოფთა და დავრდომილთ (მხოლოდ ნაზარეთში ვერ შესძლო მან სასწაულის მოხდენა, რადგან არ სწამდათ მისი). თავისი სასწაულებით იესომ გამოაცხადა ღვთის სიყვარული და ძალაუფლება, სასუფეველი, რომელიც მასში იყო. მან ჩვენც მოგვანიჭა ადამიანთა განკურნებისა და სატანის ძალაუფლებისაგან მათი განთავისუფლების უნარი, ისევე როგორც თავის მოწაფეებს, როცა მათ შორის იყო. ეს „სასწაულები და ნიშნები“ მხოლოდ სახარების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად კი არ მოგვცა, ისინი გვიმჟღავნებენ სიყვარულ-

სა და ძალაუფლებას, რომელსაც ჩვენში არსებული უფალი გვანიჭებს. ესაა აბრაამთან დაკავშირებული წინასწარმეტყველების აღსრულება, მისი წყალობით იკურთხება ყველა ერი დედამიწაზე. გალილეაში მოქადაგე იესო შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორები უნდა ვიყოთ მუსლიმთა შორის მოღვაწე მისიონერები.

მოყვანილი ფრაგმენტები სხვა მხრივაცაა საინტერესო. მაგალითად, რას ფიქრობთ ბაღდადის ქუჩებში მობობოქრე ერაყელთა ბრბოებზე? ჯვარზე გაკრული იესო ლოცულობდა მისი შეურაცხმყოფელი ბრბოსათვის: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ". იესო არ ვარდებოდა სასოწარკვეთილებაში იმის გამო, რომ ადამიანები უარყოფდნენ მას. იგი ხედავდა, რომ ისინი დაბნეულნი და უმწეონი იყვნენ, როგორც უმწყემსოდ დარჩენილი ცხვრები. მან, როგორც კეთილმა მწყემსმა, იცოდა, რა იყო მათთვის საჭირო. იესოს ადამიანთა მიმართ თანაგრძნობა ამოძრავებდა.

გვაქვს თვალნი საცქერლად? ჩვენ უნდა დავდგეთ პოლიტიკურ შეხედულებებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე ღა შეიარაღებული ძალების წინაშე შიშზე მაღლა. ჩვენ უფრო შორს უნდა ეიცქირებოდეთ, ვიდრე ღატაკი, გატანჯული და უმწეო მასები. იესო მათთან მიგვავლენდა. ის ხომ მათთვის ეწამა. მან გვიბრძანა, წავიდეთ და ვასწავლოთ ადამიანებს, მუსლიმთა ყველა ეთნოლინგვისტური ჯგუფიდან (მათე, 28:18-20).

იესომ შეამჩნია ამ ადამიანთა მზადყოფნა. იგი ამბობდა: „...სამკალი ბევრია, მუშაკნი კი — ცოტა" (მათე 9:37). მადლი შევწიროთ ღმერთს იმ იმედისა და სიყვარულისათვის, რომელიც იესოს გააჩნდა. მას სწამდა, რომ მისი მოვლინების მიზანი აღსრულდებოდა და ყველა ტომისა და ერის ადამიანს ღვთის სასუფეველში იხილავდა.

მაგრამ იესომ აღნიშნა, რომ მუშაკი ცოტა იყო. მოსავალს ვერ ავიღებთ, თუ მუშახელი არ გვეყოფა. იესოს და მის მოწაფეებს შეეძლოთ გაეგრძელებინათ საკუთარი მიწიერი არსებობა უხვი სამკალის მოსამკელად, მაგრამ ძე ღვთისა უფრო შორს იხედებოდა. მან თქვა: „ევედრეთ სამკლის უფალს, რომ წარმოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში" (მათე, 9:38).

მე ბედნიერება მხვდა წილად რამდენიმე წლის წინ გვინეაში ეყოფილიყავი, როცა იგი ჯერ კიდევ „დახურული" ქვეყანა იყო. ქვეყანას მართავდა მრისხანე დიქტატორი სეკუ ტურე. როცა დედაქალაქის ციხის შორიახლო გავიელიდით, იქიდან პოლიტპატიმართა კვნესა ისმოდა, მათ სას-

ტიკად აწამებდნენ. ისე მოხდა, რომ ჩვენი ქვეყანაში ჩასვლა დაემთხვა ნაციონალურ დღესასწაულს, რომელიც დიქტატორმა თავის ხელისუფლებაში მოსვლის დღის აღსანიშნავად დააწესა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 69%-ს მუსლიმები შეადგენდნენ, თავად დიქტატორი უღმერთო მარქსისტი იყო. მის სისასტიკეზე ლეგენდები დადიოდა.

სულიწმიდამ გვიბიძგა სამ კაცს, რომ გველოცა მისთვის. ჩვენ ვლოცულობდით, რომ ამ ადამიანს თავისი საქციელი მოენანიებინა, ან ღმერთს ის სხვა მმართველით შეეცვალა, რომელიც ქვეყანაში უფლის წარგზავნილებს შემოუშვებდა. ერთი წლის შემდეგ დიქტატორი გარდაიცვალა და მის ადგილზე მოვიდა კაცი, რომელმაც გახსნა გვინეა მისიონერთათვის.

ჩვენ მოვინახულეთ ბიბლიის ინსტიტუტი, სადაც ღვთისმსახურთა მცირე ჯგუფი დაგვხვდა. კედლებზე ეკიდა რუკები, რომლებზეც სხვადასხვა ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები იყო აღნიშნული. ჩვენ ვლოცულობდით, რომ ღმერთს თითოეულ ამ ჯგუფში გაეგზავნა მუშაკი მოსავლის ასაღებად. ახლა იქ ადგილობრივი და უცხოეული მომკელები იღწვიან. ჩვენ ვლოცულობდით ისე, როგორც იესომ გვასწავლა. სამკლის უფალი გამოგვეხმაურა. მოსავლის აღება გვინეაში გრძელდება.

თუ ღმერთმა ამგვარი რამ მოახდინა გვინეაში, რატომ არ შეიძლება სხვა ნებისმიერ მუსლიმურ ქვეყანაშიც მოიმოქმედოს იგივე? რასაკვირველია, შეიძლება.

რადგან ეს წიგნი მუსლიმთა შორის სახარების ქადაგებას ეძღვნება, ისინი თავის თავს აბრაამის შთამომავლებს უწოდებენ, მოდით, ვიღვაწოთ აბრაამის დანგრეული ოჯახის აღსადგენად, სანამ ყველა მუსლიმი, ვისი გადარჩენაც შესაძლებელია, არ გადარჩება. აბრაამის თესლის, იესოს, წყალობით ვიხილავთ დანგრეული ოჯახის გამთელებას.

აბრაამი ლოცულობდა, რომ ისმაელს ეცოცხლა ღვთის წინაშე (დაბ. 17:18). ჩვენც იგივეს შევთხოვთ უფალს და გვწამს, რომ მუსლიმთა შორის გაიზრდება ღვთისაკენ შემობრუნებულთა რიცხვი, რადგან მკა გრძელდება.

და როცა ყველა ერს ექადაგება სახარება, დადგება ჟამი იესოს დაბრუნებისა.

გახსოვდეთ ეს სიტყვები:

„ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული“ (მათე, 24:14).

დამატება

დამატება A

ქვემოთ ჩამოთვლილია მსოფლიოს 41 ქვეყანა, სადაც მოსახლეობის 50%-სა და მეტს მუსლიმები წარმოადგენენ. მათი საერთო რიცხვია 811 737 000 ანუ ესაა დედამიწაზე მცხოვრებ მუსლიმთა 78%.

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ინდონეზია	88%	159 632 000
პაკისტანი	97%	113 975 000
ბანგლადეში	85%	99 110 000
თურქეთი	99%	57 915 000
ირანი	98%	57 428 000
ნიგერია*	45%	55 125 000
ეგვიპტე	91%	49 595 000
მაროკო	99%	25 938 000
ალჟირი	99%	25 740 000
სუდანი	72%	18 648 000
ავღანეთი	99%	16 434 000
ერაყი	96%	16 416 000
საუდის არაბეთი	99%	15 345 000
სირია	87%	11 136 000
მალაიზია	55%	10 065 000
იემენი	99%	9 999 000
ტუნისი	99%	8 316 000
სომალი	99%	7 623 000
სენეგალი	91%	7 007 000
ნიგერი	87%	6 960 000
მალი	80%	6 640 000
გვინეა	69%	5 175 000
ლიბია	98%	4 312 000

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
იორდანია	93%	3 162 000
ჩადი	51%	2 601 000
ალბანეთი	70%	2 310 000
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	96%	2 160 000
სიერა ლეონე	50%	2 150 000
მაურიტანია	99%	2 079 000
ლიბანი	60%	2 040 000
ომანი	99%	1 584 000
ქუვეითი	96%	1 344 000
გამბია	87%	783 000
ღაზა**	98%	588 000
კომორის კუნძულები	100%	500 000
ბაჰრეინი	99%	475 000
კატარი	95%	360 000
ჯიბუტი	90%	200 000
დასავლეთ საჰარა***	100%	200 000
მალდივის კუნძულები	100%	200 000
ბრუნეი	64%	192 000

* ნიგერია: ხელისუფლებას, რომელმაც თავი მუსლიმურად გამოაცხადა, მუსლიმები აკონტროლებენ.

** ღაზა: ოკუპირებულია ისრაელის მიერ. მალე შეიძლება მისი ანექსიაც მოხდეს.

*** დასავლეთ საჰარა: ოკუპირებულია მაროკოს მიერ. შესაძლებელია, რომ ანექსირებულიც იქნეს.

დამატება B

მუსლიმური სამყარო: მიმოხილვა

დონ მაკ-კური

მუსლიმური სამყაროს დემოგრაფია

მუსლიმური სამყაროს მოსახლეობის განსაზღვრისათვის გარკვეული წყაროების შესწავლა დაგვჭირდა. ძირითადად ვეყრდნობოდით 1990 წლის მონაცემებს დედამიწის მოსახლეობის შესახებ. ძალიან დაგვეხმარა Demography of Islam Nations (John Weeks, 1988) და ორტომეული — Patrick and Richard Weeks "Muslim Peopls", 1983 წ.

ციფრები დავამრგვალეთ 1000-მდე და არ გამოგვიტოვებია არც ერთი ქვეყანა, სადაც 10 000 მუსლიმი მაინც ცხოვრობს.

ჩვენს მიერ მოყვანილი ციფრები, რა თქმა უნდა, მიახლოებითია. ბევრ ქვეყანაში კარგა ხანია არ ჩატარებულა მოსახლეობის აღწერა, ზოგიერთი ციფრი კი დამახინჯებულია პოლიტიკური მოსაზრებების გამო. რაც შეეხება ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას, აქ ჯონსტონის მიერ გამოქვეყნებულ ციფრებს ვეყრდნობოდი, რადგან ისინი უფრო რეალურია.

შემდეგ ვუჩვენებთ მუსლიმი მოსახლეობის რიცხვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. მთლიანად დედამიწაზე 1 054 868 000 მუსლიმი ცხოვრობს.

აზია

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ინდონეზია	88%	159 632 000
პაკისტანი	97%	113 975 000
ბანგლადეში	85%	99 110 000
ინდოეთი	11%	94 512 000
საბჭოთა კავშირი (შუა აზია)	17%	49 640 000
ჩინეთი	1,5%	17 270 000
ავღანეთი	99%	16 434 000
მალაიზია	55%	10 065 000
ფილიპინები	6%	3 738 000
ტაილანდი	4%	2 352 000
ბირმა	3,6%	1 516 000

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
შრი ლანკა	8%	1 392 000
ნეპალი	5%	980 000
ვიეტნამი	1%	676 000
სინგაპური	19%	532 000
მონგოლეთი	9,5%	209 000
მალდივის კუნძულები	100%	200 000
ბრუნეი	64%	192 000
კამბოჯა	2,4%	170 000
ტაივანი	0,5%	102 000
ბუტანი	5%	80 000
ჰონგკონგი	1%	59 000
კორეა	0,1%	43 000
სულ:		572 834 000

ოკეანია

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ავსტრალია	1,5%	263 000
ფიჯი	7,8%	55 000
სულ:		319 000

შუა აღმოსავლეთი

არაბული შუა აღმოსავლეთი, გარდა ჩრდილოეთ აფრიკისა

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ერაყი	96%	16 416 000
საუდის არაბეთი	99%	15 345 000
სირია	87%	11 136 000
იემენი	99%	9 999 000
იორდანია	93%	3 162 000
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	90%	2 160 000

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ლიბანი	60%	2 040 000
ომანი	99%	1 584 000
ქუვეითი	96%	1 344 000
ისრაელი	12,5%	612 000
ღაზა	98%	588 000
ბაჰრეინი	99,3%	475 000
კატარი	95%	475 000
სულ:		65 336 000

ჩრდილოეთ აფრიკა

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ეგვიპტე	91%	49 595 000
მაროკო	99%	25 938 000
ალჟირი	99%	25 740 000
სუდანი	72%	18 648 000
ტუნისი	99%	8 316 000
ლიბია	98%	4 312 000
დასავლეთ საჰარა	100%	200 000
სულ:		132 749 000

არაბული სამყარო (შუა აღმოსავლეთი+ჩრდილოეთ აფრიკა) მთლიანად 198 085 000

არაარაბული შუა აღმოსავლეთი

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
თურქეთი	99%	57 915 000
ირანი	98%	57 428 000
კვიპროსი	18,5%	130 000
სულ:		115 473 000
მთელ შუა აღმოსავლეთში		313 558 000

საჰარის სამხრეთი აფრიკა

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ნიგერია	45%	55 125 000
ეთიოპია	35%	18 620 000
ტანზანია	30%	8 070 000
სომალი	99%	7 623 000
სენეგალი	91%	7 007 000
ნიგერი	87%	6 960 000
მალი	80%	6 640 000
გვინეა	69%	5 175 000
ბურკინა-ფასო	44%	4 136 000
ზაირი	10%	3 780 000
სპილოს ძვლის სანაპირო	25%	3 125 000
ჩადი	51%	2 601 000
კამერუნი	22%	2 508 000
განა	15%	2 325 000
სიერა ლეონე	50%	2 150 000
მოზამბიკი	13%	2 093 000
მავრიტანია	99%	2 079 000
კენია	6%	1 512 000
მალავი	16%	1 504 000
უგანდა	6,6%	1 234 000
გამბია	87%	783 000
ბენინი	16%	768 000
ტოგო	16%	608 000
ლიბერია	21%	567 000
კომორის კუნძულები	100%	500 000
სამხრეთ აფრიკა	1,2%	487 000
გვინეა-ბისაუ	38%	380 000
ჯიბუტი	90%	360 000
მადაგასკარი	2%	248 000

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ცენტრალური აფრიკის		
რესპუბლიკა	8%	240 000
მავრიკიის კუნძული	17%	187 000
ზიმბაბვე	0,9%	90 000
ზამბია	1%	84 000
რუანდა	8,6%	65 000
ბურუნდი	1%	58 000
მაიოტა	98%	48 000
რეუნიონი	2,4%	14 000
გაბონი	1%	12 000
სულ სამხრეთ აფრიკაში		149 440 000
სულ ჩრდილოეთ აფრიკაში		132 749 000
მთელს აფრიკაში		282 189 000

ევროპა

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპა:		
იუგოსლავია	16%	3 824 000
ალბანეთი	70%	2 310 000
ბულგარეთი	11%	990 000
რუმინეთი	1,2%	280 000
საბერძნეთი	2,5%	252 000
სულ:		7 656 000
დასავლეთ ევროპა:		
საფრანგეთი	4,6%	2 608 000
დასავლეთ გერმანია	3%	1 902 000
დიდი ბრიტანეთი	2,7%	1 553 000
ნიდერლანდები	2,1%	315 000
ბელგია	2,9%	287 000
იტალია	0,35%	202 000
პორტუგალია	0,1%	104 000

ქვეყანა	მუსლიმთა %	მუსლიმთა რიცხვი
ავსტრია	1,3%	100 000
დანია	1,3%	66 000
შვეიცარია	0,9%	61 000
შვეცია	0,4%	34 000
ნორვეგია	0,4%	17 000
სულ		7 249 000
მთლიანად ევროპაში		14 905 000

დამატება C

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დამახასიათებელი ნიშნები

იმ საკითხის გასარკვევად, მართლაც იყო თუ არა მუჰამედი ბიბლიური წინასწარმეტყველი, მხედველობაში უნდა მივიღოთ რამდენიმე მომენტი.

კრიტერიუმები

პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ბიბლიის ცენტრალური თემა — გამოსყიდვის ღვთაებრივი ჩანაფიქრი.

„ცოდვათდაცემიდან" მოყოლებული, უფალი ადამიანის გვერდით იყო და იწინასწარმეტყველა, რომ დედაკაცის თესლი თავს გაუჭეჭყავდა გველს (სატანას), გველი კი თავის მხრივ ქუსლს დაუგესლავდა ამ ადამიანს (დაბ. 3:15).

თავის დროზე საღვთო წერილის ღვთივშთაგონებული მწერლები მიხვდნენ, რომ „დედაკაცის თესლი" იყო იესო და წინასწარმეტყველება აღსრულდა მისი ჯვარცმით, როდესაც მან გამარჯვება იზეიმა სატანაზე (კოლ. 2:15).

იოანე მოციქული წერდა: „ცოდვის ჩამდენი ეშმაკისაგან არის, რადგან თავდაპირველად ეშმაკმა შესცოდა. ამისათვის გამოჩნდა ძე ღვთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმენი" (1 იოანე, 3:8).

ბიბლიის უკანასკნელი წიგნი მთავრდება იმის აღწერით, თუ როგორ ჩააგდებს ღმერთი ეშმაკს ცეცხლოვან ტბაში, სადაც უნდა იწვოდეს იგი საუკუნოდ (გამოცხ. 20:10).

იესოა სწორედ ბიბლიის ცენტრალური ფიგურა, რომელიც თავის თავზე იღებს ადამიანთა ცოდვებს და ამარცხებს ჩვენ დამღუპველ სატანას. იესო

გვათავისუფლებს ცოდვის ძალმოსილებისა და სატანისაგან (იოანე, 8:36).

საღვთო წერილის ცენტრალური მოვლენა, რომლის წყალობითაც ხდება ეს ყველაფერი, არის ჯვარცმა. ქრისტემ ჯვარცმით აღასრულა რჯული და დაამარცხა სატანა, რომლის ხელქვეითაც ვიყავით ჩვენი ცოდვიანობის გამო.

ბიბლიური წინასწარმეტყველები

ბიბლიაში წინასწარმეტყველებს შემდეგი ფუნქციები ეკისრებათ:

1. ღმერთთან სიახლოვის წყალობით გველაპარაკებიან მისი სახელით, რათა დაგვიწეროონ რჯული (მოსე) ან მოგვიწოდონ მასთან დაბრუნებისაკენ.
2. მათი მეორე ფუნქციაა – წარმართონ ადამიანები ქრისტესაკენ, რომელიც პირველად ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად მოვიდა, და იწინასწარმეტყველონ იმ მოვლენებზე, რაც ქრისტეს მეორედ მოსვლას მოჰყვება.
3. მესამე ფუნქცია – გააფრთხილონ ადამიანები ღვთაებრივი სამსჯავროს თაობაზე ან მოამზადონ ისინი მომავალი უბედურების დასახვედრად.
4. ყველა წინასწარმეტყველის მოქმედებას ბიბლიური გამოცხადების მთელი პერიოდის მანძილზე თან ახლდა ნიშნები და სასწაულები, როგორც ზებუნებრივი არსის გამოვლინებანი.
5. ბოლო პუნქტი შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რადგან ზემოთ ჩვენ ცალკეულ წინასწარმეტყველებზე ვსაუბრობდით. ეკლესიის ჩასახვიდან მოყოლებული, სულიწმიდა ცხოვრობს ერთიან სხეულში, რომელიც ყველა მორწმუნეს აერთიანებს და ეკლესია გარკვეულწილად წინასწარმეტყველის დანიშნულებას ასრულებს, როგორც უფლის ხმა სამყაროში.

პასუხობს მუჰამედი კრიტერიუმებს?

სანამ დავიწყებდეთ იმის განხილვას, პასუხობს თუ არა მუჰამედი ბიბლიური წინასწარმეტყველების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, კვლავ ეუბრუნდებით წინასწარმეტყველთა დახასიათებას, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველნი შეიძლებოდა დროის ხანგრძლივი მონაკვეთით ყოფილიყვნენ დაშორებულნი ერთმანეთისაგან, ისინი არ სცილდებოდნენ ღვთაებრივი ჩანაფიქრის ფარგლებს, ყველაფერი ერთი თემის გარშემო ტრიალებს (იოანე, 20:30-31).

მუჰამედის პრეტენზიის საფუძვლიანობის გამოსავლენად მას რამდენიმე მოთხოვნა უნდა წავუყენოთ:

1. იგი უნდა ეთანხმებოდეს ბიბლიის ცენტრალურ თემას, ადამიანის გამოსყიდვის ღვთაებრივ ჩანაფიქრს.
2. თუ მუჰამედი არ ეთანხმება წერილს, მაშინ მისი სიტყვები უნდა მოწმობდნენ უფრო მაღალ მორალზე და ეთიკაზე, ვიდრე მანამდე იყო.
3. მომავლის წინასწარმეტყველება მანამდე არსებულზე უფრო ზუსტ სურათს უნდა შეიცავდეს.
4. თუ მუჰამედი მართლაც უფლის სახელით ლაპარაკობდა, მაშინ მისი სიტყვები ღვთაებრივი ნიშნებითა და სასწაულებით უნდა ყოფილიყო დამოწმებული.

ყურანის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუჰამედი ვერ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ ვერც ერთ მოთხოვნას. იგი არა მარტო არ ეთანხმება მოსეს რჯულსა და ძველ აღთქმას, არამედ პირდაპირ ილაშქრებს ახალი აღთქმის ძირითადი არსის წინააღმდეგ. მაგალითად, იგი ამტკიცებს, რომ ღმერთს არ შეიძლება ჰყავდეს ძე; იესო არ ყოფილა ჯვარცმული; ღვთის განკაცება თუ შენდობა შეუძლებელია; ღმერთი არ შეიძლება არსებობდეს სამი ჰიპოსტაზის – მამის, ძისა და სულიწმიდის სახით. ამით მუჰამედი ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც მოიმოქმედა ღმერთმა წინამორბედ წინასწარმეტყველთა მეოხებით.

ამ ფატალური უთანხმოების გარდა, არც ყურანის ეთიკური და მორალური შინაარსი შეესატყვისება ბიბლიურ სტანდარტებს, ის ბევრად ჩამორჩება იესოს მიერ დასახულ იდეალებს. ყურანის ყველა წინასწარმეტყველება „განკითხვის დღეს“ შეეხება, რის თაობაზეც ნებისმიერი ბაზრის მოედანზე გაჰყვიროდნენ ქრისტიანი მქადაგებლები.

არსად არ ჩანს ღვთაებრივი ნიშნები და სასწაულები, რომლებიც დაამოწმებდნენ, რომ მუჰამედის სიტყვები მართლაც უფლისაგან მოდის.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, მუჰამედის პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ იგი ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველია, უსაფუძვლოა.

იგი ეწინააღმდეგებოდა ღვთაებრივ ჩანაფიქრს, რომელიც ვარაუდობდა კაცობრიობის შენდობა იესო ქრისტეს ჯვარცმის წყალობით. ყურანში არ გვხვდება არც ერთი სერიოზული მცდელობა სატანის საბოლოო დამარცხების საკითხის გაანალიზებისა.

მუჰამედმა თავისი საკუთარი რჯული მოიგონა, იმის მაგივრად, რომ მოსეს რჯულს დაყრდნობოდა, რომლის აღსასრულებლადაც მოეიდა ქრისტე. გარდა ამისა, იგი არწმუნებდა ადამიანებს, რომ მათი საუკუნო ცხოვრება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეასრულებდნენ ისინი მის სიტყვას.

თუ ეთიკის სფეროში გადავინაცვლებთ, მუჰამედის მოძღვრება ქორწინებაზე, გაყრაზე, პატიებაზე და მშვიდობაზე ახლოსაც კი ვერ მიდის ბიბლიურ ნორმებთან.

და ბოლოს, ყურანში, რომელიც სიდიდით ახალი აღთქმის ორ მესამედს წარმოადგენს, ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც წინასწარმეტყველებას, ვერც სასწაულს ან რაიმე ღვთაებრივ დამოწმებას ამ ეგრეთ წოდებული „გამოცხადებისა“.

ასე რომ, არ არსებობს არავითარი საფუძველი მუჰამედის ბიბლიურ წინასწარმეტყველთა რიგში ჩაყენებისა.

დამატება D

სამართლის სკოლის განვითარება და ჰადისები

ისლამი მთლიანად ერთი კაციდან, მუჰამედიდან, იღებს სათავეს. ყურანი მისი ქმნილებაა. მაჰმადიანთათვის ეს თხუზულება „ღვთის სიტყვას“ წარმოადგენს.

მუჰამედიეე იყო ყურანის ერთადერთი კომენტატორი. მის კომენტარებს ისევე სცემდნენ თაყვანს, როგორც თავად ყურანს.

რადგანაც ისლამი მოქმედებაზე დაფუძნებული რელიგიაა, მუჰამედის მიმდევრები თვლიდნენ, რომ მას უნდა დაეწესებინა მუსლიმებისათვის ქცევის ნორმები. ისინი ყველაფერში ბაძავდნენ წინასწარმეტყველს. მუჰამედის ცხოვრება მაგალითად იქცა ყველა მორწმუნისათვის. მის პიროვნებას იმხელა ძალა ჰქონდა, რომ მან მთლიანად შეცვალა იმ არაბთა ცხოვრება, რომელთაც წინასწარმეტყველად აღიარეს იგი.

სუნა

მუჰამედამდე არაბებს ჰქონდათ ზეპირგადმოცემათა კოდექსი, რომელსაც სუნა ეწოდებოდა. ისლამის აღზევებასთან ერთად მუჰამედის საქციელი

ახალ სუნად გადაიქცა მორწმუნე არაბთათვის. ამ გაგებით მუჰამედი პირველი მუსლიმი იყო.

სანამ მუჰამედი ცოცხალი იყო, ყველა მისი სიტყვის თანახმად იქცეოდა, ან ახსოვდათ, რა თქვა მან, ან ბაძავდნენ მის საქციელს. მისი გარდაცვალების შემდეგ წინასწარმეტყველის თანამოაზრენი აგრძელებდნენ მის სუნას ანუ სამაგალითო ქცევას. შემდგომი თაობაც ერთგულად აგრძელებდა ამ ტრადიციას.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც წავიდა ძველი თაობა და ხსოვნაც ნელ-ნელა იფერფლებოდა. მუსლიმთა არმიის წარმატებებს კი უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობა მოჰყვა. დაპყრობილი ხალხები სწრაფად აღმოჩნდნენ დარ-ულ-ისლამში, ისლამის სახლში და საჭირო გახდა ესწავლებინათ მათთვის მუჰამედის ცხოვრებაზე დაფუძნებული რელიგიური მოძღვრება. სუნა, ზეპირგადმოცემები მუჰამედის ცხოვრებაზე, უნდა ჩაეწერათ, რათა წინასწარმეტყველის საქციელი სამაგალითოდ შემოენახათ მომავალი თაობის მუსლიმებისათვის.

ჰადისები

სუნას ჩაწერა გარკვეულ „მეცნიერებად" გადაიქცა, ჩაწერილმა მასალამ კი ჰადისების სახელწოდება მიიღო, რაც „წერილობით გადმოცემას" ნიშნავს. ეს ჩანაწერები ყურანთან ერთად ისლამური მოძღვრების მთავარ წყაროდ გადაიქცა.

გადმოცემათა,დაწერის დროს ამ საქმით დაკავებული ადამიანები ორი პრობლემის წინაშე იდგნენ. პირველი, რამდენად სანდო იყო მთქმელის მონათხრობი. ამ პრობლემას ისნადს უწოდებენ. მეორე — შეესატყვისებოდა თუ არა გადმოცემა ყურანის ტექსტს. არაბულად ტექსტს ჰქვია მათნი. ასე რომ, ჰადისების ჩაწერის „მეცნიერება" ეფუძნებოდა ისნადის და მათნის ავთენტურობის შემოწმებას.

სამართლის საკითხებით საყოველთაო დაინტერესება

მუჰამედი და მისი მიმდევრები დიდ დროს უთმობდნენ სამართლის საკითხებს. მათ სურდათ სცოდნოდათ რაიმეს კეთების „სწორი წესი". ჰადისების ჩაწერა კვლავ გრძელდებოდა, როდესაც კანონშემოქმედებით დაინტერესებულმა იურისტებმა ჩამოაყალიბეს ისლამური სამართლის უზარმაზარი კორპუსი, რომელსაც ცხოვრების ყველა მხარე უნდა მოეცვა.

მუსლიმთა რწმენით, ამ კანონების დაცვა განაპირობებდა ადამიანის სამოთხეში მოხვედრას, მათ უნდა გაეკვალათ გზა ედემის ბაღისაკენ. ამიტომ სამართლის ამ კორპუსს შარიათი ეწოდება. შარიათი არაბულად ნიშნავს ბილიკს, რომელსაც წყაროსკენ მიეყავართ. უდაბნოში წყალი ყველაფერია.

კანონშემოქმედების პროცესთან ერთად ჰადისთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მუჰამედის გარდაცვალებიდან 200 წლის შემდეგ ის 500 000 აღწევდა. მათ გამუდმებით ამოწმებდნენ და წმენდდნენ ზედმეტი მინარევებისაგან. თუმცა საინტერესო ისაა, რომ კანონები ჰადისთა კოდიფიკაციამდე ჩამოყალიბდა.

სამართლის ოთხი სკოლა

სწავლული იურისტები გამოჩნდნენ მუსლიმური იმპერიის სხვადასხვა კუთხეში. ოთხი მათგანი აღიარებულ ავტორიტეტად იქცა. ამის შედეგად სამართლის ოთხი ოფიციალურად ცნობილი სკოლა ჩამოყალიბდა. მათ მიერ შემუშავებული კანონები უმნიშვნელოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. რადგან დღეს მუსლიმი ხალხების შინა მიგრაციას დიდი მასშტაბები აქვს მიღებული, სამართლის განსხვავებულ სკოლათა მიმდევრები გარკვეულ შეშფოთებულობას იჩენენ.

ამ სკოლების დამაარსებელთა გარდაცვალების თარიღები მიგვანიშნებენ, თუ რამდენი დრო დასჭირდა ისლამს კანონთა კოდიფიკაციისათვის. პირველი მათგანი 767 წელს გარდაიცვალა, ე. ი. მუჰამედის სიკვდილიდან 145 წლის შემდეგ, ხოლო უკანასკნელი 855 წელს, მუჰამედის სიკვდილიდან 232 წლის შემდეგ. მოგვყავს ამ სკოლის დამაარსებელთა სახელები, მათი გარდაცვალების თარიღები და ვუთითებთ მათ მიერ შემუშავებულ კანონთა გავრცელების არეს:

ჰანიფა, გარდ. 767 წ., დასავლეთი აზია,
ქვემო ეგვიპტე, პაკისტანი.
მალიკი, გარდ. 795 წ., ზემო ეგვიპტე,
ჩრდილოეთი და დასავლეთი აფრიკა.
შაფიი, გარდ. 819 წ. ინდონეზია.
ჰანბალი, გარდ. 855 წ. , ცენტრალური
და ჩრდილოეთ არაბეთი.

ჰადისთა რიცხვი კატასტროფულად იზრდებოდა, სანამ არ გამოჩნდა ექვსი ცნობილი სწაველული, რომლებმაც შეაჩერეს ეს უაზრო პროცესი. სანამ ერთ-ერთი მათგანი მათ გაცხრილვას შეუდგებოდა, დაფიქსირებული იყო ნახევარ მილიონზე მეტი გადმოცემა, რომლებიც „მუჰამედის გამონათქვამებად“ საღდებოდა. აი, ჰადისთა ექვსი ცნობილი შემკრების სახელები:

ბუხარი, გარდ. 870 წ.
მუსლიმი, გარდ. 875 წ.
იბნ მაჯა, გარდ. 886 წ.
აბუ დაუდი, გარდ. 878 წ.
ათ-თირმიზი, გარდ. 892 წ.
ან-ნასაი, გარდ. 916 წ.

ამათგან ყველაზე აუტორიტეტულებად ითვლებიან ბუხარი და მუსლიმი. ბუხარის კრებული ყველაზე ვრცელია. ნახევარი მილიონი „გამონათქვამიდან“ მან ავთენტურად მხოლოდ 7 000 სცნო.

დანარჩენებიც თითქმის ეთანხმებიან მას, მაგრამ თითოეული მათგანი სხვებისაგან დამოუკიდებლად რამდენიმე განსხვავებულ „გამონათქვამს“ რთავს თავის კრებულში.

ამ საქმიანობაში ყველაზე საოცარი ის დაუოკებელი სურვილია, რომ მუჰამედი მთელი კაცობრიობისათვის სამაგალითო ადამიანად გამოაცხადონ. ისლამური მოძღვრების თანახმად, ეს რელიგია მთელს მსოფლიოში უნდა გაბატონდეს და ჩვენც ამ VII საუკუნეში მცხოვრები არაბის სიტყვასა და საქმეს უნდა მივსდიოთ.

თანამედროვე ისლამის ერთ-ერთი განშტოება ეჭვ ქვეშ აყენებს ჰადისთა ადგილს დღევანდელ სამყაროში. კადაფი ლიბიაში ისე შორს წავიდა, რომ ჰადისები საკუთარი „მწვანე წიგნით“ შეცვალა. ახლახან ეგვიპტეში ყოფნისას შევიტყვე, რომ მრავალი ჰადისი უარყოფილია მათი არაავთენტურობის გამო.

ასეა თუ ისე, სანამ მუსლიმურ სამყაროში რადიკალური რეფორმები არ მოხდება, ყველა მუსლიმი ყურანით, ჰადისებით და შარიათის კანონებითაა შეზღუდული.

დამატება E

მუსლიმური ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის ქრონოლოგია

ქვეყნის დასახელება	ოკუპანტი ქვეყანა	განთავისუფლების წელი
1. ალბანეთი	იტალია	1945
2. ალჟირი	საფრანგეთი	1962
3. ავღანეთი	საბჭოთა კავშირი	1989
4. ბანგლადეში	დიდი ბრიტანეთი	1947
5. ბაჰრეინი	დიდი ბრიტანეთი	1971
6. ბრუნეი	დიდი ბრიტანეთი	1984
7. გამბია	დიდი ბრიტანეთი	1965
8. გაზა	ისრაელი	ოკუპაცია გრძელდება
9. გვინეა	საფრანგეთი	1958
10. ჯიბუტი	საფრანგეთი	1977
11. ეგვიპტე	დიდი ბრიტანეთი	1956
12. დასავლეთ საჰარა	ესპანეთი (შემდეგ მაროკო)	ოკუპაცია გრძელდება
13. ინდონეზია	ნიდერლანდები	1949
14. იორდანია	დიდი ბრიტანეთი	1946
15. ერაყი	დიდი ბრიტანეთი	1921
16. ირანი	დიდი ბრიტანეთი	1921
17. იემენი	დიდი ბრიტანეთი	1967
18. კატარი	დიდი ბრიტანეთი	1974
19. კომორის კუნძულები	საფრანგეთი	1975
20. ქუვეითი	საფრანგეთი	1943
21. ლიბანი	საფრანგეთი	1943
22. ლიბია	დიდი ბრიტანეთი/ იტალია	1951
23. მავრიტანია	საფრანგეთი	1960
24. მაიოტა	საფრანგეთი	ოკუპაცია გრძელდება

ქვეყნის დასახელება	ოკუპანტი ქვეყანა	განთავისუფლების წელი
25. მალაიზია	დიდი ბრიტანეთი	1963
26. მალდივის კუნძ-ები	დიდი ბრიტანეთი	1975
27. მალი	საფრანგეთი	1960
28. მაროკო	საფრანგეთი	1956
29. ნიგერი	საფრანგეთი	1960
30. ნიგერია*	დიდი ბრიტანეთი	1960
31. გაერთიანებული არაბული ემირატები	დიდი ბრიტანეთი	1971
32. ომანი	დიდი ბრიტანეთი	1970
33. პაკისტანი	დიდი ბრიტანეთი	1947
34. საუდის არაბეთი	თურქეთი**	1918
35. სენეგალი	საფრანგეთი	1943
37. სომალი	დიდი ბრიტანეთი/ იტალია	1960
38. სუდანი	დიდი ბრიტანეთი/ ეგვიპტე	1956
39. ტუნისი	საფრანგეთი	1956
40. თურქეთი	რუსეთი/იტალია	1921
	საფრანგეთი/ დიდი ბრიტანეთი	1922
41. ჩადი	საფრანგეთი	1960

დამატება F

მუსლიმური მთვარის კალენდარი

ყურადღება მიაქციეთ, რომ მთვარის კალენდარში მხოლოდ 354 დღეა, ე. ი. 11 დღით ნაკლები, ვიდრე მზის კალენდარში. ამიტომ მთვარის წელი

---

*ნიგერიაში მუსლიმები მოსახლეობის 50% ნაკლებს შეადგენენ, მაგრამ პოლიტიკურ უმრავლესობაში არიან.

**თურქეთი არადასავლური სახელმწიფოა, მაგრამ ის დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა საუდის არაბეთში, საიდანაც განდევნეს დიდი ბრიტანეთის დახმარებით.

ყოველწლიურად რამდენიმე დღით წინ უსწრებს ჩვენს წელს. ყოველ 33 წელიწადში ერთხელ ერთი მთვარის წელით მეტი გამოდის ჩვენსაზე. რადგან მუსლიმური კალენდარი 622 წლიდან იწყება, მოსალოდნელი იყო, რომ 1990 წელი ჰიჯრის 1369 წელს შეესატყვისებოდა; სინამდვილეში კი ის 1410 წელს შეესაბამება, 1369 წელს უნდა მიეუმატოთ 41 დამატებითი წელი მთვარის კალენდრისა.

ჰიჯრით წელთაღრიცხვა მუჰამედის მექადან გაქცევით იწყება. ეს კი 622 წელს მოხდა.

მუსლიმური წლის თვეები

1. მუჰარამი
2. საფარი
3. რაბი ალ-ავალი
4. რაბი ას-სანი
5. ჯუმადა-ლ-ულა
6. ჯუმადმ-ს-ანი
7. რაჯაბი
8. შაბანი
9. რამადანი
10. შავალი
11. ზულ-ქადა
12. ზულ-ჰიჯა

დამატება G

მუსლიმთა ძირითადი დღესასწაულები

1. მუჰარამის	პირველი ახალი წელი
2. მუჰარამის ათი	აშურა, ემთხვევა ებრაული შენ დობის დღეს (იომ ქიფურს)
3. რაბი-ალ-ავალის	თორმეტი მაულიდ ან-ნაბი, მუჰამედის დაბადების დღე
4. რაჯაბის ოცდაშვიდი	ლაილათ ალ-მირაჯ, მუჰამედის ღამეული მოგზაურობა

5. შაბანის თხუთმეტი	ლაილათ ალ-ბარა, ბედობის ღამე
6. რამადანი	მარხვის თვე
7. რამადანის ოცდაშვიდი	ლაილათ ალ-ქადრ, ძლიერების ღამე
8. შავალის პირველი	იდ ალ-ფითრი, გახსნილების დღესასწაული (3 დღე)
9. ზულ-ჰიჯას რვა-ათი	იდ-ალ-ადჰა, აბრაამის მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებული დღესასწაული

შენიშვნა: ამ დღესასწაულებს აღნიშნავს მუსლიმთა უმრავლესობა მთელს მსოფლიოში. შიიტებს აქვთ კიდევ დამატებითი დღესასწაულები. სხვადასხვა ქვეყანაში ხალხური ისლამის მიმდევრები აღნიშნავენ, აგრეთვე, სეზონურ დღესასწაულებს და წმიდათა დღეებს.

დამატება H

მუსლიმური ქვეყნების ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით

ნავთობით მდიდარი მუსლიმური ქვეყნები

ქვეყანა	შემოსავლის % აშშ შედარებით
გაერთიანებული არაბული ემირატები	151%
ბრუენი	150%
კატარი	150%
ქუვეითი	129%
საუდის არაბეთი	86%
ბაჰრეინი	73%
ლიბია	53%
ომანი	44%
ირანი	18%
ალჟირი	17%
მალაიზია	13%

დანარჩენი მუსლიმური ქვეყნები

ქვეყანა	შემოსავლის % აშშ შედარებით
იორდანია	14%
სირია	12%
ალბანეთი	9%
ტუნისი	9%
თურქეთი	9%
ლიბანი	8%
ჯიბუტი	7%
დასავლეთ საჰარა	6%
ეგვიპტე	5%
გაზა	5%
მაროკო	5%
ნიგერია	5%
ინდონეზია	4%
იემენი	4%
მავრიტანია	3%
პაკისტანი	3%
სენეგალი	3%
სიერა ლეონე	3%
სუდანი	3%
კომორის კუნძულები	2%
გამბია	2%
გვინეა	2%
ნიგერი	2%
სომალი	2%
ავღანეთი	1%
ბანგლადეში	1%
ჩადი	1%
მალდივის კუნძულები	1%
მალი	1%
ერაყი	**

** ირანთან ომმა სერიოზულად დაზიანა ერაყის ეკონომიკა.

შინაარსი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის	4
წინა სიტყვა	7
ნაწილი 1: აბრამის ოჯახი	11
თავი I. აბრაამი — ღვთის მეგობარი	11
თავი II. ღვთის მეგობარი ყოყმანობს	17
თავი III. აგარის ტრაგედია	24
თავი IV. ისმაელი: ისმინა უფალმა	27
თავი V. მტრობა ძმებს შორის	34
ნაწილი 2: ისმაელის სახელგანთქმული ძე	41
თავი VI. მუჰამედი — პირველი მუსლიმი	41
თავი VII. მუჰამედის წიგნი — ყურანი	51
თავი VIII. გადმოცემები და რჯული	62
თავი IX. მუსლიმთა რწმენა და მოვალეობანი	69
ნაწილი 3: მონგოლური ისლამი	82
თავი X. ეთნოსი და პოლიტიკა ისლამში	82
თავი XI. დიდი განხეთქილება: სუნიტები და შიიტები	86
თავი XII. მისტიციზმი (სუფიზმი)	90
თავი XIII. ხალხური ისლამი	96
თავი XIV. მებრძოლი ისლამი	99
თავი XV. ისლამი და დასავლეთი	104
თავი XVI. მეტოქე წინასწარმეტყველი — გულიამ აჰმად მირზა	111
ნაწილი 4: მუსლიმთა სამსახური: დამოკიდებულების საკითხი	115
თავი XVII. ქრისტეს გზა	117
თავი XVIII. ღვთის სასუფეველი და კულტურა	127
თავი XIX. მუსლიმთა მსახური	141
თავი XX. სულიერი ძალის გამოყენება	152
თავი XXI. პრაქტიკული მხარე	165
ნაწილი 5: სხვადასხვა მუსლიმური ჯგუფებისადმი დამოკიდებულება	176
თავი XXII. იესო და სუნიტები	178

თავი XXIII. იესო და შიიტები 185
თავი XXIV. იესო და სეკულარისტები 192
თავი XXV. იესო და მებრძოლი მუსლიმები 199
თავი XXVI. იესო და სუფიები 203
თავი XXVII. იესო და „ხალხური“ ისლამი 211
თავი XXVIII. იესო და აჰმადიელები 226
ნაწილი 6: კამათის სფერო 232
თავი XXIX. საღვთო წერილის კრიტიკა 236
თავი XXX. მუჰამედი თავს წინასწარმეტყველად აცხადებს 255
თავი XXXI. მუჰამედის მტკიცებანი ყურანის თაობაზე 265
ნაწილი 7: აბრაამის ოჯახის შერიგება 271
თავი XXXII. სხვა რწმენაზე მოქცევისას მიღებული ტრამვები 273
თავი XXXIII. დამოძღვრის საფასური 282
თავი XXIV. დამოძღვრის მიზანი 290
თავი XXXV. გაერთიანებათა მოდელები 299
თავი XXXVI. საუკუნო სამკალი 310
დამატებანი:
დამატება *A*. მსოფლიოს მუსლიმური ქვეყნები 315
დამატება *B*. მუსლიმური სამყარო: მიმოხილვა 317
დამატება *C*. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დამახასიათებელი ნიშნები 322
დამატება *D*. სამართლის სკოლების განვითარება და ჰადისები 325
დამატება *E*. მუსლიმური ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღები 329
დამატება *F*. მუსლიმური მთვარის კალენდარი 330
დამატება *G*. მუსლიმთა ძირითადი დღესასწაულები 331
დამატება *H*. მუსლიმური ქვეყნების ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 332

Don Mc Curry
Healing the broken family of Abraham

წიგნი დაკაბადონებულია გამომცემლობა **GCI**

სტამბა „ქართული ფილმი“
დავით აღმაშენებლის პრ., 164

ტირაჟი 10000 შეკვეთა № 87

_____ აიკინძა საქართველოს რესპუბლიკის პოლიგ-
რაფიისა და საგამომცემლო საქმიანობის სახელმწიფო კორ-
პორაციის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში. _____

მარჯანიშვილის ქ. №5